ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ
FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENC.
Институт Языка, Истории и Материальной Культуры им. а...
L'Institut Marr de Langues, d'Histoire et de Culture matérielle

АРН. ЧИКОБАВА

ЧАНСКО-МЕГРЕЛЬСКО-ГРУЗИНСКИЙ СРАВНИТЕЛЬНЫЙ СЛОВАРЬ

ARN. TCHIKOBAVA

DICTIONNAIRE COMPARÉ TCHANE-MÉGRÉLIEN-GÉORGIEN

ИЗДАНИЕ ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СС
Edition de la Filiale Géorgienne de l'Académie de l'UR
Тбилиси 1938 Tphil

ს ს რ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ნ. მარრის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

არნ. ჩიქობავა

ჭანურ-მეგრულ-ქართული
ვედარებითი ლექსიკონი

საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
ტფილისი 1938 Тбилиси

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით

თავმჯდომარე პროფ. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი პროფ. სიმონ ჯანაშია

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზ3-

წინასიტყვაობა (ქართ.) IX

„ (რუს.) XIV

შემოკლებათა განმარტება XIX

შესავალი 1

I. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები 13

II. ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები 42

III. ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა და სხვ. სახელები 76

IV. მცენარეულობა (ხეები... ყანა... ბოსტანი...) 119

V. შენობები... სამუშაო იარაღები... ჰურჭლეულობა... საჭმელები... ტანისამოსი 149

VI. წყალი... ზღვა... მიწა... ქვა... თოვლი... წვიმა... 181

VII. დღე... ღამე.... ცა... მნათობები... დღეების სახელები 192

VIII. რიცხვის სახელები 211

XI. ნაცვალსახელები და წარმოების მიხედვით მათთან დაკავშირებული სიტყვები 221

X. ატრიბუტივები (ზედსართავი სახელები) 228

XI. ზმნები 249

დასკვნითი დებულებები (ქართულად) 440

„ „ (რუსულად) 445

„ „ (ფრანგულად) 450

პირთა საძიებელი 455

სიტყვათა, ფუძეთა და ძირთა საძიებელი 457

შეცთომათა გასწორება 509

ОГЛАВЛЕНИЕ

Предисловие (на груз. яз.) IX
„ (на русск. яз.) XIV
Сокращения (наиболее часто встречающиеся) XIX
Введение 1
I. Номенклатура родственных отношений (отец... мать... брат...) 13
II. Номенклатура соматическая (голова... рука... сердце...) 42
III. Названия животных, птиц, насекомых 76
IV. Названия растений 119
V. Названия построек, орудий труда, домашней утвари, кушаний, одежды 149
VI. Вода... земля... камень... дождь... снег... 181
VII. День... ночь... названия дней недели... 192
VIII. Имена числительные 211
IX. Местоимения и генетически с ними связанные слова . 221
X. Имена прилагательные 228
XI. Глаголы 249
XII. Общие выводы (на груз. яз.) 440
„ „ (на русск. яз.) 445
„ „ (на франц. яз.) 450
Указатель имен 455
Указатель слов, основ, корней 457
Исправление ошибок 509

SOMMAIRE

Préface (en géorgien) IX
„ (en russe) XIV
Abréviations le plus frequents. XIX
Introduction 1
I. Nomenclature de liens de parenté (père... mère... frère...) 13
II. Nomenclature somatique (tête... main... coeur...) . . . 42
III. Noms d'oiseaux, d'insectes 76
IV. Noms de plantes 119
V. Noms de constructions, d'ustils, d'ustensiles, d'aliments, de vêtements 149
VI. Eau... terre... pluie... neige... 181
VII. Jour... nuit... jours de la semaine... 192
VIII. Noms de nombre 211
IX. Pronoms et mots qui s'y rattachent génétiquement . . . 221
X. Adjectifs 228
XI. Verbs 249
XII. Résumé en géorgien 440
„ en russe 445
„ en français 450
Table des noms 455
Table des mots, des thèmes, des radicaux 457
Fautes corrigées 509

სატრანსკრიფციო ნიშნები:
ТРАНСКРИПЦИОННЫЕ ЗНАКИ:

I. ქართული ანბანის რიგზე:
(В ПОРЯДКЕ ГРУЗИН. АЛФАВ.)

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ē(ŋ)*	თ	ი	კ	ლ
a	b	g	d	e	v	z		t	i	ķ	l
მ	ნ	ჯ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ჳ	უ	ფ
m	n	j	o	p	ž	r	s	ṭ	y*	u	p
ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჴ	
k	ɣ	q	š	č	c	ʒ	ç	č̣	x	q	
		ჯ	ჰ	ჶ	ჷ	ჸ	ჺ	ჼ			
		ǰ	h	ō(ω)*	w	f	ə	’			

---

* ძველი ქართულის ტექსტების ტრანსკრიფციისათვის.
* Для транскрибирования древ.-грузин. текстов.

წინასიტყვაობა

1. „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ მჭიდროდ უკავშირდება ავტორისავე ნარკვევს „ჰანურის გრამატიკული ანალიზი“ ტექსტებითურთ (ტფილისი, 1936, ენიმკის გამოცემა). ამ უკანასკნელში მოცემულია სისტემატური მიმოხილვა ჰანურის ფონეტიკური შედგენილობისა (და პროცესებისა), მორფოლოგიური სტრუქტურისა და ძირითადი სინტაქსური ფაქტებისა მეგრულისა და ქართულის სათანადო მოვლენებთან შეპირისპირებით, ნაჩვენებია, რაა საერთო მათ შორის და რა განასხვავებს მათ.

იმავე მიზნით წინამდებარე ნარკვევი განიხილავს ჰანურის ლექსიკას მეგრულისა და ქართულის ლექსიკასთან შედარებით.

შედარებითი ლექსიკონის ობიექტს მარტოოდენ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი მასალა წარმოადგენს (იხ. „შესავალი“, გვ. 3):

კაც-ი — კოჩ-ი... ძმ-ა — ჯუმ-ა (ჰან.), ჯიმ-ა(მეგრ.)... ბელელ-ი — ბალ-უ...

ჩვენ კი შეტანილი გვაქვს ს ა ე რ თ ო ლექსიკური მონაცემიც: ისეთი ფუძეები და ძირები, რომლებიც მეორდება ჰანურში, მეგრულში, ქართულში და არ არის უცხო ენობრივი სამყაროდან შეთვისებული [1]: ასეთია, მაგალითად, **ცხენ**-ი (გვხვდება ქართულშიც, მეგრულშიც, ჰანურშიც; იხ. გვ. 79); **დიკა** (გვაქვს ჰანურში და ქართულში; იხ. გვ. 141); **ქურუმ**-ი ჰანურში და **ქუჩრიმა** ქართულში (იხ. გვ. 142).

---

[1] ადვილი სრულებითაც არ არის ნასესხებ სიტყვათა გამოყოფა, მეტადრე, თუ სიტყვა ძველად არის შეთვისებული. ასეთი სიტყვები იმდენად შეეგუებიან ხოლმე ახალ ენობრივ გარემოს, ისე იცვლიან ხშირად ფერს, რომ ისტორიული ძიების გარეშე მათი სადაურობის გარკვევა შეუძლებელია. ლათ. „სკალა“—„კიბე“ ჰანურში მ-სჭალა || ფ-სკალა-ს სახით გვაქვს, გურულში კი მას **პწკალა**-ს სახე მიუღია, მართალ ქართულ სიტყვად გამოიყურება:—პ წ კ!..

ზოგჯერ ნასესხებმა სიტყვამაც შეიძლება მოგვცეს მონათესავე ენებში კანონზომიერი შესატყვისობა (თუ კი დიფერენციაციამდის იყო ნასესხები); ასეთი „უცხოელის“ გამოცნობა თითქმის შეუძლებელი ხდება; მაგრამ ეს არ არის დიდი უბედურება: შ ე დ ა რ ე ბ ა თ ვ ი თ მ ი ზ ა ნ ი კ ი ა რ ა რ ი ს, ა რ ა მ ე დ ე ნ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს გ ა ს ა რ კ ვ ე ვ ი დ ა მ ხ მ ა რ ე ს ა შ უ ა ლ ე ბ ა. ამ ფუნქციას კი **ასეთი** ნასესხები მასალა ისევე შეასრულებს, როგორც საკუთარი სიტყვა.

ამგვარ სიტყვათაგან ზოგი ძველის ძველი საერთო კუთვნილებაა, ზოგიც ერთ-ერთი შესადარებელი ერთეულიდანაა შესული სხვებში. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ამგვარ მასალას უდაო მნიშვნელობა აქვს ჰანურისა, მეგრულისა და ქართულის **ისტორიული ურთიერთობის** გასათვალისწინებლად; ამგვარი მასალის უყურადღებოდ დატოვება უხერხული იქნებოდა. მისი შეტანით კი შედარებითი ლექსიკონის ფარგლებიდან გავდივართ, ლექსიკონში ისტორიული ლექსიკონის ფაქტებიც შემოდის.

2. შედარება გულისხმობს შესადარებელ ერთეულებს. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი უნდა ემყარებოდეს ჰანურისა და მეგრულის სრულ დოკუმენტირებულ ლექსიკონებს, ქართულ დიალექტურ ლექსიკონებს და სალიტერატურო ქართულის ისტორიულ ლექსიკონს.

ამგვარი ლექსიკონები არ გაგვაჩნია (ორიოდე დიალექტური ლექსიკონი ხარვეზს ვერ ავსებს). ასეთ პირობებში შედარების პროცესი რთულდება და შედარების შედეგსაც შეუძლებელია მთელი რიგი ნაკლი არ ახლდეს.

ჰანური დოკუმენტირებული ლექსიკონის უპოვარობის გამო საჭირო აღმოჩნდა ჰანური სიტყვების მნიშვნელობა გაგვემარტა კონტექსტებში—გამოცემული ტექსტების მიხედვით: I აღნიშნავს (ავტორის) „ჰანურ ტექსტებს. I. ხოფურ კილოკავს"—ტფილ. 1929; II—„ჰანურის გრამატიკულ ანალიზს" დართულ ტექსტებს: ვიწურ-არქაბული კილოკავისა—1—86 გვ.; ათინური კილოკავისა—გვ. 86—138; (გვ. 139—151 უჭირავს ხოფურ ტექსტებს, ლექსებს).

მეგრული სიტყვები ან ამოღებულია განსვენ. პროფ. ი. ყიფშიძის გამოკვლევიდან („მეგრული ენის გრამატიკა" ქრესტომათიითა და ლექსიკონით, 1914; რუს.) და ასეთ შემთხვევაში არის სათანადო მითითება, ხოლო თუ მითითება არ არის, მაგალითი ჩვენი მოყვანილია.

ჰანური სიტყვების დიალექტური ვარიანტები ვცდილობდით სრულად აღგვენუსხა, მეგრული სიტყვების ვარიანტებიდან კი ხშირად უპირატესობას ვანიჭებდით იმას, რომელიც უფრო საინტერესო იყო სიტყვის ისტორიის თვალსაზრისით იმისდა მიუხედავად, ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში დასტურდებოდა ეს ვარიანტი თუ სენაკურში.

ცალკე შემთხვევაში, როცა ჰანური სიტყვა (ანდა მისი რომელიმე ვარიანტი) ტექსტებში არ გვხვდება და აკად. ნ. მარის „ჰანური ენის გრამატიკის" ანდა პროფ. ი. ყიფშიძის „დამატებითი ცნობების" მი-

ხედვითაა მოყვანილი, სიტყვას უზის ინიციალები M (მარი), K (ყიფშიძე). სვანურ სიტყვათა მეტი წილი ი. ნიჟარაძის „რუსულ-სვანური ლექსიკონიდან“ (ტფილ. 1910) გვაქვს ამოღებული.

ჭანური სიტყვის შნიშვნელობა ჯერ სხვადასხვა გამოთქმებში გვაქვს დამოწმებული, მერე მეგრული და ქართული შესატყვისებია მოცემული (წინადადებებში ანდა განმხოლოებით); ამის შემდეგ წარმოდგენილია შესადარებელი ერთეულების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ანალიზი (არის თუ არა დაცული ბგერათშესატყვისობა, თუ გადახრაა, რატომ; დაცულია თუ არა წინანდელი მნიშვნელობა; თუ ცვლილებებია მომხდარი,—რაგვარი...).

3. შესადარებლად გამოყენებულია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შესადარებელი მასალა სამი წევრიდან მხოლოდ ორს გააჩნია: ჭანურსა და ქართულს ანდა ჭანურსა და მეგრულს, მესამეში კი „არა ჩანს“... „არა ჩანს“ არ ნიშნავს „არ არის“, „ობიექტურად არ მოიპოება“. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბევრი რამ, რაც ახლა ჭანურში ან მეგრულში გვაქვს, მაგრამ ქართულში არა ჩანს, მასში დადასტურდება ქართული დიალექტების ლექსიკური საგანძურის შესწავლისა და სალიტერატურო ქართულის ისტორიული ლექსიკონის დამუშავების შედეგად [1]. ამას გვაფიქრებინებს ის მარტივი გარემოება, რომ, რაც უფრო ახლოს ვეცნობით ქართულის, მეგრულისა და ჭანურის ისტორიულ ურთიერთობას, მით უფრო მეტი სიახლოვე მჟღავნდება მათ შორის მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაშიც და ფონეტიკაშიც.

ერთი მაგალითი: ახალ ქართულში იხმარება „ხილის **კრეფ**-ა“; მეგრულში და ჭანურში **წილ**-უა || ო-**წილ**-უ. სულ სხვადასხვა ძირია: სად **კრეფ**- და სად **წილ**-? ეს უკანასკნელი ამჟამად ქართულში არა ჩანს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ **წილ**- მეგრულისა და ჭანურის კუთვნილებაღაა? არა: XVIII საუკუნეში ეს **წილ**- ქართულშიც ცნობილი ყოფილა; საბა ამბობს: „**მოწილვა**—ხილთ მოკრეფა“...

ამიტომაა, რომ თითქმის ყველგან, სადაც ქართული შესაბამი წევრი გვაკლდა, ვრჩეობდით გამოთქმას: „ქართულში არა ჩანს“.

4. შედარებისათვის აუცილებელი ფონეტიკური შესატყვისობანი ქართულისა და ზანურისა ჯერ კიდევ პროფ. ალ. ცაგარელმა გააანალიზა, შემდეგ აკად. ნ. მარმა დააზუსტა (იხ. „შესავალი“, გვ. 10—12).

[1] თუ ჭანურსა და მეგრულში სხვა ენებიდან შეთვისებული მასალაა, მას. რა თქმა უნდა, ქართულში შესატყვისი არ აღმოაჩნდება.

წინამდებარე ნაშრომში შედარებისას ეს შესატყვისობაა ამოსავალი, ოღონდ:

a) წამოყენებული და გამოყენებული გვაქვს დებულება, რომ ძირის კანონზომიერი შესატყვისობა არ ნიშნავს აფიქსების შესატყვისობასაც (იხ. „შესავალი“, გვ. 5—6; „დასკვნითი დებულ.“ § 3);

b) ძირეულად მიჩნეულ მასალაში მრავალ შემთხვევაში გამოყოფილია სუფიქსი, ფუძის დეტერმინანტი;

c) თავსართებში საგანგებო ყურადღება ექცევა ნივთის კატეგორიის მაჩვენებელ ფორმანტებს (იხ. „დასკვნითი დებულ.“ 6);

d) ზანური (ჰანურ-მეგრული) მიჩნეულია ქართულის[1] დიფერენციაციის შედეგად (და არა დიფუზური ბგერების მქონე რაღაც *x*- მეტყველების დიფერენციაციის შედეგად); ამ ქართულს ჩამოყალიბებული სახით უკვე გააჩნდა ყველა ის ფონემა, რაც მასში დღეს მოგვეპოება (**რ**, **ჰ** და **ს**-ს გარდა).

დიფერენციაცია სამი ხმოვნისა, წინაენისმიერ აფრიკატებისა და სპირანტების ცვლაში გამოიხატა (იხ. „შესავალი“ გვ. 6—7).

ამ დებულებათა საფუძველზე ჰანური ლექსიკის შედარებითი ანალიზი ჩატარებულია დამოუკიდებლივ (იმ შემთხვევათა გამოკლებით, სადაც პირდაპირაა ნაჩვენები მკვლევართა შრომები).

ჰანურის ძირითადი ლექსიკური ფონდი გაანალიზებულია; სისრულეზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, უადგილო იქნებოდა. ეს მომავლის საქმეა.

5. სახელები დალაგებულია **ფუძეების** მიხედვით ბუნებრივ სემასიოლოგიურ ჯგუფებად (იხ. „სარჩევი“). ამას გარკვეული უპირატესობა აქვს, მაგრამ დაბრკოლებაც ახლავს: გაჭირდა ადგილის მიჩენა ზოგი სახელისათვის (მაგ. „გუდა“... „შუშა“... „ცეცხლი“ და მაგგვარ. პირობითაა მოქცეული სათანადო ჯგუფებში).

ზმნა ანბანთ რიგზე გავაწყვეთ **ძირების** მიხედვით; სემასიოლოგიურ ჯგუფებად დაყოფა შეუძლებელი იყო; **ფუძე** კიდევ ზმნას ეცვლება დროთა, ქცევათა, გვართა მიხედვით: ერთ ზმნას ათეული ფუძე აღმოაჩნდება (მეტადრე, თუ პრევერბებსაც ანგარიშს გავუწევთ). სამა-

[1] ზუსტად რომ ვთქვათ: იმ ენის, რომლის გაგრძელებასაც ისტორიულად ცნობილი ქართული წარმოადგენს.

გიეროდ, ძირის თარგმნა ჰირს: ერთი და იგივე ძირი სხვადასხვა ფუძეში თვალსაჩინოდ იცვლის მნიშვნელობას.

ამიტომაა, რომ ზმნა ხშირად თარგმნილია რამდენიმე სიტყვით (და ეს მაინც არ ამოსწურავს ზმნის ყველა ფუძის მნიშვნელობას).

ზმნის ძირთან მეტ-წილად კონკრეტული ფორმაცაა ნაჩვენები; ესაა აორისტი (ყველგან, სადაც დრო არაა ნაჩვენები); ზოგჯერ საილუსტრაციოდ აწმყოა გამოყენებული (ამ შემთხვევაში „აწმყო“ ყველგან მიწერილია).

სახელების დაჯგუფება სემასიოლოგიური ნიშნის მიხედვით აადვილებს ცალკე დარგების ლექსიკის გათვალისწინებას, მაგრამ სიტყვის დაძებნა ჰირს.

ბოლოს დართული „საძიებელი სიტყვებისა, ფუძეებისა და ძირებისა“ ამ უხერხულობას ნაწილობრივ მაინც აბათილებს.

საძიებელში შეტანილია ის სიტყვა-ფუძე-ძირები, რომლებიც შედარებისათვის გვაქვს გამოყენებული.

20. VI. 1938. **არნ. ჩიქობავა**

ПРЕДИСЛОВИЕ

«Чанско-мегрельско-грузинский сравнительный словарь» непосредственно примыкает к работе автора «Грамматический анализ чанского диалекта» (изд. ИЯИМК, Тбилиси, 1936 г.). В этой последней нами дан систематический обзор фонетического состава (и фонет. процессов), морфологической структуры и основных синтаксических фактов чанского диалекта в сопоставлении с соответствующими явлениями мегрельского диалекта и грузинского языка, сделана попытка выяснить, что общего между ними, в чем они расходятся и каковы исторические пути их развития.

Предлежащий словарь ставит задачей в тех же целях дать обзор чанской лексики сравнительно с мегрельской и грузинской лексикой.

Объектом сравнительного словаря являются лишь основы и корни, представляющие результаты закономерной дифференциации общего материала (см. «Введение», стр. 3, § 5): груз. კაც-ი kac-i «человек»—чан., мегр. კოჩ-ი; груз. ძმა ʒm-a—чан. ჯუმ-ა ǯum-a, мегр. ჯიმ-ა ǯim-a; гр. ბეღ-ელ-ი bɛγ-el-i — чан., мегр. ბაღ-უ baγ-u «амбар»...

В словарь же мы включили и такие основы и корни, которые являются общим достоянием сравниваемых лингвистических единиц, не будучи заимствованы[1] из других языковых групп или

[1] Отнюдь не всегда легко выделить заимствованные слова, отличить «свое» от «чужого», особенно, когда дело касается времен, давным давно минувших. Такие заимствованные слова вполне ассимилируются в новой среде, меняя подчас и внешний облик: лат. scala — лестница — в чанском диал. звучит, как მ-სკალა || ფ-სკალა m-skala||p-skala, а в гурийском нар. груз. языка выглядит, как პკალა pkala—პკა...

Иногда заимствованное слово может быть представлено даже закономерными звукосоответствиями в сравниваемых родственных языках; это признак того, что заимствованное слово проделало большой путь развития в новой языковой среде. Такие слова весьма ценны для истории языка; сравнение ведь не самоцель, а вспомогательное средство истории.

семейств (напр. слово ცხენ-ი cxen-i «лошадь» встречается и в чанском, и в мегрельском и в грузинском; см. стр. 79; დიკა dika вид пшеницы—представлено и в чанском и в грузинском; см. стр. 141; чап. ქურუმ-ი kurum-i—род проса—налично и в грузинском яз. с некоторой модификацией ქურიმა kwrima; см. стр. 142...); из таких слов одни являются общим достоянием грузинского и занского языков, другие заимствованы из одного родственного языка в другой; но и в том, и в другом случае лексические совпадения безусловно ценны с точки зрения исторического взаимоотношения грузинского и занского языков; пренебречь ими было бы нежелательно. Но включая такой материал, пришлось тем самым раздвинуть рамки сравнительного словаря; в него вошло некоторое количество материалов исторического словаря.

2. Отсутствие исторического словаря литературного грузинского языка, словарей по большинству грузинских наречий, равно как и отсутствие документированного чанского и мегрельского словарей в значительной мере осложняли процесс сравнительного анализа и не могли не повлиять отрицательно на результаты этого анализа.

Пришлось документировать чанские слова, давая их значения в выражениях по изданным текстам: I обозначаем (автора): «Чанские тексты. I. Хопский говор» Тбилиси 1929. X+166 стр. II —: «Чанские тексты» в «Грамматическом анализе чанского диалекта» ч. II:—вицско-архавский говор, стр. 1—86; атинские тексты, стр. 87—138 (стр. 139—151 занимают хопские тексты в стихах).

Мегрельские слова или взяты из исследования покойного проф. И. Кипшидзе («Грамматика мингрельского языка» с хрестоматией и словарем, СПБ. 1913) и тогда имеется соответствующая ссылка, если же нет ссылки, пример приводится нами.

Чанские диалектные варианты представлены полностью, из мегрельских же вариантов часто предпочтение отдавалось тому, который для истории слова представляет больший интерес, независимо от того, фигурирует этот вариант в зугдидско-самурзаканском или в сенакском говоре.

В отдельных случаях, когда чанское слово (или какой-либо его вариант) не засвидетельствовано в текстах, а приводится по материалам «Грамматики чанского яз.» акад. Н. Марра или по «Дополнительным сведениям о чанском языке» проф. И. Кипшидзе, на это указывают инициалы *М* (Марр), *К* (Кипшидзе).

Сванский материал, привлекаемый лишь в отдельных случаях, взят в большинстве своем из «Русско-сванского словаря» И. И. Нижарадзе (Тифл. 1910).

Проиллюстрировав значение чанского слова в контекстах и приведя мингрельские и грузинские соответствия (в предложениях или без), мы даем в словаре анализ сравниваемых основ, как со стороны фонетической, так и морфологической и семасиологической (имеются ли отклонения от нормального звукосоответствия, если да, почему; сохранилось ли прежнее значение или и тут имеются изменения,—какие; каково взаимоотношение аффиксов).

3. К сравнению привлечены и те основы (корни), которые встречаются из трех сравниваемых лингвистических единиц лишь в двух: или в чанском и мегрельском, или в чанском и грузинском яз.

Отсутствие третьего члена часто бывает обусловлено недостаточной изученностью лексики картвельских языков. В мегрельском и в чанском диалектах, напр., наличен корень ფოლ- ṣil- «собирать, срывать фрукты»; в грузинском языке в этом же значении используется основа კრეფ- kṛep; это два совершенно различных корня; ფოლ- отсутствует в грузинском яз.; но по свидетельству знаменитого лексикографа XVIII в. Саввы Сулхана Орбелиани ფოლ- ṣil- корень был, оказывается, наличен и в грузинском языке.

Учитывая перспективу таких возможностей, мы сочли целесообразным не оставлять без рассмотрения и вышеуказанные материалы.

4. Необходимые для сравнения звукосоответствия грузинского и занского языков в основном были установлены проф. А. Цагарели и в дальнейшем уточнены акад. Н. Марром (см. «Введение», стр. 10—12).

Эти звукосоответствия являлись исходными и для нас, причем:

a) в процессе сравнения мы базировались на положении, согласно которому наличие закономерного звукосоответствия в корневой части еще не означает наличия такого же соответствия между аффиксами сравниваемых слов (см. «Введение», стр. 5—6; «Общ. выв.» § 3e);

b) в основах, признаваемых за простые по составу, пришлось выделить суффиксы, детерминанты основ;

c) в префиксах особо учитывались показатели «категории вещи» (см. «Общие выводы», 6к);

d) занский яз. (чанск. и мегр. диал.) нами квалифицируется, не как результат дифференциации какого-то *x*-языка с диффузными звуками, а как результат дифференциации языка, преемственно представленного в грузинском языке, и имевшего к моменту дифференциации все фонемы, наличные в грузинском языке и поныне (кроме **ɦ r, ʒ h** и **ɓ s**; см. «Общ. выв.» 6).

На основе этих положений сравнительный анализ чанской лексики проведен самостоятельно (за исключением случаев, где имеются прямые ссылки на использованные работы других авторов).

Основной словарный фонд чанского диалекта, имеющий соответствия в других сравниваемых единицах (или повторяющийся в них), проанализирован; но говорить о полноте охвата, разумеется, не приходится; это дело будущего.

5. Имена распределены по основам на семасиологические группы (см. «Оглавление»); это имеет определенное преимущество, но связано с некоторыми трудностями; нелегко подыскать надлежащую рубрику для таких слов, как «меха», «дрова», «огонь» — мы условно относили их к соответствующим группам.

Глагол расположен в алфавитном порядке по корням; распредлять их по семасиологическим группам было бы затруднительно, к тому же не необходимо. Исходить из глагольных основ было невозможно: времена, версии, залоги имеют отличные друг от друга основы; таких основ у каждого глагола изрядное количество (в особенности, если принять во внимание формы с превербами).

С другой стороны передать значение глагольного корня дело нелегкое : значение [illegible] основам.

Этим и объясняется, почему очень часто значение глагола передано рядом слов (и всетаки не исчерпаны все значения глагольных основ).

При глагольном корне зачастую указана конкретная форма аориста (время не обозначено) или настоящего времени (время обозначено).

Распределением имен по семасиологическим группам облегчается обзор их по рубрикам, зато осложняется нахождение нужного слова.

Общий указатель «слов, основ, корней», приложенный в конце книги, может облегчить использование представленного в ней материала.

В «Указатель» включены привлеченные к сравнению корни, основы, слова.

20. VI. 1938 Арн. Чикобава

შემოკლებათა განმარტება

დამატებ. ცნობები: Кипшидзе И. „Дополнительные сведения о чанском языке". СПБ. 1911. Стр. VI+33.

ზოგადი ფონეტიკა: ახვლედიანი გ. „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები", ტფილ. 1938. გვ. 231.

მეგრ. გრამ.: Кипшидзе И. „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем". СПБ. 1914. Стр. XV+150+188+424.

საბა: საბა სულხან ორბელიანი: „ქართული ლექსიკონი", პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილ. 1928.

საქართ. ეკონ. ისტ. I, II: ჯავახიშვილი ივ. „საქართველოს ეკონომიური ისტორია" ტ. I, ტფილ. 1930. გვ. VII+428; ტ. II, ტფილ. 1934. გვ. XX+708.

სიტყვის კონა: ბერიძე ვუკოლ, „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა". პ. 1912. გვ. VIII+76.

ფონეტ. დაკვირვ: თოფურია ვ. „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. I: „მიმომხილველი" გვ. 198—219; II: ტფილ. უნივ. მოამბე X, გვ. 291—304.

ქართ. ერ. ისტ.: ჯავახიშვილი ივ. „ქართველი ერის ისტორია", ტ. I (გამოც. II), ტფილ. 1928, გვ. X+375.

ჭან. გრამ.: Марр Н. „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем", СПБ. 1910. Стр. XXX+240.

ჭან. გრამ. ანალ.: ჩიქობავა არნ. „ჭანური გრამატიკის ანალიზი" ტექსტებითურთ. ტფილ. 1936. გვ. XV+249+151.

I: ჩიქობავა არნ. „ჭანური ტექსტები. ნაკვეთი I: ხოფური კილოკავი". ტფილ. 1929, გვ. X+166.

II: ჩიქობავა არნ. „ჭანურის გრამატ. ანალიზი", ნაწ. II, ტექსტები.

შესავალი

ენის შესახებ აზროვნება ენათმეცნიერებად იქცა მას შემდეგ, რაც ენობრივ მოვლენათა შესწავლისას ისტორიული თვალსაზრისი იქნა გამოყენებული. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა სხვა მეცნიერებათა ისტორიიდან კარგად ცნობილი ფაქტი, რომ მოვლენის მეცნიერული შესწავლა გულისხმობს მის შესწავლას განვითარებაში.

ისტორიული თვალსაზრისის სრული გაშლა მოვლენის დოკუმენტალური ისტორიის გარკვევის გარდა მის შედარებითს შესწავლასაც აუცილებელს ხდის: შედარება ისტორიის დამხმარე საშუალებაა, შედარება ისტორიული წარსულის უფრო ღრმად წვდომის იარაღია. ამიტომ ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი მომენტი თანაბარი ღირებულებისა არ არის: ისტორია მიზანია, შედარება—საშუალება.

ამჟამად ენათა მეცნიერული შესწავლა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია[1]. ყველაფერი, რაც კი მტკიცე მეცნიერულ მონაპოვრად ითვლება სხვადასხვა ენების და, კერძოდ, ქართველური ენების წარსულის შესწავლისას,—ისტორიულ-შედარებითი ძიების შედეგადაა მიღებული. არ არსებობდა და არ არსებობს სხვა გზა, რომელსაც შეეძლოს არა თუ უკეთესი შედეგების მოცემა, არამედ თუნდაც დაახლოებით იმგვარივესი, როგორსაც ისტორიულ-შედარებითი ძიება იძლევა.

შედარების ტექნიკა საკმაოდ რთულია; ზოგიერთ მომენტს ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ. პირველ ყოვლისა აქ საჭიროა მოხსენებულ იქნეს ერთი ძირითად პრინციპთაგანი, რომლის უგულებელყოფა შედარებისას დაუსჯელად არ ჩაივლის:

1. შესადარებელი მოვლენები ან უნდა წარმოგვიდგენდნენ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურს, ან უნდა იქნენ დაყვა-

---

[1] ამის აღნიშვნა ზედმეტი იქნებოდა, რომ თანამედროვე ენათმეცნიერების არა ერთს მიმართულებაში, მათ შორის, იაფეტიდოლოგიაშიც, ისტორიზმის დაჩრდილვისა და არსებითად უარყოფის შემთხვევებსაც კი არ ვხვდებოდეთ. დაწვრილებით ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

ნილი ერთ საფეხურამდის. ეს ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია წილადთა შეკრება-გამოკლებისას, წილადთა სიდიდის შედარებისას, მათი გაერთმნიშვნელიანება; $\frac{3}{7}$ და $\frac{2}{7}$ შეიძლება ერთმანეთს პირდაპირ მივუმატოთ, გამოვაკლოთ, შევუდაროთ (რომელია მეტი, ნაკლები),—რადგანაც ისინი ერთნიშნელიანები არიან; მაგრამ $\frac{3}{7}$ და $\frac{3}{11}$ ერთმანეთს ვერ შეუდარებთ, ვერ შეკრებთ... მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მათ მრიცხველები ერთნაირი აქვთ: აუცილებელია მათი გაერთმნიშვნელიანება.

სხვანაირად რომ ვთქვათ, შედარება ისტორიას ეშველება, მაგრამ შედარებამ რომ მკვიდრი შედეგი მოგვცეს, შესადარებელ მოვლენათა ისტორია უნდა იყოს გარკვეული.

2. შედარება ფონეტიკურ შესატყვისობას არკვევს და მას ემყარება (იხ. ქვემოთ ქართულისა და ზანურის შესატყვისობანი).

3. შედარება არ შეიძლება, თუ სხვადასხვა ძირებია:

ქართ. სახლ-ი, მეგრ. ცუდე ერთსა და იმავეს ნიშნავს, მაგრამ სხვადასხვა ფუძეებია (ძირებია); ეს არ ნიშნავს, რომ სახლ- ფუძის შესატყვისი ძირი მეგრულს არ გააჩნია, ანდა ცუდე-ს შესაბამისი ქართულში არ მოიპოვება (სახლ-ს ოხორ- შეესატყვისება: ოხორ-ან-ს—სახლ-ობს, ცუდე-ს—ქართ. ყუდე—მაგალ. ქვა-ყუდე). იგივე ითქმის ქართ. მიწა- ფუძისა და მეგრ. დიხა-ს შესახებ.

4. შედარება არ შეიძლება, თუ სავსებით ერთნაირი ფუძეებია (ძირებია): მაგალ. ქართ. ცხენ- და მეგრ. ცხენ-, ჰან. ცხენ-... ქართ. დიკა და ჰან. დიკა... ქართ. კვერცხ-ი და მეგრ. კვერცხ-ი.

თუ შედარებითს ლექსიკონში ამგვარი მასალა მაინც გვაქვს შეტანილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ლექსიკის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა. მაგრამ ამგვარი მოვლენის შეფასებისას უნდა გვქონდეს გათვალისწინებული სამგვარი შესაძლებლობა, რომელსაც ასეთ შემთხვევაში აქვს ადგილი: ა) საერთო ფუძე ძველია, იგი შესადარებელ მონათესავე ენათა ძველ საერთო კუთვნილებას წარმოადგენს (დიკა ქართ., ჰან.); ბ) საერთო ფუძე ერთ-ერთი შესადარებელი ენის კუთვნილებას შეადგენს და მეორეში ამ ენიდანაა შეთვისებული (კვერცხ-ი ქართულიდანაა მეგრულში შესული, თუმცა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ გამოუდევნია მეგრ. მარქვალ-ი);

შედარებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს; გ) საერთო ფუძე მესამე ენიდან შეიძლება მომდინარეობდეს; იგი არც ერთი შესადარებელი ენის კუთვნილებას არ წარმოადგენს და, ცხადია, მათი ლექსიკური ურთიერთობის გასარკვევად არ გამოდგება. ამგვარი საერთო მასალა არც უნდა იქნეს შეტანილი განსახილველ მასალაში. ქვემოთ, მაგალ., დიკა, ცხენ-ი... შეტანილია, მაგრამ ისეთი სიტყვები, როგორიცაა სურათი, დარდი, შაქარი, ბრინჯი... არაა მოხსენებული, თუმცა ეს სიტყვები ჭანურშიც არის, მეგრულშიცა და ქართულშიც: მათი უცხოური წარმომავლობა ცნობილია და იმიტომ.

მაგრამ შეუძლებელი სრულებით არ არის, რომ ძველ საერთო კუთვნილებად მიჩნეული ესა თუ ის სიტყვა იმგვარადვე იყოს სხვა წრის ენებიდან შეთვისებული, როგორც დარდი ან შაქარია, მაგრამ ის წყარო ცნობილი არ იყოს (ვთქვათ, ის ენა ცოცხალ ენათა შორის აღარც მოიპოვება!) და ძველად შეთვისებული ძველ საერთო კუთვნილებად იქნეს მიჩნეული. ესეც ცხადყოფს, თუ რამდენად აუცილებელია შესადარებელ მოვლენათა ისტორიის ცოდნა.

5. შედარება შეიძლება, თუ ერთი და იმავე მასალის კანონზომიერი დიფერენციაციაა მოცემული. აქაც რამდენიმე შემთხვევა უნდა გავარჩიოთ:

ა. მთელი ფუძე—ძირიც, საწარმოებელი აფიქსებიც—(ანდა მთელი სიტყვაც კი, ე. ი. ძირიცა და დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსიც) კანონზომიერ შესატყვისობას გვაძლევს:

დედ-ალ- — დად-ულ... კაც-ის — კოჩ-იშ...

ბ. ძირი იძლევა შესატყვისობას, აფიქსები (—დამოკიდებულების აღმნიშვნელი, ფუძის საწარმოებელი—)—არა; აფიქსები ან ერთი და იგივეა (საერთოა), ან სულ სხვადასხვა ფონეტიკური შედგენილობისაა და მხოლოდ ფუნქციონალურად უდრის ერთი მეორეს, ანდა ერთს შესადარებელ ენაში არის, მეორეს სულ არ გააჩნია.

აფიქსები ერთი და იგივეა:

კაც-**ი** — კოჩ-**ი** (ჭან., მეგრ.)
კაც-**ს** — კოჩ-ი-**ს** (ჭან.)
ძმ-**ა** — ჯუმ-**ა** (ჭან.) || ჯიმ-**ა** (მეგრ.)

აფიქსები სხვადასხვაა ფონეტიკურად, შესატყვისობა მხოლოდ ფუნქციონალურია:

კაც-**მა**—კოჩ-**ქ** (მეგრ.), კოჩ-ი-**ქ** (ჭან.)
არი-**ს**—(ო)რე-**ნ** (|| რე-**ნ**) (ჭან., მეგრ.)

შე-შ-ა — **დი**-შქ-ა (ჰან., მეგრ.)
ბეღ-**ელ**- — ბაღ-**უ** „ „
წ-**ელ**- — ჰ-**უ** (ჰან.)

აფიქსი ერთს აქვს, მეორეს—არა:

შიბ-ი—სქიბ-**უ** წისქვილი (ჰან.), წისქვილის ქვა (მეგრ.).

გ. ასეთივე სხვაობა აფიქსებისა შეიძლება ერთსა და იმავე ძირთანაც ვპოვოთ:

ცა-ცხ-ვ-ი —**დუ**-ცხ-უ (ჰან.)
წიფ-**ელ**-ი—წიფ-**ურ**-ი (ჰან., მეგრ.)

დ. ძირი (ფუძე) არ გვაძლევს შესატყვისობას, აფიქსები კი ფონეტიკურად ერთმანეთს შეესატყვისება (ანდა საერთოა):

სახლებ-**ის**—ყუდეეფ-**იშ** (მეგრ.)
თავ-**ი** —დუდ-**ი** (მეგრ., ჰან.)

რა იწვევს აფიქსთა სხვაობას, როცა ფუძე კანონზომიერ შესატყვისობას ამჟღავნებს? ასეთ შემთხვევებში, როგორიცაა კაც-**მა**—კოჩ-**ქ** მოთხრობითის ნიშანი სხვადასხვაგვარი წარმოშობისაა; **-მა** მომდინარეობს **მან**-ისაგან, **-ქ** უკავშირდება **გ**-ს: ე-**გ**-ე, ი-**გ**-ი (შდრ. აქ←ჰა-ქ, ი-ქ←ჰი-ქ). რაიმე შესატყვისობაზე ლაპარაკი აქ არც შეიძლებოდა.

ეგევე ითქმის არი-**ს** — (ო)რე-**ნ**, **შე**-შა და **დი**-შქა-ს შესახებ: **-ს** და **-ნ**, **შე**←**სე**- და **დი**- სხვადასხვა მონაცემებია, ისინი ერთსა და იმავე ფუნქციებს ასრულებენ, მაგრამ ამის გამო მათი შედარება ისევე არ შეიძლება, როგორც **მიწა** და **დიხა**-სი, **სახლ**- და **ყუდე**-სი (იხ. 3, გვ. 2).

როგორღა უნდა აიხსნას ის შემთხვევები, როცა აფიქსები ერთი და იგივეა, ფუძეები კი კანონზომიერ შესატყვისობას წარმოგვიდგენენ? კაც-**ს** — ჰან. კოჩ-ი-**ს**... ძმ-**ა** — ჰან. ჯუმ-**ა**, მეგრ. ჯიმ-**ა**... თუ დიფერენციაციამდის უკვე გვქონდა ეს აფიქსები, რატომ უნდა დარჩენილიყვნენ ისინი უცვლელად: **ა**-ს ზანურში **-ო**- უნდა მოეცა, **ს**-ს შესაბამისად **-შ** უნდა გვქონოდა. სამი შესაძლებლობა გვაქვს: ან ეს აფიქსები დიფერენციაციის შემდგომს ხანაშია წარმოშობილი, ანდა ეს აფიქსები ერთი ენის კუთვნილებას შეადგენდა და იქიდან არის გადასული მეორეში, ანდა კიდევ მესამე წყაროდან შემოსულა შესადარებელ ერთეულებში...

შეიძლებოდა აგრეთვე კაცს ეფიქრა: ამგვარი მასალა დიფერენციაციის წინა ხანას განეკუთვნება, მაგრამ ამ პროცესს თავი დააღწია რაიმე საგანგებო პირობების გამო, რომელიც აქ მოიპოვებოდაო. თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ ეს შესაძლებლობა ყველაზე ნაკლებაა მოსალოდნელი.

6. შესაძლოა კანონზომიერი შესატყვისობის გზით მიღებულმა მასალამ შესადარებელ ენებში იცვალოს აღნაგობა უკვე ამ ენათა განვითარების პროცესში; ამ ცვლილებებს შეუძლია გააძნელოს (ზოგჯერ შეუძლებელიც გახადოს) წინანდელი ვითარების გათვალისწინება.

კ ა ც- — კ ო ჩ-: არც ქართულში განუცდია ამ ფუძეს ცვლილება, არც ჭანურში და არც მეგრულში. მაგრამ: **ძმ**-ა — **ჯუმ**-ა (ჭან.), **ჯიმ**-ა (მეგრ.) რომ შევადაროთ, გამოირკვევა, რომ ამის ძირი ქართულშიც ცვლილა, ჭანურშიცა და მეგრულშიც (ამ უკანასკნელში ყველაზე მეტად); სახელდობრ: ქართულში მას დაკარგული აქვს **ა**: ძმ-←ძამ- (ძამია, ძამიკო...), ჭანურში ძირეული **ო→უ**: (ჯომ-→ჯუმ-), მეგრულს კი ეს **უ**-ც არ შეენახა, **უ** **ი**-თ შეიცვალა (ჯუმ-→ჯიმ-)...

ეგვე ითქმის ც ე ც ხ ლ-ისა და მეგრ. დ ა ჩ ხ ი რ-ის შესახებ:

ცე-ცხლ-←სე-ცხლ... და-ჩხირ-←და-ჩხურ-...

ამგვარი შემთხვევები უფრო წესს წარმოადგენს, ვინემ გამონაკლისს. შესატყვისობათა გარკვევისას ამ ცვლილებათა ისტორია უნდა იქნეს გათვალისწინებული (იხ. 1, გვ. 1, 2).

7. შესაძლოა კანონზომიერი შესატყვისობის გზით მიღებულმა მასალამ შესადარებელ ენებში იცვალოს არა აღნაგობა (იხ. 6, აქვე), არამედ მნიშვნელობა (ანდა აღნაგობაცა და მნიშვნელობაც); ასეთ შემთხვევაში შესატყვის ფუძეთა დაძებნა გართულებულია და მხოლოდ აღნაგობის ანალიზს შეუძლია დახმარება გაგვიწიოს.

ქართ. **ძილ**-ს შეესატყვისება მეგრული **-ჯირ-** (დინ-**ჯირ**-უ — დაწვა), რომელიც იქ „წოლას“ ნიშნავს.

ქართ. **ხე**-ს მეგრულსა და ჭანურში შესატყვისი არ გააჩნია; მეგრ., ჭან. **ჯა** (‖ჯალ-) კი შეესატყვისება ქართ. **ძელ**-ს, რომელიც ზოგადად „ხეს“ არ ნიშნავს...

ქართ. **ხუცეს**- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია მეგრ. **უჩაშ**-ი, რაიც „უფროსს“ ნიშნავს (მნიშვნელობამ ქართულში განიცადა ცვლილება).

მეგრ. **უჩქუ(ნ)** — ნიშნავს „იცის“, მაგრამ მისი შესატყვისია **ჩანს** (‖**ჩა**-ს ძვ. ქართ.) ფუძე: უ ჩ ა ნ ს — მისთვის ჩანს, მან იცის...

„**ღანე**“-ს შეესატყვისება ჰან. **ღოშა** → ‖ მეგრ. **ღუშა**; პირველი ნიშნავს „გუშინ“, მეორე—„წუხელ“.

მნიშვნელობის ამგვარ ცვლას სემასიოლოგიური გადახრა ეწოდება.

8. თავის თავად იგულისხმება, რომ შეიძლება ამა თუ იმ ენას ჰქონოდეს კანონზომიერი შესატყვისი (ანდა საერთო კუთვნილების მასალა), მაგრამ ის დაჰკარგოდეს. ხშირია შემთხვევა, როცა ენა საკუთარ სიტყვას „ივიწყებს“, კარგავს და მის ნაცვლად ნასესხებს ამკვიდრებს. ასე, მაგ., ქართულში სპ.-არ. ბატ-მა გამოდევნა ქართ. ღერღედი, ჰანურში ბატ-ის როლში თურქ. კაზ-ი გვევლინება. ეგევე ითქმის მეგრ. მარქვალ-ის შესახებ, რომლის ადგილს იჭერს (ეს პროცესი ამჟამად მთავრდება კიდეც!) ქართულიდან შეთვისებული კვერცხ-ი.

ამიტომ: შესატყვისი ფუძის ვერ პოვნა ისტორიულად არქონას ყოველთვის არ ნიშნავს.

ჰანურისა და მეგრულის ქართულთან შედარება არკვევს, რომ, როცა:

| | | |

რი[1] იღებს მონაწილეობას ბგერის არტიკულაციაში, **შ, ჟ, ჯ, ჭ, ჩ**-ს წარმოებისას კი იმავე როლში წინა ენის ზურგი[2] გამოდის. ასეთია სხვაობა ამ თანხმოვნებს შორის ქაროულში; მაგრამ ამ თანხმოვნების მიხედვით ჭანურ-მეგრული არ განსხვავდება[3] ქართულისაგან და ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: დიფერენციაცია ამ თანხმოვნებში გამოუწვევია არტიკულაციის ცვლას, წინა ენის ზურგის ამოქმედებას ენის წვერის ნაცვლად. წარმოების უკან გადაწევა — ენის მონაწილეობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ—ესაა ის საფუძველი, რომელმაც განსაზღვრა ჭანურ-მეგრულის „შიშინი“ ქართულის „სისინის“ ნაცვლად.

კი მაგრამ, რამ გამოიწვია წარმოების ეს ცვლილება? რაა მიზეზი ამ საარტიკულაციო გადახრისა? ამჟამად ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. შინა მიზეზების გარდა—ამ ბგერათა თვისება და ამასთან დაკავშირებით განვითარების ტენდენცია—მხედველობაში უნდა მივიღოთ უცხო ენობრივი გარემოს ინტენსიური ზეგავლენაც. ქართველ ტომთა მოძრაობა სამხრეთიდან მრავალ შესაძლებლობას ქმნიდა ამგვარი გავლენისათვის (ენობრივი გარემო, ცხადია, ცვალებადი იყო). ჭანურის ათინური კილოკავი კარგი მაგალითია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი შედეგები შეიძლება მივიღოთ უცხო მეტყველების ზეგავლენის შედეგად, როცა ეს გავლენა დიდი ინტენსიობისაა: უკანაენისმიერთა პალატალიზაცია და აფრიკაცია (**გ→ჯ, კ→ჭ, ქ→ჩ**) არც ერთ სხვა ჭანურ კილოკავს არ ახასიათებს, და არც ერთი სხვა ჭანური კილოკავი არ განიცდის უცხო მეტყველების ისეთ ზეგავლენას, როგორსაც ათინური კილოკავი.

თუ ეს ასეა, კითხვა ისმის, რატომ ქართულში არ შეიძლებოდა ამგვარივე გადახრა ამ თანხმოვნებისა მიგვეღო? პრინციპში, რა თქმა უნდა, ქართულსაც შეეძლო „სისინი“ შეეცვალა „შიშინით“ (ისევე,

---

[1] აკ. შანიძის დაკვირვებით „ენის ის ნაწილი, რომელიც ზედ ენის წვერის უკან არის“; იხ. ქართ. გრამატ., გვ. 5. ექსპერიმენტული ძიება მომავალში, ალბათ, დააზუსტებს თანხმოვანთა წარმოების აღწერილობას. ჩვენი მიზნებისათვის შეიძლება დავჯერდეთ ამჟამად არსებულ გაგებასაც.

[2] იხ. ა. შანიძე, იქვე.

[3] განსხვავებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ისეთი განსხვავება, როგორსაც ადგილი აქვს **ლ** ბგერის მხრივ ქართულსა და მეგრულში (თვით დასავლურ მეგრულის **ლ**-ც კი, რომელიც უფრო „მაგარია“, ვინემ სენაკური **ლ** —მარტვილურზე რომ არაფერი ვთქვათ—, ქართულ **ლ**-ზე უფრო „რბილია“). ოდნავი სხვაობა, ალბათ, არის არა მხოლოდ ჭანურ-მეგრულსა და ქართულს შორის, არამედ ჭანურსა და მეგრულს შორისაც, თვით ქართულის კილოებს შორისაც (იმერ. და ქართლური, ხევსურული...).

როგორც ზანურში შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში შეგვრჩეს სისინი)... ფაქტობრივადაც, ამის შემთხვევები ქართულში მოიპოვება, სპორადულად, მაგრამ მაინც მოიპოვება (იხ. **შ**—**სჭ**-ს შესახებ აქვე, ქვემოთ). ამ თვალსაზრისით გადასინჯვას მოითხოვს **შენ**-ნაცვალსახელის კვალიფიკაცია, სპეციალურ ლიტერატურაში არსებული. მის თანახმად **შენ**- შიშინა წრის ვარიანტია, **სი**— სისინასი. გაუგებარი რჩება, როგორ მოხდა, რომ **სი** შიშინა წრეს აღმოაჩნდა, **შენ**—კი სისინას.—ამაში ეჭვი ჩვენ შევიტანეთ იმის გამოც, რომ შ ე ნ ი-ს ზანურში ს ჭ ა ნ ი ‖ ს კ ა ნ ი შეესატყვისება. ამის გამო „ჰან. გრამ. ანალიზში“ ჩვენ ვწერდით: „გამოთქმული იყო აზრი, რომ **სი** სისინა წრის, ქართული ფენის კუთვნილებას წარმოადგენს, **შე-ნ**, პირუკუ,— შიშინა წრისას, ე. ი. ზანურისასო. თუ ეს ასეა, უნდა აიხსნას, როგორ მოხდა, რომ მეგრულსა და ჰანურში კუთვნილებითი სიტყვა **სჭანი** ‖ **სკანი** ქართული **შენი**-ს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს გვაწვდის. ეთქვათ, **შენ** ზანურიდან შევიდა ქართულში, **სი** კიდევ— ქართულიდან ზანურში (და იქიდან სვანურში); მაშასადამე, ქართულისა და ზანურის დიფერენციაცია უკვე მომხდარი ფაქტია. როგორღა შეეძლო ასეთ პირობებში **შენ**-ისაგან ნაწარმოებ სახელს (**შენი**) მოეცა ზანურში **სჭანი**‖**სკანი**? ამ უკანასკნელის არსებობა ჰანურში იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართულისა და ჰანურის დიფერენციაციის პერიოდში **შენ** უკვე იყო ქართულში და მოგვცა **სჭანი** ‖ **სკანი** მეგრულსა და ჰანურში“ (§ 19, გვ. 73). ეს მსჯელობა ჩვენთვის დღესაც ამოსავალია. დაზუსტება ესაჭიროება მხოლოდ უკანასკნელ ფრაზაში ნათქვამს: **შენი**-საგან მივიღეთ **სჭანი**‖**სკ ნი**-ო. აქ ჩვენ ვემყარებოდით საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც ქართ. **შ**-ს შეუძლია მოგვცეს მეგრულსა და ჰანურში **სჭ**; მართლაც ეს უდაო ფაქტია, მაგრამ ამ ფაქტში აუხსნელი რჩება, როგორღა მივიღეთ ზანურში **ს**? როცა ქართული **შ**-ს შესაბამისად **შჭ** დაჩნდება (**შია**—მეგრ. **შჭირენს**), ეს ბუნებრივია: **შ** გადმოცემულია ისევ **შ**-თი, **ჭ** კი ფონეტიკურადაა განვითარებული; მაგრამ **შ**-ს ბადლად **სჭ**-ს გამოვლენა ახსნას საჭიროებს: **ს** აქ მოსალოდნელი არ იყო... „ჰანურის გრამატიკულ ანალიზში“ **შ** ‖ **სჭ** ფაქტიდან ამოვდიოდით; აქ კი ამ ფაქტის ახსნის საკითხი დგას. საქმის ვითარება ასე წარმოიდგინება: **შენ** ქ ა რ თ უ ლ ს ა ვ ე ნიადაგზეა მიღებული **სე**-ნ(‖**სი**-ნ)-ისაგან; **სი**-ნ‖**სე**-ნ-ში **ნ**(‖**ნა**) დეტერმინანტია; ამგვარად, **სი**- მეორე პირის ნაცვალსახელი გამოდის ქართულისა, მეგრულ-ჰანურისა და სვანურისათვის, ე. ი. ქართველური ენებისა-

თვის. სჭან-ში შენახულია ეს **ს**, ოლონდ მის შემდეგ განვითარებულია **ჭ**. ქართულში ეს **ს** შეცვლილია **შ**-თი (შენა, შენი)[1]...

ეგევე ითქმის ყველა იმ შემთხვევის შესახებ, სადაც ქართულში **შ** გვაქვს, მეგრულსა და ჭანურში **სჭ**: **შვილ- — სჭირ-** ‖ **სკირ-** (იმავე მნიშვნელობისა), **მშველ- — სქვერ-** (ირემი—ჭან., შველი—მეგრ.), **შვენ-ის — ოსჭუ (ნ)** (მეგრ.) ...

სი- სახელში ზანურმა შეინარჩუნა წინანდელი ვითარება ისევე, როგორც იმ შემთხვევებში, სადაც ჭანურსა და მეგრულში **ძ, წ, ც, ზ** აქვს და სიტყვა შემდეგ შეთვისებული არ არის ქართულიდან.

რაც შეეხება შემდგომი ოთხი თანხმოვნის ვითარებას, მეგრულ-ჭანური ქართულისაგან განსხვავდება უკანაენისმიერთა განვითარებით: **შ** და **ჩ**-სთან **ჭ** ვითარდება (ჭანურში ამ **ჭ**-ს ადგილს არა სისტემატურად, მაგრამ ხშირად **კ** იჭერს), **ჭ**-ს დაერთვის —**კ**, **ჯ**-ს— **გ**; ამგვარად, ვიღებთ: ქართ. **შ** — **შჭ**(**შკ**), ქართ. **ჩ** — **ჩჭ**(**ჩკ**), ქართ. **ჭ** — **ჭკ**, ქართ. **ჯ** — **ჯგ**.

რაც შეეხება მეგრ.-ჭან. **სჭ**-ს, ზემოთქმულის მიხედვით მას ქართულში შეესატყვისება **შ←ს**, ე. ი. ისტორიულად ქართული **ს**-სათვის **შ**-ს გარდა მეგრ.-ჭანურში **სჭ**-ც უნდა ვივარაუდოთ[2]...

უკანაენისმიერთა განვითარება ქართულსაც არ ეუცხოება: ყველაზე ხშირია **ყ**-ს, შემდეგ **ხ**-ს, **ჭ**-ს და **კ**-ს ფონეტიკური განვითარება (ზოგადად ამის შესახებ იხ. „ჭან. გრამ. ანალ.“, § 6 გ, გვ. 18).

სხვა თანხმოვნებიდან ქართ. **ლ** არასისტემატურად გადმოიცემა ჭანურსა და მეგრულში **რ**-თი, ხოლო როცა **ლ**-დ რჩება, ეს **ლ**- უფრო რბილია და მისი წარმოებისას წინა ენის უკანა ნაწილია ამოქმედებული: არტიკულაციის გადაწევა აქაც დასტურდება.

ხმოვანთა შესატყვისობის (**ე — ა**; **ა — ო**; **ი — ე**) აყვანა ზოგად პრინციპამდის უფრო საძნელოა; ამ შესატყვისობის კანონზომიერებაც ისე მტკიცე არ არის (მეტადრე ეს ითქმის **ი — ე**-ს შესახებ). ამ ხმოვანთა წარმოებაში ენის მონაწილეობას თუ განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ზანური შესატყვისები (**ა, ო**) ენის უფრო უკანა ნაწილის აწევით ხასიათდებიან, ვინემ სათანადო ქართული ხმოვნები (**ე, ა**): არტიკულაციის ცვლა აქ იმავე რიგისაა, როგორც თანხმოვანთა წარმოებაში შევნიშნეთ.

---

[1] ქართული ამგვარი **შ**-ს მეორეულობას, როგორც ფონეტიკურ შესაძლებლობას, ჩემი ყურადღება გ. ახვლედიანმა მიაქცია.

[2] სპეციალური ძიებაა საჭირო იმის გასარკვევად, როდის უნდა ქცეულიყო ქართულის ეს **ს** **შ**-დ ქართულში (ზანური შესატყვისი **სჭ**) და როდის **შ**-დ ზანურში (ქართულში რჩება **ს**)...

ქართულისა და მეგრულის ბგერების (და მით ჭანურისაც!) შესატყვისობანი პირველად ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა დაადგინა (იხ. მისი «Мингрельские этюды. Вып. II. Опыт фонетики мингрельского языка». СПБ. 1880, გვ. XI + 92).

ამ გამოკვლევაში ავტორს განხილული აქვს ყველა მეგრული ბგერა შემდეგი თვალსაზრისით: როგორ გამოითქმის ბგერა (ფონეტიკური დახასიათება); რა ეკვივალენტი (შესატყვისი) აქვს მას ქართულში; რა ადგილას შეიძლება შეგვხვდეს იგი სიტყვაში (თავში, ბოლოში, შიგნით); რა ცვლილებებს განიცდის ეს ბგერა; რა „ეტიმოლოგიური“ მნიშვნელობა აქვს მას.

ეკვივალენტის (შესატყვისის) დადგენისას ავტორი აღნიშნავს არა მარტო იმ შესატყვისობას, რომელსაც დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი მასალა გვაძლევს, არამედ იმასაც, რაც საერთო მასალაშია მოცემული; მასთან შემდგომ ცვლილებათა (უკვე მეგრულის ნიადაგზე რომ მოხდა, ანდა ქართულმა განიცადა) საკითხს, აგრეთვე სემასიოლოგიურ გადახრათა შესაძლებლობას, ანგარიში არ ეწევა.

ასე, მაგალ., **ჯ**-ს შესახებ ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი წერს:

„მეგრ. **ჯ** შეესატყვისება ქართ. **ჯ**-ს, **ძ**-ს, **რ**-ს, **დ**-ს, **ც**-ს, **ხ**-ს“... მაგალითებად მოყვანილია:

ა. ჯიკი — ჯირკი, ჯარი — ჯავრი...

ბ. ჯოლორი — ძაღლი, ჯვეში — ძველი, ჯიმა — ძამია, ჯერღვი — ძარღვი, ჯიმადი (ჯიმა+დიდი)—ბიძია, სინჯა — სიძე...

გ. ხუჯი — მხარი, ცუჯი — ყური, ღეჯი — ღორი, ხოჯი — ხარი, პიჯი — პირი, ქომონჯი — ქმარი...

დ. ხინჯი — ხიდი.

ე. ჯიხა — ციხე.

ვ. ჯა — ხე (იხ. ხსენებ. გამოკვლ., § 38, გვ. 64).

აქედან მხოლოდ **ბ** და **გ** მუხლებს აქვს მნიშვნელობა შესატყვისობის თვალსაზრისით; **ა**-ში მოცემული მაგალითები საერთო მასალას შეიცავს; ხინ**ჯ**ის **ჯ** მეორეულია,—**დ**-საგან არის მიღებული; **ჯიხა** იმას გვაფიქრებინებს, რომ ქართ. **ციხე** ← **ძიხე** და არა იმას, რომ მეგრ. **ჯ** ქართულ **ც**-ს შეესატყვისება; **ჯა** არ შეიძლება შევუდაროთ **ხე**-ს; **ჯა**-ს შესატყვისი **ძელი** ერთგვარი სემასიოლოგიური გადახრის ნიმუშს გვიჩვენებს. ერთი სიტყვით, შედარების ზოგადი პრინციპები დაცული არ არის.

მაგრამ ამგვარი (§§ **ვ**, **ე**, **დ**, **გ**) მასალაც რომ გამოვრიცხოთ, დავინახავთ, რომ **ა ლ. ც ა გ ა რ ლ ი ს ამ გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა ში** ყველა მეგრული

ბგერაა განხილული და მეგრულისა და ქართულის ბგერების **კანონზომიერ შესატყვისობათა საკითხი** გადაჭრილია.

ნ. მ ა რ ი ს იმ გამოკვლევებში, რომელთა მეტი წილი 1915 წლავდის გამოქვეყნდა და უპირატესად ქართულისა, ჭანურისა, მეგრულისა და სვანურის ლექსიკური მასალის შედარებას იძლევა, მხოლოდ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი მასალის მიხედვით წყდება შესატყვისობათა საკითხი[1]; ამდენად ის თავისუფალია იმ ნაკლისაგან, ალ. ც ა გ ა რ ლ ი ს შესატყვისობათა ცხრილში რომ გვქონდა. მაგრამ ნ. მ ა რ ს არა აქვს გათვალისწინებული ისეთი შემთხვევები, როცა აფიქსები ეკვივალენტებს არ იძლევა (იხ. ზემოთ 5ა, ბ, გ, დ). ის ცდილობს აღდგენილი, ნებისმიერი საფეხურები დაუშვას და ამ გზით მოიპოვოს კანონზომიერება აფიქსთა შესატყვისობაში იქ, სადაც ნამდვილად ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი შესატყვისობა კი არა გვაქვს, არამედ მხოლოდ მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ეკვივალენტი. ნიმუშად მოგვყავს ჭან.-მეგრ. **დო-** და ქართ. **სა-** თავსართების ურთიერთობის ანალიზი, როგორც ეს ნ. მ ა რ ს აქვს მოცემული: „ტუბალ-კაინური [ე. ი. მეგრ.-ჭან.—ა. ჩ.] პრეფიქსი **დო-** (←* **ჯო**) ხშირადაა წარმოდგენილი **ო-** (←* **ჯო** || **შო**)-ს სახით და არის ქართული **სა-**ს ეკვივალენტი“ (იხ. История термина „абхаз“. Изв. Ак. Н. 1912, გვ. 700). ლაპარაკია აქ ფ ო ნ ე ტ ი კ ურ ეკვივალენტობაზე; მეგრ.-ჭან. **ო-** მიჩნეულია იმავე **დო-** თავსართის ვარიანტად; თვით ეს **ო-** განმარტებულია ***ჯო-**საგან მიღებულად, ეს უკანასკნელი — ***შო-**საგან, **შო-**კი ქართ. **სა-**საა შეპირისპირებული... **ჯ** და **შ**-ს მონაცვლეობა ნ. მ ა რ ს ხშირად აქვს გამოყენებული და ყველგან ეს არის ვარსკვლავიანი ვარაუდი და არასოდეს ფაქტი. **დო-** და **სა-**ს ფონეტიკურად ერთმანეთისაგან გამოყვანა არც შეიძლება და არც არის საჭირო.

---

[1] მაგალითისათვის მოგვყავს ერთი ბგერის **ჩ-**ს შესახებ თქმული: „ტუბალ-კაინური [ე. ი. მეგრულ-ჭანური] **ჩ** შეესატყვისება ქართ. **ც-**ს: მეგრ. კოჩი—ქართ. კაცი. ასეთივე შესატყვისობაა ხმოვნებში: ქართ. **ა**—ტუბ.-კაინ. **ო**; სვანურში ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო **ე** ან **ა**“... იხ. Тубал-каинский вклад в сванском. Изв. Ак. Н. 1912, გვ. 1049. შდრ. ამავე **ჩ** ბგერის შესახებ ალ. ც ა გ ა რ ლ ი ს მიერ თქმული: მეგრ. **ჩ, ჩქ**=ქართ. **ჩ**; **ჩ**=**ც**; **ჩ**=**ძ** (ჩხუ—ძროხა)! იხ. Мингр. эт. II, § 37, გვ. 63.

ნ. მ ა რ ი ს მიერ მოწოდებული სქემა შესატყვისობათა ასეთია: **ა** || **ო** (→**უ**); **ე** || **ა**; **ხ** || **შ**; **შ** || **სქ**←**სკ**→**ხგ**←**შქ**; **ზ** || **ჟ**; **წ** || **ჭ**; **ჭ** || **ჭკ**; **ძ** || **ჯ**; **ჯ** || **ჯგ**; **ც** || **ჩ**; **ჩ** || **ჩქ**; **ლ** || **რ**; **რ** || $\begin{cases} \text{ლ} \\ [\text{ნ}]\text{ჯ} \end{cases}$ იხ. Яфет. теория, გვ. 70—71. ეს სქემა ემყარება ალ. ც ა გ ა რ ლ ი ს ა ს. ოღონდ აქ გამოყოფილია მხოლოდ დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი მასალის ჩვენებები.

დიდად ზღუდავდა ნ. მ ა რ ი ს შედარებითს კვლევას ქართველური ენების სემიტურთან ნათესაობის თეორიაც, რომლის პოსტულატები ხშირად უცნაურად აწყვეტინებდა ამ თეორიის ავტორს ამა თუ იძ ენობრივი მოვლენის კვალიფიკაციის საკითხს. მაგალითად, ამ გზით იქნა მოპოებული დებულება, რომ **-ალ** სუფიქსი ქართულში მდედრობითის დაბოლოებაა; ამ ვარაუდს უფრო უჯერიდა მკვლევარი, ვინემ იმ ფაქტს, რომ ეს დაბოლოება ქართულში მრავალი უსქესო საგნის სახელსაც გააჩნდა და, რაც მთავარია, მოიპოვებოდა მამ-**ალ**-ში; მდედრობითი სქესისა გამოდიოდა მ ა მ ა ლ ი, ძ მ ა . . .

თუ არ ეს ორი ზემოხსენებული გარემოება, ნ. მ ა რ ი ს შედარებითი ძიება (1915 წლამდის, განსაკუთრებით) ძვირფას მასალად უნდა მიგვეჩნია ქართველური ენების შედარებითი შესწავლისათვის[1].

სახელთა ფუძეების შედარებისას საჭირო აღმოჩნდა ჯეროვანი ანგარიში გაგვეწია იმისათვის, რომ ამ ფუძეებში შემადგენელ ნაწილად შედის ისეთი თავსართები და ბოლოსართები, რომლებიც **მხოლოდ მორფოლოგიურ** შესატყვისობას ამჟღავნებენ (და არა ფონეტიკურს).

ეს თავსართები სპეციალურად იყო განხილული ჩვენს ნარკვევში—„ადამიანისა და ნივთის კატეგორიის გარჩევისათვის სახელთა წარმოებაში“. რაც შეეხება ბოლოსართებს, მათი ანალიზი ნავარაუდევი გვქონდა ამ შესავალში წარმოგვედგინა; მაგრამ საკითხმა ვრცელი განხილვა მოითხოვა და ამიტომ იძულებული გავხდით ბოლოსართების საკითხი ცალკე გამოგვეყო[2]; შედარების პროცესში ეს ბოლოსართები გამოყოფილი გვაქვს და მას „დეტერმინანტ-სუფიქსს“ ვუწოდებთ.

ანალოგიური ბოლოსართების საკითხი ზმნის ფუძეებშიც ისმის. ეს აფიქსებიც სახელთა ბოლოსართებთან ერთად იქნება განხილული.

---

[1] არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შემდეგში და მეტადრე 1925 წლიდან მოყოლებული ნ. მ ა რ მ ა სცადა სხვაგვარად გაეწაწევრებინა სიტყვები, ვინემ ეს მას წინათ ჰქონდა მოცემული. უარყოფილ იქნა არა ერთი წინანდელი ანალიზი, რომლის ადგილი მეტ წილად უფრო საეჭვო ანალიზმა დაიჭირა, და ახალ შედარებითს ანალიზებს საფუძვლად დაედო მექანისტური მოძღვრება ოთხი ლინგვისტიკური ელემენტის შესახებ, რითაც შედარებას გამოეცალა ისტორიული საფუძველი.

[2] ეს მუშაობა შესრულებულია და თავსართებისა საკითხის ანალიზთან ერთად ცალკე ნარკვევად იქნება წარმოდგენილი.

I

ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სახელები

1. **პაპულ-ი, პაპუ**
2. **ბაბა**
3. **ნანა**
   - ნან-დიდ-ი
   - ნანაშანტიშ-ი
   - ოცხე ნანა
   - ოგე ნანა
4. **ბერე**
5. **სჭირ-ი, სკირ-ი**: ოხორასქირ-ი
6. **ბიჭ-ი**
7. **ბოზო**
8. **ჯუმა**: ჯუმალა
   ჯუმად-ი
9. **და**: დად-ი
10. **მოთალ-ი**
11. **ჩილ-ი**: ჩილ-ქომოჯ-ი
12. **ოხორჯა, ოხორძა**
13. **ქომოჯ-ი**, ქომოლ-ი
14. **სიჯა**
15. **მთირ-ი**, დამთირ-ე
16. **ოსურ-ი**: ოხრასურ-ე, ოხრასულ-ე
17. **მზახალ-ი**
18. **ხჩინ-ი, ქჩინ-ი**
19. **ბად-ი**

1. ჰან. **პაპ-ულ**-ი ‖ პაპ-უ—ბაბუა, პაპა (მამის მამა, დედის მამა), дед по отцу или матери

მეგრ. **პაპ-უ**—პაპ-ულ- —ბაბუა, дед— бабушаа мама, прадед

ქართ. **პაპ-ა**—პაპ-ალ- ‖ პაპ-ან-

ბაბაში ბაბას პაპული ჯოხონს, ნანაშის-თი — ეშო ვუწუმელთ I 160_3 მამის მამას პაპა ჰქვია, დედის მამასაც ასე ვეტყვით... ახმედიში პაპული დიბადეეტუ I 86_2 ახმედის პაპა დაბერებულიყო... ბაბაში ბაბას პაპული ბუწუმელთ, ნანაში ბაბა-თი ჰეშო ითქვენ II 1_{19}, 70_{33} მამის მამას პაპას ვეტყვით, დედის მამაც ისე ითქმის... ბერე-თი ცხენი გეხედუ... პაპულიში კილიჭი ჭელიბუ II 122_{10} ვაჟიც ცხენზე შეჯდა... პაპის ხანჯალი ჩამოიკიდა...

ბაბაში ბაბას პაპუ ვუწოლემთ. ნანაში ბაბას-თი—პაპუ ვუწოლემთ II 101_{30} მამის მამას პაპას ვეტყვით, დედის მამასაც პაპას ვეტყვით... ჰია ბოზო პაპუ ქუონუნ II 110_{22} იმ ქალს პაპა ჰყავს...

პაპულეფეს ოხოეფე აქ უღუტეენან I 115_{15} მამა-პაპათ (წინაპრებს) სახლები აქ ჰქონიათ... ჩქიმი ჯვეში პაპულეფე მენგრელი ტეს, ლაზისტანის დოსქიდეს, ლაზი დივეს II 83_{10} ჩემი წინაპრები მეგრელები იყვნენ, ლაზისტანში დარჩნენ, ლაზი გახდნენ... მსქვერიშ პაპული დოპილი II 23_{13} ირმის პაპა მოვკალი... ადა მსქვერიში პაპული ენ-და I 117_{16} ეს ირმების პაპა არისო... ცარ პაპული ქომოხთუ II 135_1 ერთი მოხუცი („პაპაკაცი“) მოვიდა...

ძირი **პაპ**- საერთოა; საწარმოებელი ბოლოსართი **-ა** ქართულისა კანონზომიერად არის წარმოდგენილი მეგრულში: **-უ** მიღებულია **ო**-საგან; სიტყვის ბოლოს, ისიც ბაგისმიერ **პ**-ს მეზობლობაში ეს ბუნებრივია.

ჰანური **-ულ**- მოწმობს, რომ ქართულში ბოლოსართი მიღებულია **-ალ**- ანდა **-ან**-ისაგან (შდრ. ჰან. მამ-**ულ**-ი და ქართ. მამ-**ალ**-). ათინურ კილოკავში დადასტურებულია მეგრულისებური **პაპ-უ** ბოლოკიდური **ლ**-ს დაკარგვით (იხ. II, 101_{30} აქვე, მაგალითებში).

ამ ძირს ჰანურში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულში: „ერთხელ მე და პაპა-ჩემი ერთგანა შევიყარენით“ (ილ. ჭავჭავაძე: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?!“)... „სად მამა-პაპა მეგულვის“... (რ. ერისთავი: „სამშობლო ხევსურისა“).

მეგრულში ამ ძირს მნიშვნელობის გადახრა ახასიათებს: „პაპუ“ ბაბუას მამას აღნიშნავს; „პაპისათვის“ კი გამოყენებულია „ბაბუ“, სიტყვა, რომელიც ქართულშიაც იხმარება და წარმატებით უწევს მეტოქეობას „პაპა“-ს.

ჭანურში „პაპული“ ზოგჯერ „წინაპარსაც“ ნიშნავს: მ ს ქ ვ ე რ ი შ პ ა პ უ ლ ი — ირმის წინაპარი [1].

2. ჭან.	**ბაბა**	მამა	отец,	папа
მეგრ.	**ბაბა**	მამა	„	„
ქართ.	**ბაბეჲ—ბაბაჲ** (დიალექტ).	მამა	„	„

ბ ა ბ ა დომიღუუ I 5_{18} მამა მომიკვდა... ბ ა ბ ა-მუშის არ დიდი ფალთო ქჲუჭოფუ, ბ ა ბ ა-მუშის დოლოქუნუ... ბ ა ბ ა-სქანი ვა ღუელეენ I 5_{23}, $_{25}$ თავის მამას ერთი პალტო უყიდა, თავის მამას ჩააცვა... მამა-შენი არ მომკვდარა... ოკულე ბ ა ბ ა-მუშიშა-თი უნკაპუ: „ბაბა! ბაბა“-ჲა დო დიდო აჯუნდუ ბ ა ბ ა-მუშის-თი I 32_{26} მერე თავის მამისაკენაც გაიქცა: „მამა! მამა‘‘-ო და ბევრი აკოცა თავის მამასაც... ბ ა ბ ა დულურეს... II 30_3 მამა მოუკვდათ... ემ ვახთის ბოზოში ბ ა ბ ა რაზი დივენ II 30_{17} მაშინ („იმ დროს“) ქალის მამა დათანხმდება... ბ ა ბ ა-ჩქიმი ვარ ვიჩინი II 23_7 მამა-ჩემი ვერ ვიცანი... უკულე მუში სიჯას დავეთი იქომან ბოზოში ბ ა ბ ა-ნანაქ II 30_{28} მერე თავის სიძეს დაპატიჟებენ ქალის მამა-დედა... მუში ნანა-ბ ა ბ ა ქ დოქიმოჯას-ნა-ჲა... I 126_{17} მისმა დედ-მამამ თუ გაათხოვოს...

ჲენგი ბ ა ბ ა ბ ა-ო ც ხ ე იენ II 111_6 ახალი მამა მამინაცვალი იქნება... („ბაბალული“—„მამინაცვალი“—II 102_{12})...

ბერეფე ჩქიმი უ ბ ა ბ ე ლ ქუდუტალით II 78_{16} ჩემი ბავშვები უმამოდ დატოვეთ...

წარმოებისას ბოლოკიდური -ა ჭანურში ამ სიტყვას სცილდება (უ-ბაბ-ელ-ი II 78_{16}); ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ -ა ძირეული არ არის.

მეგრულში ბ ა ბ ა-ს ნაცვლად ჩვეულებრივია მ უ მ ა || →მ უ-ა (მუმა ცუნს—მამა ჰყავს... მ უ ა-მუში—მამა-მისი, მ უ ა-სქანი—მამა შენი, მ უ ა-ჩქიმი—მამა ჩემი... მ უ ა-ნთილი—მამამთილი, სიმამრი); ბ ა ბ ა-ს ხმარობს შუილი თ ა ვ ი ს ი მამის მიმართ (ისიც არა ყოველთვის): ბ ა-

[1] აქ არ ვეხებით **პაპ-** ძირის ეტიმოლოგიას, არც პ ა რ (წინა-პ ა რ-ი) ძირთან მის ურთიერთობას.

ბაქ ქომორთუ—მამა მოვიდა; ბაბაქ მიწუ—მამამ (ჩემმა მამამ) მითხრა; უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლებოდა გვეთქვა: მუა-ჩქიმქ მიწუ—მამა ჩემმა მითხრა; მაგრამ სხვა სტილისტიკური ნიუანსი ახლავს—გამოთქმას ოფიციალური იერი უჩნდება. სრულებით შეუძლებელია „მამა“ შეენაცვლოს „ბაბას“, როცა შვილი უძახის მამას: ვო, ბაბა!

„მუმა“-ს და „ბაბას“-ს ეს ცილობა არ იცის ქართულმა: აქ ყველგან „მამა“—ძირი გვაქვს[1]; გურულსა და ქვ.-იმერულში ხმარებული ბაბა || ბაბე ჲ || ბაბე ზანურიდან შეძენილი ჩანს. ქართულში „მამა“ იგივე ძირია, რაც „მამ-ალ“ და სქესის მომენტზე აქცენტით დახასიათდება; აქედან: „მამაკაცი“ — ე. ი. მამრობითი სქესის ადამიანი—„დედაკაცი“-ს საპირისპიროდ. ჰანურში მოცემულია ფუძე მამ-ულ, მაგრამ მხოლოდ „მამლის“ აღსანიშნავად. ამჟამად ძნელია გადაჭრით თქმა: ბაბა იყო თავდაპირველად ჰანურსა და მეგრულში (უკეთ, ზანურში) და შემდეგ შემოიჭრა მეგრულში მუმა || მუა, თუ პირუკუ: ბაბა-მ გამოდევნა თავდაპირველად ჰანურშიც ხმარებული მუმა. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ლაპარაკობს ნაწარმოებ სახელში(—მუანთილი—) მუა-ს ხმარება, აგრეთვე ისიც, რომ სვანურში მუ || მუვ-ძირი გვაქვს მამის აღსანიშნავად.

ბაბა შეიძლება მეორეული მონაცემიც იყოს მუმა-სთან შედარებითო როცა ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ თურქულში ამავე მნიშვნელობით იხმარება ბაბა და სწორედ ჰანებშია გაბატონებული ბაბა; მაგრამ თავისი აგებულებით ეს სიტყვა საბავშვო ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს და სავსებით შესაძლებელია დამოუკიდებელი მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ სხვადასხვა ენაში სესხების გარეშე. თურქულიდან სესხების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ისიც, რომ აფხაზურშიც აა ბ გვაქვს, ძირი ახლოს მდგომი ბაბა-სთან.

ჰან. ბაბა-ს წარსულს უთუოდ ახასიათებს ის, რომ მისგან ნაწარმოები ფუძეები აღარსად ჩანს. შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ:

ჰან. **ბაბა**-ოცხე — მეგრ. მუმა-ცონერი — ქართ. მამინაცვალი („უცხო მამა?“)[2].

---

[1] თუ, რასაკვირველია, ბაბუა სიტყვას არ დავუკავშირებთ ამ ბაბა-ს: ასეთი რამ ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია (შდრ. ბაბუა — ბებია).

[2] შდრ (ჰან.) ბაბაწა? (მეგრ.) ბადიდი?

3. ჰან. **ნან-ა** დედა, мать, мама
მეგრ. **ნან-ა** „ „ „
ქართ. **ნენ-ა** ‖ **ნენ-ე** (დიალ.), **ნან-ა**—დედა, აკვნის სიმღერა დედისა, мать, колыбельная песня

ნანაქ მიწუ I 114_9 დედამ მითხრა... ბეეშ ნანას უწვეენან... I 116_{21} ბავშვის დედისთვის უთქვამთ... ნანა მუშის უწუ-ქი, „ნანა, მა გუი მიტკაცუ"-ჲა! I 116_{31} თავის დედას უთხრა, რომ „დედა, მე გული გამისკდაო!"... ვიწეს ნანა მიჲონუნ II 4_{19} ვიწეში დედა მყავს... ნანა დუღურეს, დოსქიდეს ჲეთიმი II 30_3 დედა მოუკვდათ, დარჩნენ ობლად... ნანა-მუშიქ ობეჯღინუს ქოგჲოჭკუ II 16_9 დედა მისმა ყვირილი იწყო... ქომოლიქ ძირუ-შ-კულე — „ნანაა! ხოლო დელი დობივი-ი?" II 42_7 ქმარმა რომ ნახა — „დედაა! კიდევ გავგიჟდი?"... ჰა, ნანი, ნანი, ნანი, სო იდუ ნანა-სქანი? II 142_{26} ა, ნანა, ნანა, ნანა, სად წავიდა დედა-შენი?... ბუტკუჯიშ ნანა-თი... ჰეგ რენ-ი? II 82_{28} დედა-ფუტკარიც („ფუტკრის დედა")... იქ არის... ნანა-ბაბა მიცონუტუკო II 25_3 დედ-მამა რომ მყოლოდა... ნანა-ბაბაშენ ჲეთიმი ბორტი II 25_2 დედ-მამისაგან ობოლი ვიყავ... ბაბაში ნანას ნან-დიდი ბუწუმელთ, ნანაში ნანა—ჰე-თი ნან-დიდი II 1_{20} მამის დედას ბებიას („დიდ-დედა") ვეტყვით, დედის დედა – ესეც ბებია (იხ. აგრ. II 70_{33})... ბაბაში ნანა ნან-დიდი იყვენ I 160_3 მამის დედა ბებია იქნება... „ნან-დიდი სქანის უჯოხი!" „ნან-დიდი, ნანჲა! ნანაქ გიჯოხოფს!" ნან-დიდი ქომოხთუ ოხორიშა I 121_{16} „ბებია-შენს დაუძახე!" „ბებია! დედა გიძახის!" ბებია მოვიდა... ნან-დიდი მუშიქ ქოგჲონჯირუ ონწელის II 57_{33} ბებია-მისმა ჩაწვინა აკვანში...

ჲენგი ნანა ბერეში—ნანა-ოცხე იენ II 111_5 ბავშვის ახალი დედა დედინაცვალი იქნება... ნანა შანტეში-კალა მან მუჭო პამინონ, ნანა ჩქიმი-ა? II 141_{18} დედინაცვალთან მე რა უნდა ვქნა, დედაჩემოო! (მოთქმაა!)... მა ნანა შანტეშის „ნანა" ვარ მათქვენ, ნანა ჩქიმი-ა! I 141_{26} მე დედინაცვალს „დედას" ვერ დავუძახებ, დედა ჩემოო!... ოგე-ნანა II 102_{13} დედინაცვალი...

ბოლოკიდური **-ა** ძირეული არ არის: **ნან**-დიდი—„ბებია", აქ კომპოზიტის პირველი წევრი **ა**-ს მოკვეცით არის წარმოდგენილი; მერე: ჰანურ ნანა-ში ამღერებენ ხოლმე: ჰა, ნანი, ნანი, ნანი... აქაც **ნ**-თი ბოლოვდება ფუძე.

მეგრულში დ ე დ ა-სთვის ჩვეულებრივია დ ი დ ა ‖ დ ი ა (← დეა); დ ი დ ა ც უ ნ ს–დედა ჰყავს... დ ი ა-მ უ შ ი–დედა-მისი, დ ი ა-ს ქ ა ნ ი–დედა-შენი, დ ი ა-ჩ ქ ი მ ი — დედა-ჩემი... დ ი ა შეიძლება იხმაროს შვილმა, დედას თუ უძახის (ვო, დ ი ა!), მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივია ნ ა ნ ა: ვო, ნ ა ნ ა! აღსანიშნავია აგრეთვე გამოთქმა: ნ ა ნ ა-ს ქ უ ა! — დედა-შვილო!

ქართული ნ ა ნ ა იხმარება გურულში ნ ე ნ ა ‖ ნ ე ნ ე-ს სახით და ზანურიდან შეთვისებული უნდა იყოს. მაგრამ ამის გარეშეც ქართულში უნდა ყოფილიყო ნახმარი ნ ა ნ ა „დედა“-ს მნიშვნელობით; ამაში გვარწმუნებს ნ ა ნ ა, სახელი სიმღერისა, რომელსაც აკვანში მწოლარე ბავშვს უმღერის დედა: ქართველი დედა ისევე დამღერის: „ნ ა ნ ა, შვილო, ნანინა“-ო, როგორც ჭანი: ჰა, ნ ა ნ ი, ნ ა ნ ი, ნ ა ნ ი... აქ დედა შვილს მიმართავს „ნ ა ნ ა“-თი ისევე, როგორც ბავშვის მიმართ უფროსი ხმარობს „ბიძია“-ო!

მეგრულში ნ ა ნ ა ისევე უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ჭანურში: დ ი დ ა მეორეული მოვლენა ჩანს; დ ე დ - ა ძირი ქართულში სქესობრივ მომენტს გულისხმობდა (შდრ. დედა-კაცი, დიაცი, დედალი...); დ ე დ ა ჯ ‖ძვ. ქართულში იხმარება დედა-კაცი-ს მნიშვნელობითაც.

ყურადღებას იქცევს მეგრულში შემდეგი გარემოებაც: „დედა“ წარმოდგენილია ოდნავი სახეცვლილით: დ ი დ ა; იგივე ძირი სხვა ფუძეში— დ ე დ -ალ- — კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობით: დ ა დ ულ-... ცხადია, ეს უკანასკნელი ადრევე ჰქონდა მეგრულს, დ ი დ ა შემდეგ შეითვისა. სვანურში დ ი ე ‖ დ ი ა-ს გვერდით დ ე დ ე-ც შეგვრჩა; ასე, მაგალ., ლექსებში, რომელთაც ჭარბად ახასიათებს არქაიზმი: დ ე დ ე, ხიად, ლეზიზ ამნაყ — დედა, გენაცვალე, საგზალი მომიმზადე... სვანური აქაც ისევე, როგორც სხვა ხშირ შემთხვევაში, ქართულს უჭერს მხარს.

კავკასიურ ენათა ურთიერთობის სირთულის საილუსტრაციოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კიურული ენა (დაღისტანში, სამურის აუზში) დ ე დ ე-ს ხმარობს, ხოლო ჩაჩნურში ნ ა ნ ა გვაქვს.

პირველი რომ ქართულიდან მომდინარეობს, უეჭველია: ნაწარმოები სიტყვები და ძირითადი მნიშვნელობა ამას ცხადყოფს.

ნ ა ნ ა-ს საკითხი უფრო რთულია: ჭანურში სხვა სახელიც გვაქვს, რომელიც ნათესაურ ურთიერთობას გამოხატავს, ჭანურ ნიადაგზე უცხოდ გამოიყურება და რომელსაც ჩაჩნურისაკენ მივყავართ (იხ. **ბერე**).

ნ ა ნ ა-საგან ნაწარმოებია:

ჭან. ნ ა ნ-დიდი ბებია, დიდ-დედა, бабушка (მგრ. ბებია)

ნ ა ნ ა შანტიში
ოცხე ნ ა ნ ა
ოგე ნ ა ნ ა } დედინაცვალი, мачеха (მეგრ. დიდა-ცონერი)

„ნან-დიდი“ „ნანა“ და „დიდი“-საგან შედგება და სავსებით ისევეა აგებული, როგორც ქართული დ ი დ-დ ე დ ა.

„ნანაშანტიში“, „ოცხე-ნანა“, „ოგე-ნანა“ დაირთავენ საგანგებო ფუძეებს.

მეგრ. ბ ე ბ ი ა განმარტებას არ საჭიროებს; დ ი დ ა-ც ო ნ ე რ ი— „დედად-მყოლ-ით“ შეიძლება გადაითარგმნოს: ც ო ნ ე რ ი მიმღეობაა ზმნისა ც უ ნ ს — ჰყავს.

4. ჭან. **ბერე** ბავშვი, შვილი, ძე (ბიჭი), дитя, сын
მეგრ. **ბერ-** (გვარებში!)
ქართ. **ბერ-** („ და სახელებში)

სთეამელი-ნა ნიტეს, ბ ე რ ე ფ ე ს არ ბადი კოჩიქ უწუ I 61_{22} თა-მაშით რომ მიდიოდენ ბავშვები, ერთმა მოხუცმა უთხრა... ბ ე რ ე-ფ ე, არ მუთხანი გიწვამინონ I 61_{35} ბავშვებო, ერთი რაღაც უნდა გითხრათ... სუმ ბ ე ე არქადაში დიყვეს I 67_{13} სამი ბავშვი შეამხა-ნაგდა... ბ ე ე ფ ე ქომეხთეს უშქიიშ ქჲოქიშა I 67_{15} ბავშვები მივი-დენ ვაშლის ძირთან... ა მციქა ბუძი ქოჩი ე ჩიჩქუ ბ ე რ ე-სქანის II 142_{25} (ხოფ.) ცოტა ძუძუ აწოვე შენს ჩვილ ბავშვს... ბუძი ქოფჩი ბ ე ე ს I 122_4 ძუძუ ვაწოვე ბავშვს... ჭიტა ბ ე ე ქ ნანა-მუშის ნამგაუ. ნამგაუ-ში, ნანა-მუშიქ უწუ-ქი, „შუი მშინე, ბ ე ე ჩქიმი!“ I 122_7 პატა-რა ბავშვმა თავის დედას მიატირა. რომ მიატირა, დედა-მისმა უთხრა „ძვირფასო ჩემო შვილო“... ხოჯა არ დღას ჰამამიშა იდუ ბ ე რ ე ფ ე-კ ა ლ ა, ბ ე რ ე ფ ე ელიკათუ დო იგზალუ II 14_{23} ხოჯა ერთხელ აბანოში წავიდა ბავშვებთან ერთად,—ბავშვები გაიყოლია და წავი-და... ბ ე რ ე ფ ე ქ თქვეს-ქი I 14_{30} ბავშვებმა თქვეს რომ... ჯუმაში დაში ბ ე რ ე—ანიმსე რენ... ჟურ ჯუმაში ბ ე რ ე ართიკათიში ჯუმაში ბ ე რ ე იყვენ I 160_7 ძმის, დის შვილი—„ანიმსე“ არის... ორი ძმის შვილი ერთი მეორისთვის „ძმის შვილი“ იქნება... მჭიფე ბ ე რ ე ფ ე სქანი სო იდან II 141_{33} (ხოფ.) შენი წვრილი შვილები სად წავიდენ?... ოთხო ბიჭი-ბ ე რ ე დო არ ბოზოთე ბიდი II 24_{11} ოთხი ვაჟიშვილითა და ერთი ქალით წავედი... ჰემ კოჩის არ ჩილი დო არ ბ ე რ ე უონუტ უ,

ბიჭი ბერე II 15_{33} იმ კაცს ჰყავდა ერთი ცოლი და ერთი შვილი' ვაჟიშვილი...

ხასანი ჩქინი ოჩილუში დაყვეენ! ბეექ აწიშა დულდა კაი იქიფტუ, აწი ვა იქიფს I 132_{8} ჩვენს ხასანს ცოლი უნდა შევრთოთ („საცოლო გახდა"), ბიჭი აქამდის საქმეს კარგად აკეთებდა, ახლა არ აკეთებს... ჰამ ბერე ონ, ჰიმ ბოზო ონ II 110_{21} ეს ვაჟია, ის ქალია... ა ბერექ აშოთენ დიდო ფარა მოგუ I 66_{33} ამ ბიჭმა ამგვარად ბევრი ფული მოიგო... ადა ჩობანი ბერეს... ზანაათი მუში ქუჩქინ I 66_{14} ამ მწყემსმა ბიჭმა... თავისი საქმე იცის...

ბერე ზოგადი სახელია ვაჟისა და ქალისათვის, თუმცა ზოგჯერ ვაჟის მნიშვნელობითაც გვაქვს (იხ. მაგალ.) ისევე, როგორც ქართულში შვილი „ვაჟიშვილად" გაიგება ზოგჯერ.

მეგრულში **ბერ** მხოლოდ გვარებში გვაქვს:—ბერია, ბერაია, გიგიბერია... ქართულში: ბერიძე, ბეროძე, გოგიბერიძე, მაცაბერიძე, ბერიშვილი... აღსანიშნავია აგრეთვე ისტორიული სახელები: ჭიაბერი, კახაბერი... (**ძე**-თი წარმოებული გვარები დასავლური წარმოშობისად ითვლება, **შვილ**-ით დაბოლოებულები—აღმოსავლეთ საქართველოს ბარს ახასიათებს—ნ. ბერძენიშვილი).

ბერ ჩაჩნურში ბავშვს ნიშნავს (дитя). ჰანური შესაბამი ძირი **სჭირ**-უნდა ყოფილიყო; ამას ამტკიცებს ქართული და მეგრული. ჰანურში ამგვარი ძირი მართლაც არის შემონახული თითო-ოროლა შემთხვევაში (იხ. ქვ. **სჭ-ირ**-). ეს გვაფიქრებინებს, რომ უცხო წარმოშობის სიტყვამ ბერ გამოდევნა ჰანურისთვის ნიშანდობლივი ძირი (თქმა არ უნდა, ეს შორეული წარსულის საქმეა, და მაშინ ჰანები აწინდელ მიწა-წყალზე, ალბათ, არ მკვიდრობდენ, — გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდენ). დამახასიათებელია, რომ ეს ცვლილება — **ბერე**-ს მიერ **სჭირ**-ის გამოდევნა — მეგრულს არ შეეხო: ცვლილება სამხრეთის ფრთამ განიცადა, ჩრდილო ზანურმა (მეგრულმა) კი—არა.

5. ჰან. **სჭ-ირ-**ი ‖ სკ-ირ-ი შვილი, ვაჟიშვილი, сын, дитя
მეგრ. **სჭ-**ი ← სჭ-ირ-ი ვაჟიშვილი (საქებური)
ქართ. **შვ-ილ-**ი ,,

სკირი—ბიჭი ბერე... ,,სკირეფე ჩქიმი'' ნანას დო ბაბას ათქვენ II 70_{34} სკირი—ვაჟიშვილი... ,,ჩემო შვილებო'' (,,სკირებო'') შეუძლია თქვას დედამ და მამამ... ნანა-მუში დიზაბუნუ. ,,სქირი, ბღურურ!'' II 122_{6} დედა-მისი ავად გახდა. ,,შვილო, ვკვდები!''... ,,სკირი ჩქიმი!'' I 163_{10} შვილო ჩემო!...

ოხორჯაში ჯუმა — ოხრასკირი I 160_{6} ცოლის ძმა—,,ოხრასკირი'' (,,სახლის შვილი'')... ოხორჯაში ჯუმა—ოხრასკირი II 71_{10} (არქაბ.) ქომოლიში ჯუმა ოხრასკირი ავენ I 71_{14} ცოლის ძმა—,,ოხრასკირი''... ქმრის ძმა—,,ოხრასკირი'' ეჭნება... ჩილიში ჯუმა კაინი... ოხრასქირი იყენ II 1_{25} (ვიწ.) ცოლის ძმა ,,კაინი''... ,,ოხრასქირი'' იქნება... ოხორძაში ჯუმა—ოხრასკირი II 102_{1} (ათინ.) ოხორჯაში ჯუმა—ოხრასკირი II 111_{1} ცოლის ძმა—,,ოხრასკირი''... ქომოჯიში ჯუმა—ოხრასკირი II 110_{33} (ართაშ.) ქმრის ძმა—,,ოხრასკირი''...

ჰანური სქ-ირ- ‖ სკ-ირ- კანონზომიერი შესატყვისია ქართული შვ-ილ-ისა,—ოღონდ დაკარგულია **ვ**: უნდა ყოფილიყო სქვირ- ‖ სკვ-ირ- (შდრ. შქით ← შქვით—შვიდი); ჰანურში ეს სიტყვა საკმაოდ იშვიათია; მის ნაცვლად გამოყენებულია ბერე (იხ.); მაგრამ იშვიათი ხმარებისდა მიუხედავად ცხადია, რომ ეს ძირი ჰანური ლექსიკის ძირითად კუთვნილებას წარმოადგენს (მაგალ. იხ. აქვე).

მეგრულშიც ეს ძირი ამ სახით (სქ-) არ არის ხშირი: სასახელო სქ—სასახელო შვილი (იგუებს მოწონების გამომხატველ ატრიბუტებს!); რომ ეს სიტყვა სქირი ‖ სკირი-ს სახისა იყო, მტკიცდება გვარებით: წულეჯ-სკირ-ი, პაპა-სკირ-ი, გაბე-სკირ-ია, აგრეთვე ნაწარმოები სახელით ოხორა-სკილ-ი (← ოხორა-სკირ-ი—იხ.).

ეგევე ძირი სხვა საწარმოებელი აფიქსით ერთად-ერთი სიტყვაა შვილისათვის მეგრულში: სქუ-ა ← სქუ-ალ (იხ. მრავლ.: სქუ-ალ-ეფ-ი; აგრეთვე ნაწარმოები სახელი: დიდა-სქუ-ალ-ობა—დედა-შვილობა; ნასახელარი ზმნა: ქე-სქუალ-უ—იშვილა...). ეს მეგრული ვარიანტი—სქუ-ა—საინტერესოა იმით, რომ მასში დაცულია **უ** ← **ვ**, რომელიც სქ-ირ-ში დაკარგულია: **ვ**- დაიკარგა ი-ს წინ, -ა-ს წინ დარჩა და მახვილის ქვეშ **უ**-ს სახე მიიღო (შდრ. რ**ვ**ა და მეგრ. რ**უ**ო).

სჭირ-ისაგან ნაწარმოებია:

ჰან. ოხორ-ა-**სჭირ**-ი — ცოლის ძმა, მაზლი (სიტყვა სიტყვით: „სახლის შვილი"), деверь, шурин: брат жены

მეგრ. ოხორ-ა-**სჭილ**-ი—ცოლის ძმა, ცოლის და, მაზლი, მული, шурин, деверь, золовка, свояченица...

ქართ. —

მეგრული ოხორ-ა-სჭილ-ი მიღებულია ოხორ-ა-სჭირი-საგან დისიმილაციის გზით; ჰანურში ეს დისიმილაცია ჩვეულებრივ არ ხდება; ორი **რ**- ერთ სიტყვაში ჰანურში ასატანია, მეგრულსა და ქართულში კი—არა.

ქართულში ცალ-ცალკე ორივე ძირი გვაქვს: ოხორ- (იხ.)—სახლ- და სქირ- —შვილ-ი, მაგრამ ამ ცნების გამოსახატავად ქართული სულ სხვა სიტყვებს იყენებს: ცოლის ძმა („სახლის შვილი" სხვა მნიშვნელობით კილოებში უნდა იხმარებოდეს).

ქართული ახასიათებს სათანადო პირს იმის მიხედვით, თუ რა ნათესაურ ურთიერთობაშია ის ცოლთან, ჰანურსა და მეგრულში კი ნაჩვენებია ამ პირის კავშირი სახლთან: ცოლის-ძმა წარმოდგენილია სახლის შვილად (ეგევე ითქმის ცოლის-დის აღმნიშვნელი სიტყვის შესახებაც—იხ. ოხრასულე); ვისი სახლის შვილია ცოლის ძმა? თუ—ქმრისა, გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა ამ სახლის შვილად ცოლის ძმაც, ცოლის დაც: წარმოუდგენელია, რომ ცოლს მისი დაძმებიც თან გამოჰყოლოდა. მაგრამ თუ ცოლის სახლს ვიგულისხმებთ, მაშინ სავსებით გასაგები იქნება, რომ ქმარმა—სიძემ „სახლის შვილი" უწოდოს ცოლის სახლში დახვედრილ ვაჟებსა და ქალებს, ცოლის-ძმებსა და ცოლის-დებს (პირველნი უცოლონი უნდა იყვნენ, მეორენი—უქმროცა და ქმრებიანიც). თუ ეს ასეა, მაშინ საქმე გვაქვს მატრიარქატთან: ქალი ირთავს ვაჟს; ეს უკანასკნელი მიდის ქალის სახლში და იქ მას უხვდება „სახლის შვილი" (ე. ი. „ცოლის სახლის შვილი"): ცოლისძმა, ცოლისდა („სახლის ასული").

ოხორასქირი — ოხრასულე ტერმინებში კულტურის ისტორიის ძველის-ძველი მოვლენებია ჩამარხული.

შეიძლებოდა გვეთქვა: რატომ ცოლის-ძმა-ა (ცოლის-და) ამოსავალი ამ ანალიზისას? აკი ოხრასკირი „მაზლსაც", ე. ი. „ქმრის ძმასაც" ნიშნავს! თუ აქედან ამოვალთ, საქმის ვითარება სხვაგვარი იქნებოდა. მაზლის აღნიშვნა მეორეული მოვლენა უნდა იყოს. ამოსავალი ვაჟი, სიძე კი არაა, არამედ ქალი, რძალი:

ეს ჩანს ტერმინიდან ოხორჯა(ლ) - ‖ ოხორძა(ლ) - — სახლის „რძალი", სახლის ქალი... ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ სვან. უ-დ-ილ—„და დისთვის", ჯიმილ—„ძმა დისთვის", ქართულში და ზანურში ხმარებული ფუძეები, ქალის თვალსაზრისს გამოხატავენ.

6. ჭან. **ბიჭ-ი** ბიჭი, ვაჟი, мальчик, сын, парень
მეგრ. —
ქართ. **ბიჭ-ი** „

ბერე დიბადიტა-ში, ...თელი მანძაგერეფე „ბიჭი დიბადენ-ი ვანა კულანი"-ა, ჩუმელან I 162_5 ბავშვი რომ იბადებოდეს, მთელი მეზობლობა უცდის „ბიჭი დაიბადება თუ ქალი"-ო... ეფჩ-ი-ა, ბიჭეფე-ჲა, აჲა აჲლ-აღაში... გიინი ვა რტუკონ-ჲა!? I 117_{20} ბიჭოს, ბიჭებოო, ეს ალი-აღას ვირი არ ყოფილიყოსო!... ბიჭიშ ბაბაულუნ ბოზოში ბაბაშა II 62_{17} ვაჟის მამა წავა ქალის მამასთან... ბიჭიშ ბაბაქ მენდიმესს II 63_{13} ვაჟის მამა წაიღებს... მოთ დუბღამ, ჭე ბერე, ლაზუტი? II 72_1 რად უყრი, ბიჭო (ჭო-ბავშვო), სიმინდს?... ჭე—ბერეფე, ქომოხთით, გჲარი პჭკომათენ II 31_{25} „ჭო-ბავშვებო", მოდით, საჭმელი ვჭამოთ...

ეს სიტყვა სპარსულიდან ნასესხებად ითვლება; გამოყენებულია ქართულსა და ჭანურში, უცხოა მეგრულისა და სვანურისათვის.

ჭანურში მისი საპირისპიროა კულან-ი ‖ ბოზო — გოგო: ბერე : ბიჭი, კულანი ‖ ბოზო (იხ. მაგალითები). ყურადღებას იქცევს **ჭე**-, რომელიც კახურის **ჭო**-ს და მეგრ. **წიე** ‖ **წე**-ს მოგვაგონებს; თუ ამათთან კავშირში **ბიჭ**-ი აღმოჩნდებოდა, მაშინ ამ უკანასკნელის სადაურობის საკითხიც შეიძლებოდა გადასინჯულიყო (საინტერესოა, რომ ნ. მარი ჭანურის ლექსიკონში არაფერს ამბობს ბიჭი-ს უცხოურობის შესახებ; თურქ., არაბ., სპარსული ჩამომავლობის სიტყვები მას ყველგან ნაჩვენები აქვს).

7. ჰან. **ბო-ზო** || **ბო-ზო**-მოთა—გოგო, ქალიშვილი, ქალი, девочка, девушка, дочь

მეგრ. **ნე-ზვ**-ი დედალი პირუტყვი, самка (животн.)

ქართ. **ნე-ზვ**-ი „ „

სვან. **ზუ**-რ-ალ ქალი, женщина

ვიწ. და არქ.: ბერე ბიჭი-თი ივენ, ბოზო-თი ივენ... II 70_{34} ბავშვი ბიჭიც (ვაჟიც) იქნება, ქალიც (გოგოც) იქნება... ა მსქვა ბოზო ქოჯანს, დანჯიუდორენ. ბოზო ვა გოკუნცხინუ... ბოზოს არ მაწკინდი ქომოძინ ხეს II 35_{30} ერთი ლამაზი ქალი („ქალიშვილი") წევს, დასძინებია... ქალი არ გააღვიძა... ქალს ხელზე ბეჭედი აქვს... ჰუტა ბოზო შუში-თი ალთუნ დივუ II 47_{24} მისი პატარა გოგონაც ოქროდ იქცა... არ ფერი ბოზო ქომოხთუ II $47_{11,27}$ ერთი ფერია ქალი მოვიდა... სუმ ბიჭი დო არ ბოზო დომილურუ II 24_{13} სამი ვაჟი და ერთი ქალი მომიკვდა... ჰექონი ბოზო ქეჭოფუ II 39_{17} იქაური ქალი შეირთო...

ათინ.: ...ბოზომოთა ვიტუთ II 102_{8} „ბოზომოთა"-ს („ქალიშვილს") ვიტყვით... ქომოლი, ხორძა, ბოზომოთა... მენდახთეს ორუბა ჩინარიშე II 89_{34} კაცი, ქალი, ქალიშვილი... წავიდენ ხრამის ნაპირას... არ ოხოის ჟურ ბოზომოთა ქორტუ... მორდერი ბოზომოთაქ იბგარას-ის, თოლეფეშე ჯევაილი დიბღენ... II 90_{15}... ერთ სახლში ორი ქალიშვილი იყო... უფროსი ქალის თვალებიდან, როცა ის იტირებდა, ძვირფასი ქვები ცვიოდა... ა ფათიშაიში ბერეს ჰიმ ბოზომოთა ალიმბუ... წულუ ბოზომოთაში ნანას ხავი ადუ — „შქიმი ბოზომოთა მუჯაშენი ვარ ალიმბუ-დეი?! მორდერი ბოზომოთა, ოგე ბოზომოთა ალიმბუ-დეი"... II 90_{17-20} ერთი ხელმწიფის შვილს ის ქალიშვილი შეუყვარდა... უმცროსი ქალიშვილის დედას ეწყინა — „ჩემი ქალიშვილი რატომ არ შეუყვარდაო!? უფროსი ქალიშვილი, გერი (ქალიშვილი) შეუყვარდაო"...

ძირეული აქ უნდა იყოს -**ზო**-; იგი მოცემულია -**ზვ**-ის სახით ნე-**ზვ**-ში; ეს უკანასკნელი საბას განმარტებით „დედალ თხას" ნიშნავს, მაგრამ უფრო სწორი უნდა იყოს, რომ ეს სიტყვა „ძველად საერთოდ ნიშნავდა დედალ საქონელს"; ეს სქესობრივი თვალსაზრისი ჩანს ჰანურ **ბო-ზო**-შიც; **ბო-** კლას-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს, როგორც ამას პროფ. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს;

ჩვენი გაგებით ეს ნიშანი ქართველურ ენებში სხვა კავკასიური ენებიდან უნდა გვქონდეს შეთვისებული სახელთა გარკვეულ წყებაში: ქართველურ ენებს სახელთა საკუთარი, განსხვავებული კლასიფიკაცია გააჩნდა [1].

ნე-ზვ-ში **ნე**- ქართველური ენებისათვის ნიშანდობლივი ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი **ნე**-‖**დე**-‖**სე**- თავსართია. **ნე-ზვ**-ი რომ ნივთის კატეგორიას განეკუთვნოს, ბუნებრივია: ქართველურ ენებში ცხოველები ნივთის კატეგორიას განეკუთვნებიან (რა? ცხენი, ძროხა, ირემი...); მაგრამ ჭან. ბ ო - ზ ო - ს რად უნდა ჰქონოდა ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი **ბო**-? ამაზე პასუხს კავკასიურ ენებში ვიპოვით: ჩაჩნურსა და დაღისტნის ენათა წყებაში „ქალი" მეორე კლასს ეკუთვნის (პირველში „მამაკაცები" ივარაუდება), ხოლო ლაკურში „გოგო" (საერთოდ, ქალი გათხოვებამდის) მესამე კლას-კატეგორიაში შედის, ე. ი. ნივთის კატეგორიაში ივარაუდება და მხოლოდ გათხოვების შემდეგ გადაირიცხება მეორე კლასში: გათხოვილი ქალის სოციალური კვალიფიკაცია აისახება ამ გრამატიკულ ფაქტში.

ზო-‖**ზუ**-‖**ზვ**- ძირი სვანურშიც მოიპოვება: ზ უ - რ - ა ლ — ქალი; დამახასიათებელია, რომ ამ სიტყვას კლას-კატეგორიის ნიშანი არ ახლავს.

ნ. მ ა რ ი შენიშნავს, რომ ბ ო ზ ო მ ო თ ა კნინობით-მოფერებითი სახელიაო (ჭან. გრამ., გვ. 131). ტექსტები ამას არ ადასტურებს.

8. ჭან.	**ჯუმ**-ა	←ჯუმ-ალ-	←*ჯომ-ალ-	ძმა, брат
მეგრ.	**ჯიმ**-ა	←ჯიმ-ალ-	←ჯუმ-ალ-	←*ჯომ-ალ ,, ,,
ქართ.	**ძმ**-ა	←ძამ-ა	←*ძამ-ან-	,, ,,
სვან.	**ჯიმ**-ილ	←ჯუმ-ილ	←*ჯომ-ილ-	ძმა დისათვის, брат (для сестры)

...ჯ უ მ ა ჩქიმის სელამი ოღოდი!... ღომან ჯ უ მ ა ჩქიმი მოხთეეტუ I $121_{10,12}$ ჩემი ძმა მოიკითხე („სალამი გადაეცი")... გუშინ ჩემი ძმა მოსულიყო... ჯ უ მ ა მუშის უწვერენ-ქი I 118_{4} თავის ძმისთვის უთქვამს... ე ჯ უ მ ა ქ მაჟუანის კითითე იშაცეთი ოღოდეენ I 118_{11} ამ ძმას მეორისათვის თითით უნიშნებია... არ ზამანის ჟურ ჯ უ მ ა ქორტეს I 15_{6} ძველად („ერთ დროს") ორი ძმა იყო... სუმ ჯ უ მ ა ქორტესუ II 120_{13} სამი ძმა იყო... „მა ჯ უ მ ა სქანი ბორე" II 118_{23} მე შენი ძმა ვარ...

[1] ვგულისხმობ ადამიანისა და ნივთის კატეგორიების გარჩევას, რაიც დასტურდება ყველა ქართველურ ენაში.

„ჯუმალა! სი ვა დოგარინუ-ი?“—„ვარ, ჯუმალა, მა ვა დომაინუ“... I 117_{25} „ძამია! შენ ვერ დაბადე?“—„არა, ძამია, მე ვერ დავბადე“... „ჯუმალა-და, ჩქიმი ჯუმუ-ნა იმხოს, ადა რენ-და!“ I 118_{17} „ძამიაო, ჩემს მარილს რომ ჭამს, ეს არისო!“...

ემუში ჯუმალეფე-თი მოხთერენან—აღა ქანოჭკირელერენან, ჯუმალეფექ I 15_{30} იმისი ძმებიც მოსულან—„აღა“ მოუკლავთ, ძმებს... ჯუმალეფე ქომოხთეს II 10_{23} ძმები მოვიდენ... ჯუმალეფე... II $10_{24,25}$... საბახთან ბიჭიშ ჯუმალეფე, დალეფე, ექსალეფე, მალთეფე მედახთეს ბოზოშა ოხოიშა II 64_{14} დილით ვაჟის ძმები, დები, ძმისშვილებ-დისშვილები, მეზობლები წავიდენ ქალის სახლში...

ნანაში დო ბაბაში ჯუმა—ჯუმადი I 160_4 დედისა და მამის ძმა—ბიძა... ბაბაში დო ნანაში ჯუმა ჯუმადი ივენ II 71_1 მამისა და დედის ძმა ბიძა იქნება... ბაბაში დო ნანაში ჯუმას... ჯუმადი ვუწოლემთ II 101_{32} მამისა და დედის ძმას ბიძას ვეტყვით... მა ვიწეს ჯუმადი ჩქიმიკალა ბორტი ჯეთიმი II 23_{13}მე ვიწეში ბიძა-ჩემთან ვიყავი ობოლი... „ჯუმადი! არ ქიფიტი ქომომჩი!“ II 22_{21} „ბიძავ! ერთი ასანთი მომე!“...

ძირეული მასალა ჭანურსა და მეგრულში განსხვავებულია ხმოვნით: მეგრული **-ი** (ჯიმ-) მეორეულია, მიღებულია **უ**-საგან; შდრ. ჭან. ტუბ-უ და მეგრ. ტიბ-უ—თბილი (ძვ. ქართ. ტფილი); აქედან: წყალ-ტუბ-ო—„წყალთბილი“; აგრეთვე: ჭან. გურუნი და მეგრ. გირინი—ვირი; ჩქუნი და ჩქინი—ჩვენი[1].

მეგრული ვარიანტი **ჯიმ-** გამოყენებულია სვანურში: ეს ზანური ფენის კუთვნილებაა სვანურში. რაც შეეხება საწარმოებელ სუფიქსს, **-ილ** სვანურში ფუნქციონალურად შეესატყვისება ჭანურისა და მეგრულის სათანადო ბოლოსართს.

-ა- ბოლოსართი ჭანურსა და მეგრულში **-ალ-** ბოლოსართის თანხმოვან-მოკვეცილი სახეა; ბოლოკიდური **-ლ-** აღდგება მრავლობითში (ჭან. ჯუმ-**ალ**-ეფ-ე, მეგრ. ჯიმ-**ალ**-ეფ-ი), აგრეთვე ნაწარმოებს ფუძეებში: ჭან. ჯუმ-**ალ**-ა—ძამია, მეგრ. ჯიმ-**ალ**-ობა—ძმობა. ამგვარად, ჭანურსა და მეგრულში „ძმის“ აღმნიშვნელი სიტყვის ფუძე არის **ჯუმ-ალ-** (მიღებულია ჯომ-ალ-ისგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ).

ქართულში ამის შესაბამისად უნდა გვქონოდა ძირეულ თანხმოვნებს შორის ხმოვანი და ბოლოკიდურ **ა**-ს შეჰდეგ თანხმოვანი; ერ-

[1] სხვა მაგალითები იხ. „ჭანურის გრამატ. ანალიზ“-ში, § 8გ, გვ. 24.

თიცა და მეორეც დასტურდება ქართულში: **ძამ**-ია, **ძამ**-იკო, **ძამ**-ო. ქართულ **ა**-ს შეესაბამება ზანურში **ო**; ეს უკანასკნელი წყვილბაგისმიერ **მ**-ს მეზობლობაში იქცა **უ**-დ: ჯო**მ**- → ჯო**უ**მ-.

ქართულში ეს ძირეული **ა** (ძამ-) ამოღებულია ხმოვნით დაწყებული **ა**- ბოლოსართის დართვისას; **ა**- ბოლოსართი მიღებულია **-ან**- ისგან: იმერული და გურული ძმ-**ან**-ები, დ-**ან**-ები აღადგენენ ამ **-ნ**-ს ისევე, როგორც მეგრული და ჭანური -**ლ**-ს; შდრ. ძმ-**ან**-ებ-ი—ჯუმ-**ალ**-ეფ-ე‖ჯიმ-**ალ**-ეფ-ი... დ-**ან**-ები—დ-**ალ**-ეფ-ე‖დ-**ალ**-ეფ-ი...

ასე რომ ქართ. **ძმა** მიღებულია **ძამ**-**ან**-ისგან, მისი შესატყვისი იყო **ჯომ**-**ალ**- შენახული დღემდის **ჯუმ**-**ალ**-ის სახით (ჭანურში).

მნიშვნელობა ამ სიტყვას ჭანურშიც, მეგრულშიც და ქართულშიც ერთი და იგივე აქვს, სვანურში კი ამ მხრივ ცვლილებაა: **ჯიმილ** აღნიშნავს არა საერთოდ ძმას, არამედ მხოლოდ ძმას დისათვის: მიშგუი ჯიმილ—ჩემი ძმა—ამბობს და ძმის შესახებ: მიშგუი მუხუბე—„ჩემი ძმა"—ძმა ამბობს ძმის შესახებ.

ორი შესაძლებლობაა: ან მუხუბე და ჯიმილ ორივე სვანურის ძველი კუთვნილებაა და ასახავს კონკრეტიზაციის გარკვეულ საფეხურს, როცა არ იყო ზოგადი ცნება ძმისა, არამედ—ძმა ძმისათვის თუ დისათვის; ანდა: ერთ-ერთი სახელი მერეა შეთვისებული და გამოყენებული არსებული განსხვავების აღსანიშნავად. თითქოს მეორე შესაძლებლობა უფრო ახლოსაა სინამდვილესთან: ჯიმილ მტკიცედ გრძნობს თავს ჩვენს ენებში, მუხუბე კი არა. მაგრამ ასე იქნება თუ ისე, ყურადღებას იქცევს ერთი რამ: ქართველური ენებისათვის ძირითადი **ძამ**- ‖ **ჯიმ**- ძირი დამ გამოიყენა ძმისათვის სახელად და არა ძმამ ძმისათვის... ეს კი ნიშნავს: დის თვალსაზრისს გამოხატავდა, ალბათ, ეს ძირი ქართველურ ენებში, ძმის თვალსაზრისის გამომხატველი სიტყვა კი იყო და დაიკარგა. ამის გარკვევას მნიშვნელობა ექნებოდა ძველი საზოგადოებრივი წყობილების ვითარების გათვალისწინებისათვის—ისევე, როგორც აზროვნების ისტორიის გარკვეული ეტაპების ცხადსაყოფად.

ძმის შესახებ თქმული სავსებით ეხება დასაც (იხ. **და**).

ჯუმა-საგან არის ნაწარმოები უკვე მოხსენებული:

ჯუმ-**ალ**-**ა** — მეგრ. ჯიმა-ია, ქართ. ძამ-ია, братец, братик

შემდეგ **ჯუმ**-**ა**-**დ**-ი—მეგრ. ჯიმად-ი, ქართ. ბიძა (მამის ძმა, დედის ძმა), дядя по отцу или матери

შეუძლებელი არ არის, ჰან. ჯ უ მ ა დ-ი განმარტებულ იქნეს, როგორც „ჯუმა დიდი“—დიდი ძმა (შდრ. „დადი“—მამიდა, დეიდა).

მეგრულში ჯ ი მ ა დ-ის მეტოქეობას უწევს ბ ი ძ ი—ქართ. ბ ი ძ ა (აკად. ნ. მ ა რ ი ს განმარტებით „მამის ძმა“); ჰანურში ეს სახელი არ დასტურდება, მეგრულში კი ქართულიდან მოდის. მისი ფართოდ გავრცელება შედარებით ახალი საქმეა.

9. ჰან. **დ-ა ← დ-ალ-** და, сестра
მეგრ. **დ-ა ← დ-ალ-** და, „
ქართ. **დ-ა ← დ-ან-** „
სვან. **უ-დ-ილ** да дисовэ, сестра (для сестры)

დ ა მუშიშ ოგორუშა იგზალუ I 48_{23} თავის დის საძებნელად წავიდა... ყე, დ ა შჭიმი, ბაბა-შჭიმი გიოხამსუ II 118_{30} ჰე, ჩემო დაო, მამა ჩემი გიბარებს... ჯუმალეფე, დ ა ლ ე ფ ე... ბიჭიშ ოხორიშა ნულუნან II 65_{10}, 64_{14} ძმები, დები... ვაჟის სახლში მიდიან... ჯუმალეფე, დ ა ლ ე ფ ე... მედულუნან II 63_{37} ძმები, დები... წავლენ... ეკულე დ ა ლ ე ფ ე მუშიქ „ჯუმი ჩქიმი“-ა დო გ ა ამგარეს I 132_{4} ჩერე მისმა დებმა „ჩემო ძმაო“ და დაატირეს... დ ა ფ ე ქ (sic!) ზოპონან-ქი I 133_{32} დები ამბობენ, რომ...

მა დ ა დ ი ჩქიმიკალა ნოღედიშა ვიგზალი I 97_{24} მე მამიდა-ჩემთან (დეიდაჩემთან) ერთად ნოღედს წავედი... ნანაში დო ბაბაში დ ა—დ ა დ ი I 160_{5} დედისა და მამის და—„დადი“ (მამიდა, დეიდა, тетка)... ბაბაში და დ ა დ ი რენ, ნანაში და-თი დ ა დ ი რენ II 1_{22} მაშის და „დადი“-ა (მამიდაა), დედის დაც „დადი“-ა (დეიდაა)... ბაბაში დო ნანაში და დ ა დ ი ივენ II 71_{1} მამისა და დედის და დ ა დ ი იქნება... ქჩინეფე მენდებოჩქუმეთ ბოზოშა ნანდიდიშა ჲა დ ა დ ი მუშიშა II 62_{14} დედაბრებს გავაგზავნით ქალის ბებიასთან ან მამიდა მისთან... ა ქჩინი ქომოლახენ... დ ა დ ი, ა მციქა ქომომჩი-ა, ფილავი ოპჭკომათ-ჲა! II $37_{6,7}$ ერთი დედაბერი ზის (შიგ)... მამიდა (დეიდა, тетя), ცოტა მომეცირ, ფლავს შევჭამთო!...

კულანიშ დ ე დ ე ფ ე ქ... ზოპონან-ქი „სიჯა მოხთას!“ I 133_{31} ქალის მდადები... ლაპარაკობენ, რომ „სიძე მოვიდეს!“... დ ა დ ე ფ ე ქ ქომოიღატეს იფელიში მანდილი! II 67_{7} მდადებმა მოიტანონ („მოიტანოდენ“) აბრეშუმის მანდილი!...

ამ სიტყვის ფუძე ჭანურსა და მეგრულში არის **დ-ალ-**: შდრ. მრავლ. ჭან. დ-ალ-ეფ-ე, მეგრ. და-ლ-ეფ-ი: ქართულში ფუძეს მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური **-ნ**; შდრ. გურ., იმერ. **დ-ან-ებ-ი**.

ამ ფუძეს მნიშვნელობა ქართულში, მეგრულსა და ჭანურში ერთი და იგივე აქვს; სვანურში ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ჯ ი მ ი ლ-თან გამოირკვა: უ დ ი ლ აღნიშნავს დას დისათვის, ძმისათვის და იქნება დ ა ჩ უ ი რ.

ქართველური ენებისათვის საერთო ძირის **დ-**(ალ)‖**დ-**(ილ) მნიშვნელობას ისეთივე ტენდენცია აღმოაჩნდა, როგორც ჯ ი მ ი ლ-თან ვიპოვეთ: ასახოს დის, — ქალის — თვალსაზრისი და არა ვაჟისა. ეს იმავე დასკვნას გვავალებს, რაც ჯ ი მ ი ლ-ის ანალიზის დროს ვივარაუდეთ.

ჯ ი მ ი ლ-თან შედარებით აქ ახალია **უ-** თავკიდური: **უ-დ-ილ**; ძირეული ის არ არის; საფიქრებელია, ეს იყოს კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი: **უ-დ-ილ — მისი** (ქალის) და...

და-საგან არის ნაწარმოები:

ჭან. **დად-**ი	1. მამიდა, დეიდა, 2. მდადე,...	1. тетка: сестра по отцу или матери, 2. посаженная мать,
მეგრ. **დად-**ე	მდადე,	посаженная мать.
ქართ. მ-**დად-**ი	,,	,,

პირველი მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვას აქვს ჭანურში (დ ა დ ი —მამიდა, დეიდა), უცხოა მეგრულისათვისაც და ქართულისთვისაც; სათანადო სახელები მეგრულსა და ქართულში სულ სხვაგვარად არის აგებული: დ ე ი დ ა = დედის და, მ ა მ ი დ ა = მამის და; ჭანურში კი ამ სახელის კონსტრუქცია მიჰყვება ჯ უ მ ა დ ი ს ა ს: ჯ უ მ ა დ ი = ძმა დიდი, დ ა დ ი = და დიდი. თუ ბებია ,,დედა-დიდი'' იყო (ნ ა ნ დ ი დ ი — დიდ-დედა), ბიძა — ,,დიდი ძმაა'', მამიდა, დეიდა — ,,დიდი და''.

ჭანურში დ ა დ ი მ დ ა დ ე-საც ნიშნავს; მეორე მნიშვნელობით ეს სახელი მეგრულსაც აქვს და ქართულსაც. ს ა ბ ა ს განმარტებით ,,**მდადი** — დიაცი სძლის მაყარი''.

10. ჰან. **მოთ-ალ-** ‖ **მოთ-ა** შვილი, შვილი, ნაშიერი, бартყи, внук, дeтеныш, птенец

მეგრ. **მოთ-ა** შვილის შვილი, внук

ქართ. —

ბერეში ბერე მოთა იენ II 110_{31} შვილის შვილი „მოთა“ იქნება... ბერეში ბერე მოთა ივენ II 71_{5} (იგივე)... მოთალეფეში ჯოხოფე რენ: ფუჯიში — გენი, ცხენიში — თაჲ... I 153_{17} ნაშიერთა სახელებია: ძროხისა—ხბო, ცხენისა--კვიცი... თხაქ მოთა დოხუნაფტას-შა, თიკანი რენ I 153_{20} სანამ თხა ნაშიერს მოიგებდეს, თიკანია.. ჯოლორიში მოთას ლაკოტი ვუწუმელთ I 153_{26} ძაღლის ნაშიერს ლეკვს ვეტყვით... მთუგიშ მ'ოთა... გალე გამახთერეტუ I 62_{8} წრუწუნა („თაგვის ნაშიერი“)... გარეთ გამოსულიყო... ჰემუქ გამოჲონამს გუგულიში მოთალი-თი დო მუში მოთალი-თი II 75_{25} ის გამოჩეკს გუგულის бартყსაც და თავის бартყსაც.

მეგრულშიც და ჰანურშიც მრავლობითში ამ ფუძეს აღუდგება ბოლოკიდური **-ლ-** (**მოთ-ალ-ეფ-ე/ი**). ჰანურში აქა-იქ მხოლობითშიც არის დაცული **-ლ-** (იხ. ქვემოთ).

მეგრულში ამ სიტყვას მხოლოდ ადამიანის მიმართ ხმარობენ: ს ქუა—მოთა: შვილი — შვილიშვილი... ჰანურში მოთა „შვილიშვილსაც“ ნიშნავს, ცხოველთა ნაშიერსაც და ფრინველთა бартყსაც. საფიქრებელია, რომ მოთა ადამიანის შვილსაც ნიშნავდა ჰანურში: ათინურში ხმარებული ბოზომოთა (იხ. ბოზო) „ქალიშვილი“ ამას მოწმობს.

ქართულში ეს ძირი არა ჩანს, „შვილის შვილი“ სულ სხვა აგებულებისაა და სხვა ძირებისაგან შედგება; „ბადიში“, რომელსაც საბა „შვილის შვილად“ განმარტავს, აგრეთვე სხვა ძირი ჩანს.

11. ჰან. **ჩ-ილ-ი** ცოლი, жена

მეგრ. **ჩ-ილ-ი** „ „

ქართ. **ც-ოლ-ი** „

არ ბიჭი ქორტუ დო ართი ჩილი, ოხორჯა ქუჲონუტუ II 32_{2} ერთი ბიჭი იყო და ერთი ცოლი ჰყავდა... კაზი დოგუბაფუ ოხორის ჩილი მუშის II 13_{29} ბატი მოახარშვინა თავის ცოლს... ჯუმა მუშის უწუ-ქი „ჩილი ჩქიმი სქანიკალა ქორტას!“ II 15_{8} თავის ძმას უთხრა, რომ „ჩემი ცოლი შენთან იყოს!“... ჩილი ჩქიმიში ოხორიშა ბიგზალი II 23_{24} ჩემი ცოლის სახლში წავედი... ჩილი ჩქიმი დო ბერე

ჩქიმი ჯებზდი... II 23_{34} ჩემი ცოლი და ჩემი შვილი ავიყვანე... „მა ჩილი სქანი ბორე, სი ქომოჯი ჩქიმი რე!“ II 19_{28} „მე შენი ცოლი ვარ, შენ ჩემი ქმარი ხარ!“... ჰექო ჩილ-ქომოჯი დიდო ორას კაინობათე სქიდეს II 19_{31} იქ ცოლ-ქმარმა დიდხანს კეთილად იცხოვრეს...

ჩილ-ქომოჯი დიეს II 91_{26} ცოლ-ქმარი გახდენ... ჩილი-ქომოჯიქ მუჯა ცეს გერიდე, ვა მიშქუნ II 101_{7} ცოლ-ქმარმა რა ქნეს მას უკან, არ ვიცი...

ძირი ერთი და იგივეა; ისტორიულად **-ოლ** ‖ **-ილ** ძირის კუთვნილება არ ყოფილა; ჭან.-მეგრ. **-ილ-** მიღებულია **-ოლ**-ისაგან **-ულ**-ის შუამავლობით: *ჩ ო ლ→*ჩ უ ლ→ჩ ი ლ; შდრ.: ქ ო მ ო ჯ ი→ქ ი მ ო ჯ ი—ქმარი; ქ უ რ ი→ქ ი რ ი—ქორი...

თავდაპირველი ძირეული **ც-** იგივე უნდა იყოს, რაც—ც ე მ ა-ში. ჩ ი ლ ი ს გვერდით იმავე მნიშვნელობით ჭანურში ფართოდ არის გამოყენებული ო ხ ო რ ჯ ა ‖ ო ხ ო რ ძ ა (იხ.), მეგრულში კი—ო ს უ რ ი: ო ს უ რ ი ქ ი მ ი ც ო ნ უ—ცოლი მოიყვანა, ო ს უ რ ქ დ უ ღ უ რ უ—ცოლი მოუკვდა; ეს ო ს უ რ ი სახეცვლილი ქართ. ა ს უ ლ ი ა და ქ ა ლ ს, ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ნიშნავს. მეგრული ზემოხსენებული გამოთქმების შედგენილობა გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ იმერულში, გურულშიც, ქ ა ლ ი იხმარება ც ო ლ ი ს მნიშვნელობით: ქალი მოიყვანა, ქალი მოუკვდა...

ქართულშიც ც ო ლ ი ქ მ ა რ ი ს საპირისპიროა; ც ო ლ ი ს სინონიმად აქაც არის გამოყენებული სხვა სახელები: მეუღლე, სახლობა, ზოგს კუთხეში — დედაკაცი: ჩემი დედაკაცი — „ჩემი ცოლის“ მნიშვნელობით ჩვეულებრივია ქართლში (ამას უპირისპირდება „კაცი“: ჩემი კაცი — „ჩემი ქმარი“). მაგრამ გამოთქმებში: ც ო ლ - ქ მ ა რ ი (ც ო ლ - შ ვ ი ლ ი) ც ო ლ- ფუძეა წარმოდგენილი ქართულის გარდა მეგრულსა და ჭანურშიც:

ჭან.	**ჩილ-ქომოჯ-ი**—ცოლ-ქმარი, муж и жена,	„жена и муж“
მეგრ.	**ჩილ-დო-ქომონჯ-ი**	„ „ „ „
ქართ.	**ცოლ - ქმარ-ი**	„ „
ჭან.	**[ჩილ - ბერე]**	ცოლ-შვილი, жена и дети
მეგრ.	**ჩილ-დო-სქუა**	„ „ „ „
ქართ.	**ცოლ-შვილ-ი**	„ „

ამ სახელიდან იწარმოება ზმნა **დი-ჩილ-უ** — ცოლი შეირთო, **დო-ჩილ-უ** — ცოლი შერთო... იხ. **ჩილ-** ძირი ზმნებში.

ხოფურში **ჩილ**-ის ნაცვლად ჩვეულებრივად ო ხ ო რ ჯ ა იხმარება[1], მაგრამ **ჩილ**- ძირიდან სიტყვები ხოფურშიც ჩვეულებრივია: „ხასანი ჩ ჩ ი ნ ი ო ჩ ი ლ უ შ ი დიყვეენ!"... „ო ჩ ი ლ უ უნონ" I 132_{8-9} „ჩვენი ხასანი „ცოლ-შესართავი" გამხდარა!"... „ცოლის შერთვა უნდა"...

12. ჰან. **ოხორ-ჯა** ← ოხორ-**ჯალ** ქალი, ცოლი,
ოხორ-ძა ← ოხორ-ძალ- жена, женщина
მეგრ. —
ქართ. ს-**ძალ**-ი რ-ძალ-ი невеста: жена сына или брата

ხოჯაში ო ხ ო რ ჯ ა გალე ქაგამახთუ I 4_{33} ხოჯას ცოლი გარეთ გამოვიდა... ო ხ ო რ ჯ ა მუშის უწუ-ქი I r_{27} თავის ცოლს უთხრა, რომ... ო ხ ო რ ჯ ა ქ ქიმოლი მუშის უწუმერს-ქი „კოჩის პატი ო ხ ო რ ჯ ა ვა დულულას, კოჩის დიდო შეეფე თიშა მუყონოფს!" I 16_2 ცოლი თავის ქმარს ეუბნება, რომ „კაცს ცუდი ცოლი არ შეხვდეს („ჩაუვარდეს"), თორემ დიდ რამეებს შეამთხვევს" („მოუყვანს თავზე")... ო ხ ო რ ჯ ა ქომოლი მუშის უწუმელეს-ქი... II 5_{14} ცოლი თავის ქმარს ეუბნება, რომ... ...შ ჩ ა შ ა ჩ ი ს ო ხ ო რ ჯ ა დოხვეს... ო ხ ო რ ჯ ა დოხვეი ჰექ ქოძირუ, გზას. ო ხ ო რ ჯ ა-თი დიდო მსქვა ტუ II $15_{22, 23-24}$ წელამდის ქალი დამარხეს... დამარხული ქალი იქ ნახა, გზაზე. ქალიც ძალიან ლამაზი იყო... მთელი თურქიას-ჲა არ მილიონი ქოენ-ჲა ო ხ ო რ ჯ ა-ჲა I 122_{22} მთელს თურქეთშიო ერთი მილიონი კი არისო ქალიო... ო ხ ო რ ჯ ა ლ ე ფ ე, კულანეფე, მოდიდოჯი ბერეფე მთელი ხოლო ქომოხთეს I 146_{20} ქალები, გოგონები, მოზრდილი ბავშვები სულ ყველანი მოვიდენ... ო ხ ო რ ძ ა მუში დო ქომოჯი მუში... ო ხ ო რ ძ ა შ ი ჯ უმა ოხრასკირი... II 102_1 მისი ცოლი და მისი ქმარი... ცოლის ძმა—„ოხრასკირი"... ცარ ფუკარა კოჩი ცარ ო ხ ო რ ზ ა ქუცონურთუ II 124_9 ერთ ღარიბ კაცს ერთი ცოლი ჰყავდა... ხ ო რ ძ ა მუშის, იბგარას-ის, თოლიშე ჯ ე ვ ა ი ლ ი ვა დიბღენ II 91_{33} მის ცოლს რომ იტირებს, თვალიდან ძვირფასი ქვები არ უცვივა... იფთინერი ხ ო რ ძ ა მუშის ქორბას ბერე დვაჲუ II 92_{35} მის პირველ (წინანდელ) ცოლს მუცელში ბერე ჩაესახა... ო ხ ო რ ძ ა მუშის უწუჩი... ხ ო რ ძ ა მუში-თი-ქ უწუ-ჩი... II $110_{4,6}$ თავის ცოლს უთხრა, რომ... მისმა ცოლმაც უთხრა, რომ... ჩილიშ ჲერინე ო ხ ო რ ძ ა ბუწუმელთ II 111_3 (ართაშ.) ცოლის ნაცვლად „ოხორძას" ვეტყვით...

[1] იშვიათად ჩ ი ლ ი ც იხმარება: ჩ ი ლ ი სჭანი -ა და ჩჭინი რენ-ჲა I 23_{11} შენი ცოლი ჩვენი და არისო...

ჰანური ოხორ-ჯა || ოხორ-ძა კომპოზიტია; მისი პირველი ნაწილი ოხორ- (იხ.)—სახლსა ნიშნავს, ჯა- || ძა- მიღებულია ჯალ- || ძალ-ისაგან (შდრ. მრავლ. ოხორჯალ-ეფ-ე). ათინურ კილოკავში ოხორ-ზა-ც გვაქვს: ძ→ზ; გარდა ამისა არა იშვიათია თავკიდურ ო-ს მოკვეცა: ხორზა. ჯალ- ფუძე ძალ-ის ვარიანტია; ეს ფუძე იგივე ს-ძალ- || რ-ძალ- ფუძეა ქართულისა; საბას განმარტებით **ძალი** არის „ძის ცოლი; ძლადვე ითქმის მაზლისაგან ძმის ცოლი; ძალი არს ქორწილოსანი ქალი“; ეს უკანასკნელი მომენტი საგულისხმოა: რძალი „ქორწილოსანი ქალია“, ე. ი. გათხოვილი ქალი; ეს დახასიათება არსებითად არ უკავშირდება პირველ ორს: ძის ცოლი და ძმის ცოლი. თუ საბას ეს დახასიათება — რძალი გათხოვილს ქალს ეწოდება — შემთხვევითი არაა და მასთან სწორად გვაქვს გაგებული, ჰანური ოხორჯა || ოხორძა „სახლის გათხოვილი ქალი“ გამოვიდოდა. ამით ისევ ის საკითხი დგება, ოხორა სკირთან (იხ. **სკირ-**) დაკავშირებით რომ წამოიჭრა.

კითხვა ისმის, რატომაა ქალი „სახლისა“? ვის სახლზეა აქ ლაპარაკი? საფიქრებელია — ქალის სახლზე. ქართულში რძალ- ფუძეს თავისებური მნიშვნელობით ხმარობენ (ძალო ბიცოლას ნაცვლად); ამავე რძალ- ფუძეს შეიცავს კომპოზიტი პატარ-ძალი, მაგრამ სახლზე მითითებას ადგილი არა აქვს. ჰანურში კი გვაქვს: ოხორჯა, ოხორა-სკირი, ოხრ-ასულე; ეს კომპოზიტები მოგვითხრობს „სახლის ქალის“, „სახლის-შვილის“ (ვაჟისა) და „სახლის-შვილის“ (ქალის) შესახებ; საორიენტაციო პუნქტს აქ ქალი წარმოადგენს. „სახლის შვილის“ შესახებ საუბარი უკვე გვქონდა. „სახლის ქალის“ შესახებ ერთი გარემოება უნდა მოვიგონოთ: ოხორძა-ს პარალელურად არსებობს ოხორ-ჭკაურა — ათინურს კილოკავში; მეორე ფუძე ბერძნ. κυρία-საგანაა მიღებული და ქალბატონს აღნიშნავს: ოხორ-კაურა „სახლის ქალბატონი“; ამის ანალოგია გვექნებოდა ქართ. დია-სახლის-ში; მაგრამ ამ უკანასკნელის გვერდით მამასახლის-იც გვაქვს; ამის შესაფერი ჰანურს არაფერი აქვს (მეგრულისათვის ხომ ორივე უცხოა). ასეთ პირობებში „დიასახლისობა“ ჰანურში ქალის საზოგადოებრივ-უფლებრივი მდგომარეობისათვის ნიშანდობლივია (იხ. ოხორა ჭირ-თან დაკავშირებით თქმული). ბერძნული სიტყვის გამოყენება კომპოზიტის მეორე ნაწილად დაბრკოლებებს არა ქმნის ამ საკითხზე მსჯელობისას: ბერძნულის გამოყენება ჰანურის ამ უბანზე ბერძნულის ძლიერი ზეგავლენის შედეგია, ბერძნულით ჰანურის შეცვლა კი მოწმობს, რომ სათანადო ჰანური სიტყვა უნდა არსებულიყო.

13. ჰან. **ქომ-ოჯ**-ი || ქიმ-ოჯ-ი ქმარი, муж
მეგრ. **ქომ-ონჯ**-ი ,, ,,
ქართ **ქმ-არ**-ი ←*ქამ-არ-ი ,,

ქ ი მ ო ჯ ი შ ი ბაბა... I 166_{20} ქმრის მამა... ქ ი მ ო ჯ ი, ოხორჯა... I 160_{1} ქმარი, ცოლი... ხანუმი ქ ო მ ო ჯ ი მუშიქ დოილუ-ჲა II 10_{22} ჭალბატონი მისმა ქმარმა მოკლაო... ქ ო მ ო ჯ ი მუშიში ოხოიშა მენდიონამან II 30_{33} თავისი ქმრის სახლში წაიყვანენ... ჰაწი ქ ო მ ო ჯ ი მუშიქ ქოგნუ... II 32_{4}ახლა მისმა ქმარმა გაიგო... ჰუს რაჰათი ორან ჩილი დო ქ ო მ ო ჯ ი II 100_{35} ახლა მოსვენებით არიან ცოლი და ქმარი...

ქ ი მ̊ ო ჯ ← ქ ო მ ო ჯ; ამგვარად, მეგრულსა და ჰანურში საერთოა ძირი ქ ო მ-;

ძირი ქ ო მ- ჰანურისა და მეგრულისა გვავარაუდებინებს ქართულში ქ ა მ-ს; ძირეული ა-ს დაკარგვა გამოწვეულია **-არ** სუფიქსის დართვით.

-ო ჯ || -ო ნ ჯ სუფიქსები **-არ** სუფიქსის კანონზომიერი შესატყვისია.

ამ სახელის ძირი ემთხვევა ზმნის ძირს: ჰან. **-ქომ**-ს — ქართ. **ი-ქმ**-ს (←ი-**ქამ**-ს, შდრ. მთიულური: რას იქამ? = რას იზამ?).

ამ ძირიდანაა ნაწარმოები:

ი-**ქომ-ოჯ**-ე ნ || ი-**ქიმოჯ**-ე-ნ (იხ. ზმნებში), ხოლო აქედან:
ო-**ქომ-ოჯ**-უ — გათხოვება, „დაქმრიანება"
ო-**ქომ-ოჯ**-ონ-ი — გასათხოვარი, „დასაქმრიანებელი"

ამავე ძირიდან **-ოლ-** აფიქსის დართვით იწარმოება:

ჰან. **ქომ-ოლ**-ი || **ქიმ-ოლ**-ი — ქმარი, муж
მეგრ. **ქომ-ოლ**-ი — მამაკაცი, ვაჟ(კაცი), мужчина
ქართ. **ქმ-არ**-ი

არ ქ ო მ ო ლ ი და არ ოხორჯა რტესდორენ II 43_{9} ერთი ცოლი და ქმარი ყოფილან... ოხორჯა ქ ო მ ო ლ ი მუშის უწუმელს... II 5_{14} ცოლი თავის ქმარს ეუბნება... მუფერ ქ ო მ ო ლ ი რენ-ჭი, ოხორჯაქ დელი წოფხუმს II 41_{12} რა ქმარია, რომ ცოლი აგიჟებს... ქ ო მ ო ლ ი ქ თქუდორენ-ჭი II 41_{26} ქმარს უთქვამს, რომ... ქ ი მ ო ლ ი დიდო თემბელი ტერენ I 36_{19} ქმარი ძალიან ზარმაცი ყოფილა... ოხორჯაქ ქ ი მ ო ლ ი მუშის უწუ-ჭი I 36_{23} ცოლმა თავის ქმარს უთხრა, რომ...

ქიმოლეფე მანძაგერეში ოხორიშა ულურან I 162_7 მამაკაცები მეზობლის სახლში მიდიან... „მამული-თი ქიმოლი ენ"-ჲა! I 23_5 მამალიც მამაკაცი არისო...

ჰანური და მეგრული ქომ-ოლ-ი წარმოების მიხედვით ქომ-ოჯ-ის დუბლიკატია[1], ოღონდ ამ უკანასკნელში ძირიცა და აფიქსიც ქართული შესაბამისი ძირისა და აფიქსის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობას უჩვენებს (იხ. ზევით): ქომ-ოლ-ში იმავე მნიშვნელობის სხვა **-ოლ-** აფიქსია გამოყენებული.

მნიშვნელობის მხრივ ქომოჯ-ისა და ქომოლ-ის გამიჯვნა ჰანურში ძნელია: ერთის ნაცვლად მეორის ხმარება ფაქტია. მეგრულში კი ქომოლ-ი, საერთოდ, მამაკაცს, ვაჟკაცს გულისხმობს: ქომოლ-კოჩი — ვაჟკაცი, ქომოლ-კათა — მამაკაცები (ქალების საპირისპიროდ!), ქომოლ-სქუა — ვაჟიშვილი (საპირისპირო: ოსურ-სქუა — ქალიშვილი, „ასული-შვილი"). მრავალმხრივ საინტერესოა, რომ აღმართში ურემს რომ გაუჭირდება, მეგრელი მეურმე დასჭყივლებს ხოლმე ხარებს: „აბა, ქომოლ-ი, ო!"

14. ჰან. **სი-ჯ-ა** ←სი-ჯ-ალ- სიძე, зять
მეგრ. **სი-ნ-ჯ-ა** ←სი-ნ-ჯ-ალ- (სი-ნ-დ-ა) „ „
ქართ. **სი-ძ-ე** ←სი-ძ-ენ- „

ზოპონან-ქი „სიჯა მოხთას აქ!" სიჯა აწი ქომოხთუ... სიჯას აკვანან ბახჩიში I 133_{22} ამბობენ, რომ „სიძე მოვიდეს აქ!" ახლა სიძე მოვიდა... სიძეს სთხოვენ საჩუქარს... „დოხედი"-ა, უწუმელან აწი სიჯას. სიჯა ვა დოხედუნ, აწი ხოლო ოხვეწაფან, ოხვეწაფან ე-დო ქოდოხედუნ სიჯა. ნეკნა გუინწკა-ში, ჯუნკაპუნ სიჯა... I $133_{??}$ „დაჯექი"-ო, ეუბნებიან ახლა სიძეს. სიძე არ დაჯდება. ახლა კიდევ ეხვეწებიან, ეხვეწებიან და დაჯდება სიძე. კარი რომ გაიღება, წამოხტება სიძე... სიჯა ბოზოში ოხორიშა მენდიონამან I 30_{29} სიძეს ქალის სახლში წაიყვანენ... სიჯა შქიმი მოხთას-ის, ეუწვარე-ჩი... „სიჯა შქიმი მოვოლერდინარე"-ჲა II 92_{28} ჩემი სიძე რომ მოვა, ვეტყვი რომ... ჩემ სიძეს მოვატყუებო... სიჯას ოხოონუ ვარ უჩქინ-ი. — კუჩხე ეშო მოთ დოდგიმს?! II 76_{29} სიძემ ცეკვა არ იცის, — ფეხს ისე რად დგამს?!... იდუშუნამს: „სიჯა შქიმიშ ოხოი არ ქომბძირიკო"-დეი II 98_{13} ფიქრობს: „ჩემი სიძის სახლი ერთი მენახაო"...

[1] ხოფურ ქიმოლ-ში -ი- ენაცვლება უ-ს; ხოფურში ეს ჩვეულებრივია.

მრავლობითში გვექნება სი-ჯ-**ალ**-ე-ე — ჭანურში, სი-ნ-ჯ-**ალ**-ეფი || სი-ნ-დ-**ალ**-ეფ-ი — მეგრულში. ამრიგად, მოცემული გვაქვს საწარმოებელი სუფიქსი **-ალ-**. ჭანურთან და ქართულთან შედარება ცხადჰყოფს, რომ **-ნ-** მეგრულშია განვითარებული **ჯ**-ს წინ; პარალელური მეგრული ფორმებიდან — სინ**ჯ**ა || სინ**დ**ა--უკანასკნელი მიღებულია პირველისაგან: **ჯ**-ს დეზაფრიკაციის შედეგად (შდრ. წ ვ ა ნ ჯ ი || წ ვ ა ნ დ ი—წვერი). ქართულში ბოლოკიდური **-ნ** დაკარგულია; დიალექტურად გურულში ეს თანხმოვანი აღდგება მრავლობითში: სი-**ძენ**-კბ-ი[1] (შდრ. ჭან. სი-**ჯალ**-ეფ-ე, მეგრ. სი-ნ-**ჯალ**-ეფ-ი). ეს **-ძენ-** იგივე **ძე-** (←ძენ) უნდა იყოს, **სი-** თავსართი იმავე ღირებულებისად მიიჩნევა, როგორც სიტყვაში: **სი**-სხლ-ი. ეტიმოლოგიის საკითხს აქ არ ვეხებით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ს ი ძ ვ ა-სთან დაკავშირებით **სიძე**-ს ახსნა უმართებულოა: ი-ს ი ძ-ა ვ-ს ზმნა, როგორც ნასახლარი. თვითონ გულისხმობს ამოსავლად **სიძე**-ს.

15.	ჭან.	**მთ-ირ-ი**	მამამთილი, სიმამრი, свекорь, тесть
	მეგრ.	**მუა-ნთ-ილ-ი**	,, ,, ,, ,,
	ქართ.	**მამა-მთ-ილ-ი**	свекорь
	სვან.	**მი-მთ-ილ**	მამამთილი, სიმამრი, свекорь, тесть

[ქიმოლიში] ბაბას [ოხორჯაქ] ბაშკაკალა მ თ ი ი (|| მ თ ი რ ი) უწუმესს დო ოხოის—ბაბა I 121_{29} ქმრის მამას ქალი სხვებთან „მამამთილს“ ეტყვის და შინ—„მამას“... აწი მ თ ი ი ქ თქუ-ქი „მუ იყუ?“ I 121_{22} ახლა მამამთილმა თქვა, „რა იყოო“... მ თ ი რ ი მუშის უხეზმეთუმს II 30_{34} თავის მამამთილს ემსახურება... ოხორჯაში ბაბა მ თ ი რ ი ივენ, ოხორჯაში ნანა—დ ა მ თ ი რ ე II 71_{9} ცოლის შამა სიმამრი იქნება, ცოლის დედა—სიდედრი... ქომოლიში ბაბა მ თ ი რ ი ავენ ოხორჯას, ქომოლიში ნანა—დამთირე II 71_{13} ქმრის მამა მამამთილი იქნება ცოლისთვის, ქმრის დედა—დედამთილი... ოხორჯაში ბაბას მ თ ი რ ი ბუწუმელთ, ოხორჯაში ნანას დ ა მ თ ი რ ე ბუწუმელთ; ოხორჯა-თი მუში ქომოჯიში ბაბას დო ნანას ჰეშო უწუმელს II 1_{26} ცოლის მამას სიმამრს („მამამთილს“) ვეტყვით, ცოლის დედას სიდედრს („დედამთილს“) ვეტყვით; ცოლიც თავის ქმარს მამას და დედას ისე ეტყვის... დ ა მ თ ი რ ი (!) მუშის უხეზმეთუმს II 30_{34} თავის დედამთილს ემსახურება... დ ა მ თ ი რ ე ს გუნდუნუდორე ზანდუღიში ნკოლა II 67_{5} დედამთილს

[1] ორმაგ მრავლობითზე ლაპარაკი აქ გაუგებრობაა.

დაკარგვია ზანდუკის გასაღები... აჰა, დამთირე ქომოხთუ II 67_{19} აჰა, დედამთილი მოვიდა...

ჰანურის გარდა ყველა სხვა ქართველურ ენაში ეს სიტყვა კომპოზიტია; მისი მეორე ნაწილია მთ-ილ — სვანურსა და ქართულში, მთ-ირ — ჰანურში: **-ირ** იჭერს **-ილ**- სუფიქსის ადგილს კანონზომიერად; მეგრული **-ნთ**- მიღებულია **-მთ**-საგან (შდრ: ჰან. ბ-ჰარ-**უმ**-თ და მეგრ. ბჰარ-**უნ**-თ).

კომპოზიტის პირველ ნაწილად გვევლინება მამა და მისი ვარიანტები: **მი**—სვან., **მუა** — მეგრულში. **მი**- **მუ**-ს მაგივრობას ეწევა; **მუა**-ს შესახებ იხ. ბაბა.

მნიშვნელობის მხრივ სხვაობაა ქართულსა და სხვა ყველას შორის: ქართულში მამამთილი რძლის თვალსაზრისს გამოხატავს: რძლისათვის ქმრის მამა არის მამამთილი; ჰანურში, მეგრულში, სვანურში სათანადო სიტყვა სიმამრსაც აღნიშნავს და მამამთილსაც. მაგრამ რაკი სათანადო მეგრ. და სვან. სიტყვები ისეთივე აგებულებისაა, როგორც ქართული -მამამთილი, უნდა დავასკვნათ, რომ სიტყვა პირველად ამ ენებშიც მხოლოდ რძლის თვალსაზრისს გამოხატავდა, აღნიშნავდა მარტოოდენ მამამთილს: სიმამრის აღნიშვნა მას შემდეგღა დაეკისრა. აღსანიშნავია, რომ ჰანურს მამაფუძე აქ გამოყენებული არა აქვს.

მთირ-ი შედის კომპონენტად რთულ სიტყვაში:

ჰან.	და-**მთ-ირ-ე**	დედამთილი, სიდედრი, свекровь, теща
მეგრ.	დია-**ნთ-ილ**-ი	„ „ „ „
ქართ.	დედა-**მთ-ილ**-ი	свекровь
სვან.	დი-**მთ-ილ**	დედამთილი, სიდედრი, свекровь, теща

ჰან. დამთირ-ე-ში ბოლოკიდური **-ე** სახელობითის ზანური დაბოლოებაა; სხვაფრივ ახალია აქ პირველი წევრი — დედა და მისი სახეცვლანი — დია, დი და და (უკანასკნელში თავისებური შეკვეცაა წარმოდგენილი). მნიშვნელობის მხრივ მდგომარეობა ისეთივეა, როგორც მამამთილ-ის შემთხვევაში: ქართულის [1] გარდა სხვაგან ყველგან სათანადო სიტყვა დედამთილსაც აღნიშნავს და სიდედრსაც.

[1] გურულში, ქვ. იმერულსა და რაჭულშიც არ უნდა იყოს გარჩეული სიდედრი და დედამთილი.

გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს მთირ- ფუძე „ნაცვალს“ ნიშნავდეს და მეგრული თირუა-საგან იყოს ნაწარმოები (ი. ყიფშიძე: მეგრ. გრ., ლექსიკ., გვ. 284). ამგვარ გაგებას ორი დაბრკოლება ეღობება: 1. მთირ ვარიანტი ჰანურში გვაქვს, თირუა კი ჰანურად ო-ქთურ-უ იქნება; ჰანური ვარიანტი ჰანურ სათანადო ზმნას შორდება; 2. მთირ-ფუძე მთილ-ის ვარიანტია. ქართული მთილ- კი თირუა-მდის არ დაიყვანება.

16. ჰან. **ოს-ურ**-ი (|| ას-ურ- || ას-ულ — იხ. ქვ.) ასული, ქალიშვილი, ქალი, дочь

მეგრ. **ოს-ურ**-ი ქალი, ცოლი, женщина, жена

ქართ. **ას-ულ**-ი дочь

სვან. **-ის-** ასული, дочь

ოსური—ბოზო ბერე II 70_{35} „ოსური“ (ე. ი. ასული)—ქალიშვილი... „ოსურეფე ჩქიმი“—ჰე-თი ბაბა დო ნანას ათქვენ II 70_{36} „ჩემო ქალიშვილებო“ („ასულებო“)—ესეც დედას და მამას შეუძლია თქვას... ოხორჯაში და—ოხრასურე II 71_{10} ცოლის და—„ოხრასურე“ („სახლის ასული“)... ოხორჯას ქომოლიში და ოხრასულე ავენ II 71_{14} ცოლისთვის ქმრის და მული („ოხრასულე“ — „სახლის ასული“) იქნება... ქომოჯიში და ოხრასულე მუში ონუ... II 102_{6} ქმრის და მისი მული არის... ოხორძაში და—ოხ(რ)ასურე ონუ II 101_{2} ცოლის და—„ცოლის-და“ („სახლის ასული“) არის... ოხორძაში და—ოხრასურე II 111_{1} ცოლის და—„ცოლის-და“ („სახლის ასული“)... ოხორასულე მუშის უხეზმეთუმს II 30_{35} თავის მულს ემსახურება...

ჰანურსა და მეგრულში ოსურ- || ასურ-ე ზანურ მეტყველებას შეგუებული სიტყვები უფროა, ვინემ კანონზომიერი შესატყვისები ქართული ასულ-ისა. ოსური ჰანურში იშვიათია, მეგრულში—ჩვეულებრივი. ჰანურში მას შენახული აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართულში აქვს, მეგრულში კი მნიშვნელობა ერთგვარად ცვლილა: ოსური-ს ძირითადი მნიშვნელობაა—ცოლი (შდრ. იმერული: ქალი მოიყვანა=ცოლი მოიყვანა), მაგრამ: ოსურ-სქუა—ქალიშვილი, ოსურ-კათა—ქალები (ქომოლ-კათა-ს—მამაკაცების—საპირისპიროდ).

ნაწარმოებ სიტყვებში გვაქვს:

ჰან. ოხრ-ასურე || ოხრ-ასულე || ოხორა-სულე—ცოლისდა, მული, золовка. მეგრული მულისა და ცოლისდის მნიშვნელობით ისევ ოხორასკილ-ს ხმარობს, ე. ი. ცოლისძმას, ცოლისდას, მაზლსა და მულს ერთი და იმავე სახელით გადმოსცემს; ესაა ოხორასკილი (იხ. **სკირი**).

„მამიდაშვილებისა" და „დეიდაშვილებისათვის" არქაბელები ხმარობენ ექსალ-ეფე-ს; ნამდვილი ლაზურიაო; „დისშვილი", „ძმისშვილი" იწოდება ანიმსე-დ || ალიმსე-დ; შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში არა ჩანს; მამიდა—დეიდა-სთვის დადი-ს ნაცვლად ათინურში თურქული ხალა, ბულა აქვთ გამოყენებული, ჯუმადი-ს ნაცვლად—დაჲ; ამის შესაბამისად: დაჲშ ბერე, ხალაში ბერე, ბულა ში ბერე—ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი. ამათ შესატყვისობის ძიებას არ შევუდგებით: ხალა, ბალა, დაჲ თურქული სიტყვებია[1].

ეგევე უნდა ითქვას **ნუსა**-ს შესახებ; ეს სიტყვა რძალს ნიშნავს; ერთად ერთი სიტყვაა ჭანურში; მეგრულში მისი ორი ვარიანტი მოგვეპოვება: ნოსა, ნისა. ფუძისეული ო-ცა და ი-ც **უ**-ს ენაცვლება. ქართულში ნუსა არ იხმარება, მაგრამ შემონახულია ნაწარმოებ სახელში ნუსადია, რომელიც საბას განმარტებით „ბიძას-ცოლის" **სახელია**. სიტყვა არაბულია და აქედან არის უშუალოდ თუ შუალობით შემოსული ჩვენს ენებში. საინტერესოა, რომ ნუსა იძლევა მეგრულში **უ**-ს **ი**-თ შენაცვლებას, ე. ი. ებმება ზანური კილოებისათვის ჩვეულ ფონეტიკურ ცვლილებათა ფერხულში.

ეგევე სიტყვა დაღისტნის ენებშიც გამოჩნდება ხოლმე (მაგ. ხუნძურში გვაქვს); ალბათ, იმავე პირველწყაროდან, — არაბულიდან—მოდის.

ხოფურში არაბულ **ნუსა**-ს გამოდევნით ემუქრება თურქული გელინი || გჲელინი.

არქაბულში იხმარება გამოთქმა ჭუტა ნუსა, ქართული პატარძალის შესაბამისი: ჭუტა—პატარა, ნუსა—რძალი.

17. ჰან. **მ-ზახ-ალ**-ი მზახალი, свояк, свояченица
მეგრ. **ძახ-ალ**-ი ,, ,, ,,
ქართ. **მ-ზახ-ალ**-ი || მ-ძახ-ალ-ი ,, ,,

მზახალი ბორეთ: ჰამუში ბერე ჩქიმი სიჯა რენ, ჩქიმი ბოზო

[1] უცხო სიტყვებია: დეთიმი—ობოლი, შილა—ქვრივი, დემიჯა—ბიძა.

უჯონუნ II 71_{11} მზახალი ვართ: ამის შვილი ჩემი სიძეა, ჩემი ქალიშვილი ჰყავს...

საბას განმარტებით „**მძახალი** — სიძე-სძალთ მამა-დედანი“... **მზახლობა—მძახლობა**...

ძირია **ზახ-**; **ზ**-სა და **ძ**-ს შენაცვლება, უკეთ რომა ვთქვათ, სპირანტ **ზ**-ს აფრიკატ **ძ**-დ ქცევა, ჩვენს ენებში სხვა მაგალითებითაც არის წარმოდგენილი (ზ რ ა ხ ვ ა → ძ რ ა ხ ვ ა...).

18. ჰან. **ხჩ-ინ-**ი || **ჭჩ-ინ-**ი მოხუცი ქალი, დედაბერი, старуха
მეგრ. **რჩ-ინ-უ** მოხუცებული, старик, старуха
ქართ. **მ-კც-ოვ-ან-**ი „ჭაღაროსანი“, убеленный сединой

არ ხ ჩ ი ნ ი ს - თ ი არ ბეე უყოუნტეენ გონიას I 116_{18} ერთ დედაბერსაც ერთი შვილი ჰყოლოდა გონიოში... მჭკიდში ჭნოტუხის ხ ჩ ი ნ ი ოხორჯალეფეს ოკითხაფაფან... ხ ჩ ი ნ ი ქ მჭკიდის უკითხუპტას-ში, ანქორენ... ხ ჩ ი ნ ი ქუწუმესს... I 127_{27-30} მჭადის ნატეხისთვის დედაბრებს („მოხუც ქალებს“) შეალოცვინებენ... მჭადს რომ ულოცავს, დედაბერს ამთქნარებს... დედაბერი ეტყვის... ნანა ჩქინი ჭ ჩ ი ნ ი ენ II 64_{3} დედა-ჩვენი ბებერია... ჭ ჩ ი ნ ი იმტუ II 37_{13} დედაბერი გაიქცა... „დივეფექ ვა მომჩამან“-ჲა, ჭ ჩ ი ნ ი ქ უწუ II 37_{21} „დევები არ გვაძლევენო“, დედაბერმა უთხრა... ჭ ჩ ი ნ ე ფ ე მენდებოჩქუმეთ ბოზოში ნან-დიდიშა II·62_{14} მოხუც ქალებს გავაგზავნით ქალის ბებიასთან...

ძირი **-კც-** კანონზომიერად არის წარმოდგენილი ჰანურში **ხჩ**-თი, რომლის ვარიანტია **ჭჩ-**... საინტერესოა, რომ პირველი ხოფურს აქვს დაცული... **ჭჩ-** მეგრულში **რჩ**-ს სახეს იღებს; ეს არაა ერთადერთი შემთხვევა (შდრ. ჰან. მო-**ხთ**-უ—მო-**რთ**-უ- მოვიდა... ი-**ქთ**-ე-ნ—ი-**რთ**-უ-ნ—ტრიალებს, „იქცევის“)... ეს ძირი ზანურში აღნიშნავს „თეთრს“ (იხ. **ხჩე** || **ჭჩე**...)... **-ინ**-სუფიქსი იმავე ფუნქციისა ჩანს, როგორიც ქართულში **-ან**-ს (მკც-ოვ-**ან**-) განეკუთვნება...

მნიშვნელობის მხრივ ჰანური ქართულს მიჰყვება: „ჭაღაროსანი“, ე. ი. მოხუცი... არ არის მხოლოდ ცხადი, რატომ მაინც და მაინც ქალი უნდა იყოს ეს „ჭაღაროსანი“... უფრო თანამიმდევარია მეგრული, სადაც ეს სიტყვა საერთოდ „მოხუცებულს“, „ბებერს“ ნიშნავს.

ნაწარმოები ზმნაა: -ი-**ჭჩინ-** (იხ.).

19. ჰან. **ბა-დ-ი** ბერიკაცი, старик
მეგრ. **ბა-დიდ-ი** ,, ,,
ქართ. —

ე ბ ა დ ი შ ა ქომეხთერენან ხოლო. ბ ა დ ი ს უწვერენან... I 117_{28} ამ ბერიკაცთან მისულან კიდევ. ბერიკაცისთვის უთქვამთ... ა რ ბ ა დ ი კოჩიქ ბაღის მცხული გჲომპონამტუ I 87_{21} ერთი მოხუცებული კაცი ბაღში მსხალს ამყნობდა... ბ ა ბ ა ჩქიმი ბადი ენ II 64_3 მამა-ჩემი მოხუცებულია... ბ ა დ ი-თი ქომოხთუ. ბ ა დ ი ქ იჯოხუ II 48_{17} ბერიკაციც მოვიდა. ბერიკაცმა დაიძახა... ოკაჩხე ჰიმ ბ ა დ ი ქ მენდიჲონუ ოხოი მუშიშე II 92_8 მერე იმ ბერიკაცმა წაიყვანა თავის სახლში...

ჰანური შეკვეცით უნდა გვაძლევდეს იმ ფუძეს, რაც მეგრულში გვაქვს; მეგრულში კი ეს რთული ფუძე ჩანს: ბ ა-დ ი დ-ი, ე. ი. ბაბა-დიდი, ,,დიდი მამა''. ამისდა კვალად, ჰან. ბ ა დ-ი ისეთივე აგებულებისა იქნებოდა, როგორც დ ა-**დ**-ი, ჯ უ მ ა-**დ**-ი: ყველგან მეორე წევრი დ ი დ-ს შეიცავს შეკვეცილი სახით.

ქართულში ბ ა ბ ა არა გვაქვს და არც აქედან ნაწარმოები ფუძე გვხვდება (დიალექტებში წარმოდგენილ ზანიზმებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში; ბ ე რ ი-ც ხომ ქართული არ არის: სპარ. ფ ი რ-ს უკავშირებენ).

ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელები...

1. კოჩ-ი
2. თ-ი
3. დუდ-ი
4. ჭუნ-ი
5. თოლ-ი
6. კამწამ-ი
7. ყუჯ-ი, ცუჯ-ი, ჯუჯ-ი, უჯი
8. ჩხვინდ-ი, ჩხინდ-ი
9. კვა, ყვა
10. ნუკუ, ნუნკუ
11. პიჯ-ი
12. ლეშჭ-ი
13. ღვა
14. ნენა
15. ცა
16. კიბირ-ი, კიბრ-ი, ჭიბრ-ი, კირბ-ი
17. ჯირჯილ-ი
18. ფიბილ-ი, ფიმბილ-ი, ფიმფილ-ი, ფინფილ-ი
19. ყალ-ი, ცალ-ი, ალ-ი
20. ხუჯ-ი
21. ხე
    - ხეში გური
    - ხეში კაპულა
    - ხე-დუღ-ი
    - ხეშ-ი
    - ხე-კუჩხე
22. დურყუ დუყუ...
23. მეშცხვერ-ი
24. მედრიკონ-ი
25. კით-ი
26. ბუცხა
27. მჯიხ-ი
28. კუჩხე
29. კოჭ-ი
30. ტაბან-ი
31. ბურგულ-ი, ბურგილ-ი
32. ქურ-ი
33. გურ-ი, გუ-ი
34. ფურფუ
35. ფანწალა, ფაწალა
36. შქა
37. ქორბა
38. წიპა
39. ჭუ
40. ტკებ-ი
41. ხორც-ი, ხოწ-ი
42. ყვილ-ი, ცილ-ი, ილ-ი
43. თომა
44. დიცხირ-ი
45. ჩილამრ-ე, ჩელამრ-ე, ჩილამბრ-ე, ჩალამურ-ე, ჩილამბ-ი...
46. თხომურ-ი
47. მტკო
48. მცილა

1. ჰან. **კოჩ-ი** კაცი, человек
მეგრ. **კოჩ-ი** „ „
ქართ. **კაც-ი** „

ქორტუ არ კოჩი I 39_{26} იყო ერთი კაცი... კოჩი იდუ, იდუ... I 39_{30} კაცმა იარა, იარა... არ ზენგინი კოჩის არ თენბელი ბერე ქუყოუნტუ I 85_{20} ერთ მდიდარ კაცს ერთი ზარმაცი შვილი ჰყავდა... მენდაბწკედით-ში, დიდი არ გემა-კოჩი ტუ I 163_{8} რომ გავიხედეთ, ერთი დიდი ტყის-კაცი იყო... ჰემ კოჩიქ არ დიძიცუ II 11_{9} იმ კაცმა ერთი გაიცინა... წოხლე არ კოჩიქ ირო ჯუმუ ჲეჭოფუმტუ II 21_{6} წინათ ერთი კაცი მუდამ მარილს ყიდულობდა... არ კოჩი ზაბუნი ტუდორენ II 49_{7} ერთი კაცი ავად ყოფილიყო... ბადი მენდახთუ შეჰერიშე. კოჩეფე ქოგვაბღეს... II 92_{20} ბერიკაცი წავიდა ქალაქში... ხალხი შემოესია („კაცები“ შემოეხვივნენ)... ოხორძა კოჩი მუში უწუ-ჩი II 116_{26} ცოლმა თავის ქმარს („კაცს“) უთხრა, რომ...

ეს ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელიც ხმოვან-თანხმოვანთა კანონზომიერი შესატყვისობის ნიმუშს გვაწვდის ქართულისა და ზანურის შედარებისას. მასთან არც ქართულს და არც ზანურს არ განუცდია შემდგომი ცვლა: მათში მოცემული ვარიანტები დაგვრჩა წინანდელი სახით.

2. ჰან. **თ-ი** თავი, голова
მეგრ. **თუ-ში** (?) ურმის კავები, крючки у головной части воза
ქართ. **თ-ავ-ი** голова

ადა თი ენ I 159_{24} ეს თავია... თი-კოპალეი გიქთუ I 8_{18} თავდაყირა გადაბრუნდა... თი ონკანაპტეენ... „თი გემინკანეფ“-და!? I 119_{20} თავს აკანტურებდა... „თავს მიქნევო!?“... თის-თი ჰუბრიში რენგი ფაფახი გჲოთუნ II 2_{17} თავზედაც წაბლის ფერი ბუხრის ქუდი ახურავს... ოხორჯაქ თი იცილუ-ქი II 17_{3} ქალმაც თავი მოიკლა, რომ... თი მურგვალა ონ II 112_{26} თავი მრგვალია... დირინი-შ-კულე თიშა მუ მოგიხთუ? II 131_{8} მას შემდეგ, რაც დაიბადე, თავს რა გადაგხდა?... მაჩხაში თის ოთიე ბუწუმელთ II 58_{10} არხის თავს „ოთიეს“ ვეტყვით...

ქართულში ძირეულია **-თ-**: **-ავ** ფუძის დეტერმინანტი-სუფიქსია (შდრ. მკლ-**ავ**-ი, ტყ-**ავ**-ი...); ჰანურში ეს სუფიქსი არ ჩანს; აქ მის ადგილას **ვ—უ** შეიძლებოდა გვქონოდა; მაშინ **თი**-ს ბოლოკიდური **-ი** **უ**-საგან მიღებული იქნებოდა და ფუძისათვის უნდა განგვეკუთვნებინა (ისტორიულად). მეგრული თავისათვის სხვა ფუძეს-ხმარობს—დუდ-ი— (ეს უკანასკნელი ჰანურისათვის არ არის უცხო; იხ. **დუდ-**); **თუ**-ფუძე კი მეგრულში არ ჩანს; მაინც შეიძლება მოვიგონოთ თუ: ჩოჩიალა ურმის კავები, რომლებიც თავში აქვს ურმის ხელნებს მოდებული და უღელსაა მიკრული: თუ-ში—„თავისა". ეგევე ძირი უნდა გვქონდეს **თიკ**-ში („ქათმ. ბიბილო"), შდრ. გურ. **თვ-ერ**-ი.

3. ჰან. **დუდ**-ი თავი, კეფა, თავის თხემი, თავი (გადატანით), темя, голова, конец (перен.)

მეგრ. **დუდ**-ი თავი, голова

ქართ. **დუდ**- (დიალექ.). „ „

თის „დუდი" ეუწოლემთ... კოჩის დუდის თომა ქუნჩას... მაკასითე დუდი იხუტორასენ... დუდი იბლასენ სირაფითე II 108_{16-18} თავს „დუდი"-ს ვეტყვით... კაცს თავზე თმა აქვს... მაკრატლით თავს გაიკრეჭს („გაიხოტრავს")... თავს გაიპარსავს სამართებლით... ათინური ლარჩა „დუდი"-ნ II 106_{30} ათინური ლაზური „დუდი"-ა... ოხორძა მუში დუდი დუტროხუ II 94_{33} თავის ცოლს თავი გაუტეხა... კოჯნეფეშკალა გულუნ, ჩე-ჩე დუდის მოთვალეი II 90_{8} ცხვრებთან დადის თავზე თეთრ-წამოცმული...

კოჩიში თის-თი დუდი ავენ,—თიში დუდი II 68_{9} (არქ.) კაცის თავსაც თხემი აქვს,—თავის თხემი, „კინკრიხო"...

ჰამ-თი—თი დუდი II 112_{18} (ართ.) ესეც—თავის თხემი... კუტუში დუდი მეკვათეი ვა უღუნ-და I 118_{23} (ხოფ.) penis-ის თავი წაპრილი არა აქვსო...

ქართულში **დუდ**- ძირი დასავლურ კილოებში გვხვდება და მეგრულიდან შეთვისებული ჩანს; ვ. ბერიძეს თავის „სიტყვის კონაში იმერულ და რაჭულ თქმათა" მოჰყავს მეგრ. დუდ-ზე მითითებით ამო-**დუდ**-ება—„თავამდი ავსება", აგრეთვე უ-**დუდ**-ურ-ი—„უჭკუო, მოურიდებელი, ტუტუცი" („უთაური"—ეტიმოლოგიური განმარტებით). **დუდ**-ი გვხვდება გურულშიც: ქათმის **დუდ**-ი „ბიბილო".

ჰანურში სხვადასხვა კილოკავში სხვადასხვაგვარია **დუდ**-ის გამოყენება: ათინურში **დუდ**- „თავს" ნიშნავს ისევე, როგორც მეგრულში (იხ. მაგალ.), ართაშენში, არქაბეში—კეფის სახელწოდებაშია

გამოყენებული ეს ფუძე—თ ი-**ტ̇უდ**-ი (იხ.); გადატანით იხმარება რისამე „თავის“, „წვერის“, „ბოლოს“ აღსანიშნავად ხოფურშიც.

4. ჭან. **ჭუნ**-ი ტვინი, мозг
მეგრ. **ჭონ**-ი ქონი, жир
ქართ. **ქონ**-ი „

დუდი დოლოხე—ქ უ ნ ი II 103_1 თავის შიგნით—ტვინი...

აგებულების მიხედვით **ჭუნ**-ის **ჭონ**-თან დაკავშირება დაბრკოლებებს არა ხვდება. სემასიოლოგიურადაც ძნელი არაა იმის ახსნა, რატომ შეიძლებოდა „ტვინისათვის“ გამოეყენებინათ „ქონის“ სახელი. ს ა ბ ა ს განმარტებით „**ქონი** არს ცხოელთა გუამთანი სიმსუქნე გარდადნობილი“ (იხ. **ცხიმი**), ე. ი. ცხოველთა სხეულის გადადნობილი სიმსუქნე...

ეჭვს იწვევს **ჭუნ**-ის წარმომავლობა და ის, რომ არც ერთ სხვა ქართველურ ენაში **ჭუნ**- || **ჭონ**- არ არის **ტვინ**ისთვის გამოყენებული: „ტ ვ ი ნ ი“—ქართ. და მეგრ., სვან. თ უ ე ლ...

5. ჭან. **თოლ**-ი თვალი, глаз
მეგრ. **თოლ**-ი „ „
ქართ. **თვ-ალ**-ი || ძვ. ქართ. **თუ-ალ**-ი „
|| დიალექტ. **თოლ**-ი

„ამუს-და ჩქინი'სთეი თ ო ლ ი უღუნ“-და I 118_{21} ამასო ჩვენსავით თვალი აქვსო... თ ო ლ ი თ ე-ნა ვა ძიროფს I 152_8 თვალით რომ ვერ ხედავს... ნანა მუშიქ ა თ ო ლ ი ქოგამუღუ II 91_3 დედა-მისმა ერთი თვალი დათხარა („ამოუღო“)... მა თ ო ლ ე ფ ე ჩქიმითე ბძირი II 46_9 მე ჩემი თვალებით ვნახე... ბაშქას თ ო ლ ი ქოგედუ II 10_6 სხვა შეიყვარა, მოეწონა („თვალი დადო“, „თვალი დაიჭირა“... ეგეთე გამოთქმა იხ. აგრეთვე II $15_{11,34}$, 17_8)... ფუჯის თ ო ლ ი მატენ I 127_{22} ძროხას თვალი ეცემა...

ძირი ერთი და იგივეა: **თუ**-; დეტერმინანტი-სუფიქსია **-ალ**-: ძვ. ქართ. **თუ-ალ**-ი, ახ. ქართ. დაწერილობით—**თვ-ალ**-ი; ჭან.-მეგრ. **თოლ**-მიღებულია **თუალ**-ისაგან **უა**-ს **ო**-დ შერწყმით; ანალოგიური ფონე-

ტიკური პროცესი დადასტურებულია მთიულურში: თ ო ლ-ი, კ ო ლ ი (კვალი), ც ხ ო რ ი (ცხვარი)...

ამ სახელისაგან ნაწარმოებ ჰანურ ზმნებში **თვალ-** ფუძეც გვაქვს (იხ.).

6. ჰან. **კამ-წამ-**ი წამწამი, ресница
მეგრ. **-წკან-** ← წამ წამი, миг, секунда
ქართ. **წამ-წამ-**ი ресница

თოლი კ ა მ წ ა მ ი II 102_{22} (ათ.) თვალის წამწამი (!)... კ ა მ წ ა მ ი შ თომალეფე ჰიშო ონუ II 102_{24} (ათ.) წამწმის თმები ისეა... ჰამ თოლი, ჰამ—ოჭლიდი, ჰამ—კ ა მ წ ა მ ი II 112_{19} (ართ.) ეს—თვალი, ეს—წარბი, ეს—წამწამი...

მეგრულში ეს ძირი არა ჩანს ამ მნიშვნელობით, მაგრამ ზმნისართში თ ი-მ-**წკან**-ს „მაშინ"—სიტყვა-სიტყვით „იმ წამს"—უნდა გვქონდეს ეგევე ძირი **წამ-**. მართალია, აქ საგნის აღმნიშვნელი ძირი გვაქვს, იქ—დროისა, მაგრამ დროის ეს ერთეული—წ ა მ ი—ამ საგნის **წამ-წამ-**ის მოძრაობასთან უნდა იყოს წარმოშობილი დაკავშირებული (შდრ. „ამ წამს", „თვალის დახამხამებაში"). ორი ფონეტიკური პროცესის შედეგადაა **წამ-** — **წკან-**ად გადასხვაფერებული: ჯერ ერთი, **კ-**ს განვითარების გამო; შემდეგ, მიცემითის **ს-**ს დართვისას **-მს-** კომპლექსი **ნს-**დ იქცა, რაიც ჩვეულებრივია მეგრულისათვის (შდრ. „მუ ჟანს"—როდის—„რა ჟამს").

კ ა მ წ ა მ-ის შეპირისპირება წ ა მ-წ ა მ-თან ცხადყოფს, რომ ამ უკანასკნელშიც პირველ ფუძეში **კამ-** უნდა გვქონოდა.

7. ჰან. **ყ-უჯ-**ი ‖ **ც-უჯ-**ი ‖ **ჲ-უჯ-**ი ‖ **უჯ-**ი —ყური, ухо
მეგრ. **ც-უჯ-**ი ,, ,,
ქართ. **ყ-ურ-**ი ,,

ამა ყ უ ჯ ი ენ I 159_{24} ეს ყურია... საღირი ია რენ, ყ უ ჯ ი ქ-ნა ვარ შუგნეფს,—ყ უ ჯ ა I 152_{7} ყრუ ის არის, ყური [ვისიც] არ გაიგონებს,—ყრუ (თავში იხმარა თურქ. საღირი და, როცა განსაზღვრების ბოლოს გავიდა, ჰან. „ყუჯა" დაურთო!)... ც უ ჯ ი ს გელაკიდონი ალთუნი დუხენას II 30_{21} ყურზე დასაკიდებელი ოქრო გაუკეთოს... ც უ ჯ ე ფე ჩქიმითე ბოგნი II 46_{10} ჩემი ყურებით გავიგონე...

„ცუკი ვა ბოგნამ“-ჲა: ცუკის იხიტონამს II 37_{16} „ყურში არ მესმისო“: ყურში იჩხიკინებს... ჰამ ყუკი’ნ II 112_{19} ეს ყურია (აგრეთვე: II 102_{25})... გუნძე ცუკონიქ უწუ-ქი „ყუკის-ჲა ცხენიქ კუჩხე ქოგემობაძგუ“-ჲა II 37_{2} გრძელ-ყურიანმა უთხრა, რომ ყურზე ცხენმა ფეხი დამადგაო...

ყუკ-ი ხოფურია; ცუკ-ი ვიწურ-არქაბული; ცუკ-ი-ვე გვაქვს ათინურში დადასტურებული: ყველგან **ყ-** ცვლილია **ც**-თი ხმოვნის წინ; ასევეა მეგრულში. რაც შეეხება **ჯ**-ს, ის კანონზომიერი შესატყვისია ქართული **რ**-სი. ამ სიტყვაში ძირეული მასალა **ყ-** || **ც**-თია წარმოდგენილი. **-ურ-** || **-უჯ-** ფუძის დეტერმინანტი-სუფიქსია.

ხოფურში ამ სიტყვიდან იწარმოება ცუკ-ა—ყრუ (მეგრ. ცუნგა[1]; ქართ. ყრუ უნდა იყოს მიღებული ყურ-უ, სადაც ბოლოკიდური **-უ** უარყოფითი ნაწილაკია (სვ. **-ურ-**).

მეგრულში სიტყვა შენახულია მნიშვნელობის გადახრით: „**ცურ-უ**“ —„რეგვენი“, გამოუცდელი, ბრიყვი, ახალგაზდა. ცუკ-ისაგან ნაწარმოებია ცუკ-ელ-ი—ყურიანი ქოთანი (სიტყვა-სიტყვით: ცურიან-ი). ეგეთ სიტყვა უკილი-ს სახით მოჰყავს გ. როზენს, უკელი-ს სახით ნ. მარს.

საინტერესოა ვ. ბერიძის „სიტყვის კონაში“ დადასტურებული რაჭ. ყურჭიტი—„ყურპატარა“: ყურ-ჭიტ-ი (იხ. **ჭიტ-ა**)...

გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას ხოფურშიც ცუკი-გვაქვს: ჯა ქამეკვათუფან... ცუკიკელე ქაეშახუტონუფან... ცუკი—კალა-თი ჯა ქოდოდუმელან I 137_{13} ხეს გაჭრიან... „ყურისაკენ“ ამოჭრიან (ჩააღრმავებენ)... „ყურთან“ ხეს დადებენ... სუმი ჭინოენ: ართის თუდენი უწუმელან; ოკულე შქა-გუიში ქოგჲუკიაფან, ცუკის-თი ყომუიში ქოგჲუკიაფან... ნოკეფე ცუკის ქოგჲუდუმელან, ნოკეფეში ცუკის-თი ღაფეი მეტაქსი ქოგჲუდუმელან I 150_{3-6} სამი წნელია: ერთს ქვედას ეტყვიან; მერე შუათანას („შუაგულისას“) მიაკრავენ; ბოლოს („ყურზე“) ტყემლისას მიაკრავენ... ბოლოში („ყურზე“) ძაფებს მიაბამენ. ძაფების ბოლოშიც („ყურშიც“) შეღებილი აბრეშუმის ძაფს მიაკრავენ...

ამ ცუკის ხმარება გვაფიქრებინებს, რომ ხოფურში ცუკ-ი იხმარებოდა საერთოდ (და არა ყუკი, როგორც ეს ახლაა). ესე იგი, ხოფური ვიწურ-არქაბულისა და მეგრულის მსგავსად ხმოვნის წინ

[1] უკავშირდება ცვინგ- ფუძეს: ცვინგ-ი—საფეთქელი... ცვენგ-ერ-ე—ჩერჩეტი, სულელი...

ყ-ს ცვლიდა **ც**-თი... შემდეგ ქართულის გავლენით **ყ**- დამკვიდრდა, მაგრამ ზოგგან გარჩა წინანდელი **ც**. ასე მივიღეთ ყ უ ჯ ი და ც უ ჯ ი...

8. ჰან. **ჩხვ-ინდ-ი** ‖ **ჩხ-ინდ-ი** ცხვირი, нос
მეგრ. **ჩხვ-ინდ-ი**←ჩხვინჯ-ი ,, ,,
ქართ. **ცხვ-ირ-ი** ,,

ჩ ხ ვ ი ნ დ ი... ჩ ხ ვ ი ნ დ ი შ ი ღორმა I $159_{24,25}$ ცხვირი... ნესტო („ცხვირის ღრმა")... ჩ ხ ი ნ დ ი... ჩ ხ ი ნ დ ი შ ი ღორმა II 106_{31} ჰამ ჩ ხ ი ნ დ ი ონ II 112_{30} ეს ცხვირია... ჩ ხ ი ნ დ ი თ ე შური ფშვანუმ II 113_{6} ცხვირით ვსუნთქავ („სულს ვითქვამ")...

ჰანური ჩ ხ ი ნ დ- მიღებულია ჩ ხ ვ ი ნ დ-ისაგან; ეს უკანასკნელი კი **ჯ**-ს **დ**-თი შეცვლით მივიღეთ: ჩ ხ ვ ი ნ ჯ→ჩ ხ ვ ი ნ დ-; ჩ ხ ვ ი ნ ჯ-ში კიდევ განვითარებულია **-ნ-** (შდრ. ჰან. ს ი ჯ ა და ს ი - ნ - ჯ ა). ამგვარად, ქართ. ც ხ ვ ი რ- ფუძის შესატყვისი ზანური ჩ ხ ვ ი ჯ- უნდა ყოფილიყო; ამ უკანასკნელის ცვლილებები ასე წარმოიდგინება:

ჩ ხ ვ ი ჯ- → ჩ ხ ვ ი ნ ჯ- → ჩ ხ ვ ი ნ დ- (მეგრ.) → ჩ ხ ი ნ დ - (ჰან.).

ვ. ბ ე რ ი ძ ე ს იმერულში აღნიშნული აქვს ც ხ ვ ი ნ ჯ-ა—დიდი და უშნო ცხვირიანი— და შენიშნავს: შდრ. მეგრ., ჰან. ჩხვინდი=ცხვირიო. (სიტყვ. კონა, გვ. 61).

ც ხ ვ ი ნ ჯ-ა-ში მოცემულია **ჯ**-ს შემცველი ზანური ვარიანტი, რომელსაც ჰანურსა და მეგრულში ველარ ვპოულობთ.

სიტყვის ძირი უნდა იყოს **ცხვ-←ცვ-** (**ხ** განვითარებულია), **-ირ-** ‖ **-ინჯ-**→ **-ინჯ-**→**-ინდ-** —დეტერმინანტი-სუფიქსია.

9. ჰან. **კვა** ‖ **ყვა** შუბლი, лоб
მეგრ. **ცვა** ,, ,,
ქართ. **ყუა** обух

ია ყვა ენ I 159_{28} ის შუბლია... კოლი ეწაცხონტეენ დო არ ჯუმას ყვას ქონოხედერენ... ყვას-ნა ნოხენ... „ყვას მემოხენ"-და I 118_{10} კალია ამხტარა და ერთ ძმას შუბლზე შესჯდომია... შუბლზე რომ აზის... „შუბლზე მაზისო"... კვა II 102_{25} შუბლი... ჰამ—კვა II 112_{18} ეს — შუბლი... კოლი... კოჩის კვას ქონოხედუ II 50_{8} კალია... კაცს შუბლზე შეაჯდა...

თავკიდური **კ** **ვ**-ს წინ ჰანურში კანონზომიერად შეესაბამება ქართ. **ყ**-ს (იხ. ჰან. არამ. ანალ., § 6 ბ); იმავე პირობებში მეგრულისათვის ბუნებრივია **ც**; შდრ. მეგრ. ცვალი — ქართ. ყველი — ჰან. კვალი.

უ ‖ **ვ** ერთი და იგივე ფონეტიკური ოდენობაა, ოღონდ პირველი მახვილის მატარებელია, მეორე — არა; შდრ. თქუ — თქვა.

მნიშვნელობის მხრივ ერთგვარი გადახრა გვაქვს მეგრულში: აქ შუბლის აღსანიშნავად გზას იკაფავს წაბი (ქართ. წარბი), მაგრამ ცვა-ც დღესაც ძირითადი სიტყვაა ამ ცნებისათვის; მეგრულში რომ ცვა იყო შუბლის აღმნიშვნელი სიტყვა, სანამ წაბი შემოვიდოდა ხმარებაში, ამას მოწმობს გამოთქმა **ცვაჲ-ჭარა** — ბედი, ბედისწერა, სიტყვა-სიტყვით: შუბლისწერა — ცვაში-ჭარა; უცვაჲჭარე — უბედო, უბედური: ზედმიწევნით: „უშუბლწერო", — რომელსაც შუბლზე ბედი არ აწერია.

ქართული ყუა — ნაჯახის ყუა, პურის ყუა — შუბლს მოგვაგონებს ფორმით, — გამოზნექილობის მიხედვით. ისტორიულად ალბათ კი პირუკუ: შუბლისთვის „ყუა" (‖ ცვა ‖ კვა) გამოიყენეს ამ მომენტზე დამყარებით. თუ მეგრულისა და ჰანურის **ცვა** ‖ **კვა**-ს ეტიმოლოგია ყუა-შია მოცემული, ქართული შუბ-ლ-ი, როგორც ეს გამორკვეული აქვს აკად. ნ. მარს, იმავე ძირს შეიცავს, რაც სვან. სგუებინ — „წინ"[1]: შუბლი აღნიშნავდა წინა მხარეს თავისას.

10. ჰან. **ნუ-კუ** ‖ **ნუ-ნ-კუ** — ნიკაპი, ყბა, პირისახე, подбородок, лицо
მეგრ. **ნგ-კგ** ← ნუ-კუ ნიკაპი, подбородок
ქართ. **ნი-კაპ-ი** подбородок

ჰამ ნუკუ ონ II 112_{21} ეს ნიკაპია... სი მუშენი გიღუნ ნუკუ კორერი? II 83_{27} შენ რატომ გაქვს ყბა ახვეული... დივის ნუკუ

[1] წინ სიტყვა აფხაზურ-ადიღეური ჯგუფიდან შეთვისებული ჩანს.

გაქთუ II 37_{24} დევს ყბა მოექცა... არ ბერბელიშე მენდაფთა-მა, ფთქვი. ნუკუ დობიბღი II 55_{18} ერთი დალაქთან წავალ-მეთქი, ვთქვი. პირი გავიპარსე („ნიკაპი დავიყარე“, ნიკაპზე, ყბაზე წვერები დავიფერთხე)... ცხენის ნუნკუს-ნა ამუძინ, დიზგინი უწუმელან I 152_{19} ცხენს პირში რომ ამოსდებენ („ამოდებული აქვს“), [იმას] ლაგამს ეტყვიან...

ნიკაპი საბას განმარტებული აქვს, როგორც „ყბათ შესაყარი“; საბასავე ჩვენებით კაპუნი არის „ყბათა ყბის (კბილთ კბილზე B) ტკეცება“. აქედან ცხადია, რომ სიტყვაში **ნი-კაპ-**ი ძირეული მასალაა **კაპ-**, **ნი-** — კიდევ თავსართი (**ნი-** || **სი-** ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი).

კაპ- ძირის ბოლოკიდური თანხმოვანი არც მეგრულში[1] ჩანს, არც ჰანურში. მერე: მოსალოდნელი **-კო-**ს ნაცვლად აქ გვაქვს **-კუ**; **ო → უ** ბოლოში ბუნებრივია მეტადრე, თუ მომდევნო თანხმოვანი წყვილბაგისმიერია. ხოფურში **-კუ-**ს წინ ფონეტიკური დანართი **ნ-** (|| **მ-**) გვაქვს: **ნუ-ნ-კუ**...

მნიშვნელობა ამ სიტყვას მეგრულსა და ქართულში ერთი და იგივე აქვს, ხოლო ჰანურში მნიშვნელობა გაფართოების ტენდენციას იჩენს: ნაწილის — **ნიკაპის** — სახელი გადააქვთ მთელზე — პირისახეზე (იხ. მაგალ.), მაგრამ ძირითადი მნიშვნელობაც არაა დავიწყებული (იხ. მაგალ.).

11.	ჰან.	**პ-იჯ-**ი	პირი, პირისახე, рот, лицо			
	მეგრ.	**პ-იჯ-**ი	„	„	„	„
	ქართ.	**პ-ირ-**ი	„	„	„	„

ადა პიჯი ენ I 159_{27} ეს პირია... იმხორტუ-ში, დემირიში ფარჩა პიჯის ქომულერენ I 117_{19} რომ ჰამდა, რკინის ნაჭერი პირში ჩავარდნია... ბერექ ხე პიჯის მუითუ I 64_{6} ბავშვმა ხელები პირისახეზე აიფარა... ბერე ვა ღურელერენ, ამმა პიჯი, თოლი დვაჭვერენ I 64_{7} ბავშვი არ მომკვდარა, მაგრამ პირისახე, თვალები დასწვია... მთელი პიჯი ონ II 112_{22} მთლად პირია (პირისახეა)... პიჯის უფი ნოხვამს II 67_{18} სახეზე („პირისახეზე“) ოფლი ასკდება... პიჯი იბონს II 4_{4} პირს იბანს... სი პიჯი ვარ მეჩიკო, ჰადა ვარ

[1] შეიძლება ეს ძირი იყოს შენახული მეგრულ წყევლაში: კაპუქ ჭიგჲტკოლჲ!— კაპ-უ-მც ჩაგივარდა, ე. ი. ნიკაპი ჩაგივარდეს! (?!).

ახვენეტუ II 16_{14} შენ რომ პირი არ შეგეთქვა („არ მიგეცა"), ამას ვერ იზამდა... დიჩინდა-ს-ის, პიჯი მუშიშე ფურჭი დიბღენ II 90_{16} რომ დააცხიკვებს, მისი პირიდან ყვავილი ცვივა... ფელუკა მზოლა პიჯიშა ქაგჲოჩქვეს I 156_{31} ნავი ზღვის ნაპირისაკენ („პირისაკენ") მიმართეს...

ამ სიტყვის ძირი პ- თანხმოვნითაა წარმოდგენილი; **-ირ-** || **-იჯ-** ფუძის დეტერმინანტი-სუფიქსია. მნიშვნელობა არსებითად ერთნაირია; ეს კია, რომ ქართულში ამ ფუძეს აქ მოხსენებულის გარდა სხვა მნიშვნელობაც გააჩნია: პირი — პიროვნება (გარეშე პირი), გრამატიკული კატეგორია (ზმნის პირი)... აქედანვეა პირველი... მეგრ. პიჯი გააჯუ — პირი გააღო, პიჯი გიბონუ — პირი დაიბანა, პიჯი გიქოსუ—პირი შეიხოცა; აქედან: პიშ-ქოსალი = პიჯიშ-ოქოსალი — პირსახოცი; გარეშე პიჯი — გარეშე პირი (ქართული სალიტერატურო მეტყველების სტანდარტული თქმის ანალოგონი!)...

12. ჭან. **ლე-შჭ-ი**	ბაგე,	ტუჩი, губа
მეგრ. **ლე-ჩქვ-ი**	,,	,, ,,
ქართ. **ლა-შ-ი**	,,	,, ,,

ჰამ ლეშქეფე ონუ II 103_{14} ეს ტუჩებია... ლეშქი II 106_{32} ტუჩი... ამ ლეშქი'ნ II 112_{21} ეს ტუჩია...

ამჟამად სალიტერატურო ქართულში ტუჩი და ბაგე იხმარება; ამათგან ბაგე მეორდება ჩაჩნურში (ბაგა—პირი, рот: Услар, Чеч. яз., გვ. 159), ტუჩი—სომხურში (**դուձն**), ლაში კი დიალექტებში იხმარება „პირუტყვის ქვეითა ტუჩის" მნიშვნელობით.

კახეთში თურმე ადამიანზედაც იტყვიან: „რატომ ასე გადმოგიგდია ლაშიო". საბას განმარტებით ლაში—„პირის ქვედა ბაგე". მაგრამ ამ სიტყვას საბა იყენებს, როგორც ზოგადი მნიშვნელობის მქონეს, როცა ბაგე-ს განმარტავს: „**ბაგენი** არიან კაცთა პირთა ორნივე ლაშნი" (იხ. საბა, **ბაგე**). ხევსურულშიც ლაში ზოგადად ბაგეების მნიშვნელობით არის გამოყენებული: „კაცმ სასმელს ლაშნ არ უნდა აურთხნას" (იხ. ბეს. გაბურია, წელიწდეული, გვ. 123—124; ავტორის განმარტებით ლაშნი—„პირი, ბაგე, ტუჩები", (იხ. იქვე, გვ. 284).

ამისდა კვალად, ლაში ძირითად სიტყვად უნდა დავსახოთ გარკვეული ცნებისათვის ქართულში. ჰანური ლეშქი და მეგრული

ლ ე ჩ ქ ვ ი იგივე ფუძეა; **ლე-** || **ლა-** თავსართი **ნე-** || **სე-** თავსართის ფუნქციისაა (წივთის კატეგორიის ნიშანია). ძირეული **შ** ჰანურში **შქ-**თია წარმოდგენილი: **-ქ-** ბგერა გახვითარებულია; მეგრულში **შქ-**ს ენაცვლება **-ჩქ-**: გასარკვევია მხოლოდ **ვ-**ს სადაურობა მეგრულ **ლეჩქვ-**ში: ეს **ვ** ჰანურს არ მოეპოვება; რადგანაც უკანაენისმიერთა შემდეგ **ვ-**ს დაკარგვა ჰანურში ხშირია (იხ. **ჩხინდ-**, **შქით-**), ამიტომ ბუნებრივია აქაც მეგრულის **ვ-**იანი ვარიანტიდან ამოვიდეთ და ჰანურში **-ვ-** დაკარგულად მივიჩნიოთ, მაგრამ ეს გვავალებს **-ვ-** ქართულშიც ვივარაუდოთ: ლა-**შ**-ი ← ლა-**შვ**-ი.

ლ ე შ ქ-ი ათინურსა და ართაშნულს ახასიათებს. ხოფურში და ვიწურ-არქაბულში ჩ ა ბ რ-ი იხმარება ლ ე შ ქ-ის ნაცვლად (I 159_{27}).

13. ჰან.	**ღვ ა ← ღვ-ალ-**	ლოყა,	щека
მეგრ.	**ღვ-ა ← ღვ-ალ-**	„	„
ქართ.	**ღ-ა-წვ-ი**	„	щека, ланит

ამა ღ ვ ა ენ (დიდო — „ღვაეფე“ იყვენ) I 159_{25} ეს ლოყაა (ბევრი — „ღვაეფე“ იქნება)... აქედან ჩანს, რომ ღ ვ ა ← ღ ვ ა ლ-: ღ ვ ა ე ფ ე ← ღ ვ ა ლ-ე ფ ე... **ა-** ხმოვანზე რომ ბოლოვდებოდეს ფუძე, მრავლობითში ღ ვ ა-ფ-ე გვექნებოდა (იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 8 ა, შენიშვნა, გვ. 24 და § 15 ბ, გვ. 61 62)... ღ ვ ა II 102_{22}... ასლანიშ ბიჭიქ დივის ღ ვ ას არ ზოი ქოგამოჭკიდუ II 37_{19} ლომის შვილმა დევს ლოყაზე ერთი მაგრად გააწნა („გადააწყვიტა“)...

ჰანური და მეგრული ღ ვ ა მიღებული უნდა იყოს **ღო-**საგან, რომელიც ქართულ **ღა-**ს შეესაბამება: ღა || ღო → ღ ვ ა. შდრ. ქართ. ყ ა ნ ა — ჰან. (არქ.) ჭ ო ნ ა — მეგრ. ჭ ვ ა ნ ა.

მეგრულში შემონახულა გამოთქმა ღ ვ ა დო კ ი რ ტ ა: ქიცანაში ღ ვ ა დო კ ი რ ტ ას ქიგიტკოლუ — ყბად ასაღები გახდა: „ქვეყნის ლოყასა და კლიტეში ჩავარდა“: ღ ვ ა დო კ ი რ ტ ა — ქართ. „ღაწვთა კლიტე“ (?!).

ქართ. **ღა-წვ-**ი კომპოზიტი ჩანს; მეორე ფუძის მნიშვნელობა გასარკვევია. აღსანიშნავია, რომ მეგრულში წარმოდგენილია ეს კომპოზიტი ღ ვ ა-ნ-წ კ ი-ს სახით: **წ-**ს შემდეგ **კ-** არის განვითარებული, **წ-**ს წინ — **-ნ-**; **ვ-** დაკარგულია. ღ ვ ა ნ წ კ ი ნიშნავს ლოყას, ყბას.

14. ჰან. **ნე-ნა** ენა, სიტყვა, язык, слово
მეგრ. **ნი-ნა** ენა, язык
ქართ. **ე-ნა** язык
სვან. **ნი-ნ** ენა, язык

ია ნენა ენ (ხოფ.) ის ენაა... ბეეფე მუშის უწვეენ-ქი „სჳმ ნენა გიწუმეთ“-ჲა... „მიწვით-ჲა, ვოქაჩამინონან-ჲა სქანი ნენა!“ I 13_{29-31} თავისი შვილებისათვის უთქვამს, რომ სამ სიტყვას გეტყვითო... „გვითხარით-ო, შევინახავთ („დავიჭერთ“) შენს სიტყვასაო!“... ჰიჩ ნენა ვა ეშიღუ II 11_{27} სულ კრინტი არ დაძრა („სულ სიტყვა არ ამოიღო“)... ჰათეფე ნენათე ოკაკიდეს II 44_{12} ესენი წაიკიდნენ („სიტყვით შეიბნენ“)... მჯვეში ოპარამითონი ნენა რენ დო ჩქუ ვა მიჩქინან II 69_{14} ძველი სალაპარაკო სიტყვაა და ჩვენ არ ვიცით... ართიქართის პატი ნენა მო უწუმეთ II 63_{27} ერთმანეთს ცუდს სიტყვას ნუ ეტყვით... ჰამ ნენა ონუ II 103_{1} ეს ენაა... იხ. აგრეთვე: II 112_{23} (აქ ნენა სხეულის ასოს აღნიშნავს).

ძირეული **-ნა** ჩანს; **ნე-** ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართი უნდა იყოს; ძირეულ **-ნა**-ს სვანურში ბოლოკიდური **-ა** აქვს მოკვეცილი, რაიც სვანურისთვის ჩვეულებრივია; **ნე-** თავსართის **ე** **ი**-დ არის დავიწროებული მეგრულში; მეგრული ნინა აქვს გამოყენებული სვანურს. ქართული **ე-**, ალბათ **ჰე**-საგანაა მიღებული: ეს თავსართი ფუნქციით უდრის **ნე**-ს, ხოლო აგებულებით განსხვავებულია: **დე-** || **ნე-** || **სე-** || **ჰე-** [1].

მნიშვნელობის მხრივ თავისებურია ჰანურში მისი გამოყენება სიტყვის აღსანიშნავად (იხ. მაგალით.).

15. ჰან. **ცა** ცა, მაგარი სასა, небо, нёбо
მეგრ. **ცა** ” ” ”
ქართ. **ცა** небо

ნენაში ცა... II 103_{14} მაგარი სასა („ენის ცა“)... მთელი პიჯინონ...დოლოხო ჯინ ცა ონ II 112_{22} სულ-ერთად პირია... შიგნით ზევით ცა არის...

ჰან. ცა, ეჭვი არაა, გადატანითი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა „ცა“-ა; ეს მჟღავნდება გამოთქმაში: ნენაში ცა (იხ. ზე-

[1] ამავე რიგისა უნდა იყოს ა←ჰა: **ა-დგ-ილ-ი, ა-ბან-ო.**

მოთ, პირველი მაგალითი, ათინელის თქმით ჩაწერილი). ართაშნელი მუსა გულაბერ-ოღლი, რომელსაც მეორე მაგალითი ეკუთვნის, მარტოოდენ ცა-ს ხმარობს; მსაზღვრელი (რისი ცა? ენისა!) საჭირო აღარ არის.

16. ჰან.	**კიბ-ირ-ი** ‖ **კიბ-ი-ი**	კბილი,	(ნისკარტი),
	‖ **კიბ-რ-ი**[?] **ჭიბ-რ-ი-** ‖ **კირბ-ი**	зуб,	(клюв)
მეგრ.	**კიბ-ირ-ი**	,,	—
ქართ.	**კბ-ილ-ი**	,,	—

აჲა კიბიი ენ I 159_{27} ეს კბილია... ქოთუმეს, ბიბის, მამულის, კაზის, კვინჩეფეს — კიბიი ულუნ I 153_{9} ქათამს, იხვს, მამალს, ბატს, ჩიტებს „კბილი“ (ნისკარტი) აქვს... კოჩიში-ი?... კიბიი ვუწუმეთ: კოჩიში კიბირეფე იყვენ — წოხლენე, ფართო, ჲანეფეში მწკილი, ოკაჩხენეფე მჩხუ დო მუგვალი, ქჲოქოში კიბირეფე I 153_{12-14} კაცისას? კბილს ვეტყვით: კაცის კბილი იქნება — წინა, ფართო, გვერდისა — საჭრეთელი, უკანანი — მსხვილი და მრგვალი, ძირის კბილები... კიბირის მუთხანი ქოდოლოშოსქუდუ II 74_{28} კბილში რაღაც ჩამრჩა... კირბი II 106_{32} კბილი (ათინ.)... ჯირჯილი კიბრი II 103_{13} ძირა კბილი, „ღრძილის კბილი“... ჰამ — ჭიბრი II 112_{22} ეს—კბილი... კიბრი მუკო თანე იენ? ეჩდოვიტოჭურ! მემჯღონი კიბრი — წოხლე-ნა ონუ, თუთხუ ონუ, ჩინარიში — ჯირჯილი კიბრი II 103_{12} კბილი რამდენი იქნება? ოცდათორმეტი! წინა კბილი — წინ რომ არის, თხელია, გვერდის („ნაპირის“) — ძირა კბილი („ღრძილის კბილი“)...

ძირეული მასალა ჰანურსა და მეგრულში არის კიბ-, ქართულში კბ-. ეს უკანასკნელი კიბ-ისაგანა მიღებული — ი-ს[1] დაკარგვით(!) **-ილ** სუფიქსის დართვასა; **-ილ** სუფიქსის ადგილას მეგრულში **-ირ** გვაქვს, ჰანურში **-ირ** და **-რ**. კ → ჭ ათინური კილოკავის ზოგი თქმისთვისაა დამახასიათებელი (იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 8 ვ). კირბ-ი მიღებულია კიბ-რ-ისაგან **რ**-ს გადასმით; კიბ-ი-ი **რ**-ს დაკარგვითაა მიღებული (ჩვეულებრივია სარფულში).

[1] ანდა: რაკი ი-ს რედუქცია ქართულს არ სჩვევია (რა ეპოქებში?), შეიძლებოდა დაკარგულად ო- გვეგარაუდებინა; მაშინ ჰანური ი ამ ო-ს იქნებოდა შენაცვლებული — უ-ს მეშვეობით.

მემჯღონი კიბრი — წინა კბილი, „მღოლი კბილი", передний зуб
მწკილი კიბრი (ხოფ.) — საჭრეთელი კბილი, резец
ჯირჯილი (იხ.) კიბრი — „ღრძილის კბილი", коренной зуб

17. ჭან. **ჯირჯ-ილ-**ი ღრძილი, десна
მეგრ. **ჯირგ-ილ-**ი „ „
ქართ. **ღრძ-ილ-**ი „

ჰამ ჯირჯილი'ნ II 112_{23} ეს ღრძილია... ჯირჯილეფე მაწუნუ II 103_{13} ღრძილები მეტკინა... იხ. აგრეთვე: ჯირჯილი(შ) კიბირი (კიბრი) — **კიბ-ირ-**თან...

მეგრულში ღრძილის აღსანიშნავად იხმარება ნოლ-ი (ქართ. ნუნა?); მაგრამ გამოთქმაში „ჯიგ-იშ კიბირი" მოცემული ძირი ჯიგ- უნდა ყოს იგივე ჯირჯ-; ამას ადასტურებს ი. ყიფშიძის ჩვენება, რომ სამურზაყანოში ღრძილისთვის იხმარება ჯირგ-ილ (მეგრ. გრამ., ლექსიკონი, გვ. 298, იხ. **ნოლი**).

ჭან. ჯირჯ-ის კავშირი ღრძ-სთან ეჭვს გარეშეა: ქართ. ღრძ— ჭან. ღირჯ- → ჯირჯ-; **-ილ-** სუფიქსი საერთოა.

ჯირჯილი ათინურია; ხოფურში იხმარება **ღენჯგილი** (‖ღინჯგილი — ნ. მარის ჩვენებით): აჲა ღენჯგილი ენ I 159_{27}; ამ სახელის ძირი უნდა იყოს **ჯგ-**(— ჯიგ-): ღენ-**ჯგ**-ილ- (იხ. მეგრ. ჯიგიში კიბირი — „ძირა კბილი", სიტყვა-სიტყვით: „ღრძილის კბილი").

ღენჯგ-ილ- ‖ ღინჯგ-ილ- სახელისაგან აწარმოები მეგრულში ზმნა: **ი-ლინჯგინ-**ან-ს — „იღრიჯება", „იკრიჭება" — იცინის უშნოდ, ღრძილების გამოჩენით (ქართ. ღრეჯა, ალბათ, იმავე ძირისაა, რაც **ღრძ-ილ-**ში გვაქვს... თუ ეს ასეა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს **ჯ-**იანი ვარიანტის გამოჩენას ქართულში — იხ. აქვე, შესავალი, გვ. 7—8).

18. ჭან. **ფიბ-ილ-**ი ‖ **ფიმბ-ილ-**ი —წვერი (წვერ-ულვ.),
‖ **ფიმფ-ილ-**ი ‖ **ფინფ-ილ-**ი борода
მეგრ. **ფიმფ-**ი ფოჩი სიმინდისა, кисть по-
ქართ. — чатка кукур.

გინძე ფიმფილის მუთხანი ქამეწკუ დო ისთოლუ I 13_{23} გრძელ წვერზე რაღაც ჩამოხსნა და გადააგდო... ფინფილეფე სქა-

ნიშ კურბანი ვიდა, ბაბა ჩქიმი-ა! ფ ი ნ ფ ი ლ-ფუქირა, ბაბა-ჩქიმია! II 141_{12} (ხოფ.) შენი წვერების სანა ჯლოდ წავიდე, მამა ჩემოო! ვარდ-წვერება („ყვავილ-წვერება"), მამა ჩემოო!... ფ ი ნ ფ ი ლ ო ნ ე ფე ბძირა-ში... II 141_{6} წვერებიანებს რომ ვნახავ... „დინჯირა-შ-კულე სკურაჴითე ფ ი მ ფ ი ლ ი ს თუდე ჟურ თომა ქანუკვათი!" II 10_{9} როცა დაიძინებს, სამართებლით წვერს ქვევით ორი ღერი თმა წაჭერი!.. ბადი კოჩი ფ ი მ ბ ი ლ ი უღუნ, ფიმბილონი ონუ II 103_{17} მოხუცს წვერები აქვს, წვერებიანია... ბუჯული, ფ ი ბ ი ლ ი II 106_{30} ულვაში, წვერები...

ამ ძირის მარტივი სახე უნდა იყოს **ფიბ-**‖**ფიფ-**; **მ-** ფონეტიკურად არის განვითარებული. მეგრულში **მ**-იანი სახეობაა წარმოდგენილი სახელში, ისიც მნიშვნელობის გადახრით: ადამიანის წვერი კი არა, სიმინდის ფოჩი! ჰანურის მსგავსად მეგრულშიც **ფიფ-**‖**ფიმფ-** ძირი უნდა ყოფილიყო გამოყენებული „წვერის" აღსანიშნავად, რომ მ ი მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ სიმინდის ფოჩისათვის დაერქმიათ ფ ი მ ფ-ი. სიმინდის კულტურა სულ ორი საუკუნის წინ შემოვიდა ჩვენში; მაშასადამე, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მეგრულად ფ ი მ ფ-ი წვერს (борода) ნიშნავდა და ახლანდელი ფ რ ი მ-უ ლ-ის მაგივრობას ეწეოდა.

რომ ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, ჩანს ზმნიდან **უფიფ-** ან-ს: ფრიმული უფიფანს—წვერები გაშლით აყრია; უ ფ ი ფ ა ნ ს ნასახელარი ზმნაა; მას საფუძვლად უდევს **ფიფ-** ძირი (სახელისა).

19.	ჰან.	**ყ-ალ-ი**‖**ჭ-ალ-ი**‖**ალ-ი**	ყელი, горло
	მეგრ.	**ჭ-ალ-ი**	„ „
	ქართ.	**ყ ელ-ი**	„ „

სი ინჯირა-ში-ა, ყ ა ლ ი სკურაჴითენ მეგოჭკირასუნონ-ჲა!... მეხთერენ, ყ ა ლ ი ს სკურაჴითე ჟურ თომა ნუჭკირასუნტერენ... „მა ყ ა ლ ი მემოჭკირაგინტურ-ი"-აʔ I $15_{20-21,\ 24-26}$ შენ რომ დაწვებიო, ყელს სამართებლით გამოგჭრისო!... მისულა, სამართებლით ყელზე ორი ღერი თმის მოჭრა ნდომებია... ჩემთვის ყელის გამოჭრა გინდოდაო?... ც ა ლ ი კ ა ლ ა... II 10_{17} ყელთან... „სი მა ც ა ლ ი მემოკვათატი, ჰო-იʔ" II 10_{19} შენ მე ყელსა მჭრიდი, არა?... არ თილისიმი ქუღუტუ, ც ა ლ ი ს დოლობუტუ II 91_{12} ერთი თილისმა ჰქონდა, ყელზე ეკიდა... თილჩი ც ა ლ ი ნუკვათამს დერემენჯიქ II 95_{31} მელიას ყელსა ჭრის მეწისქვილე... ჰემუქ-ნა გამამოჭკიდუ-ჲა,

ც ა ლ ი გომაჭიმოშუ-და II 37_{36} იმან რომ მ[ხ]ლიშაო, ყელი მო-მელრიცაო... მძი(რ)ეს-შ-კულე (ც)ა ლ ი ს დოლომაკიდეს II 54_{21} რო-ცა გვნახა, ყელზე ჩამოგვეკიდა... ც ა ლ ი II 102_{25} (ათინ.)... ც ა ლ ი II 109_{22} (ართ.)... მით იდუშუნ სევდა, ა ლ-გელაქთერი II 148_{9} რად ფიქრობ, სატრფო, ყ ე ლ-მოღერებული... (ლექსში გვაქვს ეს **ალ-**; ლექსი სარფელისაგანაა ჩაწერილი, მაგრამ ათინური წარმოშობისა უნდა იყოს: ხოფურად **ცალ-** იქნებოდა... ათინურისთვისაც **ალ-** სავალდებულო როდია: **ცალ-** არის ხშირი, **ალ-** კი შესაძლო ვარიანტია... **ც**-ს შესახებ ათინურში: იხ. ჭან. გრამ. ანალ., § 6 ა, გვ. 15—16)...

ჭანური და მეგრული კანონზომიერად შეესაბამება ქართ. **ყელ**-ს; ოღონდ მეგრულში ეს სიტყვა თითქმის გამოდევნილია კ ი ს ე რ-სიტყვით; ს ა ბ ა ს განმარტებით კ ი ს ე რ ი არის „ქედი და ყელი“ (იხ. ლექსიკ.): ქ ე დ-ი უკანა ნაწილი, ყ ე ლ-ი—წინა; აქედან: ქ ე დ-მ ა ღ ა ლ ი, ქ ე დ-ფ ი ც ხ ე ლ ი, ქ ე დ-მ ა ღ ლ ო ბ ა, ქ ე დ-ფ ი ც ხ ლ ო ბ ა... ქ ე დ ი ხ ა რ ი ს ა... ჭანურში ამის შესაბამისად გარჩეულია ჯ ი ნ ი ქ-ი (ქედი) და ყ ა ლ- || ც ა ლ-... მეგრულში განირჩეოდა კ ი ნ ჩ ხ-ი და ც ა ლ-ი; პირველი ახლაც იხმარება გამოთქმებში კ ი ნ ჩ ხ ი მ ი ო ტ ა ხ ა ფ უ—კისერი მოატეხინა; მეორე შემონახულია ნაწარმოებ სიტყვაში: ო-**ცალ**-ე უ-ი (ო-**ყალ**-ე უ-ი) — საყელო, „სა-ყელ-ის-ი“. მაგრამ ორივეს ნაცვლად ჩვეულებრივ იხმარება კ ი ს ე რ-ი; აქედან: კ ი ს ე რ-ე ყ ე ლ ჭ ი რ ვ ე ბ ა, ქუნთრუშა; იმერეთშიც დადასტურებულია კ ი ს ე რ-ა, კ ი ს ე რ-ბ ა ტ ო ნ ე ბ ი (იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყ. კონა). ა. ჭ ყ ო ნ ი ა ც მიუთითებს რაზიკაშვილის დამოწმებით ამ სიტყვაზე: კ ი ს ე რ ა—კისერმოღრეცილი, ქუნთრუშა (აღმოსავლეთ საქართველოში?).

20. ჭან. **ხ-უჯ-ი** || **მ-ხუჯ-ი** || **ფ-ხუჯ-ი** მხარი, плечо
მეგრ. **ხ-უჯ-ი** „ „
ქართ. **მ-ხ-არ-ი** || ძვ. ქართ. **მ-კ-არ-ი** „

ა ძ ა—ფ ხ უ ჯ ი I 159_{29} ეს—მხარი... ჰა ძ—მ ხ უ ჯ ი II 102_{30} აქ—მხარი... ჰამ—ფ ხ უ ჯ ი II 112_{13} ეს—მხარი... ტოფეი მობიდვა ხ უ ჯ ი ს II 25_{14} თოფი გავიდვა მხარზე...

ძირეული **ხ**- (ძვ. ქართ. **კ**-) დაირთავს ქართულში **-არ** სუფიქსს, ჭანურსა და მეგრულში **-უჯ**—**ოჯ** სუფიქსს; ეს უკანასკნელი შეესაბამება ქართ. **-არ**-ს. თავკიდური **მ**- ფონეტიკურად არის განვითარებული ქართულშიც და ჭანურშიც; ამ უკანასკნელში **მ**-ს **ფ**-ც ენაც-

ვლება; სიტყვა ამათ დაურთავადაც გვხვდება. ძირითადი მნიშვნელობა ამ ძირს სამსავე შესადარებელ ერთეულში ერთი და იგივე აქვს.

21. ჰან. **ხ-ე—ხ-ელ-** ხელი, рука
მეგრ. **ხ-ე—ხ-ელ-** „ „
ქართ. **ხ-ელ**-ი (ძვ. ქართ. **კ-ელ**-ი) „

ჩქინი'სთეი ხე უღუნ-და I 118_{21} ჩვენსავით ხელი აქვსო... ხანუმის ხეს ქოგჲაკნერენ I 15_{25} ქალბატონს ხელში წვდომია... ხე ვა უღუტას-ში უხერელი ვუწვამინონ I 152_{14} ხელი თუ არა აქვს, „უხელოს“ დავუძახებ... არ ბიგა ხეს ქოდიჰაჩუ... II 14_{15} ერთი ჯოხი ხელში დაიჭირა... ხე II 102_{32}, 112_{14} ხელი... ჰამ—ხე-გური II 112_{14} (ართ.) ეს—ხელისგული... ხეში გური II 102_{32} (ათინ.) ხელის გული... ხეში კაპულა II 102_{33} (ათინ.), 112_{14} ხელის ზურგი... თილჩი ოზუმაშში ფარა სო უღუნ... ხეში უღუნ და ჟურ ხეში!? II 96_{27} მელიას ასაწყველი („საწყავით საზომი“) ფული სადა აქვს... მუჭა აქვს, თუ ორი მუჭა?... ხე-კუჩხეს-თი ჰამი დუხენუ, ხე-კუჩხე-თი ქოგანწკუ II 19_{23} ხელ-ფეხისთვისაც წამალი გაუკეთა, ხელ-ფეხი გაეხსნა... თოლი-ქჲორის თოლი გუნწკამს, ხე-კუჩხე კორელის ჰენთეფე გუნწკამს II 17_{31} ბრმას თვალს აუხელს („გაუხსნის“), ხელ-ფეხ შეკრულს (ე. ი. კუტს) ამათ გაუხსნის...

მეგრულში ეს ფუძე აღიდგენს ბოლოკიდურ **-ლ**-ს მრავლობითში: ხელ-ეფ-ი; ჰანურში კი შეიძლება გვქონდეს, როგორც **-ლ**-იანი ფორმა, ისე უ-**ლ**-ო: ხელ-ეფ-ე || ხე-ფ-ე...

ძვ. ქართულში ამ ფუძეს ქონდა **კ**-, მაგრამ ეს ბგერა **ხ**-თი შეიცვალა ახ. ქართულ სალიტერატურო ენაში; ასეთივე ცვლილება განიცადა, ალბათ, ჰანურმა და მეგრულმა.

აქედან ნაწარმოებია:

1. ჰან. **ხე-გურ**-ი || ხეში გურ-ი ხელისგული, ладонь
მეგრ. **ხე-შჲა-გურ**-ი „ „
ქართ. **ხელის გულ**-ი „
2. ჰან. **ხეში-კაპულა** ხელის ზურგი
3. ჰან. **ხე-დულ-ი** (იხ. **დურჟუ**) იდაყვი, локоть
მეგრ. **დუც**-ი „ „
ქართ. ი-**დაყ**-ვ-ი „
4. ჰან. **ხეში** მუჭი; „აელეული“, пятарь коньа, горсть, маленький сноп

5. ჭან. **ხე-კუჩხე** ხელ-ფეხი, руки и ноги
მეგრ. **ხე-დო-კუჩხ-ი** „ „ „
ქართ. **ხელ-ფეხ-ი** „ „

22. ჭან. **დურყ-უ** M ‖ **დუყ-უ** M ‖ **ხეშ-დიუ** M ‖ **ხე-დულ-ი** იდაყვი, локоть
მეგრ. **დუჭ-ი** „ „
ქართ. **ი-დაყ-ვ-ი** ‖ **ნი-დაყ-ვ-ი** „

ქართულში ამ სიტყვის ძირად გამოიყოფა **-დაყ-**; **ი-** ‖ **ნი-** თავსართი იმავე ღირებულებისაა, როგორც **სი-** სახელში **სი-სხ-ლ-ი**... **-ვ-** ბოლოსართი ფუძის საწარმოებელია...

ქართ. **დაყ-**ს შეეფერება **დუყ-** ← **დოყ-** (იხ. მეორე ვარიანტი); **ყ-**ს წინ **-რ-** ფონეტიკურადაა განვითარებული **დურყ-უ-**ში...

რ-ს ასეთი წარმომავლობა დასტურდება მეგრულის ჩვენებითაც: **დუჭ-ი**... ბოლოკიდური **-უ** ჭანურში **-ვ-ი**-საგან მიღებული ჩანს. მეგრულში იგივე **-ვ-** დაკარგულია **ი-**ს წინ...

ხ ე შ-დ ი უ ნ. მ ა რ ი ს ჩვენებით არქაბულში იხმარება; აღწერითი წარმოებაა: ხელის იდაყვი... **ყ-**ს რეფლექსი გამქრალია... ართაშნულ ხ ე-დ უ ღ-ში მკვეთრი **ჭ** შეცვლილია მჟღერი **ღ-**თი.

დაყ- (ი-**დაყ-ვ-**) იგივეა, ალბათ, რაც **დლაყ-ვ-ი** („ცხოელთ მკლავი“ ს ა ბ ა ს განმარტებით).

ზემოხსენებული ჭანური ვარიანტებიდან პირველი სამი ნ. მ ა რ ს ეკუთვნის (იხ. ჭან. გრ., გვ. 141)... ტექსტებში გვაქვს მხოლოდ უკანასკნელი ხ ე-დ უ ღ ი: II 112_{14}.

23. ჭან. **მე-მ-ცხვ-ერ-ი** ‖ **მე-ცხ-ულ-ი** „სახსარი“, сгиб (пальца)
‖ მე-ნ-ცხ-ურ-ი M ‖ მე-მ-ცხ-ურ-ი M
მეგრ. **სა-რ-სხ-ალ-ი** (‖ „მე-რ-სხ-ელ-ი“) „ „
ქართ. **სა-ხს-არ-ი** ‖ **სა-კს-არ-ი** „

ქართულში ძირეული მასალა **კს-** ‖ **ხს-** იგივეა, რაც **კსნ-ა** ‖ **ხსნ-ა-**ში გვაქვს. მეგრულში ეს კომპლექსი გადასმითაა წარმოდგენილი, მათ წინ **რ-** არის განვითარებული; ჭანურში ამ **რ-**ს ადგილს **მ** იჭერს, ხოლო **სხ- ცხ-**ს სახეს იღებს (**-ვ-** ‖ უფიქსი?). პრეფიქს-სუფიქსების მხრივ ქართული და მეგრული ერთმანეთს მიყვება, ჭანური განსხვავდება.

თავკიდური **მე-** პრევერბია, ფუძე კი ნამყო დროის მიმღეობას წარმოადგენს: მე-მ-სხვ-ერ-ი; შდრ. მეგრ. „მერსხელ-ი“, „მერსხუაფილი“; მეგრულსა და ქართულში კი ეს სიტყვა მყოფადი დროის მიმღეობაა წარმოშობით: **სა-** — **-არ** || **-ალ**...

ნ. მარის მიერ დადასტურებული **მე-ნ-ცხურ-ი** || **მე-მ-ცხურ-ი** **-ურ-**ს იძლევა **-ვერ-**ის ნაცვლად; **-ნ-** || **-მ-** ერთმანეთს ენაცვლება. ართაშ. მე-**ცხ**-ულ-ი ყველაზე მ.რტივია...

მენცხური ნ.მარს ათინურისთვის მოჰყავს; კითიში მემცხვერეფე II 102_{33} „თითის სახსრები“... ათინელ ალი კანთარ-ოღლისგან ჩაწერილ ტექსტებში გვხვდება... ხეში მეცხული: არ კითის სუმ მეცხული უღუნ II 112_{15} ხელის (!) სახსარი: ერთ თითს სამი სახსარი აქვს... შდრ. ათინელ ალი კანთარ-ოღლისგან ჩაწერილი: არ კითის სუმ მენდრიკონი უღუნ, კითიში მემცხვერეფე II 102_{33} ერთ თითს სამი სახსარი აქვს, თითის „სახსრები“... აგრეთვე არქაბელებთან ჩაწერილი: არ კითის—სუმ მედრიკონი, ჟურ (!) მემცხვერი II 76_{17} ერთ თითზე—სამი „სახსარი“, ორი „სახსარი“ (იხ. ქვ.)...

24. ჰან.	**მე-დრიკ-ონ-ი**	მოსადრეკი, სახსარი თითისა,	
	მე-ნ-დრიკ-ონ-ი || **მე-ნ-დიკ-ონ-ი**	сгиб, сустав пальца	
მეგრ.	**-დირიკ-**	დრეკა, гнуть	
ქართ.	**დრიკ-** || **დრეკ-**	„	

ადა მენდიკონი ენ ... არ კითის სუმ მენდიკონი უღუნ I 159_{29} ეს სახსარია („მოსადრეკია“, მოსახრელია)... ერთ თითს სამი სახსარი აქვს... არ კითის სუმ მედრიკონი, ჟურ მემცხვერი II 76_{17} ერთ თითზე სამი სახსარი, ორი მოსახრელი... არ კითის სუმ მენდრიკონი უღუნ... II 102_{33} ერთ თითს სამი სახსარი (მოსახრელი) აქვს...

ხოფელი, არქაბელი, ათინელი ერთხმად ამბობს—თითში სამი „მედრიკონიაო“... ეს უკანასკნელი, ამგვარად, სახსარს ნიშნავს. მემცხვერი კი მოსახრელ ადგილებს აღნიშნავს. ამიტომ შეიძლება ითქვას: თითს სამი „მედრიკონი“, ორი „მემცხვერი“ აქვსო, ე. ი. სამი სახსარი და ორი მოსახრელი ადგილი...

არქაბული „მე-**დრიკ**-ონ-ი“ ამოსავალია ათინური „მე-**ნ-დრიკ**-ონ-“ ისათვის: აქ **-ნ-** არის განვითარებული; ხოფ. მე-ნ-დიკ-ონ-ს **-ნ-** განვითარებული აქვს და **-რ-** დაუკარგავს.

ძირი **დრიკ-** იგივეა, რაც ქართ. **დრიკ-** || **დრეკ-**, მეგრ. **დი-რიკ-**...

25. ჰან. **კი-თ-ი** თითი, палец
მეგრ. **კი-თ-ი** „ „
ქართ. **თი-თ-ი** „

მა ხუთ კითი მილუნ I 159_{29} მე ხუთი თითი მაქვს... კითი შქიმ ონუ II 102_{33} თითი ჩემია... ჰამ—ხეშ კითეფე II 112_{15} ეს—ხელის თითები... არ კითი-კონაი კაჲმაღი ქეჲობუ II 13_{5} ერთი თითის სისქეზე ერბო... დაასხა... ჭუტა კითი II 76_{22} ნეკი, „პატარა თითი“... წუტა კითი: დელიკანლის სოლი ხეში წუტა კითის ალთუნიში მაწკინდი მოძინ II 2_{16} ახალგაზრდას მარცხენა ხელის ნეკზე ოქროს ბეჭედი აქვს წამოცმული... ჰმ — წულუ კითი II 113_{1} ის — ნეკი... ჰკონი კითეფე ოკოპკიდით დო აშო ფთქვით... I 129_{4} ნეკები ერთმანეთს გადავაჭდეთ და ასე ვთქვით... ჰამ ოშქენანი კითი—II 113_{1} ეს შუა-თითი...

ძირეულია **-თ-**; მეორდება ქართულში; ჰანურში, მეგრულში მას წინ უძღვის სხვა ძირი, საფიქრებელია იგივე, რაც **აკა**-ში გვაქვს: **აკა**—ერთი (აფხაზ. აკ̌ə—ერთი: Услар, Абх. яз., გვ. 141,77); კითი — ერთი თი-თი (?). სწორი უნდა იყოს ის მოსაზრება, რომელსაც ზოგი მკვლევარი აყენებს, როცა ხუ-**თ**-ში, ერ-**თ**-ში თითის აღმნიშვნელ ძირს ვარაუდობს.

საინტერესოა, რომ კითი შეუთვისებია (უკეთ შეუნახავს) იმერულს კინთ-ი-ს სახით; ნიშნავს: „ბამბის საპნტავ ჩხირს; ბარის ტარში შერჭობილ... ჩხირს; ძროხის ძუძუს ცალ-ცალკე თითებს“ (იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა: **კინთი**).

ჰან. წულუ (იხ. **წულუ**) კითი (არქ.) ‖ ჰკონი კითი — ნეკი
„ ჭუტა (იხ. **ჭუტა**) „ „
„ წუტა (იხ. **ჭუტა**) „ „
„ დიდი კითი — მეგრ. ჩანჯი კითი—ცერი
„ ოშქენანი კითი —მეგრ. შქაშ კითი — შუა-თითი.

26. ჰან. **ბუ-ცხ-ა** ფრჩხილი, ноготь
მეგრ. **ბი-რ-ცხ-ა**←ბუ-ცხა „ „
ქართ. **ფ-რ-ცხ-ილ-ი** ‖ ფ-რ-ჩხ-ილ-ი „

ია ბუცხა ენ I 159_{30} ის ფრჩხილია... ბუცხა, ბუცხაში ჩინარი II 102_{34} ფრჩხილი, ფრჩხილის კიდე... ჰამ ბუცხა ონ... კუჩ-

ხეში-თი ბუცხა ონ... II 112_9 ეს ფრჩხილია... ფეხისაც ფრჩხილია... არ კითი არ ბუცხა უღუნ II 112_{16} ერთ თითს ერთი ფრჩხილი აქვს...

ცხ- ძირი საერთოა; თავსართი **ბუ-** ქართველური ენებისათვის უცხოა: სხვა კავკასიური ენებიდან შეთვისებული კლას-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს. მეგრულში **ბი-←ბუ-**: შდრ. ბუ-ცხა: აკა ბუცხა — ერთი ბეწვა, „ერთი ფრჩხილის ოდენა". ქართული თავსართი **ფ-** ფონეტიკურად სახეცვლილი **ბ-** არის; აღსანიშნავია **უ-** ხმოვნის დაკარგვა **ფ-**ს მეზობლობაში; ერთგვარ კომპენსაციას შეიძლება **-რ-** ეწეოდეს. ფუძის საწარმოებელ სუფიქსად ქართულში გამოყენებულია **-ილ**, ჰანურსა და მეგრულში **-ა**.

მნიშვნელობა გადახრას არ იძლევა.

27. ჰან. **მ-ჯიხ-**ი || **ნ-ჯიხ-**ი — მჯიღა, кулак
მეგრ. **ჯიხ-**ი — „ „
ქართ. **მ-ჯიღ-**ი — „ „

ნჯიხი გეჩუ კაფრის II 35_{23} მჯიღი (მუშტი) დაკრა ლურსმანს... კაფრეფე მჯიხითე გეჩუ დო დუვარეფეს დოცონუ II 35_{28} ლურსმებს მჯიღი დაკრა და გალავანში დაარჭო... მაჟუას-თი მჯიხი გეჩუ თის დო თი ღომუ დუხენუ II 38_{28} მეორესაც მჯიღი დაკრა თავში და თავი ღომი გაუხადა...

თითქმის უცვლელად არის მოცემული სამსავე ერთეულში: ჰანურსა და მეგრულში **-ღ-** არის დაყრუებული, მეგრულს **მ-** არ გააჩნია, ხოლო ჰანურში **მ-**ს შეიძლება **ნ-** შეენაცვლოს.

საბას განმარტებით: „**მჯიღი**—კელთ თითნი მომუჭვილი". მეგრულში ამ სახელიდან იწარმოება ზმნა: ჯიხუნს, ქო-ჯიხ-უ—მჯიღსა კრავს, მჯიღი კრა.

ეს ძირი ჩვენი ენებისა არ უნდა იყოს.

28. ჰან. **კუჩხ-**ე — ფეხი, нога
მეგრ. **კუჩხ-**ი — „ „
ქართ. **მ-კვრცხ-ლ-** — „ფრკივ მავალი"... (საბა), пеший
სვან. **ჰიშხ-** — ფეხი, нога

გჲუსტუ დო გჲანთხუ: კუჩხეს ლასტიკი მოძიტუ I 93_3 დაუსხლტა და დაეცა: ფეხზე კალოში ეცვა... „კაზის არ კუჩხე ავენ!"...

„ჟურ კუჩხე უღუნ“-ძა... II 14_5 „ბატს ერთი ფეხი ექნება!“... „ორი ფეხი აქვსო“... ხე-კუჩხე კორელი... (იხ. მაგალ. **ხე**-სთან)... ქონთრაში ნოკუნჩხენი ლეტას ქოგჲოხენ... მან ია ნოკუნჩხენი ბძირაში... II 140_{15} (ხოფ.) ფეხსაცმლის კვალი მიწას აჩნია... მე იმ კვალს რომ ვნახავ... კუჩხე ცალი II 112_{11} „ფეხის ყელი“...

კუჩხე ტაბანი II 103_3 ფეხის გული: მეგრ. ნარჩა-კუჩხი (სიტყვა სიტყვით: „ნაგები ფეხი“; იხ. ქვემოთ).

სვანურში **კ-** შეცვლილია აფრიკატით: ჭიშხ-←*კიშხ-‖*კუშხ-; ქართულ კუარცხლ- და ჰან.-მეგრ. კუჩხ-ის კავშირი აღნიშნული აქვს აკად. ნ. მარს. კუარცხ- დაირთავს ფუძის საწარმოებელ **-ლ-** სუფიქსს. კუჩხ-თან უფრო ახლოსაა მ-**კვრცხ**-ლ- (იხ. საბა).

კუჩხ-ე-ს **-ე** სახელობითის ნიშანია (ზანური).

ამ ძირიდან ნაწარმოებია:
ნო-**კუჩხ**-ენ-ი—კვალი, „ნაფეხარი“.
ხე-**კუჩხე** ‖ ხე დო **კუჩხე** (იხ. **ხე**).

29. ჰან. **კოჭ**-ი — კოჭი, лодыжка
მეგრ. **კონჭ**-ი — კარის საკეტი, дверн. замычка
ქართ. **კოჭ**-ი — лодыжка

ია კოჭი ენ I $'59_{34}$ ის კოჭია...

მეგრულში ეს ფუძე გვაქვს (**ჭ**-ს წინ **ნ**- განვითარებულია), მაგრამ სხვა მნიშვნელობით: ესაა მოწყობილობა კარის დასაკეტი (წააგავს **კოჭის** ძვალს). ფეხის ძვალს მეგრულში ის არ აღნიშნავს. ქართულსა და ჰანურში ერთი და იგივე ფუძე ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელია.

კოჭ- ფუძე არის სომხურშიც, მაგრამ ინდო-ევროპული ენების კუთვნილებას ეს ფუძე არ წარმოადგენს.

30. ჰან. **ტაბ-ან-ი ‖ ტაბ-უ** — ფეხის გული, подошва ноги
მეგრ. **ტობ-ა** — ღრმა (წყალი), глубокая (вода)
ქართ. **ტბ-ა←ტაბ-ა** — озеро

ტაბუ-თი ვუწოლემთ, ქური-თი ვუწოლემთ (კუჩხე-ტაბანი) II 103_3 ტაბუსაც ვეძახით, ქუსლსაც ვეძახით (ფეხის „ტაბანი“)...

კუჩხეში თუდე ტ ა ბ ა ნ ი ონ II 112_{10} ფეხის ქვეშ „ტაბანი“-ა (ფეხის გული)... ია—-უი, აჲა—კუჩხეში ტ ა ბ ა ნ ი I 159_{34} ის ქუსლია, ეს ფეხის გული („ტაბანი“)...

ქუსლი და „ტაბანი“ აქ (ხოფურში) გარჩეულია; ათინელი ალი კანთარ-ოღლი მათ აიგივებს. შეიძ-ება ეს არც იყოს შემთხვევითი: ნ. მ ა რ ს „ტაბან“-ისთვის ზემოხსენებულის გარდა მეორე მნიშვნელობაც აქვს ნაჩვენები: კავის ის ნაწილი, რომელზედაც წამოცმულია საბნისაო (ჰან. გრ., გვ. 187). კავის ამ ნაწილს მეგრულად „ქური“ ქვია: „ო გ ა ფ ა შ ი ქ უ რ ი“. ამგვარად, „ტ-ბანი“=„ქური“...

ძირეულია ამ სიტყვაში **ტაბ-**; **-ან** სუფიქსია; მას ენაცვლება **-უ**: **ტაბ-უ**. **ტაბ-** იგივე ძირი ჩანს, რაც ქართ. **ტბა**-ში გვაქვს. მართალია, ჰანურში გვაქვს ამ უკანასკნელის შესაბამისი **ტობ-** || **ტიბ-**, მაგრამ ეს არ გამორიცხავს **ტაბ-** ძირის შემონახვასაც: მნიშვნელობათა დიფერენციაციამ გააადვილა ეს, რადგანაც კაუშირი ამ „ორ“ ძირს შორის არ იგრძნობოდა.

რა აქვს საერთო **ტაბ-ან-**სა და **ტობ-**ას მნიშვნელობის მხრივ? ორივე ჩ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა ს აღნიშნავს.

31. ჰან. **ბუ-რ-გულ-**ი || **ბუ-რ-გილ-**ი მუხლი, колено
მეგრ. **ბი-რ-გულ-**ი » »
ქართ. —
სვან. **ლულ-**ა » »

აჲა—ბ უ რ გ ი ლ ი I 159_{34} ეს—მუხლი... ბ უ რ გ უ ლ ე ფე გაწკუნასენ II 3_{27} მუხლები გეტკინება... ბ უ რ გ უ ლ ი შ ა ეგიხთასე II 8_{30} მუხლა-დის აგივა... დოგაჭკინდუ, ბ უ რ გ უ ლ ი ს-ნა გელაღვი II 70_{32} დაიღალე, მუხლზე რომ დავდევი... ბ უ რ გ უ ლ ი შ ე ქომვალუ II 87_{19} მუხლამდის აუვიდა... ,გრეთვე II 103_2, 112_{12}...

უ და **ი**-ს მონაცვალეობა ჰანურში (ხოფურში) და მეგრულში ბუნებრივია (იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 8 გ).

თავსართი ბ უ-რ- || ბ ი-რ- იმგვარივე ჩანს, როგორ ბ უ-ცხა || ბ ი-რ-ცხა-ში; სვანურს ეს თავსართი არა აქვს. ქართულში თვით ძირიც არსად ჩანს: მ უკ-ლ- || მ უხ-ლ- სულ სხვა ძირია.

ღ უ ლ- || ღ უ ლ-ა ინდოევროპულ ენებში ცნობილ გ უ ლ ა || კ უ ლ ა-ს უნდა უკავშირდებოდეს.

32. ჰან. **ქურ**-ი ‖ **ქუ**-ი ქუსლი, пята, каблук,
მეგრ. **ქურ**-ი ‖ **ქურს**-ი ‖ **ქურც**-ი ქუსლი, წიხლი, пята, удар пятой
ქართ. **ქუს-ლ**-ი пята

ია—ქ უ ი I 159_{33} ის—ქუსლი... ტ ბუ-თი ვუწოლემთ, ქ უ რ ი-თი ვუწოლემთ (კუჩხე-ტაბანი) II 103_3 ტაბუ-საც ვეტყვით, ქუსლსაც ვეტყვით (ფეხის „ტაბანი“)... ა ქ ქ უ რ ი ტ ა ბ უ ‖ ტ ა ბ ა ნ-ის სინონიმადაა გამოყვანილი. ათინელის მეტყველებაში დადასტურებული ეს ფაქტი განმარტებას მოითხოვს (იხ. **ტაბან**-).

ქ უ ს-**ლ**-ში -**ლ**- ფუძის საწარმოებელი სუფიქსია; მეგრულსა და ჭანურში ქ უ ს-რ-ი გვქონია და მი' გან ქ უ რ ს-ი მიგვიღია -**სრ**- თანხმოვანთა გადასმით. ეს ქ უ რ ს ი დადასტურებული აქვს ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს (იხ. მეგრ. გრამ., ლექს.: **ქური**); აქედანაა მიღებული ქ უ რ ც-ი; მეორე მხრივ, გადასმამდის დაკარგულია -**ს**- და **სრ**- კომპლექსის გამარტივებას მოუცია ქ უ რ-ი.

33. ჰან. **გ-ურ**-ი ‖ **გ-უ**-ი გული, сердце
მეგრ. **გ-ურ**-ი ,, ,,
ქართ. **გ-ულ**-ი ,,
სვან. **გ-უი** ‖ **გ-უილ**-დ

აქ გ უ ი ენ I 159_{35} აქ გულია... გ უ(რ)ი II 102_{26} დოლოხე გ უ რ ი'ნ II 112_{24} შიგნით გულია... გ უ რ-პ ი ჯ ი ს ჯოხენ II 21_{22} გულმკერდზე აზის... ბითთუმ გ უ რ ი პ ი ჯ ი-ნ II 112_{24} მთლად გულმკერდია, „გულის პირია“... გ უ-პ ი ჯ ი I 122_{26} გულმკერდი... ოკვაკიდეს თილქიში კუდელიში გ უ რ ი ნ ე II 22_4 წაიკიდნენ მელიას კუდის გამო („კუდისათვის“, „კუდის გულისათვის“)... კაი გ უ ი თ ე გძირა-მა, ბუწვი II 55_{30} კარგ გუნებაზე („კარგი გულით“) გნახო-მეთქი, ვუთხარი... ნა გოლულუნ, კოჩი, გ უ რ ი ბ უ ხ ე ნ ა მ II 11_{13} რომ გაივლის კაცი, ვასიამოვნებ („გულს ვუკეთებ“)... გ უ ი მ ო მ ი ხ თ უ II 55_{22} „გული მომივიდა“ (შდრ. ქართ. „გული წამივიდა“)... იგივე გამოთქმა: II $126_{18,27}$, 49_{25}, 66_3, 66_7... ხოლო გ უ ი ს ნაჭუ II 41_{36} კიდევ გული დაწვა... გ უ რ ი ს მ ე მ ა ჭ ვ ი II 16_{35} შემეცოდე („გული დამწვი“)...

ძირია — **გ-**; ფუძის საწარმოებელი აფიქსია **-ულ-** ქართ., **-ურ-** ჰანურსა და მეგრულში [1]; სვანურში **-უ-** დაშლილია **-ჳი-**დ და გეხვდება **ლ-**ს მოკვეცითაც და **ლ-**იანადაც.

ჯერ კიდევ უსლარს ჰქონდა აღნიშნული, რომ ეგევე ძირი **-გ-** გამოყენებულია აფხაზურში, ხუნძურში, ლაკურში.

ქართულში გულ- ფუძე მთელ რიგ რთულ ფუძეებსა და გამოთქმებს აწარმოებს: გულის-ყურ-ი, გულის-ხმა (ძვ. ქართ. გულის-კმაჲ)—გულისხმობს, იგულისხმება..., გულის თქმა (აყვა გულის თქმას), გულის-წყრომა, გულის რევა || გულის ზიდილი, გულ-ყრა (გულს შემოეყარა), გულ-ქვა, გულ-წრფელი (ე. ი. „გულ-სწორი", „გულმართალი"), გულ-ჩვილი, გულკეთილი, გულ-ნაკლული, გულ-მოდგინე... გაგულისდა, იმერ. „გული მოიყვანა", ხევს. გულავს: რას ხგულავ?—რას წყრები? ძვ. ქართ.: მომიკდა გულსა—აზრად მომივიდა, „თავში მომივიდა", როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე (სიტყვა-სიტყვით: გულში მომივიდა: იხ. კიმენი, გვ. 28,—სინა-რაითის მამათა მოწყვეტა,—864 წლის დათარიღებული ორიგინალური თხზულება).

შდრ. სვ. გუდანკად—„გულს მოუვიდა", ე. ი. გაიგო.

ჰანურშიც, მეგრულშიც გულს მრავალგვარი ფუნქცია მიეწერება (იხ. მაგალით.). მაგრამ ქართულის მიხედვითაც ცხადია, რომ გული წარმოდგენილია აზროვნებითი პროცესების ცენტრად, გრძნობების წყაროდ, ტემპერამენტ-ხასიათის განმსაზღვრელად და ორგანული შეგრძნებების (გულის რევა..., გულის შემოყრა) ამთვისებლად, ერთი სიტყვით, მას ეკისრება ტვინის, გულის, კუჭისა და, ნაწილობრივ, პერიფერიული ნერვული სისტემის მაგივრობა გასწიოს — სიცოცხლის მატარებელი გულია! ჩანს, ძველი ადამიანის ყურადღება ადრე მიიპყრო ამ ორგანომ, რომლის საქმიანობა ასე მნიშვნელოვანიც იყო და თვალსაჩინოც.

[1] ხმოვნებს შორის **-რ-** ჰანურში შეიძლება დაიკარგოს: იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 8 ა.

34. ჰან. **ფურ-ფ-უ** ფილტვი, легкие
მეგრ. **ფირტ-ვ-ი** ,, ,,
ქართ. **ფილტ-ვ-ი** ,,

ფ უ რ ფ უ II 112_{25}.

მეგრულში ფ ი რ ტ- დაცულია გამოთქმაში ფ ი რ ტ-ხ ვ ა ლ-ი „ფილტვის-ხველება“, ე. ი. ფილტვების ტუბერკულოზი; ჩვეულებრივად იხმარება ფ ი ჟ ვ-ი, აქედან ფ ი ჟ ვ ი ნ ა ფ ა—შეშუპება, გასივება წყლის ჩადგომით; ორივე დადასტურებულია იმერულში: „ფ ი ჟ უ ა/ე—ფილტვი“; „და-ფ ი ჟ ვ ი ნ ე ბ ა—სახეზე დასივება წყლის ჩადგომით“ (იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა).

ჰანურ **ფურფ**-უ-ში იგივე ძირი უნდა გვქონდეს, მაგრამ ცხადი არაა ძირის ბოლოკიდურის **ფ**-ს ვითარება.

მასთან დამაფიქრებელია ისიც, რომ ფ უ რ ფ უ მხოლოდ ერთი პირის ჩვენებით გვაქვს ჩაწერილი (ართაშნელი მუსა გულაბერ-ოღლი-საგან); სხვები—არქაბელები, სარფელები—ქ ჩ ე ჯ ი გ ე რ ი || ხ ჩ ე ჯ ი გ ე (რ) ი—„თეთრი ჯიგარიო“—ამბობენ; ნ. მ ა რ ს ფ უ რ ფ უ ბულეფურში აქვს დადასტურებული.

ჰან. ჯ ი გ ე რ ი და ქართ. ჯ ი გ ა რ ი სპარსულიდანაა შეთვისებული; ქართ. ღ ვ ი ძ-ლ-ი და სვან. ყ ვ ი ჟ ე [1] შეიძლება საერთო ძირისა იყოს; მათგან არსებითად განსხვავდება მეგრ. ჩ ხ ო ნ ჩ ხ-ი—ღვიძლი.

35. ჰან. **ფა-ნ-წ-ალ-ა** || **ფაწ-ალ-ა** M ელენთა, ტყლიპი, селезенка
მეგრ. —
ქართ. **ფაწ-ალ-ა** ,, ,, ,,

ფ ა ნ წ ა ლ ა II 112_{25}.

ქართულში ფ ა წ ა ლ ა დადასტურებული აქვს ს ა ბ ა ს, რომელიც ნ ე მ ე ს ი ო ს ზე მიუთითებს და ტ უ ი რ პ ი-თ განმარტავს ამ სიტყვას.

სხვათა ჩვენებით გარე-კახურში ფ ა წ-ი ღ-ი იხმარება ელენთის მნიშვნელობით. მეგრული ლ ე ლ ე ც-ი სულ სხვა ძირი ჩანს (ასევე, სვ. ნ გ ნ გ რ ა).

[1] ეგევე ძირია, ალბათ, ქართ. ყ ვ ი ც-ა, ყ ვ ი თ-ა, ყ ვ ი ც-იან-ში; ყ ვ ი თ ე ლ-იც, საფიქრებელია, თავდაპირველად იმ ფერს აღნიშნავდა, რომელიც ნაღვლის განთხევისას ავადმყოფის პირის სახეს ჰქონდა.

ნ. მ ა რ ს ხოფურზე მითითებით ლექსიკონში შეტანილი აქვს **ფაწ-ალ-ა**; ეს ის ფორმაა, რომელიც ქართულში გვაქვს: **ნ- წ**-ს წინ აქ არ არის განვითარებული ჯერ კიდევ.

36. ჰან. **შქა** || **შკა** წელი, поясница, „чресла“М
მეგრ. **შქა** შუა, середина
ქართ. **შუა** „

ია შ ქ ა ენ I 159_{32} ის წელია... (პასუხია მითითებაზე)...
მ ქ ა შ ე ხამი ელიწუ დერემენჯიქ II 95_{31} წელიდან დანა ამოიძრო მეწისქვილემ... შ ქ ა ს თოჯი ჯემიდვი II 99_{19} წელზე თოკი შემაბი... ოხორძა მუში დუდი დუტროხუ, შ კ ა ლ ე ფ ე დუტროხუ II 94_{33} თავის ცოლს თავი გაუტეხა, წელში გაწყვიტა („წელი გაუტეხა“)... შ ქ ა შ ა ეგიხთასე შური II 8_{31} წელამდის აგივა სული... ჰამ შ ქ ა ონ, ჯინ ქორბა ონ II 112_{13} ეს წელია, ზევით—მუცელია...

შქა იგივე **შუა**-ა: **შ**-ს შემდეგ განვითარებულია **ქ** (**უ**-ს შესაბამისი არაფერი გვაქვს!)... **კ**-იანი ვარიანტი—**შკა**—მეორეული მოვლენაა ჰანურისა. სემასიოლოგიური კავშირი **წელ**- სიტყვასა და **შუა**- სიტყვასთან ცხადია: წ ე ლ ი ს ადგილმდებარეობა ამას გასაგებს ხდის.

დოც. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ქართულში ამჟამად ხმარებული **მენჯ**-ი („კაცის თეძო“ ს ა ბ ა ს განმარტებით) არის სომხ. მ ე ჯ **մէջ**—„შუა“.

შუა-ს ასეთი გამოყენება მ ე ნ ჯ-ის, წ ე ლ-ის აღსანიშნავად არც ქართულმა იცის და არც მეგრულმა.

37. ჰან. **ქორბა** მუცელი, живот
მეგრ. **ქორა** || **ქვარა** „ „
ქართ. —

აჲა—ქ ო რ ბ ა I 159_{28} ეს—მუცელი... ქ ო რ ბ ა ს ხამი გოხუნეს II 33_{23} მუცელში დანა კრეს... ქ ო რ ბ ა ს ბერე დვაჲუ II 92_{35} მუცელში ბავშვი ჩაესახა (გაუჩნდა)... არ თუთაშ-კულე ქ ო რ ბ ა მორდერი დვაჲუ II 93_{3} ერთი თვის შემდეგ მუცელი დიდი გაუხდა... ქორბა დვაცუ (ოხორზას) II 124_{9} დაორსულდა (მუცელი გაუჩნდა ქალს)... ჰამ შქა ონ, ჯინ ქ ო რ ბ ა ონ II 112_{13} ეს წელია, ზევით მუცელია... აგრეთვე: II 102_{26}...

მეგრულში გვაქვს ქ ო რ ა —სენაკურში, ქ ვ ა რ ა — ზუგდიდურ-სამურზაყანულში (შდრ. გ ო ლ ა და გ ვ ა ლ ა—„მთა“): **ვა ო**-ს დაშლითაა მიღებული. ქ ო რ ა მეგრ. და ქ ო რ ბ ა ჭან. ერთი და იგივეა (აუხსნელი რჩება **ბ**: ქ ო რ-**ბ**-ა).

ქართულში ეს ძირი არა ჩანს...

38. ჭან. „**წიპა**“ M ჭიპი, пупок
მეგრ. **ჭიპ**-ი „ „
ქართ. **ჭიპ**-ი „

სიტყვა დადასტურებული აქვს ნ. მ ა რ ს ათინურში. უდავოა, რომ ეს იგივე „**ჭიპ**“-ია. საგულისხმო ის არის, რომ ზანური ნორმის შესაბამისი **ჭიპ**-ი ქართულში გვაქვს, ქართული ნორმისა კი—ჭანურში. მეგრ. **ჭიპ**-ი ან ქართულიდან არის შეთვისებული, ანდა ათინ. წ ი პ - ა მეორეულია, მიღებულია **ჭიპ**-ისაგან, ეს უკანასკნელი კი საერთო იყო. პირველი შესაძლებლობა სინამდვილესთან უფრო ახლო უნდა იყოს. ანალოგიური საკითხების შესახებ იხ. აქვე შ ე ს ა ვ ა ლ ი.

ჭანურში „ჭიპის“ აღსანიშნავად ჩვეულებრივ სხვა სიტყვა იხმარება; ესაა უ მ პ ა: იხ. I 159_{33}, II 112_{13}; ჩვენს ტექსტებში ეს სიტყვა ხოფურსა და ართაშენულში გვხვდება (ნ. მ ა რ ს ართაშენში ო მ პ ა შეუნიშნავს). ეს უ მ პ ა იგივეა, რაც ძვ. ქართ. უ პ ე.

ნ. მ ა რ ი მას ბერძ. ὄμφαλος — „ჭიპი“ უკავშირებს.

39. ჭან. **ჭ-უ** || **მ-ჭუ** M ნაწლევი, кишки
მეგრ. **ჭ**-ი „ „
ქართ. **წ-ელ**-ი „

ჰიმ ჭ უ ონუ II 102_{29} ის წელებია, ნაწლევია... **მ**- დართული ვარიანტი **მ-ჭუ** გვაქვს ნ. მ ა რ თ ა ნ. ჭ უ || მ - ჭ უ ათინურში გვაქვს; ხოფასა და ვიწე-არქაბეში იხმარება ჭ ი ნ ჭ ყ ვ ა ლ ა (ხოფ.), ჭ ი ნ ჭ ვ ა ლ ა (ვიწ.-არქაბ.) (ჭ უ-საგან ნაწარმოები რთული ფუძე?!)...

ძირეული **წ**- კანონზომიერადაა წარმოდგენილი ჭანურსა და მეგრულში **ჭ**-ს სახით; **-ელ**- ქართულში ფუძის საწარმოებელი აფიქსია; მისი მორფოლოგიური ეკვივალენტია ჭანურში **-უ** (შდრ. ბეღ-**ელ**- — ბაღ-**უ**); ამ **უ**-ს **ი**-თ შენაცვლება გვაქვს მეგრულში.

რაც შეეხება მნიშვნელობას, განმარტებას მოითხოვს ქართულში არსებული ვითარება. ამჟამად წ ე ლ - ი—ჭ უ-ს მნიშვნელობით მრავ-

ლობითში დაისმის: წ ე ლ ე ბ ი გამოაყრევინა, დააყრევინა... მხოლოობითში წ ე ლ ი—„სარტყლის ადგილს“, поясница-ს ნიშნავს; წ ე ლ ე ბ ი ს მნიშვნელობით ნ ა წ ლ ე ვ ი იხმარება. მაგრამ ეს მეორეული მოვლენაა. ს ა ბ ა პირდაპირ ამბობს: „წელი—ნაწლევი“-ო.

ჰანურსა და მეგრულში ასეთი ცვლილება ამ სიტყვის მნიშვნელობას არ ახასიათებს.

მეგრულში **ჰი**-საგანაა ნაწარმოები ო-ჰ-ი-ში-ი, წ ე ლ ი თანამედროვე გაგებით (поясница) — ე. ი. სა-წელ-ის-ი.

40. ჰან. **ტკ-ებ**-ი ‖ **ტ-ებ**-ი ტყავი, кожа, шкура
მეგრ. **ტყ-ებ**-ი ,, ,,
ქართ. **ტყ-ავ**-ი ,,

ხოჯიში ტ კ ე ბ ი კაპეტი... რენ. ტ კ ე ბ ი ში ქალამანი იქიფან... I 165_{14} ხარის ტყავი მაგარია. ტყავისაგან ქალამანს „აკჭითებენ“... ფუჯის... ტ ე ბ ი გოპწუმთ II 114_{3} ძროხას... ტყავს გავაძრობთ... ფუჯიში ტ ე ბ ი შ ე... ქალამანი ბიქუმთ II 114_{14} ძროხის ტყავისაგან ქალამანს „ვაკეთებთ“... ტ ე ბ ი II 112_{30} ტყავი (ადამიანისა)...

ამჟამად ხოფურში, არქაბულში ტ კ ე ბ-ის ნაცვლად გავრცელებულია ფ ო ს ტ ი (თურქ.) და პირველს გამოდევნით ემუქრება.

ტ ე ბ-ი **ტკ**- კომპლექსის გამარტივებითაა მიღებული ათინურში. **ტკ**- ჰანური ვარიანტია **ტყ**-სი (იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 6 გ, გვ. 17).

-ავ- სუფიქსი ქართულისა ჰანურსა და მეგრულში **-ებ**-ით არის გადმოცემული (**-ებ**-←-**ევ**-?); ესეც ფუძის საწარმოებელი სუფიქსია ჰანურსა და მეგრულში ისევე, როგორც **-ავ**- ქართულში.

აღსანიშნავია, რომ ეს **-ებ**- მეგრულში იცვლება **-აბ**-ით ნასახელარ ზმნაში **ტყ-აბ**-არ-ან-ს „ატყავებს“, გო-**ტყ-აბ**-არ-უ —გაატყავა.

41. ჰან. **ხორც-ი** ‖ **ხოწ**-ი ხორცი, мясо
მეგრ. **ხორც**-ი ,, ,,
ქართ. **ხორც**-ი ‖ **კორც**-ი ძვ. ქართ. ,,

ქოთუმეში ხ ო რ ც-თი გვერდიშა დოგიბუფან I 142_{31} ქათმის ხორცსაც „ნახევრად მოხარშავენ“... ხ ო რ ც ო ნ ი სარმას დოლუ სარმა ვუწუმეთ I 141_{6} ხორციან „სარმას“ მართალ „სარმას“ ვეტყვით... ხ ო რ ც ი გუბუმან II 34_{37} ხორცს ხარშავენ... ხ ო რ ც ი დო-

პკვათუმთ, დომფჩხამთ II 114_4 ხორცს დავჭრით, გავრეცხავთ... „დაჩხუი ოგზით, ხოწი (!) ქონობით, იჯიბას!“... ხოწი იჯიბენ მორდერი ჭუკანითე II 97_{35} „ცეცხლი დაანთეთ, ხორცი ჩამოკიდეთ, იხარშოს!“... ხორცი იხარშება დიდი ქვაბით...

ხორც- ფუძე საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჭანურისათვის. ათინურში ამ ფუძეს **-რ-** დაკარგული აქვს და, რაც მთავარია, **-ც-** შეცვლილია **-წ-**თი (დაახლოებით იმგვარივე მოვლენაა, როგორიც **ოძირუ || ოწირუში** გვაქვს!).

მნიშვნელობა ერთი და იგივე აქვს სამსავე შესადარებელ ერთეულში.

42. ჭან. **ყვ-ილ-**ი || **ც-ილ-**ი || **ილ-**ი ძვალი, кость
მეგრ. — ,, ,,
ქართ. **ყვ-ლ-**ივ- მხრის ძვალი, плечевая кость

ყვილეფე არ ჯეის ქოკობღეს... ყვილეფე არ ჯერის ოკობღეი ქოდოსქიდუ I $1_{26,27}$ ძვლები ერთ ადგილას შეაგროვეს... ძვლები ერთ ადგილას შეგროვილი დარჩა... ხორციშ დოლოხე ცილი ონუ II 102_{31} ხორცის შიგნით ძვალია... ჰამ ცილი'ნ II 112_{24} ეს ძვალია... ილი II 112_{12}.

ყვილ- ხოფური ვარიანტია; ცილ- არქაბულსა და ათინურში გვაქვს; ათინურში ილ-იც გვხვდება (ნ. მარს მხოლოდ ეს უკანასკნელი აქვს ნაჩვენები ვიწურისა და ათინურისათვის). ცილ- || ილ-ში დაკარგულია **ვ** (შდრ. შქით←შქვით—„შვიდი“).

მეგრულში ეს ძირი არა ჩანს. ქართული ძვალ- სულ სხვა ძირია; მაგრამ ქართულისთვის ყვილ- არ არის უცხო; შენახულა იგი ნაწარმოებ ფუძეში ყვლივ-, რაიც საბას განმარტებით „მკრის ძვალს“ ნიშნავს.

43. ჭან. **თომ-ა** თმა, ბეწვი, волос, шерсть (животных)
მეგრ. **თომ-ა** ,, ,,
ქართ. **თმ-ა** волос

სკურაფითე ყალის ჟურ თომა ნუჭკირასუნტერენ I 15_{25} სამართებლით ყელზე ორი [ღერი] თმის მოჭრა ნდომებია... კოჩის თის თომა აყვენ; ცხენის, ფუჯის, თხას—ტანის—, ემუს-თი თომა აყვენ...

I 153_{2} კაცს თავზე თმა ექნება; ცხენს, ძროხას, თხას—ტანზე—, იმათაც („იმასაც") თმა ექნებათ... ნუკუში თ ო მ ა ლ ე ფ ე... მჩვერი გობღერი II 97_{10} პირისახის თმები (წვერები)... ფქვილში ამოგანგლილი (ფქვილ-შეყრილი)...

უკანასკნელი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ ამ სახელის ფუძეა **თომ-ალ-**, ძირეული **თომ-** დაირთავს **-ალ** სუფიქსს, რომელიც მხოლობითში **ლ**-ს კარგავს (შდრ. ჯ უ მ-ა ლ-ე ფ ე—ჯ უ მ-ა-- ძმები, ძმა...). ნ. მ ა რ ს მოხსენებული აქვს თ ო მ - ო ნ - ი—„თმიანი"—„მაგრამ შენიშნავს—„ეს ნაკლებ ხმარებულიაო". ჩვეულებრივი კი არისო: თ ო მ-ა ლ-ჯარ-ი „თმიანი", „თ ო მ-ო ლ-ჯ ა რ-ი"—ვიწეში (იხ. ჰან. გრ., გვ. 147).

ჰანური და მეგრ. **თომ-** ძირი ქართულისთვის **თამ**-ს გვავარაუდებინებს; **ა-** ამ ფუძეს დაკარგვია **-ა(ნ/ლ)** სუფიქსის დართვისას: **თამ-ა(ნ/ლ)→თმ-ა(ნ/ლ)**... შდრ. **ძამ-ა(ნ)→ძმ-ა(ნ)**...

44.	ჰან.	**დი-ცხ-ირ-ი || დი-ნ-ცხ-ირ-ი**	სისხლი,	кровь
	მეგრ.	**ზი-სხ-ირ-ი || ზგ-სხ-გრ-ი**	,,	,,
	ქართ.	**სი-სხ-ლ-ი**		,,
	სვან.	**ზი-სხ-**	,,	,,

დ ი ც ხ ი რ ი დამარეფეს ონუ II 103_{1} სისხლი ძარღვებშია... ხორციში დოლოხე—ცილი დო დ ი ნ ც ხ ი რ ი II 112_{31} ხორცის შიგნით--- ძვალი და სისხლი... ოხორის ა ჭჩინი ქომოლახენ, არ დიდი ჭუკითე დ ი ც ხ ი რ ო ნ ი ფლავი გუბუმს II 37_{6} სახლში ერთი დედაბერი ზის, ერთი დიდი ქვაბით სისხლიან ფლავს ხარშავს... ბერე მეკვათერი, ხვალა დ ი ც ხ ი რ ი, ქოჯანს II 16_{8} ბავშვი მოკლული, სულ სისხლი, წევს... დ ი ც ხ ი რ ო ნ ი ხამი იღუ II $16_{}$ სისხლიანი დანა წაიღო...

ძირეულია **-სხ-**; ის დაცულია ქართულში, მეგრულში, სვანურში; ჰანურში ქცეულა **-ცხ-**დ; წინსართებიდან: **ზი-** მიღებულია **დი-**საგან: **დი→ძი→ზი** (შდრ. **დი-**ცამს || **ძი-**ცამს—იცინის... დ ო დ უ---ძ უ ნ || ზ უ ნ—დ ა დ ვ ა — ძ ევს)... ესაა ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართი. **დი-**ს მორფოლოგიური ეკვივალენტია **სი-** ქართულში. სუფიქსი სვანურს სულ არა აქვს (არ ჰქონდა თუ დაეკარგა?!); ქართულში **-ლ-** (←**-ილ**) სუფიქსი გვაქვს, ჰანურსა და მეგრულში **-ირ-**; ეს სუფიქსები ფუძის დეტერმინანტებია.

ძირეულ **ცხ**-ს წინ ჰანურში შეიძლება **ნ**- გვქონდეს (ფონეტიკურად განვითარებული).

45. ჰან. **ჩილამ-რ-ე** || **ჩალამ-ურ-ე** || **ჩელამ-რ-ე** || „**ჩელამურ-ე**“ M || **ჩი-ლამ-ბ-რ-ე**“M || „**ჩილამ-ბ-რ-ი**“ M || „ჩილამ-ბ-ი“ M — ცრემლი, слеза

მეგრ. **ჩილამ ურ-ი** — ,, ,,

ქართ. **ცრემ-ლ-ი** — ,,

ციბგარუ-სი ჩილამრეფე ინჯილიშ ქვა დიჯუ II 124_{17} რომ იტირა, ცრემლები ძვირფას ქვებად იქცა... ჩელამრეფე II 124_{13} ჩალამურე თოლის ქოგომოდგითუ II 150_{25} (ხოფ.) ცრემლი მომადგა თვალზე...

ჩვენს ტექსტებში დადასტურებული სამი ვარიანტის გარდა (ჩილამრე, ჩელამრე—ორივე ათინურში,—ჩალამურე—ხოფურში—) ნ. მარს ოთხი სხვაც აქვს აღნიშნული: ჩელამურე—ხოფ., ჩილამბრე—ვიწ., ჩილამბრი—ათინ. და ვიწ., ჩილამბი—ათინ., ჩილამი-ც კი ათინურში. ჩვენს ათინურ ტექსტებში მოცემული ჩილამრე ვარიანტი ნ. მარს არქაბულისთვის აქვს განკუთვნილი. **ბ**-იანი ვარიანტები ვიწურში და ათინურში გვაქვს: **ბ**- **მ**-სთანაა განვითარებული: ჩილამრე→ჩილამბრე... ჩილამბრი→ჩილამბი: **რ**- არის დაკარგული.

ერთმანეთს ენაცვლება **-ურ**- || **-რ**- ვარიანტები: ჩალამურე ჩელამურე და ჩილამრე, ჩელამრე, ჩილამბრე, ჩილამბრი...

პირველი მარცვალიც ნაირსახეობას გვაძლევს: **ჩა** || **ჩე** || **ჩი**: ჩალამურე... ჩელამურე, ჩელამრე... ჩილამრე, ჩილამბრე, ჩილამბრი, ჩილამბი... სახელობითის დაბოლოებაც ხან **ი**-ა, ხან — **-ე**...

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ: 1. **ბ**-იანი ვარიანტები მეორეული ხასიათისაა, 2. **ჩა**- ერთხელ გვაქვს, **ჩე**- ორჯერ, მაშინ, როდესაც **ჩი**- ყველაზე ხშირია, ამასთან მეგრულშიც **ჩი**- გვაქვს, 3. **-რ**- **-ურ**-ის შეკვეცილი სახეა და დასასრულ, 4. სახელობითის დაბოლოებად ზანურისათვის **-ე** უპრიანია, ამ სიტყვის ამოსავალ ვარიანტად უნდა დავსახოთ ჩილამურე (ჩელამურე?); ყველა სხვა ამის დერივატებად უნდა ვცნოთ.

ჰან. *ჩილამურ-ე და მეგრ. ჩილამურ-ი მხოლოდ სახელობითის ნიშნითაა განსხვავებული: ფუძე ერთი და იგივეა. ამ ფუძეს თუ შევუპირისპირებთ ქართ. ცრემ-ლ-ს, ცხადი იქნება, რომ **-ურ-** სუფიქსი ჰან.-მეგრ. ჩილამ-ურ-ში შეესატყვისება ქართ. **-ლ-**ს (**-ლ-** || **-ალ-**)... რაც შეეხება **ცრემ-** და **ჩილამ-**ის ურთიერთობას, ან პირველშია **-რ-** დისიმილაციის გზით მიღებული **ლ**-საგან (ც ლ ე მ-ლ-→ ც რ ე მ-ლ-), ანდა მეორეში **-ლ- რ**-საგანაა მიღებული (ჩ ი რ ა მ უ ლ-→ ჩ ი ლ ა მ უ რ-). პირველი შესაძლებლობა უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, მით უფრო, რომ პირველ მარცვალში თანხმოვნები ხმოვნითაა გათიშული და, მაშასადამე, თანხმოვანთა შენარჩუნება უცვლელად უფროა მოსალოდნელი.

46. ჰან. **თხომ-ურ-ი** || **„თხომ-რ-ი“** M ჩირქი, гной
|| **„თხომ-ბ-რ-ი“** M
მეგრ. **თხომ-ურ-ი** „ „
ქართ. **თხრამ-ლ-ი** „

ფუფულეფე დიდო გობლუტუ თ ხ ო მ უ რ ო ნ ი II 70_{20} მრავლად ეყარა ჩირქიანი მუწუკები...

ძირეულია **თხრამ-** ქართულში, **თხომ-** ჰანურსა და მეგრულში. **-ლ-** ქართულში და **-ურ-** ჰან.-მეგრ. ფუძის საწარმოებელი აფიქსია. **-ურ-**ის ნაცვლად ჰანურში მარტოოდენ **-რ-**ც შეიძლება გვქონდეს (თ ხ ო მ-**რ-**ი ვიწურში—ნ. მ ა რ ი ს ჩვენებით), ანდა კიდევ **მ**-სთან **ბ**-ც შეიძლება იყოს განვითარებული (თ ხ ო მ-ბ-რ-ი—ათინურსა და ნაწილობრივ, ვიწურშიც—ნ. მ ა რ ი ს ჩვენებით). ჰან. **თხომ-**ში გვაკლია ქართ. **რ**-ს შესატყვისი: უნდა ყოფილიყო თ ხ რ ო მ-; საფიქრებელია რომ **თხრ-** კომპლექსში **-რ-** დაიკარგა; ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ქართ. **თხრამ-**ში **-რ-** იყოს მეორეული ხასიათისა (**თხრამ-**←**თხამ-**)...

ამჟამად სალიტერატურო ქართულში „თხრამლი“ არ იხმარება; ძვ. ქართულისთვის ეს სიტყვა ჩვეულებრივია; ს ა ბ ა ს განმარტებით: „**თხრამლი** არს მუწუკის ზრქელი ბაყლი ნადენი“ (იხ. **შარავი**).

47. ჭან. **მ-ტკო** ‖ „**მ-ტუ**“M მტკაველი, пядень (протяж. между концами мизинца и больш. пальца)
მეგრ. **ტკუ** ‖ **ტკუუ** ‖ „**ტკოუ**“ K ,, ,,
ქართ. **მ-ტკავ-ელ**-ი ,,

ჟურ მტკოშ მენდრა-მენდრა დოკუნამან II 75_{28} ორი მტკავლის სიშორეზე არჰობენ.

მ- თავში მოუდის ჭანურსა და ქართულს: ფონეტიკური დანართია: **-ელ-** ფუძის დეტერმინანტია ქართულში; მისი შესაბამისი სუფიქსი არც მეგრულში გვაქვს, არც ქართულში; ქართ. **ტკავ**-ს შეეფერება მეგრ. **ტკოუ** (დადასტურებული აქვს ი. ყიფშიძეს). მეგრ. **ტკუუ**, **ტკუ** აქედანაა მიღებული: ტკოუ→ტკუუ→ტკუ. ჭანურში ეს ბოლოკიდური **-ოუ** გვაძლევს **-უ**-ს (მ-**ტუ**) და **-ო**-საც (მ-**ტკო**)... **ტკ-** კომპლექსის **ტ**-დ ქცევა ათინურის ნორმებს შეეფერება.
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

48. ჭან. **მ-ციდა** მციდა, пядень (протяжение между концами указат. и больш. пальцев).
მეგრ. **ცინდა** ,, ,,
ქართ. **მ-ციდა** ,,

სიტყვა საერთოა ქართულისა, ჭანურისა და მეგრულისათვის. აგებულების მხრივ სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მეგრულში **დ**-ს წინ **ნ**- არის განვითარებული; თავკიდური **მ**- ფონეტიკური დანართია ჭანურსა და ქართულში.
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

III

ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა და სხვ. სახელები

1. ფუჯ-ი
2. ხოჯ-ი
3. ცხენ-ი
4. გურუნ-ი, გირინ-ი, გიინ-ი
5. მჩხურ-ი, მჩხუ-ი, მშქუ-ი, ჩხურ-ი
6. თხა, ნთხა, მთხა
7. ჯორ-ი
8. ღეჯ-ი
9. ჯოლორ-ი, ჯოლო-ი
10. კატუ
11. გენ-ი, ჯენ-ი, ნჯენ-ი
12. თიკან-ი, ტიკან-ი
13. ლაკ-ი, ლაჭ-ი
14. ცინტალ-ი, წკინტალ-ი
15. თილა
16. მგერ-ი, მგე-ი, გუერ-ი, მჯვერ-ი,
17. მკაფუ, კაფუ, ჭაფუ
18. მთუთ-ი
19. მელ-ი
20. კვენურ-ი, კვენუ-ი
21. მუნჩქ-ი, მუნჩხ-ი, მუნჭყ-ი
22. მსქვერ-ი, მსკვერ-ი, ფსკვერ-ი
23. მთუგ-ი, მთუ-ჲ
24. კუდელ-ი
25. ქაჩაჩ-ი
26. გუდა
27. ქრა, ქია
28. მჯა, მჟა, ბჟა, ბჯა
29. ყვალ-ი, კვალ-ი
30. მონტკორ-ი, მონტკო-ი
31. მჭკეშ-ი, მჭეშ-ი
32. ქოთუმე: ოქროთუმალე
33. დადულ-ი
34. მამულ-ი
35. მონჭვა
36. ჭუჭულ-ი
37. ყვარელ-ი, კვარელ-ი
38. ბუნდღა
39. სუა, ფსვა, ფსუა, მსვა
40. ბუმბულ-ი
41. ფამფარ-ი
42. ღორღოჯ-ი
43. ქურ-ი, მქირ-ი, მქი-ი
44. ტოროჯ-ი, ტოოჯ-ი
45. გუგულ-ი
46. ოფამფე
47. მზესქუ, ზესკუ
48. ჩხვიკ-ი
49. კიდ-ი
50. ჭურჭა, ჭაურჭა

51. მალაღუდე, მალაღურე
52. მალუღე
53. ღაჭო
54. ყვაოჯ-ი
55. კვინჩ-ი
56. მარქვალ-ი, მაქვალ-ი
57. ხეჭეპა
58. ცილა
59. მჭაჯ-ი
60. ბობონჭვა
61. ბომბულა, ბობოლა
62. კოლ-ი, ნკოლ-ი
63. კოლონ-ი, კორღონ-ი
64. დუმჭკუ, დიმჭკუ
65. ბუტკუჯ-ი პუტუჯ-ი
66. თოფურ-ი, თოფუ-ი, თოფრ-ი
67. მტ-ი
68. მწკირ-ი
69. ფეწო, ფეწე
70. მგვერ-ი
71. მჯვაბუ
72. ჩხომ-ი

1. ჭან. **ფ-უჯ-ი** ძროხა, ფური, ფურ კამეჩი К, корова („буйволица“ К)
მეგრ. **ფ-უჯ-ი** ფური, самка (круп. рогат. скота)
ქართ. **ფ-ურ-ი** „ „
სვან. **ფ-ირ-უ** ძროხა, корова

ფ უ ჯ ი ქ გენი დოინაფს I 165_{32} ძროხა ხბოს იგებს... „ფ უ ჯ ი ვა მევოჭკირაფ“-ჲა უწუ I 41_{22} ძროხას არ დავკლავო, უთხრა... არ-ჟურ ფ უ ჯ ი ქომიჲონუნ II 24_{30} ერთი-ორი ძროხა მყავს... ფ უ ჯ ი ნუკვათუ II 97_{33} ძროხა დაუკლა... ფ უ ჯ ე ფ ე ს დოწკერტით!.. II 57_{27} ძროხებს დახედავდით!..

ქართველურ ენებში ეს ფუძე ყველგან გვაქვს: ჭან.-მეგრ. **ფუჯ-** შეესატყვისება ქართ. ფ ურ-ს (შდრ. **ყურ-** — **ყუჯ-** ‖ **ცუჯ-**); სვანურ-ში **-ურ-** სუფიქსის ნაცვალია **-ირ-**: **-ურ-→ირ-**... მას დაერთვის **-ჭ**, სვა-ნურისათვის ჩვეულებრივი დეტერმინანტი ფუძისა.

წინანდელი მნიშვნელობა ამ სახელს შენარჩუნებული აქვს სვანურ-სა და ჭანურში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ქართულ კი-ლოებში: **ფირ-ჭ-** ‖ **ფუჯ-ი** ‖ **ფურ-ი** აქ ძროხას ნიშნავს. მეგრულმა და სალიტერატურო ქართულმა გააფართოეს ამ სიტყვის მნიშვნე-ლობა: ფური კამეჩი, ფური ირემი... ფ უ ჯ ი კამბეში... აქ „ფური“ უპირისპირდება „ხარს“. ძ რ ო ხ ა-ს მნიშვნელობა დავიწროვდა: ზ რ ო ხ ა აღნიშნავდა მსხვილფეხა რქოსანს, მამალსაც, დედალსაც: ახლა მხოლოდ დ ე დ ა ლ ს აღნიშნავს.

2. ჭან. **ხ-ოჯ-ი** ხარი, бык
მეგრ. **ხ-ოჯ-ი** „ „
ქართ. **ხ-არ-ი** ‖ **კ-არ-ი** „
სვან. **კ-Ან-** „

ხ ო ჯ ე ფ ე ქოდოდგინუ I 16_{12} ხარები დააყენა... ხ ო ჯ ი ს კუჩხეს ჭაჩაჩი უღუნ I 165_{29} ხარს ფეხზე ჭაჩაჩი აქვს... ჟურ ხ ო ჯ ი ქომი-ჲონუნ II 24_{31} ორი ხარი მყავს... ხ ო ჯ ი ნუკვათუ II 97_{33} ხარი და-უკლა... საფანითე ხ ო ჯ ე ფ ე ს ლეტა ონთხორაფამს II 2_{24} სახნისით ხარებს მიწას ახვნევინებს („ათხრევინებს“)...

ძირი **ხ-** || **კ-** საერთოა ქართველური ენებისათვის; განსხვავებულია ფუძის დეტერმინანტი-სუფიქსი: **-არ→ოჯ** და **-ან←ან**... **ა**-ს დარბილება სვანურში მომდევნო ხმოვანს — სახელობითის ნიშანს — მიეწერება.

ქართულშიც უნდა გვქონოდა **-ან**-დეტერმინანტი ამ სახელში; ამას მოწმობს ნასახელარი ზმნა **ხ**ნ-**ავ**-ს, რომლის ფუძეც არის **ხან-** (|| ძვ. ქართ. **კან-**): მო-ვ-**ხან**-ი, გადა-ვ-**ხან**-ი...

ეს ისეთივე ნასახელარი ზმნაა, როგორც დავ-**ბარ**-ე, გავ-**თოხ**-ნ-ე... ეს **ხან-** || **კან-** ხვდება სვან. **კან**-ს...

3. ჭან. **ცხ-ენ**-ი || **ნ-ცხ-ენ**-ი — ცხენი, лошадь
მეგრ. **ცხ-ენ**-ი — „ „
ქართ. **ცხ-ენ** ი — „

ცხენი ირხი'სთეი ნიტუ I 91_{28} ცხენი მიჭროდა („ქარივით მიდიოდა")... მან ცხენიშენ მებლი I 91_{33} მე ცხენიდან გადმოვვარდი... ცხენის ქომიკუხუნუ ემ კოჩიქ... II 15_{26} ცხენზე მოისვა უკან იმ კაცმა... გეხედეს ცხენის, იგზალეს II 36_{32} შესხდენ ცხენზე („აღჰკდეს ცხენსა"), წავიდენ... კვაჯონი ცხენი II 44_{10} კვიცი, ულაყი... ზურა ცხენი II 44_{5} ჭაკი ცხენი...

ფუძე ამ სახელისა საერთოა ქართულში, მეგრულსა და ჭანურში: ძირეული მასალაც—**ცხ-** და დეტერმინანტიც **-ენ-**...

გასარკვევია, არის თუ არა **ცხ-ენ-** ფუძე სახელისა ვარიანტი **სხ-ედ-** ფუძისა, რომელიც ზმნაში გვაქვს (**სხ-ედ-ან—სხ-ენ-ან** || **სხ-ენ-ედ**: კჳრიაკისა დღესა სხენედ იგინი სენაკებსა: კიმენი, გვ. 29_{6} — კვირა დღეს ისინი სენაკებში სხედან ხოლმე)...

4. ჭან. **გურ-უნ**-ი || **გირინ**-ი || **გიინ**-ი — ვირი, осел
მეგრ. **გირ-ინ**-ი || **გჳრგნ**-ი — „ „
ქართ. **ვირ**-ი — „

„ბელქი, გალე-ნა ნოკორს გურუნი, ჰაჲაში რენ?!" II 8_{3} „იქნებ, გარეთ რომ ვირი აბია, ამისია?!"... გურუნი დოილიდორენ II 22_{15} ვირი მოგიკლავს... გურუნის ხუ ფუთი... ლაზუტი კაპულას ქომობი! II 87_{12} ვირს ხუთი ფუთი... სიმინდი ზურგზე აკიდე... ბაზაის არ გიინი ქეჭოფუ I 10_{20} ბაზარში ერთი ვირი იყიდა... გირინიში თაი II 117_{23} ჩოჩორი, „ვირის კვიცი"...

ჰანურში ამჟამად გავრცელებულია ოურჭ. ე შ ე ღ ი || ე შ შ ე ღ ი, მეგრულში—ქართ. ვ ი რ-ი... ათინურში და ვიწურ-არქაბულში გვაქვს გ უ რ უ ნ-ი, ხოფურში კი—გ ი რ ი ნ-ი || გ ი ი ნ-ი. **ი**-ს **გ**-დ დასუსტებით აქედან ვიღებთ ზუგდიდურ-სამურზაყანულ გ გ რ გ ნ-ს.

ამრიგად, ამოსავალი ჰანურისა და მეგრულისათვის არის გ უ რ უ ნ ვარიანტი. იგი მიღებული უნდა იყოს **გვურუნ**-ისაგან, ეს უკანასკნელი კიდევ **გვირ-უნ**-ისაგან: **გურ-უნ←გვურ-უნ←გვირ-უნ**...

ამგვარად, **გურ-უნ-** დაიყვანება **ვირ**-ამდის: ქართულსა და ჰანურს საერთო ფუძე **ვირ-** აქვთ. **-უნ-** სუფიქსია მეტი ჰანურში. **გ**-ს დართვის მაგალითი ქართულშიც გვაქვს: ვ ა ს პ უ რ ა გ ა ნ ი→გ უ ა ს პ უ რ ა გ ა ნ ი... (იხ. „მოქც. ქართლ.“—შატბერდ. კრებ., გვ. 442).

5. ჰან. **მ-ჩხ-ურ-ი || მ-ჩხ-უ-ი || მ-შქ-ურ-ი || ჩხ-ურ-ი** M — ცხვარი, ოვца
მეგრ. **შხ-ურ-ი** — ,, ,,
ქართ. **ცხ-ვ-არ-ი || ცხ-ოვ-არ-ი** — ,, ,,

მ ჩ ხ უ რ ი ქ პეტელაფს. მ ჩ ხ უ ი შ თომას მონტკოი ვუწუმელთ I 166_8 ცხვარი კიკინებს. ცხვრის ბეწვს მატყლს ვეტყვით... არ მ ჩ ხ უ ი უყოუნტეენ I 1_7 ერთი ცხვარი ყოლია... „მ ჩ ხ უ ი შ თიკანი სქანი ქოპჭკომათ!“ I 8_{24} „შენი ცხვრის ბატკანი („თიკანი“) შევჭამოთ!“... მ შ ქ უ რ ი II 113_{17}.

ძირეულია ქართულში **ცხ-**, ჰანურში **-ჩხ-**; ამ უკანასკნელის ვარიანტებია **შხ-** მეგრულში და **შქ-** ართაშნულში. თავკიდური **მ-** ჰანურში განვითარებულია; ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ გ. რ ო ზ ე ნს ათინურში ჩ ხ-უ რ-ი აქვს დადასტურებული: არც **მ-** არის დართული, არც **ჩხ-** არის **შქ**-დ ცვლილი...

ქართული **-ოვ-** სუფიქსის შესაფერისი ჰანურსა და მეგრულში არაფერი გვაქვს (**ვ-** დაიკარგა **უ**-ს წინ, თუ ფუძის აგებულებაა განსხვავებული?)...

-ურ- სუფიქსი ჰანურში მორფოლოგიური ეკვივალენტია ქართული **-არ-** სუფი სისა.

ათინურში ამჟამად მ შ ქ უ რ-ის ნაცვლად ჩვეულებრივად თურქ. კ ო ჯ ნ ი იხმარება.

6. ჰან. **თხ-ა** || **ნ-თხ-ა** || **მ-თხ-ა** თხა, коза
მეგრ. **თხ-ა** ,, ,,
ქართ. **თხ-ა** ,,
სვან. **დახ-გლ** ,, ,,

დადი ჩქიმიში ჯუმას არ თხა ქეუჭოფი... I 97_{25} დეიდა ჩემის ძმისაგან ერთი თხა ვიყიდე... ხუთ თანე მთხა მიყოუნტუ I 91_{11} ხუთი თხა მყავდა... ნთხაქ-ნა დოინაფს I 166_{17} თხა რომ მოიგებს („დაბადებს")... მანჭვალუ თხა I 166_{18} მეწველი თხა... თხაშენ მოფთით! თხა ჯებჭოფათე! II 29_{18} თხისთვის მოვედით! თხას ვიყიდით...

ჰანურში თავკიდური **ნ-** || **მ-** ფონეტიკური დანართია; უამდანართოდაც ხშირია — თხა... მხოლოობითში ფუძეს მოკვეცილი აქვს ბოლოკიდური **-ლ-**, რომელიც აღდგება მრავლობითში: **თხ-ალ-ეფ**-ე — ჰან., **თხ-ალ-ეფ-ი** — მეგრულში. სვანურთან შედარება ცხადყოფს, რომ **თ**-სა და **ხ**-ს შორის იყო ხმოვანი; ეს ხმოვანი დაიკარგა **-ალ-** სუფიქსის დართვისას და ამას მოჰყვა **დხ-** კომპლექსის შექმნა და შემდეგ ასიმილაციის შედეგად **თხ**-დ ქცევა. ამგვარად, ამ სახელის ფუძეს ქართულსა და ზანურში ასეთი ისტორია აქვს: **დახ-ალ-** → **დხ-ალ-** → **თხ-ალ-**...

გამორიცხული არ არის, რომ თავკიდური **და-** აფიქსი იყოს,— ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი. ასეთ პირობებში ძირეული იქნებოდა მარტოოდენ **-ხ-**: და-**ხ**-ალ—სვ. და-**ხ**-გლ... (ამის შესახებ იხ. ვ. თოფურია, ფონეტ. დაკვირ. II, გვ. 245).

ათინურში „თხის" ნაცვლად იხმარება **შურ-ონ-ი** — „სუნიანი" თუ „**სულ**-იან-ი", ე. ი. „ცხოვ-არ-ი"!

7. ჰან. **ჯ-ორ-ი** ჯორი, лошак
მეგრ. **ჯ-ორ-ი** ,, ,,
ქართ. **ჯ-ორ-ი** ,,

ჯორ-ი ტექსტებში არ დასტურდება; არც ნ. მარს აქვს მოხსენებული თავის ლექსიკონში. მხოლოდ საუბარში არქაბელებთან გამიგონია ს. ფ. ჩანთაში, ისიც ერთი ხნიერი ლაზისაგან. ამის ნაცვლად იხმარება თურქ. კატირი (მაგ. II 113_{17}).

ჯორ- ფუძე საერთოა ქართულსა, ჰანურსა და მეგრულში. მნიშვნელობაც ყველგან ერთი და იგივე აქვს.

ეს ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელიც ლამის არის უკვალოდ გაქრეს ჰანურს მეტყველებაში და ადგილი დაუთმოს უცხო ენიდან შემოსულ სიტყვას.

8. ჰან. **ღ-ეჯ-**ი ღორი, свинья
მეგრ. **ღ-ეჯ-**ი ,, ,,
ქართ. **ღ-ორ-**ი ,,

ექ წალენდო ღ ე ჯ ი ყვილუპტეენან. დაღი ტეენ ექ ბექი იმ-ხოტეს ღ ე ჯ ი ია მჯვე ზამანის I 114_{15} იქ ქვემოთ ღორს კლავდენ თურმე--ტყე ყოფილა იქ. ალბათ ჰამდენ ღორს იმ ძველ დროს..: ღ ე ჯ ი-ა! სი ხეში მეჭკიუში რე-ჲა... I 14_{23} ღოროო! შენ ხელი უნ-და მოგჭრანო... დუზის ჭურ ღ ე ჯ ი ბძირი I 82_{14} ვაკე ადგილას ორი ღორი ვნახე... ღ ე ჯ ი (ვა მიონუნ, შქუ ვარ ბიმხორთ!) II 113_{18} ღორი (არა მყავს, ჩვენ არა ვჰამთ!)... დაღი ღ ე ჯ ი იენ II 115_{25} ტყეში ღორი იქნება... ღ ე ჯ ი რენ-ჲა II 78_{10} ღორი არისო...

ძირი საერთოა; **-ორ-** სუფიქსის გადმოცემა **-ეჯ-**ით გაშუამავლე-ბული უნდა ყოფილიყო **ო**-ს **ვე**-დ დაშლით: ღ ვ ე ჯ-→ღ ე ჯ-, თუ კი ჰანური და მეგრული **-ეჯ-** სუფიქსი **-ერ-** სუფიქსისაგან არ არის მი-ღებული.

კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ყველა ჰანურ კილოკავს შერჩა ეს სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ღორი ლაზებს არა ჰყავთ. ალბათ იმიტომ, რომ გამვლენელ ენაშიც, თურქულშიც, ეს სიტყვა არაა აქტუალური.

9. ჰან. **ჯოლ-ორ-**ი || **ჯოლ-ო-**ი ძაღლი, собака
მეგრ. **ჯოლ-ორ-**ი ,, ,,
ქართ. **ძაღ-ლ-**ი ,,
სვან. **ჟელ-ჟ-** ,, ,,

ია ჯ ო ღ ო ი დო მამულიქ დიდო ხურმა ჭკომეს I 27_{15} იმ ძაღლ-მა და მამალმა ბევრი ხურმა ჭამეს... სი მგეი დეგილა, ჯ ო ღ ო რ ი ე! I 71_{17} შენ მგელი კი არა, ძაღლი ხარ!... ჯ ო ღ ო რ ე ფ ე გვა-ბღეს მგეის I 71_{20} ძაღლები დაესივნენ მგელს... ჯ ო ღ ო რ ი ქ უწუ-ქი I 39_{31} ძაღლმა უთხრა, რომ... ჯ ო ღ ო ი ქ თქუ... II 39_{35} ძაღლმა თქვა... ჯ ო ღ ო რ ე ფ ე ქ... მემოლალამტეს II 53_{11} ძაღლებიც გვი-ყეფდენ...

ქართულში ძირეულია **ძალ-**; **-ლ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; **ძალ**-ს კანონზომიერად შეესატყვისება **ჯოლ-** ჭანურსა და მეგრულში. სვან. **ჟელ**-ის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, ოღონდ თავკიდური **ჟ-**, თუ ის მეორეული არაა (**ჟ-←ჯ-**), გვაფიქრებინებს, რომ ქართულში უნდა ყოფილიყო **ზალ-**, მას შეეფერებოდა **ჟოლ-** ჭან.-მეგრულში და **ჟელ-** სვანურში. **-უ-** სვანურში ქართული **-ლ-**ს მორფოლოგიური ეკვივალენტია.

ხმოვნებს შორის **-რ-** შეიძლება დაიკარგოს ჭანურში.

ათინურში „ძაღლის" აღსანიშნავად იხმარება **ლაკ-**ი (იხ.).

10. ჭან. **კატ-უ** კატა, кошка
მეგრ. **კატ-უ** „ „
ქართ. **კატ-ა** „

ია მთუგეფეში დუშმანი კ ა ტ უ რენ I 82_{22} ის თაგვების მტერი კატაა... კ ა ტ უ ქ ლოსკუმს მუში კუჩხე. კ ა ტ უ... დოხედუნ... დაჩხური პიჯის... II 4_3 კატა ლოკავს თავის ფეხს. კატა... დაჯდება ცეცხლის პირას... ჰუდ კ ა ტ უ მთუდ ჭოფუდ II 113_{18} ახლა კატა თაგვს იჭერს... დაღი... მტური... კ ა ტ უ იენ II 115_{26} ტყეში გარეული კატა იქნება...

ძირი ერთი და იგივეა ქართულში, მეგრულში, ჭანურში: **კატ-**... ჭან. **-უ** სიტყვის ბოლოს ადვილი ასახსნელი იქნებოდა, რომ ფუძე **კატ-** ჭანურში იმავე სახით არ იყოს.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ენებში ეგეთე ფუძე გვაქვს „კატის" აღმნიშვნელ ფუძეში: ხუნძ. ქ ე თ ო, სომხ. კ ა ტ უ (იგივე, რაც ჭანურში!), რუს. кот, ფრანგ. le chat, გერმ. die Katze, ინგლ. cat...

იმავე დროს სვანურში იხმარება **ციც-უ**, ხევსურულში **ციც-**... ქართულში მოფერებითი სიტყვა კატისათვის: ც ი ც-უ ნ-ი ა იმავე **ციც-**[1] თან გვაბრუნებს. ეს უკანასკნელი უნდა იყოს ჩვენი ენებისთვის დამახასიათებელი სახელი კატისა, **კატ-** ფუძე კი შეთვისებული იყოს. საინტერესოა ს ა ბ ა ს კატეგორიული მსჯელობა ამ საკითხზე: „**კატა** ფრანგულია (სხუათა ენაა B), ც ი ც ა ჰქჳან"... (იხ. **კატა**).

[1] მეგრ. ც ხ ი ც ხ!—კატას რომ შესძახებენ, უნდა იყოს მიღებული ამავე ც ი ც-ისაგან.

11. ჰან. **გენ-**ი || **ჯენ-**ი || **ნ-ჯენ-**ი ხბო, теленок
მეგრ. **გენ-**ი || **გინ-**ი „ „
ქართ. —
სვან. **ლუნ-** „ „

ფუჯიქ გენი დოინაფს. გენიქ ბუძი წუფს I 165_{32} ძროხა ხბოს მოიგებს ხოლმე. ხბო ძუძუს წოვს... გენეფე გუკაპუნან II 2_{21} ხბოები დახტიან... ფუჯიში ნჯენი ონ II 108_{12} ძროხისა ხბო არის... ფუჯიში ჯენი ხოჯი იენ, ფუჯი იენ II 114_{20} ძროხის ხბო ხარიც იქნება, ფურიც იქნება.

მეგრულსა და ჰანურში საერთო ფუძეა **გენ-**; **ჯენ-** ათინურში გვხვდება; **ნ-** ფონეტიკური დანართია. მეგრ. **გინ-** სენაკურში გვაქვს და **გენ-**ისაგან მომდინარეობს.

ქართულში შესატყვისი ძირი არ გაგვაჩნია ამჟამად (კბო სულხვა ძირია).

გენ-თან კავშირში უნდა იყოს სვან. **ლუნ-** იმავე მნიშვნელობისა.

იმერულში ხმარებული გენვა[1] — „ხბოსგან ძროხის მოწოვა გამოწველამდის“ ზანიზმია იმერულში. მეგრ. მო-**გან-**უ „ხბომ მოწოვა მოწველამდის“ იმავე **გენ-**თან არის დაკავშირებული, როგორც ეს ი. ყიფშიძეს აქვს შენიშნული (იხ. მეგრ. გრამ., ლექს.: **გენი**).

12. ჰან. **თიკ-ან-**ი || **ტიკ-ან-**ი კრავი, თიკანი, ягненок, козленок
მეგრ. **ბა-ტკ-**ი ერთი წლის თიკანი, годовалый козленок
ქართ. **თიკ-ან-**ი козленок

თხაში, მჩხუში [მოთა]—თიკანი I 153_{19} თხაში—თიკანი (ჩხუში-თი თიკანი იყვენ) I 153_{27} თხის, ცხვრის [ნაშიერი]—„თიკანი“... თხისა—თიკანი (ცხვრისაც თიკანი იქნება)... თიკანი? ემუქ-თი პეტელაფს I 166_{7} „თიკანი“? ისიც კიკინებს... შურონიშ—ტიკანი, მშქურიში მონთა (?) იენ II 113_{20} თხისა—თიკანი, ცხვრისა ნაშიერი (?) იქნება...

ჰანურში ტიკანი მიღებულია თიკან-ისაგან — **თ-**ს მკვეთრ **ტ-**თი შეცვლით. ძირეულია **თიკ-**; **-ან-** დეტერმინანტი-სუფიქსია. **თიკ-ან-**

[1] იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა..., გვ. 8.

ფუძე მეორდება ქართულში. მეკრულში ეგევე ძირი უნდა გვქონდეს **ბატკ**-ში, რაიც ერთი წლის თხას ნიშნავს. ეს ბატკი ქართულსაც მოეპოვება; საბას განმარტებით „**ბატკი**—ჩჩჳლი თიკანი“; „**ბატკანი**—ჩჩჳლი კრავი“; განსხვავება ამათ შორის მხოლოდ **-ან**-შია, დეტერმინანტ-სუფიქსში... **ბატკანი**, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, შემდგარია **ბა-თიკან**-ისაგან. **ბა**-ს დართვისას ფუძე შეკუმშა (ი-ს რედუქციაა!!) და მივიღეთ ბა-**თკ**-ან-ი: **-თკ**-კომპლექსი, როგორც უჩვეულო ქართულისათვის, შეიცვალა **-ტკ**-კომპლექსით. სხვაგვარად ეს პროცესი არ წარმოიდგინება, რამდენადაც ცხადია, რომ **თიკან-** → **ტიკან-** (და არა პირუკუ!).

აღსანიშნავია, რომ თიკანი ხოფურში „თიკანსაც“ ნიშნავს და „კრავსაც“. ათინურში მხოლოდ „თიკანს“. ამის სრული ანალოგიაა იმ ფაქტში, რომ ბატკანი ქართულში „კრავს“ ნიშნავს, ბატკი ქართულშიც და მეგრულშიც თიკანს.

ნ. მარი თიკანს განმარტავს, როგორც კრავს (და მხოლოდ!).

13. ჰან.	**ლაკ**-ი ‖ **ლაჭ**-ი	ძაღლი, собака
მეგრ.	**ლაკ-ვ**-ი	ლეკვი, щенок
ქართ.	**ლეკ-ვ**-ი	„

ლაჭი II 113_{18} ლაჭიში—კუტავი იენ II 113_{22} ძაღლისა—ლეკვი იქნება...

ლაკ-ი იხმარება ათინურში „ძაღლის“ მნიშვნელობით. **ლაჭ**-ი კ-ს გააფრიკატებითაა მიღებული; ისიც ათინური კილოკავის ზოგ თქმას ახასიათებს. ძირეული **ლაკ**- შეესატყვისება ქართ. **ლეკ**-ს; დეტერმინანტი-სუფიქსი **-ვ**-, ქართულსა და მეგრულში რომ გვაქვს, ჰანურს არ გააჩნია (დაეკარგა?).

მნიშვნელობის მხრივ ეს ფუძე—**ლეკ**- ‖ **ლაკ**-—განსხვავდება: ქართულსა და მეგრულში ის ძაღლის ნაშიერზე მიუთითებს, ჰანურის ათინურ კილოკავში—ძაღლზე.

ლაკ- ფუძისაგან ნაწარმოები ჩანს ლაკოტი, რომელიც ხოფურში ლეკვსა ნიშნავს:

ჯოლორიში მოთას ლაკოტი ვუწუმელთ I 153_{26} ძაღლის ნაშიერს ლეკვს ვეტყვით... აგრეთვე I 120_{33}, 121_{1}. მაგრამ შეუძლებელი არაა, რომ ამ სახელის ძირი უკავშირდებოდეს ლეკვის ვიწურ-

ართაშნულ სახელწოდებას **კუტავ**-ი (იხ. აქვე, ზემოთ II 113_{22}); **-ავ**- დეტერმინანტი-სუფიქსია; ძირეულია **კუტ**-; თუ ამას შევუპირისპირებთ ლა-**კოტ**-ს, **ლა**- თავსართი აღმოჩნდება, გამოიყოფა **კოტ**- || **კუტ**-...

ეს მეორე შესაძლებლობა არ გამორიცხავს პირველს: თუ **ლა**- თავსართი გამოიყოფა: ლა-**კ**-ი: ლა-**კ**-**ოტ**-ი: **კ**-უტ-ავ-ი. ამ პირობებში ლაკ-ისათვის ძირეული იქნებოდა **-კ**-.

ეგევე ძირია ქართული **კნუტ**- || **კნოტ**-: „ციცას შვილი“ საბას განმარტებით.

14. ჰან. **ცინტ-ალ**-ი || **წკინტ-ალ**-ი — კატის კნუტი, котенок
მეგრ. **ცინდ-ალ**-ი — " " " "
ქართ. **ცინტ-ალ**-ი „კატის კნუტი მოდიდო“ (საბა), котенок (подросший)
სვან. **ცინდ-აუ**- — კატის კნუტი, котенок

გუდაოთაში ქჲოის მუჭო გულუ, ცინტალი?! II 143_{27} (ხოფ.) გუდაუთის მხარეს („სოფელში“) როგორ დადიხარ, კატის კნუტო?!... კატუში [მონთას] წკინტალი [ვუწუმელთ] (მჯვე ლაზეფექ) I 153_{26} კატის [ნაშიერს] „წკინტალს“ [ვეტყვით] (ძველი ლაზები)... არ... ბერექ წკინტალი დო ლაკოტი უკიკიდინაპტუ. აწი წკინტალიქ გეჩაფს ლაკოტის, — ლაკოტიქ — წკინტალის I 120_{33} — 121_{1} ერთი ბავშვი აჩხუბებდა კატის კნუტსა და ლეკვს. ახლა კატის კნუტი გაარტყამს ლეკვს, ლეკვი — კატის კნუტს...

ჰანური **წკინტ-ალ**-ი მიღებულია **ცინტ-ალ**-ისაგან...

ცინდ- || **ცინტ**- ყველა ქართველურ ენაში გვაქვს; დეტერმინანტი-სუფიქსი **-ალ**- მეორდება ქართულში, მეგრულსა და ჰანურში; სვანურში მის ადგილს იჭერს **-აუ**- (კანონზომიერად!)... ბოლოკიდური **-ტ**- ქართულისა და ჰანურისა მეორეული უნდა იყოს: **ცინდ**- → **ცინტ**-... **ნ**- **დ**-ს წინ ფონეტიკურად განვითარებული ჩანს; ამგვარად ამ ძირის ბგერითი აღნაგობის ისტორია ასე წარმოიდგინება: **ციდ**- → **ცინდ**- || **ცინტ**-...

კნუტ-ი იგივეა, რაც **კუტ**-ავ-ი (ჰან.) — ლეკვი (იხ. **ლაკ**-ი).

15. ჰან. **თ-იღ-ა** — гоҗи, поросенок
მეგრ. **თ-უ(ლ)** — ,, ,,
ქართ. **თ-ელ-ი** — ,, ,,

ღეჯიში — თ ი ლ ა I 153_{29} ღორისა — გოჯი („თილა")...

მეგრ. **თუ** მრავლობითში იქნება **თულ**-ეფ-ი; ამგვარად ფუძე სრული სახით **თულ**- არის; ამ **-ულ**-ს ენაცვლება ხოფურში **-ილ**-: **თ-ულ-** || **თ-ილ-** (**-ა** მხოლოდ ჰანურში გვაქვს); ეს იშვიათი შემთხვევაა, რომ ჰანურში **უ→ი** და მეგრულმა **-უ** შეინარჩუნოს (ასეთივე შემთხვევაა: მ ი ჩ ქ უ(ნ) — მეგრ., მ ი ჩ ქ ი ნ — ჰან.)...

ქართულში **გოჯ**- სულ სხვა ძირია; საინტერესოა, რომ სვანურიც გ უ ე ჯ-ს იმეორებს, ქართულს მიჰყვება.

მაგრამ ქართულში რომ ყოფილა ეს ძირი, ამას მოწმობს ს ა ბ ა ს ჩვენება: იხ. ს ა ბ ა სთან: **თელი**—ღორის გოჯი.

16. ჰან. **მ-გ-ერ-ი** || **მ-გე-ი** || **გუ-ერ-ი** || **მ-ჯვ-ერ-ი** — მგელი, волк
მეგრ. **გ-ერ-ი** — ,, ,,
ქართ. **მ-გ-ელ-ი** — ,,

მ გ ე ი მუფეი ჰაივანი-ნა ტუ, მჩხუის ქუჩქიტუ I 68_{13} მგელი.რანაირი ცხოველიც იყო, ცხვარმა იცოდა... მ გ ე ი ქომოხთუ! I 68_{15} მგელი მოვიდა... მ გ ე ი ქ თიკანის უწუ I 68_{17} მგელმა კრავს უთხრა... არ მ გ ე ი ქომოხთუდორენ. მეგერე გ ე რ ი ქ ოჭკომალე ვა ძირუდორენ II 11_{34}, 12_{1} ერთი მგელი მოსულა. თურმე მგელს საჭმელი ვერ უპოვია... მ გ ე რ ი დო ჯოღორი ოკვაკიდეს II 51_{10} მგელი და ძაღლი შეიბნენ... დაღი მ ჯ ვ ე რ ი იენ II 115_{24} ტყეში მგელი იქნება ხოლმე...

თავკიდური **მ**- ჰანურშიც და ქართულშიც ფონეტიკური დანართია; **-ელ-** || **-ერ-** დეტერმინანტი-სუფიქსია. **გ**- —ძირეულია.

მ-გ-ე-ი მიღებულია **რ**-ს დაკარგვის შედეგად (ხმოვანთ შორის).

მ ჯ ვ ე რ ი ჩვენ ართაშნულში შეგეხვდა, ი. ყ ი ფ შ ი ძ ეს ათინურში დაუდასტურებია (მიწერილი აქვს ნ. მ ა რ ი ს ლექსიკონის სათანადო სიტყვასთან).

ნ. მ ა რ ი ს ტექსტებში არის გ უ ე რ ე ფ ე-ც („პიჯი გონწკიმერი გულუნ გ უ ე რ ე ფ ე": ჰან. გრ., გვ. 110_{16}—„ხახა დაღებული დადიან მგლები"), მაგრამ ლექსიკონში ეს არ არის შეტანილი (ტექსტი ვიწურია).

ართაშნულ მ-ჯუ-ერ-ში ჯერ **გ → ჯ** ე-ს მეზობლობაში და მერე უნდა იყოს -ვ- განვითარებული.

სომხ. **գայլ** იგივე ქართ. მ-**გელ**- უნდა იყოს.

17. ჰან. **მ-კააფ-უ** ‖ **კააფ-უ** ‖ **ჰაფ-უ** ტურა, шакал

მეგრ. —

ქართ. **მ-კივ-ან-ი** (?) кричащий

მკააფუფე ქომოხთეს... მკააფუფე იმტეს I $9_{28,31}$ ტურები მოვიდენ... ტურები გაიქცნენ... გზას არ მკააფუ ქონაგეს II 46_{31} გზაში ერთი ტურა შეხვდათ... მკააფუ ხვალა გამახთუ II 47_{5} ტურა მარტო გამოვიდა... დაღი ჰაფუ... იენ II 115_{24} ტყეში ტურა არის („იქნება“ ხოლმე)... კააფუქ, ე-ნა მელას, ია კოობუფს I 158_{26} ტურა, რაც დაცვივა, იმას „კრებს“...

ჰაფუ ართაშნულში გვაქვს; **ჰ**- მიღებულია **კ**-საგან (იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 8 ვ, გვ. 27). თუ -**კააფ**- მიღებულია კრიაფ-ისაგან, მაშინ **მ-კააფ-უ** შეიძლებოდა გაგვეგო, როგორც მკივან-ი (იხ. **კრ**-ძირი ზმ-ებში) მაგრამ ასეთ გაგებას დაბრკოლებები ეღობება: -**აფ**- სუფიქსი ხოფურში ბუნებრივია, მაგრამ ათინურს, არქაბულს ის ეუცხოება: აქ კრიაბ**მ**- იქნებოდა... შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მკააფუ ხოფურში ჩამოყალიბდა და აქედან გადავიდა მზა-მზარეული არქაბულსა და ათინურშიო, მაგრამ ასეთი ახსნაც ხელოვნურია და არადამაჯერებელი. ამდენად, მკააფუ-ს მკივანა-სთან შეპირისპირება პირობითია.

მეგრ. ტურა, ქართ. ტურა — სულ სხვა ძირებია.

18. ჰან. **მ-თუ-თ-ი** ‖ „**თუთ-ი**“M დათვი, медведь

მეგრ. **თუ-ნთ-ი** ,, ,,

ქართ. **და-თ-ვ-ი** ,,

სვან. **დ̆-შდ-უ** ,, ,,

მთუთი-თი ექ ქეჩქინდუ I 42_{21} დათვიც იქ გაჩნდა... მამუდიქ მთუთი დოკირუ I 45_{18} მამუდმა დათვი შეკრა... ცონას მთუთი ძირუ-შ-კულე, ჯოლორი ნოლუდორენ (ნანთხუდორენ) მთუთიქ..., კუჩხე მეტახუდორენ II 73_{6} ყანაში დათვი რომ უნახავს, ძაღლი სცემია — დათვს ფეხი მოუტეხია... ავჯი დაღი მთუთი დოილუ II 111_{27} მონადირემ ტყეში დათვი მოკლა...

ჰან. მ-თ უთ-ში თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია; ტექსტებში სულ **მ**-იანი ვარიანტები გვხვდება, მაგრამ სხვა ქართველურ ენებთან შედარება ამ **მ**-ს დახართობას ცხადყოფს. ნ. მ ა რ ი ს მიერ ნაჩვენები თ უ თ-ი — არქაბ., ვიწ. — ამას მოწმობს: **თუთ**-ი → მ-**თუთ**-ი.

მეგრ. თ უ ნ თ-ში **ნ**- არის ფონეტიკურად განვითარებული: **თუთ**-ი → **თუნთ**-ი. დეტერმინანტი-სუფიქსი **-ვ-** || **-უ** გააჩნია ქართულს — დათ-**ვ**-, ძვ. ქართ. დათ-**უ**- — და სვანურს დუ̈-შდ-**უ**... მეგრულსა და ჰანურში ასეთი სუფიქსი არა გვაქვს (დაიკარგა? შდრ. ჰან. მ თ ვ ი რ ი — თოვლი და მეგრ. თ ი რ ი : **თვი** → **თი**...).

ქართულ დ ა თ ვ-თან შედარება ამჟღავნებს, რომ **თუთ-** ← **დუთ-**; ეს უკანასკნელი კი **დოთ**-ისაგანაა მიღებული.

ქართულისა და სვანურის შეპირისპირებისას ყურადღებას იქცევს ის, რომ **და-** მეორდება, **თ-** || **-შდ-** .. ეს **და-** თავსართი უნდა იყოს, ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი (იხ. აგრეთვე **თუთა**). ძირეულად **-თ-** უნდა მივიჩნიოთ: ქართ. და-**თ**-უ... სვ. დუ̈-**შდ**-უ̈... ჰან.- მეგრ. **თუთ-** ← დო-**თ**-(უ)... ამ სიტყვის შესახებ იხ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირვებ. II, 247.

19. ჰან. **მელ**-ი	მელა,	лиса
მეგრ. **მელ**-ა	,,	,,
ქართ. **მელ**-ი || **მელ**-ა		,,
სვან. **მალ**-	,,	,,

ჰანურში ამჟამად ყველა კილოკავში თურქ. თ ი ლ ქ-ი || თ ი ლ ჩ-ი გვაქვს. მ გრამ რომ **მელ**-ი ჰანურში იყო, ჩანს დოც. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი ს მიერ 1936 წელს ჩაწერილი ჰანური საფოლკლორო ტექსტებიდან[1]: მ ე ლ ი ქონაგუ... მელა შეხვდა. რამდენად მტკიცეა ახალშეთვისებული **თილქ**- || **თილჩ**-ის პოზიცია, იქიდან ჩანს, რომ არც ხოფურში, არც ვიწურ-არქაბულსა და ათინურ ტექსტებში, 317 გვერდის მანძილზე, — არსად მ ე ლ ი არა ჩანს, ყველგან თ ი ლ ქ-ი || თ ი ლ ჩ-ი-ა. და მაინც **მელ**-ი შერჩენილა აქა-იქ.

ალბათ, არა ერთი ჰანური სიტყვა, ამჟამად რომ უცხო სიტყვებითაა შეცვლილი, ამოტივტივდება, როცა ჰანური მეტყველების დამახასიათებელი ტექსტები სათანადო რაოდენობით იქნება ჩაწერილი.

მელ- ფუძე საერთოა ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის. სვანური **მალ**- ხმოვნით განსხვავდება. მნიშვნელობა ყველგან ერთია.

[1] ეს ტექსტები აფხაზეთის ჰანებთან, მეტ-ნაკლებად არქაბელებთანაა ჩაწერილი, იცემა. მათ გამოქვეყნებამდის ამ სიტყვის გადმოცემისათვის დოც. ს. ჟღენტს მადლობას ვუძღვნი.

20. ჰან. **კვენ-ურ-**ი ‖ **კვენ-უ-**ი კვერნა, куница
მეგრ. **კვინ-ორ-**ი „ „
ქართ. **კვერნ-**ა „
სვან. **კვენ-** „ „

ხურმაში დუშმანი მი ენ, გიჩქინ-ი? მთუთი (მთუთიქ ჟინ იმხოს, ჯას იმხოს!), კ ვ ე ნ უ ი ქ-თი ჯას იმხოს I $158_{24, 26}$ ხურმის მტერი ვინაა, იცი? დათვი (დათვი ზევით ჰამს, ხეზე ჰამს), კვერნაც ხეზე ჰამს...

ძირი **კვენ-** მეორდება სვანურსა და ჰანურში; მეგრული **კვინ-** **კვენ-**ისაგანაა მიღებული. ამგვარად, ჰანურში, მეგრულში, სვანურში **კვენ-** საერთოა; ქართული **კვერნა** სიფიქრებელია, კ ვ ე ნ-რ-ა-სგან მიგვეღო **რ-** ‖ **ნ-**ს მეტათეზისით. მაშინ დეტერმინანტი-სუფიქსი **-ორ-** ‖ **-ურ-** მეგრულისა და ჰანურისა ქართულშიც **-რ-**თი იქნებოდა წარმოდგენილი, და ქართულის ფუძე ჰანურისა და მეგრულის ფუძის მსგავსად აგებული აღმოჩნდებოდა: კ ვ ე ნ-რ-ა — კ ვ ე ნ-ო/ურ-ი...

სვანურში დეტერმინანტი-სუფიქსი არ მოგვეპოვება (ამ ფუძესთან).

21. ჰან. **მუნჩქ-**ი ‖ **მუნჩხ-**ი M ‖ **მუნჯყ-**ი M მაჩვი, барсук
მეგრ. **მუნჩქ-ვ-**ი „ „
ქართ. **მაჩ-ვ-**ი „

დაღი მ უ ნ ჩ კ ი იენ II 115_{35} ტყეში მაჩვი არის („იქნება“ ხოლმე)...

ქართულში ძირეულია **მაჩ-**; მას დაერთვის დეტერმინანტი-სუფიქსი **-ვ-**; ზანური ნორმების მიხედვით უნდა გვქონოდა **მოჩ-ვ-**ი, მაგრამ **მ-**ს მეზობლობაში **ო → უ**; **ჩ-**ს წინ დაერთო **ნ**, **ჩ-**ს შემდეგ განვითარდა **-ქ** და მივიღეთ: მ უ ნ ჩ ქ ვ- (მ ო ჩ-ვ- → მ უ ჩ-ვ- → მ უ ნ ჩ-ვ → მ უ ნ ჩ ქ-ვ-)... ასეთია მეგრული ვარიანტის გზა; ჰანურში ამას დაერთო: **ვ-**ს დაკარგვა **ქვი-**კომპლექსში: მ უ ნ ჩ ქ ვ-ი → მ უ ნ ჩ ქ-ი (შდრ. შ ქ ვ ი თ- → შ ქ ი თ—„შვიდი“...); **ქ-**ს მკვეთრ **კ-**თი შეცვლა ერთ ვარიანტში: მ უ ნ ჩ ქ ი → მ უ ნ ჩ კ-ი... (ალბათ, ეს მ უ ნ ჩ ქ-ია ამოსავალი მ უ ნ ჩ ხ-ისათვის, რომელიც ნ. მ ა რ ს მოჰყავს; მაგრამ უცნაურად გამოიყურება მ უ ნ ჯ ყ ი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მ უ ნ ჩ ქ-ისთან მისი დაკავშირება საჩოთიროა, არამედ იმიტომ უმთავრესად, რომ **ჯყ-** კომპლექსი ჰანურისათვის უცხოა: „ჯყინტი“, „ჯოჯყოფი“ — ქართულისა და მეგრულის გავლენას მიეწერება, მ უ ნ ჩ ქ-ის შემთხვევაში კი არც ქართულს, არც მეგრულს **-ჯყ-** არ გააჩნია).

22. ჰან. **მ-სქვ-ერ**-ი || **მ-სკვ-ერ**-ი || **ფ-სქვ-ერ**-ი ირემი, олень
მეგრ. **სქვ-ერ**-ი შველი, серна
ქართ. **შვ-ელ**-ი ,,
სვან. **ერ-სკ-Ან** ,, ,,

მ ს ქ ვ ე რ ი დოპილით I 96_{21} ირემი მოვკალით.... მ ს ქ ვ ე რ ი დობდვი I 96_{24} ირემი დავდევი... არ მ ს კ ვ ე რ ი ნაგუ II 132_{16} ერთი ირემი შეხვდა... ქომიჩქიტუ, მ ს კ ვ ე რ ე ფ ე სო ჯანტეს II 79_2 ვიცოდი, ირმები სად იწვნენ... კოჩიქ ,,ფ ს ქ ვ ე რ ი''-ა დო გურუნი დოილუ II 22_{12} კაცმა ,,ირემი''-ო და ვირი მოკლა...

ჰანურში თავკიდური **მ-** || **ფ-** ფონეტიკური დანართია. **-ერ-** დეტერმინანტი-სუფიქსია და ქართული **-ელ-** სუფიქსის მაგივრობას ეწევა. ძირეულია ქართულში **შვ-**, ჰანურსა და მეგრულში **სქვ-**, რაიც კანონზომიერად შეესატყვისება **შვ-**ს. **სკ-** ძირეულად გვევლინება სვანურში, დეტერმინანტია **-Ან-**...

მნიშვნელობის მხრივ გადახრას აქვს ადგილი: ჰანურში ეს ფუძე ,,ირემს'' აღნიშნავს, მეგრულში, სვანურში, ქართულში — ესაა ,,შველი''; სავსებით შესაძლებელია, ჰანურში იყოს დაცული ძველი ვითარება, ამ ფუძის წინანდელი მნიშვნელობა სხვაგანაც ,,ირემი'' ყოფილიყოს და ახალ სიტყვას—,,ირემს''—დაეკავებინოს მისი ადგილი: **ი რ ე მ-** თუმცა ძველის-ძველი სიტყვაა, მაგრამ აგებულება ეჭვებს აღძრავს: საფიქრებელია, სხვა წრის ენებიდან იყოს შეთვისებული.

23. ჰან. **მ-თუგ**-ი || **მ-თუ-ჲ** თაგვი, мышь
მეგრ. — — —
ქართ. **თაგ-ვ**-ი ,,

ემუს... მ თ უ გ ე ფ ე დიდო უჭკომუნ I 82_{23} იმას... ბევრი თაგვი უჭამია... მ თ უ გ ი ქ დიდო იდუშუნუ... I 21_{24} თაგვმა ბევრი იფიქრა... ჰაწი მუ ვას მ თ უ გ ი ქ? II 42_{21} ახლა რა ქნას თაგვმა?... მ თ უ გ ი ხოლო მენდახთუ II 42_{28} თაგვი კიდევ წავიდა... კატუ მ თ უ ჲ ჰოფუჲ II 113_{18} კატა თაგვს იჭერს...

ჰანური მ-თ უ გ-ი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **თაგვ**-ს: ზანურის ნორმების შესაბამისად უნდა ყოფილიყო **თოგ-ვ**-ი, მაგრამ **გვი**კომპლექსში **-ვ-** დაკარგულია, **ო→უ** და თავკიდურ **თ**-ს დართული აქვს **მ-** ფონეტიკური დანაზარდი. ამგვარად: **თოგ-ვ**-ი→**თოგ**-ი→ **თუგ**-ი → **მ-თუგ**-ი... მეგრულში ეს ძირი არა ჩანს; იქ იხმარება **ჭუკ**-ი (,,თაგვი'').

24.	ჰან.	**კუდ-ელ-ი**	კუდი, ბოლო,	хвост
	მეგრ.	**კუდ-ელ-ი**	,,	,,
	ქარ.	**კუდ-ი**		,,
	სვან.	ჰა-**კვ̌დ-**	,,	,,

ხორძა მუში ცხენიში კ უ დ ე ლ ი ს ქონოკორუ II 94_{31} თავისი ცოლი ცხენის კუდს მიაბა... მგერი ქოგოიჭუდორენ დო კ უ დ ე ლ ი მონდრეკელი დაღიშა იმტუდორენ II 12_{9} მგელი დამწვარა და „კუდმოდრეკილი“ ტყეში გაქცეულა... მამული ფამფარითე ქიჩინობენ, კ უ დ ე ლ ი მ ო ნ დ რ ე კ ი ლ ი... აყვენ I 164_{21} მამალი ბიბილოთი იცნობა, ბოლო („კუდი“) მოხრეკილი ექნება... [ცხენის] კ უ დ ე ლ ი ს-ნა მუდუმელან, კუსკუნი იყვენ I 152_{23} ცხენს კუდზე რომ მოსდებენ, საძუე არის...

ძირეული **კუდ-** საერთოა ქართულში, ჰანურსა და მეგრულში (სვანურშიც); დეტერმინანტი-სუფიქსი ქართულს არა აქვს. ჰანურსა და მეგრულში კი **-ელ-** არის.

მნიშვნელობა გაფართოებულია ჰანურსა და მეგრულში: კუდსაც აღნიშნავს და ბოლოსაც (მეგრ. ქოთომი დ ო კ უ დ ე ლ უ — ქათამს ბოლო დააგლიჯა...).

25.	ჰან.	**ქაჩაჩ-ი**		ჩლიქი, копыто (вообще)
	მეგრ.	—		—
	ქართ.	**ქაჩაჩ-ი**	„გაუპობელი ჩლიქი“ (ს ა ბ ა),	копыто (одноком. жив.).

ხოჯის კუჭხეს ქ ა ჩ ა ჩ ი უღუნ; ჯამიშის, ფუჯის, ცხენის, მსქვეის,—თელის ქ ა ჩ ა ჩ ი უღუნ I 165_{29} ხარს ფეხზე ჩლიქი აქვს; კამეჩს, ძროხას, ცხენს, ირემს—ყველას ჩლიქი აქვს...

ჰანურში ეს იგივე სიტყვაა, რაც ქართული ქ ა ჩ ა ჩ ი, ოღონდ მნიშვნელობა გაფართოებული აქვს: **ქაჩაჩი**—ს ა ბ ა ს განმარტებით—„ცხენის, ვირის და მისთანათა გაუპობელი ჩლიქი“-ა, ხოფელის განმარტებით კი ქ ა ჩ ა ჩ ი „გაუპობელსაც“ ნიშნავს და „გაპობილსაც“: ცხენისაც „ქ ა ჩ ა ჩ ი“ გამოდის და ხარისაც, კამეჩისაც, ირმისაც... აღსანიშნავია, რომ ქართულშიც ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი: **ჩლიქი** „ფერკგანპებულის ფრჩხილს“ ერქვა (ს ა ბ ა); ამჟამად კი ზო-

გადად „ჩლიქს“ (копыто) აღნიშნავს. თუ ჭანურში ქაჩაჩის—გაუპობელი ჩლიქის —სახელი მოგვევლინა ზოგადი ცნების აღმნიშვნელად, ქართულში ჩლიქი—გაპობილის სახელი—გამოდის ამავე როლში.

მეგრულში ქაჩაჩი არა გვაქვს; იხმარება—ჩრიქე...

26. ჭან. **გუდ**-ა გუდა, мех, бурдюк
მეგრ. **გუდ**-ა „ „ „
ქარ. **გუდ**-ა „ტყავისაგან შთასადებელი“ (საბა) „ „

გუდა მჩხუიშ შქემბე რენ. გუდა ტკებიში-თი იყვენ, ამა ჯაღი... დოლოდუმელან I 138_{33} გუდა ცხვრის ფაშვია. გუდა ტყავისაც იქნება, მაგრამ ერბოს... დებენ... „ცხენიში გუდა ქომეშკახთი!“... გუდა ქომეშკ ხთუ II $134_{12,17}$ ცხენის გუდაში ჩაძვერი („შედი“)!... გუდაში ჩაძვრა („ჩავიდა“)...

ეს სიტყვა საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჭანურისათვის... მნიშვნელობაც ერთი და იგივეა.

27. ჭან. **ქრ**-ა || **ქი**-ა რქა, рог
მეგრ. **ქა** || **-რქ-ალ**- „ „
ქართ. **რქ**-ა „

ხოჯის თის ქრა უღუნ, ჟურ ქრა, ეჭოლე-აჭოლე I 165_{12} ხარს თავზე რქა აქვს, ორი რქა, იქით-აქეი... ქრა ვა უღუნ დო კოპალი ენ II 4_{27} რქა არა აქვს და დოლაა... ჯამუშის ქრას ზენჯირი გებუდვი II 57_{15} კამეჩს რქაში ჯ ჰვი შევაბი... ფუჯი თი ქია უღუნ, ფუჯი თი ჯურ ქია უღუნ II 113_{25} ძროხას თავზე რქა აქვს, ორი რქა აქვს...

ჭანურისათვის ამოსავალია ქრა; ქია ართაშნულში გვ ქვს: ქრა → ქია. მეგრულში ამ სახელს ყოველთვის **ქა**-ს სახით ვხვდებით, მაგრამ ნასახელარ ზმნაში **რქალ**-უნ-ს—„რქებზე თოკს ახვევს“—შენახულია **რქ-ალ**- ფუძე; ასევე: ნაზმნარ სახელში „**ო-რქ-ალ**-ი ბაწარი“—რქებზე შესაბმელი, დასახვევი თოკი... მ. ბროსეს ჩაწერილი აქვს აქრა; ანალოგიური ფორმა ჩანიშნული აქვს ნ მარს ჭანურის ათინურ კილოკავში (იხ. ჭან. გრ., გვ. 198: **ქრა**)... ი. ყიფშიძის ვარაუდით ეს აქრა „აფხაზური გაფორმებაა“ (იხ. მეგრ. გრ., ლექს., გვ. 341: **ქა**).

ამგვარად, ქართულს, ჰანურსა და მეგრულს საერთო ფუძე **რქალ-** ჰქონდათ; მისგან მივიღეთ:

ქართ. **რქ-ალ-→რქ-ა...**
ჰან. **რქ-ალ-→რქ-ა-→ქრ-ა || ქია**
მეგრ. **რქ-ალ-→რქ-ა-→ქრ-ა→ქა**

28. ჰან. **მ-ჯა || მ-ჟა || ბ-ჟა || ბ-ჯა** რძე, молоко
|| „მჟალვა“M || „ბჟალვა“ M || „ჟალვა“M
მეგრ. **ბ-ჟა←ბ-ჟ-ალ-** „
ქართ. **რ-ძე** || ძვ. ქართ. **ს-ძე-ჲ** „

მჟა დოგიბუფან... I 138_{20} რძეს მოადუღებენ („მოხარშავენ“)... მჟა ქონოკიდაფან. მჟას დიკაშ მქიი... ქოგილუბღაფან I 142_{35} რძეს ჩამოკიდებენ. რძეს პურის ფქვილს... ჩააყრიან... მჟა ოგუბუშენი დაჩხურის გებდგი. ბჟა დიგუბუ დო ჲეფუ... მჟა ქოგჲოფუნი-ი? II 76_{25-27} რძე მოსადუღებლად („მოსახარშავად“) ცეცხლზე შევდგი. რძე მოიხარშა და ადუღდა... რძე მოადუღე?... ფუჯი დომჭვალუმთ, მჯა დომწორუმთ II 113_{32} ძროხას მოვწველით, რძეს გავწურავთ.. ფუჯი მჯა ინჭვალენ II 109_{27} ძროხა რძეს იწველის... ბჯა ქობოხთიმანთ II 113_{28} რძეს მოვურევთ...

ჰანურში ამ სიტყვის რამდენიმე ვარიანტი გაგვაჩნია: **მჟა** ხოფურსა და არქაბულში, სპორადულად **ბჟა**—არქაბულში, **მ-ჯა** ართაშნულში... ეს—ტექსტებით დადასტურებული ვარიანტებია. ამათ გარდა ნ. მართან მოცემულია მჟალვა—ათინურისა და ვიწურისათვის, ბჟალვა—ბულეფურისათვის, ჟალვა—კვლავ ათინურისათვის. კონტექსტები ამ ვარიანტებს არ ახლავს. ი. ყიფშიძეს კიდეზე მიწერილი აქვს „**მ-ჟა**“... მჟალვა || ბჟალვა || ჟალვა **მჟალ-**ისაგან ნაწარმოები სახელები ჩანს.

ჰანურისათვის ამოსავალია: **მ-ჟა←მ-ჟალ**; თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია; ამ **მ-**ს ადგილს მეგრულში იჭერს **ბ-: ბ-ჟა-**... ბალახის სახელში მა-ბ-**ჟალ-**ია—„რძიანა“—მეგრულში მოცემულია **ჟალ-** ფუძე, შეუკვეცავად... ჰან. **მ-ჯა** მიღებულია **მ-ჟა**-საგან[1]. ჰანურისა და მეგრულის ჩვენებათა თანახმად ქართულში უნდა გვქონოდა **ზე-ნ-** || **ზე-ლ-**; **ძ-** აქ მეორეული უნდა იყოს. თავკიდური **ს-** || **რ-** — **ს-ძე-** || **რ-ძე-** —ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი აფიქსია.

[1] შდრ. ლობჟა→ლობჯა, ყოხო→ჯოხო და არა პირუკუ.

29. ჰან. **ყვ-ალ-ი ‖ კვ-ალ-ი ‖ ვ-ალ-ი** ყველი, сыр
მეგრ. **ღვ-ალ-ი** ,, ,,
ქართ. **ყვ-ელ-ი** ,,

ჩქინი ყ ვ ა ლ ი აშო იყვენ... ყ ვ ა ლ ი-ნა დოლოძინ, გუდა... I $138_{31,32}$ ჩვენი ყველი ასე კეთდება... ყველი რომ ძევს, გუდა... ყ ვ ა ლ ი დო-ჭკიუფან I 141_{32} ყველს დაჭრიან... კ ვ ა ლ ი იშიღა-შ-კულე, წკაი-ნა დოსქიდასენ, თანი იყვენ II 74_{16} ყველს რომ ამოიღებენ, იმის შემდეგ რომ წყალი დარჩება, იქნება „თანი“ (სველი)... ფუჯიში მჯაში კ ვ ა ლ ი დიქუმან II 109_{29} ძროხის რძისა ყველს აკეთებენ... მჯაშენ ჯორღუთი ბიქუმთ, ვ ა ლ ი ბიქუმთ II 113_{27} რძისაგან მაწონს ვაკეთებთ... ყველს ვაკეთებთ... ვ ა ლ ი ქეჯულუნ II 113_{29} ყველი „ამოვა“ (შედედდება რძე)...

ყვ- კომპლექსი მეგრულში **ღვ**-დ ქცეულა, ჭანურში ხან უცვლელად რჩება (ხოფურში), ხან **კვ**-ს გვაძლევს (ვიწ.-არქ., ართაშ., ათ.), ხან **ვ**-ღა რჩება (ათინურში). ამ კომპლექსისათვის ეს ბუნებრივია (იხ. „ჭან. გრამ. ანალ.“, § 6 ბ, გვ. 16).

დეტერმინანტ-სუფიქსად გვაქვს ქართულში **-ელ-**, ჭანურსა და მეგრულში **-ალ-**... მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

30. ჭან. **მო-ნტკ-ორ-ი ‖ მო-ნტკ-ო-ი** მატყლი, шерсть (овечья)
მეგრ. **მო-ნტყ-ორ-ი** ,, ,, ,,
ქართ. **მა-ტყ-ლ-ი** ,, ,,

მჩხუიში თომას მ ო ნ ტ კ ო ი ვუწუმელთ. მ ო ნ ტ კ ო ი ჯეზდიფან, კაი დონახუფან... I 166_{8} ცხვრის ბეწვს („თმას“) მატყლს ვეტყვით. მატყლს აიღებენ, კარგად გარეცხავენ...

დეტერმინანტი-სუფიქსი ქართულში უხმოვნოა — **-ლ-**, ჭანურსა და მეგრულში — **-ორ-**; **მა-ტყ-** კომპლექსი ქართულისა კანონზომიერად არის გადმოცემული ჭანურშიც და მეგრულშიც, ოღონდ **-ტ-**ს წინ განვითარებულია **-ნ-** და, გარდა ამისა, ჭანურის ნორმების მიხედვით **ტყ-→ტკ-**.

ამჟამად მ ო ნ ტ კ ო რ-ის ხარჯზე ფართოდ არის გავრცელებული თურქ. ჯ ა ფ ა ღ-ი, რომელიც ზოგ ჭანურ კილოკავში გაქრობის საფრთხეს უქმნის ჭანურ ფუძეს მ ო ნ ტ კ ო რ-ი.

31. ჰან. **მ-ჰკ-ეშ-ი || მ-ჰ-ეშ-ი** მწყემსი, пастух
მეგრ. **ჰყ-ეშ-ი** „ „
ქართ. **მ-წყ-ემ-ს-ი←მ-წყ-ეს-ი** „

ცარ მჰეში რასთი მოხთუ II 124_{35} ერთი მწყემსი უცებ მოვიდა... ცა'ნდღა მჰეში მუოხა თქუ... II 125_{1} ერთხელ მწყემსმა რაღაცა თქვა...

ნ. მარს მოხსენებული აქვს ჰკეში გ. როზენის მიხედვით; მე მხოლოდ ჰეში გამიგონიაო,—ათინურში; ი. ყიფშიძეს მ-ჰეში მიუწერია კიდეზე... ჩვენს ტექსტებშიც ათინური მასალა მ-ჰეშ-ს იძლევა. აქედან ნაწარმოებ ზმნაშიც და ნაზმნარ სახელებშიც **მ-** გვაქვს: არ დომჰეშა II 135_{17} ერთი ვუდარაჯო... ომჰეშუშა II 126_{15}, 127_{5} სამწყეს ვად...

ძირი ამ ზმნისა ქართულში **წყ-** არის; წყ-ემ-ს-ი „არსი", „ღირს-ი"-ს მსგავსი წარმოება უნდა იყოს და „მაყურებელს" უნდა ნიშნავდეს ეტიმოლოგიურად (შდრ. მეგრ. ო-რ-წყ-ე-(ნ)... ხედავს, უყურებს... ჰან. ო-წკ-ე-ს-ს... სვ. ლი-წ-ედ—ხედვა, ყურება)... **მ-** ქართულს ანალოგიით უნდა ჰქონდეს გაჩენილი, ჰანურში—ფონეტიკურად იყოს განვითარებული (მეგრულს არ დაურთავს)... **-ემ-** სუფიქსი ქართულს ახასიათებს, ჰანურსა და მეგრულს კი—არა. კავშირი მწყემს-სა და „ყურება" სიტყვას შორის დიდი ხნის გაწყვეტილია: მწყემს- კანონზომიერად გადმოცემულია ჰყეშ- || ჰკეშ- || ჰეშ-ით, ორწყე (ნ) || ოწკეს-ს კი გაუდიფერენცირებულ **წყ-** || **წვ-** || **წ-** ძირს იძლევა; ის საერთოა ქართველური ენებისათვის.

32. ჰან. **ქოთ-უმ-ე** ქათამი, курица (вообще)
მეგრ. **ქოთ-ომ-ი** „ „
ქართ. **ქათ-ამ-ი** „
სვან. **ქათ-ალ-** „ „

ქოთუმე'სთეი კარკალით I 2_{21} ქათამივით იკაკანეთ... „აკო ქოთუმეს არ მამული ვა უნონ"-ჲა!? I 2_{29} ამდენ ქათამს ერთი მამალი არ უნდაო?!... დღას სუმ ქოთუმე მემიჭკირუფ-ნა... I 37_{27} დღეში სამ ქათამს თუ დამიკლავ!.. ქოთუმექ მარქვალი სქუფს I 164_{3} ქათამი კვერცხსა დებს... ქოთუმეს ჟურ ფსვა უღუნ I 164_{25} ქათამს ორი ფრთა აქვს... ა ქოთუმე ოჭოფი I 49_{11} ერთი ქათამი დაიჭირე... ქოთუმექ მაქვალი სქუმს II 5_{3} ქათამი კვერცხსა დებს...

ათინურსა და ართაშნულში იხმარება ქორმე (ქორმე მაქვალი ქოდოსქუ II 11^{5}_{2} ქათამმა კვერცხი დადო...)...

ქათამ- ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება ქოთომ- ფუძე მეგრულისა. ჰანურში **მ**-ს უშუალო მეზობლობაში **ო→უ**: ქოთომ- →ქოთუმ-; სახელობითის ნიშანი ჰანურს **-ე** აქვს (ზანური გაფორმება).

სვან. ქათალ გვაფიქრებინებს, რომ ძირეულია **ქათ-**, მაგრამ ათინურ ქორმე-ს თუ დავეყრდნობოდით, **ქორ-** || **ქო-** პირველ ძირად უნდა მიგვეჩნია, თამ- —თომ- || თუმ- —მეორე ძირად, ქათამ- || ქოთომ- ქოთუმ- კი—რთული ფუძე, კომპოზიტი იქნებოდა.

ნაწარმოები:

ჰან.	ო-**ქოთუმ**-ალ-ე	საქათმე, курятник
მეგრ.	„ო-**ქოთომ**-ე“, ჩვეულებრივია „ოკარიე“	„
ქართ.	სა-**ქათმ**-ე	„

ჰან. ტკაში ქოთუმე, „მტკორი ქოთუმე“ M, „მტკური ქოთუმე“ M—ტყის ქათამი...

დოლუმჯას-ში, ოქოთუმალეს ქომეშულვან I 164_{35}—165_{1} საღამო რომ დადგება, საქათმეში შევლენ...

მეგრულში „საქათმე“ აღინიშნება სხვა ძირისაგან ნაწარმოები სახელით ო-კარიე. ათინურ ქორმე-სთან ამის დაკავშირებას დაბრკოლებები ეღობება.

არ ჩქვა ტკაში ქოთუმე ვუწუმელთ I 154_{9} ერთი სხვაც [არის], ტყის ქათამს ვეტყვით... იქვე: მტკუი კაზი, მტკუი ბიბი-თი ენ I 154_{10} გარეული ბატი („ტყიური ბატი“), გარეული იხვია („ტყიური იხვი“)... ამგვარად, ტკაში და მტკური ერთმანეთს ენაცვლება. შდრ. ნ. მარის მიერ მოხსენებული მტკორი ქოთუმე—არქაბულისათვის, მტკური ქოთუმე—ხოფურისათვის.

33. ჰან. **დად-ულ-**ი დედალი (ქათამი), курица, курочка
მეგრ. **დად-ულ-**ი „ „
ქართ. **დედ-ალ-**ი „
სვან. **დად-ჳ** „ „

არ დ ა დ უ ლ ი ქოჭკომუ I 69_{18} ერთი დედალი შეჭამა... ქოთუმე დ ა დ უ ლ ი-თი იყვენ, მამული-თი I 164_3 ქათამი დედალიც იქნება, მამალიც... დ ა დ უ ლ ი ს ფამფარი ჰიტა უღუნ I 164_{23} დედალს ბიბილო პატარა აქვს...

ჰანურსა და მეგრულში დ ა დ-უ ლ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. დ ე დ-ა ლ-ს, ოღონდ დეტერმინანტი-სუფიქსი **-ოლ-** ჰან.-მეგრ. ქცეულა **-ულ-**ად, **ო**-ს **უ**-დ დავიწროების გამო.

ძირეულია **დედ-** ქართულში, **დად-** ჰანურსა და მეგრულში.

სვანურში იგივე **დად-** ძირია გამოყენებული, რაც მეგრულსა და ჰანურში გვაქვს. დეტერმინანტი-სუფიქსი კი აქ **-ჳ-** არის; ეს სუფიქსი მხოლოდ მორფოლოგიურად შეესაბამება **-ალ-** || **-ოლ-** სუფიქსებს.

34. ჰან. **მამ-ულ-**ი || „მუმულ-ი“ M. მამალი (ქათამი), петух
მეგრ. **მუმ-ულ-**ი „ „
ქართ. **მამ-ალ-**ი „
სვან. **მამ-ჳლ** „ „

მ ა მ უ ლ ი მოთ მუყონი-ა I 23_{10} მამალი რად მოიყვანეო... ია მ ა მ უ ლ ი ტუ I 82_{18} ის მამალი იყო... ქოთუმე დადული-თი იყვენ, მ ა მ უ ლ ი-თ ი I 164_3 ქათამი დედალიც იქნება, მამალიც... მ ა მ უ ლ ი ქ ყიაფს I 164_{29} მამალი ყივის... მ ა მ უ ლ ი ფამფარითენ ქიჩინობენ I 164_{21} მამალი ბიბილოთი იცნობა... მ ა მ უ ლ ი კიამს II 2_1 მამალი ყივის... ა რ ოხოის არ მ ა მ უ ლ ი დო არ ჯოღოი ქორენ II 39_{29} ერთ სახლში ერთი მამალი და ერთი ძაღლი არის... მ ა მ უ ლ ი II 115_1.

ძირეულია **მამ-**; ის უცვლელად არის წარმოდგენილი ჰანურში (ათინურის გამოკლებით?)... მეგრულში **მამ-**ს შეეფერება **მუმ-**, მიღებული **მომ-**ისაგან: **მ-**ს მეზობლობაში **ო→უ**. ნ. მ ა რ ი ს ჩვენებით აგეთივე ვარიანტი გვაქვს ათინურშიც (იხ. ჰან. გრამ., გვ. 165). დეტერმინანტი-სუფიქსია **-ალ-** ქართულში, **-ულ-** ჰანურსა და მეგრულში: **-ულ←-ოლ-**; სვანური **-ჳლ-** იმეორებს ქართულ **-ალ-**ს; **ა**-ს დარბილება, კერძოდ, სვანურისათვისაა დამახასიათებელი...

35. ჭან. **მო-ნ-ჭვა** || **მო-ნ-ჭა** || „**მო-ნ-ჭვე**“ M კრუხი, наседка
მეგრ. **მო-ჭვა** „ „
ქართ. **მო-ჭვა** || **მოჭუა** (იმერ.). „

მონჭვას დო ჭუჭულეფეს კაი ოწკედი I 36_{33} კრუხსა და წიწილებს კარგად მიხედე „უყურე“... მონჭვა გჲათხოზუ ყვაოჯის I 102_{7} კრუხი გამოუდგა ყვავს... მონჭვა გეხენ მარქვალის I $164_{}$ კრუხი აზის კვერცხებს... კაი მონჭვაჭ მიელი გამაწილუფს I 164_{17} კარგი კრუხი ყველას გამოჩეკს... ჰემუს აშქუინუ, მონჭვაშა მენდახთუ II 46_{7} იმას შეეშინდა, კრუხთან გაიქცა („წავიდა“)... მონჭა კროხამს II 2_{21} კრუხი კრუხუნებს...

ეს სახელი მეგრულსა და ჭანურში გვაქვს, ქართულში კი არა: იმერულში, მართალია, იხმარება მოჭვა || მოჭუა (იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, გვ. 30), მაგრამ ეს ზანიზმია იმერულში. მეგრული მოჭვა, აგრეთვე იმერულში ხმარებული მოჭვა || მოჭუა, გვაფიქრებინებს, რომ ჭანურში **-ნ-** ფონეტიკურადაა განვითარებული. მონჭვე- ვარიანტი ნ. მარს აქვს ნაჩვენები ვიწურისათვის (იხ. ჭან. გრამ., გვ. 224). ი. ყიფშიძის მინაწერიდან ჩანს, რომ ათინურშიც ასეთივე ვარიანტი ხმარებულა. მონჭა ჩვენს ტექსტებში გვხვდება—ვიწულებთან საუბარში.

მოჭვა || მონჭვა უნდა იყოს კავშირში ქათმების დაპურებისას მეგრულში ხმარებულ მოწოდებასთან—„მოიჭანი! მოიჭანი!“

აღსანიშნავია, რომ ჭანურშიც და მეგრულშიც იხმარება **კრუხ-** ფუძე; მეგრული კუხანს „კრუხობს“, ქოთომქ მიკუხუ—ქათამი აკრუხდა, ჭან. კროხამს (იხ. ზემოთ) „კრუხუნებს“ ამ ფუძის არსებობას მოწმობს. ართაშენელი ხმარობს ამავე ზმნას უ-**რ**-აეოლ: ქორმე კოხნუჲ II 115_{22} ქათამი კრუხუნებს (შდრ. მეგრ. **კუხ-**)... ართაშნულში თვით სახელიც გვაქვს **რ**-ს შენახვით: კროხ-ი: ჰუჭულეჯენა უონუნ, ქორმე იენ **კროხი** II 115_{21} წიწილები რომ ჰყავს, ის ქათამი იქნება კრუხი...

36. ჰან. **ჰუჰ-ულ**-ი წიწილი, цыпленок (кур.)
მეგრ. —
ქართ. **ჰუჰ-ულ**-ი „ბატისა და იხვის წიწილი“ (საბა), гусенок, утенок

მონჭვა დო ჰუჰულეფე ართიკათის ქონუკიუ I 37_2 კრუხი და წიწილები ერთმანეთს გადააბა... ჰუჰული ქაგამაპწილუფ I 37_{12} წიწილებს („წიწილს“) გამოვჩეკ... ჰუჰულეფე მქირიქ მენდამიყონუ-ჲა დო ემუში ჲეინე ჰუჰული გამ პწილუფ-ჲა I 40_{24} წიწილები ქორმა წამართვა და იმის ნაცვლად წიწილებს („წიწილ-ს“) გამოვჩეკო... ჰუჰულეფე ოკაკიდეს II 2_1 წიწილები „წაიჩხუბნენ“ („შეიბნენ“)... ქორმე ქოჯებოხუნარ, ჰუჰული ქოგამიონასენ ეჩიდოჟურ დღაშ უკულე II 115_6 ქათამს დავსვამ, წიწილს გამოჩეკს ოცდაორი დღის შემდეგ... ჰუჰულეფე-ნა უონუნ, ქორმე იენ კროხი II 115_{21} წიწილები რომ ჰყავს, [ისეთი] ქათამი იქნება კრუხი...

ნ. მარის ჩვენებით ჰუჰული ხოფურია; ჩვენს ტექსტებში ეს სიტყვა ართაშნულშიც დასტურდება; ერთს შემთხვევაში—ვიწურშიც.

იგივე სიტყვა გვაქვს ქართულში: „ბატთა, იხუთა და მისთანათა-სა [მართვეს ეწოდება] **ჰუჰული**“ (საბა: იხ. **მართვი, მართვე**)...

მეგრულში ეს სიტყვა ქათმებისა (და წიწილების) მოხმობისას თუ შეგვხვდება: ჰუჰუ || ჯუჰუ...

არქაბულში იხმარება წიპილი, წიპილა ჰუჰულის ნაცვლად: წიპილი[1] წიამს II 2_{21} წიწილი წივის... წიპილა დირდუ-შ-კულე, ფილიჩი დივუ II 72_{16} წიწილი რომ გაიზარდა, ვარია გახდა... II $46_{6,13,39}$... ეს წიპილ- და ქართული წიწილ- ერთი და იგივე უნდა იყოს: წიპილ- — წიწილ-... ძირი **წიპ-** ხმის მიბაძვითი ჩანს. (წიწილა ჰანურშიც გვაქვს,—გველს ნიშნავს; აქედანაა, ალბათ, გველის წიწილა—გველის ნაშიერის აღსანიშნავად შემონახულია ჰანური წიწილა)...

37. ჰან. **ყვარ-ელ**-ი || **კვარ-ელ**-ი ყეერული, каплун
მეგრ. **ყვარ-ილ**-ი » »
ქართ. **ყვერ-ულ**-ი »

[ფილიჩი] დოკვარა-შ-კულე კვარელი დივუ II 72_{17} ვარიას რომ დაკოდავ („დაყვერავ“), ყვერული გახდება...

[1] წიწილი წერია, კორექტურული შეცდომაა.

ხოფურში კ ვ ა რ ე ლ ი-ს შესაბამისი ყ ვ ა რ ე ლ ი უნდა ყოფილიყო. ხოფელმა გამიცხადა: მამულიში ო ყ ვ ა რ უ ჩქინ ვა მიჩქინან I 164_{23} მამლის დაკოდვა ჩვენ არ ვიცითო... კ ვ ა რ ე ლ ი ვიწურარჩაბული ნორმების შესაბამისია...

ეს სიტყვა წარმოშობით მიმღეობაა ქართულშიც, მეგრულშიცა და ჭანურშიც; **-ულ-** სუფიქსი ქართულში, **-ილ-** მეგრულში და **-ელ-** ჭანურში ნამყო დროის მიმღეობას ახასიათებს; **ყვერ- || ყვარ- || კვარ-** ერთმანეთს შეესაბამება.

38. ჭან. **ბუნდღა** бурлый, пух
მეგრ. **ბურდღა** „ „
ქართ. „**ბუნდღა**“ (იმერ.) „ „

ქოთუმეში ბ უ ნ დ ღ ა ქაგოწკიფან I 142_{22} ქათამს ბურტყლს გააცლიან... ქოთუმეს ტანის ბ უ ნ დ ღ ა აყვენ I 153_{4} ქათამს ტანზე ბურტყლი აქვს...

მეგრ. ბ უ რ დ ღ ა ბ უ ნ დ ღ ა-საგანაა მიღებული. ეს უკანასკნელი იმერულს შეუთვისებია მეგრულისაგან და დაუცავს წინანდელი სახით (იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყ. კონა, გვ. 7). სხვაგან ქართულში არა ჩანს.

39. ჭან. **სუ-ა || ფ-სვ-ა || ფ-სუ-ა || მ-სვ-ა** М фрта, крыло (птиц, насекомых)
მეგრ. **სუ-ა || ფ-სუ-ა** „ „
ქართ. —

მუში მ ს ვ ა შ ე ნ ჟურ თანე ქანიწკუ I 34_{1} თავის ფრთიდან ორი „ცალი“ ამოიძროს... ქოთუმეს ფ ს ვ ა ლ ე ფ ე უღუნ I 153_{8} ქათამს ფრთები აქვს... ქოთუმეს ჟურ ფ ს ვ ა უღუნ I 164_{25} ქათამს ორი ფრთა აქვს... მ ს ვ ა ე ფ ე გონთხუ დო ზოი დიყურუ I 82_{16} ფრთები გაშალა და ძლიერ „დაიყვირა“... კვინჩიში ფ ს უ ა ნიჩანი I 149_{27} (ხოფ.) ჩიტის ფრთა შეისხი... ფ ს ვ ა-ჭერელი ტოროჯი I 150_{33} (ხოფ.) ფრთაჭრელო მტრედო... ფ ს ვ ა ლ ე ფ ე ქუუღუნ II 82_{19} ფრთები აქვს... ჟურ ს უ ა უღუნ II 75_{10} ორი ფრთა აქვს...

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ამ სახელის ფუძეა **სვ-ალ- || სუ-ალ-**; თავკიდური **ფ- || მ-** ფონეტიკურად განვითარებულია; **სვ- || სუ-**

ერთმანეთს ენაცვლება და ძირეული მასალაა; **-ალ-** დეტერმინანტი-სუფიქსია.

მეგრულში ძირეული **სუ-** მახვილს ატარებს, ჰანურში ჩვეულებრივ—არა და ამისდა კვალად **უ→ვ**. ქართულში ეს ძირი არა ჩანს.

40. ჰან. **ბუმბ-ულ-**ი — ბუმბული, пуховик
მეგრ. **ბუმბ-ულ-**ი — ბუმბლის სქელი ლეიბი, перина
ქართ. **ბუმბ-ულ-**ი — „ნაკრტენი" (საბა), пух

ბუმბული ჩიჩქუ ბუნდღაში ჯოხო ენ I 153_4 ბუმბული რბილი („ჩვილი") ბურტყლის სახელია... ჲასთუღი... ფამფუღიში-თი იყვენ, ბუმბულიში-თი იყვენ I 151_{10} ბალიში... ბამბისაც იქნება, ბუმბულისაც იქნება... ჲასტუღი ჩიჩქუ-ნა ტას, ბუმბულიში ვუწუმელთ I 164_{28} ბალიში რომ რბილი იქნება, ბუმბულისას ვეტყვიო...•

ფუძე ბუმბულ- საერთოა; ძირეულია **ბუმბ-**; **-ულ-** დეტერმინანტი-სუფიქსია. მნიშვნელობა არსებითად ერთია...

41. ჰან. **ფამფ-არ-**ი ‖ **ფამფ-ა-**ი („**ფანფ-არ-**ი" M) — ბიბილო მამლისა, гребешок (петуший)
მეგრ. **ფაფ-არ-**ი — ფაფარი, грива
ქართ. **ფაფ-არ-**ი — ,,

მამულის ფამფარი ძანგულერი ქჲუხთეფს დო მამული ფამფარითენ ქიჩინობენ I 164_{21} მამალს დაკბილული ბიბილო ამოუვა და მამალი ბიბილოთი იცნობა... ფამფაი ქოთუმეს-თი ულუნ, ამმა მამულიში დიდი იყვენ I 153_3 ბიბილო ქათამსაც აქვს, მაგრამ მამლისა დიდი იქნება...

ეს იგივე სიტყვაა, რაც ქართულისა და მეგრულის ფაფარ-ში გვაქვს, ოღონდ **ფ-**ს წინ **მ-** არის განვითარებული (ნ. მარს ფანფარიც აქვს აღნიშნული). ძირეულია **ფაფ-**, დეტერმინანტი-სუფიქსია—**-არ-**.

მნიშვნელობა ქართულთან და მეგრულთან შედარებით გადახრას გვაძლევს; ეს განსხვავება ადვილი ასახსნელია.

42. ჰან. **ღორღ-ოჯ-**ი ბატი, гусь
მეგრ. **ღორღ-ონჯ-**ი ,, ,,
ქართ. **ღერღ-ედ-**ი „ღერღედი ‖ ღერღეტი—ბატი“ (საბა), гусь

ტექსტებში დადასტურებული არაა; გამიგონია აფხაზეთში, არქაბელი ლაზისაგან.

მეგრულში **ჯ**-ს წინ **-ნ-** განვითარებულია; ძირეული უნდა იყოს **ღერღ-** ქართულში, **ღორღ-** მეგრულსა და ჰანურში; **-ედ-** ‖ **-ოჯ-** ‖ **-ონჯ-** დეტერმინანტი სუფიქსი ჩანს: **დ** ‖ **ჯ**-ს მონაცვლეობა მეგრულისათვის ჩვეულებრივია (მეგრულსა და ჰანურში აქ **ჯერ დ-** უნდა ყოფილიყო)...

შესატყვისობის თვალსაზრისით აუხსნელია ხმოვანთა ურთიერთობა: ან ქართულში **ა-** უნდა გვქონოდა (ღ ა რ ღ ად-), ანდა ჰანურსა და მეგრულში **ო-** მიღებულია **ა**-საგან: ღ ა რ ღ ად- ‖ ღ ა რ ღ აჯ- → ღ ო რ ღ ოდ- ‖ ღ ო რ ღ ოჯ-... რატომ? **ღ**-სა და **დ**-ს მეზობლობა ამის ასახსნელად არაფერს იძლევა!

და მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ერთსა და იმავე ფუძესთან გვაქვს საქმე. საინტერესოა, რომ ქართულში ნასესხებმა სიტყვამ ბ ა ტ-მა გამოდევნა ღ ე რ ღ ე დ ი, ჰანურში დამკვიდრდა თურქ. კ ა ზ ი და ღ ო რ ღ ოჯ-ი სანთლით საძებარი გამხდარა. უფრო მტკიცედ ეს ფუძე მეგრულში გრძნობს თავს, თუმცა აქაც, სენაკურში, ბ ა ტ ი-ა გაბატონებული (ღ ო რ ღ ონ ჯ ი ს ნაცვლად).

43. ჰან. **ჭ-ურ-**ი ‖ **მ-ჭირ-**ი ‖ **მ-ჭი-**ი ქორი, ястреб
მეგრ. **ჭ-ორ-**ი ,, ,,
ქართ. **ჭ-ორ-**ი ,,

ჭ უ რ ი ჭ წიპილი ჰოფუმს II 75_{11} ქორი წიწილს იჭერს... ქოთუმეფე მ ჭ ი რ ი ჭ ვარ იყონას-და I 40_4 ჭათმები ქორმა არ წაიღოსო... მ ჭ ი რ ი ს გ ჲ ათხოზუ I 40_{10} ქორს გამოუდგა... მ ჭ ი რ ი ს გევოთხოზუტა-ში, მ ჭ ი რ ი დინცირენ I 40_9 სანამ ქორს მივსდევ, ფქვილი გაიცრება... მ ჭ ი ი ენ ჩქვა—ქოთუმე ჲ ეზდიფს I 154_{24} ქორია კიდევ—ქათამს იტაცებს...

ამოსავალია ჰანურისათვის **ჭურ-** ფუძე; მისგან **მ-**ს დართვით და **უ-**ს **ი-**დ შეცვლით ვღებულობთ მ-ჭ ი რ-ს; ხმოვანთა შორის **-რ-** იკარგება და მ ჭ ი რ ი → მ ჭ ი ი...

მეგრ. ქ ი რ ი მომდინარეობს ი-ანი ჰანური ფარიანტისაგან, ოღონდ მ- არა აქვს დართული თავში. **-ურ-** || **-ირ-** დეტერმინანტი-სუფიქსია. მნიშვნელობა ყველგან ერთია.

გარეგნულად ქ ო რ ს ემსგავსება ხშირად „ფქვილი“: მ ქ ი რ ი || მ ქ ი ი ხოფურში ქ ო რ ი ც ა ა და ფ ქ ვ ი ლ ი ც. მათი წარმომავლობა სხვადასხვაგვარია: ქ უ რ ი → ქ ი რ ი → მ ქ ი რ ი (ქორი)... მ ქ ვ ე რ ი || მ ქ ვ ი რ ი → მ ქ ი რ ი (ფქვილი).

44. ჰან. **ტ ო რ-ო ჯ-ი || ტ ო-ო ჯ-ი** მტრედი, голубь
მეგრ. **ტ ო რ-ო ნ ჯ-ი** „ „
ქართ. **მ-ტ რ-ედ-ი** „

ფსვა-ჭერელი ტ ო რ ო ჯ ი... II 50_{33} (ხოფ.) ფრთა-ჭრელო მტრედო... ნე-თი პჰოფუმ ტ ო რ ო ჯ ი ა II 84_{26} არც დავიჭერ მტრედსაო... სუმ ტ ო რ ო ჯ ი ჭოგეხთუ II 135_{18} სამი მტრედი ჩამოვიდა... ტ ო რ ო ჯ ე ფ ე ცეფუთხეს დო იმტეს II 135_{20} მტრედები აფრინდენ და გაიქცნენ... არ ჩქვა ტ ო ო ჯ ი იყვენ I 154_{11} ერთი სხვაც მტრედი იქნება...

ჰანურსა და მეგრულში ფუძე ერთი დაიგიეე გვაქვს, ოღონდ მეგრულში **ჯ**-ს წინ განვითარებულია **-ნ-**; ტ ო რ ო ჯ- ფუძე **რ**-ს დაკარგვით გვაძლევს ტ ო ო ჯ-ს. ძირეულია **ტორ-**, **-ოჯ-** დეტერმინანტი-სუფიქსია. ქართული შესაბამისი ფუძე უნდა იყოს მ-**ტრ-ედ-**; აქ თავკიდური **მ**- განვითარებულია; **ტ**-სა და **რ**-ს შორის ხმოვანია დაკარგული; **-ედ- -ოჯ-**ის შესაბამისი სუფიქსია (შდრ. **ლორლ-ოჯ-**).

ფონეტიკურად ტ ო რ ო ჯ- უფრო ახლოსაა ქართ. ტ ო რ ო ლ ა-სთან: ტ ო რ-ო ლ-ა ← ტ ო რ-ო რ-ა, მაგრამ სემასიოლოგიურად მ ტ რ ე დ ი ფარავს ტ ო რ ო ჯ-ს და აგებულებითაც შესაძლოა მათი დაკავშირება (იხ. **ლორლოჯ-**)... ტოროლა სამეგრელოში არ იცის.

45. ჰან. **გუგ-ულ-ი** გუგული, кукушка
მეგრ. **გუგ-ულ-ი** „ „
ქართ. **გუგ-ულ-ი** „
სვან. **გ ა̈ გ-ო** „ „

ხეშენ მამტუ, ვა მაჰოფუ გ უ გ უ ლ ი II 143_{16} (ხოფ.) ხელიდან გამისხლტა („გამექცა“), ვერ დავიჭირე გუგული... მა-ნა მამტუ გუ-

გული II 143_{18} მე რომ გამექცა გუგული... გუგული კრია-შა, დოგუთარე II 126_{9} დადგები მანამ, სანამ გუგული დაიძახებდეს... „გუგული კრიუ-დეი, ბოგზალათ!“ „გუგული ნენა ვარ ცოვნა-შა, მენდულუნ-ი?!“ II 127_{9} „გუგულმა დაიძახაო, [ვუთხრათ] გავუშვათ!“ „გუგულის დაძახილს („სიტყვას“) სანამ არ გაიგონებს, წავა?!“... გუგული-კინჩიქ ჰემუს მაქვალი ელუსქუმს II 7_{24} გუგული („გუგული-ფრინველი“) იმას კვერცხს ჩაუდებს (ბუდეში)...

ერთი და იგივე, საერთო, ფუძეა ჭანურსა, მეგრულსა და ქართულში; **-ულ-** ყველგან დეტერმინანტი-სუფიქსია; ძირეული გუგხმის მიბაძვითი მასალა ჩანს. სვანურს ამის ნაცვლად გაგ-←გაგ-ვარიანტი გააჩნია.

46. ჭან. **ოფამფ-ე** ოფოფი, удод
მეგრ. **ოფოფ-ი** „ „
ქართ. **ოფოფ-ი** „
სვან. **ოფოფ-ა̈** „ „

არ ჩქვა ოფამფე ენ—ჩოჩოკი უღუნ თის I 154_{5} ერთი კიდევ ოფოფია—ქოჩორი აქვს თავზე.

ამ სახელის ფუძე ოფოფ- მეორდება ქართველურ ენებში, ოღონდ ჭანურში **ფ**-ს წინ **მ**- არის განვითარებული და ამ უკანასკნელის წინ **ო**-ს ადგილას **ა** გვაქვს.
სიტყვა ქართველურ ენებში შეთვისებული უნდა იყოს.

47. ჭან. **მ-ზე-სქ-უ** ‖ „ზესკუ“ M შაშვი, дрозд
მეგრ. **ზე-სქ-ვ-ი** „ „
ქართ. **შა-შ-ვ-ი** „

უჩა რენ—მზესქუ ვუწუმეთ; მზესქუშენ ჭიტა ენ მსიიდა I 154_{3} შავია—შაშვს ვეტყვით; შაშვზე პატარაა „მსიიდა“...

ძირეული უნდა იყოს **-შ-** (ქართულში); **-ვ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; **შ-ვ**-ს შეესაბამება მეგრულსა და ჭანურში **-სქ-ვ-** ‖ **-სქ-უ-**; ეს უკანასკნელი შეიძლება **ვი**-ს შერწყმით იყოს მიღებული: **-სქვი** → **-სქუ**... **შა-** ‖ **ზე-** თავსართებია; **შა-←სა-** (ძველ. **შე-შა-←სე-შა**..., **ში-მშილი←სი-მილი**: (ჩვეულებრივი რეგრესიული ასიმილაცია!); **ზე-** უნდა იყოს მიღებული **დე-**საგან **ძე-**ს შუალობით:

ზე-←ძე-←დე- (შდრ. ჰან. **დი-**ცხირი, მეგრ. **ზი-**სხირი—სისხლი..., ჰან. **დი-**ცამს ‖ **ძი-**ცამს—„იცინის“)... თავკიდური **მ-** ჰანურში ფონეტიკური დანართია; ნ. მ ა რ ი ს მიერ მოყვანილ ზ ე ს კ უ ვარიანტში **კ** მეორეულია; ნ. მ ა რ ი შენიშნავს: ათინაში მე **მზესჭუ** გამიგონიაო (ჰან. გრამ., გვ. 144)...

ზემოთქმულის თანახმად:
ქართ. **შა-შ-ვ-**ი ← ***სა-შ-ვ-**ი
ჰან. და მეგრ. **ზე-სჭ-ვ-**ი ‖ **მ-ზე-სჭ-უ** ← ***დე-სჭ-ვ-**ი...

პრეფიქსები **სა-** ‖ **დე-** ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია და მორფოლოგიურად შეესატყვისება ერთმანეთს.
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

48. ჰან. **ჩხვიკ-**ი — ჩხიკვი, сойка
მეგრ. **ჩხვიკ-**ი — „ „
ქართ. **ჩხიკ-ვ-**ი — „

არ ჩქვა ჯეშილი ენ დო ემუს ვუწუმელთ ვასილი, ჩ ხ ვ ი კ ი-თი ვუწუმელთ I 154_4 ერთი კიდევ („სხვა“) მწვანეა და მას ვეტყვით „ვასილს“, ჩხიკვსაც ვეტყვით...

ქართულში, მეგრულსა და ჰანურში საერთო ფუძეა **ჩხიკ-**; დეტერმინანტი-სუფიქსი **-ვ-** ჰანურსა და მეგრულში გადასმულია შიგნით: ჩ ხ ი კ ვ ი → ჩ ხ ვ ი კ ი (შდრ. ძვ. ქართ. კ ი ც-უ, სახ. კ ი ც-ვ და ახ. ქართ. კ ვ ი ც-ი — ბოლოკიდური **-ვ-** ‖ **-უ-** შიგნითაა გადასმული..)
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

49. ჰან. **კიდ-**ი — კოდალა, дятел
მეგრ. **კიდ-უ** — „ „
ქართ. **კოდ-ალ-**ა — „

არ ჩქვა კ ი დ ი ენ—ჯა იმხოსს I 154_5 ერთი კიდევ კოდალაა—ხეს ჰამს...

მეგრულთან შედარება მოწმობს, რომ ჰანურშიც ბოლოკიდური **-უ** უნდა ყოფილიყო: **კიდ-ი←კიდ-უ**; ეს **-უ** დეტერმინანტი-სუფიქ-

სია; მისი მორფოლოგიური შესატყვისია ქართული **-ალ-**: **კოდ-ალ-ა**...

ძირეული **კოდ-** საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჭანურისათვის, ოღონდ ამ ორ უკანასკნელში **ო→უ→ი: კოდ-→კუდ-→კიდ**... (შდრ. ქართ. ქ ო რ ი და ჭან. ქ უ რ ი, მეგრ. ქ ი რ ი || ჭან. მ ქ ი რ ი...).

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

ს ა ბ ა ს განმარტებით „**კოდალა**—ხეკოდა". ამისდა კვალად, ამ სიტყვის ძირი **კოდ-** „კ ო დ ა ვ ს" ზმნის ძირთან შეიძლება გავაიგივეთ: კ ო დ ა ლ ა ე. ი. ხის მკოდავი, „ხე-კოდა"... ასეთი განმარტება არ ნიშნავს, რომ კ ო დ-ა ლ-ა თავისი აგებულებით მიმღეობაა.

50. ჭან. **ჭურჭ-ა || ჭჲურჭ-ა** ჭინჭრაქა, ღობემძვრალა, крапивник
მეგრ. **ჭინჭ-ა** „ „
ქართ. **ჭინჭ-რაქა** „

არ ჩქვა დაჰა ჭიტა რენ: ემუს ვუწუმელთ ჭ ჲ უ რ ჭ ა I 154_2 ერთი კიდეე („სხვა") უფრო პატარაა; იმას ვეტყვით ჭინჭრაქას... ჭ უ რ ჭ ა (ჟუი კუდელი უღუნ, მთელი უჩა დო მჭითა) I 155_3 ჭინჭრაქა (ორი ბოლო აქვს, სულ შავი და წითელი)...

ამოსავალია ჭანურისათვის ჭ უ რ ჭ ა; ჭ ჲ უ რ ჭ ა მეორეულია; მეგრ. ჭ ი ნ ჭ ა და ქართ. ჭ ი ნ ჭ-რაქა ერთსა და იმავე ჭ ი ნ ჭ- ფუძეს შეიცავს. საფიქრებელია, ამ ფუძეში წინათ **-უ-** ყოფილიყო: ჭ უ ნ ჭ-...

ახლანდელი მეგრ. ჭ ი ნ ჭ ა ისეთსავე მიმართებაშია ჭან. ჭ უ რ ჭ ა-სთან, როგორშიაც მეგრ. შ ი ნ კ ა (ნესვი) — ჭან. შ უ რ კ ა-სთან (კიტრი).

ქართ. ჭ ი ნ ჭ-რ ა ქ ა რთული ფუძე გამოდის: ჭ ი ნ ჭ- და რ ა ქ ა.

51. ჭან. **„მა-ლალ-უდ-ე" || „მა-ლალ-ურ-ე"** M მალაღური, иволга
მეგრ. **მა-ლალ-ურ-ი** „ „
ქართ. **მა-ლალ ურ-ი** „

მ ა ლ ა ღ უ დ ე ათინურია, მ ა ლ ა ღ უ რ ე—ვიწური (იხ. ნ. მ ა რ ი, ჭან. გრ., გვ. 162); ეს უკანასკნელი მხოლოდ სახელობითის დაბოლოებით განსხვავდება ქართ. მ ა ლ ა ღ უ რ-ისაგან. ძირეული **-ლალ-** უნდა იყოს: **მა-** — **-უდ- || -ურ-** მაწარმოებელი აფიქსებია.

ხოფურში მალაღურის მნიშვნელობით იხმარება „**შილო-გოგიე**", ე. ი. „შვილო-გოგია".

52. ჭან. **„მა-ლუღ-ე“** M „მელეღვია“, „инжирник“ (птичка)
მეგრ. **მა-ლუღ-ია** „ „
ქართ. **[„მე-ლელვ-ე“]** „

მ ა ლ უ ღ ე ნაჩვენები აქვს ნ. მ ა რ ს (ჭან. გრამ., გვ. 164) და ეს იგივეა, რაც მეგრ. მ ა ლ უ ღ ი ა–მ ა ლ უ ღ ე ა...

ეს სახელი ნაწარმოებია **ლუღ**-ისაგან: „მა-**ლუღ**-ე“—„მელეღვე“. ხოფურში ამ ჩიტის სახელად იხმარება ლ უ ღ ი-მ ო ნ ჭ ა ფ უ „ლელვის დამწიფება“: ეს ჩიტი ლელვის დამწიფების დროისათვის გამოჩნდება ხოლმე და იმიტომ!

ნ. მ ა რ ი შენიშნავს: „სახელწოდებისდა მიუხედავად [ეს ჩიტი] ლელვს არ ჭამსო“ (ჭან. გრამ., გვ. 164); „მელეღვე“ ლელვის ჭ ა ძ ა ზ ე არც მიუთითებს.

53. ჭან. **ღაჭო** ღაჟო, сорокопут (птичка)
მეგრ. —
ქართ. **ღაჟო** „

არ ჩქვა ღ ა ჭ ო უწუმელან: ემუთე ათმაჯა ჭოუფან I 154_{11} ერთს კიდევ ღაჟოს ეტყვიან; იმით მიმინოს იჭერენ...

ნ. მ ა რ ს ა ც აღნიშნული აქვს ამ სიტყვასთან ქართ. ღ ა ჟ ო (ჭან. გრამ., გვ. 200). ღ ა ჭ ო || ღ ა ჟ ო ერთი და იგივეა. ჩვენს ენებში ეს სახელი შეთვისებული უნდა იყოს უცხო ენებიდან. მეგრულში იგი არა გვაქვს.

54. ჭან. **ყვ-ა-ოჯ-ი** ყვავი, ворона
მეგრ. **კვ-არ-ია** „ „
ქართ. **ყვ-ავ-ი** „

ყ ვ ა ო ჯ ი უჩა დო ხჩე, ჭერელი ენ: ყვა-ყვა იქიფს I 154_{22} ყვავი შავი და თეთრი (!), ჭრელია: ყვა-ყვას იძახის („იქმს“)... ყ ვ ა ო ჯ ი ჯაში ყას ქოგელახედუ I 102_5 ყვავი ხის ტოტზე ჩამოჯდა... ყ ვ ა ო ჯ ი ქაგეფუთხუ ჯაშენ I 102_6 ყვავი ჩამოფრინდა ხიდან...

ყ ვ ა ო ჯ ი უნდა იყოს მიღებული ყ ვ-ა ვ-ო ჯ-ისაგან; ძირეული **ყვ**- საერთოა ქართულისა, ჭანურისა და მეგრულისათვის, ოღონდ ამ უკანასკნელში **ყვ**—**კვ**-... დეტერმინანტი-სუფიქსია: მეგ-

რულში **-არ-**, ქართულში და ჭანურში **-ავ**, რომელსაც ჭანურში დაერთვის **-ოჳ-**; **-ოჳ-**სუფიქსი თავის მხრივ **-არ-** სუფიქსს გვავარაუდებინებს, თითქოს ჭანურში თავი მოეყაროს ორ დეტერმინანტს: **-ავ**-ს და **-არ**-ის ზანურ ვარიანტს—**-ოჳ**-ს (ეს **-არ-** უცვლელად მევრულში გვაქვს: კვ-**არ**-ია...).

55. ჭან. **კვინჩ**-ი || **კინჩ**-ი ჩიტი (ფრინველი), птичка
მეგრ. **კვინჩ**-ა სკვინჩა, зяблик
ქართ. **ს-კვინჩ**-ა ,,

არ ყალი-მჭითა კ ვ ი ნ ჩ ი ჲენ I 154_2 ერთი ყელ-წითელი ჩიტია... კ ვ ი ნ ჩ ი ს ნოტკობეენ დო ქოჭოფეენ I 78_{13} ჩიტს მიპარვია და დაუჭერია... ბეექ კ ვ ი ნ ჩ ი ნაშქუ I 78_{26} ბავშვმა ჩიტი გაუშვა... კ ვ ი ნ ჩ ი ში ფსუა ნიჩანი II 149_{27} (ხოფ.) ჩიტის ფრთა შეისხი... ჰა კ ი ნ ჩ ი მუთე ჭოფუმან... II 59_4 ამ ჩიტს რით იჭერენ... მა ვა მი̈შკუ! ბელქი კ ი ნ ჩ ე ფე შკიმი ქუშკუნა II 137_{31} მე არ ვიცი! იქნებ ჩემმა ჩიტებმა იციან... კ ი ნ ჩ ი თქუ-ქი II 137_{37} ჩიტმა თქვა, რომ...

ჭან. კ ი ნ ჩ- არქაბულსა და ათინურს ახასიათებს, კ ვ ი ნ ჩ- —ხოფურს; პირველი მიღებულია **ვ**-ს დაკარგვით უკანასკნელისაგან. ქართ. **ს**-კვინჩ-ა-ს თავკიდური **ს**- ძირეული არ არის; არც ფონეტიკური დანართი უნდა იყოს: **კ**-ს წინ **ს**-ს გავრცელება ქართულში დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა; ხოლო **ს**- თუ თავსართია, ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი იქნება.

მნიშვნელობის მხრივ სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ჭანურში ამ ერთი ჩიტის სახელი განზოგადებულია და საერთოდ „ჩიტის“ აღმნიშვნელადაა გამოყენებული (შდრ. სვანური, სადაც კ ა ლ მ ა ხ- საერთოდ თევზს აღნიშნავს და არა ერთ-ერთ მის სახეობას).

კ ვ ი ნ ჩ- უნდა იყოს კავშირში ხუნძურ ჰ ა ი ნ ჭ-თან, რომელიც აგრეთვე ჩიტს ნიშნავს.

56. ჭან. **მა-რ-ქვ-ალ**-ი || **მა-ქვ-ალ**-ი კვერცხი, яйцо
მეგრ. **მა-რ-ქვ-ალ**-ი ,, ,,
ქართ. **კვ-ერ-ცხ**-ი (?) ,,
სვან. **ლჳ-გრ-ე** ,, ,,

ირი ხოლოქ თითო მ ა რ ქ ვ ა ლ ი ქომულით I 2_{18} ყველამ თითო კვერცხი მოიტანეთ... მ ა რ ქ ვ ა ლ ი-ა ბელქი ქოგაჰკუმეტუ-ჲა I 21_6

კვერცხიო იქნებ გეჭმებოდაო... თითო მაქვალი ქოდოსქვით I 2_{26} თითო კვერცხი დადევით... ქოჯუმექ მაქვალი სქუმს, მაქვალი გალენ ჭჩე რენ II 5_3 ქათამი კვერცხსა დებს. კვერცხი გარედან თეთრია... თითო მაქვალი ჯეზდეს II 14_{25} თითო კვერცხი აიღეს... მაქვალი ჭჩე იენ... მარქვალი გალენდო ცერცელა უღუნ II 115_4 კვერცხი თეთრია (თეთრი „იქნება“). კვერცხს გარედან ნაჭუჭი აქვს...

მეგრულში ეს სიტყვა თითქმის ყველგან შეცვლილია კვერცხით; სამურზაყანოსა და ჯგარში თუ იციან ეს სიტყვა და ისიც მოხუცებმა [1]... მაგრამ „ნიყვის“ სახელწოდებაში მარქვალიშგური შენახულია ეს ფუძე: მარქვალიშ-გური—„კვერცხის გული“...

-**რ** მეგრულშიც და ჭანურშიც ფონეტიკური დანართი ჩანს: **მა**- და -**ალ**- ფუძის საწარმოებელი უნდა იყოს. ძირეულია -**ქვ**-; გადაჭრით არ ითქმის ეს -**ქვ**- და ქართ. -**კვ**- ერთი და იგივეა, თუ არა; მით უფრო ეს ეხება სვან -**გრ**-ს.

57. ჭან. **ხე-ჭეპ**-ა კვერცხის ნაჭუჭი, скорлупа яйца, ореха

მეგრ. —

ქართ. **ხე-ჭბ**-ი წაბლისა, წიფელის... ქერქი (საბა), кожица... каштана...

[მარქვალის] ხეჭეპა ხჩე უღუნ I 164_4 [კვერცხს] ნაჭუჭი თეთრი აქვს... ხეჭეპა (კაბული) გალე ენ II 5_4 ნაჭუჭი („კანი“) გარეთაა...

ამჟამად ქართულში „კვერცხის ნაჭუჭი“ იხმარება, მაგრამ საბას განმარტებით ნაჭუჭი—ნიგოზთა, თხილთა და ნუშთა ქერქზე ითქმის, კვერცხისას კი—ხეჭუჭი ეწოდება (იხ. **ქერქი**); ხეჭუჭი რთული ფუძე უნდა იყოს: **ხე**-—**ჭუჭ**-ი... ეს პირველი ნაწილი მეორდება ჭან. **ხე-ჭეპა**-ში... მეორე ნაწილი კი სხვა ჩანს: **ჭუჭ**-—**ჭეპა**... მეორე ნაწილითაც ჭანური ხე-ჭეპა ემთხვევა საბას მიერ მოყვანილ **ხეჭბ**-ის; საბას განმარტებით **ხეჭბი** ეწოდება წაბლის, წი-

[1] პირადად ჩვენ ერთი მოხუცი სამურზაყანოელი ქალისაგან გაგვიგონია 1929 წ. კვერცხის ნაცვლად ეს სიტყვა.

ფელის და მისთანათა ქერქს (იხ. **ქერქი**)... ამისდა მიხედვით, ჭან. **ხე-ჭეჭ**-ა უნდა იყოს მიღებული **ხე-ჭებ**-ა-საგან. წინააღმდეგს შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა **ჭ**-ს მეზობლობაში **-ბ-** ქართულში: **ხე-ჭბ**-ი. უდაოა, რომ **ჭ**-სა და **ბ**-ს შორის ხმოვანია დაკარგული.

ხ ე ჭ ე პ ა თხილის ნაჭუჭსაც აღნიშნავს (იხ. ნ. მ ა რ ი, ჭან. გრ., გვ. 231). კვერცხის ნაჭუჭის აღსანიშნავად ის შემდეგაა გამოყენებული. საინტერესოა, რომ ქართულშიც ნ ა ჭ უ ჭ ი—ს ა ბ ა ს განმარტებით—თხილის, ნიგვზისა და ნუშის ქერქს ერქვა, კვერცხისათვის მერეა გამოყენებული...

ართაშნელის თქმით კვერცხის ნაჭუჭს ც ე რ ც ე ლ ა ეწოდება: მარქვალი გალენდო ც ე რ ც ე ლ ა უღუნ; ც ე რ ც ე ლ ა თუთხუ ონ II 115_4 კვერცხს გარედან ნაჭუჭი აქვს; ნაჭუჭი თხელია. იქნებ ეს ც ე რ ც ე ლ ა იყოს კვერცხის ნაჭუჭის პ ი რ დ ა პ ი რ ი სახელი (თუკი ც ე რ ც ე ლ ა არ არის მიღებული ქ ე რ ც ე ლ ა-საგან!).

58. ჭან. **ცილ**-ა || **ცილ**-ი || **ცელ**-ა ცილა, белок
მეგრ. **ცილ**-ა „ „
ქართ. **ცილ**-ა „
სვან. **ცილ**- „ „

[მარქვალის] ც ი ლ ი ხჩე უღუნ I 164_5 [კვერცხს] ცილა თეთრი აქვს... ც ი ლ ი წკაი'სთერი რენ I 164_5 ცილა წყალივითაა... ც ე ლ ა—მარქვალის ქჩე-ნა წკაი'სთეი უღუნ, ჰეა ივენ ც ე ლ ა II 75_{27} ცილა—კვერცხს თეთრი, წყალივით რომ აქვს, ის იქნება ცილა... დ ო ლ ო ხ ე—ც ი ლ ა, ოშქენა — გ უ რ ი II 115_5 შიგნით — ცილა, შუაში — გ უ ლ ი...

ფუძე **ცილ**- საერთოა ქართველური ენებისათვის; **-ილ**- დეტერმინანტი-სუფიქსი ჩანს; შეიძლება ის **-ელ**-ისაგან იყოს მიღებული, თუ ეს **-ელ**- (იხ. ზემოთ **ცელ**-ა) მეორეული არ არის.

მნიშვნელობა ყველგან ერთი და იგივეა.

59. ჰან. **ჳ-ჰაჯ-ი** ბუზი, муха
მეგრ. **ჰანჯ-ი** ,, ,,
ქართ. **ჱ-წერ-ი** насекомое

არ დღას არ ხოჯიში ქრას არ მჰაჯი ქონოხ̌ედერეტუ I 74_8 ერთხელ ერთი ხარის რქაზე ერთი ბუზი შემომჯდარიყო... ცხენისთი მჰაჯი გობლუტეენ I 119_{20} ცხენსაც ბუზი ეხვეოდა თურმე... ბომბულაქ მოსა შუმს, მჰაჯი ჰოფუმს II 68_{12} ობობა ქსელსა („ბადეს") ქსოვს, ბუზს იჭერს...

თავკიდური **ჱ-** ქართულშიაც ფონეტიკური დანართი ჩანს და ჰანურშიაც; ფუძე **წერ-** კანონზომიერად არის წარმოდგენილი ჰანურში **ჰაჯ-**ის სახით; მეგრულში **ჯ**-ს წინ განვითარებულია **-ნ-** : **ჰაჯ-** ‖ **ჰანჯ-**...

საინტერესოა, რომ სწორედ ეს ზანური **ჰანჯ-** (**ნ**-ს ჩართვით) შეთვისებული აქვს სომხურს, სადაც **ճաnջ** ბუზს ნიშნავს.

ბუზის აღსანიშნავად ჰანურში **კამკ-ულ-** ‖ **კანკ-ულ-**იც გვაქვს: ოდა კამკული ფუთხუნ II 114_{33} ოთახში ბუზი დაფრინავს... გვხვდება ართამნელის მეტყველებაში.

60. ჰან. **ბობონჭვა** ხოჭო, жук
მეგრ. — — —
ქართ. **ბაბაჭუა** „დედა-ზარდლი", „ობობა" (საბა), паук

ჰაჲა დიდო მსჳა ბობონჭვა ტუ II 71_{26} ეს ძალიან ლამაზი ხოჭო იყო...

ბობონჭვა ზუსტად შეესატყვისება ქართ. ბაბაჭუა-ს, ოღონდ **ჭ**-ს წინ განვითარებულია **-ნ-**, ხმოვანი **-უ- ვ**-დ. ქცეულა (მახვილს არ ატარებს, უმარცვლოა).

საბას განმარტებით **ბაბაჭუა** არის „დედა-ზარდლი, ობობა". მეგრულში ეს სახელი ცნობილი არ არის.

61. ჰან. **ბომბ-ულ-ა** ‖ **„ბობ-ოლ-ა"** R ობობა, паук
მეგრ. **ბობ-ოლ-ია** ,, ,,
ქართ. **ო-ბობ-ა** ,,

ბომბულაქ მოსა შუმს, მჰაჯი ჰოფუმს, მოსა გჲუდგამს, ...ჰოფუმს, იფხორს II 68_{12} ობობა ქსელს („ბადეს") ქსოვს, ბუზს იჭერს, ქსელს უდგამს, იჭერს, ჰამს...

ძირეულია **ბოზ-**; ის საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჭანურისათვის; ჭანურში **-ბ-**ს წინ განვითარებულია **ი**; **-ოლ-** ‖ **-ულ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; ქართულში ეს სუფიქსი არა გვაქვს. გაურკვეველია თ ვკიდური **ო**-ს საკითხი (ქართულში).

62. ჭან. **კოლ-ი** ‖ **ნ-კოლ-ი** კალია, саранча, кузнечик
მეგრ. **კოლ-ი** ,, ,, ,,
ქართ. **კალ-ი-ა** ‖ ძვ. ქართ. **მ-კალ-ი** ,,

ქოთუმეჭ კ ო ლ ი ქოჭოფუ I 74_{16} ქათამმა კალია დაიჭირა... კ ო ლ ი ოფუთხუ I 74_{19} კალია გაფრინდა... კ ო ლ ი... ყვას ქონოხედერენ I 118_{10} კალია... შუბლზე შემჯდარა... მენდოწკედე-ში, ნ კ ო ლ ი ჰეჭ გო'მახენ. კ ო ლ ი ნ უ კ ა პ უ... II 50_{7} რომ შეხედეს, კალია იქ ზის. კალია გადახტა... ამ კ ო ლ ი ქ ოჭკომუ ჯუმუ... II 21_{13} ამ კალიამ შეჭამა მარილი...

კალ- ფუძე კანონზომიერად არის წარმოდგენილი ჭანურსა და მეგრულში **კოლ-**ის სახით. **ნ-** ჭანურში ფონეტიკური დანართია. აღსანიშნავია, რომ ძვ. ქართულში მ-**კალ-**ი იხმარებოდა. ს ა ბ ა ს ა ც **მკალი** აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში; აქვს **მკალია**-ც ,,მხლტომელი მკალი''-ო, განმარტავს.

63. ჭან. **კოლ-ონ-ი** ‖ **კორლ-ონ-ი** კოლო, комар
მეგრ. **კოლ-ონ-ა** ,, ,,
ქართ. **კოლ-ო** ,,
სვან. **კულ-უნ** ,, ,,

კ ო რ ლ ო ნ ი ხცერი წკარის სქიდუნ I 112_{7} კოლო დამპალ წყალში ცხოვრობს... კ ო რ ლ ო ნ ი-თი... ფუთხუნ დო კოჩის გ ა კ ი ბ ი ნ ს I 112_{12} კოლოც... ფრინავს და კაცს კბენს... კ ო რ ლ ო ნ ი ში დუშმანი ბურბუ რენ I 112_{10} კოლოს მტერი ღამურაა... კ ო რ ლ ო ნ ი ჩოფუმს, იფხორს II 68_{13} კოლოს იჭერს, ჭამს...

ძირეულია **კოლ-**, იგი საერთოა ყველა ქართველური ენისათვის (სვანურში **ო**–**უ** სუფიქსისეულ **უ**-სთან ასიმილაციის გამო); ჭანურში **ლ**-ს წინ **-რ** არის ხშირად განვითარებული (ნ. მ ა რ ს ვიწურისა და ხოფურისათვის ძირითად ფორმად კ ო ლ ო ნ ი აქვს ნაჩვენები; იხ. ჭან. გრამ., გვ. 158).

-ონ- დეტერმინანტი-სუფიქსია ჰანურსა და მეგრულში; ეს **-ონ-→ -უნ-** სვანურში (ო-ს **უ**-დ დავიწროების შედეგად). ქართულში რომ ბოლოკიდური **-ო** გვაქვს, **-ონ-** სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს.

64. ჰან. **დუ-მ-ჭკუ** | **დი-მ-ჭკუ** ჯინჭველა, муравей
მეგრ. **ჭკი-ჭკი-ტია** | **ჯგი-ჯვი-ტია** ,, ,,
ქართ. **ჯი-ნ-ჭვ-ელ-ა** (ძვ. ქართ. **ჯი-ნ-ჭუ-ელ-ი**) ,,

დიმჭკუ დიდო ჩალიშკანი რენ I 75_3 ჯინჭველა ძალიან ბეჯითია... მუნტუი მეხთუ დიმჭკუშა I 75_2 მატლი მივიდა ჯინჭველასთან... დიმჭკუ I $75_{4,6,8,9}$... ჰაჲა დუმჭკუ ბუზალს II 68_{11} ეს ჯინჭველა ბზუის (?)...

ქართულში ძირეულია **-ჭვ-**; მას შეესაბამება ჭ ნურში **-ჭკუ-**: **ჭ**-ს შემდეგ **კ**- არის განვითარებული... თავკიდური **დუ-** | **დი-** ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართია; საფიქრებელია, რომ **დუ-→დი-** კი არა, როგორც ეს ჩვეულებრივად გვაქვს ჰანურში, არამედ **დი-** არის ამოსავალი, **დუ-** ბოლოკიდურ **უ**-სთან ასიმილაციის შედეგადაა მიღებული... **მ-** (დუ-**მ**-ჭკუ | დი-**მ**-ჭკუ) ფონეტიკური დანართია.

ჰან. **დი-**ს ბადალია ქართული **ჯი-**, რომელიც იმავე **დი-**საგან უნდა მომდინარეობდეს... **-ელ-** სუფიქსი ქართულში დეტერმინანტია.

ჰიანჭველა ქართულში ახალი ვარიანტია; ძვ. ქართულში იყო ჯინჭუელი; ასიმილაციის გზით აქედან მივიღეთ ჭინჭველი და ამ უკანასკნელის პირველი ნაწილი შემდეგ გააზრიანდა **ჭია-დ**: ჭინჭველი→ჭიანჭველა.

მეგრულში ძირეული **ჭკუ-→ჭკი-**; მასთან ასიმილაციით გაკეთდა ჭი-ჭკი ← ჯი-ჭკი; **ჭ**-ს შემდეგ **კ**-ს განვითარებამ კი მოგვცა **ჭკი-ჭკი-**; მეორე ვარიანტში — ჯგიჯგიტია — თავკიდურ **ჯ**-სთანაა ჯერ **-გ-** განვითარებული და შემდეგ ამ **ჯგი-**ს დამსგავსებია მეორე მარცვალი, სადაც **ჭკი-** გვქონდა: **ჯი-ჭკი**: **ჯგი-ჭკი**: **ჯგი-ჯგი-**... **-ტი-**ა-ში ცალკე ფუძე უნდა გვქონდეს... მისი შესატყვისი არც ქართულში გვაქვს, არც ჰანურში (**ტი-** —„ტილი“?!).

მეგრულისთვის ძირითადია ჭკიჭკიტია და არა ჯგიჯგიტია...

65. ჰან. **ბუ-ტკ-უჯ-**ი ‖ „პუტუჯ-ი“ M ცუტკარი, пчела
მეგრ. [**ტკუ-ტკ-არ-**ი-ა?]
ქართ. **ფუ-ტკ-არ-**ი пчела

ბუტკუჯიქ ხვალა მუშიშენი ვა იჩალიშეფს I 85_{15} ფუტკარი მარტო თავისთვის არ მუშაობს... იგივე ფრაზა იხ. I 87_{24}... „სი ბუტკუჯი ქოგჲონუნ-ი?“ „მა ბუტკუჯი ქომჲონუნ“ II 82_{4} „შენ ფუტკარი გყავს?“—„მე ფუტკარი მყავს!“... „ბუტკუჯი მუ ღოდამ ?“ II 82_{4} ფუტკარს რას აქნევ?... იხ. აგრეთვე II $82_{19, 27, 31}$.

ძირეული **ტკ-** საერთოა ქართულისა და ჰანურისათვის; **-არ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; მას შეესატყვისება ჰანურში **-უჯ-** ~ **-ოჯ-**; თავკიდური **ბუ-** ‖ **ფუ-** თავსართს უნდა წარმოადგენდეს; საფიქრებელია, რომ ეს არის ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართულში დადასტურებული კლას-კატეგორიის ნიშანი (მსგავსი იმისა, რაც გვაქვს **ბა-**შვ-ში, **ბა-**რტყ-ში...); ეს თავსართი მთის კავკასიური ენებიდან შეთვისებული ჩანს და ნივთის კატეგორიის მაჩვენებელია (ჩვეულებრივ მესამე კლასის ნიშანია და არსებითად ქართ. **სი-** ‖ **ნი-** ‖ **დი-**ს უდრის). თუ ეს ასეა, ქართულში **ფ-** მეორეული იქნება; ძისთვის ამოსაკალი **ბ-** უნდა იყოს (ეს შენახული აქვს ჰანურს).

მეგრულში ფუტკარ-ის აღსანიშნავად სულ სხვა ძირი—სკა იხმარება; ჩვენთვის საინტერესო ძირს მოგვაგონებს ტკუ-ტკ-არ-ი-ა. „იფაფუ ტკუტკარიაცალო“—„ირევა ბუზივით“, სიმინდქგერთუ ტკუტკარიაცალო — სიმინდი ამოვიდა ბალახივით, სქლად: ეს **ტკ-არ-** შეიძლებოდა დაგვეკავშირებინა ფუ-**ტკ-არ-**ის ფუძესთან.

66. ჰან. **თოფ-ურ-**ი ‖ **თოფ-უ-**ი ‖ **თოფ-რ-**ი თაფლი, мед
მეგრ. **თოფ-ურ-**ი ,, ,,
ქართ. **თაფ-ლ-**ი ,,

თოფუი ჰეის გედგინ! თოფურიში გემალუ ვარ ადუშუნეს... თოფური ქოგობეს... თოფუი დიჩოდუ I 22_{12-14} თაფლი ჰერში დგას! თაფლის ჩამოტანა ვერ მოიფიქრეს... თაფლი დაასხეს... თაფლი გათავდა... თოფუი I 138_{33}, 144_{22} თოფური საი იყვენ I 159_{6} თაფლი ყვითელი იქნება... ჰადა თოფური ენ... II 69_{26} ეს თაფლია... თოფური რენ-და II 48_{33} თაფლიაო...

ძირეული **თაფ-** კანონზომიერად არის წარმოდგენილი ჰანურსა და მეგრულში **თოფ**-ით; ქართულში **-ლ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; მის როლს ჰანურში და მეგრულში ასრულებს **-ურ-**; ხმოვნებს შორის **-რ-** ჰანურში (განსაკუთრებით, ხოფურში) ხშირად იკარგება; ათინურში **-ურ-** სუფიქსის ნაცვლად **-რ-** გვაქვს (ქართ. **ლ**-ს შესაბამისი, თუ **-ურ**-ის შეკვეცილი ვარიანტი?!)...

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

67. ჰან. **მ-ტ-ი** ტილი, вошь
მეგრ. **ტ-ი** ,, ,,
ქართ. **ტ-ილ-ი** ,,
სვან. **ტ-იშ** ,, ,,

მ ტ ი ლებონი, ფინთი კოჩეფეს ავენ II 73_{10} ტილი უსუფთაო, ჰუჰყიან ადამიანს ,,ექნება''...

თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია; ეს ჩანს მეგრულის, ქართულისა და სვანურის ჩვენებათაგან; ძირი საერთოა ქართველური ენებისათვის; დეტერმინანტი-სუფიქსი **-ილ-** ქართულში გვაქვს, მაგრამ არც ჰანურში, არც მეგრულში ის არა ჩანს. სვანურში მის ადგილს იჭერს **-იშ-**: **ტ-იშ**[1]; მეგრულში შენახულია ეს **-იშ** ნასახელარ ზმნაში **ტიშ**-ონ-უნ-ს — ,,იხილავს'', სიტყვა-სიტყვით ,,ტილავს''...

68. ჰან. **მ-წკ-ირ-ი** ‖ **მ-წკ-ი-ი** ‖ ,,**მ-წირ-ი**'' M რწყილი, блоха
მეგრ. **წყ-ირ-ი** ,, ,,
ქართ. **რ-წყ-ილ-ი** ,,

მ წ კ ი რ ი ვა რენ I 73_9 რწყილი არ არის... მ წ კ ი ი შ სური გულუნ II 144_{12} (ხოფ.) რწყილის ჯოგი დადის...

ჰანურში თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია; ძირეულია **წკ-**; იგი კანონზომიერად გადმოგვცემს **წყ-**ს; ამგვარად, **წყ-** საერთოა ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის; **-ირ-** დეტერმინანტი-სუფიქსია და შეესატყვისება ქართულ **-ილ-**ს...

ათინური ვარიანტი ამ სიტყვისა იქნება მ წ ი რ ი (**წკ-** → **წ-**);

[1] სვანურში **ტიშ-** ფუძემ შეიძლება **-ილ-**იც დაირთოს: **ტიშ-ილ-**... ეს **-ილ-** კნინობითის ნაწილაკია.

ხმოვანთ შორის **-რ-**ს დაკარგვით ვიღებთ მწკი-ს (ჩვეულებრივია ხოფურისათვის).

69. ჰან. **ფეწო || ფეწე || „ფენწო“ || „ფენწე“** M ლოკოკინა, улитка
მეგრ. **ფერწო** ,, ,,
ქართ. —

ფეწო კაბუღის დოლოხენ II 70_{10} ლოკოკინა „ჩვილკეცში“[1] ზის... ქრაეფე უღუნ, — ხოჯი ვა ენ! აჲა მუ ენ, აჯაბა?! (ფეწე) I 161_3 რქები აქვს, — ხარი არ არის! ეს რა არის, ნეტავი? (ლოკოკინა)...

არქაბულში დაცული ფეწო (იხ. ზემოთ) უნდა მივიჩნიოთ ამოსავლად; მეგრულში იგივე ფუძე გვაქვს, ოღონდ **-წ-**ს წინ **-რ-** არის განვითარებული. ფეწო-ს **ნ**-იანი ვარიანტია ფენწო, ფეწე-სი — ფენწე...

ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

70. ჰან. **მ-გვ-ერ-**ი გველი, змея
მეგრ. **გვ-ერ-**ი ,, ,,
ქართ. **გვ-ელ-**ი ,,
სვან. **ჰი-ჯვ- || ვი-ჯ-** ,, ,,

ბოზომოთა-თი შეეფე მოიწუ დო ციმჩირთუ-შა, ცა მგვერი მოხთუ დო ბოზომოთა ოჭოფუ, დვოშქიდუ II 138_{21} ქალიშვილმაც ტანისამოსი („ნივთები“, „ბარგი“) გაიხადა და რომ ბანაობდა („ცურავდა“), ერთი გველი მოვიდა და ქალიშვილი დაიჭირა, დაახრჩო...

გველისათვის წიწილა იხმარება ჰანურში; ქართულში „გველის წიწილა“ რომ გვაქვს გამოთქმა, იქ უნდა იყოს შემონახული ეს სიტყვა „გველის“ მნიშვნელობით: გველის წიწილა = „გველის ნაშიერი“. ქართ. წიწილი/ა კი წიპილი-ს ვარიანტი უნდა იყოს (იხ. **წიპილ-**ი).

გველის აღსანიშნავად მგვერი-ც შემოუნახავს ათინურს; მეგრ. გვერ-ისაგან ეს სიტყვა მხოლოდ თავკიდური **მ**-თი განსხვავდება; ძირი საერთოა ქართულთან (და სვანურთანაც, სადაც **გ-** აფრიკატ **ჯ-**თია შეცვლილი, — სვანურში ეს ჩვეულებრივია)... **-ელ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; მისი ვარიაციაა **-ერ-** ჰანურსა და მეგრულში.

[1] ასე იწოდება საბასთან ლოკოკინას ქერქი...

71. ჰან. **მ-ჯვაბუ** || **მ-ჟვაბუ** || **ჟვაბუ** M გომბეშო, жаба
მეგრ. **ჟვაბუ** ბაყაყი, лягушка
ქართ. —

მჯვაბუ გალე გულუნ, მაჰარი წარი დოლოხენ II 109_{28} გომბეშო მიწაზე დადის, ბაყაყი. წყალში „ზის“...

ეს განმარტება ართაშნელს ეკუთვნის... მჯვაბუ მიღებულია ჟვაბუ-საგან ჟ-ს ჯ-ით შენაცვლებითა და თავკიდურ მ-ს დართვით. ავებულებით სავსებით ფარავს მეგრ. ჟვაბუ-ს, რომელიც „ბაყაყს“ აღნიშნავს და არა „გომბეშოს“.

მნიშვნელობის მხრივ ჰანური (ართაშნული) უფრო ძველ ვითარებას უნდა ასახავდეს; თუ жаба უკავშირდება ამ სახელს, — და ეს კავშირი კი ეჭვს გარეშეა — ჟვაბუს ძველი მნიშვნელობა გომბეშო უნდა ყოფილიყო.

ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

72. ჰან. **ჩხომ-ი** თევზი, рыба
მეგრ. **ჩხომ-ი** „ „
ქართ. **ცხიმ-ი** (?) жир

ჩხომეფეში სახელი გინონ სი! გიწვა აწი I 155_7 თევზების სახელი გინდა შენ! გეტყვი ახლა... არაბას ჩხომი ქომოკიდერეტეს დო ბათუმიშა ნიმეტეს I 71_{30} ურემზე თევზი დაეყარათ და ბათომში მიჰქონდათ... ჩხომი მუ ვი-ა, ჩხომი ვა მიტალანი-ა II 41_{21} თევზი რა უყავიო, თევზი არ შემიწვიო... ჭონას ჩხომი ვარ ივენ, ღალის ივენ II 42_1 ყანაში თევზი არ იქნება, მდინარეში იქნება... ჩხომიში შურა მატუდორენ II 12_1 თევზის სუნი სცემია...

ფუძე **ჩხომ-** საერთოა მეგრულისა და ჰანურისათვის; ქართულში ეს ფუძე არა ჩანს, თუ ცხიმ-ს არ დავუკავშირებთ; ეს შეუძლებელი არაა არც აგებულებით, არც მნიშვნელობით, მაგრამ მეტად სათუოა. თევზი სულ სხვა ძირია (ქართულში შეთვისებული?).

მცენარეულობა (ხეები... ყანა... ბოსტანი...)

1. ჯა
2. მცხუნ-ი
3. ოშქურ-ი
4. ლუღ-ი
5. ანტამა
6. ბულ-ი
7. ნეძ-ი
8. კაკალ-ი
9. თხირ-ი
10. ბერწეულ-ი
11. ყომურ-ი, ჯომურ-ი, ომურ-ი, ომბრ-ი
12. ბჟოლ-ი, მჟოლ-ი, ჯოლ-ი
13. წიფურ-ი
14. ჰუბურ-ი, ჰუბარ-ი, ჰუბუ-ი
15. ჰკონ-ი, მჰკონ-ი, მჰონ-ი
16. თხომუ, ნთხომუ, ნთხომბუ
17. დუცხუ
18. მწკოლ-ი, ეწკო, წუ, მწუ
19. ლუკუმხა
20. მშქერ-ი, მშქე-ი, მშკერ-ი, ფშკერ-ი
21. სუჯ-ი, მსუჯ-ი, მსიჯ-ი, ფსიჯ-ი
22. ასკილ-ი
23. ინჭირ-ი, ინჭირა
24. თიფ-ი
25. ბინეხ-ი
26. ყურძენ-ი, ცურძენ-ი, ურძენ-ი
27. კუმხ-ი
28. ჰეჰა, ჰაჰა
29. ტოტ-ი
30. ყა
31. ცქირმუნტურ-ი
32. ბუტკა
33. ჯირეკ-ი
34. ბიგა
35. ჩელტ-ი
36. კეტ-ი, კჲეტ-ი
37. ფიცარ-ი, ფიცა-ი
38. ყონა, ჯონა, ჲონა
39. გოროხ-ი
40. კორღ-ი
41. ღარ-ა
42. ლაზუტ-ი
43. დიკა
44. ჭურუმ ი
45. ნჩხვარ-ი
46. კანტარ-ი, კანტა ი
47. ჰყინტ-ი
48. კურკა
49. ღერო, ღერ-ი, ღე-ი
50. ჩალა
51. თახი-ი
52. ღობერ-ი, ღობე-ი,
53. მასარ-ი
54. ონტულე
55. ყოყორე, ოჲორე, ცორე, ორე
56. ქერ-ი

1. ჰან. **ჯ-ა – ჯ-ალ-** || **ნ-ჯ-ა** || **მ-ჯა** ხე, ძელი, дерево, брус
მეგრ. **ჯ-ა – ჯ-ალ-** ხე, дерево
ქართ. **ძ-ელ-**ი брус

ჯა ქამეკვათუფან I 137_{13} ხეს („ძელს“) მოჭრიან (გაჭრიან)... ჯალეფე მთელი დოკვათუ I 145_{6} ხეები სულ მოჭრა... ჯალეფე ქამოკვათეს II 75_{13} ხეები მოჭრეს... ნჯალეფე (დირეღეფე) დოკონამან II 76_{14} ძელებს (სვეტებს) ჩაასობენ... ფიცარითე დო ნჯათეოფშა II 43_{34} ფიცრითა და ხით (ძელით) სავსე... მჯვეში ჯა... მეტრუხუნ II 71_{13} ძველი ხე... გატყდება... მჯა ენ II 31_{35} ხეა...

როგორც მრავლობითი რიცხვი ცხადყოფს, ამ სახელის ფუძეა **ჯ-ალ-**, როგორც მეგრულში, ისე ჰანურში; ეს ფუძე ზუსტად შეესატყვისება ქართ. **ძ-ელ-**ს; **-ალ-** მეგრ., ჰან., **-ელ-** ქართულში — დეტერმინანტი-სუფიქსია.

საინტერესოა, რომ **ხე-** ფუძეს შესატყვისი ჰანურში და მეგრულში არა აქვს; ეს ფუძე გვხვდება ჩაჩნურსა და ინგუშურში: ჩაჩნ. **ხიენ** — ხე, ინგუშ. **ხი** — ხე... მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ **ხე** ჯერ კიდევ დაბადების ტექსტში გვაქვს: თუ ეს სახელი შეთვისებულია ჩაჩნ.-ინგუშურიდან, ეს უნდა მომხდარიყო თხუთმეტიოდე საუკუნის წინ.

2. ჰან. **მ-ცხ-ულ-**ი მსხალი, груша, грушевое дерево
მეგრ. **სხ-ულ-**ი ,, ,, ,,
ქართ. **მ-სხ-ალ-**ი ,, ,,
სვან. **ი-ცხ** ,, ,, ,,

არ ბადი კოჩიქ ბაღის მცხული გჲომპონაპტუ I 87_{21} ერთი მოხუცი კაცი ბაღში მსხალს ამყრობდა... ია მცხულეფე კაი დირდეეტუ დო მცხულეფე-თი მეჩანტუ I 87_{27} ის მსხლები კარგად გაზრდილიყო და მსხლებიც ესხა... მცხული დობორგი-ა II 52_{7} მსხალი დავრგეო... მტკორი მცხული-თი ივენ II 72_{19} ველური („ტყიური“) მსხალიც (პანტა) იქნება...

ძირეული სხ- დაცულია ქართულსა და მეგრულში: ჰანურსა და სვანურში **სხ- → ცხ-**; **-ალ-** ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსია; მისი მორფოლოგიური და ფონეტიკური შესატყვისია **-ულ- — -ოლ-**: სვანურში დეტერმინანტი-სუფიქსი არა გვაქვს.

თავკიდური **მ-** ჰანურში და ქართულში ფონეტიკური წარმოშობისაა; ამასვე ვერ ვიტყვით სვან. **ი-**ს შესახებ: იგი ან ფორმანტია ან ანალოგიითაა გაჩენილი (უ ი ს გუ „ვაშლი" — **ი-ცხ** „მსხალი" ?)...

3. ჰან. **ოშქ-ურ-ი** || **ოშკ-ურ ი** M ვაშლი, яблоко, яблоня
|| **უშქ ურ-ი** || **უშქ-ირ-ი** || **უშქ-ი-ი**
მეგრ. **უშქ ურ-ი**
ქართ. **ვაშ-ლ-ი**
სვან. **ჭისგ-უ** " " "

...მუდა ონუ? ო შ ქ უ რ ი ონუ-ი დოქსე მცხული... II 89_3... რა არის? ვაშლი არის თუ მსხალი... მა-ნა ვხირი ო შ ქ უ რ ი... II 119_{16} მე რომ ვნახე ვაშლი... ო შ ქ უ რ ი II $122_{7,11,14}$ ო შ კ უ რ ი II 123_6, $130_{11,12}$... უ შ ქ უ რ ი დობორგია II 52_7 ვაშლი დავრგეო... მტკორი უ შ ქ უ რ ი... ივენ II 72_{19} „ტყიური ვაშლი" (მაჟალო) იქნება... ბაბაქ ვით თანე უ შ ქ ი რ ი ქომუღუ I 52_5 მამამ ათი (ცალი) ვაშლი მოიტანა... უ შ ქ ი რ ე ფ ე სანდუღის ქოდოლობღუ I 52_{14} ვაშლები ზანდუკში ჩაყარა... ადა უ შ ქ ი ი სანდუღის ქოდოლოდვი I 52_6 ეს ვაშლი ზანდუკში ჩადევი...

ძირეული **ვაშ-** კანონზომიერად არის წარმოდგენილი ჰანურში **ოშქ-**ის სახით: **ო-**ს წინ **ვ-** არის დაკარგული; **შ-**ს შემდეგ **ქ-** არის განვითარებული; ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსია **-ლ-**, ჰანურსა და მეგრულში **-ურ-**, სვანურში — **-უ-**...

ჰან. ო შ ქ უ რ ი იძლევა მთელ რიგ ვარიანტებს: ო შ ქ უ რ ი → ო შ კ უ რ ი → უ შ ქ უ რ ი (ასიმილაციის შედეგად) → უ შ ქ ი რ ი (**უ→ი**) → უ შ ქ ი-ი (**რ-**ს დაკარგვით ხმოვანთა შორის)... მეგრულში წარმოდგენილია მესამე ვარიანტი.

4. ჰან. **ლულ-ი** ლელვი, инжир, смоква; смоковница
მეგრ. **ლულ-ი** „ „ „
ქართ. **ლელ-ვ-ი** „ „

ლ უ ლ ი შ ა მულუნ I 154_8 ლელვთან მოდის... ჯუმა შქიმი ლ უ ლ ი მევუნჯლონი II 107_{11} ჩემ ძმას ლელვი გაუგზავნე... დაჰა ივენ ქჩე ლ უ ლ ი. ა ჩქვა მტკოი ლ უ ლ ი ივენ II 72_2 კიდევ არის ხოლმე თეთრი ლელვი. ერთიც კიდევ „ტყიური ლელვი“ არის... ლ უ ლ ი ს ქეფთი II 56_9 ლელვზე ავედი...

ქართულში ძირეულია **ლელ-**, **-ვ-** (ძვ. ქართ. **-უ**) კი დეტერმინანტი-სუფიქსია. არც ჰანურში, არც მეგრულში ეს სუფიქსი არ გაგვაჩნია; უნდა ვიფიქროთ, რომ ის იყო და დაიკარგა; მისი კვალი უნდა ჩანდეს ძირეულ **უ**-ში: ქართ. **ლელ**-ის შესაბამისად უნდა გვქონოდა **ლალ-**, და თუ **ლულ-** გვაქვს, ეს ამ სადეტერმინანტო **-უ**-ს გავლენით უნდა იყოს.

5. ჰან. **ანტამ-ა** ‖ „**ატამბა**“ M ატამი, персик, персик. дерево
მეგრ. **ატამ-ა** „ „ „
ქართ. **ატამ-ი** „ „ „
სვან. **ატამ** „ „ „

ა ნ ტ ა მ ა დობორგი-ა II 52_8 ატამი დავრგეო...

ნ. მ ა რ ს ათინურისათვის ა ტ ა მ ბ ა აქვს ნაშვენები... (ჰან. გრამ., გვ. 127); ამაში **ბ-** არის განვითარებული **მ**-სთან; ა ნ ტ ა მ ა-ში **-ნ-** წარმოადგენს ფონეტიკურ დანაზარდს **ტ**-ს წინ...

ფუძე ა ტ ა მ- საერთოა ყველა ქართველურ ენაში.

მნიშვნელობაც ერთი და იგივეა. ფუძის აგებულება ეჭვებს ბადებს — ხომ არ არის ეს სახელი სხვა ენებიდან შეთვისებული.

6. ჰან. **ბ-ულ-ი** ბალი, черешня
მეგრ. **ბ ულ-ი** „ „
ქ რთ. **ბ-ალ-ი** „
სვან. **ჭე-ბ** „ „

I 76_{33} ამ ბლის ხეებს („ბლებს") მეორე წელს ნაყოფი უნდა მოეცა... ბ უ ლ ი შ ტკები გოწკამან დო შუმან II 75_{24} ბლის ქერქს გაძრობენ და ქსოვენ...

ბალ- ფუძეს შეესატყვისება ჰანურსა და მეგრულში **ბულ-**: **-ალ-** || **-ულ-** დეტერმინანტი-სუფიქსია. სვ. ჰე-**ბ**-ში ძირეული **-ბ-** იგივეა, დეტერმინანტი-სუფიქსი არა გვაქვს. **ჰე-** თავსართი ფორმანტი უნდა იყოს (შდრ. **ი**-ცხ — მსხალი).

ნ. მ ა რ ი შენიშნავს (იხ. ჰან. გრამ., გვ. 132): ახალ-სომხურში რომ ბალ- *բալ* გვაქვსო, ეს ქართული **ბალ**-ი არისო.

7. ჰან. **ნე-ძ-**ი კაკალი, ნიგოზი, გული (ნიგვზისა, თხილისა, წაბლისა), орех; содержимое ореха, каштана...

მეგრ. **ნე-ძ-**ი კაკალი, ნიგოზი, орех, ореховое дерево...

ქართ. **ძ-**ევ-ს (?) лежать, находиться (внутри)

ნ ე ძ ი დობორგი-ა, უწუდორენ II 52_{8} კაკალი (კაკლის ხე) დავრგეო, უთქვამს... ნ ე ძ ი, ხურმა გ ა ო ბ ლ ა მ ან, ოხომინამან II 75_{30} კაკალს. ხურმას დააყრიან, ახმობენ... ჰუბური დოცხუნუ, დოლოხენი, ნ ე ძ ი. მუქ ქოჭკომუ I 84_{24} წაბლი დაარჩია, შიგნითა, გული თვითონ შეჭამა... მთხიი დოტახა-ში, დიყვენ ნ ე ძ ი: მთხიიშ ნ ე ძ ი, კ ა კ ა ლ ი შ, ჰუბუიშ ნ ე ძ ი, წინთხიიშ ნ ე ძ ი, მთელი ნ ე ძ ი I 84_{32} თხილს რომ გატეხ, იქნება გული („ნეძი"): თხილის გული, კაკლის, წაბლის გული, წიწიბოს გული, ყველაფერი გული („ნეძი")...

ჰანურსა და მეგრულში ფუძე ერთი და იგივეა **ნეძ-**; მნიშვნელობა მეგრულში უფრო ვიწროა: ეს სიტყვა კაკლის ხეს და მის ნაყოფს აღნიშნავს; ჰანურის არქაბულ (და ათინურ) კილოკავში ამ სახელს ეს მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ხოფურში ის მიუთითებს კაკლის, თხილის, წაბლისა და წიფლის ნაყოფთა გ უ ლ ზ ე. ეს გვაფიქრებინებს, რომ ძველი მნიშვნელობა სწორედ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო და მაშინ **ნე-** ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი წინსართი იქნებოდა, ძირეული **ძ-** კი **ძ-უ-ნ** || **ძ-ი-ნ** — **ძ-ევ-ს** ზმნის ძირს დაუკავშირდებოდა. „ნეძი" „რაც [შიგნით] ძევს". ეს — ერთი შესაძლებლობაა. შეიძლებოდა ნ ე ძ ი „ნიგოზი || ნიგვზის" გამარტივებულ და გადაკეთებულ სახეობად მიგვეჩნია — აკუსტიკურად ათვისებისას — და მაშინ თვითონ შედარების საკითხი მოიხსნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გ უგებარი დარჩებოდა, როგორ იქცა ეს სიტყვა „ნაყოფის გულის" აღმნიშვნელად — თხილისა, წაბლისა, წიწიბოსათვის!

8. ჰან. **კაკ-ალ-ი** კაკალი, ნიგოზი, орех грецкий
მეგრ. **კაკ-ალ-ი** მარცვალი რისამე, ცალი, семя ч. н.; штука
ქართ. **კაკ-ალ-ი** კაკალი, ნიგოზი, орех грецкий; ореховое дерево
სვან. **გაკ** კაკალი ,,

ონდღენეი გდაი... კ ა კ ა ლ ი შ თუდე ქომოუწყვინით I 110_{20} სადილი („შუადღის საჭმელი")... კაკლის ქვეშ გამოვუწყვეთ... კ ა კ ა ლ ი შ... ნეძი I 84_{32} ნიგვზის გული... ემუქ მეჩაფს მცხული და უშქიი, და კ ა კ ა ლ ი, და მთხიი I 129_{7} ის მისცემს მსხალს ან ვაშლს, ან კაკალს (ნიგოზს), ან თხილს... ქდუმე კ ა კ ა ლ ი შ ი იყვენ, თხიიში იყვენ I 139_{11} ჩურჩხელა ნიგვზისა იქნება, თხილისა იქნება...

ეს ფუძე საერთოა ჰანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის. მნიშვნელობის მხრივ ჰანური და ქართული არსებითად ერთნაირია, მეგრული კი განსხვავდება მათგან: „კაკალი" აქ ნიგოზს არ აღნიშნავს, ის აღნიშნავს საერთოდ მარცვალს, ერთეულს. დასავლეთ საქართველოში ხშირად კ ა კ ა ლ ი სწორედ მარცვლის მნიშვნელობით იხმარება: გარეულ ყურძენს „წვრილი კ ა კ ლ ე ბ ი ასხია" (იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონ. ისტ., II, გვ. 439—ცნობა რაჭველს ეკუთვნის); „მტევანი სავსე აქვს, გრძელი, წვიტი კ ა კ ა ლ ი იცის" (იქვე, გვ. 463 — მთქმელი აჭარელია).

მნიშვნელობის ასეთი გაფართოება საერთოდ ქართულისათვისაც არ არის უცხო; ჯერ კიდევ ს ა ბ ა აღნიშნავს თავის ლექსიკონში: ,,კაკალი ეწოდების ნიგოზთა და ხულთა ხილთა; კ ა კ ლ ა დ უწოდენ მგრგუალთა რასამე; ...კაკლად იქმის თვალის სიმგრგვალე გინა ყვერის კუერცხი" (იხ. **კაკალი**). ს ა ბ ა ს ისიც აღნიშნული აქვს, რომ „კ ა კ ლ ა დ იტყვიან იმერელნი მარცვალთაო"...

9. ჰან. **თხ-ირ-ი** || **მ-თხ-ირ-ი** || **ნ-თხ-ირ-ი** თხილი, мелкий орех
მეგრ. **თხ-ირ-ი** ,, ,,
ქართ. **თხ-ილ-ი** ,,
სვან. **შდიხ** ,, ,,

თ ხ ი რ ი ბორგი-ა, უწუდორენ II 52_{6} თხილი დავრგეო, უთქვამს... ნ თ ხ ი რ ი მუშენ ვა მომიღით? II 66_{33} თხილი რატომ არ მომიტანეთ? ნ თ ხ ი რ ი დიშქაში II 103_{34} თხილის ხისა... და კ ა კ ა ლ ი, და მ თ ხ ი ი

I 129_8 ან ნიგოზი, ან თხილი... მჭიფე თხიში ბიგაში... I 149_{16} თხილის წვრილი ჯოხისა...

თავკიდური **მ-** || **ნ-** ჭანურში ფონეტიკური დანართია; თხირ- შეესატყვისება თხილ-ს; ძირეულია **თხ-**, დეტერმინანტი-სუფიქსია **-ილ-** || **-ირ-**; სვანურს დეტერმინანტი-სუფიქსი არ გააჩნია და სწორედ ამის გამო შემოუნახავს ძირეული ხმოვანი: მდიხ-ში **შდ თ-**ს შეესაბამება, **-ხ-** იგივეა, რაც ქართულსა და ზანურში... სვანური ცხადყოფს, რომ ქართულშიც და ზანურშიც უნდა გვქონოდა **თიხ-** და აქედანაა მიღებული **თხ- -ილ-** სუფიქსის დართვისას:

თიხ-: **თიხ-ილ-** → **თხ-ილ-**... (**ი**-ს რედუქცია?).

10.	ჭან.	**ბერწ-ეულ**-ი	ბროწეული,	гранат; гран. дерево
	მეგრ.	**ბერწ-ულ**-ი	"	"
	ქართ.	**ბროწ-ეულ**-ი		"
	სვან.	**ბროწ-ეულ**	"	"

ნაიშ (ბერწეული შ) ქჲოქის... ელაძინ I 93_{17} ბროწეულის ძირთან დევს... ნარი... ბერწეული დობორგი-ა, უწუდორენ II 52_9 ბროწეული დავრგეო, უთქვამს...

ჭანურში ამჟამად გაბატონებულია თურქ.-სპარს. ნარი || ნაი... ბერწეული იშვიათად იხმარება. დამახასიათებელია, რომ ზემოხსენებულ შემთხვევებში ჯერ ნარი იხმარა მთქმელმა და მხოლოდ შემდეგ განმარტება-შესწორების სახით დაუმატა ბერწეული...

ამ სიტყვის ძირი **ბროწ-** შენახული აქვს ქართულსა და სვანურს: მეგრულსა და ჭანურში: **რ-** გადასმულია და **ო**-ს ადგილს **-ე-** იჭერს, ალბათ, სუფიქსისეულ **-ე**-სთან ასიმილაციით. სუფიქსი ეულ- რთული ჩანს: **-ეულ-** ← **ევ-ულ-**. მეგრულში ეს სუფიქსი გამარტივებულია: **-ულ**-ღა გვაქვს.

11. ჰან. **ყომ-ურ-**ი || **ცომ-ურ-**ი || „**ომ-ურ-**ი“ || „**ომ-ბრ-**ი“ M ტყემალი, слива дикая
მეგრ. **ცომ-ურ-**ი ტყემალი, слива дикая
ქართ. **ტ-ყემ-ალ-**ი „
სვან. ბარ-**ყვენ** „ „

ცუჯის-ური ყომუში ქოგჲუკიაფან I 154_4 ბოლოს („ყურზეც“) ტყემლის [წნელს] მიაკრავენ... ჰაჲა — მტკვი ცომური, ჰეა — ოხიალე ცომური II 72_{20} ეს „ტყიური ტყემალი“, ის შინაური ტყემალი (პირველი — ტყემალს გულისხმობს, მეორე — ალუჩას)...

ჰანურში და მეგრულში **ყომ-**||**ცომ-** გვაქვს მოსალოდნელი **ყამ-**||**ცამ-**ის ნაცვლად: ეს მომდევნო **მ**-ს გავლენას მიეწერება... **-ალ-** || **-ურ-** დეტერმინანტი-სუფიქსებია, ისინი მორფოლოგიურად შეესატყვისებიან ერთმანეთს. „ომბრი“ — ათინური ვარიანტთაგანია (ნ. მარი): **მ**-სთან აქ **-ბ-** არის განვითარებული **უ**-ს ადგილას.

ქართული თავკიდური **ტ-** ფორმანტი უნდა იყოს; ის რომ ძირეული ყოფილიყო, მეგრულშიც შეგვენახებოდა (**ტყომურ-**ის სახით: შდრ. ტყა — ტყე... ტყები — ტყავი... ტყობიშე — ფარულად) და ჰანურშიც (**ტკომურ-**ის სახით: ტკები — ტყავი... ოტკოჩუ — გატყორცნა, ისროლა). ეს **ტ-** იმავე ღირებულებისა ჩანს, როგორიც **ტ**-ს აქვს მ-**ტ-კუარ-**ში: **ტ- დ-**საგან უნდა იყოს მიღებული მკვეთრი ხშულის (**-ყ-, -კ-**) მეზობლობაში; ეს **დ-** კი ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი ფორმანტი უნდა იყოს.

12. ჰან. **ბ-ჟოლ-**ი || **მ-ჟოლ-**ი || **ჯოლ-**ი თუთა, тута; тутовое дерево
მეგრ. —
ქართ. **ჟოლ-ა** || **ბ-ჟოლ-ა** „ „
სვან. **ბ-ჟოლ-ა** „ „

მტკორი... ბჟოლი-თი ივენ II 72_{19} ველური („ტყიური“) ბჟოლაც (თუთაც) იქნება... შილი-გოგიე... მჟოლიშა მულუნ I 154_8 მალაღური... ბჟოლაზედაც (თუთაზედაც) მოდის... ტაბანი დუთიში იენ (დუთი — ჯოლი) II 110_{17} „ქუსლი“ [აჩაჩასი] თუთისა იქნება (თუთა — ბჟოლა)...

ფუძე **ჟოლ-** დაცულია ქართულში, ჰანურში და სვანურში; არა გვაქვს მეგრულში. ეს ფუძე ჰანურში დაირთავს თავკიდურ **ბ-** || **მ-**ს;

ეს ფონეტიკური დანაზარდია. **უ → ჳ** ართაშნულში, სადაც ამგვარი ცვლილება ხშირია (იხ. ჭან. გრამ. ანალ., § 8 ზ, გვ. 27).

თავკიდური **ბ-** სვანურშიც და ქართულშიც ფონეტიკურადაა განვითარებული. რაც შეეხება თუთასთან ურთიერთობას, ალბათ, სწორად შენიშნავს საბა: „**თუთა** სხვათა ენაა, ქართულად **ჟოლა** ჰქჳან“ (იხ. **თუთა**).

საინტერესოა, რომ ართაშნულში დუთა-ს ვხვდებით (იხ. ზემოთ).

13. ჭან.	**წიფ-ურ-**ი ‖ **წიფ-რ-**ი ‖ **წიფ-უ-**ი	წიფელი,	бук
მეგრ.	**წიფ-ურ-**ი	„	„
ქართ.	**წიფ-ელ-**ი		„
სვან.	**წიფ-რა**	„	„

მა მიძირამუნ წკარი, წიფურიში ქდოქის გამულუნ I 120_{30} მე მინახვს წყარო, წიფლის ძირში გამოდიოდა... წიფუის-ნა ჩანს წინთხირი... I 139_{12} წიფელს რომ ასხია წიწიბო... რაკანეფეს წიფურიშ ნჯას... ქელოკორამან I 85_1 მთებში წიფელს („წიფლის ხეს“) მიაკრავენ... წიფრიში დიდი ჯალეფე ჩანს II 3_{20} წიფლის დიდი ხეები „ცენობს“... კავი წიფრის იჩანენ II 2_{29} აბედი წიფელზე იცის („აღმოცენდება“)... წიფრიში დაჩხურონი დიშქა ქოგამიღუ II 35_1 წიფლის ცცხლმოკიდებული შეშა გამოიტანა...

ძირი **წიფ-** საერთოა ქართველური ენებისათვის; დეტერმინანტ-სუფიქსად გვაქვს ქართულში **-ელ-**, მეგრულსა და ჭანურში **-ურ-**, ჭანურში — აგრეთვე **-რ-** (**ფ-**ს მეზობლად **უ-**ს დაკარგვის გამო); სვანურში ამ სუფიქსის ადგილს იჭერს **-რა**, რომელიც მცენარეთა სახელებისათვის არის დამახასიათებელი სვანურში (და, მაშასადამე, თავისი ფუნქციით განსხვავდება **-ელ** ‖ **-ურ**-ისაგან).

14. ჭან.	**ჭუბ-ურ-**ი ‖ **ჭუბ-რ-**ი ‖ **ჭუბ-უ-**ი	წაბლი,	каштан; каштановое дерево
მეგრ.	**ჭუბ-ურ-**ი	„	„
ქართ.	**წაბ-ლ-**ი		„

ჭუბური ჯეჭოფუპტეს I 56_{15} წაბლს ყიდულობდენ... მეგერეშ ჭუბური ქოძირელერეტუ... ქჯეზდუ ჭუბური. მაჟუანიქ — „ქოდოდვი ჭუბუი“-ა... I 84_{15} თურმე წაბლი ენახა... აიღო წაბლი. მე-

ორემ — „დადევი წაბლიო“... „მომჩით ჰუბური“!... ჰუბური ქო-შეჩეს... ჰუბური დოცხუნუ I $8_{4_{23}}$ მომეცით წაბლი!... წაბლი მისცეს... წაბლი გაარჩია... ჰუბურიში და ჩქვა ჯაში... II 75_{16} წაბლისა თუ სხვა ხისა... ჰუბუის... გოწკა ტკები II 51_1 წ ბლს... გააძრობ ქერქს... თის-თი ჰუბრიში რენგი ფაფახი გჲოთუნ II 2_{16} თავზედაც წაბლის ფერი ბუხრის ქუდი ახურავს... ჰუბრიში ფავრი დოწილუ II 31_{22} წაბლის ფოთოლი დაკრიფა... ანძა ჰუბრიში იენ II 110_{16} [აჩაჩას] მხარი („ანძა“) წაბლისა იქნება...

ძირეული **ჰუბ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **წაბ**-ს: **ჰუბ-** ← **ჰობ-**; **ბ**-ს მეზობლობაში **ო** → **უ**...

-ლ- ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსია; მისი ბადალია **-ურ-** ჰანურსა და მეგრულში; ჰანურში მარტოოდენ **-რ-**ც გვაქვს: **ბ**-ს წეზობლობაში **-უ**-ს დაკარგვის შედეგადაა მიღებული. ხმოვანთა შორის **-რ-**ს დაკარგვა გვაძლევს ჰუბუი-ს.

15. ჰან. **ჰკ-ონ-ი** ‖ **მ-ჰკ-ონ-ი** ‖ **მ-ჰ-ონ-ი** — მუხა, дуб
მეგრ. **ჰყ-ონ-ი** — „ „
ქართ. —

ჰკონი (ფელიტი) ჰუბრიშენ კაი ნუხონდუნ II 4_{14} მუხა წაბლზე უფრო კარგად ძლებს... რაკანის არ დიდი მჰკონი ქოგელადგინ II 42_{35} მთაზე ერთი დიდი მუხა დგას... მთუგი მენდახთუ მჰკონიშე II 43_1 თაგვი წავიდა მუხისაკენ...

ჰკონი ესაა ჰანურის ნორმებით გადმოცემული ჰყონი, მეგრულში რომა გვაქვს... თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია. ათინურში **ჰკ-** → **ჰ-** — საერთო წესების თანახმად: ჰკონი → ჰონი... **-ონ-** სუფიქსი ჩანს.

არც ქართულში, არც სვანურში ეს ძირი არა ჩანს (ქართულში **წყან-** უნდა გვქონოდა; შეიძლება აქედან იყოს წყნეთი — სოფელი-აგარაკი ტფილისის მახლობლად: **წყან-ეთ-ი** → წყნეთი — ე. ი. „მუხნარი“... შდრ. მუხრანი ← მუხნარი, იმერეთში — მუხიანი). მუკა უთუო კავშირშია ხუნძურ. მიქ-თან, რომელიც იმასვე ნიშნავს. ამავე ძირის სხვა ვარიანტები გვაქვს დაღისტნის მთელ რიგ ენებში. სვან. ჯიჰ-რა- ძირი დაკავშირებულია აფხაზ. ა-ჯ-თან („მუხა“)...

16. ჰან. **თხომ-უ** ‖ **ნ-თხომ-უ** ‖ **ნ-თხომ-ბ-უ** თხმელა, ольха
მეგრ. **თხომ-უ** „ „
ქართ. **თხმ-ელ-ა** „

არ თ ხ ო მ უ შ თუდე ყინი წკაი ქოშუ I 45_{30} ერთი თხმელის ხის ქვეშ ცივი წყალი დალია... დოლოხე თ ხ ო მ უ შ ი ნჯარა ქაგოდუმელან I 148_{20} შიგნით თხმელის მრგვალ ხეებს გასდებენ... საღრა თ ხ ო მ უ შ ი ივენ II 31_{25} გობი თხმელისა იქნება... ნ თ ხ ო მ უ შ ი არას ჯ̌ებენ II 87_4 თხმელის ტოტზე ზის... ქეხთუ ნ თ ხ ო მ ბ უ შ ჯას II 87_3 ავიდა თხმელაზე („თხმელის ხეზე“)...

მეგრ. თ ხ ო მ უ და ჰან. თ ხ ო მ უ ძირითადი და ამოსავალი სახეა ამ ფუძისა; თავკიდური **ნ-** და **-ბ- მ-**ს შემდეგ ფონეტიკური დანართია. ბოლოკიდური **-უ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; მას შეესაბამება — მორფოლოგიურად — **-ელ-** ქართულში. ჰან.-მეგრ. ძირეული **თხომ-** გვავარაუდებინებს, რომ ქართულშიც უნდა გვქონოდა ხმოვანი **მ-**ს წინ: **თხამ-** უნდა ყოფილიყო ძირი; **-ელ-** სუფიქსის დართვისას ეს ხმოვანი დაიკარგა.

17. ჰან. **დუ-ცხ-უ** ცაცხვი, липа
მეგრ. **ცხა-ცხ-უ** „ „
ქართ. **ცა-ცხ-ვ-ი** „
სვან. **ცა-ცხ-უ** „

საღრა... დ უ ც ხ უ შ ი ივენ. დ უ ც ხ უ მჯა ენ II 31_{34} გობი ცაცხვისა იქნება. ცაცხვი ხეა... ბოინდლული დ უ ც ხ უ შ ი იენ II 110_{17} უღელი ცაცხვისა იქნება (კეთდება)...

ძირეული **-ცხ-** ყველა ქართველურ ენაში გვაქვს; ეს საერთოა. თავკიდური **ცა-** ქართულში მიღებულია **სა-**სგან ძირეულ **ც-**სთან ასიმილაციის შედეგად: **ცა-ცხ-ვ-ი**←**სა- ცხ-ვ-ი**... ეს **სა-** ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი თავსართია. მეგრული **ცხა-ცხუ** მომდინარეობს **ცა-ცხუ-**საგან: **ც-**სთან **ხ-** განვითარდა ძირეული **-ცხ-** კომპლექსის გავლენით...
ქართული **სა-** თავსართის ფუნქციას ჰანურში **დუ-** თავსართი ასრულებს; **დუ-** ასიმილაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული **და-**საგან.
-ვ- ‖ **-უ** ქართულში, მეგრულსა და ჰანურში დეტერმინანტი-სუფიქსია.
სვანური ც ა ც ხ უ იმეორებს ქართულს. ამრიგად:

ჰან. **ღუ-ცხუ ← და-ცხ-ვ-ი**
მეგრ. **ცხა-ცხუ ← ცა-ცხ-ვ-ი ← სა-ცხ-ვ-ი**
ქართ. **ცა-ცხ-ვ-ი ← სა-ცხ-ვ-ი** (ძვ. ქართ. ც ა-ც ხ-უ-ი ‖ ც ა-ც ხ-ვ)

18. ჰან. **მ-წკ-ოლ-ი ‖ მ-წკ-ო ‖ წ-უ ‖ „მ-წ-უ“** M წყავი, лавровишня
მეგრ. **წყ-ოლ-ი ‖ წყ-ი-ი ‖ წყ-ე-ი** „ „
ქართ. **წყ-ავ-ი** „

მწკოში ყას... ქოგელახედეენ I 9_{12} წყავის ტოტზე... ჩამოჯდარა... მწკოში ბიგა ქომუმელან I 149_{20} წყავის ჯოხს მოიტანენ... მჰიფე მწკოში ჰეფხეთე II 51_{2} წყავის წვრილი წნელით... მწკოლეფუნას ქოგუდგითეს II 78_{9} „წყავნარს“ გარს შემოადგენ... ბერე წუ ქებოშკვათ II 127_{10} ბავშვი წყავზე ავუშვათ... ბერე წუშა ოკრიონუ ქოგჲოკუ II 127_{11} ბავშვმა წყავიდან ძახილი („ყივილი“) დაიწყო... წუში თუდელე ზუნ II 127_{16} წყავის ქვეშ ძევს...

თავკიდური **მ-** ჰანურში ფონეტიკური დანართია; ძირითადია **წკოლ-**, რომელიც შემონახულა **მ-წკ-ოლ-ეფ-უნ-ა-**ში (იხ. ზემ.); ეს **წკოლ-** ჰანური ნორმების მიხედვით ცვლილი **წყ-ოლ-** არის, მეგრულში რომა გვაქვს. ბოლოკიდურ **ლ**-ს მოკვეცით მ-წკო- გავრცელებული ჰანური ვარიანტია; ათინურში **წკ- → წ-**; ბოლოკიდური **-ო-** ვიწროვდება და გვაძლევს **უ**-ს: **წკო → წო → წუ** (‖ მ-წუ).

ძირეული **წყ-** საერთოა ჰანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის. დეტერმინანტი-სუფიქსი ქართულში **-ავ-** არის; მეგრულსა და ჰანურში **-ოლ-**; მაგრამ მეგრულში **-ივ-** სუფიქსიც უნდა ხმარებულიყო და აქედანაა ხმოვანთ შორის **-ვ-**ს დაკარგვით მიღებული **წყ-ი-ი ‖ წყ-ე-ი** — ჯვარულში — **-ი-ი**-ს დიფერენციაციით.

19. ჰან. **ლუკუმხა** ხეჭრელი, крушина (ломкая)
მეგრ. **ლეკუხა** „ „
ქართ. **ლუკუფხა** „

ჰეა — ლუკუმხა II 5_{11} ის ხეჭრელი...

მეგრულად ამ ხეს ეწოდება ლეკუხა; საბას ლექსიკონში მოხსენებული აქვს ლუკუფხა, რომელსაც განმარტავს „ხეჭრელა“-თი (იხ. **ლუკუფხა**).

ჰანური ლუკუმხა და ქართ. ლუკუფხა თითქმის არ განსხვავდება ერთი მეორისაგან: **მ**-ს **ფ**- ენაცვლება ქართულში; **ხ**-ს მეზობლობაში ეს ბუნებრივია. მეგრულში არც **მ**- გვაქვს, არც **ფ**-; **უ**-ც **ე**-თია შეცვლილი (აკუსტიკურად აღქმის პროცესში?).

რთული ფუძე უნდა იყოს.

ნ. მარის ცნობით რიზეში ამ ხეს ლიკარბა ეწოდება (იხ. ჰან. გრამ., გვ. 163).

20. ჰან. **მ-შჭ-ერ-ი** ‖ **მ-შჭ-ე-ი** შქერი, рододендрон
‖ „**მშკერ-ი**“ ‖ „**ფშკერ-ი**“ M
მეგრ. **შჭ-ერ-ი** ,,
ქართ. **შჭ-ერ-ი** ,,

ჯაღი უსუმელან... მშჭეიში ბუტკაჟე I 143_{21} ერბოს უსმენ... შქერის ფოთლითა... მშჭერიში ფავრი დოწილუ II 31_{22} შქერის ფოთოლი მოკრიფა...

შჭერ- ფუძე საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჰანურისათვის. თავკიდური **მ-** ‖ **ფ-** ფონეტიკური დანართია; **შკ-** მეორეულია **შჭ**-სთან შედარებით.

ძირეულია **შჭ-**; დეტერმინანტი-სუფიქსია **-ერ-**.
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

21. ჰან. „**ს-უჯ-ი**“M ‖ „**მ-სუჯ-ი**“M ‖ **მ-სიჯ-ი** ‖ **ფ-სიჯ-ი** სურო, плющ
მეგრ. **ს-ურ-ო** ,, ,,
ქართ. **ს ურ-ო** ,,

გალენდონ მსიჯი გოკირს I 115_{20} გარედან სურო ახვევია... მსიჯი ქომუშელან I 149_{21} სუროს მოიტანენ... ადა ფსიჯითე გეფშუმთ II 73_{20} ამას სუროთი მოვქსოვთ...

თავკიდური **მ-** ‖ **ფ-** ფონეტიკური დანართია; **სიჯ-** ფუძე მიღებულია **სუჯ-**ისაგან, როგორც ეს დასტურდება ნ. მარის მიერ ვიწურისათვის ნაჩვენები **მ-სუჯ** ით (იხ. ჭ ნ. გრამ., გვ. 186); ლიტერატურაში ათინურისათვის **სუჯ-**იც გვხვდება.

ეს **სუჯ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **სურ-** ფუძეს; მეგრ. **სურ-ო** იმეორებს ქართულს.

-ურ- ‖ **-უჯ-** ამ სახელის ფუძეში დეტერმინანტი-სუფიქსი ჩანს.
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

22. ჰან. **ასკილ**-ი — ასკილი, дикая роза
მეგრ. —
ქართ. **ასკილ**-ი — ,,

გზაში თუდენი კალე ასკილეფუნას ქოდოლოტოჩუ II 91_{15}. გზის ქვევით ასკილებში („ასკილნარში") გადაისროლა... ასკილეფუნას ა ბოზომოთაქ იბგას II 92_1 ასკილებში ერთი ქალიშვილი ტირის... მა ანსკილეფუნას მოკაპინუ, ქოდოლომოტოჩუ II 94_{10}. მე ასკილებში მიკრა თავი, გადამისროლა...

ფუძე **ასკილ**- საერთოა ჰანურისა და ქართულისათვის. ჰანურში ეს ფუძე ტექსტებით დასტურდება ათინურში; სხვა ტექსტებში არა გვაქვს (ნ. მარსაც ლექსიკონში არ მოეპოვება).
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.
მეგრულში ეს ფუძე არა გვაქვს; ასკილს ,,ეშმაკიშ მარფახი" — ,,ეშმაკის მარახი" — ეწოდება.

23. ჰან. **ინჭ-ირ**-ი ‖ ,,**ინჭ-ირ**-ა" M — ანწლი, бузина
მეგრ. **ინჭ-ირ**-ია — ,, ,,
ქართ. **ანწ-ლ**-ი — ,,

ინჭირი... გოუფს ბეეფე სქანიქ II 144, (ხოფ.) ანწლს... ეძებენ შენი ბავშვები...

ძირეულია ქართულში **ანწ**-; **-ლ**- დეტერმინანტი-სუფიქსია; ამ უკანასკნელს ჰანურსა და მეგრულში შეესაბამება **-ირ**-; რაც შეეხება ძირეულ მასალას, მისი შესატყვისი უნდა ყოფილიყო ***ონჭ**-; მაგრამ **-ირ**- სუფიქსთან ასიმილაციის შედეგად მივიღეთ **ინჭ**-: **ონჭ-ირ**- → **ინჭ-ირ**-... მეგრ. ინჭირია ინჭირი-სა და ინჭირა-ს კონტამინაციით მიღებული ჩანს.

24. ჰან. **თიფ**-ი — ბალახი, трава
მეგრ. **თიფ**-ი — თივა, сено
ქართ. **თივ**-ა — ,,

გუწკიფან ჩაი (თიფი უწუმელან — ხოფას, აზლაღას) I 135, მოაშორებენ ბალახს (თიფი-ს ეტყვიან — ხოფაში, აზლაღაში)...

ეკულე ქოთუმეფე გუიყონოფს დო ჯუფს თიფი I 164_{31} მერე დაჰყავს ქათმები და ძოვს ბალახს... თიფიშ ოჭკორუს ქოგებოჭკამ-- ფუჯეფეში გჲარი ენ თიფი II 25_{29} ბალახის ჭრას (თიბვას) დავიწყებ — ძროხების საჭმელია ბალახი... ბუჯგრი დობუხენარ; თიფი ქოჯებურჩარ... II 115_{7} ბუდეს გავუკეთებ; ბალახს (თივას?) დავუგებ...

ფუძე საერთოა; ბოლოკიდური თანხმოვანი შეცვლილია როგორც ქართულში, ისე მეგრულსა და ჭანურში; როგორც თიბავს ზმნა ამჟღავნებს, ქართულში უნდა ყოფილიყო **თიბ**-ი; ამ **ბ**-ს ქართულში შენაცვლებია **-ვ-**, ჭანურსა და მეგრულში კი **-ბ-** ფშვინვიერი **ფ**-თი შეცვლილა.

ქართულსა და მეგრულში ეს სიტყვა ,,გამხმარ ბალახს'' აღნიშნავს, ჭანურში --- ყოველ შემთხვევაში — ხოფურსა და არქაბულ კილოკავებში — ,,ბალახს'' ზოგადად.

25. ჭან. **ბინეხ**-ი ვაზი, виноградная лоза
მეგრ. **ბინეხ**-ი ,, ,,
ქართ. **ვენახ**-ჩ || ძვ. ქართ. ვენაკ-ი виноградник
სვან. **ვენჳკ** ,,

და თელიში, და ბინეხიში კერკელი დოიქიფთ I 137_{6} ან მავთულის ან ვაზის რგოლს (,,კერკელს'') გავაკეთებთ... ბინეხი ბორგი-ა II 52_{6} ვაზი დავრგეო... ტიკშაძს ბინეხიში გეკიდონი ულუნ II 72_{13} ჭიშკარს ვაზის ჩამოსაკიდებელი აქვს... ბინეხი ახვანის ქომებდვი. ბინეხი იმორდასენ... II 109_{17} ვაზი ,,ჭიგოს'' ავაკარი. ვაზი გაიზრდება...

ფუძე ყველა ქართველურ ენაში ერთია; ჭანურსა და მეგრულში **ვ**-ს ენაცვლება **-ბ-**, **-ე-** დავიწროებულია **-ი-**დ, **ა-** შეცვლილია **ე**-თი.

მნიშვნელობის მხრივ ამჟამად ერთგვარი სხვაობაა: ჭანურსა და მეგრულში ბინეხ-ი ვაზს ნიშნავს, ქართულში --- ვაზით დარგულ ბაღს.

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით ვენაკი ძვ. ქართულშიც ვაზის ერთი ძირის აღმნიშვნელი იყო (იხ. საქართ. ეკონომ. ისტ., ტ. II, გვ. 102). ამრიგად ძველი სემასიოლოგიური ვითარებაა წარმოდგენილი ჭანურსა და მეგრულში.

26. ჭან. **ყურძ-ენ-ი** || **ცურძ-ენ-ი** || **ურძ-ენ-ი** ყურძენი, виноград
მეგრ. **ცურძ-ენ-ი** ,, ,,
ქართ. **ყურძ-ენ-ი** ,,
სვან. **ყურძ-ენ** . ,, ,,

ყ უ რ ძ ე ნ ი დოწილეს I 22_{21} ყურძენი მოკრიფეს... ყ უ რ ძ ე ნ ი ჭკომი I 93_{21} ყურძენი ვჭამე... ც უ რ ძ ე ნ ი კოპალა რენ II 75_{31} ყურძენი უმწიფარია... ჯუმორი ც უ რ ძ ე ნ ი ში, მცხულიში-თი ივენ II 75_2 ძმარი ყურძნისა, მსხლისაც იქნება... ბინები ც უ რ ძ ე ნ ი ნიჩანუ II 109_{23} ვაზმა ყურძენი მოისხა... ჭკომათენ-ჲა უ რ ძ ე ნ ი კ ა ლ ა... უ რ ძ ე ნ ი-ნ ა ბწილათენ, ანგი ვა მიღუნან-ჲა II 56_{14} ვჭამოთო ყურძენთან... ყურძენი რომ მოვკრიფოთ, „ჭურჭელი“ არ გვაქვსო...

ყველა ქართველური ენისათვის ყ უ რ ძ ე ნ- ფუძე საერთოა. ოღონდ მეგრულში ხმოვნის წინ **ყ**- იქცევა **ც**-დ: ც უ რ ძ ე ნ-ს ვიღებთ.

ჭანურის კილოკავთაგან **ყ**-ს ინარჩუნებს ხოფური, **ც**-დ აქცევს არქაბული, ვიწური... ჩვენს შემთხვევაში გვაქვს **ც**- ათინურშიც; **ც**- დაკარგულია არქაბულში (ორიოდე შემთხვევაში).

მნიშვნელობა ყველგან ერთნაირია.

27. ჭან. **კუმხ**-ი კუფხალი, часть виногр. грозди
მეგრ. —
ქართ. **კუფხ-ალ**-ი ,,ტევნის რტო“ (ს ა ბ ა), ,,

კ უ მ ხ ი II 75_{31} კუფხალი...

კუმხ- იგივე **კუფხ**- არის; ამ უკანასკნელში **ფ**- **მ**-საგან უნდა იყოს მიღებული **ხ**-ს მეზობლობაში.

-ალ- ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსია. ჭანურში ამგვარი სუფიქსი არა გვაქვს.

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

28. ჭან. **ჰეჭა** || **ჭაჭა** ჭაჭა, выжимки виногр.
მეგრ. **ჭაჭა** ,, ,,
ქართ. **ჭაჭა** ,,

ჰ ე ჭ ა (ჭ ა ჭ ა) II 75_{31}

ეს ფუძე საერთოა; მნიშვნელობაც ერთი და იგივეა.

29. ჰან. **ტოტ-**ი ტოტი, შტო, ветвь, ветка (раст.)
მეგრ. —
ქართ. **ტოტ-**ი ,,

...ჯას ეხტუდორტუ დო ტოტეფე (,,ყას'' ტოტი უწუმელან) ხორხუმტუ II 8_{17} ხეზე ასულიყო და ტოტებს (,,ყას'' ტოტს ეტყვიან) ხერხავდა... დუზიშე გებილი, ტოტის ქოგუბოკიდი II 79_{11} ვაკე ადგილას ჩამოვიტანე, ტოტზე ჩამოვკიდე...

ნ. მარს ტოტი ვიწურისათვის აქვს ნაჩვენები (იხ. ჰან. გრამ., გვ. 190). ჩვენი მაგალითები მას არქაბულშიც ადასტურებენ.

ტოტ- ფუძე საერთოა ქართულისა და ჰანურისათვის. მნიშვნელობაც ერთი და იგივეა.

მეგრულში ეს ფუძე არა ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტოტ-ს ხელის მნიშვნელობით, ისიც ნასახელარ ზმნაში: შეეტოტეს ,,ხელები წაავლეს ერთმანეთს''...

30. ჰან. **ყა** ← **ყალ-** ‖ ,,ა'' ← **ალ-** M შტო, ветвь (на дереве)
მეგრ. **ცა** ← **ცალ-** ,, ,,
ქართ. **ყლ-ორ-ტ-**ი побеги

მისიი ხურმაში ყალეფე ქამეტახუ I 127_4 ეგვიპტის ხურმის ტოტები მოტეხა... ბიგათე დოფშათხუფთ ყაეფე I 158_{30} ჯოხით დავბერტყავთ ტოტებს...

მეგრულში ეგევე ფუძე **ცა**-ს სახითაა მოცემული; ი. ყიფშიძის განმარტებით **ცა** ,,ცოცხალი ტოტია ხეზე'', ნო-ცელა კი მოჭრილი ტოტია (იხ. მეგრ. გრამ., ლექსიკ., გვ. 417)... აქედანვეა, ალბათ, ცაშუა ‖ დოცაშუა ,,ცოცხალი ტოტის მიწაში ჩაფლვა'', რომ მერე ფესვები გაიკეთოს.

სრული სახით **ყა**-(‖ **ცა**-) ფუძე მრავლობითში აღდგება: **ყალ**-(‖ **ცალ**-).

ქართულში ეგევე ფუძე უნდა გვქონდეს **ყლ-ორ-ტ-**ში: **-ორ-**ის ზეგავლენით **ყ**-სა და **-ლ-**ს შორის ხმოვანი ამოიღებოდა (რაღაა მაშინ **ორ-ტ-**?).

31. ჭან. **„ცქირმუნტ-ურ-ი“** M — ზღმარტლი, мушмула
მეგრ. **ცქიმუნტ-ურ-ი** — „ „
ქართ. **ზღმარტ-ლ-ი** — „

ცქირმუნტურ-ი ნ. მარს ნაჩვენები აქვს არქაბულისათვის; მასვე მოჰყავს ვარიანტები: ცხიმუნტურ-ი (ხოფ.), სკილიმუნტრ-ი (ათ.), სკირმუტ-ი, ცქიმუტ-ი (ვიწ.).

მეგრულისათვის ძირითადია ცქიმუნტურ-ი; ი. ყიფშიძე აღნიშნავს აგრეთვე შემდეგ სახეებს: ცქუმუნტურ-ი, ცხუმუტურ-ი, ცხმუტურ-ი.

საბას ლექსიკონში ზმარტლ-ი გვაქვს; აქედან ჩანს, რომ ღ ქართულში, ხ, ჭ, კ ჭანურსა და მეგრულში ფონეტიკურადაა განვითარებული. ჭანური შეკვეცილი ვარიანტები დეტერმინანტი-სუფიქსის უქონლობით, ხასიათდება. თავკიდური ზ- ქართულში ს-სგან უნდა მომდინარეობდეს ასიმილაციის გზით.

32. ჭან. **ბუტკა** — ფოთოლი, фуркель, лист древ., бумаж.
მეგრ. —
ქართ. **ბუტკო** — распустившаяся почка, цветок

ადა კაი ბუტკაფე სი მინდილი I 42_{43} ეს კარგი ფოთლები შენ წაიღე... ქითაბი ქომომილუ. არ ბუტკა ჯებწკი I 98_{29} წიგნი მომიტანა. ერთი ფურცელი გადავშალე („ავხსენი“)... ბუტკა ქოგობოკომათ II 50_{28} ფოთოლს შემოვახვევთ... ჟინდოლე მშქეიში ბუტკა ებოთუმეთ II 62_{5} ზევიდან შქერის ფოთოლს დავახურავთ...

საბას განმარტებით: „**ბუტკო** — რა დაიყუავილოს და ხილი აღმოჩნდეს“... ცხადია, ბუტკო || ბუტკა ერთი და იგივე ფუძეა.

მეგრულში ეს ფუძე არა ჩანს.

ნ. მარი ბუტკა-ს მხოლოდ ფოთლის სახელად თვლის (იხ. ჭან. გრამ., გვ. 132); მაგრამ ზემოხსენებულ მაგალითებს შორის ერთში ბუტკა ქაღალდის ფურცელს აღნიშნავს (ისევე, როგორც მეგრულში ფურცელი „ფოთოლსაც“ ნიშნავს და „ფურცელსაც“)...

33. ჭან. **ჯირეკ-ი** — ჯირკი, колода (дерев.)
მეგრ. **ჯიკ-ი** — „ „ „
ქართ. **ჯირკ-ი** — „ „

კოვარი ჯირეკის ჯაში ქაოქის ქელაღუ II 45_{11} კავი ჯირკს ხის ფესვს მოედო...

ს ა ბ ა ს განმარტებით: „ჯ ი რ კ ი — კუნძი დასაწვავი".

მეგრულში **რ-** დაკარგულია; ჰანურში **კ**-ს წინ**ე-** გვაქვს. მისი სადაურობა ცხადი არაა. ფუძე საერთოა.

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

34. ჰან. **ბიგა** ჯოხი, ხელკეტი

მეგრ. **ბიგა** ,, ,,

ქართ. —

ბ ი გ ა თ ე ნ დოზაპეს I 7_8 ჯოხით ცემეს... გინძე ბ ი გ ა ჯემალის ქაგუნთხუ I 87_4 გრძელი ჯოხი ჯემალს გაუწოდა... არ ბ ი გ ა მა ქომომჩი-ა I 25_{21} ერთი ჯოხი მე მომეციო... ბ ი გ ა ხეს ქოდიქაჩუ II 14_{15} ჯოხი ხელში დაიჭირა...

ეს ფუძე საერთოა ჰანურისა და მეგრულისათვის. ქართულში არა ჩანს.

35. ჰან. **ჩელტ-ი** ლასტი, ჩელტი, плетенка из прутьев

მეგრ. **ჩერტ-ი** ,, ,, ,,

ქართ. **ჩელტ-ი** ,,

ჩ ე ლ ტ ი წარწელი — თხიიშ ჰეფხეთე შუმან II 75_{24} ჩელტს ლასტს — თხილის წნელისას ქსოვენ...

ჩელტ- მეორდება ქართულსა და ჰანურში უცვლელად; მეგრულში **ლ-**ს **რ-** ენაცვლება.

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

36. ჰან. **კეტ-ი** || **კჲეტ-ი** ჯოხი, (ხიწვი), палка, (заноза)

მეგრ. **კეტ-ი** ჯოხი, კეტი, палка

ქართ. **კეტ-ი** дубина

ცარ კ ე ტ ი მეტახუ II 127_{21} ერთი ჯოხი გატეხა... კ ე ტ ი მოთ ოკოტახი II 85_{33} ჯოხი რად გატეხე... ღაჭოს ნოკეფე ქოგჲუდვარე. კ ე ტ ი ს ქოგჲოხუნარე II 59_{18} ღაჭოს ძაფებს შეაბამ, ჯოხზე დასვამ... კ ჲ ე ტ ი ქამებკვათი I 93_{30} ჯოხი მოვჭერი... კ ჲ ე ტ ე ფ ე

დოხაზირი-ა I 93_{28} ჯოხები დაამზადეო... კუჩ[ი]ეს არ დიდი კ ე ტ ი ჭონაციგუ I 64_{15} ფეხში ერთი დიდი ხიწვი შეერჭო... „კ ე ტ ი ქამეგიწკა"-ჲა I 64_{16} ხიწვს ამოგიღებო... ახჩამიშა კ ე ტ ი მეციგეი ხეტუ I 64_{17} საღამომდის ხიწვ-შერჭობილი იჯდა...

ფუძე იგივეა, რაც ქართულსა და მეგრულში; ძირითადი მნიშვნელობაც იგივე აქვს, ოღონდ არის შემთხვევები, როცა ამ სიტყვას „ხიწვის" მნიშვნელობა აღმოაჩნდება.

37. ჰან. **ფიც-არ-ი** ‖ **ფიც-ა-ი** ფიცარი, დაფა, доска (строит., клас.)

მეგრ. **ფიც-არ-ი** „ „

ქართ. **ფიც-არ-ი** „

ქვა, ნჯა, ფ ი ც ა რ ი, მუ-ნა ფთირი... I 147_{18} ქვა, ხე, ფიცარი, რაც რომ ვზიდე... დიდი ოდას ფ ი ც ა რ ი შ ი დუშემე დოვოხვენაფი... ჩამიშ ფ ი ც ა ი ქომოიღი I 147_{21} დიდს ოთახში ფიცრის იატაკი დავაგებინე („გავაკეთებინე")... ფიჭვის ფიცარი მოვიტანე... ჰაჲა ფ ი ც ა ი ენ, ჭუბრიში ფ ი ც ა ი ენ II 3_5 ეს ფიცარია, წაბლის ფიცარი... ჰაწი გვერდი ფ ი ც ა რ ი იღუ დო ქოგამაჩუ II 44_1 ახლა ნახევარი ფიცარი წაიღო და გაყიდა... აწი ფ ი ც ა ი ს „ჯოხო... ქონოჭარი"-ა, მიწუ არ მუელლიმიქ I 107_{19} ახლა დაფაზე „სახელი... დააწერეო", მითხრა ერთმა მასწავლებელმა... ოწკეტუ გოლანსვარელი თონეფეს, ფ ი ც ა ი ს, კიდაშ საათი დო სურეთეფეს I 107_{10} უყურებდა დაწყობილ მერხებს („სკამებს"), დაფას, კედლის საათსა და სურათებს...

ფუძე საერთოა ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის. ძირეულია **ფიც-**; დეტერმინანტი-სუფიქსია **-არ-**.

მნიშვნელობა იგივეა (არის შემთხვევა დ ა ფ ი ს აღსანიშნავად ამ სახელის გამოყენებისა — ნათარგმნ ტექსტში).

38. ჭან. **ყონ-ა** || **ღონ-ა** || **ჲონ-ა** ყანა, пашня, нива
მეგრ. **ღვან-ა** „ „ „
ქართ. **ყან-ა** нива

ყონაშა იგზალუ. ყონა კაი ტუ I 39_{33} ყანაში წავიდა. ყანა (ე. ი. ნათესი) კარგი იყო... ლაზუტი ყონას იყვენ I 135_3 სიმინდი ყანაში მოდის („იქნება“)... ბრინჯიში ყონა პწალდუფთ I 135_8 ბრინჯის ყანას „ვწვალდავთ“... სო რტი? ღონაშა ბორტი... II 3_{33} სად იყავი? ყანაში ვიყავი... ღონა დოხაჩქუ II 21_{12} ყანა დაამუშავა... გოილუ ხოლო ღონა II 21_{13} დაიარა კიდევ ყანა... ღონათი ბიტურთ, ლივადი-თი ბიტურთ II 109_{22} „ყანასაც“ ვიტყვით, „ლივადი“-საც ვიტყვით... არ ჲონა ქებუჭოფი სალიხას II 23_{33} ერთი ყანა გამოვართვი სალიხას...

ყან- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია ხოფური **ყონ-**; ამ უკანასკნელის ვარიანტებია **ღონ-** || **ჲონ-** (იხ. ჭან. გრამ. ანალ., § 4 ა, გვ. 10); **ღონ-**ისაგანაა მიღებული მეგრ. **ღვან-** **ო-**ს **ვა-**დ დაშლით.

-ა- დეტერმინანტი-სუფიქსის გამარტივებული სახე უნდა იყოს: **-ა** ← **-ან-** || **-ალ-**; ის საერთოა.

ჭანურში ეს სიტყვა ნათესსაც ნიშნავს და ადგილსაც, სადაც ეს ნათესი მოიპოვება. ძვ. ქართულში **ყანა** მიწას ნიშნავდა („ქუე-**ყანა** — ზე-**ცა**). ახალ ქართულში პურეულის ნათესს აღნიშნავს დასავლ. საქართველოში და მარტოოდენ პურის ნათესს — აღმოსავლეთ საქართველოში.

39. ჭან. **გოროხ-ი** бельтъ, глыба (земли)
მეგრ. —
ქართ. **გოროხ-ი** „მიწა გასატყორცი ქვასავით“ (საბა), твердые комья земли

გობიქთა — გოროხი დოფათხარ, გოროხი ბერგითე დოფათხარ... II 115_{33} მოვბრუნდები — ბელტებს დავშლი, ბელტებს თოხით (თოხის ყუით) დავშლი.

ეს ტექსტი ართაშნელისაგან მაქვს ჩაწერილი. სხვაგან არ შეგვხვედრია (ნ. მარს არა აქვს).

ქართულთან საერთო ფუძეა. მეგრულში არა ჩანს.

40. ჰან. **კორდ**-ი — ბელტი, глыба земли
მეგრ. —
ქართ. **კორდ**-ი — „უნამუშევარო მიწა“ (საბა), целина

ფაცხი-ნა ვა უღუტას, ბერგიში ყუთე კორ'დი დოტახუფან. კორდი ვა ტახან-ნა, გომალუ ჩეთინი იყვენ I 135_{26} თუ ფარცხი არა აქვს, თოხის ყუით დაამტვრევენ ბელტს. ბელტი რომ არ დაამტვრიონ, გათოხნა ძნელი იქნება... ჩაეფე, კორდეფე ვა იყვენ I 137_{26} ბალახი („ბალახები“), ბელტები არ იქნება...

ამ მაგალითებში კორდი იხმარება ბელტის მნიშვნელობით ართაშნული გოროხ-ის (იხ.) ადგილას.

კორდ- იგივეა, რაც ქართული იმავე სახეობის სიტყვა. მნიშვნელობის მხრივ არის ერთგვარი სხვაობა (თუმცა ქართულშიც ეს სიტყვა ყველგან ერთსა და იმავეს არ ნიშნავს).

41. ჰან. **ღარ**-ა — კვალი ხნულისა, борозда
მეგრ. **ღარ**-ი — ღარი, მილი, желоб
ქართ. ნა-**ღარ**-ი „ხნულთ შუა დარჩომილი კორდი“ (საბა), земля, оставшаяся невспаханной между бороздами

...საფანიქ-ნა ღარა ყვას, არ ციდა ჲანი-ჲანი დოლობღაფს ჭკემი I 136_{22} სახნისი რომ კვალს („ღარს“) გაავლებს, ერთი ციდის სიახლოეს ჩაყრის თესლს [კაცი]...

ღარ- ფუძე საერთოა ქართულსა, მეგრულსა და ჰანურში.

ქართ. ნაღარ-ი — კვლებს შორის დარჩენილი მიწა (საბა)— გვიჩვენებს, რომ ღარ-ი ხვნასთან დაკავშირებული ტერმინი უნდა ყოფილიყო ქართულშიც.

მეგრულში ამ ფუძის მნიშვნელობა უფრო დაშორებულია ჰანურისას და ხვდება ქართულში წარმოდგენილ (ღარი) მნიშვნელობას.

42. ჭან. **ლაზუტ-**ი || **ლაუზტ-**ი სიმინდი, кукуруза
მეგრ. **ლაზუტ-**ი || **ლაიტ-**ი || **ლატ-**ი „ „
ქართ. —

მან ლ ა ზ უ ტ ი ფხაჩქუფ I 44_{17} მე სიმინდს ვთესავ... ლ ა ზ უ ტ ი შ ი ოტახუ I 109_{13} სიმინდის ტეხა... ექ ლ ა უ ზ ტ ი ოცხუნუში ნოდერი ენ I 135_{4} იქ სიმინდის გარჩევის ნადია (მამითადია)... ლ ა უ ზ ტ ი დოფცხუნათ-ჭკულე... I 125_{9} როცა სიმინდს დავარჩევთ... ლ ა ზ უ ტ ი მოინჭუ-ი? II 4_{21} სიმინდი მოიწია?... ლ ა ზ უ ტ ი ხომბასენ II 3_{13} სიმინდი გახმება...

ლ ა ზ უ ტ-ის ვარიანტია ჭანურში ლ ა უ ზ ტ-ი (ხოფურში გვაქვს; მეტათეზისის შედეგია); მეგრულში ჩვეულებრივია — ლ ა ზ უ ტ-ის ვარიანტები — ლ ა ი ტ-ი, ლ ა ტ-ი ზუგდიდ-სამურზაყანოში, მაგრამ ლ ა ზ უ ტ-იც იხმარება. სენაკურში მხოლოდ ს ი მ ი ნ დ ი ა ცნობილი.

ქართულში ლ ა ზ უ ტ- არა გვაქვს.

ლ ა ზ უ ტ-ისა და ს ი მ ი ნ დ ი ს შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართ. ეკონომ. ისტ., ტ. I, 362—364.

43. ჭან. **დიკა** დიკა, ხორბალი, пшеница
მეგრ. —
ქართ. **დიკა** „ „

დ ი კ ა. უჯუზი იყვენ I 11_{9} ხორბალი იაფი იქნება... ბაბას დიდო დულჲა ულუტუ:... დ ი კ ა ოჭკიუ, დ ი კ ა ოქინჩოლუ I 79_{8} მამას ბევრი საქმე ჰქონდა: ...პურის მომკა („მოჭრა"), პურის გალეწვა... დ ი კ ა დოხაჩქერენ.. დ ი კ ა-ნა მუინჭუ... I 36_{23} პური (დიკა) დაუთესია... პური (დიკა) რომ მოიწია... დ ი კ ა დოჭკორესდორენ. დოჭკორეს-ში, თუდენი — ჩალა, ჟინი — დ ი კ ა II 49_{17} პური (დიკა) მოუმკიათ. რომ მოუმკიათ, ქვევით — ბზე, ზევით — ხორბალი („დიკა")...

ნ. მ ა რ ს დ ი კ ა ათინურისთვის აქვს ნაჩვენები (ჭან. გრამ., გვ. 139). ზემოხსენებული მაგალითები ამ სახელის არსებობას ადასტურებს ხოფურშიც და არქაბულშიც.

მეგრულში ეს სახელი არა ჩანს.

მნიშვნელობითაც, აგებულებითაც ეს სახელი ქართულ სათანადო სახელს ემთხვევა.

დიკა-ს შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართვ. ეკონ. ისტ., ტ. I, გვ. 328—330, **395**, 406—412.

44. ჰან. **ქურუმ-**ი დაუცეხვავი ღომი, вид проса (необмолоч.)
მეგრ. —
ქართ. **ქურიმ-**ა вид проса

დოლობლაფან... ქურუმი და ნჩხვარი: უნჩხვარუს ქურუმი ვუწუმეთ, ნჩხვარელის — ნჩხვარი I 148_{27} ჩაყრიან... „ქურუმს“ ანდა ღომს: გაუცეხვავს „ქურუმს“ ვეტყვით, გაცეხვილს — ღომს... გუმათუთას გუმუმან ბრინჯი, ქურუმი (ნჩხვარი — უნჩხვარუ ქურუმი იენ) II 70_{26} ოქტომბერში მკიან ბრინჯს, „ქურუმს“ (ღომი—გაუცეხვავი—„ქურუმი“ იქნება)... ჯერი-თი ქორენ, ქურუმი ხაჩქუმან II 60_{6} [ისეთი] ადგილიც არის, „ქურუმს“ (ე. ი. ღომს) თესავენ...

ეს ქურუმ-, ეჰვს გარეშეა, იგივეა, რაც ქართ. ქურიმ-ა ~ ქვრიმ-ა. მათი მნიშვნელობა განსხვავებულია: ჰანურში ესაა ღომი (გაუცეხვავი — იხ. ზემოთ), ქართულში—ფეტვის სახეობა (ქვრიმის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართვ. ეკონ. ისტ., I, გვ. 364—366).

მეგრულში ეს ფუძე არა ჩანს.

ნ. მარს ლექსიკონში ქურუმი მოხსენებული არა აქვს.

45. ჰან. ნ-**ჩხვ-არ-**ი || ნ-**ჩხვა-ირ-**ი ღომი (მარცვალი),
|| ნ-**ჩხვა-**ი вид проса (обмолочен.)
მეგრ. **ჩხვ-ერ-**ი
ქართ. —

უნჩხვარუს ქურუმი ვუწუმეთ, ნჩხვარელის — ნჩხვარი I 148_{28} გაუცეხვავს „ქურუმს“ (ქვრიმას) ვეტყვით, გაცეხვილს — ღომს... ოკულე დოგიბუფან ნჩხვაი I 159_{13} მერე მოხარშავენ ღომის მარცვალს... არ კარდალას ქოდოლობლაფან: ნჩხვაი, ლობია... I 159_{14} ერთ ქვაბში ჩაყრიან: ღომის მარცვალს, ლობიოს... ჩქუ ჩხვარიში ღომუ ბიქოთ II 71_{33} ჩვენ ღომის მარცვლისაგან ვაკეთებთ ღომს (მეგრ. ღუმუში ღუმუ — ღომის ღომი)...

აქედან იწარმოება ზმნა ნ-**ჩხვარ-**უმ-ს (იხ.) -ცეხვავს (ღომს... და მერე: ბრინჯსაც).

ძირეული უნდა იყოს **ჩხვ-**, რომლისაგანაც მიღებულია მეგრ. **ჩხი-** (**ჩხვ-** || **ჩხუ-** → **ჩხი-**): ჩ ხ ი შ ი კაკალი — ღომის მარცვალი.

თავკიდური **ნ-** ფონეტიკური დანართია; **-არ-**(|| **-ირ-** || **-აირ-**)—დეტერმინანტი-სუფიქსია; **ჩხვაირ-** → **ჩხვერ-** მოცემულია მეგრულში. ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

46. ჰან. **კანტ-არ-**ი || **კანტ-ა-**ი სიმინდის კენწერო, „თავთავი“; верхушка кукурузы

მეგრ. —

ქართ. **კენწ-ერ-**ო верхушка дерева

[ლაზუტიქ] სიფთე კ ა ნ ტ ა ი ქიშიმეს I 135_{24} სიმინდს ჯერ თავთავი ამოუვა („ამოიღებს“)... კ ა ნ ტ ა ი-თი ქოჰოიმეს II 60_{25} თავთავიც ამოუვა („ამოიტანს“)...

ძირეული კ ა ნ ტ- უნდა შეესატყვისებოდეს ქართ. **კენწ-**ს (ივარაუდება, რომ ქართულშიც **კანტ-** იყო წინათ და **ტ-**ს გააფრიკატება მეორეული მოვლენაა). **-ერ-** || **-არ-** დეტერმინანტი-სუფიქსია.

მნიშვნელობა საერთო მომენტს შეიცავს, რამდენადაც ერთიცა და მეორეც მცენარის წ ვ ე რ ს აღნიშნავს.

საინტერესოა, რომ გურულში შენახულა ეს ჰანური კ ა ნ ტ ა რ-ი, ოღონდ უ-**ნ**-აროდ, ე. ი. ძველი სახით: **კატარ-**ი (მეგრულში ამავე საგნის აღსანიშნავად იხმარება **პოპორ-**ი, სულ სხვა ძირი).

47. ჰან. **ჭყინტ-**ი ჭყინტლი, (кукуруза) неспозревшая (с молочн. зернами)

მეგრ. **ჭყინტ-უ** ,, ,,

ქართ. **ჭყინტ-ლ-**ი ,,

ჭ ყ ი ნ ტ ი დიყვენ I 135_{26} ჭყინტი გახდება... ჭ ყ ი ნ ტ ი-ნა დიყვას (იქვე) — ჭყინ ჯი რომ გახდება... ვა მუინჭ ს-ში, ჭ ყ ი ნ ტ ი ვუწუმერთ.აღნე-ნა იყვას, მჟა-ნა დიბერტას, მჟიი ჭ ყ ი ნ ტ ი ვუწუმერთ I 136_{18} სანამ არ დამწიფდება, ჭყინტს ვეტყვით. ახალი რომ იქნება, რძე რომ გამოუდის („იღვრება“), „რძიან“ ჭყინტს ვეტყვით...

ჭ ყ ი ნ ტ- ფუძე საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჰანურისათვის. ოღონდ ჰანური კილოკავებიდან მხოლოდ ხოფურში გვაქვს

ეს ფუძე; საფიქრებელია, ქართულიდან იყოს შეთვისებული: **ჰყ-** კომპლექსი ჰანურისთვის უცხოა (**ჰკ-** უნდა მიგვეღო). არქაბულში ამავე მნიშვნელობით **ჭოლო-** იხმარება: იხ. II 60_{26}, 4_{21}, 31_{13}.

ქართულში დეტერმინანტ-სუფიქსად **-ლ-** გვაქვს[1] და ამ უკანასკნელის მორფოლოგიური ეკვივალენტია **-უ-** მეგრულში.

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

48. ჰან. **კურკა** კურკა, ნაქურჩალი, косточка плода, сердцевина кукуруз. початка

მეგრ. —

ქართ. **კურკა** косточка плода

ლობიაში თაზე პარკი, კურკა-ნა ვა უღუტას, იადოლობღაფან დერგულას I 139_{30} ლობიოს ნედლ პარკს, რომელსაც მარცვალი („კურკა") არა აქვს, ყრიან დერგში... ლაზუტიში კურკა ხჩე რენ II 4_{1} სიმინდის ნაქურჩალი თეთრია... ლაზუტი ეშიმენან, სარღას ქოგჲობღამან კურკათე ბარაბერ, კურკა ქოგოშიმენან ხეთე II 61_{3} სიმინდს ამოიღებენ, გობზე დაყრიან ნაქურჩალთან („კურკასთან") ერთად, ნაქურჩალს გამოიღებენ ხელით... „თოფუჲ მუჭო გამომე?" — „კურკაში კოშა მებუმკომამ!" II 82_{5} „თაფლს როგორ გამოიღებ?" — „ნაქურჩალის კვამლს მივაკმევ!"...

ერთი და იგივე ფუძეა ქართულსა და ჰანურში, ოღონდ ჰანურში მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს.

49. ჰან. **ღერ-ო** ‖ **ღერ-ი** ‖ **ღე ი** ღერო, стебель кукур.

მეგრ. **ღერ-ი** ღერი, ცალი, стебель кукур., штука

ქართ. **ღერ-ო** ჩალის ღერი (საბა), стебель кукурузы

სიფთე ღეი დოკოობუფ I 136_{21} ჯერ ღეროს მოაგროვებ... ღეისნა დოსქიდას, ბუტკათე დოპკიუფთ I 136_{38} ღეროზე რომ დარჩება, ფოთლები, იმით შევკრავთ... ღონა ღერი დობკვათი II 31_{7} ყანაში ღეროები („ღერო") დავჭერი... ლაზუტიშ ღერო ოკვათუში რენ-ნა, დოკვათუმან ბერგითე II 59_{29} თუ სიმინდის ღერო მოსაჭრელია, „მოჭრიან" თოხით...

[1] თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივია ჰყინტლ-ი; საბას აქვს ჰყიტ-ლ-ი.

ფუძე ღერ- საერთოა; გვაქვს ღერო ვარიანტიც; -რ-ს დაკარგვა ხმოვანთ შორის გვაძლევს ღეი-ს.

ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

50. ჰან. **ჩალ**-ა — ჩალა, сухой стебель кукурузы
მეგრ. **ნა-ჩალ**-ი — სიმინდის ყანა ჩალის მოჭრის შემდეგ, поле после уборки кукуруз. стеблей
ქართ. **ჩალ**-ა — сухой стебель кукур.

მთუთის ჩალა ქომეჩუ I 44_{22} დათვს ჩალა მისცა... ჩალა ქოდოსქიდუნ; მანგალითენ ჩალა დოპჭკიუფთ I 136_{37} ჩალა დარჩება; ნამგლით ჩალას მოვჭრით... ჩალა ვა იღასენ იხიქ II 4_{22} ჩალა არ წაიღოს ქარმა... ჩალა დოპჭკორი, ...ოხორიშა დობზდი II 31_{14} ჩალა მოვჭერი, შინ („სახლში“) მოვზიდე... ბაგენის ჩალა დო ჩუჩა დო თიფი მოლობღამან II 60_{31} „ბაგენში“ ჩალას, ფუჩეჩსა და ბალახს ყრიან... თუდენი — ჩალა, ჟინი — დიკა II 49_{19} ქვეითი — ბზე („ჩალა“), ზევითი — პური („დიკა“)...

ჰანურსა და მეგრულში ჩალა საერთოა; მეგრულში ახლა ჰა იხმარება ჩალის მნიშვნელობით, მაგრამ ნაწარმოები სახელი ნა-ჩალ-ი — „სიმინდის ყანა ჩალის აღების შემდეგ“ — ცხადყოფს, რომ ჩალა ჰანურის მსგავსად მეგრულშიც გვქონდა (აწინდელი ჰა-ს ნაცვლად).

ძირითადი მნიშვნელობა საერთოა (ჰანურში ჩალა ბზე-საც ნიშნავს!).

51. ჰან. **თას**-ი — თესლი, семя
მეგრ. **თას**-ი — ” ”
ქართ. **თეს-ლ**-ი — ” ”

გეჯდე ოხორჯა მუშიქ თასი დუდუმესს II 5_{24} უკან მისი ცოლი თესავს („თესლსა დებს“)... უკაჩხე თასი ქომეფჩი II 31_{10} მერე დავთესე („თესლი მივეცი“)... თასი შენი ხეშე(რ)ი დიქომან დო ქოგჯოკიდამან სერენთის II 60_{29} სათესლედ („თესლისათვის“) „ხეშერს“ გააკეთებენ და ჩამოკიდებენ სასიმინდეში...

თას- ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელშიც ქართულთან შესატყვისობა ნაწილობრივ არის წარმოდგენილი: ხმოვანი -ა- ზანურ ნორმებს მიყვება, თანხმოვანი -ს- უცვლელად გვაქვს (უნდა ყოფილიყო

-შ-). ზოგჯერ ამგვარი მოვლენები მეორეული ხასიათისაა და ის ქართულის ზეგავლენას მიეწერება. აქ ასეთი მდგომარეობა არ უნდა გვქონდეს.

-ლ- დეტერმინანტი-სუფიქსია ქართულში; მსგავსი სუფიქსი არც მეგრულში გვაქვს, არც ჰანურში.

აღსანიშნავია, რომ ხოფურში თას-ის ნაცვლად ჰკემ-ი იხმარება (ძირი იგივე უნდა იყოს, რაც მეგრ. **წკა-**ში გვაქვს — „კურკა").

52. ჰან. **ღობ-ერ-ი** ‖ **ღობ-ე-ი** ღობე, изгородь
მეგრ. **ღობ-ერ-ი** „ „
ქართ. **ღობ-ე** „

ღ ობ ე რ ი ს გამოთირუ I 101_5 ღობეში გამოძვრა... ოფუტეში ღ ობ ე რ ე ფ ე დოჭუ I 44_{36} ეზოების ღობეები დაწვა... ღ ო ბ ე (რ) ი დობღობი II 105_{22} ღობე გავაკეთე („დავღობე")... ღ ო ბ ე რ ი დიეუ II 115_{32} ღობე „შეიქნა"... ღ ო ბ ე ი ს ჯეხთუ I 26_{21} ღობეზე ავიდა...

ეს სახელი წარმოშობით მიმღეობას არ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა აგებულება საამისო აქვს: **-ერ-** ნამყო დროის მიმღეობის ნიშანია ჰანურში; მაგრამ თუ ღ ო ბ ე რ- მიმღეობად იქნება მიჩნეული, მაშინ ქართულშიც ამგვარი წარმოება გამოგვივა, რაიც ქართულს არ შეეფერება, არადა ქართული ბოლოკიდური **-ე** სხვა წარმოშობისად უნდა ვცნოთ (და არა **-ე←-ერ-**); ეს კი საძნელოა.

უფრო მართებული იქნებოდა ამიტომ **ღობ-** ძირთან **-ერ-** დეტერმინანტ-სუფიქსად ჩაგვეთვალა; მაშინ ქართულში ამ სუფიქსის თანხმოვან-მოკვეცილი სახეობა გვექნებოდა.

ყოველ შემთხვევაში ძირეული **ღობ-** საერთოა შესადარებელი ერთეულებისათვის. მნიშვნელობის მხრივაც სხვაობას ადგილი არა აქვს.

53. ჰან. **მასარ-ი** სარი, кол
მეგრ. **მასარ-ი** „ „
ქართ. **მესერ-ი** частокол

მ ა ს ა რ ი დობკონი, ჰეფხე ქობოლოკორი, დიეუ ღობერი II 72_{27} სარები დავასე, წნელი „გადავაკარი", შეიქნა ღობე...

ხმოვნების მიხედვით ეს ფუძე მ ა ს ა რ- შეესატყვისება მ ე ს ე რ-ს; თანხმოვნის მიხედვით კი — არა: **-ს-** უცვლელად რჩება (იხ. თ ა ს-ი). მაინც ცხადია, რომ მ ა ს ა რ- || მ ე ს ე რ- დიფერენცირებული ერთი და იგივე ფუძეა.

მნიშვნელობის მხრივ მცირეოდენი სხვაობაა: ჭანურ მ ა ს ა რ-ში თუ ცალკეული სარი იგულისხმება, ქართული მ ე ს ე რ-ი — ამ „სარების ღობეს“ გულისხმობს.

54. ჭან. **ო-ნტ-ულ-ე** ბოსტანი, огород
მეგრ. **ო-რტ-ვინ-ი || ო-რტ-ილ-ი || ო-რტ-ინ-ი** „ „
ჭართ. **მტ-ილ-ი** „ბოსტანი“ (ს ა ბ ა) „
სვან. **ლე-რტ-Ემ** მწვანილი, зелень

ო ნ ტ უ ლ ე ს იყვენ: ლუყუ, სოტოლია, მტკუი ფატიჯახი, შინაური ფატიჯანი, ...პრასკია, ბულეკი... I 139_{16} ბოსტანში არის ხოლმე („იქნება“): კომბოსტო, წითელი მხალი, ველური („ტყიური“) ბადრიჯანი, შინაური ბადრიჯანი, ...პრასა, ბოლოკი... ო ნ ტ უ ლ ე სთი თუთუნი ვარ მატახუ II 84_2 ბოსტანშიც თამბაქო ვერ შევტეხე...

მტ-ილ- || -ნტ-ულ- || -რტ-ინ- || -რტ-ილ- ერთი და იგივე ფუძეა; განსხვავებას ქმნის თავკიდური **მ- || ნ- || რ-**ს მონაცვლეობა, — რაიც ჩვეულებრივია ქართულში, ჭანურსა და მეგრულში, — და **-ილ- || -ულ- || -ინ-** სუფიქსთა გამოყენება სხვადასხვა ვარიანტში; ეს ნაწილობრივ ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიიღება (**-ულ-** → **-ილ-**), ნაწილობრივ იმავე ფუნქციის მქონე სხვა სუფიქსის გამოყენებას წარმოადგენს (**ინ-**).

უფრო არსებითია **ო-** თავსართი ჭანურსა (და მეგრულში) და **-ე** ბოლოსართი, რის მიხედვითაც უნდა დაგვესკვნა, რომ **ო ნ ტ-ულ-ე** „ს ა მ ტ ი ლ ე“-ს ნიშნაცდა, მ ტ ი ლ ი კიდევ მ წ ვ ა ნ ი ლ ს („ბოსტნის“ აღმნიშვნელად მერე იქცა).

მაგრამ სვ ნ. **ლე-რტ-Ემ-**ში, რომელიც იმავე ძირს შეიცავს და მწვანილს აღნიშნავს, **ლე-** თავსართი გვაქვს. მაშასადამე, ეს **ლე-** და ჭან.-მეგრ. **ო-** ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი გამოდის (და არა დანიშნულების მაჩვენებელი პრეფიქსი). ქართულს ეს თავსართი არ შემოუნახავს.

ო ნ ტ უ ლ ე-ს ნაცვლად არქაბელები გ ე თ ა ს უ ლ ე ს ხმარობენ (იხ. II 72_{23}); „გ ე თ ა ს უ ლ ე“ — „ზეთესილს“ ნიშნავს.

ონტულე || მტილ- || ორტვინ-ის ურთიერთობა გარკვეული აქვს ივ. ჯავახიშვილს (იხ. საქართ. ეკონ. ისტ., II, 98—100); მდელოსთან ამ ძირის დაკავშირება საეჭვოა.

55. ჰან. **ყო-ყორ-ე || ო-ჲორ-ე || ჭორ-ე || ორ-ე** — გოგრა, კვახი, тыква

მეგრ. **ყო-ყორ-ე** — გოგრის ჯიში, вид тыквы

ქართ. **ყარ-ყარ-ა** „სარწყული, სმაში კმის მიმცემელი“ (საბა), „посуда с узким горлом для питья“

სვან. **ა-ყᲐრ** — გოგრა, тыква

ჭორე რენ II 70_1 გოგრაა... გეთასულეს ივენ: ...ჭორე II 72_{24} ბოსტანში არის ხოლმე:.. გოგრა... ჩქუ ორე პჭვითა-ჲა II 56_{13} ჩვენ გოგრა შევწვითო...

ყოყორე — ხოფურია, ჭორე || ორე — არქაბულსა და ათინურში გვაქვს.

როგორც ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავს, ჰან. ყო-ყორე ყორ-ყორე-სგან უნდა მომდინარეობდეს და ქართ. ყარ-ყარა-ს უნდა უკავშირდებოდეს; სვან. ა-ყᲐრ-იც იმავე ყარ-ს უნდა შეიცავდეს (ყარ-ყარ- გაორკეცებული ფუძეა); იხ. საქართ. ეკონომ. ისტ., II, გვ. 273.

მეგრულში ეგევე ყოყორე გოგრის ერთ-ერთი სახის ატრიბუტია: ყოყორე კოპეშია — რბილ, წყალ-წყალა გოგრაზე ითქმის; ეს გამოთქმა შედგენილობით იმერ. ყარყარა-კვახ-ის („მწარე კვახი“, „აყირო“) სრული ანალოგონია, თუმცა მნიშვნელობა სხვა აქვს.

56. ჰან. **ქერ-ი** — ქერი, ячмень

მეგრ. **ქერ-ი** — „ „

ქართ. **ქერ-ი** — „

ნ. მარს ეს სიტყვა ხოფურსა და არქაბულზე მითითებით მოჰყავს; ვიწეში სიტყვა უცნობიაო, ათინურშიც მთქმელი მას კერი-ს სახით იცნობს, თუმცა თვით ამ მთქმელს ეს ეეჰვებაო. ი. ყიფშიძეს ჩხალურში დადასტურებული აქვს ქერი: ჰამ ოფუტეს იჩანენ ლაზუტი, დიკა, ქერი... იხ. „დამატ. ცნობები“, გვ. 9_7—ამ კუთხეში (რაიონში) ხარობს („ცენობს“) სიმინდი, პური (დიკა), ქერი...

შენოზები... სამუშაო იარაღები... ჯურჯლეულობა... საბმელები... ტანისამოსი...

1. ოფუტე
2. ოხორ-ი
3. ბაღუ
4. ფაცხა
5. ოხვამე, ოხვამუ, ოხვამბე
6. მსქიბუ, ფსქიბუ
7. ბერ-ი
8. კოდა, კიდა
9. ნეკნა, ნეკლა, ნეკრა, ეკნა
10. ჰერ-ი, ჰე-ი
11. კერა, კირა
12. დიშქა, დიშკა
13. ნოხაპულე
14. დაჩხურ-ი, დაჩხირ-ი
15. ნოპიწკალე
16. ნოკანჩხულე
17. ნოცინცხალე
18. ნოშქერ-ი
19. ტუტა
20. კომა
21. წოლა, მწოლა, ნწოლა
22. ორძო, ორზო, ორძუ
23. არგუნ-ი
24. ბურჰულ-ი
25. ლემშ-ი
26. ბერგ-ი, ბერჯ-ი
27. ბუცხ-ი
28. ფაცხ-ი
29. ოვლე
30. ონჩამურე, ონჩამუე
31. კალათ-ი
32. გუდა
33. თოკ-ი, თოჭ-ი,
34. კარდალა
35. წუკალ-ი
36. კორზა, კირზა
37. ხამ-ი
38. კუზ-ი, კიზ-ი
39. სარღა, სალრა
40. ონცორუ, ონცირუ
41. ფქვერ-ი, მქვერ-ი
42. გჯარ-ი, გჯა-ი, ჯარ-ი
43. ბურლულ-ი
44. მჭკუდ-ი
45. ღომუ
46. ქოვალ-ი, ქუვალ-ი
47. ცომ-ი
48. ჯუმუ, ნ-ჯუმუ
49. ჯუმორ-ი, ჯუმო-ი
50. დოლოქუნუ
51. ფორჩა
52. კურთა
53. ქუდ-ი
54. ოტკაფუ
55. მაწკინდ-ი, მაწინდ-ი
56. ოცხოჯ-ი, ონცხოჯ-ი, ოცხეჯ-ი

1. ჰან. **ო-ფუტ-ე** ადგილი სახლის გარშემო, ეზო (საწვეთურს იქით ადგილი M); რაიონი K; место вокруг дома, за линией стекания капель с крыши дома; двор; участок, округ, район.

მეგრ. —

ქართ. **ფუტ-ი** „ავი კვამლი“ (საბა), дым едкий

ო ფ უ ტ ე ს ე-ნა უღუტუ შეი, მთელი დოჭუ I 43_9 ეზოში რაც კი რამ ჰქონდა, სულ დაწვა... ჰამ ო ფ უ ტ ე ს მურღული ჯოხონს. მურღულის ეჩი დო ჩხორო ქჲოი რენ: ი. ყიფშიძე, „დამატ. ცნობ.“, გვ. 9—ამ კუთხეს (რაიონს) მურღული ჰქვია; მურღულში ოცდა ცხრა სოფელია... ჯამეშ ო ფ უ ტ ე ს ოხორი გიკიდეს-ი, ბაბა-ჩქიმი-ა? II 141_{10} (ხოფ.) ჯამეს ეზოში სახლი აგიგეს (ბინა მოგცეს, დაგასაფლავეს), მამა-ჩემოო?..

ო ფ უ ტ ე ფ უ ტ-ისაგანაა ნაწარმოები; ფ უ ტ ი ს ა ბ ა ს განმარტებით „ავი კვამლია“; გურიაში ეს სიტყვა იხმარება კვამლისათვის საერთოდ. ამისდა მიხედვით ო ფ უ ტ ე-ს პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ადგილი სახლის გარშემო, ეზო“, როგორც ამას ნ. მ ა რ ი აღნიშნავს (ჰან. გრამ., გვ 195); კუთხის, რაიონის აღნიშვნა მნიშვნელობის ცვლის შედეგად უნდა მიგვეღო...

2. ჰან. **ო-ხ-ორ-ი** || **ო-ხ-ო-ი** სახლი, дом

მეგრ. **ო-ხ-ორ-** „ „

ქართ. **სა-ხ-ლ-ი** „

არ ო ხ ო რ ი დოპკოდი II 24_8 ერთი სახლი ავაგე... ო ხ ო რ ი პკოდი ჟურ ოდათე II 52_4 სახლი ავაგე ოროთახიანი... ო ხ ო ი... ულუნან II 89_{25} სახლი აქვთ... ო ხ ო ი შ ოკიდუ გუის მიღუტუ I 145_2 სახლის აგება გულში მჭონდა... არ ო ხ ო რ ი ს მუკო ჯა უნონ? I 145_4 ერთ სახლს რამდენი ხე უნდა?... ჰექ ო ხ ო რ ა მ ტ უ II 54_{11} იქ სახლობდა...

ძირეულია **-ხ-**; **-ლ-** ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსი ჩანს; მას შეესაბამება **-ორ-** ჭანურსა (და მეგრულში). **სა-** თავსართი ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია. (დანიშნულების მაჩვენებელი რომ

იყოს, სათანადო ბოლოსართიც გვექნებოდა: შდრ. ს ა - ქ ა თ მ - ე, ს ა - კ ა - ც - ე, ს ა - ხ რ - ე...); ჰანურში ეს თავსართი **ო**-თია გადმოცემული; ალბათ, **ჰო**- იყო და **ჰ**- დაიკარგა (ნ. მ ა რ ი **შო**-ს ვარაუდობდა, მაგრამ მაშინ გაუგებარია **შ**-ს დაკარგვა; ყოველ შემთხვევაში იმ გზით, რომელიც ნ. მ ა რ ს აქვს ნაჩვენები, **შ**-ს დაკარგვა (**შ → ჳ → 0**) ვერ დასაბუთდება).

მეგრულში ამჟამად სახლის მნიშვნელობით ჯუდ-ე იხმარება (შდრ. ქართ. ყუდ- || ყუდ-ე: **ქვა-ყუდ-ე**, — სოფლის სახელი საჯვეახოს მახლობლად); მაგრამ ნასახელარ ზმნაში ო ხ ო რ-ან-ს და აქედან ნაწარმოებ სახელებში მ ა - ხ ო რ-ო—„მოსახლე“, ნ ო-ხორ-ი — „ნამოსახლევი“, „ნასახლარი“, ო-ხორ-უ — სამოსახლო ადგილი... — ეს ფუძე დღესაც ხმარებაშია; ძველი-სენაკის თემში არის ადგილი ქ ვ ა შ ი-ო ხ ო რ ი, რაც „ქვის სახლს“ ნიშნავს (შდრ. „ქვა-ყუდე“).

ო ხ ო რ- შედის კომპოზიტებში: **ოხორ-ჯა** || **ოხორ-ძა** (იხ.), **ოხორა-სკირ-ი** (იხ.), **ოხორ-ასულე** (იხ.), **ოხორ-ჭკჳრა** — დიასახლისი („სახლის ქალბატონი“), **ოხორ-მანჯე** — სახლის პატრონი (შდრ. მეგრ. **მინჯე** — პატრონი).

3. ჰან. **ბაღ-უ** ბეღელი, амбар
მეგრ. **ბაღ-უ** „ „
ქართ. **ბეღ ელ-ი** „

არ ჩქვა ბ ა ღ უ უწუმელან, ოთხო კითიშ მაპეჯანა ფიცარიში იქიფან. ...ბ ა ღ უს დოლოხე სუმ-ოთხო თოლი ხარო აყვენ: ...არის ლაზუტი დოლობღაფან, მაჟუანის — ლობია, მასუმანის — ბრინჯი, ქურუმი... I $148_{23,25,27}$ ერთს კიდევ ბეღელს ეტყვიან, ოთხი თითის სისქე ფიცრისას აკეთებენ... ბეღელს შიგნით სამი-ოთხი თვალი „ხარო“ ექნება: ...ერთში სიმინდს ყრიან, მეორეში — ლობიოს, მესამეში — ბრინჯს, ღომს... ბ ა ღ უს ქომოლობღეს [სოღანი] II 49_{13} ბეღელში ჩაყარეს [ხახვი]...

ბეღ- ძირი კანონზომიერად არის წარმოდგენილი **ბაღ**-ით ჰანურსა და მეგრულში; **-ელ**- დეტერმინანტი-სუფიქსია, მისი მორფოლოგიური შესატყვისია **-უ**- ჰანურსა და მეგრულში. ამ უკანასკნელში **-ილ**- სუფიქსიც უნდა გვქონოდა, როგორც ეს ჩანს ო-**ბაღ-ილ**-ე სახელიდან (იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ. გრამ., ლექსიკ., გვ. 201—202): „საბეღლე“ გოდორი, გოდრი, რომლითაც ბეღელში ეზიდებიან სიმინდს.

ბაღუ-ს და **ბეღელ**-ის მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

4. ჰან.	**ფაცხა**	ფაცხა, საბუდარი ქათმისა, хата-плетенка, гнездо кур.
მეგრ.	**ფაცხა**	,, —
ქართ.	**ფაცხა**	,, —

კოჩი ზენგინი დივუ. ღობეიში ოხოი, ფაცხა-ნა უღუტუ, მორდერი კონაღი დოწიფხუ II 92_{12} კაცი გამდიდრდა („მდიდარი შეიქნა"). მოღობილი სახლი („ღობის სახლი"), ფაცხა რომ ჰქონდა, დიდი სასახლე ააშენა... არ ფაცხა დოპკოდი II 24_{23} ერთი ფაცხა გავაკეთე („ავაგე")... მზოღაშ ქენარის ბუტკაში ფაცხა დოვუ დო ქომეშახედუ II 43_{13} ზღვის ნაპირას ფოთლების ფაცხა გააკეთა და შიგ შევიდა („დაჯდა") ... ეკულე დიმონჭვენ. ფაცხა დიქიფან... ეჩ-ეჩდოვითი მარქვალი ქეწუდუმელან I 164_7 მერე აკრუხდება. საბუდარს გააკეთებენ... ოც-ოცდაათ კვერცხს დაუდებენ („შეუდებენ")...

ეს სიტყვა საერთოა; ძირითადი მნიშვნელობაც ერთი და იგივე აქვს; ჰანურში ეს მნიშვნელობა უფრო ფართოა: აღნიშნავს „ქათმის საბუდარსაც".

ნ. მარს „ფაცხა" განმარტებული აქვს, როგორც „მოღობილი — ფოთლების შესაგროვებლად [1]; გალია — ქათმებისათვის; ხოფაში — საბუდარი"... (იხ. ჰან. გრ., გვ. 193).

ზევით მოყვანილი ადგილები ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ ფაცხა მეგრული და ქართული გაგებითაც ჩვეულებრივია ჰანურში (კერძოდ, არქაბულში).

5. ჰან.	**ო-ხვამ-ე** ‖ **ო-ხვამ-უ** ‖ „**ო-ხვამბ-ე**" M	ეკლესია, „სალოცავი", церковь, „молельня"
მეგრ.	**ო-ხვამ-ე**	,, ,,
ქართ.	—	
სვან.	**ლა-კუშ**	,,

ადა სირთიშ ჟინ ოხვამუ რტუ I 115_{18} ამ გორაკზე ეკლესია იყო... ლიმანიში ოკაჩხე-ნა სირთი რენ, ჯუქსელი სირთი, ემუს ოხვამე უწუმელან I 114_{22} ლიმანის უკან რომ გორაკია, მა-

[1] შდრ. მეგრ. ფეცხანია (ამავე მნიშვნელობისა).

ღალი გორა, იმას „ოხვამე“-ს ეძახიან... ოხვაწეშ ხვამა იყვენ II 145_{10} (ხოფ.) ეკლესიის ლოცვა იქნება... ოხვამე კათთა ჯეის ქორენ [ლაზისტანის] II 77_{16} ეკლესიის ნანგრევები („ეკლესია“) ყველგან არის ჰანეთში...

ეს სიტყვა ნაზმნარი სახელია — მიმღეობაა მყოფადი დროისა (იხ. **ხვ-ამ-** ზმნებში). ქართული შესატყვისი ძირი არა ჩანს; მეგრულში იგივე **ხვ-ამ-** არის. ოხვამე უნდა იყოს წარმართობის დროინდელი ტერმინი.

ნ. ჰან. **მ-სჭიბ-უ** ‖ **ფ-სჭიბ-უ** წისქვილი, мельница
მეგრ. **სჭიბ-უ** წისქვილის ქვა, мельничн. жернов
ქართ. **შიბ-ი** ფენა ქვისა, пласт камня

მსჭიბუ დოყვეს სირთის კუკუცის I 119_{8} წისქვილი გააკეთეს გორაკის წვერზე... ნანა, აწი მუჰო ვიდა მსჭიბუშა? I 105_{11} დედა, ახლა როგორ წავიდე წისქვილში?... ეკულე ეჩ ოკა, ეჩდოვით ოკა მსჭიბუს გებდუმერთ დო ვომქვაფაფთ I 136_{12} შემდეგ ოც ოყას, ოცდაათ ოყას წისქვილს დავუდებთ და დავაფქვევინებთ...

ვიწე-არქაბესა და ათინაში წისქვილის აღსანიშნავად ქარმატე/ი იხმარება: ჰანდღა მა ქარმატეშე მენდაფთი II 55_{34} დღეს მე წისქვილში წავედი... ქარმატიშა მენდებიღი II 116_{13} წისქვილში წავიღე... არ ქარმატეს არ დერემენჯი ქოხეტუ II 95_{13} ერთ წისქვილში ერთი მეწისქვილე იყო („იჯდა“)...

ქარმატე რთული ფუძეა და „ქარი“ და „ცემა“, „მოხვედრა“ ფუძეთაგან შედგება.

ცხადია, ეს „ქარის წისქვილის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. სად? საეჭვოა, ჰანთა ახლანდელ მიწა-წყალზე; ახლა აქ მხოლოდ წყლის წისქვილებია.

ხოფურში ხმარებული **მ-სჭიბ-უ** იგივეა, რაც მეგრ. **სჭიბ-უ** (**-უ-** დეტერმინანტი-სუფიქსია). ქართულში ის კანონზომიერად შეესატყვისება **შიბ-ს: შიბ-ი** ფენაა ქვისა, კლდისა: „მოყმემა პირ-შიშველამა შიბნ გაიარნა კლდისანი“ (იხ. ქართ. საენათმეცნ. საზოგად. წელიწდეული I, 1925, ხევსურული მასალები ბეს. გაბუურისა აკ. შანიძის რედაქციით, გვ. 241_{11}).

სემასიოლოგიური კავშირი ამ სიტყვებს შორის ბუნებრივია: ფენოვანი ქვისა კეთდება სჭიბუ, ე. ი. წისქვილის ქვა; იმავე დროს

სქიბუ არსებითი ნაწილია წისქვილისა; არც ისე შორეულ წარსულში სამეგრელოში აქა-იქ კიდევ იხმარებოდა ხეში-სქიბუ, ხელით სატრიალებელი წისქვილის ქვა (პატარა), რაიც საშინაო წისქვილის როლს ასრულებდა.

არქაბულში წისქვილის ქვას (მეგრ. სქიბუ) მარტივად „ქვა“ ეწოდება II $58_{16,18,19}$, 61_{7}.

7. ჰან. **ბერ**-ი ცხვრის საწველელი, постройка или же приспособление, где доят овец

მეგრ. —

ქართ. **ბერ**-ა огороженное место, где доят овец

მჩხუიში ოხორის ბერი უწუმელან: ონჭვალუში ბერიშა ნიყონოფან, თითო თანე ნჭვალუფან, ნაშქუმელან I 149_{5} ცხვრის ბინას („სახლს“) ბერას ეტყვიან: მოსაწველად ბერაში მიყავთ, თითო-თითოს წველიან, გაუშვებენ...

შდრ. საბა: **ბერა**—შუა გასავლელი (ორთავე მკარეთა გაჰკრვენ და საშუალ კართა რასამე უყოფენ მეწუელთა ცხოვართა გასატარებლად გინა სხვსა რაჲსამესთჳს).

ცხადია, რომ ეს ერთი და იგივე სიტყვაა: აგებულებაცა და მნიშვნელობაც ამას ცხადყოფს.

მეგრულში ეს სიტყვა ცნობილი არაა.

8. ჰან. „**კოდ**-ა“M ‖ **კიდ**-ა კედელი, стена

მეგრ. **კიდ**-ა ‖ **კიდ-ალ-ა** ,, ,,

‖ **კგდ**-ა ‖ **კგდ-ალ-ა**

ქართ. **კედ-ელ**-ი ,,

ეკულე [ტკების] მჟორაშკელენი **კიდ**ას ოხორის ქონოჭკადაფან I 165_{17} მერე [ტყავს] მზე რომ ადგება, ისეთ კედელზე სახლისა („სახლზე“) მიაჭედავენ...

აქედან უნდა იყოს ნაწარმოები **კოდ**-უმ-ს ‖ **კიდ**-უფ-ს—„აგებს“, (სახლს), სიტყვა-სიტყვით: „კედლავს“, „კედელს აგებს“.

მეგრული **კიდ**-ა ‖ **კიდ-ალ**-ა გვიჩვენებს, რომ ჰანურშიც ბოლოკიდური **-ა -ალ-** დეტერმინანტი-სუფიქსის ნარჩენია; ქართულში მას

-ელ- შეესატყვისება; **კოდ-** საფუძვლად უდევს **კიდ-** ფუძეს. ჭან. **კოდ-** და ქართ. **კედ-** ერთმანეთთან კავშირშია. ხმოვანთა საკითხია გასარკვევი: ქართ. **ე**-ს ჭანურში **ო-** არ შეესაბამება. ამიტომ საფიქრებელია, რომ **-ოდ-** || **-ედ-** სუფიქსებია; ისინი ერთმანეთს ფუნქციონალურად (და არა ფონეტიკურად) შეესატყვისებიან.

9. ჭან. **ნე-კნ-ა** || **ნე-კლ-ა** || **ნე-კრ-ა** || „**ე-კნ-ა**“M კარი, дверь
მეგრ. **კარ-ი** ,, ,,
ქართ. **კარ-ი** ,,
სვან. **ყორ** (?) ,, ,,

ფურუნიში ნეკნა ჟილენდო ტუკონ-ნა, კაი ტუ I 6_2 ფურნის კარი ზევითკენ რომ ყოფილიყო, კაი იქნებოდა („იყო“)... ოდაში ნეკნა გენკოლით! II 63_{15} ოთახის კარი დაკეტე!.. სუმ ნეკნა უღუტუ II 53_5 სამი კარი ჰქონდა... ჰიმ დორა ნეკლა გოგინწარე II 118_{26} მაშინ კარს გაგიღებ... ნეკლა გუნწუ II 118_{30} კარი გაუღო... ნეკლა გინკოლარე II 120_{31} კარს დაგიკეტავ... ნეკლა ჯუნკოლუ II 120_{32} კარი დაუკეტა... ნეკრა ცამიტუ-შა, დივი ოწედუ-სი... II 122_{21} სანამ კარში შემოვიდოდა, დევმა შეხედა, რომ... ნეკრა თქვას II 125_{15} კარი იტყვის („თქვას“)... ნეკრა ოზიტუ ქოგჯოჭუ II 125_{19} კარმა ლაპარაკი დაიწყო... ნეკრა გონწუ II 136_1 კარი გააღო...

ნეკნა გაბატონებული ვარიანტია ჭანურის ყველა კილოკავში, მაგრამ ის არ არის ერთად ერთი: ათინურ ტექსტებში დადასტურებულია ნეკლა და ნეკრა... (ნ. მარს მხოლოდ ეკნა და ნეკნა მოჰყავს; იხ. ჭან. გრამ., გვ. 156: **ე-კნა**).

ძირეული აქ **კრ-** || **კლ-** || **კნ-** უნდა იყოს; **-ა-** სუფიქსის დართვისას ძირეული ხმოვანი, — ალბათ **-ა-**, — დაკარგულია. **ნე-** || **ე-** თავსართი ნივთის კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს (შდრ. **ნე-წა** ჭან. და **ე-ნა** ქართ.).

რაც შეეხება ძირეულ მასალას, რომელიც ზემოხსენებულ ცვლილებათა გათვალისწინებით შეიძლება აღვადგინოთ, — **კან-** || **კალ-** || **კარ-**, ამათგან უკანასკნელი ხვდება მეგრულსა და ქართულს; პირველი ორი ვარიანტი დეტერმინანტი-სუფიქსებით განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან; შდრ. **კ-ან-** || **კ-ალ-** || **კ-არ-**...

10. ჰან. **ჰერ-ი** ‖ **ჰე-ი** ჰერი, потолок (из круглых балок)
მეგრ. —
ქართ. **ჰერ-ი** потолок

ხოჯი ჰ ე რ ი შ ა ჯონჭაპტერენან: ჯუმუ ოჩამუშენი II 22_{3} ხარი ჰერში აჰყავდათ თურმე: მარილის საჰმევად... ჰ ე რ ი შ ა ქიღეს I 22_{13} ჰერში აიტანეს... ხურმა ...ოხოის ჰ ე ი ს გევობლაფთ I 158_{28} ხურმას სახლში ჰერზე დავყრით... კერემული ჰ ე რ ი ს გოწობუნ II 73_{29} ჯაჰვი[1] ჰერზე კიდია... ჰ ე ჲ ს ქომეშობლამან II 80_{17} ჰერზე შეყრიან...

ჰ ე ი ‖ ჰ ე ჲ მიღებულია ხმოვანთ შორის **რ**-ს დაკარგვით ჰ ე რ--ისგ-ნ. ეს უკანასკნელი ხვდება აგებულებითაც, მნიშვნელობითაც ქართ. ჰ ე რ-ს.

მეგრულში ეს ფუძე არაა ცნობილი.

11. ჰან. **კერ-ა** ‖ **კირ-ა** კერა, очаг, камень у очага
მეგრ. **კერ-ი-ე** ,, ,, ,,
ქართ. **კერ-ა** „მუგუზლის თავის დასადები“ (ს ა ბ ა), ,,

ოდაჩხურეს კ ე რ ა გოლაძინ. კ ე რ ა მჩირე რენ II 73_{28} საცეცხლეში კერა ძევს. კერა ფართოა... დაჩხურიშენ გრესთა გეღარე დო კ ე რ ა ს გელადგარე II 26_{26} ცეცხლიდან კეცს გადმოიღებ და კერაზე ჩამოდგამ... დაჩხიი-ნა ოგზაფან ჲერის, კ ი რ ა ქოგოლაბდვი, ხასი ქვაში კ ი რ ა... კ ი რ ა შ ი ოკაჩხე ქვაში ოკიცალე ძინ: მჭკიი-ნა გ ე დვან, კიცი კ ი რ ა ს ქოდოდგიფან I 147_{27-29} იმ ადგილას, სადაც ცეცხლს ანთებენ, კერა ჩამოვდევი, რბილი ქვის კერა... კერის უკან ქვის საკეცე ძევს: მჭადს რომ დააკრავენ („დადებენ“), კეცს კერაზე დგამენ... ოხორი დო კ ი რ ა სქანი მის ნუშქვი? II 139_{6} შენი სახლი და კერა ვის დაუტოვე? (ხოფ.)...

კ ი რ ა მიღებულია კ ე რ ა-საგან; ეს იგივეა, რაც ქართული კ ე რ ა; მეგრ. კ ე რ-ი ე-ში[2] იგივე **კერ-** მეორდება: **კერ-** საერთოა ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის.

---

[1] იგულისხმება ჯაჰვი, რომელიც შუაცეცხლზე კიდია (მეგრ. **ნაჰა**).

[2] იმერულშიც იხმარება კ ე რ ი ე-ს მსგავსი ვარიანტი: კ ე რ ი ა.

12. ჭან. **დი-შჭ-ა** || **დი-შკ-ა** შეშა, ხე (მერქანი), дрова, древесина
მეგრ. **დი-შჭ-ა** ,, — ,,
ქართ. **შე-შა** ,,

ჯაფე დოკვათეს დო დიშქა დოყვეს I 76_2 ხეები მოჰრეს და შეშა დაამზადეს („ქმნეს“)... ხოპე დემიიში ენ, ხე დიშქაში ულუნ I 144_{26} „ხოპე“ (ნიჩაბი) რკინისაა, ხელი ხისა აქვს... დიშქა ხაზირომან II 60_{18} შეშას ამზადებენ... დაღიშე მენდახთუ დიშქაშე II 48_6 ტყეში წავიდა შეშისთვის... დიშკაში საპი მოდუმელან II 60_2 ხის ტარს აგებენ... ღობერი ჰაშო ბიქუმთ: დიშქალეფე (|| სტოლბაფე) ქოდვოცონარ II 115_{31} ღობეს ასე ვაკეთებთ: სარებს დავარჭობთ...

ფუძის სრული სახეა დიშქალ- || დიშკალ-; ძირეულია **-შჭ-** || **-შკ-** — ქართული **-შ-**ს შესატყვისი. **-ალ-** დეტერმინანტი-სუფიქსია: **დი-** თავსართი ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია; ის ფუნქციონალურად შეესაბამება ქართულ **შე-** ← **ხე-**ს (შდრ. **ს ი - ს ხ - ლ - ი** და **დ ი - ც ხ - ი რ - ი**).

დიშკა დიშქა-საგანაა მიღებული.

13. ჭან. **ნო-ხაპ-ულ-ე** ნაფოტი, щепка
მეგრ. **ნა-ხაფ-ულ-ი** ,, ,,
ქართ. —

არ ნოხაპულე მეკოჯინამან დო ტოროჯი ემკუთუნ II 85_4 (ერთს) ნაფოტს ესვრიან და მტრედი დაფრთხება („შეკრთება“)...

იგივე ფუძეა, რაც მეგრულში გვაქვს, ოღონდ ძირეული **ხაფ-** მეგრულისა აქ **ხაპ-**ით არის წარმოდგენილი (მეორეულია!), **ნა-** თავსართი ზანური **ნო-** ვარიანტის სახითაა ჭანურში მოცემული; სახელობითის დაბოლოება **ე-**ც ზანურია.

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

ქართულში სათანადო ფუძე არა ჩანს.

14. ჰან. **და-ჩხ-ურ-ი** ‖ **და-ჩხ-ირ-ი** ‖ **და-ჩ'ა-ირ-ი** ცეცხლი, огонь
მეგრ. **და-ჩხ-ირ-ი** ,, ,,
ქართ. **ცე-ცხ-ლ-ი** ,, ,,

დაჩხური მოგიღარე-ჯა II 34_{32} ცეცხლს მოგიტანო... დაჩხური ოგზარე II 26_{23} ცეცხლს დაანთებ... ჰაჯა იგზალუ დაჩხურიშა II 34_{33} ეს წავიდა ცეცხლისათვის... ა მენდრა ჯეის ა დაჩხუი ქოძიეს I 34_{29} შორს („ერთ შორ ადგილას“) ერთი ცეცხლი ნახეს... მეჩუნწვი დაჩხირი II 31_{8} მოვუკიდე ცეცხლი... ნე დაჩხირიშ ოტიბინუშ ჯერი რენ I 21_{14} არც ცეცხლზე გასათბობი ადგილი არის... დიდი დაჩხირი ქოდოგზუ I 63_{31} დიდი ცეცხლი დაანთო... ქოგედგიფან დაჩხიის დო იგიბენ I 142_{30} შედგმენ ცეცხლზე და იხარშება...

ქართულში ძირეულია **-ცხ-**; იგი კანონზომიერადაა გადმოცემული **-ჩხ-**თი ჰანურსა და მეგრულში. **-ლ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; მას შეესაბამება—მორფოლოგიურად — **-ურ-** ჰანურში; **-ურ-→ -ირ-**: **დაჩხ-ურ-→ დაჩხ-ირ-**; ეს ვარიანტი წარმოდგენილია მეგრულში; ხმოვანთა შორის **-რ-**ს დაკარგვა გვაძლევს დაჩხი-ი-ს...

თავკიდური **ცე-** მიღებულია **ხე-**საგან და წივთის კატეგორიის მაჩვენებელია; **ხე-**ს ფუნქციონალური შესატყვისია **და-** ჰანურსა და მეგრულში.

15. ჰან. **ნო-პიწკ-ალ-ე** ‖ „**ნო-პინწკ-ალ-ე**“ M ანაგლეჯი, ხიწვი, ნაპერწკალი, осколки, искры
მეგრ. —
ქართ. **ნა-პერწკ-ალ-ი** искры

კიბირის მუთხანი ქოდოლომოსქუდუ, ნოპიწკალეთე ეშებიღარე II 74_{28} კბილში რაღაც ჩამრჩა, ხიწვით (საჩიჩქნით) ამოვიღებ...

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ნოპიწკალე საერთოდ ანაგლეჯს ნიშნავს და არა მხოლოდ ცეცხლის ნაპერწკალს.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობითაც იხმარება ეს სიტყვა არქაბულსა და ხოფურში (იხ. ნ. მარი, ჰან. გრამ., გვ. 179). ნ. მარს აქ ნოპი**ნ**წკალე მოჰყავს; **წ**-ს წინ **ნ**- განვითარებულია.

მეგრულში ეს ფუძე ცნობილი არაა.

16. ჰან. **ნო-კა-ნჩხ-ულ-ე** მუგუზალი, головня горящая
მეგრ. **ნა-კვა-ჩხ-ირ-ი** ,, ,,
ქართ. **ნა-კვერ-ცხ-ალ-ი** раскаленные уголья

დაჩხუის მედვინეი ნოკანჩხულე ენ. ჰეშო დიშქა ივენ. ნოკანჩხულე გეჩა-შ-კულე, ნოცინცხალე დიბღასენ II 73_{24} ცეცხლმოკიდებული — მუგუზალი იქნება. ისე შეშა იქნება. მუგუზალი რომ დაკრა, ნაპერწკლები დაცვივა...

ძირეული **კანჩხ**-ის მეგრ. **კვაჩხ**-თან და ქართ. **კვერცხ**-თან შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ქართულში **ც**-ს წინ **-რ-** განვითარებულია, ჰანურში **-ვ-** დაკარგულა და **ჩ**-ს წინ **-ნ-** ჩართვია; **ნა-** თავსართი **ნო**-თია გადმოცემული ჰანურში (მეგრული **ნა-** შეიძლება მეორეული იყოს, შეიძლება ქართულის გავლენით მიგვეღოს **ნო**-ს ნაცვლად); **-ალ-** სუფიქსს კანონზომიერად შეეფერება **-ულ-** ჰანურში, მეგრულში სხვა სუფიქსია — **-ირ-** (ქართ. **-ილ**-ის შესატყვისი).

მნიშვნელობის მხრივ ერთგვარი სხვაობაა: ქართულში დაცული მნიშვნელობა უწინარესი უნდა იყოს, ჰანურისა და მეგრულისა — შემდეგ განვითარებული.

შეუძლებელი არაა **კვე-ცხ-** || **კვა-ჩხ-** რთული ფუძე იყოს: **-ცხ-** || **-ჩხ-** ბუნებრივად უკავშირდება ცე-**ცხ**-ლ- || და-**ჩხ**-ურ-ს, **კვე-** || **კვა-კვეთ**-ს (?): იხ. საბას განმარტება: „**ნაკუერცხალი** — ცეცხლის ნაკუეთი“ (!).

ნოკანჩხულე-სთან ნ. მარი შენიშნავს: შდრ. ქართ. ნაკვერჩხალსაო (იხ. ჰან. გრამ., გვ. 152).

17. ჰან. **ნო-ცინცხ-ალ-ე** ნაპერწკალი, искры
მეგრ. — .
ქართ. **ცინცხ-ალ-ი** искры

ნოკანჩხულე გეჩა-შ-კულე, ნოცინცხალე დიბღასენ II 73_{24} მუგუზალს რომ დაკრა, ნაპერწკალი დაცვივა...

ფუძე ცინცხალ- მეორდება ჰანურში (შდრ. ქართ. „თვალიდან ცინცხლებს აყრევინებს“...).

მნიშვნელობა იგივე აქვს.

მეგრულში ეს ფუძე არა ჩანს.

18. ჰან. **ნო-შქ-ერ-ი || ნო-შქ-ე-ი** ნახშირი, уголь
მეგრ. **ნო-შქ-ერ-ი || ნო-შქვ-ერ-ი** ,, ,,
ქართ. **ნა-შხ-ირ-ი || ნა-ხშ-ირ-ი** ,,

მახვა მესქურას-შ-კულე, ნ ო შ ქ ე რ ი დივენ II 73_{16} ნაკვერცხალი რომ დაქრება, ნახშირი იქნება... ნ ო შ ქ ე რ ი ქოდოლობღუ ჰუვალის II 88_{13} ნახშირი ჩაყარა ტომარაში... ნ ო შ ქ ე ი ს აკნუ — ალთუნ დივუ II 47_{17} ნახშირს წაავლო ხელი — ოქროდ იქცა...

როგორც ვარ. თ ო ფ უ რ ი ა ს აქვს გარკვეული, ძირეული მასალა **შიხ-**: იგი ხმოვნის დაკარგვით (**ი**-ს დაკარგვით!) **შხ**-ს იძლევა ქართულში — დიალექტურად (მეტათეზისით ვიღებთ ლიტერატურულ **ხშ**-ს: ნ ა ხ შ ი რ-ი); **შხ**- მეგრულსა და ჰანურში **შქ**-ს სახეს იღებს; ფუძე ნა-შხ-ირ- || ნო-შქ-ერ- ნამყო დროის მიმღეობაა, და აფიქსები **ნა- — -ირ || ნო- — -ერ** საამისოდაა განკუთვნილი. სახელიც ნ ა წ ვ-ს ნიშნავს.

ჰანურში ნ ო შ ქ ე რ ს მეტოქეობას უწევს თურქულიდან შემოსული ჩ ა ღ მ უ რ ი: ჟინ ჩ ა ღ მ უ რ ი... ნოჯ**ქ**ერი (ჩაღმური თურქჩა ონუ, ნ ო შ ქ ე რ ი — ლაზჩა) ქედობღუ II 88_{14} ზევით ნახშირი... (ჩაღმური თურქულია, ნახშირი ლაზური) დააყარა...

19. ჰან. **ტუტ-ა || მ-ტუტ-ა** ნაცარი, зола
მეგრ. **ტუტ-ა** ,, ,,
ქართ. **ტუტ-ი** „ნაცრის წვენი კუჭასათვს“ (ს ა ბ ა), зольная вода, щелочь
სვან. **დზტ** ნაცარი, зола

წკარი... დობოტუბინამ, ტ უ ტ ა გელებუბღამ II 83_{17} წყალს... გავათბობ, ნაცარს ჩავყრი... ჰაწი დაჩხური მებომთვათ (ტ უ ტ ა ქებობღათ) II 76_{20} ახლა ცეცხლი დავფაროთ (ნაცარი დავაყაროთ)... ნომჩქა დიბღა-შ-კულე, ტ უ ტ ა დივენ II 73_{27} ფერფლი რომ დაცვივა, ნაცარი გახდება...

მ-ტ უ ტ ა ვარიანტი მოჰყავს ნ. მ ა რ ს (ჰან. გრამ., გვ. 191); **მ**- განვითარებულია. **ტუტ**- ფუძე საერთოა ჰანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის: სვან. **დზტ**- გვაფიქრებინებს, რომ **ტუტ**- — **დუტ**-.

ქართულში ამჟამად ნ ა ც ა რ ი იხმარება, მაგრამ „ნაცრის წვენის“ აღსანიშნავად ტ უ ტ ი ს ხმარება მოწმობს, რომ ქართულშიც

ტუტი „ნაცართანაა“ დაკავშირებული. ამასვე გვაფიქრებინებს კომპოზიტი ნაცარ-ტუტა (შდრ. სვე-ბედი...).

ხოფურში ნაცრის მნიშვნელობით მტვერი იხმარება: ია ბიგა მტვეის ონგორაფან I 125_{11} იმ ჯოხს ნაცარში ამოავლებენ („აგორებენ“)...

20. ჰან. **კომ-ა** კვამლი, дым
მეგრ. **კუმ-ა** ,, ,,
ქართ. **კვამ-ლ-ი** || ძვ. ქართ. **კუამ-ლ-ი** ,,

ოხორის კომა ჯულუნ II 2_{22} სახლზე კვამლი ადის... კურკაში კომა მებუმკომამ II 82_{6} ნაქურჩლის კვამლს მივუკმევ...

ძირეული **კვამ-** || ← **კუამ-** ჰანურში **კომ-**ის სახითაა მოცემული: **უა-** → **ო-**; **მ-**ს მეზობლობაში **ო-** ქცეულა **უ-**დ: მივიღეთ მეგრ. **კუმ-**.

ამგვარად, ძირეული ნაწილი საერთოა: **კუამ-** || **კომ-** || **კუმ-**. ქართულში დეტერმინანტ-სუფიქსად **-ლ-** გვაქვს, ჰანურსა და მეგრულში კი **-ა-** (თუ ის **-ალ-**ის შეკვეცილი სახეა და არა ახალი ფორმაციის **-ა-**, როგორიცაა ძალ-**ა** || ძალ-**ი**).

ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

21. ჰან. **წოლ-ა** || **მ-წოლ-ა** || **ნ-წოლ-ა** ჰვარტლი, сажа
მეგრ. **წოლ-ა** ,, ,,
ქართ. —

მწოლა რენ ძეგლი; მუსთაფა-ნა უჩა რტუ, ემუშენი მწოლა ქოგიოდვეს. მწოლა ოხორიში ჰერის რენ. დუმანიშენ მწოლა იყვენ I 128_{31} ჰვარტლი არის მეტსახელი; მუსტაფა რომ შავი იყო, იმიტომ ჰვარტლი დაარქვეს. ჰვარტლი სახლის ჰერზეა. კვამლისაგან იქმნება ჰვარტლი... ფალუი-ნა ფარფალა-შ-კულე, მწოლა დივენ II 74_{6} ცეცხლის ალი რომ „იფარფატებს“, ჰვარტლი გაჩნდება („იქნება“).

თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია; **მ-**ს ნაცვლად **ნ-**ც შეიძლება გვქონდეს, როგორც ეს ი. ყიფშიძის მინაწერიდან ჩანს.

წოლა საერთოა მეგრულისა და ჰანურისათვის.

ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

22. ჭან. **ორძ-ო** || „**ორზო**“ || „**ორძუ**“ M სკამი, стул, скамья
მეგრ. —
ქართ. სა-**ვარძ**-ელ-ი „ кресло

ჰაჲა — ო რ ძ ო... ო რ ძ ო გეხუნონი რენ... დუქთური ო რ ძ ო! II 73_{20} ეს სკამია... სკამი დასაჯდომია... გამოუცვალე სკამი!

ნ. მ ა რ ს არქაბულისათვის ო რ ძ უ აქვს ნაჩვენები; ო რ ძ ო-ს პარალელურად ო რ ზ ო-საც მიუთითებს (იხ. ჭან. გრამ., გვ. 176); ო რ ძ ო უნდა იყოს მიღებული ო რ ძ უ-საგან.

ორძ- ფუძე იგივეა, რაც ქართულს ნაწარმოებ სახელში **სავარძელ**-ი გვაქვს; **-ელ-** სუფიქსის მორფოლოგიურ ეკვივალენტს **-უ** შეადგენს: ო რ ძ-უ... შეიძლება **სა-** თავსართის შესატყვისი **ო-** თავსართიც მოეპოვებოდა ამ ჭანურ სიტყვას, მაგრამ ფუძისეულ **ო**-ს შეერწყო: **ო-ორძ-უ → ორძ-უ → ორძ-ო**... როგორც ცნობილია, ჭანურში ასეთ შემთხვევაში სათანადო ხმოვანი არ გრძელდება.

მეგრულში ეს ფუძე ცნობილი არაა.

23. ჭან. **არგუნ**-ი ნაჯახი, топор
მეგრ. **არგუნ**-ი ,, ,,
ქართ. —

არ დღას კოჩეფე ა რ გ უ ნ ი დოჭაჩერი მოხთეს დო ჯაეფე დოკვათეს I 76_1 ერთხელ მოვიდნენ კაცები ხელში ნაჯახით („ნაჯახდაჭერილები“) და ხეები მოჭრეს... ა რ გ უ ნ ი დუგი უღუნ, ა რ გ უ ნ ი პიჯი უღუნ II 115_{11} ნაჯახს ყუა აქვს, ნაჯახს პირი აქვს... ოკაჩხე დოპაზი ა რ გ უ ნ ი თე II 104_{32} მერე გავთალე ნაჯახით... ა რ გ უ ნ ი შ ი — ხე II 74_{19} ნაჯახისა — ტარი („ხელი“)...

ა რ გ უ ნ- ფუძე საერთოა მეგრულისა და ჭანურისათვის; ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

24. ჭან. **ბურ-ჭ-ულ** ი წალდი, секира
მეგრ. **ბურ-ჭ-ულ**-ი ,, ,,
ქართ. **წ-ალ-დ**-ი ,,

მწკოშ ყა'... ბ უ რ ჭ უ ლ ი თენ მეკვათუპტეენ I 9_{12} წყავის ტოტს... თურმე წალდით ჭრიდა... მარტი მოხთა-ის, ბ უ რ ჭ უ ლ ი დო არგუნი მობიდუმერ II 25_{21} მარტი რომ დადგება, წალდსა და

ნაჯახს მოვიდებ [ზურგზე]... ბურჰულიში — ხე II 74_{19} წალდისა— ტარი... ონტულეფეშ ქინარის... ქელანჰიარუჰან ბურჰულითე II 59_{28} ბოსტნის კიდეებს... გაცელავენ (გაწმენდენ) წალდით... ბურჰულითე დოპწოფხი II 105_{27} წალდით გავაკეთე...

მეგრულსა და ჰანურში საერთო ფუძეა — **ბურჰულ-**; ქართულში მას შეიძლება შევუპირისპიროთ წ**ალ-დ-**; ივარაუდება, რომ **ბურჰულ-** ან რთული ფუძეა და შედგება ორი ფუძისაგან: **ბურ-** და **ჰულ-**ისაგან, ანდა **ბურ-** თავსართია და სიტყვის ნიუთიერი ნ წილია **-ჰულ-** (შდრ. ჰან. **ბურ-გილ-** (იხ.), მეგრ. **ბირ-გულ-**). ორსავე შემთხვევაში **ჰულ-**ში **-ულ-** დეტერმინანტი-სუფიქსია.

25. ჰან. **ლე-მშ-**ი — ნემსი, иголка
მეგრ. **ლი-შ-**ი || **ლე-შ-**ი || **ლე-ფშ-**ი — " "
ქართ. **ნე-მს-**ი — "

მჰიფე ლემში გურის ქომემაცონუ II 84_{3} წვრილი ნემსი გულს დამესო... [თუთუნი] ოკაჩხე დომცონი ლემშითე II 105_{9} [თამბაქო] მერე ავაცვი-ნემსით... გეიდე ეკიკწედეს-შ-კულე არ ლემშიკონაი გზა ალესდორენ II 40_{19} უკან რომ მოიხედეს, ერთი ნემსის ოდენა გზა გაევლოთ...

ქართ. **ნე-** თავსართის მაგივრობას ჰანურში **ლე-** ასრულებს: მათი ფუნქცია ერთნაირია: ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია **ნე-**ც, **ლე-**ც (ისევე, როგორც **დი-**, **და-**... **სი-**, **სე-**: იხ. **დი-**შქა, **და-**ჩხუო-ი... ქართ. **სი-**სხლ-ი, **შე-**შა ← **სე-**შა...).

ძირეული **მს-** კანონზომიერად არის წარმოდგენილი **მშ-**თი ჰანურში. მეგრულში **მ-**ს ენაცვლება **ფ-**: ლემშ-ი → ლეფშ-ი; მაგრამ ეს უკანასკნელი იშვიათია; ჩვეულებრივ იხმარება ლეშ-ი || ლიშ-ი: **ფშ-**კომპლექსმა დაკარგა **ფ-**.

26. ჰან. **ბერგ-**ი || **ბერჯ-**ი — თოხი, мотыга
მეგრ. **ბერგ-**ი — " "
ქართ. —

ეკულე ბერგითე ხაჩქუფან I 137_{25} მერე თოხით ამუშავებენ („თოხნიან“)... ბერგი ჩაი... ჰკორუმს II 3_{9} თოხი ბალახს... ჰრის...

ბერგი იქუმან II 69_{18} თოხს აკეთებენ... მენდულუნ ბერჯი ხე... დოქაჩერი II 95_{16} წავა თოხით ხელში („თოხი ხელში დაჭერილი“)...

ბერჯ-ი მიღებულია ბერგ-ისაგან **გ**-ს გააფრიკატებით, რაიც ათინური კილოკავის ზოგი თქმისათვის არის დამახასიათებელი (იხ. ჰან. გრამ. ანალ. § 8 ვ, გვ. 26—27).

ბერგ-ი საერთოა ჰანურისა და მეგრულისათვის.

ქართულში ეს ფუძე არაა ცნობილი.

ბერგ-ისაგანაა ნაწარმოები ზმნა **ბერგ-უმ**-ს (იხ. ზმნებში **ბერგ**-).

27. ჰან. **ბუ-ცხ**-ი — ფოცხი, грабли
მეგრ. **ბუ-ცხ**-ი — ,, ,,
ქართ. **ფო-ცხ**-ი — ,,

ბუცხითე დობუცხუფან: ჩაეფე, კორდეფე ვა იყვენ დო ემუშენი დობუცხუფან I 137_{25} ფოცხით დაფოცხავენ: ბალახები, ბელტები არ უნდა იყოს („არ იქნება“) და იმიტომ ფოცხავენ... ბუცხითე მობუმცხარე II 81_{1} ფოცხით მოვფოცხავ...

ბუცხ- და ფოცხ- ერთი და იგივე ფუძეა; საფიქრებელია, რომ თავკიდურ ბგერად მას **ბ**- მოუდიოდა და მისგან მივიღეთ **ფ**-; საწინააღმდეგოს ვერ ვივარაუდებთ: **ფ**-საგან **ბ**-ს მიღებისათვის პირობები არა გვაქვს. რაც შეეხება მომდევნო ხმოვანს, ეს უნდა ყოფილიყო **-ო**- და მისგან მივიღეთ **-უ**- **ბ**-ს მეზობლობაში. ამგვარად ფოცხ- და ბუცხ- ოდნავის ცვლილებით წარმოგვიდგენს ბოცხ-ს.

ბო- თავსართი უნდა იყოს, **-ცხ**- — ძირეული.

ბუცხ- ფუძისაგან იწარმოება ზმნა ბუცხ-უფ-ს (ხოფ.) — ფოცხავს; ამ ზმნის მყოფადი დროის მიმღეობაა **სა-ბუცხ-ელ**-ი, რომელიც ქართულ თავსართ-ბოლოსართით (**სა- — -ელ**-) არის ნაწარმოები და ფოცხ-სა ნიშნავს:

საბუცხელითე დობუცხუფთ I 135_{20} ფოცხით („საფოცხაჟით“) დავფოცხავთ...

28. ჭან. **ფაცხ**-ი ფარცხი, борона
მეგრ. **ფარცხ**-ი ,, ,,
ქართ. **ფარცხ**-ი ,,

ოკულე ფაცხი ქოგჲუსუმელან, — ლეტა დიმჭიფანენ. ფაცხი-ნა ვა უღუტას, ბერგიში ყუთე კორდი დოტახუფან I 136_{25} მერე დაფარცხავენ („ფარცხს გადაატარებენ", „დაუსობენ"), — მიწა დაიფხენება („დაწვრილდება"). თუ ფარცხი არა აქვთ, თოხის ყუით ბელტებს („ბელტს") დაამტვრევენ...

ეს ფუძე საერთოა ჭანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის. **-რ-** ქართულსა და მეგრულში ფონეტიკურად განვითარებული უნდა იყოს.

29. ჭან. **ოვლე** ღომის საშრობი (გაცეხვის წინ), плетеная корзина для сушки проса перед молотьбой
მეგრ. **ოლე** ,, ,,
ქართ. —

ორჭა(რ)ეფექ-თი — „ჩხუ ჯაღი დომჩახუმთ, ოვლეს გებდუმეთ, კერემულის ამაბოკიდამთ დო ბოხომინამთ"-ჯა II 50_{16} ორჭელებმაც — „ჩვენ კარაქს შევდღვებთ, „ოვლეზე" დავდებთ, [შუა ცეცხლის] ჯაჭვზე ჩამოვკიდებთ და ვაშრობთო" (ე. ი. ურჩიეს კარაქი გაეშროთ ცეცხლზე ისე, როგორც ღომს აშრობენ გაცეხვის წინ ღია ფართო წნულ „კალათში" შუა ცეცხლზე)...

მეგრულში ღომის საშრობ ამ „კალათას" ეწოდება ოლე. ეს იგივე ოვლე-ა, **ვ**-ს დაკარგვით გამარტივებული.

30. ჭან. **ო-ნ-ჩამ-ურ-ე** ‖ **ო-ნ-ჩამ-უ-ე** ღომის საცეხვი, корыто, выдолбленное в камне или бревне для молотьбы проса или кукурузы.
მეგრ. **ჩამ ურ-ი** ‖ **ო-ჩამ-ურ-ე** ,, ,,
ქართ. [„სა-ცემ-არ-ი"] დიალ. **ჩამ-ურ**-ი ,,

ეკულე ნჩხვაუფან ონჩამუეს. ონჩამურე მუენ, გიჩქინ-ი? I 138_{4} მერე ცეხვავენ „ჩამურში". „ჩამურიო" რა არის, იცი?... ონჩა-

მურე მუჭოში ივენ, ქოგიჩქინ-ი? იფური ივენ **არ** ჯა ეშახუტონეი, უკულე ივენ არ ჩქვა მოდრიკა ჯა... ე მოდრიკა ჯა გეკიდერი ივენ, კოჩი ჯულუნ, გედგითუნ დო ჰევუთე ნჩხვარუშს II 60_{37} — 61_{1-2} „ჩამური“ როგორი იქნება, იცი? ჯერ ერთი, ამოჭრილი ხეა; მერე — ერთი კიდევ მოღუნული „ხე“... ეს მოღუნული ხე ჩამოკიდული იქნება, კაცი ავა, დადგება [მასზე] და მით ცეხვავს... ონჩამურე ლაზუტიში ოქვ სუში რენ II 72_{11} „ჩამური“ სიმინდის საფშვნელია...

ონჩამურე-ში **ნ**- განვითარებულია **ჩ**-ს წინ; ო-ჩამ-ურ-ე კი კანონზომიერი შესატყვისია სა-ცემ-არ-ი-სა; ძირეულია **ჩამ**- — ქართ. **ცემ**-; მეგრულში ამ ფუძეს **ო**-პრეფიქსი არა აქვს[1]; ჩამ-ურ- მეორდება გურულში: ნასესხებია მეგრულიდან.

31. ჭან. **კალათ**-ი გოდორი, (корзина больш., глубокая, без ручки)

მეგრ. **კალათ**-ი „ „

ქართ. **კალათ**-ა корзинка

ქოგჲობლამან კალათითე II 59_{32} დააყრიან გოდრით... კალათი-ნა იფშასეტუ II 92_{5} გოდორი რომ აივსებოდა... კალათის ქოდოლობლუ II 93_{9} გოდორში ჩაყარა...

კალათ- ფუძე საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჭანურისათვის...

მნიშვნელობის მხრივ კალათ- ჭანურსა და ქართულში ერთგვარად განსხვავდება: ის აღნიშნავს „გოდორს“, „უხელო დიდ კალათს“; ქართული კალათა — საბას განმარტებით „მცირე გოდორია“ (იმიტომ ხომ არა, რომ კნინობითის **-ა** აქვს დართული: კალათ-ა? მაშინ კალათ-ი ერთი და იმავე მნიშვნელობისა იქნებოდა ჭანურშიც და ქართულშიც).

„პატარა გოდრის“ აღსანიშნავად ქართ. კალათა-ს შესაბამისად ჭანურში ტიკინა იხმარება, მეგრულში — კარანჩხა.

[1] კერძო ცნობებით **ო-ჩამ-ურ-ე**-ც იხმარება სამეგრელოს ზოგ რაიონში, მაგალ. ჩხოროწყუსაში.

32. ჭან. **გუდა** гуда, мех, бурдюк,
მეგრ. **გუდ-** „ „ „
ქართ. **გუდა** „ „

მა მუშენი არ გ უ დ ა ჯოფშა ყვალი მომჩაფან? I 21_{21} მე რატომ მაძლევენ ერთ გუდა ყველს? („ყველით სავსე გუდას“)... ჩქინი ყვალი აშო იყვენ, გ უ დ ა შ ი... ყვალი-ნა ი ოლოძინ, გ უ დ ა მჩხუიში შქემბე რენ. გ უ დ ა ტკებიში-თი იყვენ, ამა ჯაღი დო მინჯი დოლოდუმელან I 138_{31} ჩვენი ყველი ასე კეთდება, გუდისა... ყველი რომ ძევს, [ის] გუდ- ცხვრის „ფაშვია“. გუდა ტყავისაც იენება, მაგრამ ერბოსა და „ხაჭოსათვის“... აჭარაში კოჩეფეს გ უ დ ო ნ ი ბუწუმელთ: გ უ დ ა-მოკიდერი გულვან II 3_{31} აჭარლებს გუდიანებს ვეტყვით: გუდა-მოკიდებული დადიან... ღინიშ გ უ დ ა — „ღვინის გუდა“ (იხ. ნ. მ ა რ ი, ჭან. გრამ., გვ. 136: **გუდა**).

სხვა მაგალითები და განმარტება იხ. გვ. 93.

33. ჭან. **თოკ-ი** ~ **თოჭ-ი** თოკი, веревка
მეგრ. **თოკ-ი** „ „
ქარ ი. **თოკ-ი** ჯ
სვან. **თჳკ-უ** „ „

თ ო კ ი ქონუკირუ I 110_{13} თოკი შეაბა... თ ო კ ი დომოხმარაფი I 7_{26} თოკი მათხოვე... თ ო კ ს მქიი ქომეუმფინი I 7_{28} თოკზე ფჭვილი გავფინე... თ ო კ ი ვარ მეგჩარე II 9_{28} თოკს არ მოგცემ... მჭიფე თუთუნიში თ ო კ ი II 68_{30} თამბაქოს [ასაცმელი] წვრილი თოკი... შქას თ ო ჭ ი გემიდვი II 99_{19} წელზე თოკი შემაბი... ხამითე მეშკორუ თ ო ჭ ი II 99_{32} დანით გაჭრა თოკი...

თოკ- ფუძე საერთო ჭანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის. თ ო ჭ-ი **კ**-ს გ აფრიკატებითაა მიღებული (ათინურში).

სვანურშიც იგივე ძირია; მას **-უ** დეტერმინანტი-სუფიქსი ახლავს.

ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივეა (თუმცა ცოცხალ ქართულ მეტყველებაში თ ო კ ი შედარებით მსხვილი თოკის შესახებ ითქმის; თამბაქოს ასაცმელი „თოკი“ ჭართლელისათვის, მაგალითად, სრულიად წარმოუდგენელია).

34. ჭან. **კარდ-ალ-ა** (დიდი) ქვაბი, котел (большой)
მეგრ. **კარდ-ილ-ა** „ „
ქართ. **კარდ-ალ-ა** მომცრო ქვაბი (საბა), котел (небольшой)

„მანძაგეე ჩქინის არ კარდალა ჰაგუწუღი!“... მეხთუ დო ქაგუწუღუ კარდალა... დიდი კარდალას ჰიტა კარდალა ქოდოლოდგუ... I 11_{26} „ჩვენს მეზობელს ერთი ქვაბი გამოართვი!“... მივიდა და გამოართვა ქვაბი... დიდ ქვაბში პატარა ქვაბი ჩადგა... კარდალა დაჩხიის ჭონოკიდაფან, კარდალას დაჩხიი ნუგზაფან I 141_2 ქვაბს ცეცხლზე ჩამოკიდებენ, ქვაბს ცეცხლს შეუნთებენ...

ეგევე ფუძე გვაქვს მეგრულში; ჭანურის **-ალ-** სუფიქსს მეგრულში **-ილ-** ცვლის. ძირეული **კარდ-** საეროა.

გურულში ხმარებული კარდალა || კარდალეჲ ჭანურს იმეორებს: ნასესხები ჩანს. მაგრამ ქართულს შეტყველებას ეს სახელი რომ არ ეუცხოება, ჩანს საბას ჩვენებიდან: „**კარდალა** — მომცრო ქვაბი“ (მითითებაა ესაიაზე).

35. ჭან. **წუკ-ალ-ი** (პატარა) ქვაბი, (маленький) котел
მეგრ. **წუკ-ილ-ი** პატარა ქვაბი, маленький котел (чугун.)
ქართ. —

დიდი წუკალი — ჭუკი, ჭუტა წუკალეფე... II 62_{33} დიდი ქვაბი — „ჭუკი“, პატარა ქვაბები [1]...

წუკალ-ი ვიწურსა და არქაბულში გვაქვს; ათინურში ვხვდებით **ჭუკან-ი-ს**: ფუჯი ნუკვათუ, ჭუკანის... მორდერი ჭუკანის ქოდოლობუ II 97_{33} ძროხა დაუკლა, ქვაბში... დიდ ქვაბში ჩაყარა [ხორცი]...

ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში გვაქვს ჯუკალ-ი; საფიქრებელია, რომ თავკიდური **ჯ-** კლების შეცთომას წარმოადგენს: ჭუკალ-ი უნდა გვქონოდა (ნ. მარი შენიშნავს: შუქრი მარწმუნებს — „ათინურში ჭუკალი იხმარებოდაო“: იხ. ჭან. გრამ., გვ. 227).

[1] მჭითვად გასატანებელი საოჯახო ნივთების ნუსხაშია მოხსენებული.

წ უ კ ა ლ-ი საერთოა ჰანურისა და მეგრ ლისათვის. **ჰუკან**-ი ‖ **ჰუკალ**-ი მისივე ვარიანტი უნდა იყოს. ბუნებრივად ი ბადება კითხვა: ხომ არა აქვს თავკიდურ **ჰუ**- ‖ **წუ**-ს ჰ უ-ტ ა ‖ წ უ-ტ ა-სთან კავშირი?

36. ჰან. **კორზა** ‖ **კირზა** M ლაფერა, дерев. лопаточка для замешивания пищи в сосуде

მეგრ. **კირზა** სუთი, дерев. палочка для замешивания „гоми“ в котле

ქართ. —

კ ი რ ზ ა დიშჭაში რენ II 76_{24} სუთი ხისაა...

კ ო რ ზ ა დადასტურებულია ვიწეში ნ. მ ა რ ი ს მიერ, კ ი რ ზ ა ხოფურში (იხ. ჰან. გრამ., გვ. 157); კ ო რ ზ ა-საგან არის მიღებული კ ი რ ზ ა; ეგევე ვარიანტი მოცემულია მეგრულში.

მნიშვნელობის დიფერენციაცია ჰანურსა და მეგრულში ადვილი ასახსნელია: ქვაბში საჰმლის (ღომის) მორევასთანაა ერთიცა და მეორეც დაკავშირებული.

ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

37. ჰან. **ხამ**-ი დანა, нож

მეგრ. **ხამ**-ი ,, ,,

ქართ. —

ხ ა მ ი-ნა ჩხიფს I 124_{13} დანას რომ რეცხავს... ხ ა მ ი თ ე დოჭკიუფან I 141_{23} დანით დაჭრიან... ხ ა მ ი დიცხირონი ჯასტულიშ თუდე ქოძირეს II 16_{11} სისხლიანი დანა ბალიშის ქვეშ იპოვეს („ნახეს“)... ჰე ბიჭიში ჯუმაქ არ ხ ა მ ი ქელიწკუ II 64_{25} ამ ბიჭის ძმამ ერთი დანა ამოიღო („ამოიძრო“ ქარქაშიდან)... დოფხაკარუმთ ხ ა მ ი თ ე II 114_{17} გავფხეკთ დანით...

ეს ფუძე — ხ ა მ- — დანის მნიშვნელობით ჰანურის ყველა კილოკავს მოეპოვება; არის მეგრულშიაც. არა ჩანს ქართულში.

38. ჭან. **კუზ-ი ‖ კიზ-ი** კოვზი, ложка
მეგრ. **კიზ-ი** ,, ,,
ქართ. **კოვზ-ი** ,,

• კ ი ზ ი — სუთლი ოჭკომუშენი I 151_{27} კოვზი — ფაფის[1] საჭმელად... ნაკო კოჩი ტუ, ჰეკო კ უ ზ ი ქომეჩეს II 65_{34} რამდენი კაციც იყო, იმდენი კოვზი მისცეს... ნა-დიქაჩუ კ უ ზ ი, ალთუნი დივუ II 47_{19} კოვზი რომ დაიკავ› [ხელში], ოქროდ იქცა („გახდა“)... კ უ ზ ი ეკულამტუ-შა... II 122_{31} სანამ კოვზს ამოუღებდა...

კ ო ვ ზ- და კ უ ზ- ერთი და იგივე ფუძეა; **-ვ-** ქართულში ფონეტიკურად უნდა იყოს განვითარებული **ო**-ს შემდეგ; ეგევე **-ო- უ**-დ არის დავიწროებული ათინურსა და ვიწურ-არქაბულში; კ ი ზ- ხოფურში მიღებულია **უ**-ს **ი**-თ შენაცვლებით. ხოფური ვარიანტი — კ ი ზ- მეორდება მეგრულშიც.

ამ სიტყვის აღნაგობა ეჭვს ბადებს, რომ კ ო ვ ზ- იყოს ჩვენი ენების ძველი კუთვნილება მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულშიაც გვაქვს, მეგრულშიც და ჭანურშიც.

39. ჭან. **სარღა ‖ საღრა** გობი, корыто
მეგრ. **სარღა** ,, ,,
ქართ. —

ლაზუტი ეშიმენან, **სარღას** ქოგჲობღამან II 61_3 სიმინდს ამოიღებენ, გობზე დაყრიან... ოკულე **სარღა** გედგარე ორძოს II 26_{24} მერე გობს დადგამენ სკამზე... თუდე **სარღა** ეწებუდგამ II 74_{34} ქვეშ გობს შეუდგამ... მქვერი **საღრათე** დოშოლუ II 31_{21} ფქვილი გობზე დაასველა... „არ **საღრა** ქოშოიღით“-ჲა! **საღრა** ქომულეს... „თუდელე **საღრა** ქეწწმიქაჩით“-ჲა II $40_{26,28}$ „ერთი გობი მომიტანეთო!“ გობი მოუტანეს... „ჩემ ქვეშ გობი დაიჭირეთო“...

საღრა-საგან უნდა მომდინარეობდეს **სარღა**; ეს ორი ვარიანტი ათინურსა და ვიწურ-არქაბულს ახასიათებს; ეგევე **სარღა** ზუგდიდურ-სამურზაყანულ მეგრულშიც გვაქვს (სენაკურში **ნისორ**-ი იხმარება). ხოფური გ ო ბ-ს ხმარობს (გ ო ბ ი — ცომი ოქომინუშენი I 151_{24} გობი — ცომის მოსაზელად); ეს ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა მეგრული ხოფურს კი არ მისდევს, არამედ ვიწურ-არქაბულსა და ათინურს ხვდება.

[1] ზუსტად: „სუთლი“ — ესაა რძეში მოხარშული ბრინჯი.

40. ჭან. **ო-ნ-ცორ-უ** || **ო-ნ-ცირ-უ** საცერი, сито
მეგრ. **სა-ცირ-**ი „ „
ქართ. **სა-ცერ-**ი „

ოკულე მქვერი ონცორუს გჲობღარე ე-დო სარღას მცორარე II 26_{24} მერე ფქვილს საცერს დააყრი და გობზე გაცრი... ნანაქ მქვერი ონცორუთე დონცორუ II 31_{20} დედამ ფქვილი საცრით გაცრა... მქვერი ონცორუს ქოგეპოპღამთ II 61_{36} ფქვილს საცერს დავაყრით... ონცირუ — მქირიში ონცირუშენი I 151_{29} საცერი — ფქვილის გასაცრელად...

ეს სახელი წარმოშობით მიმღეობაა ზმნისა ნ-ცორ-უმ-ს (იხ. ზმნებში **ნ-ცორ-**); **-ნ-** განვითარებულია **ც**-ს წინ; **-უ** ბოლოსართი **-ელ-** სუფიქსის ეკვივალენტია. **ცორ-**ისაგანაა მიღებული ცირ- ხოფურში; **-ცირ-**ს ვპოულობთ მეგრულშიც ქართული **სა-** თავსართით; საფიქრებელია, რომ მეგრ. საცირ- ქართულიდან შეთვისებული სა-ცერ-ი იყოს (**ე** → **ი**!); ქართულიდან შეთვისების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ ეს სახელი სენაკურში იხმარება (დასავლურ მეგრულში კი ამ მნიშვნელობით **ტკიბირ-**ი გვაქვს).

41. ჭან. **ფჭ-ვ-ერ-**ი || **მჭ-ვ-ერ-**ი || **მჭ-ვ-ე-**ი ფქვილი, мука
|| **მჩ-ვ-ერ-**ი || **მჭ-ირ-**ი || **მჭ-ი-**ი „ „
მეგრ. **ჭ-ვ-ირ-**ი „ „
ქართ. **ფქ-ვ-ილ-**ი „
სვან. **ფეჭ** „ „

თოკის ფქვერი მებუფინიდორენ II 9_{27} თოკზე ფქვილი გავშალე („გავფინე", გაფენილი მაქვს")... მქვერი ოხორიშა ქომობიღი II 31_{18} ფქვილი შინ მოვიტანე... მქვერი ივენ II 58_{24} ფქვილი გახდება... მუნჯეს ქვერი ივასენ? II 56_{3} როდის იქნება ფქვილი („დაფქვილი", „როდის დაიფქვება")... მჩვერი გობღალერი II 97_{11} ფქვილში ამოგანგლილი („ფქვილი ზედ დაყრილი")... მქვეი... დოლიბღენ II 58_{19} ფქვილი ჩაცვივა... მქირი უნტუ I 105_{10} ფქვილი უნდოდა... თოკის მქიი ნიმფინენ-ი? I 7_{30} თოკზე ფქვილი შეიძლება გაიფინოს?...

ძირეული მასალაა **ფჭ-** || **ფეჭ-**, რაიც სვანურში ახლაც ფქვილს ნიშნავს. **ე-** ხმოვანი ამ ფუძეს ეკარგება მისგან ზმნის წარმოებისას:

და-**ფქ-ვ**-ა · და-**ფექ**-ვ-ა; **ფქ-ვ-ილ**-ი — მიმღეობაა წარმოშობით; ძას შეესატყვისება ჰან. **ფქ-ვ-ერ**-ი; ამ უკანასკნელის ვარიანტებია: **მქ-ვ-ერ**-ი (ძირეული **ფ-** შეიცვალა **მ**-თი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება თავკიდურ **ფ-** || **მ**-ს დართვისას); ხმოვანთ შორის **რ**-ს დაკარგვით ვიღებთ **მქ-ვ-ე-ი**-ს; ქ-ს აფრიკაციით ათინ.-ართაშნ. — **მჩ-ვ-ერ**-ი-ს... **-ერ-** სუფიქსის ნაცვლად **-ირ-** აქვს ამ სახელს ხოფ. **მქირ**-ში (**რ**-ს დაკარგვით აქედან მიიღება **მქი**-ი...). მეგრ. **ქ-ვ-ირ**-ხოფურს ვარიანტს მისდევს, ოღონდ **ფქ-** კომპლექსი გამარტივებულია: **ფქ-** — **ქ-**.

აქვე დავძენთ, რომ ქართ. **ი-ფქ-ლ**-ი ნაწარმოებია **ფექ**-იდან, როგორც ქართულშიაც, ალბათ, იხმარებოდა ფქვილის მნიშვნელობით.

42. ჰან. **გ ა ა რ**-ი || **გ ა ა**-ი || **ჯ ა რ**-ი — საქმელი, пурiи, пища, хлеб
მეგრ. **დ ი ა რ-ა** — ქორწილი, ნადიმი საქორწილო, свадьба, свадебный пир

ქართ. —
სვ ნ. **დ ი ა რ** — პური, хлеб

ენთეფექ-თი დიდო გ ა ა რ ი ქომულეს I 20_{30} იმათაც ბევრი პური შოუტანეს... „გ ა ა ი მომჩი“... I 20_{29} საქმელი მომეცით... გ ა ა რ ი ჩამან II 45_{26} საქმელს აქმევენ („აძლევენ“)... პატი გ ა ა რ ი მამშქორინუდორტუნ. გ ა ა რ ი ქოფქომი II 55_{24} ძალიან მომშივებოდა პური (საქმელი). საქმელი (პური) ვქამე... ოგე ნანამუშიქ არ ჯ ა რ ი დოწოფხუ II 90_{27} მისმა დედინ ცვალმა ერთი საქმელი (პური) გააკეთა... მქკუდი დიქვა-ში, გ ა ა რ ო ბ ა დივენ II 62_{7} მქადი რომ გამოცხვება, პურის ჭამა შეიქნება... სუფრა ქოდოდგეს, მთელი ქოდოხედეს დო გ ა ა ო ბ ა ვეს II 63_{33} მაგიდა დადგეს, ყველანი დასხდენ და პური ჭამეს („პურის ჭამა ყვეს“)... გ ა ა ო ბ ა დიჩოდუ II 65_{7} პურის ჭამა გათავდა...

ჯ ა რ-ი ათინურ კილოკავში გვხვდება (ართაშნულშიც); გ ა ა ი ხმოვნებს შორის **რ**-ს დაკარგვითაა მიღებული; ჰანურისათვის ამოსავალია გ ი ა რ-; ეს უკანასკნელი იგივე უნდა იყოს, რაც სვ. ღ ი ა რ- („პური“) და მეგრ. დ ი ა რ-ა („საქორწილო ნადიმი“; ქოთომში დ ი ა რ ა ფ ა — ქათმისთვის სკენკის დაყრა; ხოჯიშ დ ი ა რ ა ფ ა — ხარის ძოვება, „დაპურება“...) **გ**-სა და **დ**-ს მონაცვლეობა აკუსტი-

კურ ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს. სემასიოლოგიური კავშირი დი-ა რ- || გ ა ჯ ა რ-ს შორის სვანურში, მეგრულსა და ჭანურში ცხადია... (შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომ. ისტ. I, გვ. 417 419).

43. ჭან. **ბუ-რღ-ულ**-ი ბურღული, крупно-молот. кукуруза
მეგრ. —
ქართ. **ბუ-რღ-ულ**-ი „ „

ლაზუტიში მჭიფე ა ა მჩხუ მქვერი ივენ. არ ჩქვა ქორენ ბ უ რ-ღ უ ლ ი, ჰეა ჩქუნ ჯერეფეს დიდო ვა იქომან, ჭუტა იქომან დო წი-პილეფეს დუბღამან II 61_{30} სიმინდის წვრილი ანდა ბსხვილი ფქვი-ლი იქნება. ერთი კიდევ არის — „ბურღული“ (ღერღილი), იმას ჩვენს ადგილებში ბევრს არ „აკეთებენ“, ცოტას „აკეთებენ“ და წიწილებს აჭმევენ („უყრიან“)... კარდალას ქოდოლობღაფან: ნჩხვაი..., ლაზუ-ტიში ბ უ რ ღ უ ლ ი I 159_{11} ქვაბში ჩაყრიან: ღომის მარცვალს..., სი-მინდის „ბურღულს“...

ეს ფუძე საერთოა ქართულთან. ძირითადი მნიშვნელობაც ერთი და იგივე აქვს. მეგრ. ღ ა რ ღ ი ლ-ი, ქართ. ღ ე რ ღ ი ლ ი — ამ ფუძეს-თან სემასიოლოგიურად ახლოს არის, მაგრამ სხვა ძირი უნდა იყოს: ღ ა რ ღ უ ნ ს- ღერღავს, ღ ა რ ღ ი ლ-ი — ღერღილი (მიმღეობაა ნამყო დროისა).

44. ჭან. **მ-ჭკუდ**-ი || **მ-ჭკიდ**-ი მჭადი, хлеб (кукурузный)
მეგრ. **ჭკიდ**-ი „ „ „
ქართ. **მ-ჭად**-ი „ „

არ მ ჭ კ ი დ ი... ქეზდუ I 18_{23} ერთი მჭადი... აიღო... მ ჭ კ ი დ ი ქომომჩი I 58_{18} მ ჭ დი მომეცი... ჰაწი მ ჭ კ უ დ ი ში გედუში ორა ჭომოხთუ I 61_{33} ახლა მჭადის გამოცხობის („დადების“) დრო დად-გა („მოვიდა“)... არ საათიშაქის მ ჭ კ უ დ ი დიჭვენ... თაზე ქაფჩა გე-ტაღანეი ტუცა მ ჭ კ უ დ ი კ ა ლ ა მუფეი კაი რენ! II 62_{6} ერთი საათის განმავლობაში („ერთი საათის გასვლამდის“, „ერთ საათამდის“) მჭა-დი გამოცხვება... ტაფაზე შემწვარი ნედლი ხამსა ცხელ მჭადთან როგორ კარგია!...

თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართი ჩანს. **მჭკულ**-ი არქაბულია, **მჭკიდ**-ი—ხოფური; ეს უკანასკნელი მიღებულია **უ → ი**; ხოფურ ვარიანტს იმეორებს მეგრული (თავკიდური **მ**-ს გამოკლებით: ის მას არ განვითარებია). **მ-ჭკულ**-ი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **მჭად**-ს; უნდა ყოფილიყო: **მ-ჭოდ-ი || მ-ჭკოდ-ი → მ-ჭკულ-ი**...

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

ჭად ძირი უნდა გვქონდეს ხუნძურ **ჩედ**-ში — „პური“ (მოთხრ. **ჩად**-ი-ცა, მრავლ. სახ. **ჩად**-ალ), აგრეთვე ლაკურში **ჭატ**-, რომელიც „პურსაც“ აღნიშნავს და „თხოვნა“ სიტყვის ძირსაც შეადგენს (იხ. Услар, Лакский яз. 1890, Т., გვ. 388).

45. ჰან. **ღომ-უ || ღომ-ი** M ღომი, каша (обыкновенно из ნ ჩ ხ ვ ა რ ი (см.)

მეგრ. **ღუმ-უ** „ „ вид проса

ქართ. **ღომ ი** „ „

ღ ო მ უ თ ე ნ მუ ივენ? ჩქუ ჩხვაირიში ღ ო მ უ ბიქომთ II 71_{33} ღომით რა იქნება? ჩვენ ღომის ღომს (მეგრ. „ჩხვერიში ღუმუ“) ვაკეთებთ... მჯიხი გეჩუ თის დო თი ღ ო მ უ დუხენუ II 38_{39} მჯიღი დაკრა თავში და თავი „ღომად“ უქცია...

განსხვავება ჰანურსა და მეგრულში მხოლოდ ბოლოკიდურ ხმოვანშია. საფიქრებელია, რომ ქართული **ი ← უ** და არა პირუკუ. ბოლოკიდური **-ი-** ათინურისთვის ნაჩვენები აქვს ნ. მ ა რ ს (ჰან. გრამ., გვ. 213).

მეგრულში ძირეული **-ო-** რეგრესიული ასიმილაციის შედეგად დამსგავსებია ბოლოკიდურ **-უ**-ს.

სიტყვის მნიშვნელობა ერთი და იგივეა, ოღონდ ქართულში ეს ფუძე მცენარესაც ნიშნავს (ისევე, როგორც მეგრულში), ჰანურში კი მხოლოდ საჭმელს.

ამ მცენარის კულტურის ისტორიისათვის ჩვენში იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართვ. ეკონომ. ისტ. I, გვ. 368, 369—371.

46. ჰან. **ქოვ-ალ-ი ‖ ქუვ-ალ-ი ‖ ქუ-ალ-ი ‖ ქვ-ალ-ი** პური (გამომცხვარი), хлеб
მეგრ. **ქობ-ალ-ი** „ „
ქართ. **ხორბ-ალ-ი** ‖ ძვ. ქართ. **ხუარბ-ალ-ი** пшеница

ქუვალი ოხორიშა ნიმერტა-ში, ვარ დოგაჭკინდენ I 18_{27} პური რომ შინ მიგქონდეს, არ დაიღლები... ქუვალი ჲეზდუ I 18_{28} პური აიღო... ჩაი დო ქუვალი ვიმხორთ I 124_{25} ჩაისა და პურს „ვჭამთ“... [დიმჭკუქ] გზას არ ქუალიში ფარჩა ქოძირუ. დიმჭკუს აჲა ქუალი ვარ აღუ I 60_{3} ჯინჭველმა გზაზე პურის ერთი ნაჭერი იპოვა. ჯინჭველმა ეს პური ვერ წ იღო... ბერე იბგ ს... ქვალი მეჩეს, ხოლო იბგას II 93_{30} ბავშვი ტირის... პური მისცეს, კიდევ ტირის... ხოწი დიჯიბუ. ქოვალიში ჯარი ქოგ—ჯჲოშკორეს ხამითე სთოლის II 98_{16} ხორცი მოიხარშა. „ქოვალის“ პური (ხორბლის პური!) დაჭრეს დანით მაგიდაზე...

ჰანური ვარიანტებისათვის ამოსავალია ქ ო ვ-ა ლ-: სხვა ყველა მიღება ო-ს უ-დ ქცევისა და უ ს შემდეგ ვ-ს დაკარგვით, მერე უ-ს უმარცვლო ვ-დ გადაქცევით.

ჰან-რ ქ ო ვ-ა ლ-ს გვერდით უდგას მეგრ. ქ ო ბ-ა ლ-ი, რომელიც პირველის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს და, საფიქრებელია, ოდნავ სახეცვლილი ქართ. ხ ო რ ბ-ა ლ-ი იყოს (**-ალ-** ამ ფუძეში დეტერმინანტი-სუფიქსია).

ათინელის მეტყველებაში დადასტურებული ქ ო ვ ა ლ ი შ ი ჯ ა რ ი ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ხ ო რ ბ ა ლ-თან ქ ო ვ ა ლ- ‖ ქ ო ბ ა ლ-ის კავშირი დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს (იხ. საქართვ. ეკონომ. ისტ. I, გვ. 320—21. ქვაბლოვან-ში ამ ვე ქ ვ ა ბ-ა ლ- ‖ ქ ო ბ-ა ლ- ფუძის არსებობის დადასტურება სათუოა).

47. ჰან. **ცომ-ი** ცომი, тесто
მეგრ. —
ქართ. **ცომ-ი** „ „

ია ც ო მ ი ნიმელან დო კიცის ქოგედრმელან II 140_{14} იმ ცომს წაიღებენ და კეცზე დ დებენ... გონწკინეი ც ო მ ი გილუბუფან I 144_{13} [წყალში] გახსნილ ცომს დაასხამენ... გრესთა კაი დოფათხუმთ, ც ო-

მი (ცომი ლაზური ენ, ხამური — თურჩა) გებდუმეთ II 62_3 კეცს კარგად გავფერთხავთ, ცომს (ცომი ლაზურია, ხამური — თურქულადაა) დავდებთ...

ეს სახელი ნ. მარს ხოფურში აქვს დადასტურებული; ტექსტები მას არქაბულშიაც გვიჩვენებენ. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს სახელი ქართულიდან ნასესხები არაა. მეორე მხრივ, მეგრულში ამ სიტყვის უქონლობა ჰანურში მისი ნასესხობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ასე პირობებში შედარებითი ძიების თვალსაზრისით ამ სიტყვის აქ შემოტანა მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს.

48. ჭან. **ჯუმ-უ** ‖ **ნ-ჯუმ-უ** მარილი, соль
მეგრ. **ჯიმ-უ** ,, ,,
ქართ. —

ჯუმუვა რტას-ში, უჯუმელი გჲაი დიყვენ I 143_{16} მარილი თუ არ უყვეს (,,იქნება''), უმარილო საჭმელი გამოვა... ჯუმუ-თი უკათეფან, ჲაღი-თი I 144_5 მარილსაც უშვრებიან (,,ურევენ''), ერბოსაც... ჯუმუ ირო ჲეჭოფუმტუ II 21_6 მარილს ყოველთვის ყიდულობდა... ჯუმუ დოხაჩკუ... II 21_{11} მარილი დათესა... ჯუმუ ვარ ჲულუნ II 21_{12} მარილი არ ამოდის... არ ჯარი დოწოფხუ, ირი ნჯუმუ, წუთხე II 90_{27} ერთი საჭმელი გააკეთა, სულ მარილი, მწუთხე...

მეგრული ჯიმუ მიღებულია ჯუმუ-საგან: **უ → ი**... ბოლოკიდური **-უ** დეტერმინანტი სუფიქსი უნდა იყოს... ნ-ჯუმუ-ში **ნ-** ფონეტიკური დანართია.

ქართულში ამ მნიშვნელობით ეს ძირი არა ჩანს, მაგრამ ძმარ-ში ეგევე ძირი უნდა იყოს მოცემული (იხ. **ჯუმ-ორ-**).

49. ჭან. **ჯუმ-ორ-ი** ‖ **ჯუმ-ო-ი** ძმარი, уксус
მეგრ. **ძმ-არ-ი** ,, ,,
ქართ. **ძმ-არ-ი** ,,

ჟინ ჯუმორი ქოგჲობაფან I 139_{27} ზევით ძმარს ასხამენ... ემუს უნონ: ჯუმორი, ლერი, პიპერი I 139_{34} იმას უნდა: ძმარი, ნიორი,

წიწაკა... ჰემუში ჯუმორი ბიქოთ II 74_{30} იმისგან ძმარს ვაკეთებთ... ჯუმორი ცურძენიში, მცხულიში ივენ, უშქურიში ივენ II 75_2 ძმარი ყურძნისა, მსხლისა იქნება, ვაშლისა იქნება...

ჯუმორ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. ძმარ-ს, რომელიც ძამარ-ისაგან უნდა იყოს მიღებული: **უ**- ხმოვანი ჰანურში ამას გვაფიქრებინებს; ეს **უ** ← **ო** **მ**-ს მეზობლობაში (ამის მაგალითები ჰანურში ხშირია); ქართ. **-არ-**, ჰან. **-ოჩრ-** დეტერმინანტი-სუფიქსია.

მეგრ. ძმარ-ი ქართულიდანაა შეთვისებული (ალბათ, მეგრულშიც ჯუმორ- იყო და ძმარ-მა გამოდევნა).

ჯუმ-ორ-ის ძირეული ჯუმ- იგივე უნდა იყოს, რაც ჯუმ-უ-ში გვაქვს (ქართული მარ-ილ- სხვა ძირისაა; მიუხედავად იმისა, რომ ქართ. **მარ-** და ჰან. **ჯუმოჩრ-**ის მეორე მარცვალი **-მოჩრ-** ერთმანეთს კარგად ეწყობა, შეუძლებელია ჯუმორ- ფუძის დაშლა **ჯუ-** და **მოჩრ-**ად; ამას აბრკოლებს **ჯუმ-უ** და **ჯუმ-ორ-** ფუძეთა კავშირი). ეს უნდა ჩანდეს ნასახელარ ზმნაში დო-ჯუმ-ორ-უ, რაიც „დამარილებას“ (და არა „დაძმარებას“) ნიშნავს.

50. ჰან. **დოლოჩ-ქუნ-უ** ტანისამოსი, одежда
მეგრ. **მიკა-ქუნ-ალ-ი** „ „
ქართ. **სა-რ-ქვ-ელ-ი** „ჯურის პირსაფარი“ (საბა), крышка винного кувшина
სვან. **ლე-რე-ჭუ** ტანისამოსი, одежда

ეს ნაზმნარი სახელი წარმოშობით მყოფადის მიმღეობაა; იხ. **ქუნ-** ძირი ზმნებში.

ბოლოკიდური **-უ** ქართ. **-ელ-** სუფიქსისა და მეგრულ **-ალ-** სუფიქსის მაგივრობას ეწევა.

51. ჰან. **ფორჩა** პერანგი, рубаха
მეგრ. **ხე-ფორჩა** სახელური, „პერანგის ხელი“, рукав (рубахи)
ქართ. —

ტანის დოლოხენი ფორჩა ენ I 150_{19} ტანზე შიგნით პერანგია... ფორჩა მანდაპოლიში, ჩითიში იყვენ — იქვე — პერანგი პირკლისა [და] ჩითისაა („იქნება“)... იმბრიშუმიში ფორჩა ფე უპათენ II 64_9 აბრეშუმის პერანგს შევუკერავთ...

ეს ფუძე ამ მნიშვნელობით მეგრულში ამჟამად არ იხმარება; მაგრამ რომ წინათ „პერანგის“ აღსანიშნავად ფორჩა მეგრულშიც იხმარებოდა, ამას მოწმობს ხე-ფორჩა — სახელსური, სიტყვა-სიტყვით „ფორჩის ხელი“, ე. ი. „პერანგის სახელსური“.

აღსანიშნავია, რომ „სახელსურის“ მნიშვნელობით ჰანურშიც ხეფორჩა გვხვდება: ადა ხეფორჩა რენ I 150_{35} ეს სახელსურია...

ქართულში შესატყვისი ფუძის საკითხი ღიად რჩება.

შეიძლებოდა მოგვეხსენებინა ფიჩუ ფუძე, მაგრამ ხმოვნის (ქართ. -ი- — ჰან. -ო-) საკითხი დაბრკოლებას ქმნის.

52. ჰან. **კურთ-ა** ნიფხავი, кальсон
მეგრ. **კურთ-ა** „ „
ქართ. **კჳართ-ი** „ჯუბა, გინა პერანგი“ (საბა), рубаха (длинная)

ბიჭი გამუკაპუ დო იმტუ. ოხორჯაში კურთა ელაკორერი იმტუ: ნაკაპუ, ბაშლული ებზდა-ჲა დო ჰეა კურთა ქომოხვადუ II 48_{25} ბიჭი გამოხტა და გაიქცა. ქალის ნიფხავ-წაკრული გაიქცა. ეცა, ბაშლაყს ავიღებო და ის ნიფხავი მოხვდა [ხელში]... გოიწკედუ-შკულე, — კურთა ელოკორტუ თის II 49_{2} რომ გაიხედა, ნიფხავი ჰქონდა თავზე წაკრული...

ქართ. კჳართ- ფუძის შესატყვისად ჰანურსა და მეგრულში უნდა გვქონოდა კვორთ-; ჳ-ს დაკარგვით (ო-ს წინ) და შემდეგ ო-ს დავიწროებით ვიღებთ კურთ-ს: კვორთ- → კორთ- → კურთ- ...

მნიშვნელობის მხრივ ერთგვარი გადახრა გვაქვს, საფიქრებელია, ჰანურსა და მეგრულში: ეს ფუძე პერანგის (გრძელი პერანგის) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

კურთა-ს შეპირისპირება კვართ-თან ჯერ კიდევ მ. ბროსეს მოუცია (იხ. იფშიძე, მეგრ. გრამ., ლექსიკ., გვ. 263: **კურთა**).

53. ჰან. **ქუდ-ი** ქუდი, шапка
მეგრ. **ქუდ-ი** „ „
ქართ. **ქუდ-ი** „

ხოლო მუში ბიწერი ქუდი ქოგეითვუ II 48_{2} ისევ თავისი დახეული ქუდი დაიხურა... ქუდი... თილჩის ქომეჩუ II 97_{28} ქუდი... მელიას მისცა...

ჰანური კილოკავებიდან ვიწურ-არქაბული და ათინური ხმარობს ამ სიტყვას. **ქუდ-** ფუძე საერთო ჩანს ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის.

54. ჰან. **ო-ტკ-აფ-უ** სარტყელი, пояс
მეგრ. **ო-რ-ტყ-აფ-უ** " "
ქართ. **სა-რ-ტყ-ელ-ი** "

შკაში ო ტ კ ა ფ უ ალთუნიში II 62_{21} წელზე („ქელის") სარტყელი ოქროსი...

ეს სახელი წარმოშობით მიმღეობაა ვნებ. გვარის მყოფადი დროისა (იხ. ზმნის ძირი **-ტკ-**); ქართულის **სა-** თავსართი წარმოდგენილია **ო-თი**, **-ელ-** სუფიქსის მაგივრობას **-უ** ეწევა (იხ. აგრეთვე დოლქუნ-**უ** — სარქვ-ელ-ი). ამით ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ სახელთა ფუძეებში წარმოდგენილი დეტერმინანტი-სუფიქსები და მიმღეობის სუფიქსები ერთმანეთს ხვდება, წარმოშობით ერთი და იგივეა.

აღსანიშნავია **-რ-**ს ქონა ქართულსა და მეგრულში მაშინ, როდესაც ჰანურს ის არ გააჩნია; **-რ-** მორფოლოგიური ფუნქციის მქონე არ უნდა იყოს.

55. ჰან. **მა-წკინდ-ი** || **მა-წინდ-ი** ბეჭედი, перстень, обручальное кольцо
მეგრ. **მა-რ-წკინდ-ი** " " "
ქართ. **-წინდ-ი** გირაო, залог

არ მ ა წ კ ი ნ დ ი ქაგომინდუნუ I 49_{12} ერთი ბეჭედი დამეკარგა... ყუჯიში დოლოკიდალე უნონ, ხეში — ხუთი მ ა წ კ ი ნ დ ი I 132_{19} საყურე („ყურზე დასაკიდებელი") უნდა, ხელზე („ხელის") — ხუთი ბეჭედი... ბოზოს არ მ ა წ კ ი ნ დ ი ქომოძინ ხეს... ბოზოში მ ა წ კ ი ნ დ ი მოწკუ დო მუში მ ა წ კ ი ნ დ ი ხეს ქომოდუ II 35_{31} ქალს ერთი ბეჭედი აქვს წამოცმული — ხელზე... ქალს ბეჭედი წამოაძრო და თავისი ბეჭედი ხელზე წამოაცვა... ნიშანი ქონუჯღონუ: მ ა წ ი ნ დ ი... II 90_{24} ნიშანი გაუგზავნა: ბეჭედი... დერემენჯის არ მ ა წ ი ნ დ ი ქულუნ II 98_{30} მეწისქვილესაც ერთი ბეჭედი აქვს...

ძირეულია **-წინდ-**; ის საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჰანურისათვის, ოღონდ ამ ორ უკანასკნელში **წ-**ს შემდეგ განვითარებულია **-კ-**; ათინურ კილოკავში საერთო წესის თანახმად **წკ-** კომპლექსი

ვერა ძლებს: კ- ეკარგება; ამგვარად, ათინურში აღდგა ის კომპლექსი, რომელიც ქართულში გვაქვს და რომელიც წინათ ჰანურსა და მეგრულშიც უნდა გვქონოდა.

ϑა- თავსართი ჰანურსა და მეგრულში სამიმღეობო ჩანს. მეგრულში **-რ-** ფონეტიკური დანართია.

წ ი ნ დ-ს მეგრულსა და ჰანურშიც იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც ქართულში გვაქვს (წ ი ნ დ-ი, ს ა-წ ი ნ დ-არ-ი)... „ბეჭედი“ „მწინდავად“ მოგვეელინა, ალბათ, იმის გამო, რომ მას პატარძლის დასანიშნავად ხმარობდნენ. მიმღეობის ფორმაც ამან განსაზღვრა.

შეიძლებოდა მ ა რ- ცალკე ფუძედ გამოგვეყო, რომ ჰანურშიაც მ ა რ- გვქონოდა. მაშინ ეტიმოლოგიაც ერთგვარად შეიცვლებოდა.

56. ჰან. **ო-ცხ-ოჯ-**ი || **ო-ნ-ცხ-ოჯ-**ი — სავარცხელი,
|| „**ოცხეჯ-**ი“M — гребешок, расческа
მეგრ. **ო-რ-ცხ-ონჯ-**ი — „ „
ქართ. **სა-ვა-რ-ცხ-ელ-**ი — „

ხოლო ო ც ხ ო ჯ ი (სუმ ოთხო) II $62_{ეს}$ კიდევ სავარცხელი (სამი ოთხი)...

ეს სახელი ნაზმნარია: მყოფადი დროის მიმღეობაა (იხ. **-ცხ-**): თავსართი **-ო-** ქართულ **სა-**ს შეესატყვისება; **-ოჯ-** ქართული **-არ-** სუფიქსის ეკვივალენტია; მეგრულში **ჯ-**ს წინ **ნ-**ა განვითარებული (ისევეა, როგორც ჰანურში **-ც-**ს წინ **ო-ნ-ცხ-ოჯ-** ვარიანტში).

ქართ. **-ვა-**ს შესახებ იხ. ზმნის ძირ **ცხ-**სთან.

VI

წყალი... ზღვა... მიწა... ძვა... თოკვლი... წვიმა...

1. წკარ-ი, წკა-ი, წარ-ი
2. ღალ-ი
3. რუბა, ორუბა
4. ტობა, ტიბა
5. ზღუა, ზოღა, ზუღა, მზოღა
6. ხინკ-ი
7. ზენ-ი
8. ლეტა
9. ქვა
10. მაფხა
11. თვირ-ი
12. მჯიმა
13. ჩხვაფა, მჩხვაფა, მჩხოფა
14. ყინ-ი, ცინ-ი, ინ-ი

1. ჰან. **წკ-არ-**ი ‖ **წკ-ა-**ი ‖ **წ-არ-**ი წყალი, вода
მეგრ. **წყ-არ-**ი „ „
ქართ. **წყ-ალ-**ი „
სვან. **ლი-ც** ‖ **ნი-ც** (?) „ „

მა მიძირამუნ წკარი, წიფურიში ქჲოქის გამულუნ I 120_{30} მე მინახავს წყალი, წიფლის ძირში გამოდის... ია წკაი შუფან I 120_{28} იმ წყალსა სმენ... ტუცა წკაის შექეი ქოდოლობღაფან I 143_{25} ცხელ წყალში შაჭარს ჩაყრიან... ყინი წკაის დოჩხიფან I 143_{33} ცივ წყალში გარეცხავენ... წკარითე ბგუბარე II 2_{30} წყლით მოვხარშავ... წკაი ჰექოლე მობუტალემთ II 58_{10} წყალს იქიდან გამოვუშვებთ... წკარ დომიფუნი-ა II 78_{18} წყალი ამიდუღეო.. წარ ამბინუ II 90_{33} წყალი მოწყურდა... წარი ქოგიღუნ! ა მციქა წარი ქომომჩი-ა II 90_{33} წყალი გაქვს! ცოტა წყალი მომეციო!.. არ თანექ წარი თორუმს II 104_{18} ერთი წყალს ზიდავს („ათრევს“)... ოშუმონი წკა(რ)ი ღალის რენ. ღალიში ქენარის გამულუნ წკარ-თოლი II 69_{3} სასმელი წყალი მდინარეშია. მდინარის ნაპირასაა წყარო...

წკაი მიიღება **რ**-ს დაკარგვით (ხმოვანთა შორის)... წარი ათინურსა და ართაშნულში გვაქვს: **წკ-** → **წ-**; წკარი ამოსავალია ჭანურისათვის: **წყ-** -- **წკ-** (იხ. ჰან. გრამ. ანალ. § 6 გ, გვ. 17). წკარ- ‖ წყარ- ზანურად გადაკეთებული ვარიანტია წყალ-ისა: განსხვავება მხოლოდ დეტერმინანტ-სუფიქსშია: **-ალ-** → **-არ-**...

ზანური კანონზომიერი შესატყვისი ქართ. წყარ- ფუძისა უნდა ყოფილიყო *ჰყორ-; მეგრულში დაცული ჰორ- — ჰოროფა[1] — „ხშირი ავდრები“ — ქართ. წყალ-ს უდრის, და, ამრიგად, ააშკარავებს, რომ ქართულში **ყ-** შემდეგაა განვითარებული: **წყ-ალ-** ← **წ-ალ-**...

---

[1] საწინააღმდეგო სიტყვაა გოლოფა — გვალვა („ჰოროფა“ — „წყალვა“)...

2. ჰან. **ღ-ალ-ი** ღელე, მდინარე, речка, река
მეგრ. **ღ-ალ-ი** || **ღ-ალ-გ** ღელე, ნაკადული, ручей, речка
ქართ. **ღ-ელ-ე** „კევი მცირე“ (ს ა ბ ა), лощина, балка

„ღ ა ლ ი შ ა იდი-ა, წკაიშა!“ ეშელის მუ უჩქინ, ღ ა ლ ი, წკაი?! I 11_4 „ღელისაკენ წადიო, წყლისაკენ!“ ვირმა რა იცის, ღელე, წყალი?!. ...გინძე ღ ა ლ ი-თი რენ, — ალაზანიში ღ ა ლ ი. ადა ღ ა ლ ი ქ კახეთი ოკორთუფს ორთა ჯერის I 29_{11} გრძელი მდინარეც არის — ალაზნის მდინარე. ეს მდინარე კახეთს ორად ყოფს... ეშშელი ღ ა ლ ი შ ა-ნა მეხთუ, მეხსუს კუჩხე გისთვინუ, — ეშშელი ღ ა ლ ი ს გოშვატუ. ღ ა ლ ი შ ენ მეხსუს ვა გამახთუ I 70_{18} ვირი რომ მდინარესთან (ღელესთან) მივიდა, განგებ ფეხი „დაიცდინა“, — ვირი ღელეში ჩავარდა. ღელიდან განზრახ არ გამოვიდა... „ჩხომი ღ ა ლ ი ს ჰოფი-ში, უწვი!“ II 6_{22} თევზი მდინარეში დავიჭირე-თქო, უთხარი... კაზეფე ქოძირუ ღ ა ლ ი შ ი ქენარის II 14_7 ბატები ნახა მდინარის ნაპირას...

ღ ა ლ- კანონზომიერი შესატყვისია ქართ. ღ ე ლ-ისა; მნიშვნელობაც არსებითად ერთია; ჰანურში ეს მნიშვნელობა გაფართოებულია: არა მხოლოდ „ღელეს“, არამედ, საერთოდ, „მდინარესაც“ ეს სახელი აღნიშნავს (ქართულმა ამავე მიზნით ხელოვნურად ნაწარმოები მ-დ ი ნ-ა რ-ე გამოიყენა — მიმღეობა ზმნისა — „დის“; შდრ. მ ც ე ნ ა რ ე)...

ღ ა ლ-ის მაგივრობას ათინურში რ უ ბ ა || ო რ უ ბ ა ეწევა (იხ.).

ღ ა ლ- ფუძე უნდა შედიოდეს სოფლის სახელში ღ ა ლ ტ ი ბ ა: ღ ა ლ-ტ ი ბ ა — „ღრმა მდინარე“, ღრმა „ხევი“: ხუშუტი რტუ ღ ა ლ ტ ი ბ ა ჭ ო შ ი ჩქინაფერი რეიზი I 46_{12} ხუშუტი იყო სოფელ ღალტიბის ცნობილი რეიზი... ქუჩქიტუ — ღ ა ლ ტ ი ბ ა შ ა-ნა ოხთიმუ-მოხთიმუს ჟურ დღა უნტუ I 47_{34} იცოდა, რომ ღალტიბაში მისვლა-მოსვლას ორი დღე უნდოდა...

3. ჰან. **რუბ-ა** || **ო-რუბ-ა** ხევი, მდინარე, овраг, ущелье, река
მეგრ. **რობ-უ** ხევი, овраг
ქართ. —

მა რ უ ბ ა შ ა გებულურ, ...რ უ ბ ა შ ა ჯ ე ფ თ ი II 110_1 მე მდინარესთან (ხევში) ჩავალ, მდინარესთან ჩავედი... ხოჯა... ჯ ო ნ ეს დო ო რ უ ბ ა ს გ ო ლ ის ქ ე კ უ ტ ო ჩ ეს II 89_{19} ხოჯა... წაიყვანეს და მდინარე-

ში, მორევში გადაისროლეს... ო რ უ ბ ა ს ხოჯა დიშქიდუ II 89_{24} მდინარეში ხოჯა დაიღრჩო... ო რ უ ბ ა ს დოვოშქიდით II 89_{28} მდინარეში დავაღრჩვეთ... მენდახთეს ო რ უ ბ ა ჩენარიშე. ო რ უ ბ ა ჩინარის იდუშუნეს... II 89_{35} წავიდნენ მდინარის ნაპირას. მდინარის ნაპირას იფიქრეს...

უთავსართო **რუბ-** ართაშნელის სიტყვახმარებას ახასიათებს; თავსართიან ო-რ უ ბ-ა-ს ათინური ტექსტები გვაძლევს.

მეგრ. რ ო ბ-უ იმავე ფუძეს წარმოგვიდგენს; ჰან. რ უ ბ-ში **უ ← ო ბ**-ს მეზობლობაში. მეგრულში ბოლოკიდური **-უ** შეიძლებოდა ისევ **ბ**-ს მეზობლობით ახსნილიყო (შდრ. **ტუბ-ო → ტუბ-უ**). თავსართი **ო-** ჰანურში იმაზე ღირებულებისა უნდა იყოს, როგორც ო ნ ტ უ ლ ე-ში (იხ.).

4.	ჰან.	**ტობ-ა , ტიბ-ა**	ტბა, გუბერა, ღრმა, озеро, пруд, глубокий
	მეგრ.	**ტობ-ა ‖ ტობ-ო**	ტბა, ღრმა, озеро, глубокий
	ქართ.	**ტბ-ა — ტაბ-ა**	озеро
	სვან.	**ტუბ-ა**	» »

ოწედუ-სი, არ ტ ო ბ ა ქორენ II 135_{16} რომ შეხედა, ერთი ტბა არის... ტ ო ბ ა ს გოკაპინი-შ-კულე-და, ხოლო გამახთი... II 33_{3} მორევში (ღრმა ადგილას მდინარეში) რომ გადაგაგდეო, იმის შემდეგ კიდევ გამოხვედი... ბოონი დო ტ ო ბ ა ს მეოკაპინი-ა II 33_{9} წავიყვანეო და ღრმა ადგილას გადავაგდეო... მუჰარებე პათ კორღონეფეკალა, ტ ი ბ ა ვოსქირინათ I 112_{16} ბრძოლა გამოვუცხადოთ კოღოებს, ტბები დავაშროთ... სო-თი ტ ი ბ ა გჲოლი-ნა ბძირათ, ვოსქირინათ I 112_{8} სადაც ღრმა გუბეს ვნახავთ, ამოვაშროთ...

ჰანურში ამოსავალია ტ ო ბ ა; ტ ი ბ ა ამისგანაა მიღებული ხოფურში: **ო → უ → ი**. მეგრ. ტ ო ბ ა იმეორებს ჰანურს. ტ ო ბ ა კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. ტ ა ბ-ა-ს, რომელიც საფუძვლად უდევს ტ ბ ა-ს და შენახულია ადგილის სახელში ტ ა ბ ა-ხ მ ე ლ ა.

ამგვარად, ირკვევა, რომ ბოლოკიდური **-ა** იმგვარი ღირებულების სუფიქსია, როგორიც ძ მ-ა-ში გვაქვს; ამ **-ა**-ს ზეგავლენით უნდა იყოს დაკარგული ფუძისეული **-ა** (ტ ა ბ ა - ხ მ ე ლ ა - ში **-ა**- ჯერ კიდევ შემონახულია. რატომ?).

სვან. **ტუბ**-ი ამავე ფუძის ზანური ვარიანტია, სწორედ ის, რომლისაგანაც ხოფ. ტ ი ბ- არის მიღებული.

მნიშვნელობის მიხედვით ამ სიტყვას მეგრულში ორი რისამე გადმოცემა უხდება; ესაა: ,,ტბა" და ,,ღრმა". ეს უკანასკნელი ჭანურსაც არ ეუცხოება (იხ. ბოლო მაგალითები და აგრეთვე ღალ-ტიბა — **ღალ**-ზე). ქართულში ამ ფუძესთან მხოლოდ ,,ტბის" აღნიშვნაა დაკავშირებული. ასევე უნდა ყოფილიყო ზანურშიც; თვისების აღნიშვნას (,,ღრმა") საგნის აღნიშვნა (,,ტბა") უსწრებს წინ და უდევს საფუძვლად ტაბ-ა || ტობ-ა ფუძეში.

5. ჭან. **ზღუა** || **ზოღა** || მ-**ზოღა** || **ზუღა** ზღვა, море
მეგრ. **ზღვა** „ „
ქართ. **ზღვა** „
სვან. **ძულ̇ჭა** „ „

არ ზღუაში ქენარიშა მეფთით II 19_3 ერთი ზღვის ნაპირას მიველით... თელი ზღუაქ გექოსუ II 17_{15} ყველა ზღვამ შთანთქა (,,აღგავა")... ზუღა დიდი ვა ენ, ზუღა ჭუტა ენ II 71_{34} ზღვა „დიდი" არ არის (ე. ი. არ ღელავს), ზღვა პატარაა... ზუღა პიჯიშა მედახთუ II 77_{19} ზღვის ნაპირისაკენ წავიდა... ბითთუნ ზოღას ოწკეს I 157_4 სულ ზღვას უყურებს... მზოღა ირდუ I 96_3 ზღვა აღელდა (,,გაიზარდა")... მზოღას მეშვატერენ I 94_{19} ზღვაში ჩავარდნილა...

ჭან. ზღუა ისეთს მიმართებაშია ქართ. (და მეგრ.) ზღვა-სთან, როგორშიაც მეგრ. რუო ქართ. რვა-სთან: უმარცვლო **უ**- მახვილის მატარებელი ხდება, სრულ ხმოვნადაა ქცეული. ზოღა და ზუღა-ვარიანტებში ხმოვანი **ღ**-ს წინ უსწრებს; მასთან ზოღა→ზუღა და არა პირუკუ (მ-ზოღა-ში თავკიდური **მ**- ფონეტიკური დანართია). ზოღ- || ზუღ- ამ სახელის ამოსავალ ძირეულ მასალად უნდა ვცნოთ; ამას სვან. ძუღუჭა-ც ადასტურებს; სვანურის ამ ნასესხებ სიტყვაში **ძ**-სა და **ღ**-ს შორის ხმოვანი შერჩენილა.

6. ჭან. **ხინჯ**-ი ხიდი, мост
მეგრ. **ხიდ**-ი || **ხინჯ**-ი „ „
ქართ. **ხიდ**-ი „

არ მთხა... ხინჯიშენ მიკიტუ-ში... I 74_{24} ერთი თხა... ხიდზე რომ გადიოდა... ჟუი-თი ხინჯიშენ მელეს I 74_{27} ორივე ხიდიდან გადავარდა... ხინჯიშენ მიკიტუ... I 8_{11} ხიდზე გადიოდა... დერეში ხინჯის მეახტათ-შ-კულე II 54_{10} მდინარის ხიდზე რომ გადახვალთ, შემდეგ...

ხ ი დ- საერთოა ჰანურისა, მეგრულისა და ქართულისათვის. სხვაობა ჰანურსა და მეგრულში (ნაწილობრივ) აიხსნება იმით, რომ ამ ფუძემ აქ ცვლილებები განიცადა: **დ → ჯ** და ამ უკანასკნელის წინ **-ნ-** განვითარდა ფონეტიკურად. მეგრულში ხ ი ნ ჯ-ი ზუგდიდურ-სამურზაყანულს ახასიათებს; შეიძლება სენაკურშიც ასევე ყოფილიყო და ქართულის ზეგავლენით იყოს დამკვიდრებული ხ ი დ-ე.

ნ. მ ა რ ს ხ ი ნ ჯ-ი „ხიდის“ მნიშვნელობით ნაჩვენები არა აქვს არც ხოფურისათვის, არც არქაბულისათვის (იხ. ჰან. გრამ., გვ. 232). ტექსტებით კი დასტურდება, რომ „ხიდისათვის“ ხ ი ნ ჯ-ს ხოფურიც ხმარობს და არქაბულიც.

ეს ჰანური სიტყვა საინტერესოა იმით, რომ მასში მოცემული **დ → ჯ**; ჰანური კილოკავები ამ შემთხვევაში ზუგდიდურ-სამურზაყანულს ხვდებიან.

7. ჰან **ზენ-**ი ვაკე, равнина
მეგრ. **რ-ზენ-**ი „ „
ქართ. —

ბრინჯი დუზლულეფეს ხაჩქუმან (ჩქუ ზ ე ნ ი-თი ბუწუმელთ; ზ ე ნ ი ს ხაჩქუმან ბრინჯი) II 60_7 ბრინჯს ვაკე-ადგილებში თესვენ (ჩვენ „ზენ“-საც ვიტყვით; „ზენ“-ზე თესვენ ბრინჯს)...

ზ ე ნ-ი ერთი იმ სახელთაგანია, რომელსაც გამოდევნის საფრთხე მოელის ნასესხები სიტყვისაგან (იხ. ზევით თურქ. დ უ ზ ლ უ ღ ი).

ნ. მ ა რ ს ათინურზე და ვიწურზე მითითებით მოჰყავს ზ ე ნ ი (იხ. ჰან. გრამ., გვ. 145). მაგრამ ეს სახელი არქაბულშიაც არაა გადაშენებული (იხ. ზევ. მაგალ.); სოფლის სახელი ჯ გ ი რ ჯ ა-ზ ე ნ-ი მოწმობს, რომ ეს სიტყვა ჰანურში ისევე იყო მკვიდრი, როგორც მეგრულში. ამ უკანასკნელში განვითარებულია თავკიდური **რ-**.

ქართულში ეს ფუძე არა ჩანს.

8. ჰან. **ლე-ტა** მიწა, земля
მეგრ. **ლე-ტა** ტალახი, грязь
ქართ. **ტალ-ახ-**ი „ „
სვან. **ტალ-ახ** „ „

ლ ე ტ ა ს ქოდიბლუ I 40_{11} მიწაზე დაცვივდა... ლ ე ტ ა-ნა ხაჩქუფან... I 63_{10} მიწას რომ ამუშავებენ (თოხნიან)... ალიქ ლ ე ტ ა ს

არ ჰიტა ჰუალი ჲოფშა ფაა ქოძირუ I 83_{12} ალიმ მიწაზე ერთი პატარა ტომარა, ფულით სავსე, იპოვა („ნახა")... ლეტაში მეტი მუთუ ვა ბძირი; არ ლეტა ქორტუ... ლეტა გამაფხაჩი დო არ ფაცხა დოპკოდი II 24_{21} მიწის მეტი ვერაფერი ვიპოვე: მხოლოდ მიწა („ერთი მიწა"-ღა) იყო... მიწა გამოვთოხნე და ერთი ფაცხა დავდგი („ავაგე")... ლეტა დონთხორუ II 32_{22} მიწა გათხარა.... არენდითე ლეტა ქეჰოფუდორენ II 51_{20} იჯარით აუღია მიწა... ბერჯი ქეფჰოფი, ლეტა მჰიფე დოპწოფხი II 104_{3} თოხი ავიღე, მიწა გავაფხვიერე („წვრილად გავაკეთე")...

ლე- თავსართი ჩანს: ქართული **ტალ**-ახ-ი (დასვან. ტალ-ა̈ხ) ამაში ეჭვს არ ტოვებს. ქართულის ჩვენებით ირკვევა, რომ ჭანურსა და მეგრულში ამ სიტყვას ბოლოკიდური **-ლ** მოკვეცილი აქვს; ლეტა —ლეტალ-...

მნიშვნელობის მხრივ განსხვავებაა მეგრულსა და ჭანურს შორის; „ტალახ-ის" აღნიშვნა მეორეული მოვლენა უნდა იყოს; „მიწა" „ტალახად" იქცა მეგრულში შეიძლება იმიტომ, რომ ძველად ჭაობიანი და ჭანჭრობიანი სამეგრელოს ნიადაგი ამისათვის რეალურ საფუძველს ქმნიდა. მნიშვნელობის დავიწროება ამგვარად აიხსნებოდა, მაგრამ, თუ ასეა, რატომ აღნიშნავს ქართულშიც ეს ძირი „ტალახს"?

აღსანიშნავია, რომ ჩაჩნურში ლატა „მიწას" ნიშნავს (იხ. Услар, Чеч. яз., გვ. 191; ირიბ ბრუნვებში **-ე-** აღდგება: ლეტინა, ლეტუო...); ჩაჩნურს მიწისათვის მეორე სახელიც აქვს: მუოხკ; ინგუშურშიც გვაქვს ლა̈ტა „მიწის" მნიშვნელობით (იხ. Malsaga, Рус.-ингуш. слов., გვ. 83).

9. ჭან.	**ქვ-ა̈—ქვ-ა̈ლ-**	ქვა, камень
მეგრ.	**ქუ-ა̈—ქუ-ა̈ლ-**	„ „
ქართ.	**ქვ-ა̈**	„

ჭეხრიქ ქვა გირუპტუ-ში... I 55_{21} ფეხრი რომ ქვას ეძებდა... ნა მეკიტუ კოჩი, თითო ქვა გეჩამტუ II 15_{15} რომ ჩაივლიდა კაცი, თითო ქვას დაკრავდა... ქვას აკნუ [ხე] — ალთუნ დივუ II 47_{16} ქვას წაავლო ხელი — ოქროდ იქცა... ქვაში იქომან II 74_{24} ქვისას აკეთებენ... გუში მქიი ქაგოშაიღი ქვაში ქენაეფეს I 139_{5} წმინდა ფქვილი („გულის ფქვილი") ამოვიღე წისქვილის ქვის კიდებიდან („ნაპირებიდან")... ქვაეფე რენ I 114_{19} ქვებია... დიდი ქვაეფე ქოგჲოჰინერენან I 118_{25} დიდი ქვები დაუდვიათ ზედ...

ჭანურსა და მეგრულში ამ სახელის ფუძეა **ქვ-ალ-** || **ქუ-ალ-**; ბოლოკიდური **-ლ-** მხოლოობითში დაკარგულია, მაგრამ მრავლობითში აღდგება; მეგრულში ეს **-ლ-** ცხადად ჩანს (**ქუალ-ეფ-ი**); ჭანურის ხოფურ კილოკავში **-ლ-** ხმოვნებს შორის იჩრდილება (მეტწილად); **იჩრდილეშა**, მაგრამ ის მაინც იგრძნობა სიტყვაში. ამიტომაა მრავლობითის **-ეფ-** სუფიქსი სრულად რომ გვაქვს; ქვა-ეფ-ე ისევე ინარჩუნებს **-ეფ-**ს, როგორც თანხმოვანზე დაბოლოებული ყველა სხვა ფუძე.

განსხვავება მეგრულსა და ჭანურს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მეგრულში **-უ-** სრული ხმოვანია, — **ქუა-** მახვილს ატარებს, ჭანურში კი ქართულის მსგავსად ნახევარხმოვანი **-უ-** გვაქვს.

ქართულში ფუძის სრულ სახედ ქვ-ავ- უნდა მივიჩნიოთ: გა-**ქვ-ავ**-დ-ა, ჩა-**ქვ-ავ**-ებ-ა... — ამ ფუძეს ააშკარავებენ.

ამისდა კვალად, განსხვავება ქართულსა და ზანურს შორის დეტერმინანტ-სუფიქსშია: ქართულში **-ავ-**აა, ზანურში **-ალ-**; მორფოლოგიურად ესენი ერთმანეთს შეესატყვისებიან.

10. ჭან.	**მა-ფხ-ა**	დარი, ясная погода, „ясное небо“
მეგრ.	**ზა-რ-ხ-ულ-**ი	ზაფხული, лето
ქართ.	**ზა-ფხ-ულ-**ი	лето
სვან.	**მა-ფხ-ა**	მოწმენდილი ცა, ясное небо

ტაონი მაფხა ივასენ II 70_{23} დარი იქნება („ამინდი კარგი იქნება“, „ამინდი მოწმენდილი იქნება“)...

როგორც სამართლიანად აქვს შენიშნული პ. ჭარაიას, ქართ. ზაფხულ-ი, სვან. ლუფხუ, მეგრ. ზარხულ-ი, ბზარხულ-ი, აფხ. აფხგნ ერთმანეთს უკავშირდება (იხ. „Об отношении абхазского языка к яфетическим“, გვ. 35—37). **ზა-, ლუ-, მა-**[1] ძირეულ კუთვნილებას არ უნდა შეადგენდეს; ძირად **ფხგ-** || **ფხუ-**ს მიჩნევა გაზუსტებას საჭიროებს: **-ულ-** ქართულსა და მეგრულში, **-უ** — სვანურში დეტერმინანტი-სუფიქსებია.

სვანური **მა-ფხ-ა** იმეორებს ჭან. მა-ფხ-ა-ს მნიშვნელობითაც და აგებულებითაც.

[1] კერძოდ **ზა-** შესაძლოა ცალკე ძირი იყოს (სვან. ზა „წელიწადს“ რომ ნიშნავს, ეგეც **ზა-** უნდა იყოს).

ნ. მარი ზაფხულ-ს ყოფს **ზაფ-ხულ**-ად (იქვე, სარედაქციო შენიშვნებში); ასეთი დანაწევრება უმართებულოა.

საინტერესოა, რომ ჩაჩნურში **-ოვხუნ-** „თბილს" ნიშნავს.

11. ჭან. **თვირ**-ი ‖ **მ-თვირ**-ი ‖ **მ-თვი**-ი ‖ „**მთურ**-ი" M თოვლი, снег
მეგრ. **თირ**-ი " "
ქართ. **თოვ-ლ**-ი "

თვირი-თი ქოძინ II 78_{31} — 79_{1} თოვლიც ძევს... კიში ვულუნ' მთვირი მთვასენ II 24_{31} ზამთარი დადგება („მოვა"), თოვლს დადებს („მოსთოვს")... მთვირი ზოი-ზოი ომთუს ქოგჲოჭკერენ I 95_{19} თოვლს „ძლიერ თოვა დაუწყია"... მთვირი-ნა დომთუ... I 95_{17} თოვლი რომ დადო („თოვლი რომ დათოვა")... ჭიტა მთვი-თი დომთვერეტუ I 58_{25} ცოტა თოვლიც დაედო...

ჭანურისთვის ამოსავალია თვირ-ი; თავკიდური **მ-** განვითარებულია ფონეტიკურად; ხმოვნებს შორის **რ**-ს დაკარგვა გვაძლევს ეთვიი ვარიანტს... მთური ათინურისათვის მოჰყავს ნ. მარს: **ვი → უ**: მთვირ-ი → მთურ-ი.

მეგრ. თირ-ი შეიძლება ამ **უ**-ნიანი ვარიანტისაგან მიგვეღო, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ **ვი → ი**: თვირ-ი → თირ-ი.

ქართ. თოვ-ლ-ში **თოვ-** საერთოა სახელისა და ზმნისათვის: **თოვ**-ს — **თოვ-ლ-** (შდრ. **თეს**-ა — **თეს-ლ-**); **-ლ-** დეტერმინანტი-სუფიქსია. **-ოვ-** სუფიქსად რომ მიგვეჩნია, **თ-ოვ-** ზმნური ფუძე იქნებოდა, მაგრამ მისგან **-ლ-** სუფიქსის დართვით სუბსტანტივის მიღება გაჭირდებოდა.

12. ჭან. **მ-ჭიმა** წვიმა, дождь
მეგრ. **ჭვიმა** " "
ქართ. **წვიმა** "

არ ნდლას დიდო მჭიმა მჭიმუ I 32_{16} ერთ დღეს ბევრი იწვიმა... მაჟუანი დღას-თი ხოლო მჭიმა ქომოხთუ I 54_{22} მეორე დღესაც კიდევ წვიმა მოვიდა... მჭიმაქ დოხცინასენ. ენ კაი-ნა მჭიმას ნუხონდუნ, ვა ხცუნ, ჭუბრი ენ II 4_{13} წვიმა დაალპობს, ყველაზე მეტად რომ წვიმას უძლებს, არ ლპება, წაბლია...

წარმოშობით ეს სახელი მასდარია (იხ. **ჲიმ-** ზმნა). თავკიდური **ჲ-** ფონეტიკური დანართია. **ვი → ი** (მ-ჭვიმ-ა →მ-ჭიმ-ა); **ვი-** კომპლექსის ასეთი გამარტივება ხშირია ჰანურში.

13. ჰან. **ჩხ-ვაფ-ა** || **მ-ჩხ-ვაფ-ა** || **მ-ჩხ-ოფ-ა** ციებ-ცხელება, სიცხე, жара, лихорадка

მეგრ. **სი-ნ-ჩხ-ე** „ „ —

ქართ. **სი-ცხ-ე** „

ანდღა დიდო ჩხვაფა რენ II 69_6 დღეს ძალიან ცხელა... გზას დიდო მჩხვაფა იყვეენ I 119_{16} გზაზე დიდი სიცხე ყოფილა... მჩხოფა დიდო პატი ძაბუნობარენ I 112_3 ციება ძალიან ცუდი ავადმყოფობაა... მჩხოფაში ენ კაი ჭამი ხინა რენ I 112_{13} ციების საუკეთესო წამალი ქინაქინაა... ჰექ მჩხოფა ენ, ჰექ ვა ინჯირენ II 71_{33} იქ ცხელა („სიცხეა"), იქ დაძინება არ შეიძლება...

ძირეულია **-ცხ-** ქართულში, **-ჩხ-** ჰანურსა და მეგრულში; **-ოფ-** || **-ვაფ-** სუფიქსია (განყენებულობისა); ქართულში **სი- — —ე** ტიპის განყენებული ატრიბუტივი გვაქვს. მეგრული ქართულს მიჰყვება (შეესისებულია?!); **ჩ-**ს წინ **-ნ-** ფონეტიკური დანართია.

ეგეთი ძირი შეგვხვდება ატრიბუტივებში.

მეგრულში ეს ფუძე ქართულის მსგავსად „სიცხეს" აღნიშნავს, ჰანურში კი „სიცხესაც" და „ციებ-ცხელებასაც".

14. ჰან. **ყინ-ი** || **ჭინ-ი** || **ინ-ი** სიცივე, ცივი, холод, холодный

მეგრ. **ჭინ-ი** ყინვა, ცივი, мороз, холодный

ქართ. **ყინ-ულ-ი** || **ყინ-ელ-ი** (ძვ. ქართ.) мороз

ნე ყინი რენ, ნე ტუცა რენ I 19_{17} არც ცივა, არც ცხელა... აჲა სირთის ჯოხონს ყინი I 29_7 ამ გორას (მთას) ქვია ცივი... ყინი წკაი ქოშუ I 45_{30} ცივი წყალი დალია... ნოღაშა გეფთით ვარ-დო-ნი, ყინი ტიე I 90_8 ბაზარში (ქალაქში) რომ ჩავედით, სიცივე იყო... თილქი ჭინითე დოხოცქუდორენ II 11_{24} მელია სიცივით მომკვდარა... ჭინი ვა ცაფუნან ჰათეფეს II 74_{12} არ სცივათ ამათ („სიცივე არა აქვთ")... ყინი ორას ტუცა ოდას დოხედათე II 26_{13} ცივ ამინდში ცხელ ოთახში დასხდებით... კაზეფეს-თი ინი ავესდორენ II $14_{\text{ო}}$ ბატებსაც შესცივნიათ...

ყინ- || ცინ- ძირი საერთოა ქართულში, მეგრულსა და ჭანურში; ამ უკანასკნელში საერთო ნორმების თანახმად გვაქვს ყინ- ხოფურში, ცინ- || ინ- ვიწურ-არქაბულსა და ათინურში.

აღსანიშნავია, რომ ქართულში ეს ძირი დაირთავს დეტერმინანტ-სუფიქსებს: **-ულ**-ს ახ. ქართულში, **-ელ**-ს — ძვ. ქართულში. არც ჭანურში, არც მეგრულში შესაბამისი სუფიქსი არ გაგვაჩნია.

მნიშვნელობის მხრივ ყურადღებას იქცევს შემდეგი: ჭანურში ეს ძირი ატრიბუტივიცაა და სუბსტანტივიც; მეგრულში — თითქმის მხოლოდ სუბსტანტივია; ატრიბუტივის მნიშვნელობა ზოგს გამოთქმაში-ღა შერჩენია: ცინი წყარი — ცივი წყალი, ინჭა (ცინ-ჭა) — ჭა („ცივი ჭა")...

ქართულში ყინელ-ი || ყინულ-ი მხოლოდ სუბსტანტივია.

VII

დღე... ღამე... ცა... მნათობები... დღეების სახელები...

1. დღან-, ნდღა
2. სერ-ი
3. ჰუმან-ი, ოჰუმე, ჰუმენ, ჰუმე
4. ლუმჯუ, ლუმჯ-ი, ლიმჯ-ი
5. ღომან, ღომა
6. ორდო
7. მწკუფ-ი
8. თე
9. ცა
10. მჟორა, მჟოა, მჟურა, მჟუა, მჯორა, ბჟორა
11. თუთა
12. მურუცხ-ი
13. წანა, წო
14. სთველ-ი
15. მჟაჩხა, ბჟაჩხა
16. თუთაჩხა
17. ჯუმაჩხა
18. ცაჩხა, ჩაჩხა, საჩხა
19. ობიჩხა, ობიშხა
20. გუმათუთა, გუმა, გიმუა

1. ჰან. **დღ-ა** (← **დღ-ალ-**) ‖ **ნ-დღ-ა** დღე, день
მეგრ. **დღ-ა** (← **დღ-ალ-**) ,, ,,
ქართ. **დღ-ე** (← **დღ-ევ-** ‖ **დღ-ენ-**) ,,
სვან. **ლა-დეღ** ,, ,,

არ დღას დიდი ხოჯა სოთხანი იგზალეენ I 1_{13} ერთხელ (,,ერთ დღეს'') დიდი ხოჯა სადღაც წასულა... არ-ჟურ დღა'ჭკულე I 13_{6} ერთი ორი დღის შემდეგ... არ ნდღას დიდო მჭიმა მჭიმუ I 32_{16} ერთხელ (,,ერთ დღეს'') დიდი წვიმა მოვიდა... ნაკო ნდღა რე, ბათომის ბორჯი II 4_{25} რამდენი დღეა, ბათომში ვიყავ... ხუთ ნდღა დო ხუთ სერის გზას ბორტით II 52_{33} ხუთ დღესა და ღამეს გზაში ვიყავით... შქი'ნდღა დო შქით სერის დუგუნი დივუ II 39_{22} შვიდი დღე და შვიდი ღამე ქორწილი იყო... კატა'ნდღას კითხუმან... II 41_{35} ყოველ დღე კითხავენ... არ დღას დუჯოხუ II 13_{18} ერთ დღეს დაუძახა... დღალეფეში ჯოხოფენ I 160_{22} დღეების სახელებია... დღალეფე... II 77_{3} დღეები...

როგორც მრავლობითის წარმოება გვიჩვენებს, ამ სიტყვის ფუძე ჰანურსა (და მეგრულში) არის **დღ-ალ-**; **-ალ-** დეტერმინანტი-სუფიქსია[1]. **დღ-** იგივეა, რაც ქართულში. **-ალ-** დეტერმინანტს ქართულში შეესატყვისება **-ევ-** ‖ **-ენ-**: დღ-**ევ**-ან-დ-ელ-ი... ძვ. ქართ. დღ-**ენ**-დ-ელ-ი...

სვან. ლა-დეღ საგულისხმოა ტრის მხრივ: ჯერ ერთი, მას დაცული აქვს ნივთის კატეგორიის თავსართი **ლა-**; მეორეცაა და **დეღ-** ფუძეს ხმოვანი აქვს შენარჩუნებული (ალბათ, იმიტომ, რომ არ მოსდევს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, — თუმცა ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსისეულ ხმოვანსაც შეეძლო)...

სვან. **-დეღ-** გვაფიქრებინებს, რომ ქართულსა და ზანურშიც **დ**-სა და **ღ**-ს შორის ხმოვანი უნდა ყოფილიყო; იგი დაკარგულა დეტერმინანტ-სუფიქსთა — **-ალ-**, **-ევ-**, **-ენ-** — დართვისას არა მარტო ქართულში, არამედ ზანურშიც (რომლის წარმომადგენელ კილოებს ამჟამად ხმოვანთა რედუქცია ეუცხოებათ).

---

[1] გვაქვს **-ან-** სუფიქსიც (იხ. აქვე ქვემოთ ან-დღ-ან-ერ-ი)...

თუ სვან. **-დელ-** ქართულის კანონზომიერ შესატყვისია (და არა შეთვისებული ქართულიდან), ქართულისათვის მივიღებდით **დალ-ე** ფუძეს (სვან. **-ე-**, ქართ. **-ა-**); შესაბამისად ზანურში გვექნებოდა **დოლ-ა(ლ-)**...

აღსანიშნავია, რომ ჰანურ ნაწარმოებ ფუძეებში დეტერმინანტ-სუფიქსად **-ან-**იც გვაქვს: ან-დ ღ ა ნ-ერ-ი — დღევანდელი: ა ნ დ ღ ა ნ ე რ ი დულდა ჰუმენშა ვა ნაშქვა! I 54_1 დღევანდელი საქმე ხვალისთვის არ გადადო („არ მიუშვა", „არ მიატოვო")!...

დღა-დან ნაწარმოები ფუძეები:

ჰან-დღა II 1_{11} **ან-დღა** II 76_3, II 103_3... „**ჰამდღა**", „**ამდღა**" M დღეს, „ამ დღეს" (შდრ. „ამაღამ"), **ან-დღ-ან-ერ-ი** I 54_1 დღევანდელი...

ნ-დღ-ურ-ა: ნ დ ღ უ რ ა ამუს ვა მეჩუ ქიფიტი II 22_{25} წეღან ამას არ მისცა ასანთი... ნ-დ ღ უ რ ა-ს ვარიანტებია: **მდღუა**, **მდღოა**... მ დ ღ უ ა ნა-მექჩი ჩხომეფე, სო იღი? II 5_{34} წეღან რომ მოგეცი, თევზები, სად წაიღე?... ცალი გომაჭიმოშუ-ჲა. მ დ ღ ო ა-თი ჰაშო მ-ღუტუ-ი-ა? II 37_{36} ყელი მომეღრიცაო. წეღანაც ასე მჭონდაო?...

თავკიდური **მ-** || **ნ-** აქ ფონეტიკური დანართია.

ღღ-ალ-ეულ-ი: ჰელბეთ — ჰაქ ელეგიხერ — დ ღ ა ლ ე უ ლ ი მოჩათენ II 68_{19} აქ გვერდით გიზივარ — ალბათ, დღიურ [გასამრჯელოს] მომცემთ!... ორძო ნა-მოგიღი, არ დ ღ ა ლ ე უ ლ ი ჩქვა მომჩარე II 69_7 სკამი რომ მოგიტანე, ერთ დღიურ [გასამრჯელოს] კიდევ მომცემ...

ნ-დღ-ალ-ერ-ი || **ნ-დღ-ალ-ე-ი**: მან ნ დ ღ ა ლ ე რ ი ხუთ თუღულა ვა ეშამაღენ I 39_{14} მე დღისით ხუთ აგურს ვერ ავიტან... ია მა ოხოი ჩქიმის ნ დ ღ ა ლ ე ი ვა მაძიენ I 20_3 იმას მე ჩემ სახლში დღისით ვერ ვპოულობ... ნ დ ღ ა ლ ე ი-ნა ვა მულუნ II 144_{15} (ხოფ.) დღისით რომ არ მოდის...

ონ-დღ-ერ-ი || **ონ-დღ-ე**: ო ნ დ ღ ე რ ი ს ხოჯეფე ქონუშქუ II 5_{31} შუა დღეს ხარები გამოუშვა... ჰაწი ო ნ დ ღ ე რენ II 1_{12} ახლა შუადღეა...

გე-ნ-დღ-ან-ი „ზეგ": II 1_{16}, II 76_3... ჯ ე-ნ-დ ღ ა ნ-ი: II 103_9, II 111_{12}: ოჯუმეში უკაჩხენი ჯ ე ნ დ ღ ა ნ ი იენ—„ხვალის შემდეგ" („უკანა") ზეგ იქნება...

2. ჭან. **სერ**-ი || **სე**-ი — ღამე, ночь
მეგრ. **სერ**-ი — ,, ,,
ქართ. **სერ**-ობ-ა — ვახშმობა, „вечеря"

სი ს ე რ-ნა გოუფ, ია მა ოხოი ჩქიმის ნდღალეი ვა მაძიენ I 20_{2} შენ რომ ღამით ეძებ, იმას მე ჩემ სახლში დღისით ვერ ვპოულობ... ს ე რ ი შ გვერდის ომგარინუ ქეტრუხუ I 129_{29} შუაღამეს („ღამის შუაში") ატყდა ტირილი... ს ე რ ი დინჯირუ II 43_{14} ღამე დაიძინა... ს ე რ ი ქერვანეფე მოიტეს II 8_{33} ღამე ქარავანი („ქარავნები") მოდიოდა... ჰეჭ ქობორტით არ ს ე ი ს II 53_{26} იქ ვიყავით ერთი ღამე...

ეს ერთად-ერთი სიტყვაა ამ შინაარსის გადმოსაცემად ჭანურსა და მეგრულში; ქართულში ეს სიტყვა მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში გვაქვს, ისიც ძვ. ქართულში: ს ე რ ო ბ ა—ვახშმობა; „საიდუმლო სერობა" — ახალ აღთქმაში. ეს უფრო იმის მაჩვენებელია, რომ ძვ. ქართულში ეს სიტყვა ზანურიდანაა შეთვისებული, ვიდრე იმისა, რომ ქართულშიც ეგევე ფუძე იხმარებოდა.

თვით ჭანურსა და მეგრულში ღ ა მ ე- ფუძის შესატყვისი გვქონდა (იხ. **ღამან**-); შეუძლებელი არ არის ს ე რ- ფუძე ზანურში შეთვისებული იყოს; ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ხუნძ. ს ო რ დ რ „ღამე"; ეგევე ძირი სხვა კავკასიურ ენებშიც გვხვდება; ამაზე — სხვაგან.

სერ-თან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ:

ჰამ-სერ-ი || ა მ-ს ე რ-ი — მეგრ. ა მ-ს ე რ-ი — ამაღამ... ჰამსერი ჰაქ ჰოთელის ქოდოდგითით II 53_{34} ამაღამ აქ სასტუმროში დადექით... „სი ჰაქ მოთ ჯან ა მ ს ე რ ი?" II 9_{1} „შენ აქ რად წევხარ ამაღამ?"...

ჰამ-სენერ-ი — ამაღამდელი: ...სიჯას დაჭკინდუ ჰ ა მ ს ე ნ ე რ ი ხორონის II 67_{9} სიძე დაიღალა ამაღამდელს ცეკვაში...

სერი-ნდღალერ-ი — დღე და ღამ: ს ე რ ი-ნ დ ღ ა ლ ე რ ი ნჯირი ვა იქომს II 97_{3} „დღე-ღამ არ სძინავს" („ძილს არა იქმს")...

ტოქსე-ი || **ტოცხერ**-ი || **ტოცხე**-ი – ამას წინათ, წინა დღეებში:

„ვა გიჩქინან-ი, ტ ო ქ ს ე ი მამუდიში კულანი-ნა ხასანის მეჩეს?" I 134_{14} „არ იცით, რომ ამას წინათ მამუდის ქალიშვილი ხასანს მიათხოვეს?"... ტ ო ქ ს ე ე ფ ე ს დიდი დუგუნი ტუ I 134_{13} წინეებზე დიდი ქორწილი იყო... ტ ო ც ხ ე რ ი არ კოჩი... ქომოხთუ I 92_{22} ამას წინათ ერთი კაცი მოვიდა... ტ ო ც ხ ე ი მატოის ფორტოკალე ქომოვოკიდით I 94_{2} ამას წინათ ნავზე ფორთოხალი დავტვირთეთ...

3. ჰან. **ჰუმ-ან-ი || ო-ჰუმ-ე || ჰუმ-ენ- || ჰ ჳმ-ე** დილა, ხვალ, утро, завтра

მეგრ. **ო-ჰუმ-არ-ე; ჰუმ-ე || ჰუმ-ან-ი** „ „

ქართ. —

„ჰუმენ... თიკანი სქანი ქოპჭკომათ!“ I 8_{24} ხვალ... შენი ბატკანი შევჭამოთ!... „ჰუმენ ჰუმანიში დაჰა კაი იშთიათენ გაჭკომენ!“ I 65_{3} „ხვალ დილას კიდევ უფრო მადიანად შეჭამ!“... ჰუმანიშა ფარა მუში შუნტუ I 53_{1} დილამდის თავისი ფული ახსოვდა... კოჩიქ ჰუმანიში ორდო ქისელუ I 42_{6} კაცი დილით ადრე ადგა... საათი შქვითის ჰუმანიში ჲეისელთ I 124_{29} დილის შვიდ საათზე ვდგებით... ჟურ საათიშა ჰუმანინერი დერსეფე ჩქინი ვიგურაფთ I 124_{28} ორ საათამდის ხვალინდელ ჩვენს გაკვეთილებს ვსწავლობთ... ჰუმანი ჰუმანიშე მეჭთარე, ჰუმანი ლიმჯი მეჭთარე II 103_{3} ხვალ დილიდან მივალ, ხვალ საღამოს მიგვალ... ოჰუმე ჰუმანიში მა ბათომიშა ბიდარ. ოჰუმე ჲემა მა ბათომიშე მოფთარ... II 111_{8} (ართაშ.) ხვალ დილას მე ბათომში წავალ. ხვალ შუადღეს მე ბათომიდან მოვალ... ჰუმე ბელქი კაი ორა იცვასენ II 1_{11} ხვალ ეგების კარგი ამინდი იქნეს... ჰანდღა ჰუმანიშე მახოშ ქჲელაფთი II 1_{12} დღეს დილიდან მახოში ავედი... ჰუმე... ჰუმე ლუმჯი, ჰუმენ საბაჰთან II $76_{3,5}$ ხვალ... ხვალ საღამო, ხვალ დილით... „სი ჰანდღა ჰუმანი ბაზარიშე ვა იდი-ი?“ II 53_{14} „შენ დღეს დილას ბაზარში არ წახვედი?“... ჰუმანი დივუ-შ-კულე ონჯირეს ქეისელუ II 13_{24} დილა რომ გათენდა („რომ შეიქნა“), საწოლიდან ადგა... ჰუმანიშ უკულე მუ-თი ვა მიშკომაფუნ II 99_{13} დილას აქეთ („შემდეგ“) არაფერი მიჭამია... ოჰუმე ბიდათ ლივადიშა! II 116_{26} ხვალ წავიდეთ ყანაში...

ძირეულია **ჰუმ-**; მას ჰანურში ორგვარი დეტერმინანტი-სუფიქსი გააჩნია: **-ან-** და **-ენ-**; ჰუმ-ან- — „დილას“ აღნიშნავს; ჰუმ-ენ- — „ხვალე“-ს; ამ უკანასკნელს ხშირად ბოლოკიდური **-ნ-** მოკვეცილი აქვს (ჰუმ-ე); ჰუმ-ან-თან ამას ადგილი არა აქვს (**-ნ-**ს გამძლეობას შეიძლება ხელს უწყობდეს ის, რომ ეს სახელი იბრუნვის და **-ნ** ყოველთვის ბოლოკიდურ თანხმოვანს არ წარმოადგენს). ჰუმ-ე ო- თავსართითაც გვხვდება: **ო-ჰუმ-ე**...

ჰუმან-ისა და ჰუმენ- || ჰუმე-ს დიფერენციაცია რომ მეორეული მოვლენაა, ეს ჩანს ათინურიდან, სადაც ჰუმანი ჰუმა-

ნიშე (—„ხვალ დილიდან“ — იხ. აქვე ზემოთ) გამოთქმაში ერთი და იგივე ჰუმან- ფუძე აღნიშნავს „ხვალე“-საც და „დილა“-საც.

ამასვე მოწმობს ჰუმან-ინ-ერ-ი — „ხვალინდელი“ (იხ. აქვე ზემოთ მაგალითებში).

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მეგრულში „ხვალე“-ს მნიშვნელობით ზუგდ.-სამურზ. ჰუმან-ი გვაქვს, სენაკ. — ჰუმე; ხვალინდელი კი ყველგან — ჰუმენერ-ი-ა. მეგრ. ო-ჰუმ-არ-ე — „დილა“ ჰან. ო-ჰუმ-ე-ს მიჰყვება აგებულებით, ოღონდ აქ -არ- სუფიქსია „მეტი“: ო- — -არ-ე ტიპის წარმოება გვაქვს. „დილა“ და „ხვალე“ სხვა ენებშიაც არის ერთი და იმავე სიტყვით გადმოცემული; ასე, მაგ, რუს. завтра ← за утра, ე. ი. „დილის შემდეგ“; გერმ. der Morgen — დილა, morgen — ხვალ.

მნიშვნელობათა ერთნაირი განვითარება ამგვარ შემთხვევაში დამოუკიდებლივ ხდება და არავითარ გენეტურ ურთიერთობას არ მოასწავებს.

ქართულში **ჰუმ-** ძირი ან მისი შესატყვისი არა ჩანს.

4. ჰან. „ლუ-მჯ-უ“ M ‖ **ლუ-მჯ-**ი ‖ **ლი-მჯ-**ი საღამო, вечер
მეგრ. **ო-ნჯ-უ-ა** ,, ,,
ქართ. [-ძ-ინ-] [спать]

ლიმჯიში ქომოულუ I 36_{34} საღამოს მოვალ... ლიმჯიშ ოხორჯა გუიქთუ ყონაშე I 37_{15} საღამოს ცოლი დაბრუნდა ყანიდან.. ლუმჯი, ჰუმანი ჰაკუჭი გეჩამტუ II 13_{15} საღამოს, დილას ჩაქუჩს ურტყამდა... ოჭუმე ლიმჯი II 111_{9} ხვალ საღამოს... ჰუმე ლუმჯი II 76_{5} ხვალ საღამოს... ჰანდღა ლუმჯიში მახოშენ თხირნალიშა გელაფთარე II 1_{13} დღეს საღამოს მახოდან თხირნალს ჩავალ... ლუმჯუშე (ლუმჯიშე) დოთანაშა (ვიწ.)—საღამოდან დილამდის („გათენებამდის“)... (ნ. მარი, ჰან. გრ., გვ. 164).

ჰან. ლიმჯი უნდა მომდინარეობდეს ლუმჯუ-საგან. ათინურში **ლი-**ს ქონა დამაფიქრებელია, მაგრამ **ლი-** → **ლუ-**ს ვერ ვივარაუდებთ. მით უფრო, რომ ნასახ. ზმნაში **ლუ-** გვაქვს. ბოლოკიდურ **-უ-**ს სასარგებლოდ ლაპარაკობს მეგრ. ონჯუა-ს **-უ-**ც.

თავსართები **ლუ-** ‖ **ო-** ფუნქციით შეესატყვისებიან ერთმანეთს. მეგრ. **-ნ-**, ჰან **-მ-** ფონეტიკური დანართი უნდა იყოს. ამგვარად, ძირად ვიღებთ **ჯ-**ს: ეს იგივე ძირი უნდა იყოს, რაც ჯ-ან-ს,

ჯ-ი რ-ში — „წივს“, „ძილი“ — გვაქვს: ლ უ მ ჯ ი || ლ ი მ ჯ ი — მეგრ. ო ნ ჯ უ ა, მ ა - ი ნ ჯ - ე — „ძილის დრო“, „საძინებელი დრო“.

ამ სახელიდან იწარმოება ზმნა (იხ. **ლუმჯ-** ზმნებში).

ქართულში ეს ფუძე არა გვაქვს (თუ ძ ი ნ-ს არ დავუკავშირებთ)...

5. ჰან. **ღომ-ან || ღომ-ა** გუშინ, вчера
მეგრ. **ღუმ-ა** წუხელ, вчера ночью
ქართ. **ღამ-ე** ночь

ღ ო მ ა ნ ოხორის ფხეტი-ში̃... I 90_3 გუშინ შინ („სახლში“) რომ ვიჯექ... ღ ო მ ა ნ მელე შეკაფთამინტუ I 94_{21} გუშინ გაღმა გადასვლა მინდოდა... ღ ო მ ა ორა ყინი ტუ II 2_{22} გუშინ ციოდა („ამინდი ცივი იყო“)... სი ღ ო მ ა ნ ჰკომი... II 13_{12} შენ გუშინ ჭამე... ღ ო მ ა ნ კაი ორა ტუ II 1_{11} გუშინ კარგი ამინდი იყო... ღ ო მ ა, ღ ო მ ა ნ ე რ ი ოღინეში დღა II 76_4 გუშინ, გუშინის („გუშინდელის“) წინანდელი დღე... ღ ო მ ა ვარ... (ღ ო მ ა შ ი წოხლენერი) II 103_{10} გუშინ არა... (გუშინის წინანდელი)... ჰუჲ — ანდღა, წოხლე — ღ ო მ ა II 111_5 ახლა — დღეს, წინათ — გუშინ...

ღ ა მ ე-ს კანონზომიერი შესატყვისია ღ ო მ ა; ბოლოკიდური **-ა** დეტერმინანტი-სუფიქსის ნარჩენია; სრული სახით იყო ღ ო მ - ა ნ, რომელიც შენახულია ხოფურში (სპორადულად არქაბულშიც) და ნაწარმოებ ფუძეში ღ ო მ ა ნ - ე რ - ი — „გუშინდელი“.

ჰანური ღ ო მ ა-ს ვარიანტია ღ უ მ ა- მეგრული: **ო → უ** **მ**-ს მეზობლობაში.

ბოლოკიდური **-ნ** აღდგება მეგრულშიც ნაწარმოებ ფუძეში: ღ უ მ ა ნ ე რ - ი — „წუხანდელი“...

ჰანურისა და მეგრულის ჩვენებათა მიხედვით ქართული **ღამ-ე** ← **ღამ-ენ**... საინტერესოა ამ ფუძის მნიშვნელობათა ურთიერთობა: „ღამე“ — „წუხელ“ (მეგრ.) — „გუშინ“ (ჰან.). ამოსავალია ის მნიშვნელობა, რომელიც ამ ფუძეს ქართულში აქვს. მეგრულში „ღამის“ წარმოდგენა კიდევ გვაქვს, თუმცა „წინა დამეა“ ნაგულისხმევი. ჰანურში კი ის აღნიშნავს დღეს, რომელიც ამ ღამეს წინ უძღვის: „გუშინ“. ამ მხრივ ჰანურში ისეთივე სემასიოლოგიური გზაა გავლილი, როგორიც „ხვალე“-ს შემთხვევაში: „დილა“ — „ხვალე“ (იხ. **ჰუმან-**ი); „ღამე“ — „გუშინ“...

ასეთივე ვითარებაა სვანურშიც: ლ ე თ — ღამე, ლ ა თ შ — ღამით, ლ ა თ — გუშინ; ლ ე თ და ლ ა თ რომ ერთი და იგივე ფუძეა, ამას ლ ა თ შ — „ღამით“ — მოწმობს.

ასევე: რუს. вчера და вечер ერთმანეთთან ისეთსავე კავშირშია, როგორც утро და завтра.

ღომა || **ღომან**-ისაგან ნაწარმოები ფუძეებია:

ღომა-მ-ჯი — „წუხელ“; შედგება იგი ღ ო მ ა- და მ ჯ ი-საგან (იხ. **ლუ-მჯი**)... ღ ო მ ა მ ჯ ი-ნა მოხთუ, ლაპარდე ტუ I 97_{18} წუხელ რომ მოვიდა, ტყის კატა იყო... ღ ო მ ა მ ჯ ი ჯუმალეფე ჩქიმი მზოღაშა იდერეტეს I 156_{26} წუხელ ჩემი ძმები [სათევზაოდ] ზღვაზე წასულიყვნენ... ღ ო მ ა მ ჯ ი II 76_{5}... ღ ო მ ა მ ჯ ი მა დერეს კალმახა პჰოფი II 1_{15} წუხელ მე მდინარეში კალმახი ვიჭირე...

საინტერესოა, რომ მეგრულში ღ ო მ ა მ ჯ ი ღ უ მ ე ნ ჯ ი-ს სახით გვაქვს და ნიშნავს „გუშინ საღამოს“: ღ უ მ ა + ი ნ ჯ ი; აქ ღ უ მ ა მეგრულშიც ნიშნავს „გუშინ“-ს (როგორც ეს არის ჰანურში)...

ღ ო მ ა მ ჯ ი-ს გარდა ღ ო მ ა შედის **ღომა-სერ**-ში II 1_{16} (მეგრ. ღ უ მ ა - ს ე რ - ი —) „გუშ-ღამ“, წუხელ...

ღომან-ერ-ი — „გუშინდელი“ (მეგრ. ღ უ მ ა ნ - ე რ - ი — წუხანდელი)...

6. ჰან.	**ორდო**	адрe, мале, рано, скоро
მეგრ.	**ორდო**	დილა, утро
ქართ.	**ადრე**	рано

სკანიშენ ო რ დ ო ქომოხთუ II 32_{18} შენზე ადრე მოვიდა... ოხორჯა კოჩიშენ დაჰა ო რ დ ო ოხორიკელე იგზალუ I 42_{5} ქალი („ცოლი“) კაცზე ადრე წავიდა შინისკენ... კოჩიქ ჭუმანიში ო რ დ ო ქისელუ I 42_{6} კაცი დილით ადრე ადგა... ო რ დ ო მოხთი... II 85_{31} მალე მოდი... სი ჭარი დო ოკაჩხე ო რ დ ო ბიგზალარე... ჯანო ვა მოფთი, ო რ დ ო მოფთი II 113_{23} შენ წერე და მერე ადრე წავალ... გვიან არ მოვსულვარ („არ მოვედი“), ადრე მოვედი... ჭუჯ მოხთასერე ო რ დ ო შე II 103_{21} ახლა მოვა მალე („ადრითგან“)... ო რ დ ო მეხთი-ა I 126_{2} ადრე მოდიო... გჯაი ო რ დ ო მეჩი-ა... I 126_{12} საჭელი მალე (ადრე) აჭამეო...

ორდო ადრე-ს ეკვივალენტია; მხოლოდ ბოლოკიდური **-ო** არ იყო მოსალოდნელი: უნდა გვქონოდა *ოდრა→ორდა... **-დრ-→ -რდ-** მეგრულისა და ჰანურისათვის ბუნებრივია.

მნიშვნელობა ჰანურშიც ისეთივეა, როგორც ქართულში: ,,ადრე''. მეგრულში კი ორდო ,,დილას'' ნიშნავს; ამ მნიშვნელობით ორდო-ს გამოყენება მეგრულში მეორეული მოვლენა უნდა იყოს (ახლაც იხმარება ო-ჭუმარ-ე **ჭუმ-** ძირისაგან ნაწარმოები და ეს არის ძირითადი სიტყვა ჰანურისათვისაც და მეგრულისათვისაც; იხ. **ჭუმან-**). ადრე და ორდო- რომ კავშირშია ერთმანეთთან, ეს აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს (მეგრ. გრამ., ლექსიკ., გვ. 294).

7. ჰან. **მ-წკ-უფ-ი** || **მ-წუფ-ი** ბნელი, წყვდიადი, темнота, мрак
მეგრ. —
ქართ. **წყვ-დ-ი-ად-ი** || ძვ. ქართ. **წყუ-დ-ი-ად-ი** ,, ,,

,,მწკუფის გალენ-ი ეკულე?'' I 121_{25} ბნელში შეძლებ წასვლას?... საბახთან მწკუფითე... ეშელუ II 32_{31} დილას სიბნელით (ჯერ... კიდევ რომ ბნელოდა, ისე) ...ამოვიდა... დოთანუ. ჭუმანიში მწუფითე მოვისელით II 104_{23} გათენდა. დილას ჯერ კიდევ სიბნელეში ავდექით...

ძირეული მასალა ჰანურში **წკ-** უნდა იყოს; **-უფ-** სუფიქსი ჩანს. თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია. მწუფ-ი ათინური ვარიანტია.

ეს **წკ-** იგივე უნდა იყოს, რაც ქართ. **წყვ-** წყვ-დიად-ში რომ გვაქვს (წყვ-დიად-ი ← წყვ-დ-ივ-ად-ი ← წყუ-ედ-ივ-ად-ი?).

მეგრულში შესაბამისი ფუძე არა ჩანს. ,,სიბნელე'' მეგრულად -უკ(უ)მელა''-დ ითქმის; იხ. საბა: ,,უკუნი — ბნელი წყუდიადი''.

8. ჰან. **თ-ე** სინათლე, свет
მეგრ. **სი-ნ-თ-ე** || **სი-ნა-თ** ე ,, ,,
ქართ. **ნა-თ-ელ-ი** ,,

[ფაკლა]-ნა იღასინონ, კოჩი გალე გამულუნ დო ქიჯიტი გილუჩხანკეფს დო ექ ქონუდვინაფს. ეკულე ოხოი მუშიშა ნიტა-ში, გზას კაი თე აყვენ ე-დო ია თეთენ ოხოიშა ქომულუნ I 125_{14} ჩირაღ-

დანი რომ უნდა წაიღოს, [ის] კაცი გარეთ გამოვა და ასანთს გაკრავს და იქ მოუკიდებს. შემდეგ შინ (,,თავის **სახლში**'') რომ მიდიოდეს, გზაზე კარგი სინათლე ექნება და იმ სინათლით შინ (,,**სახლში**'') მოვა...

ნ. მარს მოჰყავს გამოთქმა თუთას-თე ,,მთვარის სინათლე'' (ხოფურსა და ათინურზე მითითებით), თუთაშ-თე—არქაბულზე მითითებით (ჭან. გრ., გვ. 166).

ფუძეა **თე**; მასში ძირეულია **თ**–; მეგრულში ამ **თ**-ს წინ **ნ**- არის ფონეტიკურად განვითარებული; სინათე ახალია; ესაა—ქართულიდან შეთვისებული, ოდნავ გამარტივებული სინათლე; სინ-თ-ე-ში **სი**- სინათე-ს ანალოგიით დართული უნდა იყოს: **ნ**- ფონეტიკურადაა განვითარებული და **თ-ე** ჭანურის **თ-ე**-ს ხვდება. თუ **სი**-ს განყენებულობის მაჩვენებელ აფიქსად მივიჩნევდით, მაშინ ბოლოსართი **-ე**-ც ამ წარმოების მონაწილე იქნებოდა: **სი**- — **-ე**. მაგრამ **-თ**- ხომ სუბსტანტივია და არა ატრიბუტივი! სუბსტანტივისაგან განყენებულობის საწარმოებლად **სი**- — **-ე** არ გამოდგებოდა.

თ- ძირი გვაქვს ქართ. ნა-**თ**-ელ-ში, მ**თ**იებ-ში, გან**თ**იად-ში. ეს უკანასკნელი მიღებულია **გან-თე-ად**-ისაგან: **გან-თე-ად**— **გან-თი-ად**: ერთშაფათსა მას მსთჳად განთიად მოვიდეს სამარესა მას (ადიშის ოთხთავი, ტაბ. 154ბ$_1$ ფოტოგამოცემისა). ეგეთი ძირი უნდა გვქონდეს **მ-თ-იებ**-ში, რომელიც ძველს ქართულში ,,ცისკრის ვარსკვლავს'' ნიშნავდა და ,,მანათობელს'', ,,გამჳენებელს'' [1] უდრის ეტიმოლოგიურად.

თე- სახელისაგან იწარმოება თ-ან- ზმნური ფუძე: დო-**თ-ან**-უ II 104$_{23}$ „გან-თ-ენ-ა''... (იხ. ზმნებში **თან**-).

9.	ჭან.	**ცა** ‖ **მ-ცა**	ცა, небо
	მეგრ.	**ცა**	„ „
	ქართ.	**ცა**	„
	სვან.	**დე-ც**	„ „

,,ბაშკაფე ქიმი ზოლაშ თუდე გულვან-ჲა, ქიმი—ცაში ჟინ! სი ნესირე-ჲენსურუ-ს ქოდოსქიდი-ა?'' I 122$_{17}$ სხვებიო ზოგი ზღვის ქვეშ დადიანო, ზოგი—ცის ზევით! შენ ნესირე-ჲენსურუს შერჩიო (,,ნესირე-ჲენსურუზე დარჩიო'')... ცას მენდოწკედუ-ნ, თუთა ჰქე ქოძი-

[1] მეგრ. „გ ე მ ა თ ა ნ ე მურიცხი''.

რუ, ცას ქონოჭაბუნ II 45_{13} ცას რომ შეხედა, მთვარე იქ ნახა, ცასაა მიკრული (,,მიწებებული'')... ცა მელამს, ბიმტათ! II 46_{8} ცა გვატყდება (,,ვარდება'') გავიქცეთ!.. მჯორა მცა ორენ (ონ) II 109_{27} მზე ცაზეა...

ეს ფუძე საერთოა ქართველური ენებისათვის: სვანურში მას ნივთის კატეგორიის თავსართი **დე-** შერჩენია. მაგრამ სვანური ,,ხუთშაბათის'' სახელში ცა-შ **ცა-** ფუძე-ს გვაძლევს უპრეფიქსოდ.

ნ. მარი ვარაუდობს, რომ ჩაჩხა-ში (,,ხუთშაბათი'', იხ. **ჩაჩხა**) შენახულია ზანური კანონზომიერი ეკვივალენტი **ჩა** (იხ. ჰან. გრ., გვ. 213); თუ ეს ასეა, მაშინ **ცა** ჰანურსა და მეგრულში ქართულიდან შესული აღმოჩნდებოდა; ჰან. **ჩა** კი დაკარგულად უნდა მიგვეჩნია. მაგრამ **ცა-** რომ ქართულიდან შეთვისებული არ უნდა იყოს, ამას სვან. დე-**ც** მოწმობს.

რაც შეეხება ჩა-ჩხა-ს, იგი ასიმილაციის გზით არის მიღებული ცა-ჩხა-საგან (შდრ. მეგრ. ცა-შხა) და **ჩა-**ს არსებობის დასადასტურებლად არ გამოდგება.

10. ჰან. **მჟ-ორ-ა** || **მჟ-ო-ა** || **მჟ-ურ-ა** || **მჟ-უ-ა** || **მჯ-ორ-ა** || „**ბუორა**“M მზე, солнце

მეგრ. **ბჟა** ,, ,,

ქართ **მზე** ,, ,,

სვან. **მიუ** ,, ,,

უწვეს-ქი ,,ჰენი დიდი მჟორა რენ!''. მენდახთუ მჟორაშე. მჟორაქ უწუ-ქი... II 42_{13} უთხრეს, რომ ,,ყველზე დიდი მზე არის!'' წავიდა მზესთან. მზემ უთხრა, რომ... მჟორას მენდებოწკედი-ში, დომაჩინდუ II 68_{21} მზეს რომ შევხედე, ცხვირს დამაცემინა... მჟორათე ვოხომინიფ-ჲა I 7_{29} მზეზე (,,მზით'') ვაშრობო (,,ვახმობო'')... [ჲაღი] მჟოას ქონუმფინერენ... [ჲაღი] მჟოას ქაგუინწკეენ I 119_{18} [ერბო] მზეზე ,,გაუფენია''... [ერბო] მზეზე გამდნარა (,,გახსნილა'')... ბურბუს, მჟურა-ნა გეხთას, ოფუთხინუ დო გჲარი ოგორუ უჩქინ I 112_{11} ღამურა, მზე რომ ჩავა, ფრენასა და საჭმლის ძებნას იწყებს (,,იცის'')... მჟუა ბირდენ-ბირე ქაგამახთუ I 76_{12} მზე მოულოდნელად გამოვიდა... მჟუაში თოლი გეხთუ-ვა-გეხთუ-

ჲა-ში I 52_{27} მზის თვალი ჩავიდა თუ არა... მჭუა-ნა ჯულუნ-კელენი... I 29_{26} აღმოსავლეთისა („მზე რომ ამოდის იმ მხრისა“)... მჯორა მცა ორენ II 109_{27} მზე ცაზე არის...

ჰანური ვარიანტებისათვის ამოსავალია **მუ-ორ-ა** || **მუ-ურ-ა**; ხმოვნებს შორის **რ**-ს დაკარგვით ვიღებთ **მუ-ო-ა** || **მუ-უ-ა**-ს; **უ-→ჯ-** ართაშნულში გვაქვს.

მუ-ორ-ა || **მუ-ურ-ა** ფუძეში ძირეულია **მუ-**; იგი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **მზ**-ს: **ორ-** || **-ურ-** სუფიქსს არც ქართულში გააჩნია შესატყვისი, არც მეგრულში და არც სვანურში... მაგრამ ჰანურში მზე მჟა-დაც რომ ითქმოდა (**-ორ-** || **-ურ-** სუფიქსების გარეშე), ამას ცხადყოფს კვირადღის სახელწოდება: **მჟა-ჩხა** || **ბჟა-ჩხა** (იხ.).

მეგრ. **ბჟა—მჟა** (შდრ. ჰან. მჟაჩხა || ბჟაჩხა).

სვან. **მიჟ** იმის მაჩვენებელია, რომ **მზ-** || **ბჟ-**ს ძირეულ თანხმოვანთა შორის ხმოვანი უნდა ყოფილიყო; ეს ხმოვანი მომდევნო სუფიქსეულ ხმოვანთა (**-ე,-ა,-ორ** || **-ურ**) ზეგავლენით დაკარგულია.

შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ. I, გვ. 116—120.

11. ჰან.	**თუ-თ-ა**	მთვარე, თვე, луна, месяц
მეგრ.	**თუ-თ-ა**	„ „ „ „
ქართ.	**თ-თ-უე** || **თჳ-თ-ე**	месяц (един. врем.)
სვან.	**დო-შდ-ულ**	луна

დელობა-ნა მიშუხთას, მჯვე თუთას იყვენ, არ თუთაშა იყვენ I 129_{18} სიგიჟე რომ მოუვლის, ძველ მთვარეზე იქნება, პირველ მთვარემდის იქნება... [მთუგი] დაული დო ზურნათე მენდახთუ... თუთაშე, თუთას უწუ-ქი... თუთაქ თქუ-ქი II $42_{21,23,24}$ თაგვი დოლითა და ზურნით წავიდა მთვარისაკენ, მთვარეს უთხრა, რომ .. მთვარემ თქვა, რომ... ჰა თუთა მელუდორენ-ჲა II 45_{3} ეს მთვარე ჩამოვარდნილაო... არ თუთა დივუ II 50_{5} ერთი თვე გავიდა („გახდა“, „შეიქნა“)... თუთაფე II 77_{5} თვეები... არ წანას ვითოჟურ თანე თუთა უღუნ. თუთაფეში ჯოხოფე რენ I 160_{18} ერთ წელიწადს თორმეტი თვე აქვს. თვეების სახელებია...

ძირეულია **-თ-**; ის დაცულია ქართულსა და მეგრულ-ჰანურში; სვანურში კანონზომიერად არის წარმოდგენილი **შდ-**თი; თავკიდური **თუ-** || **თ-** ზან. და ქართ.,—როგორც ამას სვანურთან შედარების საფუძველ-

ზე სამართლიანად ასკვნის ვ. თოფურია, ასიმილაციის შედეგადაა მიღებული **დუ-** || **დ**-სგან. ასე რომ, სვანურის მსგავსად ზანურსა და ქართულშიც **დუ-** გვქონდა—***დუ-თა** || ***დუ-თე**... ეს **დუ-** ნივთის კატეგორიის თავსართია (შდრ. **დუ**-ცხუ, **დი**-შქა, **დი**-ცხირ-ი...).

ძირეული **-თ-** იგივე უნდა იყოს, რაც **თ-ე**-ში გვქონდა („სინათლე"): **თ**-ან-უ — გან-**თ**-ენ-ა... აქედანვე: მ-**თ**-ოვ-არ-ე —მანათობელი.

ამ სახელის შესახებ იხ. ნ. მარი, Др.-груз. сл., გვ. 10; Опред. Ах., გვ. 64; ვ. თოფურია, ფონეტ. დაკვირვებ. I, მამომხ., გვ. 216—219; ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერ. ისტ. I (1928), გვ. 122—124; ი. ყიფშიძე, „ასიმილ. და დისიმილ.", ტფ. უნივ. მოამბე I, გვ. 3.

12. ჭან. **მურუცხ-ი** || **მურუნცხ-ი** || **მურუნცხა** ვარსკვლავი, звезда
მეგრ. **მურიცხ-ი** „ „
ქართ. —

„მუჭო გეფუთხუნ ჟინდოლენ დო მურუცხეფე'სთერი დოლოქუნის გემაბლენან!" მუჭამედიქ ხე ქაგონთხუ მსქვა მურუცხი ოჭოფინუშენი. მურუცხი მუჭამედიში ხეს გჲოლუ დო ხე დუშოლუ I 102_{20} „როგორ მოფრინავენ ზემოდან [1] და ვარსკვლავებივით ტანისამოსზე მაცვივიან!" მუჭამედმა ხელი გაშალა ლამაზი ვარსკვლავის დასაჭერად. ვარსკვლავი მუჭამედის ხელზე დაეცა და ხელი დაუსველა..

ძირითადია ჭანურისათვის მურუცხ-ი; **ნ**-ს **ც**-ს წინ ფონეტიკური დანართია. მეგრული მურიცხ-ი ხვდება ჭანურ სათანადო სახელს, ოღონდ მეორე **უ→ი**: მურუცხ-ი→მურიცხ-ი...

ქართულში სათანადო ფუძე არა ჩანს. შდრ. ნ. მარი, Яфет. происх. арм. сл. margarey—пророк, ИАН 1909, გვ. 1158.

[1] ლაპარაკია თოვლის ფანტელის შესახებ.

13. ჭან. **წ-ან-ა** (|| **-წ-ო**) წელი, год
მეგრ. **წ-ან-ა** ;; ;;
ქართ. **წ-ელ-ი** ;;

არ ოშ წ ა ნ ა წოხ̌ე I 49_{23} ერთი ასი წლის წინათ... კათა წ ა ნ ა ს მუიტეს... I 32_{35} ყოველ წელიწადს მოდიოდენ... ოთხო-ხუთ წ ა ნ ა ს ჩილი ჩქიმიშ ოხორის ბორტი. სუმ წ ა ნ ა ს... ჩამჩირეს ბიჩალიშიდორენ II 23_{24} ოთხ-ხუთ წელიწადს ჩემი ცოლის სახლში ვიყავი. სამი წელი ოჩაჭჩირეში მიმუშავია... სუმ წ ა ნ ე რ ი I 29_{29} სამი წლის („წლიანი")... ვიტოთხო წ ა ნ ე რ ი რტუ I 48_{35} თოხმეტი წლისა იყო... ეჩი წ ა ნ ე რ ი II 23_{18} ოცი წლისა... ვიტოჟურ წ ა ნ ე რ ი დივუ II 33_{28} თორმეტი წლისა შეიქნა...

ძირი **წ**- საერთოა; დეტერმინანტი-სუფიქსები განსხვავებულია: ქართულში— **-ელ-**, ჭანურსა და მეგრულში **-ან-** (მას შემდეგ **-ა** აქვს დართული). აქ შესატყვისობა მხოლოდ ფუნქციონალურია.

ამავე ძირისაა:

ჭ ა მ **წო**—„წელს", მეგრ. **წი** || **წგ**:

ჭ ა მ წ ო ჯაზი დიდო მჩხვაფა რტუ II 111_{12} წელს („ამ წელს" ზაფხულში დიდი სიცხე იყო... ჭამწო[1] (|| მ წ ო) ოფშა კურაღი იუ II 103_{12} წელს ბევრი ჭერამი მოვიდა („იყო")...

ეს **წო** უნდა იყოს მიღებული **წუ**-საგან, რომელშიაც **-უ** დეტერმინანტი-სუფიქსია და ეტოლება ქართ. **-ელ-**ს (ბაღ-**უ**—ბეღ-**ელ-**)... ამ **უ**-ს **ი**-თ შეცვლამ მოგვცა მეგრ. **წი**—„წელს"...

გო-წო-ს—„შარშან", მეგრ. გო-**წო**-ს:

გ ო წ ო კიში დიდო ცინი რტუ II 111_{13} შარშან ზამთარში დიდი სიცივე იყო... გ ო წ ო ს მა სარფიშა ბიდი II 1_{14} შარშან მე სარფში წავედი...

წანას || **წანაშე**—„გაისას", მეგრ. წ ა ნ ა ს:

წ ა ნ ა ს მუჯო იასერე, ვა მიშქუნ II 103_{8} გაისას როგორი იქნება [მოსავალი], არ ვიცი... წ ა ნ ა შ ე მა მახოშა მოფთარე II 1_{15} გაისას მე მახოში მოვალ...

წანა-ალან-ი || წ ა ნ ა ღ ა ნ ი || წ ა ნ ა ნ ე—იანვარი (სიტყვა-სიტყვით: „ახალი წელი") II 77_{5}, 70_{24}, I 160_{12}, წ ა ნ ა ღ ა ნ ი I 160_{20}, წ ა ნ ა ნ ე („წანა აღნე") I 160_{17}...

---

[1] ასე ამბობს ათინელი და ართაშნელი. ვიწელი ხმაროობს ამ წ ა ნ ა ს II 1_{14}.

14. ჰან. **სთვ-ელ**-ი „სთველი", „კრეფის დრო", შემოდგომა, осень, „время сбора" (плодов)

მეგრ. —

ქართ. **სთვ-ელ**-ი „შემოდგომა, გინა ყურძნის მოკრეფა" (ს ა ბ ა)

ს თ ვ ე ლ ი ს ხარმანი პტახუფთ I 135_8 „სთველში" სიმინდსა ეტეხთ... ია აწი ქომიკულუნ ს თ ვ ე ლ ი ს I 154_{20} ის [ფრინველი] ახლა გამოივლის „სთველში"... ს თ ვ ე ლ ი ჰემუშენი უწუმელან— მთელი დიჩოდუ: მცხული გოისთველუ, ფავრი გოისთველუ... მუთხანი-ნა დიბღენ, მთელიშენ ითქვენ—გოისთველუ II 77_{9-12} „სთველს" იმიტომ ეტყვიან—ყველაფერი გათავდა: მსხალი დაიკრიფა („დაცვივდა"), ფოთოლი დაცვივდა... რაც კი შეიძლება დაცვივდეს, ყველაფრის შესახებ ითქმის „გაისთველაო"... იფთე ს თ ვ ე ლ ი, ორთა ს თ ვ ე ლ ი, სოღუნ ს თ ვ ე ლ ი I 160_{12} წინა სთველი (სექტემბერი), შუა სთველი (ოქტომბერი), ბოლო სთველი (ნოემბერი)... ს თ ვ ე ლ ი I 160_{20} ნოემბერი... ჯაზი (ს თ ვ ე ლ ი დო) კიში I 160_{20} ზაფხული (შემოდგომა და) ზამთარი...

ძირეულია **სთვ-**; **-ელ-** დეტერმინანტი-სუფიქსია.

ეს ძირი ზმნაშიაც არის გამოყენებული (იხ. **სთვ-**).

ქართულსა და ჰანურში ს თ ვ-ე ლ-[1] ფუძე ერთნაირადაა წარმოდგენილი. მეგრულში ეს ფუძე არა ჩანს.

სთვ- ძირის ამოსავალი მნიშვნელობის შესახებ იხ. ზმნებში. **სთვ-**

ამჟამად ს თ ვ ე ლ ი ხან ნიშნავს ცალკე თვეს, სახელდობრ, ნოემბერს, ხან გაგებულია „კრეფის დროდ" და გულისხმობს სექტემბერს, ოქტომბერსა და ნოემბერს, ე. ი. შემოდგომას უდრის. მაინც ეს ახლაც „კრეფის დრო"-დ განიაზრება.

15. ჰან. **ბჟაჩხა** || **მჟაჩხა** კვირა (დღე), „მზის დღე", воскресение, „день солнца"

მეგრ. **ჟაშხა** „ „

ქართ. —

სვან. **მიშ-ლადელ** || **მგუელადელ** „ „

ბ ჟ ა ჩ ხ ა I 124_{21}, 160_{23}, II 76_{33}, 75_{35}, მ ჟ ა ჩ ხ ა II 77_3.

[1] ს თ ვ ე ლ-ის პარალელურად ქართულში რ თ ვ ე ლ-იც გვაქვს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ **ს-** || **რ-** ფორმანტია (შდრ. ს ძ ა ლ ი || რ ძ ა ლ ი, სძე || რძე...), მაშინ ძირეულად **-თვ-** გვექნებოდა. ამის უფრო დაწვრილებითს განხილვაში აქ არ შევალთ.

ბჟაჩხა მიღებულია მჟაჩხა-საგან; უკანასკნელი რთული ფუძეა და შედგება ,,მჟაშ'' და ,,დღა''-საგან- ,,მზის დღე''. ,,მზისა'' და ,,დღის'' წარმოდგენები რომ გაქრა, შემადგენელ ნაწილთა შეგნება დაიკარგა და გზა გაეხსნა ფონეტიკურ პროცესებს: მდღ→ჩხ: მჟაშდღა→მჟაჩხა. შუასაფეხური უნდა ყოფილიყო მჟაშხა: მჟაშდღა→მჟაშხა→მჟაჩხა... (შდრ. მეგრ. **შჳუ** – მსხვილი, ჭან. **მჩხუ**...).

ეს შუასაფეხური თავკიდურ **მ-** || **ბ**-ს დაკარგვით დღესაც მოეპოვება მეგრულს. ნ. მარი უმართებულოდ გამოჰყოფს დღეთა სახელებში **შხა** || **ჩხა**-ს (იხ. ჭან. გრამ., გვ. 141).

სვან. მგჟელადეღ-ში ყველაზე უფრო დაცულია ,,მზის დღე''; მიშლადეღ-ში კი **ჟ→შ**: მიჟლადეღ→მიშლადეღ...

ქართულს არ შეუნახავს ამ დღის ეს წარმართული სახელი, მაგრამ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ცოდნიათ, რომ ,,ქართულად შაბათისა სახელი არის კრონოსისა, **კვირიაკისა—მზისა** და საუფლო, ორშაბათისა—მთვარისა''... (საბა, იხ. **შაბათი**).

იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ. I, გვ. 108 137, განსაკუთ. 116—118.

16. ჭან. **თუთაჩხა** ორშაბათი, ,,მთვარის დღე'', ,,понедельник'', „день луны''

მეგრ. **თუთაშხა** ,, ,, ,,

ქართ. —

სვან. **დოშდრშ** (,,მთვარისა'') ,,

თუთაჩხა I 124_{21}, 160_{22}, II 75_{35}, 76_{33}, 77_{3}...

თუთაჩხაში დღას დუგუნი მიღუნ I 133_{3} ორშაბათ დღეს ქორწილი მაქვს... თუთაჩხაში ნდღას მოიყონათ, კაი ნდღა ენ I 132_{32} ორშაბათ დღეს მოვიყვანოთ, კარგი დღეა[1]...

მჟაჩხა (|| ბჟაჩხა)-ს მსგავსად თუთაჩხა მიღებულია თუთაშ დღა-საგან — „მთვარის დღე": თუთაშ დღა→თუთაშხა→თუთაჩხა.

მეორე საფეხური მეგრულში გვაქვს; ჭანურს მეტი ცვლილება განუცდია.

[1] სამეგრელოში, პირიქით, ორშაბათს ქორწილის გადახდას, გამგზავრებას ერიდებოდენ—კვიმატიაო!

სვან. დოშდიშ ზემოხსენებული რთული ფუძის პირველ ნაწილსღა შეიცავს: „მთვარისა“ (დღე).

ქართულში „შაბათ“-ზე დაფუძნებულმა სისტემამ გააქრო სათანადო სახელი, რომელიც ქართულს სხვა ქართველური ენების მსგავსად უთუოდ გააჩნდა (იხ. საბა: ორშაბათი — მთოვარის დღის სახელიაო—„შაბათ“-თან).

იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ. I, გვ. 122—124.

17. ჰან. **ჯუმაჩხა** (ოთხშაბათი, „ჯუმას დღე“, среда, „день джумы“

მეგრ. **ჯუმაშხა** „ „

ქართ. —

სვან. **ჯგმაშ** „ („ჯუმასი“) „

ჯუმაჩხა I 124_{21}, 160_{22}, II 75_{35}, 76_{33}, 77_{3}...

მჟაჩხა-ს და თუთაჩხა-ს მიჰყვება აგებულებით ჯუმაჩხა-ც: ჯუმაშ დღა→ჯუმაშხა→ჯუმაჩხა—„ჯუმას დღე“.

სვანურში წარმოდგენილია პირველი ნაწილი: ჯგმაშ. ეს სახელი ქართულში ამჟამად არა გვაქვს.

18. ჰან. **ცაჩხა** ‖ „ჩაჩხა“ M ‖ **საჩხა** ხუთშაბათი, „ცის დღე“, чцтверг, „день неба“

მეგრ. **ცაშხა** „ „ „

ქართ.

სვან. **ცაშ** „ („ცისა“) „

ცაჩხა II 75_{35}, 77_{3}, საჩხა II 76_{34}... ცაჩხაში ნდღას დუღუნი პათენ II 64_{12} ხუთშაბათ დღეს ქორწილი ვქნათ[1]...

ცაჩხა ნიშნავს „ცის დღეს“ და მიღებულია ცაშ დღა-საგან: ცაშ დღა→ცაშხა→ცაჩხა.

ც-ს **ჩ**-სთან ასიმილაციამ შოგვცა ჩაჩხა... საჩხა-ში კი **ც**-აფრიკატი სპირანტ **ს**-თია შეცვლილი (დეზაფრიკაცია!). საჩხა მხოლოდ ერთხელ გვაქვს დადასტურებული.

[1] სამეგრელოშიც ეს დღე წინათ პატარძლის მოსაყვანად მოხერხებულ დღედ ითვლებოდა.

სვანურში ამ რთული ფუძის მხოლოდ პირველი ნაწილია წარმოდგენილი (შდრ. ჯგმაშ, დოშდიშ).

ხოფურში ცაჩხა-ს ნაცვლად უმქესერ-ი || უმქეს-ი იხმარება („უქმის ღამე"?, ე. ი. პარასკევის წინა დღე?)...

ივ. ჯავახიშვილის აზრით ცაჩხა-ში „ცა" ზეცას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ მნათობ აფროდიტეს: იხ. ქართ. ერ. ისტ., I, გვ. 129.

19. ჭან. **ობიშხა** || **ობიჩხა** პარასკევი, „ვობის დღე", пятница, „день Воб-а"

მეგრ. **ობიშხა** „ „ „

ქართ. —

სვან. **ფობიშ** || **ფებიშ** „ („ვობისა") „

ამჟამად ჭანურში ამ დღის სახელად ბერძ. პარასკე არის გაბატონებული; ეს ითქმის როგორც ხოფურის, ისე ვიწურ-არქაბულისა და ათინურის შესახებ: იხ. I 160_{22}, 124_{33}, II 75_{35}, 76_{34}, 77_{4} ... მაგრამ არქაბელ ლაზის ფშალთილულის მცხოვრებ ჰასან შალაფიშის თქმით „პარასკეს ნაცვლად ობიშხა ათინელებმა ძველად იცოდენო": იხ. II 77_{32}. სხვა არქაბელები ობიშხა-ს მეგრულად ოვლიდენ.

რა თქმა უნდა, როცა არქაბელი ათინურზე მიგვითითებს: „ეს სიტყვა იქ იცოდენო", ხოლო ათინელებისაგან ჩაწერილ ტექსტებში ეს სიტყვა არ ჩანს, ვალდებული ვართ, რომ ამგვარ ცნობას არ ვენდოთ. მაგრამ ათინური ტექსტები ისე მცირეა და ჭანური სოფლების მეტყველება იმდენად შეუსწავლელი, ხოლო ობიშხა || ობიჩხა თეორიულად იმდენად მოსალოდნელია ჭანურში, რომ ზემოხსენებულ ცნობას, რომელიც შემთხვევითი გამონათქვამის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაინც დავუთმეთ აქ ადგილი: საკმაოდ შესაძლებელია, რომ ეს სიტყვა არ იყოს დავიწყებული ჭანურ სოფლებში.

ხოლო რომ ის უნდა ყოფილიყო, ამაში ეჭვი არ გვეპარება: სვანურისა და მეგრულის ჩვენება ამ შემთხვევაში, სვანურის, მეგრულისა და ჭანურის ერთიანი ხაზი კვირის, ორშაბათის, ოთხშაბათისა და ხუთშაბათის სახელთა წარმოებაში ამის საწინდარია.

ამ რწმენას ერთგვარად ამტკიცებს ცნობა, მოწოდებული აფხაზეთის სოფ. შაწკვარაში ათინელ სადიკ ბუჩან-ოღლის მიერ: ობიშხა (ობიჩხა) ნანა იტუჲ II 107_{18} „ობიშხა"-ს („ობიჩხა"-ს) დედა

ამბობს-ო... ეს იყო პასუხი ჩემ კითხვაზე. იხმარება თუ არა „ობიშხა“...თუ არ ეს გარემოება,—ჩემ კითხვაზე მოაგონდა!—ამ ათინელის ჩვენებაში დადასტურებული იქნებოდა ზემოთ დასახელებული არქაბელის ცნობა: „ობიშხა ათინელებმა იცოდენო“...

20. ჰან. **გუმა-თუთა** || **გუმა** || **გიმუა** ოქტომბერი, „მკათათვე“, октябрь, „месяц жатвы“

მეგრ. **გიმა-თუთა** „ „

ქართ. **[მკათა-თვე]** ივლისი, июль

გ უ მ ა თ უ თ ა II 77_{7}, 75_{36}, გ უ მ ა II 1_{18}, გ ი მ უ ა I 160_{20}... გ უ მ ა თ უ თ ა ს ნ ჩ ხ ვ ა რ ი (!) ...ქურუმი გუმუმან II 77_{9} ოქტომბერში ღომსა მკიან...

გ უ მ ა თ უ თ ა სიტყვა-სიტყვით უდრის „მკის თვეს“... ძლმოსავლეთ საქართველოში, სადაც პურსა მკიან, „მკათათვე“ ივლისია, ჰანებთან და მეგრელებთან, რომლებიც ღომსა თესავენ, „მკათათვედ“ ოქტომბერი მოგვევლინა („მკათათვის“ ეს სახელი ფუნქციონალური სემანტიკის მშვენიერი ნიმუშია!).

მეგრ. გ ი მ ა←გ უ მ ა: უ→ი... **გიმ-** ვარიანტი ხოფურშიაც დასტურდება (იხ. ზემოთ მაგალითი).

საინტერესოა, რომ ვიწელებისაგან ჩაწერილ თვეთა სახელებში „სექტემბერს“ ჩ ხ ა ლ ვ ა ეწოდება: „კაკლის ჩამოფერთხვა“ (ჩვეულებრივ ს ტ ა რ ო შ ი ნ ა II 77_{7}, 76_{33} — იხმარება: „ჯვრის ხსენება“), „ნოემბრისათვის“ იხმარება წ ი ლ ვ ა „კრეფა“ (ნაყოფთა)... იხ. II 1_{18}: აღუსტოზ, ჩ ხ ა ლ ვ ა, გ უ მ ა, წ ი ლ ვ ა—აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი: „ჩამოფერთხვა“ (კაკლისა), „მკა“ (ღომისა), „კრეფა“ (ხილისა)...

VIII

რიცხვის სახელები...

1. **ართ-ი, არ, ცარ**: ართიკართი
2. **ჟურ, ჯურ, ჟუ-ი**: ვიტოჟურ, ჟურნეჩ, ჟუროშ, მაჟურან-ი, მაჟურა...
3. **სუმ-ი, შუმ**: ვიტოსუმ, სუმენეჩ-ი, სუმეჩდოვით-ი, სუმოშ-ი, მასუმან-ი, მასუმა...
4. **ოთხო**: ვიტოთხო, ოთხონეჩ-ი, ოთხოშ-ი, მაოთხან-ი, მაოთხა...
5. **ხუთ, ხუ**: ვიტოხუთ, მახუთან-ი...
6. **აშ-ი, ანშ-ი**: ვიტვაშ-ი, ვიტოაშ-ი, მაანშან-ი...
7. **შქით, შქვით**: ვიტოშქით, შქვითოშ-ი, მაშქვითან-ი...
8. **ოვრო, ცოვრო**: ვიტოვრო, მაოვრა...
9. **ჩხორო, ჩხოვრო**: ვიტონჩხორო, ვიტოჩხორო...
10. **ვით**...
11. **ეჩ-ი**: ეჩდოვით, ჟურნეჩდოვით...
12. **ოშ-ი**: ჟუროშ-ი, სუმოშ-ი, ოთხოშ-ი, ხუთოშ-ი, ვითოშ-ი...

1. ჭან. **არ-თ-ი || არ || ჭარ-** ერთი, один
მეგრ. **არ-თ-ი** „ „
ქართ. **ერ-თ-ი** „
სვან. **ეშხუ** „ „

ა რ თ ი ს დუკლამან, მაჟუანის მუძინამან II 63_{19} ერთს დაუკლე-ბენ, მეორეს მოუმატებენ... ა რ II 1_5, $107_{17,30}$, 109_9, 111_{16}, 101_{15}... ჭ ა რ II 138_{30} ... ა რ დღას I 1_{13} ერთხელ („ერთ დღეს“)... ა რ კოჩი I 5_{31} ერთი კაცი, ვიღაც კაცი... დაღის ა რ თილქი ქონარგუ I 45_1 ტყე-ში ერთი მელია შეხვდა... ბერეფე ა რ ი ოდაშა მინდიყონუ I 107_8 ბავშვები ერთ ოთახში წაიყვანა... ა რ ი ს-ნა ვა ახვენახ, ია დუ-ლდა სუმიქ ყვას-ნა, ...კოლაი იყვენ I 60_9 ერთს რომ არ შეუძლია [რისამე] გაკეთება, ის საქმე სამმა რომ ქნას, ...ადვილი იქნება... ა რ-და: აღნე ძიომელის ფარა მო გუწუმეთ-და I 13_{31} ერთიო: ახალ ნახულს (გაცნობილს) ფულს ნუ გამოართმევთო... შნძაგერექ ა რ თ ი-კ ა რ თ ი ს შეეფე ვა ოხმარაფას-ში, ვა იყვენ I 7_{27} მეზობლებმა ერთმანეთს რამეები („ნივთები“) არ ათხოვოს, არ შეიძლება... ა რ კოჩიქ თქუდორენ II 41_{10} ერთ კაცს უთქვამს... ა რ თ ი კ ა რ თ ი კ ა ლ ა ქარტალი დოჭარეს II 44_{23} ერთმანეთს („ერთმანეთთან“) ქაღალდი დაუწერეს (წერილობითი პირობა მისცეს)...

ა რ თ- ფუძე კანონზომიერად შეესატყვისება ე რ თ-ს; ჭანურში ჩვეულებრივ იხმარება ა რ- (შდრ. გურ. ე რ კ ა ც ს...) და ეს ჩვეუ-ლებრივია არა მარტო მაშინ, როცა „ერთი“ მსაზღვრელის როლ-ში გამოდის, არამედ მაშინაც კი, როცა დამოუკიდებლად არის ნა-ხმარი ამა თუ იმ ბრუნვაში...

ჭ ა რ ს. ჯ ი ქ ი ა ს მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში გვაქვს; თავკიდური ჭ- აბზაცის აღმნიშვნელია და ფონემის მნიშვნელობა არა აქვს.

ა რ თ ი კ ა რ თ-ში ა რ თ ი კ-←ა რ თ ი ქ—მოთხრობითშია აღებული (შდრ. ქართ. ე რ თ მ ან-ე რ თ ს; აგრეთვე: გურ. ე რ თ ქ ა მ ე თ ს, სადაც -ქ კვლავ ზანური მოთხრობითის ნიშანია).

ე რ-თ-ში -თ- ცალკე ფუძეს უნდა წარმოადგენდეს (იხ. ხუ-თ-ი).

2. ჰან.	**ჟურ** ‖ **ჯურ** ‖ **ჟუ-ი**	ორი,	два
მეგრ.	**ჟირ-ი**	,,	,,
ქართ.	**ორ-ი** ‖ **ო-ორ**		,,
სვან.	**ჲორ-ი**	,,	,,

ჟურ II 1_5, 101_{15}, 107_{30}... ჯურ II 107_{17}, 109_{10}, 138_{30}...

ეჭ ქამაფცხონტუთ-ჲა ჟური ხოლო I 6_{30} იქ შევხტებითო ორივე... „ჟურ მოთ მომჩაფ"-ჲა I 13_4 ორს რად მაძლევო... ჯიგეი ჟუი ენ: უჩა დო ხჩე I 159_{35} „ჯიგარი" ორია: შავი და თეთრი... ჟურითი... იდეს II 12_{31} ორივე წავიდა... ქოდოსჭუდუ ჯურ ჯუმა. ჰიმ ოშკურიში ჯურ თანე დოშინახუ II 123_3 დარჩა ორი ძმა. იმ ვაშლისა ორი ცალი შეინახა... ჯურ წანა ქუდოგუთუ II 129_1 ორ წელიწადს დადგა...

ჭანური და მეგრული ვარიანტებისათვის ამოსავალია ჟურ; აქედანაა მიღებული: მეგრ. ჟირ-ი—უ-ს ი-თ შეცვლით; ათინურსა და ართაშნულში ხმარებული ჯურ მოგვცა ჟ→ჯ; ხმოვნებს შორის **რ**-ს დაკარგვით ჟუ-ი←ჟურ-ი...

თავის მხრივ ჟურ მიღებულია ჲურ←ჲორ-ისაგან, რომელიც ამჟამად სვანურში გვხვდება. ქართულში თავკიდური ჲ- არა ჩანს—არც ძველსა და არც ახალს სალიტერატურო ქართულში, არც კილოებში, რამდენადაც ეს უკანასკნელები შესწავლილია.

მით უფრო საინტერესოა ინგილოურში დაცული ოორ და ბეჟრეჲ (=მეჲორეჲ): შენიერ ადგილში ოორ მეზებელ... ცხოვრობდა... ერ მეზებელ კევი ზომოჲთიან ესახლა, მეჟრეჲ—ქომოჲთიან (მ. ჯანაშვილი, საინგილო. ძვ. საქართვ. II, გვ. 203).

ეს ოორ უნდა მომდინარეობდეს ჲორ-ისაგან (ასიმილაცია ხმოვანთა ინგილოურში შორს მიდის!); ამას გვაფიქრებინებს მეჟრეჲ, სადაც საწარმოებელ აფიქსთა გამოყოფის შემდეგ გვრჩება -ჟრ-=ჲორ... ამგვარად: ჲორ- საფუძვლად უდევს ორ-ს, მეორდება სვანურში და ამოსავალია ზანური ჟურ-ისათვის.

ჟურ- ‖ **ჯურ-** გამოყენებულია ნაწარმოებ სახელებსა და კომპოზიტებში:

ვიტოჟურ II 1_6, 101_{16}, **ვიტოჯურ** II 111_{17}, 109_{11} „თორმეტი"...

ჟურნეჩი II 1_8, **ჟურენეჩ** II 101_{17}, 107_{17}, I $20_{9,11}$ ჯურენეჩ II 111_{18}, ჯურცეჩი II 135_8, 138_{18}, „ჟურეჩ" 107_{36} „ორმოცი"...

ჟუროშ I 39_{14} „ორასი“....

მაჟურანი, მაჟურა II 1_{3}, 36_{3}, 109_{12}, I 123_{28}... მაჭუან-ი I 123_{37}, 124_{30}, 124_{3}, II 38_{30}... მაჟუა II $91_{6,8,11}$ „მეორე“...

მაჟვარა I 124_{9}, მანჯურან-ი II 123_{29}, „მეორე“... მანჯურაფე II 133_{17}... „მეორენი“

3. ჰან.	**სუმ**-ი ‖ **შუმ**	სამი, три
მეგრ.	**სუმ**-ი ‖ **შუმ**-ი Evl	„ „
ქართ.	**სამ**-ი	„
სვან.	**სემ**-ი	„ „

სუმ I 122_{28}, II 1_{5}, 101_{15}, 109_{10}, 111_{16}, 138_{30}... ოკიკათეს დო სუმი-თ ხოლ' იმტეს II 46_{16} შეგროვდნენ და სამივე გაიქცნენ... სუმ არშინი ქომოვოგით-ჲა I 122_{28} სამი არშინი მოვიგეთ ამაზეო!..

ქართ. სამ-ის შესატყვისი უნდა ყოფილიყო შუმ-ი; ასეთი ვარიანტი მოჰყავს ნ. მარს (იხ. ჭან. გრ., გვ. 207); ტექსტებში ეს არსად არის დადასტურებული[1]. ევლია ჩელების ცნობით მეგრულში შუმ ყოფილა სამ-ისათვის ხმარებული (იხ. ს. ჯიქია, Georgica-Turcica, გვ. 114). თუ ეს შუმ-ი მართლა ისმოდა მეგრულში XVII საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ევლია ჩელები მოგზაურობდა, ჰანურშიც უნდა გვქონოდა იმ ხანებში შუმ-. სუმ-ი ქართულის გავლენით აიხსნებოდა მეგრულში. ჰანურში? მეჩვიდმეტე საუკუნიდან ქართული ჰანურ მეტყველებაზე გავლენას ძნელად თუ მოახდენდა: ჰანეთის მოსაზღვრე ქართულად მეტყველი მხარე გათურქების ობიექტი იყო და ასეთ პირობებში საეჭვოა, მას ჰანურში შუმ- სუმ-ად შეეცვალა. თუ შუმ- მაშინ იყო ხმარებაში, ცხადია, ის ახლაც უნდა იყოს ჰანურ სოფლებში ხმარებული. ასეთი რამ არც არის შეუძლებელი. დამაფიქრებელია ოღონდ ის, რომ სვანურში სემ-ი გვაქვს. ეს ხომ ქართულის გავლენას არ მიეწერება?!

ნაწარმოებ სახელებსა და კომპოზიტებში სუმ-ი გვაქვს:

ვიტოსუმ II 1_{6}, 101_{16}, 109_{11}, 111_{17} „ცამეტი“...

სუმენჩი II 1_{8}, 101_{18}, 111_{19}... სუმეჩი II 107_{31} „სამოცი“... სუმეჩდოვითი II 107_{31} სამოცდაათი...

---

[1] არ შეხვედრია ის ნ. მარსაც; იხ. ჰან. გრამ. § 34, გვ. 20; შუმ ნ. მარს სხვა ავტორის ცნობებზე დაყრდნობით მოჰყავს.

სუმოში „საძასი“...

მასუმანი II 1_{16}, 101_{23}, I $123_{29,35}$, 124_{2},... მასუშა II 109_{12}, I 94_{30} „მესამე“...

4. ჭან.	**ოთხო**	ოთხი, четыре	
მეგრ.	**ოთხ**-ი	„	„
ქართ.	**ოთხ**-ი		„
სვან.	**ფოშდხუ**	„	„

ოთხო II 1_{5}, 101_{15}, 109_{10}, 111_{16}...

ოთხ- საერთოა ქართულისა, ჭანურისა და მეგრულისათვის; სვანურში ის -ოშ დხ-ს გვაძლევს საერთო სვანური ნორმების მიხედვით; **ო**-ს წინ განვითარებულია **ფ**-; ბოლოკიდური **-ო** ჭანურში და **-უ** სვანურში ერთმანეთს უჭერს მხარს; მაგრამ არც ქართულსა და არც მეგრულში მისი ეკვივალენტი ან მაგიერი არა ჩანს (**-ო→-უ→-ი** და ეს უკანასკნელი აირია სახელობითის დაბოლოებაში?). ეს **-ო** ძირეული არ უნდა იყოს: ყოველ შემთხვევაში ჭანურ ნაწარმოებ სახელში მა-ოთხ-ან-**ო** არ ინახება (იხ. ქვემოთ).

ნაწარმოები ფუძეები და კომპოზიტები:

ვიტოთხო II 1_{6}, ვიტოოთხო 101_{16}, 109_{11}, 111_{17} „თოთხმეტი“...

ოთხო-ნ-ეჩი II 1_{9}, 101_{18}, 111_{19}, ოთხოეჩი II 111_{19}... **ოთხენეჩ** I $3_{6,8,9,13,21}$, II $7_{4,35}$ ოთხმოცი...

ოთხოში „ოთხასი“...

მაოთხანი II 1_{10}, 101_{23}, I $123_{28,29}$, 123_{3}, მაოთხა I 94_{31} „მეოთხე“...

5. ჭან.	**ხუთ-** ‖ **ხუ-**	ხუთი, пять	
მეგრ.	**ხუთ**-ი	„	„
ქართ.	**ხუთ**-ი		„
სვან.	**ფა-ხუიშდ**	„	„

ხუთ I 122_{27}, II 1_{5}, 101_{15}, $107_{17,30}$, 111_{16}...

ხუთ- ფუძე საერთოა ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის; სვანურში მას შეესატყვისება ხ უ ი შ დ ~ ხ უ შ დ; თავკიდური **უო-** კი უ ო შ თ ხ უ-ის ანალოგიითაა მიღებული. ხუთ-ში **-თ-** ცალკე ფუძეს უნდა წარმოადგენდეს (შდრ. ერ-თ- || არ-თ-). ტექსტებში **ხუ-**ც გვაქვს:

ხუ'ნდღა დივუ II 91_{25} ხუთი დღე გავიდა, „შეიქნა"... ხუ'ნდღა, ხუ სერის იხორონეს II 99_{31} ხუთი დღე, ხუთ დღეს იცეკვეს...

ნაწარმოები ფუძეები და კომპოზიტები:
ვიტოხუთ II 1_6, 101_{16}, 111_{17} „თხუთმეტი"...
მახუთანი I 123_{30}, 124_4, II 1_{10}, 101_{23} „მეხუთე"...

6. ჰან. **აშ-**ი || **ანშ-**ი — ექვსი, шесть
მეგრ. **ამშვ-**ი || „ფიშქუი" Evl. — „ „
ქართ. **ექვს-**ი — „
სვან. **უსგუა** — „ „

ა შ - ი II 1_5, $107_{17,30}$, 111_{16}, ა ნ შ-ი I 116_{22}, II 101_{15}...

ჰანურ ვარიანტებში დაკარგულია **-ვ-**: უნდა ყოფილიყო ა შ ვ- || ა ნ შ ვ-; ამაზე მიუთითებს მეგრ. ა მ შ ვ-ი... ჰანურის და მეგრულის ჩვენებას თუ ვერწმუნებით, ქართულში უნდა გვქონოდა ე ქ ს უ-ი; ამას შეესატყვისება ა შ ვ-ი: **ქს—შ** (შდრ. ქ ს ო ვ ს—ჰან. შ უ მ ს, მეგრ. შ უ ნ ს); **მ-** || **ნ-** ფონეტიკური დანართია... ა შ ვ-ის შესაბამისია სვან. უ ს გ უ ა. ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი ს მეგრულისათვის მოჰყავს ფ ი შ ქ უ ი (იხ. ს. ჯ ი ქ ი ა, Georgica-Turcica, გვ. 114); ამგვარი აღნაგობის გამართლება ძნელია. გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი.

ნაწარმოები ფუძეები და კომპოზიტები:
ვიტვაში II 1_6, ვ ი ტ ო ა შ II 111_{18}, ვ ი ტ ვ ა ნ შ-ი II 101_{16} „თექვსმეტი"...
მაანშან-ი I 123_{30}... მ ა ა შ ა ნ ი დღას II 52_{34} მეექვსე დღეს...

7. ჰან. **შქით-** || **შქვით-** — შვიდი, семь
მეგრ. **შქვით-**ი — „ „
ქართ. **შვიდ-**ი — „
სვან. **ი-შქუიდ** — „ „

შ ქ ი თ II 1_5, 101_{15}, $107_{17,30}$, 111_{16}...

შ ქ ვ ი თ-ი I 124_{29}, საათი შ ქ ვ ი თ ი ს — საათის შვიდზე... შ ქ ვ ი თ დღაშა I $122_{23,26}$ შვიდ დღემდის... აგრეთვე I 34_{38}, 32_{13}...

შ ვ ი დ- ფუძე კანონზომიერად არის წარმოდგენილი შ ქ ვ ი თ-ით მეგრულში და ნაწილობრივ ჭანურში (ხოფურ კილოკავში) (**შ-** → **შქ-**), ოღონდ ბოლოკიდური **-დ-** ყრუ მფშვინავი **-თ-**თია შეცვლილი (დაყრუება ბოლოს). შ ქ ი თ ← შ ქ ვ ი თ: **ვ**-ს დაკარგვის შედეგად (**-ქვი-** → **-ქი-**)...

სვან. **ი**-შ ქ უ ი დ-ში განსხვავებულია თავკიდური **ი-** (მოგვაგონებს **ი**-ს **ჲ-ორ-** || **უ-ურ** || **ჳ-ირ-**ში).

ნაწარმოებ ფუძეებსა და კომპოზიტებში:

ვიტოშქით II 1_{6}, 111_{18}, ვ ი ტ ო შ კ ი თ II 101_{17}, ვ ი ტ ე შ ქ ი თ II 109_{11} „ჩვიდმეტი“...

შქვითოში I 117_{4} „შვიდასი“...

მაშქვითანი I 123_{32} „მეშვიდე“... მ ა შ ქ ვ ი თ ა დღის I 95_{1} მეშვიდე დღეს...

8. ჭან.	**ოვრო** || **ღოვრო**	რვა,	восемь
მეგრ.	**რუო** || **ბრუო**	„	„
ქართ.	**რვა**		„
სვან.	**არა**	„	„

ო ვ რ ო II 1_{5}, 101_{15}, $107_{17,30}$, 111_{16}, I 122_{27}...

მეგრ. რ უ ო შეესატყვისება რ ვ ა-ს: **ვ** → **უ** (მახვილის მატარებელია), **-ა-** || **-ო**; ბ რ უ ო-ში **ბ-** ფონეტიკური დანართია.

ჭანური ო-ვ რ ო ← ო-რ ვ ო; ამ უკანასკნელში იგივე რ უ ო გვაქვს, რაც მეგრულში, ოღონდ **ვ-** მახვილის მატარებელი არაა და ეს იმიტომ, რომ მოიპოვება თავკიდური **ო-** : **ო**-ვრო; ამ **ო**-ს შესატყვისი არც ქართულს გააჩნია და არც მეგრულს; სვან. ა რ ა-ში მას თითქოს თავკიდური **ა-** ეტოლება. ამ თავკიდური **ა-** || **ო**-ს საკითხი გჲრკვევას მოითხოვს; ცხადია, ეს აფიქსები უნდა იყვნენ (არა ჩანს, რომ ანალოგიით იყონ მიღებული).

ნაწარმოებ ფუძეებსა და კომპოზიტებში:
ვიტოვრო II 1_{7}, 101_{17}, 111_{18}, 109_{12} თვრამეტი...
მაოვრა დღას I 95_{4} მერვე დღეს...

9. ჰან. **ჩხორო** || **ჩხოვრო** ცხრა, девять
მეგრ. **ჩხორო** „ „
ქართ. **ცხრა** „
სვან. **ჩხარა** „ „

ჩ ხ ო რ ო II 1_{3}, 101_{15}, $107_{17,30}$, 111_{17}... საათიშ ჩ ხ ო ვ რ ო ს ვინ-ჯირთ I 124_{29} საათის ცხრაზე ვწვებით... ჩ ხ ო ვ რ ო ოხორი II 20_{9} ცხრა მოსახლე („სახლი")...

ჩ ხ ო რ ო ც ხ რ ა-ს ეკვივალენტია, ოღონდ **ხ**-სა და **რ**-ს შორის **-ო-** გვავარაუდინებს ქართულისთვის **ა**-ს: ც ხ რ ა—ც ხ ა რ ა; ამას მხარს უჭერს სვან. ჩ ხ ა რ ა: ხმოვნებით იგი ქართულს მოგვაგონებს, თანხმოვნებით ზანურს.
ჩ ხ ო ვ რ ო-ში **-ვ-** ფონეტიკური დანართია (**ო**-ს შემდეგ).

ნაწარმოებ ფუძეებსა და კომპოზიტებში:
ვიტონჩხორო II 1_{7}, 111_{18}, **ვიტოჩხორო** II 111_{18} ცხრამეტი... ო თ ხ ე ნ ე ჩ დ ო ვ ი ტ ო ნ ჩ ხ ო რ ო II $7_{4,6,10,13}$ ოთხმოცდაცხრამეტი...

10. ჰან. **ვით** ათი, десять
მეგრ. **ვით-ი** „ „
ქართ. **ათ-ი** „
სვან. **ჲეშდ** „ „

ვ ი თ II 1_{3}, 101_{16}, $107_{17,30}$ 111_{17}...

ა თ-ის ზანური ეკვივალენტი უნდა ყოფილიყო **ოთ-**; შემდეგ: ო თ- —> უ თ- —> ვ ი თ-: ასე წარმოიდგინება ა თ-ის შესატყვისი ფუძის განვითარების გზა.
სვან. ჲ ე შ დ-ში **-შდ-** **თ**-ს გადმოგვცემს, **ე** — **ა**-ს, **ჲ**- ისეთივე თავსართია, როგორიც ჲ-ო რ-ში და **ი**-შ ქ უ ი დ-ში გვქონდა.

რიცხვით სახელებში 11-დან 20-მდის ვით ჩვეულებრივად ვიტ-ის სახით წარმოგვიდგება: ვიტვარ || ვიტოარ (←ვით-დო-არ), ვიტოჟურ (←ვით-დო-ჟურ), ვიტოსუმ (←ვით-დო-სუმ) და სხვ. იხ. II 1_6, 101_{16}, 111_{16}...

ამგვარად, მეგრული და ჭანური რიცხვის სახელების გადმოსაცემად ხმარობს გამოთქმებს: ათ-და-ერთი, ათ-და-ორი, ათ-და-სამი, ათ-და-ოთხი და სხვ.; ქართულში, როგორც ცნობილია, ოცამდის წარმოება „მეტ"- ფუძეს იყენებს: ათ-ერთ-მეტ-ი, ათ-ორ-მეტ-ი, ათ-სამ-მეტ-ი, ათ-ოთხ-მეტ-ი... ოცის შემდეგ ქართულიც ზანურის მსგავსად აწარმოებს: ოც-და-ერთი, ოც-და-ორი... ოც-და-ათი...

11.	ჭან.	**ეჩი || ჯეჩ**	ოცი, двадцать
	მეგრ.	**ეჩ-ი**	„ „
	ქართ.	**ოც-ი**	„
	სვან.	**ჲერვ-ეშდ**	„ „

ეჩ-ი II 1_7, 101_{17}, $107_{18,31}$, 111_{18}...

ეჩ- ჭანურსა და მეგრულში **ო**-ს **ვე**-დ დაშლითა და **ვ**-ს დაკარგვით უნდა იყოს მიღებული. ასეთი ვარაუდი ბუნებრივი იქნება, რადგანაც ეჩ- და ოც- ფუძეთა კავშირი ცხადია.

სვ. ჲერვ-ეშდ „ორ-ათს" ნიშნავს.

ეჩ-ისაგან იწარმოება: ჟურნეჩ-ი || ჟურენეჩ-ი, სუმენეჩ-ი || სუმეჩი, ოთხონეჩი || ოთხოეჩ-ი და სხვ. (იხ. ზევით: ჟურ, სუმ, ოთხო სთან).

ოცეულობითი თვლის სისტემა, რომელსაც ქართულსა და მეგრულ-ჭანურში ვპოულობთ, იწვევს იმასაც, რომ „ოცდაათი", „ორმოცდაათი", „სამოცდაათი", „ოთხმოცდაათიც" ამ ეჩ-ის გამოყენებით აიგება: ეჩდო-ვით—ოც-და-ათ, ჟურნეჩ-დო-ვით — ორ-მე-ოც-და-ათ-ი... აქ ქართულიც -და- კავშირს მიმართავს (შდრ. ვით-თან თქმული რიცხვის სახელების შესახებ).

12.	ჭან.	**ოშ-ი**	ასი, сто
	მეგრ.	**ოშ-ი**	„ „
	ქართ.	**ას-ი**	„
	სვან.	**ჳშ-ირ**	„ „

ოშ-ი II 1_9, 101_{19}, 107_{18}, 111_{20}... ოში საჯენი ქონუ II 99_{13} ასი საჟენი არის... ოში ლირა ქომომჩი II 7_3 ასი ლირა მომეცი...

ო შ- კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **ას**-ს. სვ. **აშ**-ირ- ხმოვანში ქართულს იმეორებს, თანხმოვანში—ზანურს (შდრ. ჩ ხ ა რ ა, სადაც ანალოგიური ვითარებაა).

ნაწარმოებ ფუძეთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ასეულების სახელები: **ჟუროშ**-ი, **სუმოშ**-ი II 105_{12}, **ოთხოშ**-ი II 105_{12}, **ხუთოშ**-ი II 63_{18}, **ანშოშ**-ი II 105_{12}, **შქითოშ**-ი II 51_{20}, **ოვროშ**-ი, **ჩხოროშ**-ი, **ვითოშ**-ი: ვ ი თ ო შ ი მჭითა ლირა მეფჩარე II 133_{33} ათას ოქროს ლირას („წითელ ლირას") მივცემ... ვითოში ლირა მემჩამ II $137_{11,15}$ ათას ლირას მივცემ...

ვ ი თ ო შ-ი ზუსტად გადმოგვცემს „ათ-ას"-ს... ჭანურში „ათასის" აღსანიშნავად იხმარება ბერძნულიდან შემოსული შ ი ლ ა ა, მაგრამ, როგორც ჩანს, აქა-იქ კიდევ შერჩენილა ჭანური ვ ი თ ო შ-ი; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მეგრულში მხოლოდ და მხოლოდ ა თ ა ს-ი || ა ნ თ ა ს-ი გვაქვს, ქართულიდან შესული: **ათ-ას**-ი.

IX

ნაცვალსახელები და წარმოების მიხედვით მათთან დაკავშირებული სიტყვები...

1. მა, მან
2. სი, სინ
3. ჩქუ, ჩქუნ, ჩქი, შქუ
4. თქვა, თქვან
5. ჩქიმ-ი, შქიმ-ი
6. სქან-ი, სკან-ი
7. ჩქუნ-ი, შქუნ-ი
8. თქვან-ი
9. მინ
10. მუ, მუნ, მუჲა
11. მუქ
12. ჰამ(უ), ჰაჲა, აჲა
13. ჰიმ(უ), ჰეჲა, ია
14. ჰათეფე, ჰამთეფე, ჰანთეფე, ანთეფე, ჰათე(რ)ე, ჰან-ი
15. ჰეთეფე, ჰემთეფე, ჰენთეფე, ენთეფე, ჰეთე(რ)ე, ჰინ-ი
16. ჰაქო, ჰაქ, ჰაჲ, აქ
17. ჰექო, ჰექ, ჰიქ, ექ
18. ნამუ, ნაჲა
19. ჰაშო, აშო
20. ჰეშო, ეშო
21. ხვალა

1. ჰან.	**მა** ‖ **მა-ნ**	მე, я
მეგრ.	**მა**	,, ,,
ქართ.	**მე** ‖ **მე-ნ** ‖ **მე-ნა**	,,
სვან.	**მი**	,, ,,

შენიშვნა: ეს და აგრეთვე სხვა ქვემოთ მოყვანილი ნაცვალსახელების შედგენილობა და ზოგადი ანალიზი მეგრულთან და ქართულთან შედარებით მოცემულია ავტორის „ჰანურის გრამატ. ანალიზში" (§ 19, გვ. 72—85). რადგანაც ეს ლექსიკონი იმ ნარკვევის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, უხერხულად ვცანით იქ თქმული აქ გაგვემეორებინა.

ნაცვალსახელების (და წარმოებით მათთან დაკავშირებული სიტყვების) ისტორიულ-შედარებითი შესწავლა სვანურისა და ზოგი კავკასიური მთის ენის მასალათა ფართოდ გამოყენების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ამ საკითხის მონოგრაფიული დამუშავება ცალკე იქნება მოცემული.

2. ჰან.	**სი** ‖ **სი-ნ**	შენ, ты
მეგრ.	**სი**	,, ,,
ქართ.	**შე-ნ** ‖ **შე-ნა**	,,
სვან.	**სი**	,, ,,

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან აქვე, ზემოთ.

3. ჰან.	**ჩქუ** ‖ **ჩქი** ‖ **შქუ** ‖ **ჩქუ-ნ**	ჩვენ, мы
მეგრ.	**ჩქი** ‖ **ჩქე**	,, ,,
ქართ.	**ჩუე-ნა**	,,
სვან.	**ნ̈ა**	,, ,,

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან აქვე, ზემოთ.

4. ჭან. **თქვა** || **თქვა-ნ** თქვენ, вы
მეგრ. **თქვა** ,, ,,
ქართ. **თქუე-ნა** ,,
სვან. **სგა̈ჲ** ,, ,,

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

5. ჭან. **ჩქი-მი** || **შქი-მი** ჩემი, мой
მეგრ. **ჩქი-მი** || **ჩქგ-მი** ,, ,,
ქართ. **ჩე-მი** ,,
სვან. **მი-შგუ̈ი** ,, ,,

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

6. ჭან. **სქან-ი** || **სკან-ი** შენი, твой
მეგრ. **სქან-ი** ,, ,,
ქართ. **შენ-ი** ,,
სვან. **ი-სგუ̈-ი** ,, ,,

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

7. ჭან. **ჩქუნ-ი** || **შქუნ-ი** ჩვენი, наш
მეგრ. **ჩქინ-ი** || **ჩქგნ-ი** ,, ,,
ქართ. **ჩუენ-ი** ,,
სვან. **გუ̈იშ-გუ̈-ი** || **ნიშ-გუ̈-ი** ,, ,,

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

8. ჰან. **თქვან-ი** თქვენი, ваш
მეგრ. **თქვან-ი** „ „
ქართ. **თქუენ-ი** „
სვან. **ი-სგუე** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

9. ჰან. **მი-ნ** ვინ, кто
მეგრ. **მი** „ „
ქართ. **ვი-ნ** || **მი-ნ** (დიალ.) „
სვან. **ჲერ-ვ** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

10. ჰან. **მუ** || **მუ-ნ** || **მუ-ჲა** რა, что
მეგრ. **მუ** „ „
ქართ. ---
სვან. **მჳჲ** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

11. ჰან. **მუ-ქ** მან, თვითონ, он, сам
მეგრ. **მუ** „ „ „ „
ქართ. **მა-ნ** „ „

იხ. შენაშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

12. ჰან. **ჰა-მ(უ)** || **ჰა-ჲა** || **ა-ჲა** ეს, это
მეგრ. **ე-ნა** || **თ-ე-ნა** || **ა-თ-ე-ნა** „ „
ქართ. **ე-სე** || **ე-გ-ე** „
სვან. **ა-ლა** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

13. ჭან. **ჰი-მ(უ)** ‖ **ჰე-ჲა** ‖ **ჰე-ა** ‖ **ი-ა** ის, იგი, тот, он
მეგრ. **ი-ნა** ‖ **თ-ი-ნა** ‖ **ე-თ-ი-ნა** „ „
ქართ. **ი-ს-ი** ‖ **ი-გ-ი** „
სვან. **ე-ჯ-ე** ‖ **ე-ჯ-ა** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

14. ჭან. **ჰა-თ-ეფ-ე** ‖ **ჰა-მ-თ-ეფ-ე** ‖ **ჰა-ნ-თ-ეფ-ე** ესენი, эти
‖ **ა-ნ-თ-ეფ-ე** ‖ **ჰა-თ-ე(რ)-ე** ‖ **ჰა-ნ-ი**
მეგრ. **ე-ნ-ეფ-ი** ‖ **თ-ე-ნ-ეფ-ი** ‖ **ა-თ-ე-ნ-ეფ-ი** „
ქართ. **ე-ს-ე-ნ-ი** ‖ **ე-გ-ე-ნ-ი** „
სვან. **ალ-ი-Არ** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

15. ჭან. **ჰე-თ-ეფ-ე** ‖ **ჰე-მ-თ-ეფ-ე** ‖ **ჰე-ნ-თ-ეფ-ე** ისინი, იგინი, те
‖ **ე-ნ-თ-ეფ-ე** ‖ **ჰე-თ-ე(რ)-ე** ‖ **ჰი-ნ-ი** „ „
მეგრ. **ი-ნ-ეფ-ი** ‖ **თ-ი-ნ-ეფ-ი** ‖ **ე-თ-ი-ნ-ეფ-ი** „ „
ქართ. **ი-ს-ი-ნ-ი** ‖ **ი-გ-ი-ნ-ი** „
სვან. **ე-ჯ-ი-Არ** „ „

იხ. შენიშვნა **მა-** ნაცვალსახელთან (გვ. 222).

16. ჭან. **ჰა-ქო** ‖ **ჰა-ქ** ‖ **ჰა-ჲ** ‖ **ა-ქ** აქ, здесь
მეგრ. **თ-ა-ქ** ‖ **ა-თ-ა-ქ** „ „
ქართ. **ა-ქა** ←**ჰა-ქა** ←**ჰა-გა** „
სვან.

იხ. „ჭანურ. გრამატ. ანალ.“ § 19, გვ. 73.

17. ჭან. **ჰე-ქო** ‖ **ჰე-ქ** ‖ **ჰი-ქ** ‖ **ე-ქ** იქ, там
მეგრ. **თ-ე-ქ** ‖ **ე-თ-ე-ქ** „ „
ქართ. **ი-ქა** ←**ჰი-ქა** ←**ჰი-გა** „

იხ. „ჭან. გრამატ. ანალ.“ § 19, გვ. 73.

18. ჰან. **ნა-მუ** || **ნა-ჲა** — რომელი, который
მეგრ. **ნა-მუ** — " "
ქართ. **რა-მ(ელ)** — "

იხ. „ჰან. გრამატ. ანალ." § 19, გვ. 83—85.

19. ჰან. **ჰა-შო** || **ა-შო** — ასე, так
მეგრ. **ა-ში** || **თ-ა-ში** || **ა-თ-ა-ში** — " "
ქართ. **ა-ს-ე** — "

იხ. „ჰან. გრამატ. ანალ." § 19, გვ. 73.

20. ჰან. **ჰე-შო** || **ე-შო** — ისე, „этак"
მეგრ. **ე-შ-ი** || **თ-ე-შ-ი** || **ე-თ-ე-შ-ი** — " "
ქართ. **ი-ს-ე** — "

იხ. „ჰან. გრამატ. ანალ." § 19, გვ. 73.

21. ჰან. **ხვალ-ა** — მარტო, მხოლოდ, одинокий, только
მეგრ. **ხვალ-ე** — " " " "
ქართ. **მ-ხოლ-ო** — „მარტო" (საბა), один, единичный

ოხორჯა ხვალა ქოდოსქიდუ კარავის II 17_{16} ქალი მარტო დარჩა გემზე... თელი დიშქვიდეს-ჲა, ...არ ხვალა მა დოფსქიდი-ა II 17_{21} ყველანი დაიღრჩვენო, ...ერთი მხოლოდ მე დავრჩიო... ბერე მეკვათეი, ხვალა დიცხირი, ქოჯანს II 16_{9} ბავშვი დაკლული, მარტოოდენ სისხლი, წევს... ნა ვა გიჩქინან, ჲერის ხვალა მოთ გოჯტით? II 53_{8} უცნობ ადგილას („რომ არ იცით, ისეთ ადგილას") მარტო რატომ დადიოდით?... ჰამ ხვალა-ხვალა ქოდოსქუდუ II 134_{31} ის სულ მარტო დარჩა... ლუმჯი ვა მომალასენ: ხვალა კოჩი ბორე, ზორი მიღუნ II 115_{23} საღამოს ვერ მოვალ: მარტოხელა კაცი ვარ, მუწუხი მადგას...

ჰან., მეგრ. **ხვალ-** და ქართ. **ხოლ-** ერთი და იგივეა: **ვა→ო**: ხვალ-→ხოლ-; მნიშვნელობა ჰანურსა და მეგრულში ერთნაირია:

მეგრ.: ხვალე ვორექ—მარტო ვარ... ხვალე თიქ დოჭარუ—მხოლოდ მან დაწერა... ხვალა-ხე—მარტოხელა...

საბას განმარტებით მ-ხოლ-ო „მარტოს“ ნიშნავს. ძვ. ქართ.: „მხოლო მხოლოჲსაგან გამოსრულო“... (პ. ინგოროყვა, ძვ. ს ას. პოეზია, 107). აქედან: მხოლოობითი რიცხვი—единственное число, „მარტო ერთის.“ აღმნიშვნელი რიცხვი... აგრეთვე: კავშირი „მხოლოდ“,—„მარტო-“ს სინონიმი...

ეს ფუძე ძველი საერთო კუთვნილება ჩანს.

1. გუნძე, გინძე
2. მკულე
3. მსქვა, მსკვალ-ი, ფსქვალ-ი, სკვალინა
4. მჰიფე
5. მჩხუ
6. მურგვალ-ი
7. წუტა, წუტელ-ი, ჰუტა, მჰუტა, ჰუჰუტა, ჰიტა,
8. დიდ-ი
9. ჰითა, მჰითა
10. ხჩე, ქჩე, ჩქე, ჩე
11. ჰერელ-ი
12. ჩხე
13. ყინ-ი, ცინ ი
14. ტუბუ, ტიბუ
15. მთინ-ი
16. მჯვეშ-ი
17. თუთხუ, თითხუ
18. ოფშა, ჲოფშა
19. მცუდ-ი
20. მონკა
21. ჩუჩქუ
22. მაღალ-ი
23. წუთხე, მწუთხე
24. ლადრ-ე, ლარდ-ე
25. კობო, კომბო, კობალა
26. ხომულა, ხომბულა
27. ჩქვა
28. ოშქენონ-ი
29. მტკურ-ი,მტკუ-ი, მტკორ-ი მტკო-ი

1. ჰან. **გუნძ-ე** ‖ **გინძ-ე** — გრძელი, длинный
მეგრ. **გირძ-ე** ‖ **გინძ-ე** — „ „
ქართ. **გრძ-ელ-ი** — „

გ უ ნ ძ ე დემირიში კაფრი ქომომიღით-ჲა... II 35_{21} რკინის გრძელი ლურსმანი მომიტანეთო... ხე გ უ ნ ძ ე ონ, კუჩხე-თი გ უ ნ ძ ე ონ II 112_{27} ხელი გრძელია, ფეხიც გრძელია... გ ი ნ ძ ე გზას ქოგებდგითი II $150_{?}$ (ხოფ.) გრძელ გზას დავადექი... სარგანას... პიჯი გ ი ნ ძ ე ულუნ I $150_{?}$ სარგანას[1]... პირი გრძელი აქვს...

გ ი ნ ძ - ე მიღებულია გ უ ნ ძ - ე-საგან: **ი—უ**... გ უ ნ ძ - ე იგივეა, რაც გ რ ძ - ე ლ-, ოღონდ ბოლოკიდური **-ლ-** მოკვეცილი აქვს და დეტერმინანტი-სუფიქსი **-ელ**-ისაგან **-ე** დარჩენილა; შემდეგ: ქართ. **რ**-საგან მიგვიღია **-უ-** ხმოვანი, რაიც ჰანურში ხშირია; **ძ**-ს წინ განვითარებულა **-ნ-**. მეგრულში **ნ**-ც გვაქვს და **რ**-ც: ორივე განვითარებულია. უკანასკნელი ახალია.

ნაზმნარ სახელში მეგრული **-არ-** სუფიქსს წარმოაჩენს: დ ა - გ ი ნ ძ - **არ**-უ—დააგრძელა; ეს **-არ-** სუფიქსი ზანურში ქართ. **-ელ-** სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტი უნდა ყოფილიყო.

2. ჰან. **მ-კულ-ე** — მოკლე, короткий
მეგრ. **-კულ-ე**: ხე-კულე — „ „
ქართ. **მო-კლ-ე** — „

კითი მ კ უ ლ ე ო ნ II 112_{27} თითი მოკლეა... მ კ უ ლ ე ნჯა II 76_{28} მოკლე ხე... ჟურ ბიგა ქომოიღუ, არ—გუნძე, არ მ კ უ ლ ე...მ კ უ ლ ე მუქ ქოდიქაჩუ II 49_{26} ორი ჯოხი მოიტანა, ერთი—გრძელი, ერთი—მოკლე... მოკლე თვითონ დაიჭირა... არ-არ არშინი ჩქვა, მ კ უ ლ ე-ნა ყვეს-ში-ა, ქომოოგით-ჲა I 122_{24} თითო არშინი კიდევ, მოკლე რომ შეკერესო [ტანისამოსი, იმით] მოვიგეთო...

მ კ უ ლ ე იგივე „მოკლე“ უნდა იყოს **ო**-ს მეტათეზისით: მ ო კ ლ ე → მ კ ო ლ ე → მ კ უ ლ ე (შდრ. ზღვა — ჰან. მ-ზ ო ღ ა ‖ ზ უ ღ ა). ეს მ ო - კ ლ - ე კი ქართულში კლ-ებ-ა-ს უნდა უკავშირდებოდეს: და-ა-**კელ-**: ძირია **-კელ-**...

[1] თევზის სახელია.

მეგრულში „მოკლე“-ს მნიშვნელობით კუტა იხმარება, მაგრამ გამოთქმაში ხე-კულე — „ხელმოჭრილი“ (სიტყვა-სიტყვით: „ხელ-მოკლე“, „მოკლე-ხელიანი“) შენახულია ჰანურისებური კულე. ეს მოწმობს, რომ კუტა-ს წინ უსწრებდა მეგრულში კულ-ე და მხოლოდ შემდეგ გამოდევნა კუტა-მ ეს კულე.

3. ჰან. **მ-სქვ-ა←მ-სქ-ვ-ან** || **მ-სკვ-ალ-ი** || **ფ-სქვ-ალ-ი** || **სკვ-ალ-ინ-ა** — ლამაზი, красивый
მეგრ. **სქვამ-ი** — „ „
ქართ. **მ-შვენ-ი-ერ-ი** — „

მსქვა კულანი I 34_{14} ლამაზი ქალი (ქალიშვილი)... ოხორჯა-თი დიდო მსქვა ტუ II 15_{24} ქალიც ძალიან ლამაზი იყო... ნაკო მსქვა სიჯა რენ? II 67_{2} როგორ (რამდენად) ლამაზი სიძეა?.. დიდო-თი მსქვა ტუ. მა მსქვანას მობღორდი II 19_{20} ძალიან ლამაზიც იყო. მე სილამაზემ მომატყუა („სილამაზით მოვტყუვდი“)... მსქვა ონ II 119_{20} ლამაზია... იმუში მსქვანობა II 119_{21} იმის სილამაზე... ამ სქვალინა ბოზომოთაშკალა ღარ საეთი მითი დოგუთასენ II 133_{34} ამ ლამაზ ქალიშვილთან ერთ საათს ვინც დარჩება... სკვალინა ბოზომოთა II 135_{20} ლამაზი ქალიშვილი... დიდო ფსქვალინა ონ II 131_{4} ძალიან ლამაზია... მსკვალინა II 135_{19}... მსქვალიტინა ბერე II 93_{22} ლამაზი ბავშვი... მსქვა დოწოფხუ დუზი II 99_{24} კარგად („ლამაზად“) მოასწორა...

ჰანურში ეს ფუძე ორ ვარიანტს იძლევა: მ-სქვ-ან- || მ-სქვ-ალ-; განსხვავება დეტერმინანტ-სუფიქსშია. მეგრულში ამ სუფიქსის ადგილას **-ამ** გვაქვს — კუთვნილების აღმნიშვნელი ბოლოსართი (**-ან**, **-ალ** დეტერმინანტი-სუფიქსიც კუთვნილების აღმნიშვნელია?)... თავკიდური **მ-** || **ფ-** ფონეტიკური დანართია. -სქვ-ან- ფუძე ჰანურისა კანონზომიერი შესატყვისია ქართ. შუ-ენ- || შვ-ენ-ისა, რომელიც ატრიბუტივ მ-შვენ-ი-ერ-შიც არის გამოყენებული და შვენ-ი-ს ზმნა-შიც.

4. ჰან. **მ-ჰიფ-ე** წვრილი, тонкий
მეგრ. **ჰიფ-ე** " "
ქართ. **წრფ-ელ-ი** სწორი, ровный, прямой

ხეში კითი მჰიფე ონ II 112_{28} ხელის თითი წვრილია... ლეტა მჰიფე დოპწოფხი II 104_3 მიწა დავაფხვიერე („წვრილი გავხადე")... დიშჭა ჩითარე მჰიფე II 26_{23} შეშას წვრილად დაჭრი... მჰიფე-მჰვაფე შეეფე ექ გოლადუმენან II 70_3 წვრილმან რამეებს იქ დადებენ... მჰიფე სესითენ... I 103_{31} წვრილი ხმით... ნციუფან ონციუთე — მჩხუელეფე ჟინ გესჭიდუნ, მჰიფელეფე თუდე გამულუნ ღორმაშენ I 138_{19} ცრიან საცერით — მსხვილები ზედ დარჩება, წვრილები გამოვა ნასვრეტებში...

როგორც ამ უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, ამ ჰანური ფუძის სრული სახეა მ-ჰიფ-ელ-; **-ელ-** დეტერმინანტი-სუფიქსია; ჰიფ- ძირეული მასალაა. მეგრულში ჰიფ-ე გვაქვს; **-ლ-** მოკვეცილი აქვს ჰანურის მსგავსად, თავკიდური **მ-** არ გააჩნია: ჰანურში ის ფონეტიკური დანართია.

ქართულში შესატყვისი ფუძე წრფ-ელ- არის; მისი **-რ-** -იხმოვნითაა გადმოცემული ჰანურსა და მეგრულში: დეტერმინანტი-სუფიქსი საერთოა — **-ელ-**: **წრფ-ელ-** — **ჰიფ-ელ-**...

მეგრულში ნასახელარ ზმნაში დაჰიფ-**არ**-ება აღდგება ზანური **-არ-** დეტერმინანტი-სუფიქსი.

წრფელ-ი და მ-ჰიფე მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთს არ ხვდება, მაგრამ ერთის მნიშვნელობიდან მეორეზე გადასვლა არ არის ძნელი ასახსნელი: წვრილი → სწორი... მნიშვნელობით პირდაპირ უდგება მჰიფე-ს წვრილ-ი (← წულ-ილ-), მაგრამ ეს სულ სხვა ფუძეა.

5. ჰან. **მ-ჩხუ** მსხვილი, толстый
მეგრ. **შ-ხუ** " "
ქართ. **მ-სხვ-ილ-ი** "

კუჩხეში კითი მჩხუ ონ II 112_{28} ფეხის თითი მსხვილია... მჩხუ ჰიმა-შ-კულე, გონცასენ II 74_3 მსხვილად როჟ იწვიმებს, იმის შემდეგ გადაიდარებს... ირიქ აჭრი-აჭრი მღორამტეს, ქიმიქ — მჩხუ, ქიმიქ — მჰიფე II 53_2 ყველა სხვადასხვაგვარად ყვიროდა [გემი], ზოგი — მსხვილად, ზოგი — წვრილად... მჩხუ ქჲუთული ოთხო ფარ-

ჩა დიქიფან I 148_{8} მსხვილ მორს ოთხ ნაწილად გაგლეჯენ („იქმენ“)... მ ჩ ხ უ ე ლ ე ფ ე ჟინ გესქიდუნ I 138_{18} მსხვილები ზედ დარჩება...

მეგრ. შ ხ უ კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **-სხვ-**ს; ამ შ ხ უ-საგან მიღებულია ჰან. ჩ ხ უ: შ ხ უ → ჩ ხ უ... ი ა ვ კ ი დ უ რ ი **მ-** ქართულშიც და ჰანურშიც განვითარებულია.

არც ჰანურსა და არც მეგრულში არა გვაქვს ქართ. **-ილ-** დეტერმინანტი-სუფიქსის შესატყვისი. მრავლობითში ხმარებისას ხოფურმა **-ელ-** დაურთო: მ-ჩ ხ უ-**ე ლ-**ე ფ-ე (იხ. ზემ.); ეს დეტერმინანტი-სუფიქსია.

მეგრულ ნასახელარ ზმნაში გ ა ა-შ ხ უ-**ა რ**-უ—„გაამსხვილა“ დაჩნდება **-არ-** სუფიქსი, ზანური დეტერმინანტი-სუფიქსი.

6. ჰან. **მურგვ-ალ**-ი ‖ **მუგვ-ალ**-ი მრგვალი, круглый
მეგრ. **რგვ-ალ**-ი ” ”
ქართ. **მრგვ-ალ**-ი ”

დემიიში კიბაი უღუნ... მ უ გ ვ ა ლ ი I 138_{10} რკინის კბილი აქვს... მრგვალი... ოკაჩხენეფე — მჩხუ დო მ უ გ ვ ა ლ ი, ქჯოქიში კიბირეფე I 153_{13} უკანანი — მსხვილი და მრგვალი, ძირა კბილები... გჯოვდე ფამბუღი'სთერი, თი მ უ გ ვ ა ლ ი... I 82_{19} ტანი — ბამბასავით, თავი— მრგვალი... თი მ უ რ გ ვ ა ლ ა ონ II 112_{26} თავი მრგვალია... მ უ რ გ ვ ა ლ ი დიენ II 113_{30} „მრგვალი გახდება“...

ფუძე საერთოა: მ რ გ ვ ა ლ-ისაგანაა მიღებული — **რ**-ს **უ**-თი გადმოცემით — მ უ გ ვ ა ლ-ი; შემდეგაა **გ**-ს წინ **რ**- განვითარებული: მ რ გ ვ ა ლ- ‖ მ უ გ ვ ა ლ- → მ უ რ გ ვ ა ლ-...

მეგრ. რ გ ვ ა ლ- დასავლური კილოებიდან შესული ჩანს. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ამ სიტყვას უკავშირებს მ ო-რ გ ვ-ს (მეგრ. გრ., ლექსიკ., გვ. 304). შეიძლებოდა ამ სუბსტანტივამდის დაგვეყვანა მ რ გ ვ-ა ლ-ი, რომ ამას ზოგიერთი დაბრკოლება[1] არ ელობებოდეს წინ. მ ო-რ გ ვ-ში ძირეული მასალა, მართლაც, იგივე უნდა იყოს, რაც რ გ ვ-ა ლ-შია.

[1] მ რ გ ვ ა ლ ი—მ გ რ გ უ-ა ლ-ი.

7. ჰან. **წუ-ტა** || **წუ-ტ-ელ-** || **ჰუ-ტა** პატარა, ცოტა,
|| **მ-ჰუ-ტა** || **ჰი-ტა** || **ჰუ-ჰუ-ტა** маленький, малый

მეგრ. **ჰიჰე** „ „
ქართ. —

წუტა ბორტი-შა II 22_{30} სანამ პატარა ვიყავი... წუტა ჯუმა შუშიქ II 15_{10} მისმა პატარა ძმამ (უმცროსმა ძმამ)... წუტა ქომშჩი-ა II 37_{10} ცოტა მომეცით... ჰუტა ბერე, ჰუტა ოხორი II 70_{17} პატარა ბავშვი, პატარა სახლი... ჰუტა მატორეფეს გეფხედით II 54_{33} პატარა მოტორიან ნავებზე დავსხედით... ჰუტაშა ფთქვათ II 75_{12} დაწვრილებით ვთქვათ... მჰუტა ჩქვა-თი ქომოხთით II 65_{13} ცოტა კიდევ წამოდით... ჰუჰუტა ქელაგაძიცინუ II 76_{11} „ცოტათი გაგეცინა“, ჩაიცინე... არ ჰიტა კარდალა ქელუდგუ I 12_{16} ერთი პატარა ქვაბი გვერდით დაუდგა [მეორეს]... ჰიტანა რენ, სქანიშენ დაჰა კაი რენ I 18_{26} პატარა რომ არის, შენთვის კიდევ უკეთესია... ჰიტა ბაღის ოსთერაპტუ I 32_3 პატარა ბაღში ათამაშებდა... კითი-ბაშიშ წუტელი II 2_{20} ცერზე პატარა...

ჰიტა ← ჰუტა: **ი** ← **უ** ხოფურში ჩვეულებრივია; მ-ჰუტა-ში თავკიდური **მ-** განვითარებულია (მ-ჰუტა იშვიათად იხმარება): ჰუ-ჰუტა-ში ჰუტა-ს გაორმაგება გვაქვს.

ამგვარად, ყველა ვარიანტისათვის ამოსავლად რჩება ჰუტა || წუტა: პირველი უკანასკნელისაგან უნდა იყოს მიღებული; ეს ის შემთხვევაა, როცა **წ** → **ჰ** თვით ჰანურ ნიადაგზე ხდება (იხ. შესავალი, გვ. 7-8). **-ტა** (← **იტ-ა**) კნინობითობის ნიშანი უნდა იყოს („ყაიტას ქურდი“, „გოგიტა“—გოგიტიძე, ბერიტაშვილი)... მეგრ. ჰიჰე ფუძის გაორმაგების შედეგადაა მიღებული (შდრ. **ჰი-**ტა — ხოფური და **ჰუ-ჰუ-**ტა — არქაბულში)...

წუ-ტა-ს პირველი ნაწილი, ფუძისეული, უნდა მეორდებოდეს წუ-ლუ-ში („პატარა“): იხ. II 105_{20}; გვაქვს წუ-ლუ-ტა-ც: II 136_3.

8. ჰან. **დიდ-**ი უფროსი, დიდდედა; ბებია; ბევრი; დიდი; большіой; бабушка
მეგრ. **დიდ-**ი დიდი, большой
ქართ. **დიდ-**ი "

... სუმ ჯუმა ქორტეს. დ ი დ ი-ნა ცონ, ოქლიმუშა ქუგამახთუ II 126_{8} სამი ძმა იყო. უფროსი რომ არის, საშოვარზე წავიდა... ნანა-ში ნანას-თი, ბაბაში ნანას-თი დ ი დ ი ვუწოლემთ II 101_{31} (ათინ.) დედის დედასაც, მამის დედასაც დ ი დ ს ვეტყვით („უფროსი"!?)... დ ი დ ი ჯუმაქ... უწუ წუტა ჯუმა მუშის II 15_{6} უფროსმა ძმამ უთხრა უმცროს ძმას... ოხორჯა დ ი დ ო ნამუსლი ტუ II 15_{11} ქალი ძალიან ნამუსიანი იყო... დ ი დ ი ხოჯა სოთხანი იგზალეენ I 1_{13} დიდი ხოჯა სადღაც წასულა... კოჩიქ-თი აჲა ნენაფე იშიგნუ-ში, დ ი დ ო აძიცინუ I 5_{9} კაცმა რომ ეს სიტყვები გაიგონა, ძალიან გაეცინა... დ ი დ ო ბაშკა-ბაშკა ბაღეფე ყვეს I 67_{3} ბევრი სხვადასხვა ბაღები გააშენეს („ყვეს")... ენ დ ი დ ი ლ ე ფ ე ოთხო თუთერი ჲარენან, ჲა ვარ I 65_{34} ყველაზე დიდები ოთხი თვისა ან იქნებიან, ან არა... აჲა თიკანეფეში ენ დ ი დ ი ნა-რენ... I 65_{32} ამ თიკნებში ყველაზე დიდი რომაა...

დიდ- ძველი კუთვნილება ჩანს ქართულისა, მეგრულისა და ჰანურისა. თუ ის ქართულიდანაა შეთვისებული, ეს დიდი ხნის ამბავი უნდა იყოს.

დიდ- ჭანურის ყველა კილოკავში გვაქვს; ხოფურსა და ვიწურარქაბულში ის აღნიშნავს „დიდს", „ბევრს"; დ ი დ ო—„ძალიან", „მეტად" (ათინურში ამისთვის „ოფშა" — „სავსე" იხმარება)... ათინურში დ ი დ ი — „დიდდედას" და „უფროს" -(ძმას) ნიშნავს („დიდის" აღსანიშნავად მ ო რ დ ე რი-ა გამოყენებული: მ ო რ დ ე რ-ი სიტყვა-სიტყვით „გაზრდილი").

9. ჰან. **ჰით-ა** || **მ-ჰით-ა** წითელი, красный
მეგრ. **ჰით-ა** " "
ქართ. **წით-ელ**-ი "

ჰაჲა ჰ ი თ ა რენ II 3_{20} ეს წითელია... ჲუზეფე მ ჰ ი თ ა დვაჲუ II 108_{7} სახე გაუწითლდა („წითელი გაუხდა")... არ მ ჰ ი თ ა მსქვა ჩხომი ოხონტალუტუ I 33_{7} ერთი წითელი ლამაზი თევზი ერია... მ ჰ ი თ ა ფატიჯანი I 144_{3} „წითელი ბადრიჯანი", პომიდორი...

ჰით- კანონზომიერად შეესატყვისება წით-ს; თავკიდ. **მ-** ფონეტიკური დანართია; **-ელ-** ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსია; ჰანურსა და მეგრულში მის ადგილს იჭერს **-ა**, დეტერმინანტი-სუფიქსის ნარჩენი.

მეგრ. გა-ა-ჰით-არ-უ-ში („გააწითლა") მოცემულია ზანური ჰით-**არ-**: დეტერმინანტი-სუფიქსი **-არ-** სრულად არის წარმოდგენილი (ქართ. **-ელ-** სუფიქსს ეს **-არ-** ფონეტიკურადაც შეესატყვისება).

ჰან. გო-ი-მ-ჰით-**ან**-უ: **-ან-** სუფიქსი ზმნური საწარმოებელი აფიქსი უნდა იყოს (შდრ. დო-თ-**ან**-უ...).

(იხ. **ჰით-** ზმნებში).

10. ჰან. **ხჩ-ე** || **ქჩ-ე** || **ჩქ-ე** || **ჩ-ე** თეთრი, белый
მეგრ. **ჩ-ე** ← **რჩ-ე** „ „
ქართ. **მხც-ე** (ძვ. ქართ. **მკცე**) ჭაღარა, седина

ხჩე ქუვალი ვა გინონ-ჲა? I 21_3 თეთრი პური არ გინდაო?... ხჩე ჯოღოიქ, შუქრიშ ჯოღოიქ, ქოძუ დო ოჭოფუ I 97_{19} თეთრმა ძაღლმა, შუქრის ძაღლმა, დაინახა და დაიჭირა... აჲა პარკი ენ. გალე ხჩე-ნა ენ, ჩონჩი ვუწუმეთ I 136_{17} ეს ტაროა. გარეთ რომ თეთრია, იმას ფუჩეჩს ვეტყვით... ქჩე მბელა გეგირჩარე II 58_3 თეთრ ნაჭერს დაგიგებთ... მაქვალი გალენ ქჩე რენ II 5_3 კვერცხი გარედან თეთრია... ჰაჲა ჩქე(!) რენ II 3_{19} ეს თეთრია... ჩე-ჩე დუდის მოთვალეი II 99_8 თეთრი-თეთრი თავზე წამოცმული...

ქართ. მკცე- (|| მხცე)-ს შეესატყვისება ხჩე- ხოფური; ქჩე ← ხჩე; ამ ქჩე-ს მეტათეზისია მოცემული ჩქე-ში (იშვიათია); ეგევე ქჩე ხდის გასაგებს, თუ როგორ მივიღეთ **ჩე-**: ქჩ- კომპლექსი, როგორც შემდგარი უკანაენისმიერისა და მომდევნო წინაენისმიერისაგან, ვერა ძლებს[1].

მეგრულში მხოლოდ ეს უკანასკნელი ჰანური ვარიანტი გვაქვს; მაგრამ ნაზმნარ სახელში გა-რჩი-ელ-უ—„გააათეთრა", ნაწარმოებ ატრიბუტივში მა-რჩი-ელ-ა (თიშ მარჩიელა—იმისი სითეთრე, მის მსგავსი თეთრი...) შენახულია **რ** ← **ქ**: ქჩე || რჩე...

ქჩე-საგან იწარმოება ქჩინუ („დედაბერი").

[1] ვემყარებით გ. ახვლედიანის გამოკვლევას ამგვარი კომპლექსების ფონეტიკური რაობისა და გამძლეობის შესახებ; იხ. მისი „ზოგადი ფონეტ.", გვ. 146—9.

ჩე-საგან უნდა გვქონდეს მიღებული, როგორც ამას მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი აღნიშნავდა, **უ-ჩ-ა** („შავი"), რომელშიაც **უ-** უარყოფითი ნაწილაკია: **უ-ჩ-ა** — „არათეთრი", შავი.

11. ჰან. **ჰერ-ელ**-ი — ჭრელი, пестрый
მეგრ. **ჭრ-ელ**-ი — „ „
ქართ. **ჭრ-ელ**-ი — „ „

ყვაოჯი უჩა დო ხჩე, ჰ ე რ ე ლ ი ენ I 154_{22} ჰილყვავი შავი და თეთრია, ჭრელია... ჰაჲა უჩა-ჰ ე რ ე ლ ი ენ II 3_{19} ეს შავ-ჭრელია...

ეს სიტყვა ქართულიდან შეთვისებული უფროა, ვინემ ძველი საერთო კუთვნილება... ამიტომ ჰ ე რ - ე ლ -ის სრულხმიანობა მეორეული ხასიათისაა (ეს, საერთოდ, იშვიათია ზანურ კილოებში: სრულხმიანობა იქ პირველადი მონაცემია).

ჰ ე რ ე ლ -თან კავშირში უნდა იყოს ჰ ე რ ე მ უ ლ ე ი II 74_4...: ჰერემული — უჩა დო სარი ენ... II 73_4 „აჭრელებული" — შავი და ყვითელია. ჰ ე რ ე მ უ ლ ე - ი ← ჰ ე რ ე მ უ ლ ე რ - ი — „შავ-ყვითელი", „შავ-ყვითლად აჭრელებული"...

12. ჰან. **ჩხ-ე** — ცხელება, горячка, лихорадка
მეგრ. **ჩხ-ე** — ცხელი, горячий
ქართ. **ცხ-ელ**-ი — „

ჩ ხ ე აღოდეს, იძაბუნეს II 20_{13} ციებ-ცხელება დაემართათ, დაავადდენ...

ჩხ- კანონზომიერი ზანური ეკვივალენტია ქართ. **ცხ**-სი; **-ელ-** დეტერმინანტი-სუფიქსი ჰანურსა და მეგრულშიც უნდა იყოს გამოყენებული, ოღონდ მოკვეცილია ბოლოკიდური **-ლ-**.

მნიშვნელობით მეგრული მიჰყვება ქართულს, ჰანურში კი ეს სიტყვა უკვე აღარაა ატრიბუტივი, გასუბსტანტივებულა და „ცხელება", „ციებას" აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით იხმარება **ჩხვაფა**, **მ-ჩხვაფა**, **მ-ჩხოფა** (იხ. **ჩხვაფა**) და, როგორც ნ. მ ა რ ი აღნიშნავს, — ჩ ე ჩ ხ უ რ ი,

ათინურში —: **ჩე-ჩხურ**-ი ← **ჩხე-ჩხურ**-ი — სიტყვა-სიტყვით „ცხელებ-ცება“ (იხ. ჭან. გრამ., გვ. 210).

ამ კომპოზიტის მეორე წევრი ჩ ხ უ რ ი უნდა იყოს ჩ ხ უ რ **უ**-საგან მიღებული (მეგრ. ჩ ხ უ რ უ — სიცივე: **-ურ**- სუფიქსი უარყოფის აღმნიშვნელია).

ჩ ხ ე-ს გასუბსტანტივებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „ცხელის“ მნიშვნელობით იხმარებოდა მეორე სიტყვა ტ უ ც ა II 26_{26}, 26_{13}, 2_{21}, 95_{26}...

ატრიბუტივთა შორის ჩ ხ ე პირობით შეგვაქვს: საამისოდ მას მხოლოდ ისტორიული უფლებები მოეპოვება.

13. ჭან. **ყინ-** || **ცინ-** „ცივი, სიცივე“
(იხ. აქვე, გვ. 190—191).

14. ჭან. **ტუბ-უ** || **ტიბ-უ** თბილი, теплый
მეგრ. **ტიბ-უ** „ „
ძვ. ქართ. **ტფ-ილ**-ი „
სვან. **ტებ-იდ** „ „

ძირეული მასალა უნდა ყოფილიყო **ტაბ**-; ამას მოწმობს სვან. **ტებ**-, ჭან. **ტუბ**←**ტობ**-; **ტიბ**- მეორეულია, მიღებულია ტ უ ბ-ისგან. გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაში „წყალ-**ტუბ**-ო“ შენახულია ეს ძირი **-უ**-თი— **-ტუბ**- — მეგრულის ძველი კუთვნილება.

დეტერმინანტი-სუფიქსებია **-ილ**- ქართულში, **-უ** მეგრულსა და ჭანურში (ეს **უ** ← **ო**: წ ყ ა ლ - ტ უ ბ - **ო**!)...

ეს ფუძე მეორდება ინდოევროპულ ენებში: ლათ. tep-id-us, რუს. теплый, ძვ. ინდ. tápati — ანთია, ათბობს, და სხვ. (იხ. В. Горяев, Сравнит.-этим. слов. рус. яз. Тиф. 1896, გვ. 364... გორიაევი ამ ძირთან დაკავშირებით იხსენიებს ქართ. ტ ფ ი ლ ი ს ა და თ ბ ი ლ - ს).

15. ჭან. **მთინ**-ი მართალი, სწორი, правильный, верный
მეგრ. **თინ-უ** სწორი, прямой
ქართ. —

მ თ ი ნ ი, დოღუ ზოპონ! I 6_2 სწორს, მართალს ამბობ!.. მამუდიქ მ თ ი ნ ი - თი მთუთი ჯუზდუ დო არაბას ჟინ ქოგჯოკიუ I 43_{36} მამუდმა მართლაც დათვი აიღო და ურემზე დააკრა... აწი მ თ ი ნ ი-თი-ნა იყუ ...ფთქვამინონ I 112_{21} ახლა მართლა ნამდვილად რაც

მოხდა („იყო“)... [იმას] ვიტყვი... ზოპონან; მთინი რენ I 94_{22} ამბობენ; მართალია... ჰა მთინი მჯვეში ნოსეფე ენ II 21_{27} ეს მართლაც ძველებური ჰკუაა... მთინი-თი, მუქ-ნა იჩალიშუ, მუში ივასენ II 52_{22} მართლაც, თვითონ რაც იმუშავა, მას დარჩება („მისი იქნება“)...

ეს ფუძე ქართულში არა ჩანს; მეგრულსა და ჰანურში მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველი **-უ**-ს დაირთავს — დეტერმინანტი-სუფიქსია —, მეორეს ამგვარი სუფიქსი არ გააჩნია (იყო **უ → ი** და ეს უკანასკნელი სახელობითის დაბოლოებად იქნა მიჩნეული?!). ძველი სახეობა მეგრულს აქვს შენარჩუნებული (რაც იშვიათია). ჰანურში თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია.

მნიშვნელობის მხრივაც მეგრულში უფრო ძველი ვითარებაა მოცემული: თინუ-ს აქ შერჩენილი აქვს ძირითადი მნიშვნელობა, — „სწორი“ —: თინუ ჯა — სწორი ხე... ჰანურში კი „სწორი“ გადატანითაა ნახმარი: „სწორი“, „მართალი“...

16. ჰან.	**ჲ-ჯვ-ეშ**-ი ‖ **ნ-ჯვ-ეშ**-ი ‖ **მ-ჯვ-ე**	ძველი,	старый
მეგრ.	**ჯვ-ეშ**-ი	„	„
ქართ.	**ძვ-ელ**-ი		„
სვან.	**ჯუ-ინ-ელ**	„	„

მჯვეში ვახთის ამიერიდან მეგრელისტანი ტუ I 116_{3} ძველად („ძველ დროს“) ეს ადგილები სამეგრელო იყო... მაკრიალიში მჯვე ჯოხო ნოღედი ენ I 115_{9} მაკრიალის ძველი სახელი ნოღედია... ბეჭი იმხოტეს ღეჯი ია მჯვე ზამანის I 115_{16} ეგების ჰამდენ ღორს იმ ძველ დროს... მჯვეში ნოსეფე II 21_{27} ძველებური („ძველი“) ჰკუა („ჰკუები“)... ნჯვეში II 47_{31}... „მჯვე დოლოქუნუთე ვარ მემალენ“-ჲა II 7_{26} ძველი ტანისამოსით ვერ მივალო... ჩქიმი ჯვეში პაპულეფე მენგრელი ტეს II 83_{10} ჩემი წინაპრები („ძველი პაპები“) მეგრელები იყვნენ...

ჰანურისათვის ამოსავალია ჯვეშ-ი; თავკიდური **მ-** ‖ **ნ-** ფონეტიკური დანართია; მ-ჯვე-ს დაკარგული აქვს ბოლოკიდური თანხმოვანი...

ჯვეშ- ფუძე საერთოა ჰანურისა და მეგრულისათვის. მასში ძირეულია **ჯვ-**; იგი კანონზომიერად შეესატყვისება **ძვ-**ს ქართულში; **-ელ-** დეტერმინანტის ადგილს ჰანურსა და მეგრულში **-ეშ-** იჭერს.

შესატყვისობა აქ მხოლოდ ფუნქციონალური უნდა იყოს: **-ლ-** || **-შ-** (?!) (შდრ. **ტ-ილ-** || **ტ-იშ-**).

აღსანიშნავია, რომ ამ სახელიდან ნაწარმოებ ჰანურ ზმნაში დი-**მ-ჯვენ-უ** — (იხ. **ჯვენ-** ზმნა) (მეგრ. დ ე - ჯ ვ ე შ -უ) — „დაძველდა“ — **-ენ-** წარმოჩნდება **-ეშ-**ის ნაცვლად.

17.	ჰან.	**თუ-თხ-უ** || **თი-თხ-უ**	თხელი, თონკий, редкий
	მეგრ.	**თხი-თხ-უ**	„ „
	ქართ.	**თხ-ელ-**ი	„
	სვან.	**დგ-თხ-ელ-**	„

მემჯღონი ჰიბრი — წოხლე-ნა ონუ, თ უ თ ხ უ ონუ II 103_{13} წინა კბილი — წინ რომ არის, თხელია... ა' მციქა თ უ თ ხ უს მზგუდუ, ზიანი ვარ უღუნ II 104_{8} ცოტა თხლად ამოდის, „ზიანი არა აქვს“... ქაგონთხიფან სინის: თ ი თ ხ უ იყვენ I 143_{6} გააბრტყელებენ თეფშზე: თხელი გახდება („იქნება“)... ფოთინიში დოლოხე თ ი თ ხ უ წინეკი მუიდუმელან I 150_{29} ფეხსაცმლის შიგნით თხელ წინდას იცმენ...

ვიწ.-არქ. და ათინ. თ უ თ ხ უ-საგანაა მიღებული ხოფური თ ი თ ხ უ (თ უ თ ხ უ → თ ი თ ხ უ). მეგრ. თ ხ ი თ ხ უ მიჰყვება ხოფურ თ ი თ ხ უ-ს; ოღონდ **თ**-სთან **ხ**- არის განვითარებული:

თ ი - თ ხ - უ → თ ხ ი - თ ხ - უ...

ქართ. თ ხ - ე ლ -ს შეესატყვისება **თხ-უ**: ძირეული **თხ**- იგივეა, **-ელ**- დეტერმინანტ-სუფიქსის ტოლია **-უ**.

რჩება **თუ**-, რომლის შესაბამისი ქართულში არაფერი გვაქვს, მაგრამ რომელსაც სვანურში **დგ**-ს სახე აქვს: **დგ**-თხელ-: სვანური იმეორებს ქართ. თ ხ - ე ლ -ს და დაცული აქვს **დგ**- თავსართი, რომელიც ქართულმა დაკარგა. ეს **დგ-** || **←დუ-** ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელია.

ამგვარად, ჰან.-მეგრ. თ უ - თ ხ - უ მომდინარეობს დ უ - თ ხ - უ - საგან: თ უ თ ხ უ რეგრესიული ასიმილაციის შედეგად მივიღეთ.

ამ სახელის შესახებ ქართულში, სვანურში და ჰანურ-მეგრულში იხ. ქ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირვ. I, („მიმომხილვ.“), გვ. 215—216.

18. ჰან.	**ო-ფშ-ა** || **ჲო-ფშ-ა**	სავსე, ბევრი,	полный, много
მეგრ.	**ე-ფშ-ა**	„	„
ქართ.	**სა-ვს-ე**	„	„

არ გუდათე ჲოფშა ყვალი ქომექჩაფთ-ჲა I 21_{21} ერთ გუდას, ყველით სავსეს, მოგცემთო („გუდით სავსე ყველს“)... წარი ქარმატეშე იდას-დეი, ოფშა წარი II 95_{18} წყალი წისქვილისაკენ წავიდეს, ბევრი წყალი... ჰამ კოჲნეფე მიშ ონუ, ჰაკ(ო) ოფშა II 98_{36} ეს ცხვრები ვისია, ასე ბევრი... ქარმატეშე ვიგზალი. ოფშა ლაზუტი ვარ ორტუ II 103_{23} წისქვილში წავედი, ბევრი სიმინდი არ იყო [მიტანილი დასაფქვავად]...

სავს-ე-ს კანონზომიერად გადმოგვცემს ო-ფშ-ა, ოღონდ გვაკლია **ს**-ს შესატყვისი თანხმოვანი... ჲო-ფშ-ა ვარიანტში **ს**-ს ადგილს იჭერს **ჲ**-; ეს უნდა იყოს იმის მაჩვენებელი, რომ ქართ. **სა-** ← **ჲა-** \|\| **ჰა-**; ალბათ, ეს იყო გარდამავალი ბგერა **ჰ/ჲ-**: ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ **სა-** წინსართი ზანურში გადმოიცემა[1] ჩვეულებრივად **ო**-თი (**ო** ← **ჰო**), უფრო იშვიათად — **დო**-თი (მეტწილად ჭანურში) და არასოდეს **შო**-თი. ჩანს, **სა-** პრეფიქსი ქართულში ჩამოყალიბებულა **ამ სახით** ქართულისა და ზანურის დიფერენციაციის შემდეგ. რისგან? ალბათ, გარდამავალი ბგერისაგან **ჰ/ჲ**: **ჲ/ჰა-** ქართულში — **სა-დ** იქცა, **ჰო-**მ მეგრულში მოგვცა **-ო-**...

მეგრ. ეფშა ← ჲეფშა ← ჲოფშა — ასიმილაციის შედეგად.

ჲოფშა — ხოფურში გვაქვს, ოფშა — ვიწურ-არქაბულსა და ათინურში. ამ უკანასკნელში ოფშა „ბევრს“, „ძალიან“-ს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით სხვა ჭანური კილოკავები დიდო-ს ხმარობენ: დიდო კაი!—ძალიან კარგი! დიდო რენ — ბევრია...

წარმოშობით ჲოფშა \|\| ოფშა მიმღეობაა (იხ. ზმნებში **ფშ**-).

[1] არას ვამბობთ ისეთ შემთხვევებზე, როცა **სა-** შეთვისებულია. ეს მეორეული მოვლენაა.

19. ჰან. **ზ-ცუდ-**ი ტყუილ-უბრალო, ტყუილი, напрасный, ложный

მეგრ. [**-ცუდ-**]

ქართ. **ცუდ-**ი ტყუილ-უბრალო, цудиი, напрасный, плохой

მთელი მ ც უ დ ი ნენაფე დოპჭარა, ადა იჯერაგინონ-ი?! I 99_2 სულ ტყუილ სიტყვებს დავწერ, ამას დაიჯერებ?!.. ადა... მ ც უ დ ე ლ ა სარმა ენ. ხორცონი სარმას დოღუ სარმა ვუწუმეთ I 141_6 ეს ტყუილი სარმაა[1]. ხორციან სარმას მართალ სარმას ვეტყვით,.. მ ც უ დ ი დიდო ისინაფამს II 10_2 ტყუილს ბევრს ლაპარაკობს... ჰადა მ ც უ დ ი ზოპონს II 8_1 ეს ტყუილს ლაპარაკობს... სი ჰეა მ ც უ დ ი გიწვეს II 28_{21} შენ ეს ტყუილი გითხრეს... „ბინჯირი“-ა დო მ ც უ დ ი შ ი თოლეფე ოდუ II 10_{14} „დავიძინეო“ და ტყუილად თვალები დახუჭა... ჰაწი გოხთიმუში ორა რენ-ი? მ ც უ დ ი შ ი მოთ გოითურაფუთ? II 57_{22} ახლა სეირნობის („სიარულის“) დრო არის? ტყუილ-უბრალოდ რას დაეთრევით?...

ეს ფუძე საერთოა ქართულსა, მეგრულსა და ჭანურში. მეგრულში დამოუკიდებლად აღარ იხმარება, მაგრამ ნაწარმოებ სიტყვაში გვაქვს შემონახული: ღვანაქ გ ე ც უ დ უ — ნათესი („ყანა“) გაცუდდა, ე. ი. არ ამოვიდა (ნათესი)...

ქართულში ც უ დ ი ახლა „კარგი“-ს საწინააღმდეგოა მნიშვნელობით, მაგრამ ქართლსა და კახეთში ახლაც იტყვიან „ცუდად ვარ“—„უსაქმოდ ვარ“, „არაფერს ვაკეთებ“...

ცნობილი ადგილი ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „მერანში“: „ც უ დ ა დ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება!“—„ცუდად“ ნიშნავს „უშედეგოდ“, „ტყუილ-უბრალოდ“, ე. ი. არსებითად იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ჭანურში (შდრ. ზემოთ: მ ც უ დ ი შ ი გოითურაფუთ—„ცუდად“ დაეთრევით)...

[1] საჭმლის სახელია („голубцы“).

20. ჰან. **მონკ-ა** მძიმე, тяжелый
მეგრ. **მონკ-ა** || **მოკ-ა** „ „
ქართ. **მაკ-ე** брюхатая (про живот.): тельная корова, суягая овца и т. д.

ჰე კარვანი მონკა-ნა ძირეს, მენდიღეს II 48_{30} ეს სკა, მძიმე რომ იყო („პოვეს"), წაიღეს...

როგორც ი. ყიფშიძე შენიშნავს, მონკა ქართ. მაკე-ს უნდა შეესატყვისებოდეს (იხ. მეგრ. გრ., ლექსიკ., გვ. 281); ფონეტიკური შესატყვისობა სრულია: მაკე — მოკა || მონკა... კ-ს წინ ნ- არის განვითარებული ჰანურში და მეგრულში; ამ უკანასკნელში მოკა-ც გვაქვს...

ქართ. მაკე ← მაკ-ენ- (იხ. ძვ. ქართ. და-**მაკ-ნ**-დ-ა); ამისდა კვალად მეგრულსა და ჰანურშიც ბოლოკიდური **-ა** დეტერმინანტ-სუფიქსის ნარჩენად უნდა ვცნოთ.

რაც შეეხება მნიშვნელობას, „მძიმე"-ს წარმოდგენა უნდა ყოფილიყო ამოსავალი მაკე-შიც. ქართულშიც ახლაც ითქმის ორსულზე „ფეხ-მძიმედ"-აო.

მეგრულში ქალის შესახებ ამბობენ „მოკათუ რე" — „ორსულია", ფეხ-მძიმედაა... ეს მოკათუ უნდა იყოს მოკა გარდაქცევითს ბრუნვაში: მოკა — მოკათ(უ): **-უ-** ემფატიკური **-ა**-ს ტოლია.

21. ჰან. **ჩუჩქ-უ** || **ჩიჩქ-უ** ჩვილი, რბილი, неокрепший, мягкий
მეგრ. **ჩქიჩქ-უ** ჩვილი ყრმა, ჩვილი, дитя (колыбельное), неокрепший, мягкий
ძვ. ქართ. **ჩჩკლ-ი** „ „

კიცი ჩიჩქუ ქვაში იყვენ I 140_{21} კეცი რბილი ქვისა „იქნება"... ხურმა... ჩქინ უმონჭუ პტახუფთ, ჩიჩქუ I 158_{20} ხურმას ჩვენ უმწიფარს ვტეხთ, ჩვილს... ჲასტული ჩიჩქუ-ნა ტას, ბუმბულიში ვუწუმელთ I 164_{28} ბალიში რბილი რომ იყოს, ბუმბულისას ვეტყვით... ხომბა-შ-კულე, დომჯახარე [კავი]... ბჯახა-ის, ჩუჩქუ ივენ II 2_{32} როცა გაშრება, დავბეგვავ [აბედს]... რომ დავბეგვავ, რბილი გახდება... „კუზი ხეშე მემილეს, ეფთო... დიდო ჩიჩქუ ტუ დო კუზი მეტრუხუ" II 65_{38} — 66_1 კოვზი ხელიდან გაგვივარდა, თურმე... ძალიან რბილი იყო და კოვზი გატყდა...

ჭან. ჩიჩქუ ← ჩუჩქუ; ჩიჩქუ — ხოფური ვარიანტია (იხმარება არქაბულშიც); ეს უდევს საფუძვლად მეგრულს: ჩიჩქუ → ჩქიჩქუ... ჭან. (მეგრ.) ჩუჩქუ შეესატყვისება ძვ. ქართ. ჩჩგლ-ს; ამ უკანასკნელის **-ილ-** დეტერმინანტ-სუფიქსს მეგრულსა და ჭანურში შეესაბამება ფუნქციონალურად **-უ; ჩ → ჩქ**; ზანურის ჩვენების მიხედვით ქართულშიც უნდა გვქონოდა ხმოვანი **ჩჩ**-ს შორის.

ძირითადი მნიშვნელობა ყველგან არსებითად ერთია („ჩვილი ყრმა"..., „გულ-ჩვილი"..., „სიჩჩოჲ" ძვ. ქართ.).

22. ჭან. **მ-აღ-ალ**-ი მაღალი, высокий
მეგრ. **მ-აღ-ალ**-ი „ „
ქართ. **მ-აღ-ალ**-ი „

მაღალი კოჩი, ჯა II 76_{28} მაღალი კაცი, ხე...

ეს სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული, მაგრამ, ალბათ, ძველად. შეგრულს სხვა სიტყვა ამ მნიშვნელობით არა აქვს. ჭანურში ეს სიტყვა თითქმის გამოდევნა თურქ. დუქსეღ-იმ. ამდენად აქვს მნიშვნელობა ამ სიტყვის აქ მოხსენებას.

23. ჭან. **წუთხე** || **მ-წუთხე** მწუთხე, горько-соленый
მეგრ. **წუთხე** „ „
ქართ. **მ-წუთხე** „მეტად მლაშე" (საბა) „

არ ჯარი დოწოფხუ, ირი ნჯუმუ, წუთხე II 90_{27} ერთი „პური გააკეთა", სულ მარილი, მწუთხე... ხოლო-თი მწუთხე ჯარიში ქომეჩუ. წუთხე, ნჯუმუში ჯარი — ირი ნჯუმ(უ) ორტუ II 90_{31} კიდევ მწუთხე პური („პურისა") მისცა. მწუთხე, მარილის პური — სულ მარილი იყო... წუთხე II 124_{25}...

სიტყვა მეორდება ქართულში, ჭანურსა და მეგრულში. ჭანურში ის დასტურდება ტექსტებით ათინურ კილოკავში, რომელსაც ლექსიკის სიძველე ახასიათებს.

მნიშვნელობა ყველგან ერთი და იგივე აქვს.

24. ჰან. **„ლა-დ-რ-ე“** M ‖ **ლა-რდ-ე** ნედლი, свежий, сырой непросохший

მეგრ. **ლა-დ-ირ-ი** „ „

ქართ. **ნე-დ-ლ-ი** „

თაზე (ლარდე) ხაჯი ცხუნუმან II 76_{11} ჭყინტ („ნედლ“) ლობიოს „არჩევენ“... ლუ ჲა ლარდე ხაჯი იგუბუტა-ში II 76_{21} კომბოსტო ანდა ჭყინტი („ნედლი“) ლობიო რომ იხარშებოდეს...

ნ. მარს ვიწურისათვის ნაჩვენები აქვს ლადრე (ჰან. გრამ., გვ. 161); აქედან **რ**-ს გადასმით მიღებულია ლარდე.

ლადრე-ში იგივე ძირია, რაც ნედლ-ში: **ლა-** და **ნე-** ერთი და იმავე ფუნქციის მქონე თავსართებია; **-ლ**-ს შეესაბამება **-რ-** — **-ირ-**, როგორც ამას მეგრული მოწმობს. ლადრ-ე-ს ბოლოსართი **-ე** სახელობითის ზანური ნიშანია.

ამჟამად ლადრე ‖ ლარდე-ს ადგილს იჭერს თურქ. თაზე. ლადრე ‖ ლარდე იშვიათია ხმარებაში. დამახასიათებელია ზემომოყვანილი პირველი მაგალითი: ჯერ „თაზე“ ითქვა და მერე, თითქოს გაახსენდაო, „ლარდე“ დაუმატა მთქმელმა...

25. ჰან. **კობ-ო** ‖ **კომბ-ო** M ‖ **კობ-ალ-ა** უმწიფარი, неспелый

მეგრ. **კობ-უ** „ „

ქართ. —

ჳურძენი კობალა რენ; უმონჭაფუს უწუმელან კობალა II 75_{31} ყურძენი უმწიფარია; უმწიფარს („მოუწეველს“) ეტყვიან „კობალას“... აჲა უშქი სანდუღის ქოდოლოდვი. ანთეფე დაჰა კობო რენ... I 52_{6} ეს ვაშლი ზანდუკში ჩადევი. ესენი ჯერ კიდევ უმწიფარია...

კობო-ს გარდა, როგორც ნ. მარს აქვს მოხსენებული, იხმარება კომბ-ო-ც (ათინურში: იხ. ჰან. გრ., გვ. 156). ეს იგივე კობო-ა, ოღონდ **ბ**-ს წინ **მ**- არის განვითარებული.

ჰან. კობ-ო და მეგრ. კობ-უ ერთი და იგივეა: **ო — უ** სიტყვის ბოლოში, ისიც **ბ**-ს მეზობლობაში (პირუკუ **უ — ო** ნაკლებ მოსალოდნელია).

ეგევე კობ- გვაქვს კობ-ალ-ა-ში, ოღონდ აქ **-ალ-** სუფიქსითაა ძირი გაფორმებული.

ქართულში კობ- ძირის შესაბამისი არა ჩანს.

არქაბელმა ყურძნის მიმართ იხმარა კობალა: ათინურში ამისათვის იხმარება კოხ-ა (იხ. ნ. მარი, ჭან. გრამ., გვ. 158). მეგრულში იგივე ფუძე კუხ-ი უმწიფარი ყურძნის წვენს აღნიშნავს (ხმარობენ ძმრის ნაცვლად). ამასვე ნიშნავს კოხ-ა — ხოფურში (იხ. ნ. მარი, იქვე), ვიწურშიც (კოხ-ო).

ეს კოხ- იგივეა, რაც ქართ. მ-კვახ-ე.

26. ჭან. **ხომ-ულ-ა** || **ხომბ-ულ-ა** გამხმარი, ხმელი, მშრალი, сухой, просохший, высохший

მეგრ. **ხომ-ულ-ა** " "

ქართ. **ხმ-ელ-ი** сухой

არ ხომულა წიფუიში ჭოქის ქელახედუ I $4r_{11}$ ერთი გამხმარი წიფლის ძირში ჩამოჯდა... ზოლი ხომბულა იყვენ I 165_{11} საქალამნე ტყავი გამხმარი იქნება... კუდელი ვა აშუვუ, ხომბულა ტუ-ჲა II 22_1 კუდი არ დაუსველდა, მშრალი იყოო... ხომულა პრასკარენ II 74_7 ხმელი პრასაა... ხომულა ხაჯი ქვასუმან ბიგათე II 76_{11} გამხმარ ლობიოს ჯოხით „ჩეჩავენ“... ლემლი ონუ, დაჩხურის ნოკაჩი, ხომულა იასერე II 104_1 დანოტიოებულია, ცეცხლთან დაიჭირე, გაშრება („მშრალი გახდება“)...

ხომბულა-ში **მ**-სთან **ბ**- არის განვითარებული. მეგრ.-ჭან. ხომულ-ა-ს შეესატყვისება ხმ-ელ-ი (კმ-ელ-ი ძვ. ქართ.). **-ელ-** ქართულში დეტერმინანტი-სუფიქსია; მის ფუნქციას ასრულებს მეგრულსა და ჭანურში **-ულ-** (← **-ოლ-**?).

ჭან.-მეგრ. ხომ- მოწმობს, რომ ქართულშიც **ხ**-სა და **მ**-ს შორის ხმოვანი უნდა ყოფილიყო; **-ელ-** სუფიქსის დართვამ ამ ხმოვნის დაკარგვა გამოიწვია.

რომ ეს ვარაუდი სინამდვილეს შეეფერება, ჩანს იქიდან, რომ ამავე ფუძეს, ზმნაში გამოყენებულს, ხმოვანი მოეპოვება: ძვ. ქართ. **გან-ვ-კემ**: და მე ვ"ა თივაჲ განვკემ (იხ. „დავითნი“, 978 წლის ხელნაწ. № 38, საქართვ. მუზ. ყოფ. უნივერსიტ. ფონდისა — ფ. 148 v).

საკითხავია, რატომ გვაქვს აქ **-ე-** (განვკემ)? თუ ხომ-ულ-ა-ში **ო-** მეორეული არაა, აქ **-ა-** უნდა გვქონოდა (განვკამ)... და თუ აქ **-ე-** გვაქვს, ხომ- უნდა იყოს ხამ-ისაგან მიღებული: ქართ. **კემ** || ზან. **ხამ** — **ხომ**...

ან ეგებ სხვა კილოში კამ- იყო (შდრ. გავჭერ || გავჭარ). ჯერ-ჯერობით ეს საკითხი ღიად რჩება.

27. ჰან. **ჩქვ-ა** სხვა; кидеэ, иной, другой; еще
მეგრ. **შხვ-ა** „ „ „
ქართ. **სხვ-ა** „ „

არ ჩქვა კოჩი ხოლო ქომოხთუ II $11_{\text{„}}$ სხვა ერთი კაცი კიდევ მოვიდა... სუმი-თი ჰაქ ხენ — ქესიმი დო ჟურ ჩქვა II 20_{14} სამიც აქ ცხოვრობს — ქესიმი და ორი სხვა... დივუ ჩქვა! II 55_{31} გათავდა უკვე (სხვა — გათავდა, „იყო“)... ცხენი ბაშქათურლი (ჩქვა თურლი) ტასინონ I 81_{12} ცხენი სხვანაირი უნდა იყოს... არ ჩქვა უნკაპერენ დო იმტერენ I 72_{34} ერთხელ კიდევ გარბენილა და გაქცეულა...

ჩქვ-ა ← შხვ-ა (შდრ. მ-ჩხუ—მ-შხუ „მსხვილი“); შხვ-ა კი შეესატყვისება სხვა-ს (ბოლოკიდური -ა საერთოა); როგორც ჰანურში შხვა→ჩქვა, ისევე მოხეურ კილოში სხვა→„ცხო“; ჰანურშ. **შ→ჩ**, აქ **ს → ც**..

ჩქვა ჰანურში „სხვას“ აღნიშნავს შედარებით იშვიათად; უფრო ხშირად „კიდევ“-ს უდრის, და კიდევ უფრო ხშირად ნაწილაკის როლში გამოდის; ამ ნაწილაკის მნიშვნელობა ზუსტად კონტექსტშიღა გადმოიცემა.

28. ჰან. **ო-შქ-ენ-ონ-ი** შუათანა, средний
მეგრ. **ო-შქ-არ-ი** „ „
ქართ. **შუ-ა-თანა** „

წალენი გზაშე ვიონათ-ი ჲოქსე ოშქენონი გზაშე ვიონათ-ი? ჲოქსე ჟილე გზაშე ვიონათ-ი? II 87_{25} ქვემო გზით წავასვენოთ („წავიყვანოთ“) თუ შუათანა გზით წავასვენოთ? თუ ზემო გზით წავასვენოთ?..

ძირი იგივეა, რაც შქა-ში (იხ. **შქა**). აქ საინტერესოა **-ენ-** სუფიქსი ჰანურში და **-არ-** სუფიქსი მეგრულში.

ოშქენონ-ის ნაცვლად ჰანურში ჩვეულებრივ იხმარება თურქ. ორთა- „შუა“, „შუათანა“...

მეგრ. ო შ ქ ა რ - ი შუათანა ძმის აღსანიშნავად იხმარება: უ ჩ ა შ ი ჯიმა — უფროსი („უხუცესი“) ძმა, უ კ უ ლ ა შ ი ჯიმა — უმცროსი ძმა, ო შ ქ ა რ ი ჯიმა — შუათანა ძმა... (იხ. **დიდ**-ი).

ჰანურში „უფროსი ძმა“ — „დიდი ჯუმა“, „უმცროსი ძმა“ წ უ ტ ა ჯუმა (II 15_7), „წ უ ლ უ ჯუმა“ II 126_{29}, „შუათანა ძმა“ — „ო რ თ ა ჯუმა“ (II 126_{25}) იქნებოდა.

ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მიერ 1917 წელს ჩაწერილ. ტექსტებში დადასტურებულია უ მ ჩ ა შ - ი „უფროსის“ (მეგრ. უ ჩ ა შ - ი) მნიშვნელობით და უ ნ კ ი ლ ა შ - ი — „უმცროსის“ მნიშვნელობით (მეგრ. უ კ უ ლ ა შ - ი); არც ნ. მ ა რ ი ს, არც ჩვენ მიერ გამოცემულ ტექსტებში ეს სახელები არ გვქონდა.

რაც უფრო ახლოს ვეცნობით ჰანურს, რაც უფრო მეტი მასალა გროვდება, მით უფრო უახლოვდება მეგრული და ჰანური ერთმანეთს.

აქ ეს სიტყვები არ შევიტანეთ, რადგანაც ტექსტები გამოცემული არაა და გამოუცემელი ტექსტიდან ამონაწერების მოყვანა უხერხული იქნებოდა.

29. ჰან. **მ-ტკ-ურ-ი**||**მ-ტკ-უ-ი** ველური, „ტყიური“,
|| **მ-ტკ-ორ-ი** || **მ-ტკ-ო-ი** дикий, лесной
მეგრ. **ტყ-არ-ი** „ „
ქართ. **ტყ-ე** лес

კარაქეჩი — მ ტ კ უ რ ი თხა I 165_{21} „კარაქეჩი“ — გარეული თხა („ტყიური თხა“, „ტყის თხა“). მ ტ კ უ ი კაზი, მ ტ კ უ ი ბიბი-თი ენ I 154_{10} გარეული ბატი, გარეული იხვიც არის... მ ტ კ უ ი ფ ა ტ ი ჯ ა ნ ი I 139_{16} „გარეული ბადრიჯანი“... მ ტ კ ო რ ი უშქური, მ ტ კ ო რ ი მცხული-თი ივენ... ჰაჲა — მ ტ კ უ ი ცომური... ირი ხოლო ივენ ოხიალე დო მ ტ კ ო ი; ოხიალეს ნიჩანენ მჩხუ, მ ტ კ ო ი ს მჭიფე ნიჩანენ II 72_{19-23} „ველური ვაშლი“ (პანტა), „ველური მსხალიც“ (მაჟალო) იქნება... ეს — ველური ტყემალი... ყველაფერი იქნება ბაღისა და ველური; ბაღისა მსხვილს ისხამს, ველური („ტყისა“) — წვრილს...

ძირითადია მ-ტ კ-ურ-ი და მ-ტ კ-ორ-ი; ხმოვნებს შორის **რ**-ს დაკარგვით ვიღებთ მ-ტ კ-უ-ი და მ-ტ კ-ო-ი-ს... ძირეუ-

ლია **ტკ-** ← **ტყ-**, რაიც მეგრულსა და ქართულში მოგვეპოვება. მეგრულში **-არ-** სუფიქსი გვაქვს —საატრიბუტივო —, ჰანურში — **-ურ-** და **-ორ-** (**-ურ-** ←**-ორ-**)... თავკიდური **მ-** ფონეტიკური დანართია. ქართულში ტ ყ ე- ფუძისაგან ატრიბუტივი არ იწარმოება: „ტყიური“ არა გვაქვს.

მ ტ კ უ რ - ი || მ ტ კ ო რ - ი ატრიბუტივმა შეგვინახა ტ ყ - ე ფუძე ჰანურში; თვით სუბსტანტივი (მ - ტ კ - ა) უკვე აღარსად ჩანს. თურქ. დ ა ღ - მა დაიჭირა მისი ადგილი (დ ა ღ - ი „მთაც“ არის და „ტყეც“ ჰანურში).

XI

ზ ე ნ ე ბ ი

1. ჭან. -ბ-: გდო-ბ-უ-ნ кидиа, висеть на ч.-л.
მეგრ. -ბ-: გიო-ბ-უ-(ნ) „ „
ქართ. -ბ-: ა-ბ-ი-ა „ „
სვან. -ბ-

ოდას ნეკნა დემირიში გ ო ბ უ ნ II 34_9 ოთახს რკინის კარი კიდია („აბია“)... ოწკიალონი დ ო ლ ო ბ უ ნ ფუჯის II 70_{19} ზარი შებმული აქვს ძროხას... კუჭხეს-და ორანწკილონი მოთ დ ო ლ ო ბ უ ნ-და I 23_{30} ფეხზე ზარი რად აქვს შებმულიო... კაპულას-თი მ ო ბ უ ტ უ მქირი I 40_{11} ზურგზედაც ფქვილი ეკიდა... მთელი დულდა... კაპულას მ ო ბ უ ტ უ I 39_{27} მთელი საქმე ზურგზე ეკიდა... ხაროს თუდე კარიკი გ ე წ ო ბ უ ნ, კარიკის ოკანკონი ნ უ ბ უ ნ II 61_{19-20} ხვიმირს ქვეშ „კარიკი“... კიდია, „კარიკს“ სარეკელაა მიბმული... კერემული უწუმელან, დემირიში ზენჯირი... გ ი წ ო ბ უ ნ I 147_{33} „კერემულს“ ეტყვიან [მეგრ. ნ ა ჭ ა, ჯაჭვი შუა ცეცხლზე]... რკინის ჯაჭვი კიდია...

ძირეულია ბჰოლოდ -ბ-; ჭანურში მისგან ვნებითი გვარის წარმოება გვაქვს „კიდია“, „აბია“-ს ტიპისა. მეგრულში, სვანურში, ქართულში ამავე ძირისაგან მოქმედებითი გვარის ზმნაც იწარმოება: მ ი კ ვ ო ბ უ ნ უ ა ნ ქ (ვკიდებ), სვ. ხ უ ა ბ ე მ, ვ ა ბ ა მ.
მნიშვნელობა ძირისა მცირეოდენ გადახრას იძლევა: კიდია, აბია, კიდებს, აბამს.

2. ჭან. -ბ-: ქოგო-ბ-უ გადაასხა, облить ч.-л. жидкостью
მეგრ. -ბ-: ქოგა-ბ-უ „ „
ქართ. — —

გაზ-ჯაღი ქ ო გ ო ბ უ დო ნუკლიმუ, დოჭუ I 8_{31} ნავთი გადაასხა და მოუკიდა, დაწვა... მუჰარებე პათ კორღონეფეკალა... ენთეფეში მარქვალეფეს კაზ-ჯაღი გ ო ვ ო ბ ა თ დო დოჰქვათ I 112_{18} ვებრძოლოთ კოლოებს... იმათ კვერცხებს ნავთი გადავასხათ და დავწვათ... თოფური ქაგიღუ... გ ო ბ ე ს [ფილავის] დო მთელიქ ქოქკომე-

I 22_{17-18} თაფლი ჩამოიტანა... გადაასხეს [ფლავს] და ყველამ ჭამა... ეკულე ია [წკაი] გიმელან დო ბაკლავას გობაფან I 143_{26} შემდეგ იმ [წყალს] ჩამოიღებენ და „ბაკლავას“[1] გადაასხამენ... კავე ვა გემიბეს II 55_{21} ყავა არ დამისხეს...

ეს ძირი „დაღვრის“, „დასხმის“ მნიშვნელობით იხმარება; ქართულში ის არა ჩანს. არ არის აგრეთვე ცხადი, აქვს თუ არა ბას კავშირი ჭანურ **-ბღ-** ძირთან (იხ. ქვემ.), რომელიც „ყრა“-ს ნიშნავს.

3. ჭან. **ბად-** бадеба, рождать, сотворить
მეგრ. **ბად-** „ „ „
ქართ. **ბად-** „ „

ბერე დიბადიტა-ში, ...თელი მანძაგერეფე — „ბიჭი დიბადენ-ივანა კულანი“-ა, ჩუმელან I 162_{6} ბავშვი რომ იბადებოდეს, ...მთელი მეზობლობა — „ბიჭი დაიბადება თუ ქალიო“, ელიან... ბიჭი დიბადუ-ნა, პილავი დოლუბღაფან I 162_{10} თუ ბიჭი დაიბადა, ფლაჯს ჩაუყრიან... კულანი დიბადუ-ნა... I 162_{12} თუ ქალი დაიბადა...

ეს ძირი საერთოა მეგრულში, ჭანურში და ქართულში; ამ უკანასკნელში მისი ძირითადი მნიშვნელობაა „გაჩენა“; აქედან — ბიბლიის სახელწოდება „დაბადება“ — „შექმნის“, „გაჩენის“ გაგებით. „დამაბადებელი“ „შემქმნელის“ მნიშვნელობით იხმარება მეგრულშიც.

4. ჭან. **ბანდალ-** Бандали, ходить неуклюже, ходить пошатываясь
მეგრ. **ბანდალ-** Бандали
ქართ. **ბანდალ-ი** „აქა-იქ მივლა-მოვლა“ (საბა), шататься, ходить туда-сюда (неуверенно)

ოძიცინუშენი ბანდალაპტუ [მთუთი]. თილქიქ-თი — „აკო კაი ოხოონუ სო იგური“-ა, უწუ. მგეიქ თილქის ილუფურჩოლუ: „სი მცუდი ვოთ ზოპონ-და. ებუქ ოძიცინუშენი ბანდალაფს“-და დო... I 70_{4-7} სასაცილოდ ძუნძულებდა [დათვი]. მელამაც — „ასეთი კარ-

[1] საჭმლის სახელია.

გი ცეკვა სად ის'წავლეო'', უთხრა. მგელმა მელას ჩაუჩურჩულა: „შენ ტყუილს რად ლაპარაკობო? ის სასაცილოდ დაძუნძულებსო“ და...

როგორც ვხედავთ, ჰანურში (სარფულში) „ბანდალი“ ძუნძულის აღსანიშნავად არის გამოყენებული. მეგრულში კბილზე ითქმის „ბანდალებსო'': „კიბირი იბანდალუ(ნ)''—„კბილი იძვრის''...

5. ჰან. **ბარ-** ბერვა, дуть, раздувать
მეგრ. **ბარ-** „ „ „
ქართ. **ბერ-** „ „ „

მზოლაკელე იხი ბ ა რ ტ უ I 46_{33} ზღვიდან ქარი ქროდა („უბერავდა“)... ღომასერი იხი დიდო ბ ა რ ტ უ II 1_{16} გუშინღამ ქარი ძალიან ქროდა...

ამ ზმნას ქართულში **-ავ** სუფიქსი დაერთვის (აწმყოში), შეიძლება **უ-** თავსართიც გაუჩნდეს: ბ ე რ ა ვ ს, უ ბ ე რ ა ვ ს...
არც მეგრულში, არც ჰანურში სუფიქსი მას არა აქვს; ბ ა რ - ს = ბერავს, მეგრ. უ ბ ა რ - ს = უბერავს.

6. ჰან. **ბაღ-**: ბაღ-უ-ნ კმარა, ეყოფა, довольно, достаточно
მეგრ. **ბაღ-**: ბაღ-უ-(ნ) „ „ „ „
ქართ. —

მამუდას მუში დიშქა ვა დ უ ბ ა ღ უ I 43_{8} მამუდს თავისი შეშა არ ეყო... აჲა ვა დ უ ბ ა ღ უ ნ! გვერდი ლირა ჩქვა მომჩაგინონ! I 62_{29} ეს არ ეყოფა! ნახევარი ლირა კიდევ უნდა მომცე!...

ქართულში ამავე მნიშვნელობით სხვა ძირია გამოყენებული. არც სვანური ხმარობს **ბაღ-** ძირს ამ ცნების გამოსახატავად. ხომ არ არის „ბაღ-უ-ნ“ ნასახელარი ზმნა და ხომ არ უდევს მას საფუძვლად „ბ ა ღ -უ“ — ბეღ-ელ-ი?

7. ჰან. **ბახ-** ‖ **მ-ბახ**: დო-**ბახ**-უ ცემა, მობეგვა, поколотить
მეგრ. **ბახ-**: დო-**ბახ**-უ ,, ,,
ქართ. —

ოხორიშა მოხთუ დო... ბაბა მუში დ ო ბ ა ხ უ I 111_{11} შინ („სახლში“) მოვიდა და თავის მამას სცემა (მობეგვა)... ბიგა ქოგეჩეს, დ ო ბ ა ხ ე ს I 17_{5} ჯოხი დაკრეს, სცემეს... მასუმა დღას ხოლო დ ო მ ბ ა ხ უ I 56_{1} მესამე დღეს კიდევ მცემა... „ღურელი(!) თი ქჲეზდუმს-ი?“ უწუ ე-დო მ ბ ა ხ უ. ხოჯა ეკო მ ბ ა ხ უ-ქი, ტორა შური ქჲუხთუ II 9_{2-3} „მკვდარი თავს ასწევს?“—უთხრა და სცემა. ხოჯას იმდენი სცემა, რომ კინაღამ სული გააცხებინა („სული ამოუვიდა“)...

ამ ძირს თავკიდური **ბ**-ს წინ **მ**- შეიძლება ჰქონდეს განვითარებული: **მ-ბახ-** (იხ. ზემოთ მაგალითები არქაბული ტექსტებიდან). ჰანურში ამ ზმნას უფრო ფართო გამოყენება აქვს, ვინემ მეგრულში. ამ უკანასკნელში ზოგადად ცემის მნიშვნელობით ლ ა ხ უ ა (ქართ. გა-ლახ-ვა) იხმარება: გ ო ლ ა ხ უ — „გალახა“.

8. ჰან. **ბერგ-**: დო-**ბერგ**-უ თოხნა, გამარგვლა, полоть мотыгой
მეგრ. **ბარგ-**: დო-**ბარგ**-უ ,, ,,
ქართ. [**მარგ-**](?)

ეჩი ნდღაშ-კულე არ-კატი დ ო ბ ე რ გ ი, ხოლო ვით დღაშ-კულე ჟურ-კატი დ ო ბ ე რ გ ი II 31_{11} ოცი დღის შემდეგ ერთ-გზის გავთოხნე, კიდევ ათი დღის შემდეგ მეორეჯერ გავთოხნე... ო ბ ე რ გ უ ქოგჲევოჭი, ა კატი ო ბ ე რ გ უ დოვოჩოდინი... ვით ნდღაშ ოკაჩხე მაჟუანი ო ბ ე რ გ უ ქოგევოჭი II 105_{1-3} თოხნა დავიწყე, ერთგზის თოხნა გავათავე... ათი დღის უკან მეორედ გათოხნა დავიწყე (ლაპარაკია თამბაქოს გათოხნაზე)...

არქაბელები და ართაშნელები (ათინელებიც) ო ბ ე რ გ უ-ს ხმარობენ, სარფში ჩაწერილ ტექსტში სხვა სიტყვა გვაქვს: ...არ კათი ქ ო გ ო ვ უ მ ე რ თ. ხოლო ვიტოხუთ დღა'ჭკულე ჟურ კათი ქ ო გ ო უ მ ე რ თ I 135_{23} ერთ-გზის შემოვაცლით. კიდევ ხუთმეტი დღის შემდეგ მეორე-ჯერ შემოვაცლით... (იგულისხმება ბალახი). ქ ო გ ო ვ უ მ ე რ თ—აორ. ქ ო გ ო ვ უ ღ ი—მეგრ. გ უ (ვ) უ ღ ი (ითქმის, მაგალ. დაგუბებულ წყალზე).

დ ო ბ ე რ გ უ (მან გათოხნა) ნასახელარი ზმნაა, ნაწარმოებია **ბერგ**-ისაგან (იხ.). მეგრულში ფუძისეული **-ე-** შეცვლილია **ა**-თი: ბ ა რ გ უ ნ-ს. ეს აახლოებს ამ სიტყვას ქართ. მ ა რ გ ვ ლ ა ს თ ა ნ (აკად. ნ. მ ა რ ი მიუთითებს კიდეც ამ ძირზე: შდრ. ქართ. მ ა რ გ ვ ლ ა ს ო — ჰან. გრამ., გვ. 130), მაგრამ ეს ქართ. ძირი **მარგ**-ილ-ს უკავშირდება: მ ა რ გ ლ ვ ა — მარგ-ილ-ით მუშაობა. წარმოშობით **მარგ**- და **ბერგ**-ერთი და იგივე არ უნდა იყოს.

9. ჰან. **ბირ**- სიმღერა, (თამაში), петь, (играть)
მეგრ. **ბირ**- ,, ,, ,, ,,
ქართ. —

ნანა-მუშიქ დაჰა ი ბ ი რ ტ უ ონწელიში ო ბ ი რ უ I 32_{23} დედა მისი კიდევ მღეროდა აკვნის სიმღერას... არ დღას ნესრუდდინ ხოჯაქ ჰემამის... ი ბ ი რ ე ლ ე რ ე ნ დო აშო თქვერენ: „მე ჯაი სერსი მილუნ-ჲა!“ I 10_{2-3} ერთ დღეს ნესრუდინ-ხოჯას აბანოში უმღერია და ასე უთქვამს: „რა კარგი ხმა მაქვსო“... კაი-კაი იპაამითეს, ისთეეს, იხორონეს, ი ბ ი ე ს II 65_{30} კარგად ისაუბრეს, ითამაშეს, იცეკვეს, იმღერეს... ჰაშო ბიჭეფექ ი ბ ი რ ე ს. ოკულე ქეისელეს ხორონიშა II 66_{16} ასე ყმაწვილ-კაცებმა იმღერეს. მერე ადგნენ საცეკვაოდ...

ამ მაგალითებიდან უეჭველი ხდება, რომ **ბირ**- სიმღერას ნიშნავს. მაგრამ როგორც ქართულში „მღერა“ თამაშს ნიშნავდა, ისე ჰანურში ო-**ბირ**-უ თამაშის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

მეგრულში დაცულია **ო-ბირ**-ემ-ი, ადგილი, სადაც ცეკვა-თამაში და სიმღერა იმართება (იხ. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ. გრ., ლექს.: **ბირ**-); მისი პირვანდელი მნიშვნელობა „სათამაშო“, „საცეკვაო“ უნდა ყოფილიყო.

10. ჰან. **ბონ**- ბანა, мыть (руки, лицо, но не посуду)
მეგრ. **ბონ**- ,, ,,
ქართ. **ბან**- ,, ,,

...კოჩი დ ო ბ ო ნ უ I 41_{33} კაცი დაბანა... კაი-თი პიჯი დ ო ი ბ ო ნ ი, ნუნკუ დოიბონი, გჲარი ქოჰჭკომი I 93_{33} კარგადაც პირი დავიბანე, „სახე“ დავიბანე, საჭმელი ვჭამე .. ხე ი ბ ო ნ ს I 6_{19} ხელს

იბანს... ხოჯაქ დობონუმს ჯინაზე II 67_{33} ხოჯა დაბანს მიცვალებულს... კატუ ჰაწი დოხედუნ ჰაშო..., პიჯი იბონს II 4_{3-4} კატა ახლა დაჯდება ასე..., პირს იბანს... დუმბონუ.. უმბონაბტუ... თი უმბორტუ-შა II 118_{15} დაბანა... ბანდა... სანამ თავს ბანდა...

ბონ- კანონზომიერი შესატყვისია **ბან-** ძირისა. ათინურში **ბონ-** ძირს თავკიდური **ბ**-ს წინ განვითარებული აქვს **მ**- (იხ. აქვე); **ბონ-** შეიძლება **ბორ**-ის სახითაც შეგვხვდეს (იხ. აქვე ზემოთ), თუ ეს ინდივიდუალური მოვლენა არ არის. აკად. ნ. მარს არა აქვს ნაჩვენები **ო-მ-ბონ-უ,** მაგრამ პროფ. ი. ყიფშიძის ჩანაწერებში ვხვდებით **ომბონუ**-ს ათინურზე მითითებით.

11. ჰან. **ბრუწ-** || **„ბრიწ-**"M დახევა, დაფხრეწა, разодрать,-ся, разорвать,-ся

მეგრ. **ბურიწ-** „ „ „

ქართ. **ფრეწ-** || **ფხრეწ-** „

არ ფარა გევობური, დობრუწუ, ხოლო გევობური, ე-თი ბრუწუ... I 113_{16} ერთხელ დავაკერე, გაიხა, კიდევ დავაკერე, ესეც გაიხა... „თერზი, თერზი! დოლოჭუნუ ელამიბრუწა-ში, მემიჭაფი-ა?" I 18_{12} თერძო, თერძო! ტანისამოსი რომ გამეხეს, ამომიკერავო?..

მეგრ. დობურიწუ — დაფხრიწა, ქართ. ფრეწა, ფხრეწა, ჰან. ბრუწუ — ერთი და იგივე ძირი ჩანს, ხმის მიმბაძველობითი წარმოშობისა. ჰანურში ენებითი გვარი გვხვდება, მეგრულსა და ქართულში მოქმედებითი გვარიც ჩვეულებრივია.

12. ჰან. **ბუცხ-** ფოცხვა, собирать граблями

მეგრ. **ბუცხ-** „ „ „

ქართ. **ფოცხ-** „ „

ე-ნა ხაჩქან ყონა, ბუცხითე დობუცხუფან: ჩაეფე, კორდეფე ვა იყვენ დო ემუშენი ბუცხუფან I 137_{25} ყანას რომ მოხნავენ, ფოცხით მოფოცხავენ: ბალახი, „კორდები" არ იქნება [მერე] და ამისათვის ფოცხავენ...

ბუცხუფს, ცხადია, ნაწარმოებია სახელისაგან **ბუცხ-ი** (იხ.), რომელიც ამავე სახითაა მოცემული მეგრულშიც. იგივე ძირია ქართულში **ფოცხ-** ← **ბოცხ-**.

13. ჰან. **ბუძგ**: უ-**ბუძგ**-უ-ნ დაბუჟება (მაგ. ფეხისა), отсидеть ногу
მეგრ. **ბუძგ**-ა ეკლები წაბლის ნაყოფზე, иглы на каштановом плоде
ქართ. **ბუძგ**-ი „პატარა ძღარბი“ (საბა), маленький еж

კოჩის კუჩხე-ნა უბუძგას, კუჩხე აშო გჲუნთხას ე-დო თქვას: „ბუძგუ, ბუძგუ, ბუჩილაჲ! ნანა სქანი ვოჩილაჲ“... ეკულე ჩქვათი ვა უბუძგუნ I 128_{23-25} კაცს ფეხი რომ დაუბუჟდეს, ფეხი ასე განრთხას (გამართოს) და თქვას: „ბუძგუ, ბუძგუ, ბუჩილაჲ! დედა შენი გავათხოვო („ცოლი შევრთო“!)... მერე არ დაუბუჟდება...

ერთის შეხედვით, არაფერია საერთო ფეხის „დაბუჟებასა“ და ზღარბს ანდა წაბლის ნაყოფის ეკლებს შორის, მაგრამ ეს ორი უკანასკნელი რომ ერთმანეთს დაუკავშირდეს, სავსებით ბუნებრივი იქნიბოდა; დაბუჟება ისეთ განცდას იწვევს, თითქოს „ბუძგები“ ესობოდეს დაბუჟებულ ნაწილში. ამრიგად, უბუძგუნ—უბუჟდება ნასახელარი ზმნა გამოდის: **ბუძგ-ი** || **ბუძგ-ა** (ეკალი, ზღარბი) — ის სახელია, რომლისაგანაც ნაწარმოებია ეს ზმნა.

14. ჰან. **ბღ-**: ქოდო-**ბღ**-უ დაყრა, сыпать,-ся, падать во множестве
მეგრ. **ღვ-**: ქოდა-**ღვ**-უ ,, ,,
ქართ. **ღვ-**: და-**ღვ**-არ-ა лить,-ся

ოკულე არ ვით თანე დაჰა გზას... ქოდობღუ I 72_{3-4} მერე ერთი ათი ცალი კიდევ გზაზე... დაყარა... ექ ყონა დოტახეს დო არ ჲეის ქოდობღეს I 109_{32} იქ სიმინდი („ყანა“) დატეხეს და ერთ ადგილას დაყარეს... ქაფშია ფჷლუკას დოლობღეს I 157_{23} ხამსა (თევზი) ნავში ჩაყარეს... მანგალითენ ჩალა დოჰკიუფთ; ხეშიხეში ქოდობღაფთ ეშო I 136_{37} ნამგლით ჩალას მოვჭრით, ხელეულ-ხელეულებად დავყრით ისე... ლაზმა გებღუ-ში რენ-ნა, ქო-

გ ა ო ბ ღ ა მ ა ნ კალათითე... ქ ო კ ო ბ ღ ა მ ა ნ ონტულეს ჰექ-ჰაქ... ო კ უ ლე ბერგითე ქ ო გ ო შ ო ბ ღ ა მ ა ნ... II 59_{31-34} ნაკელი თუ დასაყრელია, დააყრიან კალათით... ერთად დაყრიან ბოსტანში იქა-აქ... მერე თოხით მიმოფანტავენ (შიგნით აყრიან)...

ეგეთ ძირი მეგრულში **ღვ**-ს სახით გვაქვს; მაგალ.: ქ ო დ ა ღ ვ უ ქ უ ა — დაყარა ქვა... ქართულში **ღვ-** (**ღვ-არ-**) სითხის მიმართ იხმარება, მაგრამ იგივე ძირი უნდა იყოს. ქართული და მეგრული ერთსა და იმავე **ღვ**-ს იძლევა, ჰანურში **ბღ-** ამ **ღვ**-საგანაა მიღებული **ვ-** || **ბ**-ს შენაცვლებითა და გადასმით.

მეგრულსა და ჰანურს „დაღვრის“, „დასხმის“ აღსანიშნავად „დობუმა“ რომ არ ჰქონდეს, **ღვ-** ძირი, საფიქრებელია, მეგრულში (და ჰანურში) მნიშვნელობას არ შეიცვლიდა.

15. ჰან. **-გ-**: მო-**გ**-უ [მოიგო, выиграл]
მეგრ. **-გ-**: მ̄ი-**გ**-უ „ „
ქართ. **-გ-**: მოი-**გ**-ო „

ლაზუტი გამაჩეს დო ფარა მ ო გ ე ს I 51_{31} სიმინდი გაყიდეს და ფული მოიგეს... სი ტუფელი... გინონ-ი? ...ქეგიჭოფათ დო გოხთი!.. მუ მ ო გ ა რ ე?! II 25_{18} შენ თოფი გინდა? გიყიდით და იარე!.. რას მოიგებ?!...

მეგრულს გამოთქმებში: ფარა მ ̄ი გ უ... მუ მ ̄ი გ ი?—ფული მოიგო... რა მოიგე? იგივე ძირია, ისევე გაფორმებული, როგორც ქართული და თითქმის ისევე აგებული, როგორც ჰანური: შდრ. ქართ. მო-ი-**გ**-ო, მეგრ. მ̄ი-**გ**-უ (← მო-ი-**გ**-უ) და ჰან. მო-**გ**-უ (← მო-ო-**გ**-უ).

ქართულში და მეგრულში ეს ძირი მეტად ფართოდ არის გამოყენებული: ფული მოიგო, წააგო... ხალიჩა დააგო... სახლი ააგო... ამბავი გაიგო... ასევეა მეგრულშიც: ფარა მ̄იგუ, წ̄აგუ (ფული მოიგო, წააგო)... ღუმუ ქოდაგუ (ღომი დააგო)... ყუდე გეჲოგუ (სახლი ააგო)... ამბ̄ე ქიგ̄ეგუ (ამბავი გაიგო)...

ჰანურში ასეთი ფართო გამოყენება ამ ძირისაგან ნაწარმოებ ფუძეებს არა აქვს.

მაგრამ ეგეთე ძირი უნდა გვქონდეს ზმნაში: ჰან. გ ჲ ა გ უ — მეგრ. ქ ო გ ი ა გ უ — დაეჩვია...

16. ჭან. **-გ-**: მემა-**გ**-უ შეხვედრა, встретить
მეგრ. **-გ-**: მემა-**გ**-უ მოხვედრა, попасть
ქართ. **-გ-ებ-**: შემე-**გ**-ებ-ა встретить, выйти, встречать

გზას ემედენი ია მთუთი ქონაგუ I 42_{27} გზაზე უცებ ის დათვი შეხვდა... დაღის არ თილქი ქონარგუ I 45_{1} ტყეში ერთი მელა შეხვდა... ყარ თუთა ციტუ, არ დერე ნაგუ II 137_{6} ერთი თვე იარა, ერთი მდინარე შეხვდა... ჰექ ოხორეფე მეგაგანორენ ლაზიში II 54_{12} იქ ლაზის სახლები შეგხვდებათ... დაჰა იდუ-სი, ...კოჩი ნაგუ II 132_{26} კიდევ რომ იარა, კაცი შეხვდა... გზას ნიტე-ში, ...ფირაულეფე ნაგეს II 48_{31} გზაში რომ მიდიოდენ, ...ყაჩაღები შეხვდათ...

მეგრულში გარკვეულს გამოთქმებშიღა გვაქვს ეს ძირი: ბიგაქ მემაგუ ხეს — ჯოხი მომხვდა ხელში...

ქართულში ეგევე ძირი უნდა იყოს მიგებება-ში, სადაც **-ებ-** სუფიქსები მაწარმოებელია; „შეხვედრა“ და „მიგებება“ მნიშვნელობით ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია (შდრ. ძვ. ქართ. შეემთხვა „შეხვდა“ და ახ. ქართ. „რა შეემთხვა?“, ე. ი. რა „შეხვდა“?).

17. ჭან. **გ-**: -ნ-**გ**-ამ-ს || **გ**-აფ-ს ჰგავს, быть похожим
მეგრ. **გ-**: **გ**-უ-ნ ,, ,, ,,
ქართ. **გ-**: **გ**-ავ-ს ,, ,,

სქანი კულანი სინ დიდო მეგინგაფს I 32_{9} შენი ქალი შენ ძალიან გგავს... არ ჩქვა ათმაჯას ნუნგაფს I 154_{30} ერთი სხვა[ც] მიმინოს გავს... სესი სქანი, თოლი სქანი, ოძიცინუ სქანი, ოსინაფუ სქანი, თელი ჩილი ჩქიმის ნუნგამს II 19_{27} შენი ხმა, შენი თვალი, შენი სიცილი, შენი ლაპარაკი, ყველაფერი ჩემი ცოლისას გავს... კაი გჲარი ივენ, ელამჭუხერი (მეგრელეფეში ხარშოს ნუნგამს) II 75_{7} კარგი საჭმელი იქნება, მოცხარო (მეგრელების ხარჩოს წააგავს)...

ამ ძირს ჭანურში **-აფ-** || **-აფ-** სუფიქსი დაერთვის ქართულის **-ავ-** სუფიქსის შესაბამისად. მეგრულში კი — ვნებითობის მაწარმოებელი **-უ-** გვაქვს (**-ნ** პირის ნიშანია). **-ნ-** ჭანურში ფონეტიკური დანართია.

18. ჰან. **მ-გარ-** || **ბ-გარ-** ტირილი, плакать
მეგრ. **გარ-** ,, ,,
ქართ. **გლ-ოვ-** оплакивать

ნანაქ დიდო იმგარუ I 95_{31} დედამ ბევრი იტირა... ბერეფექ ბაბა მუთეფეში ოდაშა ამახთეს დო დიდო იმგარეს I 51_{10} შვილები თავის მამის ოთახში შევიდენ და ბევრი იტირეს... ოკულე დიდი ჯუმაქ თქუ-ქი „აწი ვიმგარით, ვიმგარით, დუბაღუნ!“ I 51_{12} მერე უფროსმა ძმამ თქვა, რომ „ახლა ვიტირეთ, ვიტირეთ, კმარა!“... ბერეფე მუშიქ „ბაბა ჩქიმი“-ა დო დიდო იმგარან I 130_{7} მისმა შვილებმა ,,მამა ჩემო“-ო და ძალიან ტირიან... იბგარუ დო ხოლო მეჯოჩუ ოხორჯაქ II 17_{12} იტირა და კიდევ დაწყევლა (‚გადასცა“) ქალმა... ბერექ... ვა იბგარუ II 93_{36} ბავშვმა არ იტირა... ბოზო ხენ დო იბგასს II 36_{7} ქალიშვილი ზის და ტირის... ჩილი მუში იბგაჲ, ნანა მუში იბგაჲ... II 116_{22} ცოლი მისი [მიცვალებულისა] ტირის, დედა მისი ტირის... დერემენჯი დო (ო)ხორძა მუში სერი-ნდღალეი იბგარან II 101_{1} მეწისქვილე და მისი ცოლი დღე-და-ღამ ტირიან...

ამ ზმნის ძირს ჰანურში წინ განვითარებული აქვს **მ-** (ხოფურში), **ბ-** (ათინურსა და არქაბულში). მეგრულსა და ქართულთან შედარება ამჟღავნებს, რომ ეს **მ-** || **ბ-** ფონეტიკური დანართია (ამის გაუთვალისწინებლობის გამო აკად. ნ. მარს ეს ძირი **მ-**ზე აქვს შეტანილი: **მგარ, ბგარ**—იხ. ჰან. გრ., ლექსიკ., გვ. 166).

ჰანურთან და მეგრულთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართულში გლოვა-ს ხმოვანი აქვს დაკარგული; უნდა ყოფილიყო: **გელ**-ოვ-ს. მნიშვნელობით „გლოვა“ უფრო ფართოა, ვინემ ჰან.-მეგრ. გარა: „გლოვა ...არს სამწუხაროსა საქმესა ზედა ვაებით, ტირილით და შეწუხებით ყოფა“ (საბა); ამრიგად, ჰანურსა და მეგრულში ამ ძირის მნიშვნელობა დავიწროებულა: გარა მხოლოდ ტირილის აღმნიშვნელად ქცეულა.

19. ჰან. **გზ-**: ქოდო-**გზ**-უ დანთება ცეცხლისა, разводить огонь
მეგრ. **რზ-**: ქოდა-**რზ**-უ „ „ „ „
ქართ. **გზ-**: აღა-**გზ**-ნ-ო: „გზება—ცეცხლის აღნთება“ (ს ა ბ ა)

მემედიქ დაჩხირი ქ ო დ ო გ ზ უ I 90_{8} მემედმა ცეცხლი დაანთო... ნანაქ ...დაჩხიი ქ ო დ ო გ ზ უ I 110_{14} დედამ ცეცხლი დაანთო... დაჩხიი-ნა ო გ ზ ა ფ ა ნ ჯერის კირა ქოგოლაბდკი I 147_{27} ცეცხლს რომ ანთებენ, იმ ადგილას, კერა დავდევი... ჭინ ქუკუტი... ქ ო გ ჯ ო გ ზ ა ფ ა ნ I 143_{13} ზედ (სიმინდის) ნაქურჩალს დააგზებენ... ჭიტა ენვერიქ ბითთუმ კოჩი-ნა ძიატუ, ნენა გამანთხიპტუ, ოოლეფე გ ა მ უ გ ზ ა პ ტ უ დო ოწკერტუ I 102_{26} პატარა ენვერი—ყოველთვის, კაცს რომ ნახავდა, ენას გამოუყოფდა, თვალებს გამოკარკლავდა („გაწოუნთებდა“) და უყურებდა... დიშქა მოღით, დაჩხუი ო გ ზ ი თ! II 97_{34} შეშა მოიტანეთ, ცეცხლი (და)ანთეთ!.. დაჩხური-ნა ნ ო გ ზ უ ნ ჯერი—ოდაჩხურე II 73_{28} ცეცხლი რომ ანთია, (ის) ადგილი—საცეცხლე... მა დაჩხური ქ ო დ ო ჯ ი... რიზა--ქ ო დ ვ ო ჯ უ II 115_{18} მე ცეცხლი დავანთე... რიზამ—დაანთო...

ძირეული **გზ-** მეორდება ქართულსა და ჰანურში, მეგრულში მის ადგილს იჭერს **რზ-** (იხ. **გზ-ალ-**); ართაშნულში ამ ძირს **-ზ-** აკლია და **გ-** შეცვლილია **ჯ**-თი: ქ ო დ ო ჯ ი, ქ ო დ ვ ო ჯ უ...

ახალ ქართულში **გზება**-ს ნაცვლად ნ თ ე ბ ა იხმარება, მაგრამ ძვ. ქართულში ეს ზმნა იხმარებოდა ისევე, როგორც ჰანურში ამჟამად („...ა ღ ხ უ ა გ ზ ნ ე ცეცხლი ბჭ ე თა ი ნ ე მისათა“: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ხანმეტი ტექსტები, ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. II, 373).

20. ჰან. **გზ-ალ-||-ზ-** M: ი-**გზ**-ალ-უ წასვლა, გამგზავრება, итти, отправляться в путь
მეგრ. [**რზ-ოლ-**]
ქართ. **გზ-ავ-**: გაემ-**გზ**-ავ-რ-ა „ „
სვან. ლი-**ზ**-ი წასვლა, „ „

ხოჯა გეხელდუ გიინის დო ოხოიშა ი გ ზ ა ლ უ. დაჰუდის-თი მუთუ ვა ახვენუ დო მუში ოხოიშა ი გ ზ ა ლ უ I 4_{26} ხოჯა შეჯდა სახედარზე და წინ წავიდა. ებრაელმა ვერაფერი გააწყო და თავის სახლში

წავიდა... არ საატი'ჭკულე ბეეფე ონჩუუშა იგზალეს I 8_{20} ერთი საათის შემდეგ ბავშვები საბანაოდ („საცურავად") წავიდენ... ფარა მუში ქეუჭოფუ... ოხორი მუშიშა იგზალო II 128_{19} მისი ფული გამოართვა... თავის სახლში წავიდა... უკულე გამახთეს დო იგზალეს ყავჯილუღიშე II 78_{8} მერე გამოვიდენ და წავიდენ სანადიროდ... „გუგული კრიუ-დეი, ბოგზალათ!" II 127_{9} „გუგულმა დაიძახაო, გავუშვათ" („გავამგზავროთ", „გზას გავუყენოთ")...

იგზალუ ნასახელარი ზმნაა, ნაწარმოებია **გზ-ალ-** სახელის ფუძისაგან (იხ.); ფართოდაა გამოყენებული ჭანურში; მეგრულმა ამგვარი ზმნა არ იცის; თვით სახელიც (**გზალ-**) მხოლოდ ნაწარმოებ ფუძეშია შემონახული (**ო-რზ-ოლ-**ი— საგზალი); თავის დროზე, ალბათ, მეგრულშიაც ისევე ხშირი იყო ამ ფუძის ხმარება, როგორც ჭანურსა და ქართულში.

ი-**გზ-ალ-**უ ზმნის მნიშვნელობა ოდნავ განსხვავდება ქართულში იმავე ფუძის მნიშვნელობისაგან: ჩვეულებრივ იგი წავიდა-ს გაგებით იხმარება.

ათინურში აკად. ნ. მარს დადასტურებული აქვს ვიზალი, იზალი, იზალუ... ე. ი. ეს ძირია **გ**-ს დაკარგვით. კითხვა ისმის: ამავე გზით არის მიღებული სვან. ლი-**ზ**-ი, თუ აქ სხვა ძირი გვაქვს? ან იქნებ **გზალ**-ში **გ**- მერე დართულია (ფორმანტია!) და სვანურს აქვს შემონახული წინანდელი მარტივი სახე ამ ძირისა, რომელსაც დაემთხვა ათინურის გამარტივებული, მეორეული თავისი წარმოშობით, ვარიანტი?! აქ საკითხს ღიად ვტოვებთ.

21. ჭან. **გიბონ-** გორება (დიდი რისამე), скатиться
მეგრ. **გიბონ-** ხიარული დიდი უშნო რისამე, передвигаться
ქართ. — (про неуклюж. большой предмет)

გზაში ორთას არ დიდი ქვა ძიტუ... მეგერე მუშაფექ-ნა ლაღუმი ისთოლეს, გზაშა ქაგილინგიბონერეტუ I 91_{30-32} ზედ შუა გზაზე ერთი დიდი ქვა იდო... თურმე მუშებმა რომ ლაღუმი ისროლეს, გზაზე ჩამოკორებულიყო...

ტექსტებში ეს სიტყვა სხვაგან არაა დადასტურებული. არც ნ. მ ა რ ს აქვს აღნიშნული ლექსიკონში.

მეგრულშიც ეს სიტყვა იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება: გ ი - ლ ე გ ი ბ ო ნ უ — დიდი უშნო რამ მიმოდის (დაგორავს?)...

ი. ყ ი ფ შ ი ძ ეს მეგრულის ლექსიკონში არა აქვს.

ქართულში ეს ზმნა არა ჩანს.

22. ჰან. **გნ-**: ო-**გნ**-უ, ნა-**გნ**-უ, ში-**გნ**-უ... გავონება, გაგება, მიგნება, услышать, (понять)

მეგრ. **გონ-**||**გინ-**: გე̄-**გონ**-უ... ქი̄-**გინ**-უ გაგონება, შეგრძნობა, услышать, почувствовать

ქართ. **გონ-**|**გნ-**: გაი-**გონ**-ა... შეი-**გნ**-ო... მია-**გნ**-ო услышать, понять

სერსი ჩქინი ო გ ნ უ-ში I 163_3 ჩვენი ხმა რომ გაიგონა... ჯა-მიშიში საჰიბიქ ქ ო გ ნ უ... II 12_{23} კამეჩის პატრონმა გაიგო... ჰემ კოჩიქ ვარ ო გ ნ უ, ხოლ' დიშქა ჩითომს II 79_{16} იმ კაცმა ვერ გაი-გონა, კიდევ შეშას აპობს... დივეფექ ჰაწი ოკისინ-ფამან „ჰაჲას-ჲა მუ ბოლოდათ ჩქუ"-ჲა?! ჰაწი ჰემ გუნძე ჳუჯონიქ ოხოიშე ო გ ნ ა-ძს II 38_4 დევები ახლა ლაპარაკობენ ერთმანეთში „ამას ჩვენ რა ვუყო-თო?!" ახლა ეს გრძელ-ყურიანსაც შინიდან („სახლიდან") ესმის... „სი-ა, მა-ნა გიწუმე, ვა ო გ ნ ა მ-ი-ა?!" II 37_{15} შენო, მე რო გეუბ-ნებიო, არ გესმისო?!"... მა თოლითე ოკობიწერ... ჳუჯითე ბ ო გ ნ ა მ II 113_4 მე თვალით ვხედავ... ყურით—გავიგონებ... ჰაწი ქომოჯი მუშიქ ქ ო გ ნ უ... II 32_4 ახლა მისი ქმარი მიხვდა (ქმარმა გაიგო)... ჭირ ხოლო ქ ო გ ნ ეს დო ჩქვა ვარ მაჲლუ II 80_5 სულყველამ გაი-გო და მეტი ვერ მოვკალი (ირემი)...

ბაბას-თი ბაშკაკალა მთიი (მთირი) უწუმესს დო ოხოის—ბაბა. მუშენი—ქოგიჩქინ-ი? ბაბა ჩქიმი-ა, თქვას-ნა, ბაშქაქ ვა ნ ა გ ნ ე ფს დო ემუშენი მთიი ზოპონს I 121_{29}—122_{1-2} მამასაც გარეშეებთან მამამთილს ჭძახის და შინ—მამას. რატომ—იცი? მამა-ჩემოო, რომ თქვას, გარეშე პირი („სხვა") ვერ გაიგებს (მიხვდება) და იმიტომ მამამთილს ამბობს... მა-ჲა, კათთა დულჲა მ ე ა გ ნ ე ფ, ზოპონს-ჲა! I 24_{18} მეო ყოველგვარ საქმეს გავიგებო (მივხვდებიო), ამბობსო... ე-ნა ნ ა გ ნ უ, კოჩის დუჯოხუ I 25_1 რომ მიხვდა, იმ კაცს დაუძახა... კითხუ: „სი-ა ადა მუთე ნ ა გ ნ ე ფ"-ჲა? ჭკულე უწუ-ქი „ლაზეფეკალა

გოხთა-ნა-ჲა, სინ-თი ქ ო ნ ა გ ნ ე ფ-ჲა!“ I 25_{3-4} ჰკითხა: „შენო, ამას რით ხვდებიო (გებულობო)? მერე უთხრა, რომ, ლაზებთან თუ ივლიო, შენც მიხვდებიო (გაიგებო)... მცხული-ნა ფათხუპტუ დო სესი იყუ, ჯოლოეფე უნკაპეს, საები მუშიქ-თი ქ ო შ ი გ ნ უ I $28_{\text{ა}}$ მსხალს რომ „ფერთხავდა“ და ხმაურობა რომ შეიქნა, ძაღლები გაიქცნენ, მის-მა (მსხლის) პატრონმაც გაიგონა...

ეგევე ძირი უნდა გვქონდეს ზმნაში: ქ ო მ უ ნ**გონ**უ (მოუგონა): „ან-დღა ემკათა შეი-ა მა ქ ო მ ო მ ი ნ გ ო ნ უ-ჲა, ჭუმენ სი დაჰა დიდი შეი ქ ო მ ო გ ი ნ გ ო ნ ო ფ ს-ჲა!“ I 24_{24} დღეს ამგვარი საქმე მე მო-მიგონაო, ხვალ შენ კიდევ უფრო დიდ საქმეს მოგიგონებსო (ნ. მ ა რ ს გარჩეული აქვს **გნ**- და **გონ**- ძირი; იხ. ჭან. გრ., ლექს., გვ. 13[5]).

ქართულში—„გაიგონა“, „მოიგონა“, „შეიგნო“ ზმნები **გონ**- ძი-რისაგანაა ნაწარმოები (შდრ. **გონ**-ს მოვიდა... **გონ**-ება... **გონ**-ობა...)

მეგრულში გვაქვს **გონ**- (გე̄-**გონ**-უ—გაიგონა, მი̄-**გონ**-უ—მოიგო-ნა...) და **გინ**- (ი-**გინ**-უ—იგრძნო, ვე̄-**გინ**-უ—ვერ იგრძნო, ვერ გაი-გო). **გინ**- უნდა იყოს მიღებული **გონ**-ი-საგან: **გონ**- → **გუნ**- → **გინ**-...

ჭანურში **გნ**- ძირი უხმოვნოდაა წარმოდგენილი მაშინ, როდესაც მეგრულში მას ხმოვანი გააჩნია (**გონ**-, **გინ**-); ამ მხრივ ჭანური ქარ-თულის ერთ-ერთ ვარიანტს მისდევს (შეი-**გნ**-ო, მაგრამ: გაი-**გონ**-ა).

მნიშვნელობა ამ ზმნისა ჭანურში ერთგვარად მერყეობს: არქაბულ-ში ო გ ნ უ—„გაგონებასაც“ ნიშნავს და „გაგებას“, „მიხვედრასაც“...

ხოფურში „გაგების“, „მიხვედრის“ მნიშვნელობით ნა-**გნ**-უ გვაქვს, „გაგონებისათვის“—„შა-**გნ**-უ“; ძირი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლება თავსართები.

23. ჭან. **გორ-** || **გრ-** გორვა, валяться, катиться
მეგრ. **გორ-გოლ-** „ „
ქართ. **გორ-** „ „

მუქ-თი გ ა მ ი ნ გ ო რ უ I 37_{3} თვითონაც წამოგორდა... ჯა ისუ-რინენ, ქვა ი ნ გ რ ი ნ ე ნ II 70_{11} ხე შეიძლება გასრიალდეს, ქვა გა-გორდება... წირსუზეფექ კარვანი მეტკოჩეს, იმტეს. კარვანი ი ნ გ რ ი-ნუ, გოტრორუ II 48_{33} ქურდებმა სკა გადააგდეს, გაიქცნენ სკა გა-გორდა („იგორა“), გატყდა...

ჰანური **გორ-** იგივეა, რაც იმავე მნიშვნელობის ქართული **გორ-**ძირი. **გრ-** უხმოვნო ვარიანტია იმავე ძირისა.

მეგრული **გორ-გოლ-**ში **გორ-**ძირის გამეორებაა მოცემული: ქუა ქ მიდეგორგოლუ—ქვა გაგორდა; მეორე ძირის **რ-** დისიმილაციის გამო **ლ-**დ არის ქცეული. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კითხვა ისმის: არის კი ეს **გორ-** იგივე, რაც ჰანური და ქართული ზემოხსენებული ძირები, თუ აქ სხვა ძირი გვაქვს, ბგერითად მსგავსი?! ამას გვაფიქრებინებს პარალელური წარმოება მიდეკორკოლუ—თითქმის იმავე მნიშვნელობისა („გაგორდა პატარა მრგვალი რამ“).

24. ჰან. **გ-ორ-** M : ო-**გორ-**უ გინება (ვაგინე), ругать
მეგრ. **გ-ორ-** : ო-**გორ-**უ „ „ „
ქართ. **გ-ინ-**(?): ა-**გინ-**ა „ „

ეს ძირი ჩაწერილ ტექსტებში დადასტურებული არ არის; ნ. მარს ლექსიკონში შეტანილი აქვს ვიწურზე მითითებით და გ. როზენის მაგალითის ხსენებით. ამჟამად „გინების“ მნიშვნელობით ხოფურშიც, არქაბულშიც იხმარება გე-კითხ-უ (იხ. **კითხ-** ძირი). მეგრულში **გორ-**აფა „გინების“ აღსანიშნავი ძირითადი სიტყვაა: მა ვოგორი—მე ვაგინე; თიქ მოგორუ—იმან მაგინა...

ქართ. **გინ-**ება თითქოს იგივე ძირია, მაგრამ მაშინ **-ორ (გორ-)** და **-ინ (გინ-)** ძირეულად არ მიიჩნევა; ასეთი ანალიზის დასაბუთებისათვის საჭირო მასალა ამჟამად არ ჩანს, მაგრამ ზოგად მოსაზრებათა მიხედვით, რა თქმა უნდა, შეუძლებელი არაა **-ორ-** და **-ინ-** სუფიქსებად დავსახოთ.

25. ჰან. **გორ-** : **გორ-**უ ძებნა, искать
მეგრ. **გორ-** : **გორ-**უ „ „
ქართ. —

ჯოლოიქ დო ზერდევაქ ონჯირუშ ჯერი გორეს I 68_{27} ძაღლმა და ციყვმა დასაძინებელი ადგილი ძებნეს... ქოთუმქ დიდო გორუ, ვა აძირუ I 74_{19} ქათამმა ბევრი ეძება, ვერ იპოვა... დურსუნიქ... გინძე თოკი დოგორუ I 109_{16} დურსუნმა... გრძელი თოკი მოძებნა... „ბერექ-ნა გორუფს, ია მუშენი ვა მეჩაფ“-და I 77_{33} რასაც ბავ-

შვი ეძებს, იმას რატომ არ მისცემო... „მუ გორუმთ ჰქ"-და?.. „სადიკ-ჩაუში ბგორუმ!" II 54_{18-20} „რას ეძებთ იქაო?"—„სადიკ-ჩაუშს ვეძებ!"...

მეგრულში: **გორ**-უ, **გორ**-უნ-ს—„ეძება", „ეძებს", მა-**გორ**-უ—„მძებნელი" ერთად ერთი სიტყვებია ამ მნიშვნელობით.

ქართულში შესატყვისი ძირი არა ჩანს (**ძებ**-ნ-ა სულ სხვა ძირია).

კითხვა ისმის: რა მიმართებაშია **გორ**- ძირი „ძებნის" მნიშვნელობით **გორ**- ძირთან „გინების" მნიშვნელობით? ხომ არ არის ეს ერთი და იგივე ძირი მნიშვნელობის დიფერენციაციით? სად „გინება" და სად „ძებნაო", ვერ ვიტყვით, მას შემდეგ, რაც „კითხვა" ძირი გამოყენებულია („გე-**კითხ**-უ") „ლანძღვის", „გინების" აღსანიშნავად (იხ. **კითხ**-).

26. ჭან. **გუბ**- || **გიბ** || **ჯიბ**: ხარშვა, (მოდუღება),
დო-**გუბ**-უ || დო-**გიბ**-უ варить, (кипятить)
მეგრ. **გიბ**- : დო-**გიბ**-უ ხარშვა (აბრეშ. ძაფისა), кипятить шелк. нить
ქართ. **გბ**- : შეა-**გბ**-ო „გბობა—ხარშვა" (საბა), варить, кипятить
სვან. ლი-**ჯაბ** „ „

ბეეფექ თიკანი ქანოჭკიჲეს... დო დოგიბეს I 8_{27} ბავშვებმა ბატკანი დაკლეს... და მოხარშეს... ჟურ ოდა... ართელის გჲაი... გიბუფან I 124_{8} ორი ოთახი... ერთში საჭმელს ხარშავენ... კაი პეტმეზი იყვენ ხურმაში... ბგიბუფთ, ბგიბუფთ დო იშია-ში, პეტმეზი იყვენ I 158_{33-35} კარგი ბექმეზი კეთდება („იქნება") ხურმისა... ვადუღებთ ვადუღებთ („ვხარშავთ", „ვხარშავთ") და როცა ჩაშრება, ბექმეზი იქნება... ჭუკი ქოგეშადგუსდორენ დაჩხუის ე-დო... ხ რცი გუბუმან II 34_{36} ქვაბი შეუდგამთ ცეცხლში და... ხორცს ხარშავენ... არ დიდი ჭუკითუ... ფილავი გუბუმს II 37_{6} ერთი დიდი ქვაბით ფლავს ხარშავს... ხორცი დოპკვათუმთ, ...დოფჩხამთ, ...დობგუბუმთ II 114_{6} ხორცს დავჭრით, გავრეცხავთ, მოვხარშავთ... ხოწი იჯიბენ მორდერი ჭუკანითე II 97_{35} ხორცი იხარშება დიდი ქვაბით... ოკაჩხე ხოწი დიჯიბუ II 98_{16} მერე ხორცი მოიხარშა... მჟა ოგუბუშენი დაჩხურის გებდგი II 76_{25} რძე მოსადუღებლად ცეცხლზე შევდგი...

ეს ძირი ყველა ქართველურ ენაში გვაქვს; ყველაზე მდიდარი მისი ჰანური ვარიანტებია: **გუბ-** || **გიბ-** || **ჯიბ-**... ამათში უძველესია **გუბ-**, მისგან **უ**-ს **ი**-თ შეცვლის გზით მიღებულია ხოფ. **გიბ-**; ათინური **ჯიბ-** ამ უკანასკნელის შემდგომი სახეცვლაა. საინტერესოა, რომ სვან. ლი-**ჯაბ**—„ხარშვა" **გ**-ს ნაცვლად **ჯ**-ს გვაძლევს (შდრ. ეჯა—იგი, „ეგა"). მეგრული **გიბ-** ხოფური ვარიანტის გამეორებაა. რაც შეეხება ქართულს, აქ ძირი უხმოვნოა, მაგრამ ჰანურის, მეგრულისა და სვანურის ჩვენება ცხადყოფს, რომ ქართულშიაც უნდა ყოფილიყო ხმოვანი და ის დაკარგულია (სუფიქსის ზეგავლენით). ჰანურისა და სვანურის ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ქართულში დაკარგული ხმოვანი **-ა-** უნდა ყოფილიყო; ძირი, ამგვარად, **გაბ-** იყო; **გაბ**-ობ-ა→**გბ**-ობ-ა—„ხარშვა", უმ-**გბ**-არ-ი—მოუხარშავი, მ-**გბ**-არ-ი—მოხარშული.

ამისდა კვალად, ამ ზმნის ძირი იყო: ქართ. **გაბ-**, ზანურში **გობ-** → **გუბ-**, სვან. **ჯაბ-**...

აღსანიშნავია, რომ ამ ზმნის ადგილი ახ. ქართულში დაიჭირა „ხარშვა"-მ, მეგრულში—„ხაშუა"-მ და მხოლოდ სვანური და ჰანური, ერთის მხრით, ძვ. ქართული, მეორე მხრით, **გბ-** || **გუბ-** || **გიბ-** ძირს ხმარობენ.

მეგრულში ეს ძირი ზოგიერთ გამოთქმაშიღა შემოგვენახა; ასე მაგალითად, აბრეშუმის პარკზე (|| ძაფზე) „გიბუა" ითქმის და არა „ხაშუა", აგრეთვე „აბედის მოხარშვის" შესახებ იტყვიან: „ობედი დოგიბუ"—აბედი მოხარშა.

27. ჰან. **გუმ-**: **გუმ-უმ-ს** მომკა (ღომისა) და ფეტვის თავთავის, жать, снимать колосья гоми и проса

მეგრ. **გიმ-**: **გიმ-უნ-ს** „ „

ქართ. —

გუმათუთას გუმუმან ბრინჯი, ქურუმი II 70_{26} ოქტომბერში („მკათათვეში") მკიან ბრინჯს, ღომს... გუმათუთას ნჩხვარი გუმუმან II 77_{9} ოქტომბერში ღომს მკიან...

სარფულ ტექსტში გვაქვს: ბრინჯი... მანგალითე ჰკირუფან I 137_{29} ბრინჯს ნამგლით ჭრიან...

არქაბული ტექსტები ადასტურებენ ამ ძირის ზმნას **გუმ-**; რომ ის ყველა ჰანურ კილოკავში იხმარებოდა, ჩანს „**გუმათუთა**"-დან (იხ.),

რომელიც „ოქტომბერს“ ნიშნავს და სიტყვა-სიტყვით „მკათათვე“-ს უდრის: „პურის მკის“ თვე („მკათა-თვე“) ივლისი გამოდის, ღომის მკისა კი—ოქტომბერი...

ქართულში ეს ძირი არა ჩანს.

მეგრული **გიმ**- მიღებულია **გუმ**-ისაგან.

საკითხავია, ხომ არ უკავშირდება ეს ძირი სვან. **გიმ**-ს, „მიწას“, „ქვეყანას“ რომ აღნიშნავს?!

28. ჭან. **გურ**- : დი-**გურ**-უ — სწავლა, учиться
მეგრ. **გურ**- : დი-**გურ**-უ — „ „
ქართ. **გულ**- : ი-**გულ**-ვ-ა: „გულვა —გულის-კმას ყოფა“ (საბა), замыслить, уразуметь

ფიცარი ოხერხუ ქოდიგურუ I 66_{20} ფიცრის ხერხვა დასწავლა... ჟურ საათიშა ჭუმანინერი დერსეფე ჩქინი ვიგურაფთ I 124_{28} ორ საათამდის ხვალინდელ ჩვენს გაკვეთილებს ვსწავლობთ... ოჭარუ-თი ბიგურამტი, ოკითხუ-თი ბიგურამტი II 23_3 წერასაც ვისწავლიდი, კითხვასაც ვისწავლიდი... ქოდოგურეს. ქოდოგურეს-ის, მუქ-თი ქომეხთუ II 17_{19} (მი)ასწავლეს. რომ ასწავლეს, თვითონაც მივიდა... არ გზა ქოდომოგური დო მა ვიგზალა II 99_{17} ერთი გზა მასწავლე და მე წავალ...

ქართული „სწავლა“ სულ სხვა ძირია; მაგრამ „იგულვა“, „გულისხმაყო“ და სხვ. (იხ. **გურ**- სახელი) მოწმობს, რომ ქართულშიც „სწავლების“ აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო ნაწარმოები **გულ**-ისაგან.

მეგრულში ამგვარადვე იხმარება: ქოდრ**გურუ**—ისწავლა, ქოდა-**გურუ**—ასწავლა, ი**გურ**უანს—სწავლობს, ო**გურ**უანს—ასწავლის...

ჭანურშიცა და მეგრულშიც ეს ზმნა ნასახელარია—ნაწარმოებია **გურ**- სახელისაგან (**გულ**-ს ნიშნავს).

ჩანს, ახალმა სიტყვამ „სწავლა“ გამოდევნა ხმარებიდან **გულ**-ისაგან ნაწარმოები სათანადო ზმნა ქართულში, ჭანურსა და მეგრულში შემოგვენახა წინანდელი მდგომარეობა.

29. ჰან. **დარდალ-** ცახცახი, трепетать
მეგრ. **დარდალ-** შემაწუხებელი მრავალმეტყველება, надоедливая болтовня
ქართ. —

„ოდარდალუ“ ათინურზე მითითებით შეტანილი აქვს ლექსიკონში ნ. მარს. ობიექტური წყობისააო—„მადარდალენ“—მაცახცახებს.

მეგრულში დარდალ-ი ნიშნავს მოსაბეზრებელ, მოუსვენარ ლაპარაკს: ბრელი მიდარდალუ—ბევრს მელაპარაკა (მოსაბეზრებლად)...

ერთი და იგივე ძირი უნდა იყოს.

ქართულში შესაბამისი არაფერი ჩანს.

30. ჰან. **დგ-**: || **დგ-**უთ- || **გ-**უთ- დადგმა, დადგომა, ставить ч.-л., стоять
მეგრ. **დგ-**: **დირთ-** „ „ „
ქართ. **დგ-**: **დგ-**ამ-ს—**დგ-**ებ-ა: „

სუფრა დოხაზიუ, ქოდოდგუ, ჩხომი ქოგედგუ სუფრას I 17_{19} სუფრა გამოაწყო, დადგა, თევზი ზედ დადგა... ყურძენი დოწილეს ე-დო გზას ქოდოდგეს I 22_{21} ყურძენი მოკრიფეს და გზაზე დადგეს... თილჩიქ სთოლი ქოდოდგუ II 99_{30} მელამ მაგიდა დადგა... სუფრა ქოდოდგუ II 117_{28} სუფრა დადგა... მეგერემ ჩქუ-ნა დომოდგინეს კოჩიქ... უწუდორენ II 54_{3} თურმე ჩვენ რომ დაგვაყენა („დაგვადგინა“), იმ კაცს უთქვამს... ოსმანიქ არაბა ქოდოდგინუ I 105_{27} ოსმანმა ურემი დააყენა („დაადგინა“)... კიში დოდგითუ I 43_{8} ზამთარი დადგა... დუმანი ქოდოდგითუ I 119_{5} ნისლი დადგა... გზას გედგითუ დო ნიტუ... I 50_{26} გზას დაადგა („გზაზე დადგა“) და მიდიოდა... „ჰაქ ვარ დოდგითუ, მეკილუ-ა“... II 16_{30} აქ არ გაჩერდა („დადგა“), გაიარაო... ჰიმ სერი ქოდოგუთუ II 123_{32} იმ ღამეს დადგა... ქორბა ვა დოგუთუ II 129_{4} მუცელი არ დაწუნარდა („დადგა“)... ოქლიმუშა ქუგამახთუ, ყარ აღაში-ჲანი ქოდოგუთუ II 126_{8} ფულის საშოვრად წამოვიდა, ერთ დამქირავებელთან („აღასთან“) დადგა...

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ დოდგუ—გარდამავალი ზმნის ფორმაა („მან დადგა“), დოდგუთუ—გარდაუვალისა („ის დადგა“);

პრევერბები შეიძლება სხვაც იყოს (გ ე დ გ უ, ნ უ დ გ უ...). ათინურში ძირეული **დ**- არა ჩანს: დ ო გ უ თ უ, მაგრამ ეს მეორეული მოვლენა უნდა იყოს; იქვე ვხვდებით: „ვარ დ ი დ გ ი ნ ე ნ“ II 126_{20} არ დაიდგომება,—გარდაუვალი ზმნაა, **დ**- კი შერჩენილი აქვს.

მეგრულში გარდამავალი სახეობის ზმნა—დ ო დ გ უ, გ ე დ გ უ—არაფრით განსხვავდება აორისტში ჰანურის სათანადო ფორმებისაგან, გარდაუვალი კი—დო-დ ი რ თ-უ,—ერთი შეხედვით, განსხვავდება ჰან. დო-**დგით**-უ-საგან, მაგრამ იგივეა, ფონეტიკურად სახეცვლილი: **გ**- შეცვლილია **რ**-თი და ეს უკანასკნელი გადასმულია (შდრ. ქართ. სა-**გზ**-ალ-ი—მეგრ. ო-**რზ**-ოლ-ი... ჰან. **გ**-ჰარ-უმ-ს—მეგრ. **რ**-ჰარ-უნ-ს... ჰან. ი-**ქთ**-ე-ნ—მეგრ. ი-**რთ**-უ-ნ... ქართულისა და ჰანურის **გ**-ს ენაცვლება **რ**- მეგრულში); ამგვარად:

დო-**დგით**-უ → დო-**დრით**-უ → დო-**დირთ**-უ.

საყურადღებოა, რომ **-ით** სუფიქსს შესატყვისი ქართულში არ მოეპოვება: მან დ ა დ გ ა, შენ დ ა ს დ გ ი, მე დ ა ვ დ გ ი—ის დ ა დ გ ა, შენ დ ა ს დ ე გ, მე დ ა ვ დ ე გ...

მეგრულშიც, ჰანურშიც ამ ძირს ხმოვანი დაკარგული აქვს, ქართულში კი მეორესა და პირველ პირში გამოაჩნდება (გარდაუვალ ფორმას) **-ე**-: და-ს-**დეგ**, და-ვ-**დეგ**. ეს **დეგ**- არის ძირი.

მნიშვნელობა ამ ძირს ჰანურშიც, მეგრულშიც, ქართულშიც ერთნაირი აქვს.

31. ჰან. **დვ**-: დო-ბ-**დვ**-ი (და)დება, класть, положить
მეგრ. **დვ**-: დო-ბ-**დვ**-ი „ „ „
ქართ. **დევ**-: და-ვ-**დევ**-ი „

(ფ ო თ ი ნ ე ფ ე) ობას მოთ მ უ ლ ი დ ვ ი, თუდე ქ ო დ ო დ ვ ი! I 9_7 (ფეხსაცმლები) უბეში რად ჩაიდევი, ძირს დადევი!... მენდილი მუში-თი ქ ო ზ უ დ უ ში; მუში მენდილი ქ ო დ უ დ უ II 35_{33} მისი მანდილი აართვა; თავისი მანდილი დაუდო... არ ბოჭკა გ ე დ უ დო მენდილუ ნოლაშე II 43_{16} ერთი ბოჭკა დადო ზედ და წაიღო ქალაქში... ჯაღი ოვლეს გ ე დ ვ ე ს II 50_{17} ერბო „ოვლეზე“ დადვეს... დაჩხური ნუგზეს-შ-კულე, ა დ უ დაჩხური დო ოხორი-თი დიჭუ II 50_{29} მას შემდეგ, რაც ცეცხლი შეუნთეს, მოედო ცეცხლი და სახლიც დაიწვა... (ბინჯი) გობის გ ე დ უ მ ე ლ ა ნ II 138_{16} ბრინჯს გობზე დებენ... ჩქუ ჯაღი... ოვლეს გ ე ბ დ უ მ ე თ II 50_{16} ჩვენ ერბოს... „ოვლეზე“ ვდებთ... ოხოიშა იდუ დო ჩაფულაფე ქ ო მ უ ი დ უ I 81_1 შინ წავიდა და წუღა ჩაიცვა („მოიდვა“)...

35. ჰან. **დღ-ულ-** დნობა, таять
მეგრ. **დღ-ულ-** „ „
ქართ. [**დღ-ე** ?] [день?]

ჯუმუ-თი მთელი დ ო ნ დ ღ უ ლ უ-ში, ეშშელი ქაგამახთუ I 70_{20} მარილიც მთლად რომ დადნა, ვირი გამოვიდა... ჯაღი დ ო ნ დ ღ უ ლ უ ნ I 140_{26} ერბო გადნება... ეშშელის სონქერიშენი-თი ნ დ ღ უ ლ უ ნ-ჯა, უჩქიტუ I 70_{25} ვირს ეგონა, რომ ღრუბელიც გადნებოდა... ჯუმუ დ ო ნ დ ღ უ ლ უ, ტიფი ჯეხთუ II 21_{13} მარილი გადნა, ბალახი (თივა) ამოვიდა... მჟუა ქაგამახთუ დ ო მთვირი ო ნ დ ღ უ ლ ა პ ტ უ I 96_{12} მზე გამოვიდა და თოვლს ადნობდა...

ქართულში შესატყვისი ძირი არა ჩანს (თუ დღ-ე-ს არ დავუკავშირებდით: დნობა, თოვლისა, უპირატესად დღისით ხდება).

მეგრული: დონ-**დღულ**-უ — დადნა, ნ-**დღულ**-უ-ნ — დნება, ო-ნ-**დღულ**-უ-ან-ს—ადნობს—სავსებით ემთხვევა ჰანურს.

როგორც ჰანურში, ისე მეგრულში ამ ძირს თავში განვითარებული აქვს **-ნ-; -ულ-** ძირეული არ უნდა იყოს (შეუძლებელი არაა, ეს ძირი **დღ**-ალ-თან („დღე") იყოს კავშირში).

ნ. მ ა რ ს ჰანურის ლექსიკონში ნაჩვენები აქვს ნ დ ღ უ ლ უ რ ს და ხსნის როგორც перезреваю, прокисаю (მაგალითები არ მოჰყავს). ამგვარ გაგებას ტექსტები არ ამართლებენ.

სხვა ძირი ხომ არ არის?!

36. ჰან. **ვ>ლ-** ელვა, сверкание молнии
მეგრ. **ვ>ლ-** „ „ „
ქართ. **ელ-** „ „

ღომამჯი ვ ა ლ უ მ ტ უ, ხონცუტუ II 69_{12} წუხელ ელავდა, მეხი ვარდებოდა...

მეგრული: ვ ა ლ უ ნ ს—ელავს, გ ო ვ ა ლ უ—გაიელვა... ვალუა ელვა; გ ა დ ა ტ ა ნ ი თ: ხეს უ ვ ა ლ უ ა ნ ს — ხელს უქნევს, ხეს ქ უ დ უ ვ ა ლ უ—ხელი დაუქნია; თოლიში გ ო ვ ა ლ ა ფ ა ს—თვალის დახამხამებაში... ეს უკანასკნელი მოგვაგონებს სომხ. ***վաղ-վաղակի***-ს, რაიც ნიშნავს „დაუყოვნებლივ", „მეყვსეულად", „თვალის დახამხამებაში"... ძირი ***վաղ*** ხდება ჩვენს ვ ა ლ-ს: ეს ძირი ჩვენი ენების მასალა უნდა იყოს სომხურში.

ჰან. **ვალ**-უმ-ს, მეგრ. **ვალ**-უნ-ს ნასახელარი ზმნაა, იწარმოება **ვალ**-ისაგან; ეს უკანასკნელი ქართულ **ელ**-ს შეესატყვისება, თავკიდური **ვ**- რომ არ აკლდეს. მართალია, ნ. მარს ო-**ალ**-უ აქვს შეტანილი ლექსიკონში, ათინურზე მითითებით, იქვე მოყავს ხოფ. **ვალ**-უფ-ს, მაგრამ ეს შეიძლება მეორეული მონაცემი იყოს: **ვ**- დაკარგული იყოს **ო**-ს შემდეგ.

37. ჰან. **ულ**- (← **ვულ**-), **იდ**-(← **ვიდ**-) სვლა, ითვი, ხოდით
მეგრ. **ულ**- (← **ვულ**-), **იდ**-(← **ვიდ**-) „ „ „
ქართ. (ვ)**ალ**-, (ვ)**ედ**- ‖ (ვ)**იდ**- „ „ „

გიინი ვა უ ლ უ ნ I 3_{35} ვირი არ (მი)დის („ვალს“)... მა ჰუჲ ბუ-ლურ II 127_{37} მე ახლა (მი)ვდივარ („ვალ“)... ია-თი ნ უ ლ უ ნ I 10_{10} ისიც მიდის („მივალს“)... დუგუნჯი მ უ ლ უ ნ II 98_{33} მექორწილე მოდის („მოვალს“)... ნოღამისა მ უ ლ უ ნ II 65_{10} პატარძალი მოდის („მოვალს“)...

სხვა პრევერბებთან მივიღებთ: დ უ ლ უ ნ II 3_{35} ადის, გ უ ლ უ ნ—გადის, ა მ უ ლ უ ნ—შედის, გ ა მ უ ლ უ ნ—გამოდის და სხვ.

ხოჯა ადანაშა ი დ უ I 5_2 ხოჯა ადანაში წავიდა („ვიდა“)... ი დ ეს, ი დ ეს დო I 59_1 იარეს, იარეს და... ი დ ეს, ი დ ეს, ი დ ეს, არ ჲეის არ ქარმატე ქოძიეს II 34_{27} იარეს, იარეს, იარეს, ერთ ადგილას ერთი წისქვილი ნახეს... მან დო ბაბა-ჩქიმი ყონაშა ვ ი დ ი თ I 99_8 მე და მამაჩემი ყანაში წავედით... ართელიში ჲეინემა ბ ი დ ი II 23_{20} ერთის ნაცვლად მე წავედი... ოთხო ბიჭი ბერე დო არ ბოზოთე ბ ი დ ი II 24_{12} ოთხი ვაჟიშვილითა და ერთი ქალით წავედი... ნაშქვით, სო ი დ ას! II 125_{29} გაუშვით („მიუშვით“), სად წავიდეს!...

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ამჟამად ჰანური ზემოხსენებული ზმნების ძირებად **ულ**- და **იდ**- გვეველინება.

ასევეა მეგრულში:

მა მე**ული**, სი მე**ული**, თინა მე**ურს**—მე მივალ, შენ მიხვალ, ის მივალს. უთავსართოდ იგივე ზმნა იხ. ცნობილ სიმღერა-ლექსში:

სი ქო**ული** ბატა, მა დომიტალენქო (ი. ყიფშიძე, მეგრ. გრ., ქრესტ., გვ. 142)—შენ მიხვალ, („კი ხვალ“) ბატა, მე მ(ო)ვებ?..

ასევე: მა ვ ი დ ი, სი ი დ ი, თიქ ი დ უ —მე ვიარე, შენ იარე, მან იარა... („მე ვიდი, შენ ხვიდი, იგი ვიდის“...).

ეგევე პროცესი დიდი ხანია, რაც ქართულშიც დაიწყო: **ვალ** (მი-ვ ა ლ, მო-ვ ა ლ, წა-ვ ა ლ), **ვედი** (მი-ვ ე დ ი, მო-ვ ე დ ი, წა-

ვედი) ერთი **ვ**-ინით იწერება, უნდა ყოფილიყო კი ორი; ერთი—პირის ნიშანი, მეორე—ფუძისეული... ასეა ეს ჯერ კიდევ ძვ. ქართულში. მაგრამ მეორესა და მესამე პირში ფუძისეული **ვ**- ისევ მკვიდრადაა (მი-ხ-ვალ, მო-ხ-ვალ... მი-ხ-ვედი, მო-ხ-ვედი...); დაწყებული პროცესის ლოკალიზაცია მოხერხდა პირველ პირში,—საფიქრებელია, სამწერლო ენის გავლენით,—ჰანურსა და მეგრულში კი ფუძისეული თავკიდური **ვ**- ამ ზმნას დაეკარგა: არც ერთ პირში ის არ აღდგება.

თუ ამ ცვლილებას მხედველობაში მივიღებთ, ჰან. და მეგრული **ვულ**- და **ვიდ**- ქართ. **ვალ**- და (**ვედ**-) || **ვიდ**- ფუძეთა კანონზომიერი შესატყვისი აღმოჩნდება: **ვულ**- ← **ვოლ**-; **ვიდ**-[1] კი იმეორებს ქართული ფუძის იმ სახეობას, რომელიც აორისტის მესამე პირში (მხოლ. და მრავლ.) და მთელს ნამყო ხოლმეობითში გვაქვს.

აქ არ ვეხებით **ვულ**- და **ვედ**- ფუძეთა შედგენილობის საკითხს, ე. ი. იმის საკითხს, თუ რა ურთიერთობაშია **ვალ**- და **ვედ**- ერთმანეთთან (ამაზე—სხვაგან); ჩვენთვის საკმარისია, რომ ერთიცა და მეორეც წარმოდგენილია ჰანურსა და მეგრულში.

მნიშვნელობის მხრივ **ვიდ**- → **იდ**- ჰანურსა და მეგრულში ერთგვარ გადახრას იძლევა ქართულთან შედარებით: უსრული ასპექტის აღმნიშვნელი გამოდის (ხშირად): „იარა“... „იარეს“... და არა: „წავიდა“, „მივიდა“, „მოვიდა“...

-იდ- არც ჰანურში დაირთავს პრევერბებს და არც მეგრულში (ქართულში პრევერბებს იგუებს: წავიდა, მივიდა, მოვიდა, გავიდა, შევიდა, ჯვიდა, გამოვიდა...); ამ პრევერბიანი ფორმების გადმოსაცემად ჰანურში იხმარება **-ხთ**- ძირი (მეგრ. **-რთ**-): მენდა**ხთუ**, ქომო**ხთუ**, გამა**ხთუ**... მეგრ. მიდა**რთუ**, ქომო**რთუ**... (იხ. **-ხთ**- ძირი).

38. ჰან. **ზ**-: **ზ-ამ**-ს || **ზ-აფ**-ს: დო-**ზ**-უ ჭყლეტა, раздавить
მეგრ. **ზ**-: **ზ-ან**-ს : დო-**ზ**-უ ზელა, мять
ქართ. **ზ**-: **ზ-ელ**-ს : და-**ზ**-ილ-ა „

მა-და ემკათთა დულდა ვიქიფ-და? მა-და დიმჭკუ ვა ბზაფ-და! I 24_{22} მეო ამისთანა საქმეს ჩავიდენო? მეო ჯირჭველას არ გავჭყლეტო („ვზელო“)!.. ბაბა ჩქიმიქ... ვიწეშა მენდიმოჩქუ-ქი, ჰაწი ჰაქ მუა-

[1] **ვიდ**- ჰანურში დროთა მეორე (და მესამე) ჯგუფში იწარმოება, **ვულ**- დროთა პირველ ჯგუფში, მაგრამ შეიძლება აორისტის ჯგუფშიც შეგვხვდეს: გულუ I 16_{20} გაუარა... გულილეს I 30_{21} გაიარეს... მეშილეს II 47_4 შევიდენ...

რებე ივასენ, მუარებეს თქვან დიზათენ II 23_3 შამა-ჩემმა... ვიწეში გამგზავნა, რომ ახლა აქ ომი იქნება, ომში თქვენ გაიჭყლიტებით... „ჩარჩის კოჩი მოთ გოიტანს! ბერეფე მოთ გოიტანს! დიზანორენ“ II 44_{26} „ბაზარში კაცი ნუ გაივლის! ბავშვები ნუ გაივლიან! გაიჭყლიტებიან“ (დოღი ეწყობოდა—ა. ჩ.)...

ამ ზმნის ძირი საერთოა ქართულში, მეგრულში, ჭანურში; ამ ორ უკანასკნელში აწმყოს ფუძე **-ამ** || **-აფ** || **-ან** სუფიქსს დაირთავს, ქართულში კი ზმნას ფუძის ალტერნაცია ახასიათებს: **ზელს**—ზილა. თუ მეგრულისა და ჭანურის ჩვენებას დავუჯერებთ, ქართულში **-ელ** || **-ილ** სუფიქსად უნდა დავსახოთ, მაგრამ მეგრულში გვაქვს ზალა =ზელა, და ეს გვაფიქრებინებს, რომ ძირეულად მარტო **ზ**-ს გამოყოფა მეორეული მოვლენა უნდა იყვეს, მეგრულში და ჭანურსა უნდა ყოფილიყო ძირი **ზალ**- ქართულ **ზელ**- ძირის შესაბამისად.

ამ ძირს ჭანურში ფნიშვნელობა ერთგვარად შეცვლილი აქვს: ჰყლეტა-ს აღნიშნავს, ძირითადად. მეგრულში კი შენარჩუნებული აქვს „ზელის“ მნიშვნელობა. ნ. მარს ეს ძირი ლექსიკონში შეტანილი არა აქვს.

39. ჭან. **ზდ**-: ე-**ზდ**-უ — აღება, აწევა, ზიდვა, брать, поднять, таскать

მეგრ. **ზინდ**-: ე-**ზინდ**-უ — ზიდვა, ჭიმვა, таскать, тянуть

ქართ. **ზიდ**-: ა-**ზიდ**-ა — таскать

ჰამუქ... ეზდუ ჰუკი, ჰუკი ეზდუ დო... იდასენ ჰაწი II 34_{38} ამან აიღო ქვაბი, ქვაბი აიღო და... უნდა წავიდეს აწი... ხოჯა თი ქეზდუ II 8_{35} ხოჯამ თავი ასწია („აზიდა“)... ჰე ვით ბაკლავაშე წქით ქეზდუ დო ხოლო ქომეჩუ ჰე ოხოიში კოჩეფეს II 64_{30} იმ ათ „ბაკლავადან“ შვიდი აიღო და კიდევ მისცა იმ სახლის კაცებს... ეზდეს თილჩი დო ჩხომეფეში ორთას ქოგოშადვეს II 11_{36} აიღეს მელია და თეზების შუაში ჩადვეს... ოხორჯაში ქომოჯიქ სუმ თოლი-ქჯორი დეზდუ დო იცონამს II 18_{11} ქალის ქმარმა სამი ბრმა აიყვანა („აიღო“, „აზიდა“) და მიჰყავს... ემ დღას ტოფეღი დებზდით დო ავჯობაშა ვიგზალით I 96_{14} იმ დღეს თოფი ავიღეთ და სანადიროდ წავედით... მა ბძირი, მა დებზდი I 84_{17} მე ვიპოვე, მე ავიღე... ნუსა დეზდუმან დუღუნითე, ქომოჯი მუშიში ოხოიშა შენდიონამან II 30_{32} რძალს აიყვანენ („აიღებენ“) ქორწილით, თავის ქმრის სახლში წაიყვანენ... ნოღას წკაი მიგ-ზდასენ?! წკაი ზდი-

მტუ, ბედიავა გჲუბამტუ II 84_{32} ქალაქში წყალს ვინ მოიტანს („ზიდავს“)? წყალს ეზიდებოდა, მუქთად უსხამდა!.. თოჩი ზდუმსუ II 120_{11} თოკს ეწევა... ბიჭი... დიზგინი მოიზდამს II 119_{24} ბიჭი ლაგამს მოსწევს... ხოჯი უონუტუ, არაბა იონუ დო დოზდუ ჯალეფე II 43_{35} ხარი ჰყავდა, ურემი წაიყვანა და ჩამოზიჯა ხეები... ჩალა დოპჰკორი, დობზდი... II 31_{31} ჩალა მოვჰერი, ნოვზიდე... ჰუჰული ჰიტა ტას-ში, ქურიქ დო ათმაჯაქ ჯეზდიფს, მინდიყონოფს დო ქუიმხოსს I 166_{5} როცა წიწილი პატარაა, ქორი და მიმინო იტაცებს („ასწევს“, „აზიდავს“), წაიყვანს და შეჭამს...

ქართულში, მეგრულში, ჰანურში ერთი და იგივე ძირია: **ზიდ-**; შენახულია ის ქართულში; ჰანურში მას დაკარგული აქვს **-ი-** (ი-ს რედუქცია!), მეგრულში **-ი-** შენახულია და **ნ-** განვითარებულია დ-ს წინ.

ამ ზმნის მნიშვნელობა მეგრულში ერთგვარად განსხვავდება ქართულისასაგან: გილუზინდუ(ნ) — ეზიდება, მაგრამ: ზინდუნს — სწევს, ჰიმავს, გოზინდუ—გაჰიმა, გასწია... ჰანურში ეს სხვაობა უფრო შორს მიდის: აქ ამ ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა „აიღო“, „ასწია“ (იხ. მაგალითების პირველი წყება), მაგრამ შენარჩუნებული აქვს წინანდელი მნიშვნელობაც: ჯალეფე დოზდუ—ხეები ჩამოზიდა (იხ. სხვ. მაგალითები აქვე, ზემოთ).

40. ჰან. **ზუმ-** || **ზიმ-** ზომვა, მერიტ
მეგრ. **ზიმ-** „ „
ქართ. **ზომ-** „

„ჰამუს ნაკო ალთუნი უღუტუ-ჭი, ფარა დოზუმუ დო ხოლო ოზუმაშეში ჩინარეფეს სუმ-ოთხო ალთუნი ქოდოსჭუდუ II 96_{32} „ამას რამდენი ოქრო ჰქონია, რომ ფული დაზომა და კიდევ სამი-ოთხი ოქრო დარჩა საზომის ნაპირას... „ჰამუქ ჰიკო ოფშა ფარა სო ძირუ-ნა, ოზუმაშეთე ზუმასერე?“ II 96_{24} ამან ასე ბევრი ფული სად იპოვა, რომ საზომით „ზომოს“?...

ძირი **ზომ-** საერთოა შესადარებელი ერთეულებისათვის, ოღონდ ჰანურში **მ**-სთან **ო-** დაიწროვებულია **უ-**დ; ხოფურში ამ **უ-**ს ენაცვლება **-ი**, ხოლო ამგვარივე სახეობაა დამკვიდრებული მეგრულში.

შნიშვნელობა ყველგან ერთია: ზომვა.

41. ჭან. **თ-**: **თ**-ან- თენება, светать
მეგრ. **თ-**: **თ**-ან- „ „
ქართ. **თ-**: **თ**-ენ- „

მაჟუანი დღას-ნა თ ა ნ უ, ქისელუ ოხორჯა I 39_{19} მეორე დღე რომ გათენდა, ადგა ქალი... თ ა ნ უ-ში, იგზალეს I 110_{4} რომ გათენდა, გაემგზავრნენ (წავიდენ)... ტარონი გ ო თ ა ნ უ I 54_{13} „ამინდი გათენდა“, ე. ი. გამოიდარა... დ ო თ ა ნ უ I 47_{5} გათენდა... დ ო თ ა ნ უ. ბოზომოთა ვა გოკუცხუ II 125_{17} გათენდა. ქალიშვილმა არ გაიღვიძა... თ ა ნ უ-შ-ქულე არ კოჩ ქოგეხთუ II 78_{27} მას შემდეგ, რაც გათენდა, ერთი კაცი ჩამოვიდა... მენდრაშენ უშქიი ძიეს; მჭითა-მჭითა თ ა ნ უ ტ უ I 67_{14} შორიდან ვაშლი შენიშნეს („ნახეს“); წითლად „ნათობდა“... ფენერის ქონუდვინუ დო გემიჯეფეს ნ უ თ ა ნ ე ფ ს I 157_{19} ფარანს მოუკიდა და მენავეებს უნათებს...

თ-ან- ნასახელარი ზმნაა; სათანადო სახელია ჭან. **თ-ე** (იხ.) — სინათლე, ნათელი; ეს სახელი უმარტივესი სახით ჭანურშია წარმოდგენილი; მეგრულში გვაქვს ს ი ნ-თ-ე (სინათლე), ქართულში ს ი ნ ა თ - ლ - ე, ნაწარმოები ნ ა თ ე ლ-ისაგან (ეს უკანასკნელიც ნაწარმოებია: ნა-**თ**-ელ-).

ჭან. გ ო თ ა ნ უ || დ ო თ ა ნ უ-ს უდრის მეგრ. გ ო თ ა ნ დ უ, ქართ. გ ა თ ე ნ დ ა... ვნებითის **-დ-** მეგრულში ქართულის ზეგავლენას მიეწერება.

მეგრულში ამ ზმნის მასდარია თ ა ნ ა ფ ა, რაიც „აღდგომის“ დღესასწაულის სახელად იხმარებოდა. შდრ. ხოფ. თ ა ნ ა ფ ა — გათენება: „მჯვე დო აღნე ღურელეფე, მემისიმინით! ცას ჯჯმე იქიფან ე-დო არ დოლონის ოჩალიშუ გიღუნან!.. მითხანი აღნე ღურელი რეთ, ჯუროშ-ჟუროშ თუღულა იღაგინონან!.. თ ა ნ ა ფ ა შ ა ჲემალუ ოჩოდინაგინონან. დ ო თ ა ნ ა-ში-თი, ე-ნა ტით'სთერი ხოლო ინჯირაგინონან!“ I 39_{7-12} ძველო და ახალო მიცვალებულებო, ყური დამიგდეთ! ცაში მიზგითს აგებენ და ერთი კვირის სამუშაო გაქვთ... ვინც ახალი მიცვალებული ხართ, ორას-ორასი აგური უნდა წაიღოთ... გათენებამდის ატანა უნდა დაამთავროთ! როცა გათენდება, როგორც იყავით, ისე უნდა დაწვეთ...

42. ჰან. **თ-**: დო-მ-**თ**-უ თოვა, снегопад
მეგრ. **თ-**: დო-**თ**-უ » »
ქართ. **თ-**: და-**თ**-ოვ-ა »

დიდო მთვირი დ ო მ თ უ I 96_{19} დიდი თოვლი დადო („დათოვა")... კიშის მთვიი მ თ უ ფ ს I 160_{25} ზამთარში (თოვლი) თოვს... ორა ხაი ივენ: მჭიმს დიდო, მ თ უ ფ ს... II 4_6 ამინდი ცუდი იქნება: ბევრს წვიმს, თოვს...

ჰანურში ყველგან მეორდება თავკიდური **მ-**, მაგრამ ის ძირეული არ არის: მეგრულთან და ქართულთან შედარება არკვევს, რომ **მ-**აქ განვითარებულია ფონეტიკურად. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა მ თ ვ ი რ-იდან ხომ არ მოდის ეს **მ-**ო; მაგრამ მ თ ვ ი რ ი თვითონ ნაზმნარი სახელი ჩანს და, ესეც რომ არ იყოს, **მ-** მ თ ვ ი რ-შიაც ფონეტიკურ დანართს წარმოადგენს.

ქართულში ამ ზმნას **-ოვ-** სუფიქსი აორისტშიც გადაჰყვება, ჰანურსა და მეგრულში აორისტი მარტივ ფუძეს იძლევა.

მნიშვნელობა ყველგან ერთნაირია.

43. ჰან. **თათ-**: **თათ**-უ დაბინძურება, დასვრა, გათათხვა, загрязнить
მეგრ. **თართ-**: ეკო-**თართ**-უ » »
ქართ. **თათხ-**: გა-**თათხ**-ა »

კადიქ ქჲუფის მოწკუ დო არ ხე დილილუ, ამმა ხე ფისლულითენ დ ვ ა თ ა თ უ I 51_{19} ყადმა ქვევრს თავი მოხადა და ერთი ხელი ჩაყო, მაგრამ ხელი განავალით დაესვარა...

„ხე დ ვ ა თ ა თ უ" — „ხელი გაესვარა"; **თათ-** ძირია; ეს იგივე ძირი უნდა იყოს, რაც ქართულშიც; გვაქვს: **თათხ-**: გათათხა—„გალანძღა"-ს მნიშვნელობით და რაც მეგრულში იხმარება: **თართ-**: „ირიფელი ეკო-თართუ" — მოსვარა, გათითხნა ყველაფერი; ე კ ო თ ა რ თ ი ლ ი — დასვრილი, გათითხნილი. უკანაენისმიერ **ხ**-ს შენაცვლება **რ**-თი მეგრულში არაფერს უჩვეულოს არ წარმოადგენს (ჰან. მ ო ხ თ უ — მ ო რ თ უ, ჰან. ი ქ თ ე ნ (ქართ. ი ქ ც ე ვ ი ს) — ი რ თ უ(ნ)... თვით ქართულში ეს **-ხ-** შეიძლება ფონეტიკურად განვითარებული იყოს.

44. ჰან. **თას-**: დო-**თას**-უ თესვა, сеять
მეგრ. **თას-**: დო-**თას**-უ „ „
ქართ. **თეს-**: და-**თეს**-ა „

ცონა დოფხონარ, თასი დ ო ფ თ ა ს ა რ... II 115_{33} ყანას დავხნავ, თესლს დავთესავ... თუთუნიშ თასი ჯ ე ვ ო თ ა ს ა რ ე II 106_{8} თამბაქოს თესლს დავთესავ...

ქართ **თეს-**[1] ძირს გადმოგვცემს ჰანურშიც და მეგრულშიკ **თას-**; ხმოვანი **-ა-** შეესატყვისება ქართულ **-ე-** ხმოვანს; **ს**-ს შესაბამისად უნდა გვქონოდა **-შ-** : **თაშ-**, მაგრამ **-ს-** რჩება. **თას-** ერთ-ერთი ნიმუშია ნაწილობრივი შესატყვისობის შემთხვევებისა, რომელთაც ჰანურსა და მეგრულში ვხვდებით.

მნიშვნელობა ამ ძირს ჰანურსა და მეგრულში იგივე აქვს, რაც ქართულში, ოღონდ ეს კია, რომ ჰანურში ჩვეულებრივად ამბობენ არა „სიმინდი დავთესე“, „ღომი დავთესე“, „ბრინჯი დავთესე“, არამედ: „ლაზუტი დოფხაჩქი“, „ბრინჯი დოფხაჩქი“ და სხვ. **ხაჩქ-** ძირი მეტოქეობას უწევს **თას-** ზმნის ძირს.

45. ჰან. **თვ-**: გი-**თ**-უ დახურვა, надевать ч.-л. на голову
მეგრ. **თვ-**: გ**ი**-**თ**-უ „ „ „ „
ქართ. **ცვ-**: წამო-ი-**ცვ**-ა „ „ „

თი გ ი თ უ-სი... II 129_{30} თავზე რომ დაიხურა... თის-თი ჰუბრიში რენგი ფაფახი გ ჯ ო თ უ ნ II 2_{17} თავზედაც წაბლის-ფერი „ფაფახი“ ახურავს... ჯუსუფ-ზადეში ჯ ა ჩქიმი ფორთოკალეს გ ჯ ო თ უ ნ... I 98_{9} იუსუფ-ზადეს ხე ჩემს ფორთოხლის ხეს ჩრდილავს („ახურავს“)... მანიშა ხოლო ფალთო მუიწკუ დო თილქის ქ ო მ ო თ უ I 34_{7} სასწრაფოდ პალტო გაიხადა და მელიას დაახურა... საჯი ქ ო მ ო თ უ მ ე ლ ა ნ კიცის ჟინ I 140_{16} თუნუქს ახურავენ ზევიდან კეცს... კერემიდი-ნა მ ო თ უ ნ I 145_{8} კრამიტი რომ ხურავს (ზევიდან)... კაფეს ნუკუს მ ო ი თ უ მ ე ლ ა ნ... ბუტკუჯი-ნა მოხთასენ, ვარ ნაჭკომენ II 74_{20} ბადეს პირისახეზე იკეთებენ („იცვამენ“)...: ფუტკარი რომ მოვა, ვერ უკბენს... ტკაცუ ბაროთი. ბერექ ხეფე პიჯის მ უ ი თ უ დო ლეტას მელუ I 64_{6} იფეთქა თოფისწამალმა, ბავშვმა ხელი სახეზე აიფარა („მოიცვა“) და მიწაზე დაეცა...

[1] ეს ძირი — **თეს-** ქართულში ს ა ე რ თ ო ა სახელისათვის (თ ე ს - ლ-ი) და ზმნისათვის (თ ე ს - ა ვ - ს).

ზმნის ძირი **თვ-** ჰანურშიც და მეგრულშიც კარგავს **ვ**-ს **უ**-ს წინ: ჰან. ჰემუქ ქომო-**თ**-უ, მაგრამ: სი ქომო-**თვ**-ი, მა ქომოვო-თვ-ი... (იმან დაახურა, შენ დაახურე, მე დავახურე).

მეგრ.: თიქ გი-**თ**-უ, მაგრამ: სი გი-**თვ**-ი, მა გიბ-**თვ**-ი (მან დაიხურა, შენ დაიხურე, მე დავიხურე)...

ჰანურშიაც და მეგრულშიაც ზმნა უმარტივესი სახით მოცემულია აორისტში, აწმყოში კი ზმნა დაირთავს სუფიქსებს: ჰანურში **-მერ**-||-**მელ**-ს (თუ გარდამავალია), მეგრულში — **-ან**-ს: ჰან. გითუ**მელს**, მეგრ. გითუ**ანს**...

ქართული **ცვ-** ძირი ფონეტიკურად სახეცვლილი **თვ-** უნდა იყოს (შდრ. ჰან. და ქართ. თიკანი → ქართ. **ც**იკანი, ჰან., მეგრ. კოჩი-**თი** — ქართ. კაცი-**ც**...).

მნიშვნელობა ჰანური ძირისა ნაწილობრივ განსხვავებულია: არც ტანზე ჩაცმისათვის, არც ფეხზე ჩაცმისათვის **-თვ-** ძირი არ იხმარება, ქართულში კი **-ცვ-** იხმარება ორივესათვის; მართალია, „თავზე ახურავსო“ იტყვიან (და არა: „თავზე აცვიაო“), მაგრამ ზოგ პრევერბთან ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვიხმაროთ ეს ზმნა: „თავზე წამოიცვა“...

ქართულში გაფართოვდა ამ ძირის მნიშვნელობა თუ ჰანურსა და მეგრულში დავიწროვდა იგი? ჩვენ უფრო პირველი შესაძლებლობა მიგვაჩნია სინამდვილესთან ახლოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მნიშვნელობის გაფართოება უფრო ჩვეულებრივია, დავიწროება კი — ნაკლებ ხშირი; არის სხვა გარემოებაც: **თვ-** ძირი „თავის“ აღმნიშვნელ **თი**-სთან უნდა იყოს კავშირში.

46. ჰან. **მ-თინ-**: დო-**მ-თინ-**უ გამართვა, გასწორება, выпрямить

მეგრ. **თინ-**: გო-**თინ-**უ „ „

ქართ. —

თილქიქ, არაბაფე ძირუ-შ-კულე, კუჩხეფე დომთინუდორენ II 11_{20} მელიამ, მას შემდეგ, რაც ურმები ნახა, ფეხები გაჭიმა...

ეს ნასახელარი ზმნაა; ქართულში შესატყვისი ძირი არა ჩანს. მეგრულსა და ჰანურში ეს ზმნა ერთნაირი სახითაა მოცემული, ოღონდ ჰანურში **მ-** არის განვითარებული (იმ სახელში, რომელიც ზმნას საფუძვლად დაედო; იხ. **მ-თინ-**უ).

47. ჰან. **თირთ**-ინ-ი — კანკალი, თრთოლა, трепетать
მეგრ. **თირთ**-ოლ-ი — (ჩქარი) უთავბოლო ფაცა-ფუცი, бестолково суетиться, трепетать
ქართ. **თრთ**-ოლ-ა — " " "

კაპულას ფალთო, თის ბაშლული გოკირტუ'ჭკულე ჰემდი ხოლო ყინითენ თ ი რ თ ი ნ ტ უ I 103_{15} ზურგზე პალტო, თავზე ბაშლაყი ჰქონდა შემოკრული ჰემდის და მაინც სიცივით კანკალებდა... ოხორჯას ბაშქა ბერე-ნა ვა უყოუნტუ-შენი, ებუშ ჟინ თ ი რ თ ი ნ ტ უ I 77_{21} რადგანაც ქალს სხვა ბავშვი არა ჰყავდა, მას [ე. ი. ერთად ერთ ბავშვს ზედ დაკანკალებდა...

ნ. მ ა რ ს ეს ზმნა „ობიექტური წყობისად", ე. ი. ინვერსიულად მიაჩნია: მ ა თ ი რ თ ი ნ ენ და მსგავსი ფორმები მოჰყავს (იხ. ჰან. გრ., ლექსიკ., გვ. 147: **თირთ**-).

მეგრულში ი-თ ი რ თ-ო ლ-უ(ნ) ითქმის ჩქარს, უთავბოლო ფაცა-ფუცზე (ი. ყ ი ფ შ ი ძ ეს ლექსიკონში შეტანილი არა აქვს).

თირთ- ძირი იგივე ქართ. **თრთ**- არის, ოღონდ **ი**- ხმოვანია განვითარებული (სხვა შემთხვევაში ჰ ა ნ უ რ ს ა და მ ე გ რ ულ შ ი ი-ვ ი თ ა რ დ ე ბ ა ქართ. **რ**-ს ბადლად; იხ. **კუთ**-).

ამ ძირის მნიშვნელობა ქართულსა და ჰანურში ერთმანეთს ხვდება, მეგრული იძლევა გადახრას, რომლის ახსნა შეუძლებელი არ არის: მოუსვენრობის მომენტი აქაც არის.

48. ჰან. **თორ-||თურ-||თირ-**: დო-ბ-**თორ**-ი — ზიდვა, თრევა, таскать
მეგრ. **თირ-** || **ნ-თირ-**: გე-ფ-**თირ**-ი — " "
ქართ. **თრ-**: ჩამო-ვ-ა-**თრ**-ი-ე — "

(თუთუნი)... ქომოვილი, მალაზაშე დოფთორი II 105_{8} (თამბაქო) მოვიტანე, საწყობში ჩავზიდე... არ თანექ წარი თ ო რ უ მ ს II 104_{18} ერთი წყალს ზიდავს... ცხენიქ თ უ რ უ მ ს... ხოჯის ვა ა თ ო რ ენ II 4_{29} ცხენი ზიდავს... ხარი ვერ ზიდავს... ჯოლორეფექ თილქის კუდელის გდაკნეს დო ქ ა გ ა მ ა თ ი რ ეს I 45_{24} ძაღლები სწვდენ მელიას კუდში და გამოათრიეს... ეკო ჩხომი ამახთუ მოსას-ქი, ზორი-თენ გ ა ვ ა თ ი რ ეს I 33_{6} იმდენი თევზი ამოყვა ბადეს, რომ ძლივს გამოათრიეს... თქვან იდით დო კაი ფალი ჯერიშენ წკაი თ ი რ ი თ დო ჰურკის დოლობით I 130_{16} თქვენ წადით და კარგი სუფთა ადგი-

ლიდან წყალი ზიდეთ და ქვაბში ჩაასხით... მან ბაზიქერე ბაბაშ კარ-ზინკა ფთირუპტი I 62_9მე ზოგჯერ მამის კალათას ვეზიდებო-დი...

ამ ზმნის ძირი ჭანურში სამ ვარიანტს იძლევა: **თორ-**, **თურ-** და **თირ-**; ამოსავალია პირველი, მისგანაა **-ო-**ს დავიწროებით **-უ-** მიღე-ბული, **-უ-**ს კი შემდეგ შეენაცვლა **-ი-** ხოფურში. ეგევე **-ი-** გვაქვს მეგრულში. ქართულში ამის მიხედვით უნდა გვქონოდა ხმოვანი; გა-რდაუვალ ზმნაში ქართულს შემონახული აქვს **-ე-** (ის გაეთრა, შენ გაეთ**ე**რ, მე გავეთ**ე**რ...); გარდამავალში ჭანურის მიხედვით **-ა-** უნდა გვქონოდა: ა-თრ-ი-ა ← ა-თ**ა**რ-ი-ა (თუკი ჭანურში **-ო-** სხვა ხმოვნიდან არ არის მიღებული).

თირ- ძირს მეგრულში შეიძლება თავში განვითარებული ჰქონდეს **-ნ-**; იგი ძირს არ ეკუთვნის.

მნიშვნელობა არსებითად ერთია ჭანურში, მეგრულში, ქართულში: ჲა ფთირი, სი თირი, თიქ თირუ—მე ვზიდე (ვათრიე), შენ ზი-დე (ათრიე), მან ზიდა (ათრია)... ხეთი გილუნთირუ(ნ) — ხელით დაათრევს...

49.	ჭან.	**თ-ქვ-**:	**თ-ქ-უ**	თქმა,	говорить
	მეგრ.	**თ-ქვ-**:	**თ-ქ-უ**	”	”
	ქართ.	**თ-ქვ-**:	**თ-ქვ-ა**		”
	სვან.	ლი-**ქვ-**ისგ		”	”

ჩქინი არქადაშიქ... თქუ I 89_{12} ჩვენმა ამხანაგმა თქვა... აჲა თილქი-ნა ძიეს, აშო თქვეს I 71_{33} ეს მელია რომ იპოვეს, ასე თქვეს... არ თუთას ჭიჩ მცუდი ვარ თქუ II 10_4 ერთ თვეს სრულებით არ თქვა ტყუილი... ჰე-თი ითქვენ II 4_{28} ისიც ითქმის... ოხრასქირი მუშის ონჯღორე ავუ დო ვარ ათქუ II 18_{17} მის მაზლს შერცხვა და ვერ თქვა... „სკირეფე ჩქიმი“ ნანას დო ბაბას ათქვენ II 70_{35} „ჩე-მი სკირეფი (შვილები)“ დედას და მამას შეუძლია თქვას...

ამ ზმნის ძირს ისევე, როგორც სხვებს (იხ. ზემოთ) ბოლო-კიდური **-ვ-** ეკარგება მომდევნო **უ**-ს წინ (თქუ ← თქვუ). სხვა ხმოვ-ნების წინ ეს **-ვ-** შენახულია. გარდამავალი სახეობა აწმყოს ჯგუ-ფის დროებში არ გვხვდება, გარდაუვალი (ვნებითი — პოტენციალი-სი) აწმყოშიც იხმარება: ითქვენ — ათქვენ (იხ. ზემოთ). ასევეა მეგრულშიც, ქართულშიც.

ამ ზმნის ძირი მხოლოდ **-ქვ-** უნდა იყოს (შდრ. სვ. ლი-**ქვ**-ისგ და ჰ-რ-ქუ-ა || რ-ქუ-ა ძვ. ქართულისა).

მნიშვნელობა ერთი და იგივეა ჰანურშიც, მეგრულშიც, ქართულშიც.

50. ჰან. **ნ-თხ-** გაშლა, გაჭიმვა; კვრა, დაცემა, ხელის მოკიდება, разомкнуть, вытянуть, ударить, (на)пасть; брать за руку

მეგრ. (ნ)-**თხ-** დაცემა, დავარდნა; ხელის მოკიდება, напасть; упасть; брать за руку

ქართ. რა-**თხ-** გაშლა, გაჭიმვა, разомкнуть, вытянуть

მსვაეფე გონთხუ დო ზოი დიყურუ I 82_{16} ფრთები გაშალა და ძლიერ დაიყვირა... თემბელი კაველას ქოგინჯირუ ე-დო თი-ყალი ქაგონთხუ I 38_{36} ზარმაცი „კველაზე“ გაწვა და თავ-კისერი გაჭიმა... კუჩხე სქანი ჯოღანიში ოღაგჯურა გონთხი I 59_{32} შენი ფეხი საბნის შესაბამად გაჭიმე („განირათხ“)... მარტიში თუთას... გონთხიმს ფუქური II 85_{12} მარტის თვეში გაშლის ყვავილს... დოქომინან-ჭკულე... ქაგონთხიფან სინის: თითხუ იყვენ I 143_{6} დაზელის შემდეგ... გაშლიან (გააბრტყელებენ) სინზე: თხელი იქნება... ცხენიქ... თეფნე ნუნთხუ დო მგეი ქაკონაყვილუ I 71_{14} ცხენმა... წიხლი კრა და მგელი დაარეტიანა... ხოჯიქ... მთხას არ ზორი კრა ქონუთხუ I 73_{21} ხარმა თხას ერთი მაგრა რქა კრა ...თეფნე მემინთხუ I 101_{33} წიხლი მკრა... კუჩხეს ნონთხამან, ხორონამან II 66_{17} ფეხს ჩაკრავენ, ცეკვავენ... მიზრაღი ლეტას... გჯუნთხუ I 120_{23} კვერთხი მიწას კრა... მთუთი ძირუ-შ-კულე ჯოღორი... ნანთხუ დორენ II 73_{6} დათვი რომ უნახავს, ძაღლი სცემია... ქურიქ წიპილი ჰოფუმს; გჯანთხენ გულიტა-ში II 75_{11} ქორი წიწილს იჭერს; დაეცემა, რომ დადიოდეს, მაშინ... კუჩხე გჯუსტუ, გჯუსტუ დო გჯანთხუ I 93_{2} ფეხი დაუსხლტა, დაუსხლტა და დაეცა... ჯინაზე გოშა ნთხუ-შ-კულე, აშკუინუ II 32_{34} მკვდარი რომ ჩამოვარდა (წყალში), შეეშინდა... მჭკუდის ხე მენთხუ, ალთუნ'დივუ II 47_{19} მჭადს ხელი მოკიდა; ოქროდ იქცა... ხე მენთხუ-შ-ქულე, დოღურუდორტუნ II 78_{20} ხელი რომ მოკიდა, მომკვდარიყო... ჰიტა ენვერიქ... ნენა გამანოხიპტუ I 102_{26} პატარა ენვერი... ენას გამოყოფდა ხოლმე...

ამ ზმნის ძირს ჰანურში ყველგან **ნ-** დაერთვის თავში, მაგრამ ეს ძირეული არ არის: ქართული (და ნაწილობრივ მეგრული) ამას მოწმობს.

მეგრულში ამ ზმნას გამოყენების ასეთი ფართო არე არა აქვს: ქირქ წიწილას ქ ე გ ი ა თ ხ უ — ქორი წიწილს დაეცა... აბრაგენქ ქ ე გ ი ა თ ხ ე ს — ავაზაკები დაესხნენ... ხე ქ ი მ ე თ ხ უ — ხელი მოკიდა, წაავლო... ქ ო დ ა ნ თ ხ უ — დავარდა... გ ე გ ი ლ ა ნ თ ხ უ — ჩამოვარდა... ე კ ა ნ თ ხ ე ს — შეიჭნენ...

ხე გონთხუ, კუჩხი გონთხუ... მეგრულად არ ითქმის: „გაშლა", „განრთხმა"-ს მეგრულში ეს ზმნა არ ნიშნავს; უცხოა მისთვის აგრეთვე „კვრა"-ს მნიშვნელობა (წიხლი კრა, რქა კრა... იხ. ზემოთ მაგალითები).

ქართულში კიდევ უფრო მცირეა ის გამოთქმები, სადაც ეს ზმნა იღებს მონაწილეობას; ძვ. ქართულში ჩვეულებრივი იყო: გ ა ნ ი რ ა თ ხ ქ ე ლ ი შენი! (გაშალე, გამართე ხელი!). შდრ. ჭ ა ნ. გ ო ნ თ ხ ი ხე, გ ო ნ თ ხ ი კუჩხე! მაგრამ ახლა ვიტყვით: ხელი გაშალეო (ჩვეულებრივ ხმარებულია: გ ა ნ რ თ ხ მ უ ლ ი). ქართულში ეს ზმნა ლამის არის ხმარებიდან გამოვიდეს. **რა-** ამ ზმნაში ძირეული არ არის (შდრ. მეგრ.-ჭანური).

51. ჭან. **თხ-**: **თხ-**უ — თხოვა, просить
მეგრ. **თხ-**: **თხ-**უ — " "
ქართ. **თხ-**: ს-**თხ-**ოვ-ა — "

„არ თოკი დომოხმარაფი", თ ხ უ II 9_{28} ერთი თოკი მათხოვე („მახმარებინე"), სთხოვა... ნე-თი გ ა მ ა ბ ი თ ხ ვ ა ფ უ რ-ჲა, ნე-თიბგორუმ ქომოჯი-ა! II 84_{27} არც გავთხოვდებიო, არც ვეძებ ქმარსაო...

ეს ზმნა მეგრულში ისევე ფართოდ არის გამოყენებული, როგორც ქართულში: ქოთხუ — სთხოვა... ქ ა თხუ — ათხოვა... გ ა თხუ ოსურსქუა — გაათხოვა ქალიშვილი... გ ე თხუ — გათხოვდა... — დ ე თხ უ — დაეთხოვა, მოსცილდა... მ ი თხუ — მოითხოვა და სხვ.

ჭანურში კი „თხოვა"-ს მნიშვნელობით იხმარება „კ ვ ა ნ-დ-" ძირი. პირველი ზემოთ მოყვანილი მაგალითი (თ ხ უ) შემთხვევითის შთაბეჭდილებას დატოვებდა, რომ ლექსში არ გვქონდეს: გ ა მ ა ბ ი თ ხ ვ ა ფ უ რ (გავთხოვდები)... ეს გვაფიქრებინებს, რომ **თხ-** ძირი უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო წინათ ჭანურში გამოყენებული.

52. ჰან. **თხ-** ← **თუხ-** ძაფის დართვა, прясти
მეგრ. **თუხ-** " " "
ქართ. —

აიშექ იაფალი ტარაღას ქოგეჩუ, დო თხუ დო ოსმანიშენი წინეკი დოშუ I 105_1 აიშემ მატყლი დაჩეჩა, დაართო და ოსმანისთვის წინდა მოქსოვა... მონტკოი... საჩეჩელის ქოგეჩაფან, ფხენითენ დო თხუფან... I 166_9 მატყლს დაჩეჩენ, თითისტარით დაართავენ...

მეგრულში ამ ზმნის ძირში **-უ-** გვაქვს: თუხუნს — ართავენ... დო თუხუ — დაართო... ქიმიო თუხუ ბამბე მონტყორს — „მიართო“ ბამბა მატყლს...

ქართულში **თუხ-** ძირი ამ მნიშვნელობით ცნობილი არაა. ა-**რთ**ავ-ს რომ მეგრულში გვქონოდა და **თუხ-** || **თხ-** ქართულში, შესატყვისი ძირები გვექნებოდა, მაგრამ **-რთ-** ქართულშია და **თუხ-** || **თხ-** მეგრულსა და ჰანურში. ამრიგად, ქართული შესატყვისი ძირის საკითხი ღიად რჩება.

53. ჰან. (ნ)-**თხოზ-** დევნა (სდევს), გამოდგომა (გამოუდგა), гнать, гнаться, преследовать
მეგრ. **თხოზ-** " "
ქართ. —

„სალახანა, იგზალი“-ა დო ათხოზუ I 58_{19} „(შე), სალახანა, წადიო“ და გამოუდგა („სდია“)... ყიდუ-სი, ასლანი დო კაპლანი ანთხოზუ II 122_{10} რომ წავიდა, ლომი და ვეფხვი გამოუდგა... ანთხოზეს ჰანი II 132_{27} გამოუდგენ ესენი... „ჰაიდე იგზალი, აქონაში მო დგირ“-და დო კოჩის ათხოზუ I 118_{10} „აბა, გასწი, აქ ნუ დგახარო“ და კაცს გამოუდგა... ავჯი დო ჯოლორეფე თილქის გდოთხოზუტეს I 34_8 მონადირე და ძაღლები მელას მისდევდენ...

მეგრ.: გამათხოზუ (ჯოლორქ ღეს)—გამოუდგა (ძაღლი ღორს)... ჯოლორი კვარს გეთხოზუ(ნ) — ძაღლი კვალს მისდევს... გამუთხოზინე — გამოადევნე...

ქართულში ეს ძირი არა ჩანს.
მეგრულსა და ჰანურში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

54. ჭან. (ნ)-**თხორ-** თხრა, ხვნა, копать, пахать
მეგრ. **თხორ-** თხრა, копать
ქართ. **თხარ-** „

ლეტა დონთხორუ II 32_{22}, 101_3 მიწა გათხარა... მთელი ყონა დონთხორეს დო ხოლო მუთუ ვა მოშახთუ I 51_{28} მთელი ყანა გადათხარეს და მაინც არაფერი ამოვიდა... ნოდერი იქუმან დო ბელითე დონთხორუმან II 59_{34} ნადს გამართავენ და დაბარავენ („ბელით“ დათხრიან)... ხოჯიქ — თხორუმს ლეტა II 3_7 ხარი ხნავს („თხრის“) მიწას... ბადი კოჩიქ საფანითე ხოჯეფეს ლეტა ონთხორაფამს II 2_{24} მოხუცი სახნისით ხარებს მიწას ახნევინებს („ათხრევინებს“)...

თხორ- ძირს თავკიდური დანართი **ნ-** ხშირად არა აქვს. ძირეული ხმოვანი **-ო-** ჭანურსა და მეგრულს ყოველთვის აქვს, მისი შესატყვისი **-ა-** ქართულში მომდევნო სუფიქსეული ხმოვნის ზეგავლენით აწმყოს ჯგუფის დროებში არა ჩანს: ვთხრი, თხრი, თხრის.... მაგრამ აორისტში გვაქვს: ვთხარე, თხარე, თხარა...

მნიშვნელობა ამ ზმნისა არსებითად ერთი და იგივეა, ოღონდ: 1. მეგრულში „დოთხორუ“ „გათახრა“-საც ნიშნავს და „დაასაფლავა“-საც: ღურელი დოთხორუ — მიცვალებული დაასაფლავა; „ჩქიში მათხორალი“ — „ჩემი დამასაფლავებელი“ (— დედა მიმართავს შვილს მოფერებით).

ჭანურში ეს ზმნა ხვნის მნიშვნელობითაც იხმარება: ლეტა დოთხორუ — „მიწა დაბარა“, „მიწა მოხნა“, ორივეს უპირისპირდება „ლეტა დოხაჩქუ“ — მიწა მოთოხნა, „თოხით დაამუშავა“.

55. ჭან. **კათ-** გარევა, გაყოლა, вмешаться; сопровождать
მეგრ. **კათ-** შეგროვება, გარევა; მივარდნა, собирать; вмешиваться
ქართ. —

დიკაში მქიის წკაი გილუბუფან, ჯუმუ უკათეფან I 144_{13} პურის ფქვილს წყალს დაასხამენ, მარილს უზამენ („შეურევენ“)... ლუყუს უკათეფან: პიპეი, ჯუმუ... I 142_7 კომბოსტოს უზამენ („შეურევენ“): პიმპილს, მარილს... (ქვეის) წკაი ბუკათარე II 3_{14} (ფქვილს) წყალს დავასხამ („წყალს ავურევ“)... მქვერის მჭიფე ჯუმუ ქობუკათამთ II 61_{37} ფქვილს წვრილ მარილს გავურევთ... ჰე-თი

ქელაკათუ II 18_{10} ესეც გაყვა... „მოხთი-ა ელამაკათი-ა დო!“ ილიკათუ დო... მინდიყონუ I 24_{32} მოდიო, გამყევიო-და! გაიყოლა და... წაიყვანა...

მეგრულში ეს ძირი გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობისაა: დოკათუ — შეაგროვა... დიიკათუ — შეგროვდა... ჩექ ქაკათუ — ჰალარა გაერია, შეერია... ქემიაკათუ — მიუვარდა... ქგმაკათუ — მოუარა (ავადმყოფობამ)... (არა გვაქვს: ელაკათუ — „გაყვა“, ჰანურისა)... ბურგონი გინიკათუ — ბრაგვანი გაადინა.

შესაბამისი ძირი ქართულში არა ჩანს.

მეგრულში ამას უკავშირებენ **კათა**- სახელს: ბოში-კათა — ყმაწვილკაცები, ქომოლი-კათა — მამაკაცები... (იხ. იყიფშიძე, მეგრ. გრამ., ლექსიკ., გვ. 250).

ნ. მარს ჰან. გრ.-ში „აკათენ“ თარგმნილი აქვს седеет; ეს შეცთომა შენიშნა ჯერ კიდევ ი. ყიფშიძემ (იხ. მეგრ. გრამ., ლექსიკ., გვ. 250).

56. ჰან. **კაკ-ალ-** გამომარცვლა, обмолот стручковых
მეგრ. **კაკ-ალ-** „ „
ქართ. **კაკ-ალ-** „ნიგოზთა და ხულთა ხილი“ (საბა), орех

ჰაწი ხაჯი პკაკალუმთ; ჰადა ოკაკალონი ენ... კაკალაში, კაკალი გამიმესს... II 74_1 ამ ლობიოს „ვმარცვლავთ“; ეს „გამოსამარცვლავია“; როცა გამოფშვნი, მარცვალს გამოიღებს...

მეგრ. კაკალანს — „მარცვლავს“, დოკაკალუ — მარცვალი გამოაცალა, გამომარცვლა. აქედანვეა: ქინკაკალუ — იხეფსა, მსუბუქად ისაუზმა.

კაკალუმს ნასახელარი ზმნაა; ნაწარმოებია კაკალ- (იხ.) სახელიდან.

57. ჰან. **კალ-**: **კალ-უ** მოკალვა, лудить
მეგრ. **კალ-**: მო-**კალ-უ** „ „
ქართ. **კალ-**: მო-**კალ-ა** „

ზმნა ტექსტებში დადასტურებული არა გვაქვს. შეტანილი აქვს ნ. მარს ლექსიკონში (იხ. **კალ-**: ჰან. გრამ., გვ. 151).

ეს ზმნა ნაწარმოებია **კალა**- სახელისაგან. წარმოებაც და მნიშვნელობაც ერთნაირია ქართულში, ჰანურში, მეგრულში.

53. ჰან. **კალ-**: გო-ნ-**კალ**-უ წასვლა(?), გადახვეწა, уходить(?)
მეგრ. **კალ-**: გ̄-**კალ**-იფ-უ ხელცარიელი დარჩენა, остаться с пустыми руками
ქართ. —

მი-თი ვარ დოსჭუდუ. გოინკალეს დუგუნჯიფე. კონაღის დოსჭუდუ დერემენჯი, დერემენჯიში ოხორჯა II 99_{35} არავინ დახრჩა. წავიდენ მექორწილეები. ოთახში დარჩენ მეწისქვილე, მეწისქვილის ცოლი...

მეგრ.: გ̄პკალიფი — ხელცარიელი დავრჩი... გოკალიფერი — ხელცარიელი...

სიტყვა იშვიათია ჰანურშიც, მეგრულშიც (არც ნ. მარის ჰან. ლექსიკონშია, არც იოს. ყიფშიძის მეგრ. ლექსიკონში).
ქართული შესატყვისი არა ჩანს.

59. ჰან. **კანკ-**: დო-**კანკ**-უ ნაყვა, კაკუნი, толочь, стучать
მეგრ. **კაკ-**: დო-**კაკ**-უ " " " "
ქართ. **კაკ-**: დაუ-**კაკ**-უნა კაკუნი, стучать

ჯუმუ, ლერი დო პეპერი დოკანკუფან I 139_{31} მარილს, ნიორსა და პიმპილს დანაყავენ... კაი-ნა დიგიბას [ლუყუ], ლაფიათე დოკანკუფან I 142_{8} კარგად რომ მოიხარშება [კომბოსტო], ლაფერით დანაყავენ... გამახთა-ში, კუზითე სახან ბუკანკა-ში, ჯას ქოგვაბღენ დო ოპჭოფუმ II 82_{20} რომ გამოვა, კოვზით საინს რომ დავუწყებ კაკუნს („დავუკაკუნებ“), ხეს დაცვივა (ფუტკარი) და დავიჭერ... ოკანკონი იკანკენ ქვას; იკანკა-ში... ლაზუტი ქვაში ხურხის დოლაბღენ II 61_{20} სარეკელა („საკაკუნებელი“) კაკუნებს ქვაზე; რომ იკაკუნებს..., სიმინდი ქვის ღრუში („ყელში“) ჩაცვივა...

მეგრ.: ჯიმუ დო ზაფანა დოკაკუ — მარილი და პიმპილი დანაყა... ჯას უკაკუანს კიდუ — ხეს უკაკუნებს კოდალა... კაკაფი ირჩქილე(ნ) — კაკუნი ისმის...

ნ- კანკ-ში, ძირეული არაა (შდრ. მეგრული, ქართული); ის ფონეტიკური დანართია.

ქართულში ამ ზმნას მხოლოდ კაკუნის მნიშვნელობა აქვს; „ნაქვას“ ის არ აღნიშნავს. „კაკუნი — ფიცარზე რეკის ჴმაჲ“ (საბა). კაკუნი — ფიცარზე დაკაკუნების ხმა ყოფილა. ალბათ, ნაყავდენ ფიცარზე ან ხის ქვასანაყში (სოფლად ახლაც ხისაა ქვასანაყი). აქედან: კაკუნი = ნაყვა.

60. ჰან. **კანწ-**: ი-**კანწ**-უ-ნ ქანაობა (ზევით-ქვევით), качаться (вверх и вниз)
მეგრ. **კანწ-**: ი-**კანწ**-უ-(ნ) „ „
ქართ. —

ჯაშიკი ო კ ა ნ წ ო ნ ი ქოგჯოკიდამან... ოთხო კოჩი დოლოხედასენ, ი კ ა ნ წ უ რ ა ნ ო რ ე ნ II 76_{15} [ზევით-ქვევით] საქანელ ყუთს ჩამოკიდებენ.... ოთხი კაცი ჩაჯდება, იქანავებენ (ზევით-ქვევით)...

მეგრ.: ფიცარი ი კ ა ნ წ უ(ნ) — ფიცარი ქანაობს (ზევით-ქვევით)...

სათანადო ქართული ფუძე არა ჩანს.

61. ჰან. მ-**კას-**: გო-**კას**-უ დატენა, набивать, заряжать
მეგრ. **კას-**: გო-**კას**-უ „ „ „
ქართ. —

„...ბაოთითე დ ო მ კ ა ს ი თ-ჯა ტოფელი“ I 116_{24} თოფის წამლით დატენეთო თოფები... ბეექ ობა გ უ ი მ კ ა ს უ... უშქიითე I 67_{19} ბავშვმა უბე გაიტენა ვაშლით...

მეგრ.: თოფი დ ო კ ა ს უ — თოფი დატენა... ტომარე დ ო კ ა ს უ — ტომარი დატენა...

ჰანურში **მ-** ფონეტიკური დანართია; ძირია **კას-**.
ქართულში მისი შესატყვისი არაა ცნობილი.

62. ჰან. **კვათ-**: **კვათ**-უ ჭრა, კვეთა, резать, рубить
მეგრ. **კვათ-**: **კვათ**-უ „ „ „ „
ქართ. **კვეთ-**: **კვეთ**-ა „

... კ ვ ა თ უ, კ ვ ა თ უ დ ო ყა მეტუხუ I 9_{15} ჭრა, ჭრა და ტოტი მოტყდა... ჯალეფე მთელი დ ო კ ვ ა თ უ I $145_{\text{„}}$ ხეები სულ დაჩეხა („დაჭრა“)... ჯაეფე დ ო კ ვ ა თ ე ს დო დიშქა დოყვეს I 76_{2} ხეები დაჩეხეს და შეშად აქციეს... მთელ დ ო კ ვ ა თ უ II 33_{8} სუყველა დაჩეხა... ცონა ღერი დ ო ბ კ ვ ა თ ი II 31_{7} ყანაში [სიმინდის] ღეროები დაკვერი... ჩალა დ ო კ ვ ა თ უ მ ა ნ II 80_{17} ჩალას მოკრიან... ქესერი'სთერი მუშიკელე

კვათუმს II 69_4 ეჩოსავით თავისკენ თლი'ა („ჭრის")... ბიჭი ხამითე ჰუვალი გამაკვათუ II 121_5 ბიჭმა ღანით ტომარა გამოჭრა... ბაბა-მუშიქ-თი ფუჯი, კოჯნი ნოკვათუ II 39_{21} მამა მისმაც ძროხა, ცხვარი დაკლა... კოჯნი ნუკვათუ, ხოჯი ნუკვათუ, ფუჯი ნუკვათუ II 97_{33} ცხვარი დაუკლა, ხარი დაუკლა, ძროხა დაუკლა... ჰაქ ჯეხედუ დოკაჩხე მეკვათუმს II 87_3 აქ დაჯდა და უკან ჭრის...

მეგრ.: ხამი კვათუნს—დანა ჭრის... შქას გოკვათუ—შუაში გაჭრა... დუდი მეკვათუ—თავი მოჭრა... ჯა გეგინოკვათუ—ხე გადაბელა („გადაჭრა")... კიბირი მეკვათუ—კბილი მოკვეთა... ჯგირი ნოკვეთი—კარგი ნაკვეთი... კვათიერი ხამი—მჭრელი დანა...

ქართულშიც არა ერთი გამოთქმა გვაქვს, სადაც „კვეთა" ჰანურ-მეგრულისებურად იხმარება: კბილი მომკვეთა (ე. ი. მომჭრა), მიცვალებულის გვამის განკვეთა... სასოწარკვეთა... გაუკვეთა—გაუჭრა: აქედან: გაკვეთილი (საბა: გაუკუეთდიან—გაუჭრიდიან).. კვეთი, საკვეთელი—რაც შედედებას („აჭრას")იწვევს...

ამრიგად, მნიშვნელობით **კვეთ-** და **კვათ-** ძირები გარკვეულ ნაწილში ერთმანეთს ფარავენ: მეგრული და ჰანური უფრო მეტად, ქართული — ნაკლებ.

აღსანიშნავია, რომ **კვეთ-** ძირს ჭრ(ა)- ძირი მეტოქეობას უწევს და ავიწროვებს ახალ ქართულში; ძვ. ქართულში მაგ. იხმარებოდა „იოანე ნათლისმცემლის თავის მოკუეთა"; ახლა ვიტყვით: „თავის მოჭრა" და არა „მოკვეთა"... შემთხვევითი არაა ამიტომ, რომ „სასოწარკუეთა", „განკვეთა", „გაუკუეთა"—ძვ. ქართულიდან მომდინარეობს, ძვ. ქართულის ნამემკვიდრებია.

საინტერესოა, რომ „ნოკვათუ" „დაკლას"-ს მნიშვნელობით მხოლოდ ჰანურს ახასიათებს, მეგრულმა ასეთი გამოთქმა არ იცის.

აგებულებით **კვათ-** და **კვეთ-** ერთმანეთის ზუსტი შესატყვისია.

63. ჰან. (რ)-**კვან-** თხოვა, просить
მეგრ. რ-**კვან-** „ „
ქართ. —

ნანა-მუშიშა იდუ დო ჰიტა ყვალი დო მჭკიდი აკვანდუ I 103_{24} თავის დედასთან მივიდა და ცოტა ყველი და მჭადი სთხოვა... აწი სიჯას აკვანან ბახჩაში... ნოღამისაში კოჩეფექ, ჯუმალეფექ აკვანან ბახჩიში I $133_{23,25}$ ახლა სიძეს სთხოვენ საჩუქარს... პატარ-

ძლის მომყოლნი, ძმები სთხოვენ საჩუქარს... მა ჟურენეჩ ასთანი შუშენი გაკვან, გიჩქინ-ი? I 20_{15} იცი, ორმოც ასთანს რატომ გთხოვ?... ჰემუში ქარტალი ქომჩი! მუსტენდიკიქ მაკვანს II 28_{30} იმის ქალალდი მიშეცი! გამომძიებელი მთხოვს (მოითხოვს)... არ ვი(თ)ნდღაშკულე კონქში მუში მოხთუ დო ჭურკი აკვანდუ II 9_{11} ერთი ათი დღის შემდეგ მისი მეზობელი მოვიდა და ქვაბი სთხოვა...

მეგრულში ეს ძირი იშვიათია, მაგრამ მეგრულისათვის უცხო არ არის: ნარკვანი — ნანატრი („ნათხოვარი“) ახლაც იხმარება.

ქართულში ეს ძირი ცნობილი არაა.

სვანური „ხე-კუად“ „უნდოდა“ ამ ძირისა უნდა იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ეს ძირი დაუკავშირდება ხა-**კუ**- ზმნას სვანურში და **ო-კო**-ნ ზმნას („უნდა“) ჭანურსა და მეგრულში. მართალია, „უნდა“ ჭანურად არის „უნონ“ და არა „ოკო-(ნ)“, მაგრამ პირობითი კილოს საწარმოებლად ჭანური ხმარობს ო-**კო**-ს: ბ-კვათი-**კო**-ნ (იხ. ჭან. გრამ. ანალ., § 42 ბ, გვ. 143); აქედან ჩანს, რომ ეს ზმნა ჭანურისათვის უცხო არ არის.

64. ჭან. **კიბ**-ინ: გდა-**კიბ**-ინ-უ კბენა, кусать
მეგრ. **კიბ**-: დო-**კიბ**-ირ-უ „ „
ქართ. **კბ**-ენ: უ-**კბ**-ინ-ა „

არ ყვაროჯი თილქიში კაპუღას ქონოხედუ, არ ზორი ქოგდაკიბინუ I 69_{13} ერთი ყვავი მელიას ზურგზე შეაჯდა, ეროი ძალიან უკბინა... კორღონი... კოჩის გდაკიბინს I 112_{13} კოღო კაცს კბენს... ვაჲ, ვაჲ! მო გემაკიბინ მურია! I 101_{24} ვაჲ, ვაჲ! ნუ მკბენ, მურია!

ძირი ამ ზმნას საერთო აქვს **კიბ**-ირ-თან (კბილ-თან). ქართული „კბენა“ და ჭან. „გეკიბინუ“ ერთმანეთის სრული ანალოგონია. მეგრულში „კბენის“ მნიშვნელობით იხმარება „ჩამინი“: აჩამუ — უკბინა („ცემა“- ძირია გამოყენებული). მაგრამ მეგრულში იხმარება ზმნა: დოკიბირუ: გერქ თხა დოკიბირუ — მგელმა თხა დაკბინა (არ კი გაუგლეჯია!). ეს ზმნა ქართულ „კბენა“-ს და ჭან. „გეკიბინუ“-ს მიყვება წარმოებითაც და მნიშვნელობითაც.

საყურადღებოა, რომ არქაბელები არ ხმარობენ „გეკიბინუ“-ს („მეჭკომუ“-ა გამოყენებული ამისათვის!): ეს ხოფურიაო (იხ. II 4_{19}); ნ. მარს თავის ლექსიკონში მოჰყავს მებაკიბინამ — кусаю — ეიწეზე მითითებით.

65. ჰან. **კიდ-**: ქო-მო-**კიდ-უ** აკიდება, вешать; навьючить
მეგრ. **კიდ-**: ქგ-მო-**კინდ-უ** ხე მოკიდება, браться рукою
ქართ. **კიდ-**: მო-**კიდ-ა** ხელი აკიდა ტვირთი, навьючить

ეშშელის ქომოკიდუ ჟუენეჩ ოკა დიკა I 11_{12} სახედარს (ვირს) აკიდა ორმოცი ოყა პურის ფქვილი... მოიკიდუ დო ოხოშა ნიმეს II 77_{23} მოიკიდა დაშინ მიაქვს... ტიკინა მობიკიდი II 81_{12} კალათა მოვიკიდე... თუთუნი ფცონარე, მაშინას გებოკიდარე... მალაზას ამაბოკიდარე II 68_{33} თამბაქოს ავაცმევ, „მანქანაზე“ გავკიდებ... საწყობში დავკიდებ... მძი(რ)ეს-შ-კულე, (ყ)ალის დიღომაკიდეს, იბგარუ II 54_{21} რომ გვნახა, ყელზე ჩამოგვეკიდა, იტირა... ჟუი-თი ოკვაკიდეს I 84_{18} ორნიც წაიჩხუბნენ... მოხთი დო აქ ოკვაკიდათ-ჲა... I 25_{20} ზოდი და აქ შევიბნეთო... მგერი დო ჯოღორი ოკვაკიდეს II 51_{10} მგელი და ძაღლი შეიბნენ... მელე სარფულეფქ, მოლე მაკრიალურეფქ ოკვაკიდეს II 22_4 გაღმა სარფელები, გამოღმა მაკრიალელები წაიჩხუბნენ...

მეგრ.: ხე ქგმოკინდუ — ხელი მოკიდა... ხეშა ქ̄კიდუ — ხელში იგდო... ჯიმაქ ჯიმას წ̄ეკიდუ — ძმა ძმას წაეჩხუბა... წაკიდებული რენა(ნ) — უბრად არიან, ნაჩხუბარი არიან...

ქართ.: ტვირთი აკიდა... ხელი მოკიდა... ზურგზე აეკიდა... ჩამოეკიდა... გამოეკიდა... და სხვ.

მნიშვნელობითაც და აგებულებითაც ეს ძირი არსებითაც ნომენტებში ხვდება ერთმანეთს.

ჰან. ოკვაკიდუ (წაეჩხუბა), მეგრ. წ̄ეკიდუ (წაეჩხუბა) ნ. მარს დაი. ყიფშიძეს ცალკე გამოყოფილი აქვთ. საამისო საფუძველი არა გვაქვს—მნიშვნელობის სხვაობა პრეფერბებთან არის დაკავშირებული.

66. ჰან. **კითხ-** კითხვა, спросить, читать
მეგრ. **კითხ-** „ „ „
ქართ. **კითხ-** „ „

ჭკულე კითხუ I 25_3 მერე კითხა... ოხორჯა მუშიქ კითხუ II 45_{16} მისმა ცოლმა კითხა... ჰაწი კითხუმს ბოზოში ბაბას II 63_{16} ახლა ეკითხება („კითხავს“) ქალის მამას... მუსთენდიკიქ კითხუფს I 16_{33} გამომძიებელი ეკითხება... ჟურ კოჩი ქომოხტეს... იკითხეს—

„მი ცორერთ?“ II 132_{35} ორი კაცი მოვიდა... იკითხეს — „ვინ ხართ?“... თქვან ჰაწი, ჰეშო ბოგნამ-ქი, ი კ ი თ ხ ა მ თ, ბეეფე ჩქიმი II 26_{7} ისე მესმის, რომ თქვენ ახლა სწავლობთ, „კითხულობთ“, ჩემო შვილებო... უ კ ი თ ხ უ კოჩი II 3_{27} უსწავლელი კაცი... ჰარუნიში ჯუმა მოთ ი კ ი თ ხ უ მ? II 2_{12} ჰარუნის ძმას რად კითხულობ?... უ კ ი თ ხ ე ს-ქი „სი მი ცორე?“II 136_{16} კითხეს, რომ „შენ ვინ ხარ?“... მუთხა ბ უ კ ი თ ხ ა რ ე II 137_{10} რაღაცას ვკითხავ... აქ-ჲა მიქ ი კ ი თ ხ უ ფ ს-ჲა დო მიქ ისიმინს-ჲა I 28_{6} აქაო ვინ (წა)იკითხავსო და ვინ გაიგონებსო... მამული ღობეის ჲეხთუ დო ოყიუთენ ფათიშაის გ ჲ ო კ ი თ ხ უ I 26_{20} მამალი ღობეზე აფრინდა და ყივილით ხელმწიფეს შეაგინა... ხოლო-თი ფათიშაის გ ჲ ო კ ი თ ხ უ I $27_{1,6}$ კიდევ ხელმწიფეს აგინა...

ყველა ეს მნიშვნელობა აქვს ამ ზმნას მეგრულშიც, ქართულშიც: მეგრ. კ ი თ ხ უ — კითხა, ი კ ი თ ხ უ — იკითხა, კ ი თ ხ უ ლ ე ნ ს — კ ი თ ხ უ ლ ობს... უცხოა მხოლოდ უკანასკნელი მნიშვნელობა: ჭან. გ ჲ ო კ ი თ ხ უ—აგინა... ესაა ამ ზმნის მნიშვნელობის თავისებურება ჭანურში.

აგებულება ზმნის ძირისა ერთნაირია. აღსანიშნავია, ათინური „უკითხეს“ (იხ. მაგალითები) = კითხეს...

67. ჭან. **კ-ნ-** ხელის წავლება, хватать рукой

მეგრ. **კ-უნ-** || **კ-ინ-** დაჭერა, წევა, держать, тянуть, поднимать

ქართ. **კ-ავ-** держать, задерживать

...მანიშა ტეფსის გ ჲ ა კ ნ უ, გოქთუ I 7_{2} სწრაფად დაავლო ხელი ტაფას, მოატრიალა... ა კ ნ ი კუდელიშე დო ოტოჩი... II 100_{6} წაავლე ხელი კუდში და გადააგდე... სენდული ხე ა კ ნ უ II 125_{30} შანდუკს ხელი წაავლო... აღაქ ხანუმის ხეს ქ ო გ ჲ ა კ ნ უ II 10_{18} ბატონი ქალბატონს ხელში ეცა...

მეგრული სათანადო ძირი **კუნ-** || **კინ-** მნიშვნელობის მხრივ უფრო მრავალფეროვანია: ხეს ქ ი დ ე კ ი ნ უ — ხელში დაიჭირა, „დაიკავა“, ე უ კ ი ნ უ — ასწია, დ უ კ ი ნ უ — დასწია, კ ი ნ უ კ ი ნ უ — უკან დასწია, წ ი მ ი კ ი ნ უ — წინ წაიწია, წ ი მ უ კ ი ნ უ — წინ წასწია... უ ჯ ე ბ უ(ნ) — უჭირავს („უკავია“), ქ ო დ ა კ ე ბ ა ფ უ — დააჭერინა, დააკავებინა (მაგ. ხელში)...

აქედან ირკვევა, რომ ძირეულია მხოლოდ **კ-**, **-ინ-** || **-უნ-** აფიქსია; ამ აფიქსის ნარჩენია ჰან. **-ნ**: **კ-ნ** (ა-**კნ**-უ...); წინა ხმოვანი (**-ი-** || **-უ-**) დაკარგულია (**-ი-**, **-უ**-ს რედუქციაა!).

ქართული **კავ**-ება თითქოს **კავ**- სახელისაგან ნაწარმოები ზმნაა; მაგრამ ეს არ აბრკოლებს **კავ**- ძირის **კუნ-** || **კინ-** ძირთან დაკავშირებას[1].

68. ჰან. **კოდ-** || **კიდ-**: დო-**კოდ**-უ || დო-**კიდ**-უ აგება, строить

მეგრ. **კიდ-**: გო-**კიდ**-უ გატიხრა, перегородить

ქართ. **კედ**-ელ-ი стена

ოხორი დოკოდეს II 75_{14} სახლი ააგეს... უსთაქ ოხორი დოკოდუ II 2_2 ოსტატმა სახლი ააგო (ააშენა)... ჭურუნი კოდუმტუ II 10_{31} ფურნეს აგებდა (აშენებდა)... წიფრიში ფიცაითე ოხორი იკოდენ, იკოდენ, ამმა კაი ვა რენ II 3_{21} წიფლის ფიცრისა სახლი აიგება, აიგება, მაგრამ კარგი არ არის[2]... მანძაგერექ... დაჰა კაი ოხორი დოკიდუ I 85_4 მეზობელმა კიდევ უკეთესი სახლი ააგო... რაკანი ჯეის კალივი დოპკიდუფთ I 136_1 მთიან ადგილას კარავს ავაგებთ...

მეგრულში ეს ზმნა „აგების“ მნიშვნელობით აღარ იხმარება; რომ იხმარებოდა, იქიდან ჩანს, რომ ხმარებაშია გამოთქმა: ცუდე შქას გოკიდუ — სახლი შუაში გატიხრა...

აქედანვე ჩანს, რომ ეს ძირი უკავშირდება **კიდ**-ა ძირს („**კედელ-ი**“). **კიდ**- ძირი „აგების“, „შენების“ **აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო**; საგულისხმოა **საბას** განმარტება: „**კედელი** — ნაგები“ (გვ. 165)... „**კედელი** — კირითა და ქვით ნაგები“ (იხ. **ყორე**, გვ. 386).

ამ სიტყვის მნიშვნელობა, ჩანს ჰანურში გაფართოებულა: გადაუტანიათ ხის ნაგებობაზეც — ადგილობრივი ვითარების შესაბამისად —საშენ მასალად ხე-ტყის ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.

კედ- ძირს ჰანურში **კად**- უნდა მოეცა; ალბათ, აქედანაა მიღებული **კოდ-**; ეს უკანასკნელი ქცეულია **კიდ**-ად (ისევე, როგორც **კორ** → ***კურ** → **კირ**. და ბევრი სხვა).

[1] ნ. მარს გა-ვაკნი თარგმნილი აქვს я узнал (და უდარებს **გნ**- ძირს). ტექსტებში ეს მნიშვნელობა არ ჩანს.

[2] ჰანებში წაბლის ხის სახლებია მიღებული.

69. ჰან. **მ-კომ-** кѵамлѵа, дымить
მეგრ. **კუმ-** „ „
ქართ. **კუმ-**, ძვ. ქართ. **კუმ**-ოდ-ა „

კურკაში კომა მებუმკომამ (ბუტკუჯის) II 82_{5} ნაქურჩელას კვამლს „მივუკვამლებ“ (ფუტკარს)...

ეს **კომა-** სახელისაგან ნაწარმოები ზმნაა; მეგრულში ამჟამად ასეთი ზმნა არ იხმარება; რომ იხმარებოდა, ჩანს ნაზმნარი სახელიდან ო-**კუმ**-აფ-უ — საკუმეველი (ზმნის ფუძე ყოფილა: კუმ-აფ-).

ძვ. ქართულში ჩვეულებრივია კუმ-ი-ს, კუმ-ო-დ-ა... ახალ სალიტერატურო ქართულში გვაქვს: უ-კმ-ევ-ს გუნდრუკს...

ზემოთ მოყვანილი მებუმკომამ (ნუმკომამ, ნუმკომამს) პირდაპირ გადმოიცემა ქართ. ვუკმევ-ით.

70. ჰან. **კორ-** || **კირ-**: დო-**კორ**-უ (შე)კვრა, связать
მეგრ. **კირ-**: დო-**კირ**-უ „ „
ქართ. **კარ-**: შე-**კრ**-ა „

მამუდიქ მთუთი დოკირუ დო არაბას ქოვედუ I 45_{18} მამუდმა დათვი შეკრა და ურემზე დადო... კუჩხეფე დუკირუ (მჩხურის) I 104_{29} ფეხები შეუკრა (ცხვარს)... ბუტკათე დოპკიუფთ I 136_{38}, 137_{1} ფოთლით შევკრავთ... ჩალა დოჭკორუმან, ხეში დოკორუმან II 60_{32} ჩალას მოჭრიან, „ხელეულს“ შეკრავენ... დოკორუმს ძიგარა II 22_{21} დაახვევს („შეკრავს“) პაპიროსს... გალე-ნა ნოკორს გურუნი... II 8_{3} გარეთ რომ აბია ვირი... გიინი ხოლო ექ ნოკისს I 10_{30} ვირი კიდევ იქ აბია... გალენდონ მსიჯი გოკორს I 115_{20} გარედან სურო ახვევია („შემოკრული აქვს“)... წოხლე-ნა გოწოკირს, ემუს გოწაკირუ ვუწუმეთ I 151_{3} წინ რომ ქვევით აკრავს, იმას წინსაფარს („წინსაკრავს“) ვეტყვით...

მეგრ.: ჭა დოკირუ — ჩალა შეკრა... ბარგის კირუნს—ბარგს კრავს... ცხენი ოდიარეს გეკირუ(ნ) — ცხენი საძოვარზე აბია... ხოჯი ჯას მიკაკირუ(ნ) — ხარი ხეზეა მიბმული...

ამ ზმნის ძირია ქართულში **კარ-** (შე-ვ-**კარ**, შე-ჰ-**კარ**); მისი შესატყვისია **კორ-** ათინური და ვიწე-არქაბული კილოკავებისა; ამ-**ო**-ს ენაცვლება **-ი-** ხოფურში, მეგრულში (-**უ**-ს მეშვეობით).

მნიშვნელობა არსებითად ერთი და იგივეა.

71. ჰან. **კორ-** უნდა, ‖ჰირია, хотеть, нуждаться
მეგრ. **კორ-** უნდა, хотеть, желать
ქართ. —

ბაგენი ვა ივუ. დიდო მიკორემს II 4_{24} სასიმინდე არ გათავდა („არ იქნა"). ძალიან მჰირია („მინდა")... თქუ-ქი „ჰაკო ქოთუმეს არ მამული უკორემს" II 14_{31} თქვა, რომ ამდენ ქათამს ერთი მამალი სჰირდება...

მეგრ.: კორინება: ვენკორინუ — არ ისურვა, არ ინდომა... ოკო-(ნ) — უნდა, სურს... ვაკო(ნ) — არ უნდა, არ სურს...

ჰანურში ოკო(ნ) მხოლოდ მეშველ ზმნადაა გამოყენებული პირობით კილოსთან, დამოუკიდებლივ არ იხმარება; მეგრულში მეშველ ზმნადაც იხმარება და დამოუკიდებლივაც.

ზემოხსენებული ზმნები უკორემს, ოკონ კავშირში უნდა იყოს **კვან-** ‖ **კვან-დ-** ძირთან (იხ).

72. ჰან. **კორ-ობ-** ‖ **კო-ობ-** კრეფა, გროვება, собирать
მეგრ. **კორ-ობ-** „ „ „
ქართ. **კრ-ებ-** „

კორობუ ნოყაზეფე I 63_{32} აგროვა („კრიბა") ნაფოტები... ჩხომეფე დკორობუ II 116_{32} თევზები შეაგროვა („აკრიფა")... კდაფუქ, ე-ნა მელას, ია კოობუფს I 118_{26} ტურა იმას აკრეფს, რაც ჩამოცვივა... სი დეხთი-ა დო ფათხი-ა, მა პკოობა-და (გიკოობუფ) თუდე-და!" I 28_{2} შენ ზედ ადიო და ჩამოფერთხეო, მე ავკრეფ-ო (აგიკრეფო)... ბოზომოთა... ცასქერეფე დკორობუ I 138_{15} ქალიშვილმა ჯარისკაცები შეაგროვა...

მეგრ.: უშქური დკორობუ — ვაშლი აკრიფა, შეაგროვა... უშქური გენკორობუ — ვაშლი აკრიფა... ეკკორობუ — მოაგროვა (ნაცვენი)... ქედინაკორობუ — ჩაკრიფა (დაცვივნული); შდრ. ქედნაწილუ — ჩაკრიფა (მონაწყვეტი)...

ქართულში ამჟამად გარჩეულია: კრება და კრეფა: ჯარი შეკრიბა — ვაშლი მოკრიფა, გადასახადი აკრიფა... დიფერენციაცია მეორეული, შედარებით ახალი ფაქტია (საბა უკვე განასხვავებს: **კრება** — შეყრილობა, **კრეფა** — ხილთ მოწილვა გინა ყუავილთ მოწყუედა: გვ. 176).

მეგრული და ჭანური **კოროშ-** ცხადყოფს, რომ ქართულში 1. **კრეფ-** მიღებულია **კრებ-**ისაგან და 2. **კ-**სა და **რ-**ს შორის ხმოვანი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ძვ. ქართულში გვაქვს: შე-ჰ-**კერბ-**ით. ჭანურში ამის შესაბამისად უნდა გვქონოდა: **კა-რა-ბ-**, მაგრამ **ბ-**ს მეზობლობაში მივიღეთ **კარ-ოშ-** და აქედან ასიმილაციით: **კოროშ-**...

ძირეულია თუ არა უკანასკნელი მარცვალი? აქ ამას არ ვეხებით.

73. ჭან. **კო-რო-ცხ-** || **კო-რე-ცხ-** თვლა, აღრიცხვა, считать
მეგრ. **კო-რო-ცხ-** „ „ „
ქართ. **რა-ცხ-** || **რი-ცხ-** „

ფარაფე კ ო რ ო ც ხ უ I 88_9 ფულები თვალა... კ ო რ ო ც ხ უ-ში, ოთხენეჩდოვიტონჩხოვრო ლირა ენ I 3_9 რომ დათვალა, ოთხმოცდაცხრამეტი ლირაა... ოთხენეჩდოვითოჩხორო ლირა დ ო კ ო რ ე ც ხ უ II 7_9 ოთხმოცდაცხრამეტი ლირა დათვალა... ჯეზდუმს დ ო კ ო რ ე ც ხ უ მ ს II 7_9 იღებს და თვლის... ჟურსუა უღუნ. ბ უ კ ო რ ე ც ხ ა თ! II 75_9 ორი ფრთა აქვს. დავუთვალოთ... მ ა ვ ა პ კ ო რ ე ც ხ უ მ... ჰემუ ვა კ ო რ ე ც ხ უ ჯ II 115_9 მე არ ვთვლი... ის არა თვლის...

მეგრულში ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივი სიტყვაა ე რ კ ე ბ ა: გ ე ი ა რ კ უ — დათვალა... მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია კ ო რ ო ც ხ უ ა: დ ო კ ო რ ო ც ხ უ — დათვალა, კ ო რ ო ც ხ უ ნ ს — თვლის...

ქართულში „აღრაცხვა“ და „აღრიცხვა“ იხმარებოდა ძველად. ახლა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში იხმარება (აღრიცხვა — учет), გაბატონდა — „თვლა“...

კო-როცხ- შეესაბამება **რაცხ-**ს, **-კო-რეცხ-** — **რიცხ-**ს: **კო-** სხვა ფუძეა (**აკა** — ერთი).

თვით **რაცხ-** || **რიცხ-**ში ძირეული უნდა იყოს **-ცხ-**, **რა-** || **რი-** თავსართები უნდა იყოს, მაგრამ ამაზე აქ არ ვჩერდებით.

74. ჭან. **კრ-**: **კრ-ი-ამ-ს** ყივილი, ყვირილი, кричать
მეგრ. **რკ-**: **რკ-ი-ან-ს** კივილი, ყივილი, „
ქართ. **კ-**: **კ-ივ-ი-ს** „

მ ა ჩ ული კ ი ა მ ს II 2_1 მამალი ყივის („კივის“)... ჩარჩიშა იდუ-სი, არ კოჩი კ რ ი ა მ ს II 137_9 ბაზარში რომ წავიდა, ერთი კაცი გაკივის... ოწედი, გუგული ვარ ონ!... ცა ბერე კ რ ი ა მ ტ უ II 127_{17} ნა-

ხე, გუგული არაა! ...ეს ბიჭი კიოდა... „მუ ჰეგჩა-დეი?“ კრიო II 121_7 „რა მოგცეო?“ იყვირა... კატუ კრიაჲ II 114_{20} კატა კნავის (!?)...

მეგრ.: ოსური განწარებულო რკიანს — ქალი გამწარებით კივის... ოსურქ მიორკიოუ — ქალმა დაიკივლა... მუმული რკიანს — მამალი ყივის (იხმარება აგრეთვე: მუმული ციანს — მამალი ყივის)...

საბას განმარტებით: **კივილი** — მაღლის ხმით ზახილი... ახლა ვამბობთ: ქალი კივისო, მაგრამ ძველად კაცზეც ითქმოდა: კივისო: „კიოდეს იგი ლაშქარნი, ვმა მათი არ გაწყდებოდა“ ვეფხ. ტყა ოს. კ. ჭიჭინაძის გამოც., ხ. 1101.

„ზახილი მესმა, შევხედენ;მოყმე ამაყად ყიოდა“ იქვე, ხ. 636.

კივილი და ყივილი სინონიმები გამოდის.

ქართული **კივილი**-ს შინაარსი გასაგებს ხდის ამ ზმნის მნიშვნელობას მეგრულშიც და ჰანურშიც: კივილი, ყვირილი და ყივილი „ხმამაღლა ძახილს“ შეიცავს...

ძირეული ყველგან **კ**- უნდა იყოს; **რ**- მეგრულში ფონეტიკურად განვითარებული თავკიდური ბგერა ჩანს, ჰანურში **რ**-ს მეტათეზისი გვაქვს.

75. ჰან. **კროხ-** || **კოხ-** || **კლაუხ-** კრუხუნი, кудахтать (про наседку)

მეგრ. **კუხ-** „ „

ქართ. **კრუხ-** „

მონჭა კროხამს II 2_{21} კრუხი კრუხუნებს... მონჭვაქ კოხამს II 76_{19} კრუხი კრუხუნებს... კროხი ჭორმე კოხნუჲ II 115_{22} კრუხი ქათამი კრუხუნებს... მონჭვექ კლაუხუმს II 5_2 კრუხი კრუხუნებს...

მეგრ.: მოჭვა კუხანს — კრუხი კრუხუნებს... ქოთომქ მიკუხუ — ქათამმა კრუხობა დაიწყო (ე. ი. კვერცხის დება მიატოვა და კრუხუნი იწყო)...

კუხანს, ცხადია, მიღებულია კრუხანს-ისაგან — **რ**-ს დაკარგვით **კ**-ს შემდეგ. ამგვარი უ-**რ**-აეო ვარიანტი ჰანურშიც გვხვდება: კოხნუჲ (იხ. აქვე, ზემოთ).

ჰანურში ისევე, როგორც ქართულსა და მეგრულ-ში, ზემოხსენებული ზმნა **კრუხ-** სახელისაგანაა ნაწარმოები. მეგრულში და ჰანურში ამჟამად მ ო ნ ჭ ვ ა || მ ო ჭ ვ ა იხმარება კრუხის აღსანიშნავად; მაგრამ ეტყობა, „კრუხიც“ იხმარებოდა. ართაშენელ მუსა გულაბერ-ოღლის თქმით ჩაწერილ ტექსტებში ეს სახელი მართლაც გვხვდება.

-ო- ჰანურში (კ რ ო ხ-, კ ო ხ-) მეორეულია (შდრ. მეგრ. კ უ ხ-, ქართ. კ რ უ ხ-).

76. ჰან. **კუთ-** დაფრთხობა, вспугнуть, испугаться
მეგრ. **კუთ-** სუნთქვის შეკვრა, прерывисто дышать; вспугнуть, испугаться
ქართ. **კრთ-** „

ქერვანი ე მ კ უ თ უ დო იმტუ II 8_{36} ქარავანი დაფრთხა („შეკრთა“) და გაიქცა... ნოხაპულე ნოკაჯინამან დო ტოროჯი ე მ კ უ თ უ ნ. ულუნ, მოსას მაჭკიდენ II 85_4 ნაფოტს **ე**სვრიან და მტრედი „დაფრთხება“ („შეკრთება“), წავა, ბადეს მოაწყდება...

ეს ძირი მეგრულში გამოყენებულია ზმნაში ე კ უ თ უ: შ უ რ ქ შ ე კ უ თ უ—სუნთქვა შეეკრა... შ უ რ ი ე კ უ თ ე ბ უ ნ—სუნთქვა ეკვრის... შ უ რ ი შ ი კ უ თ უ ა — სუნთქვის შეკვრა...

ქართული შესატყვისი ძირია **კრთ-**:—**კრთ-ომა**, რომელიც ს ა ბ ა ს განმარტებით „მცირე შეხლტომას“ ნიშნავს; **განკრთომა** — შეშინება (ანაზდი შიში მცირე); **განკრთა** — შეშინდა.

ეს გასაგებს ხდის ჰანურ გამოთქმებს: „ქერვანი ე მ კ უ თ უ“ (იხ. ზემოთ), „ტოროჯი ე მ კ უ თ უ“ და მეგრულს: შ უ რ ქ შ ე მ ე კ უ თ უ (ე. ი. სუნთქვა დაუბრკოლებლივ კი არ წარმოებს, არამედ წყვეტილად, „ნახტომებით“)...

ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ამ „ კ უ თ უ ა“-ს უდარებს ქართ. „ხუთვა“-ს. სულ სხვა ძირია.

ნ. მ ა რ ს ძირად **-მკუთ-** მიუჩნევია და **მ**-ზე შეუტანია; ქართულთან და მეგრულთან შედარება არკვევს, რომ **მ**- ფონეტიკური დანართია. მერე: ნ. მ ა რ ი განმარტავს: ე მ კ უ თ ი ნ უ—приходить в ярость (?!). სამწუხაროდ განმარტებას გამოთქმები (ფრაზები) არ ახლავს...

77. ჰან. **კუს-** კვნესა, стонать
მეგრ. **კუს-** „ „
ქართ. **კვნეს-**, ძვ. ქართ. **კუნეს-** „

თემბელი დოჭკინდინერი რენ დო კუსაფს I 38_{19} ზარმაცი დაღლილია და კვნესის... აჭუნტუ დო კუსაპტუ I 68_{4} ტკიოდა და კვნესოდა...

მეგრ.: ლ/ხი კუსა̰ნს — ავადმყოფი კვნესის...

კუს- ძირი არ არის **კვნეს-** (‖ **კუნეს-**) ძირის კანონზომიერი შესატყვისი: ეს იგივე ძირია, ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი (გამარტივებული).

78. ჰან. **კუცხ-** ღვიძება, будить, просыпаться
მეგრ. **კურცხ-** „ „
ქართ. **მ-კვირცხ-** ‖ „**მ-კვრცხ-ე**“(საბა) бодрый, бодрствующий

ე-ნა გოკუცხუ, არ ქოთუმე ქოჭკომუ I 37_{33} რომ გაიღვიძა, ერთი ქათამი შეჭამა... ოხოიში საჰები ნჯირიშენ ქაგოკუცხუ I 20_{1} სახლის პატრონმა გამოიღვიძა („ძილისაგან გამოფხიზლდა“)... დოთანუ; ბოზომოთა ვა გოკუცხუ. იქინდი დიცუ — ხოლო ვა გოკუცხუ II 125_{17} გათენდა; ქალიშვილმა არ გაიღვიძა. სამხრობამ მოაწია — კიდევ არ გაიღვიძა... პაპული წარი გობუ დო გოკუცხინუ II 136_{33} მოხუცმა („პაპამ“) წყალი დაასხა და გააღვიძა... ბოზო ვა გოკუნცხინუ II 35_{31} ქალიშვილი არ გაიღვიძა...

მეგრ.: გოკურცხუ — გააღვიძა... გა̰კურცხინუ — გააღვიძა... კურცხე რე(ნ) — ღვიძავს...

აქედან ჩანს, რომ ზემოხსენებული ზმნა ნასახელარია; ნაწარმოებია ის კურცხე-საგან: კურცხე — ფხიზელს ნიშნავს; ესაა ქართულში ხმარებული: მკვრცხე. მართალი უნდა იყოს საბა, როცა შენიშნავს: მკვრცხე და მკვრცხლ- სხვადასხვაა, მათ „განკრძალვით გარჩევა უნდა, ვიეთნი მწერალნი არ დაჰკვრეგიან“ (იხ. საბა: **მკვრცხე**). საბა განმარტავს: მკვრცხლ... „ესე არს ქვეითი

ფრჯივ მავალი"... მისი ძირი იგივეა, რაც „კუარცხლბეკ"-ში გვაქვს, და „**ფეხ**-ს ალნიშნავს (იხ. **კუჩხ**-ე-სთან) მკჯრცხე კი „ფხიზელს" ალნიშნავს (საბას განმარტება ამ სიტყვისა არაა ზუსტი). აქედან: მეგრ. კურცხე რე(ნ) — ფხიზელია, ფხიზლობს, არა ძინავს... გოკურცხუ — გაიღვიძა (ე. ი. „გაფხიზლდა"), გააკურცხინუ — გააღვიძა („გამოაფხიზლა"). ძირეული **კურ-** || **კჯრ-** აქ „თვალზე" უნდა მიუთითებდეს (იხ. ნ. მარი).

79. ჭან. **ლ-**: მე-**ლ**-უ ვარდნა, падать
მეგრ. **ლ-**: დო-**ლ**-უ „ „
ქართ. —

დოიყურატიკონი... ჲეშქურდუტუ დო მელაპტუ I 56_4 როჲ დამეყვირა, შეშინდებოდა და ჩამოვარდებოდა... თუთა მუჭო მელამს? II 45_{18} მთვარე როგორ ჩამოვარდება?... ცა მელამს, ბიმტათ! II 46_8 ცა ვარდება, გავიქცეთ!..

მეგრ.: ჰირქაქ ქგდოლუ — ჰიქა დავარდა... ჰირქაქ ქგდომიოლუ — ჰიქა დამივარდა... ბირცხაქ მელუ — ფრჩხილი მოვარდა... კარდილას ქიდნოლუ — ქვაბში ჩავარდა... წყარს გელუ — წყალში გადავარდა, ჩაეშვა... ფოსვიქ გეშალუ — ფესვი ამოვარდა... გეშაგიოლუ ფოსვიქ! — ამოგივარდა ძირი! (წყევლა; შდრ. ჭან. ქდოქი მოგასთვას! — „ძირი მოგიგლჯეს!")... ჯაშე გეგილალუ — ხიდან ჩამოვარდა და სხვ. ეს იმ ზმნათაგანია, რომელიც თითქმის ყველა მარტივ და რთულ პრევერბს იგუებს...

ქართულში ეს ძირი არა ჩანს.

80. ჭან. **ლალ-**: ყეფა, лаять
მეგრ. **ლალ-**: „ „
ქართ. **ლალ-**:(?) ლალვა — შუღლი (საბა), враждовать.

ულალუ მურიაქ I 101_{23} უყეფა მურიამ... კოჩის... ულალუპტეენ... I 97_3 კაცს უყეფდა თურმე... ლაჭი ლალოდ (|| ლალომს) II 114_{29} ძაღლი ყეფს...

მეგრ.: ჯოლორი ლალუნს — ძაღლი ყეფს... ჯოლორქ ლალუ — ძაღლმა იყეფა... ჯოლორქ მეულალუ — ძაღლმა დაუყეფა.

კითხვა ისმის: ხომ არ უკავშირდება ამას ქართული „ლალვა“, „შუღლს“, „მტროობას“ რომ ნიშნავს?

მეორე მხრივ, ძალა-უნებურად იქცევს ყურადღებას აფხაზური **ა-ლა** — ძაღლი.

81. ჭან. **ლირ-** თვლემა, дремать
მეგრ. **ლურ-** || **რულ-** ძილი, спать
ქართ. **ლულ-** || **რულ-** „მიერულა — მიეძინა“ (საბა), дремать

ნჯირი ქომუხთუ დო ლირტუ I 86_{20} ძილი მოუვიდა და თვლემდა...

მეგრ.: ლურს — ძინავს... მაგრამ: ქიდირულუ — დაიძინა... ქგდარულუ — დაეძინა... ლურენჯი — მძინარე...

საბას განმარტებით: „**რული**—მცირე რამ ძილი“, „**მიერულა**—მიეძინა“ და კიდევ: „**ლული** — ძილის ლური (რული B)“. ამის მიხედვით „რული“ მნიშვნელობით უფრო ახლოსაა ჭანურ „ლირ“-თან, ვინემ მეგრულ „ლურ“-თან, თუმცა არც ერთს არ ხვდება მთლიანად, გარდამავალ საფეხურს გვიჩვენებს. ხოფური კილოკავის **ლირ-** მიღებულია **ლურ-**ისაგან, რომელიც შემონახული აქვს მეგრულს. ქართული **რულ-** დისიმილაციის წესით უნდა იყოს მიღებული **ლულ-**ისაგან (შდრ. რბილი ← ლბილი... სრული ← სლული...).

82. ჭან. **ლობ-** || **ლიბ-**: დო-**ლობ**-ინ-უ ლბობა, увлажнять, делать мягким
მეგრ. **ლიბ-**: დჳ-**ლიბ**-არ-უ „ „
ქართ. **ლბ-**: და-ა-**ლბ**-ო „

(ტები...) დობოლობინამთ II 114_{18} ტყავს დავალბობთ... ხომბულა იყვენ, წკაის ქოგჲოლიბინაფს I 165_{24} გამხმარი იქნება, წყალში დაალბობს... დოხაკარუ, დოლიბინუ დო ჯუმადი მუში ჯემალის მინდუღუ I 105_{15} გაფხიკა, დაალბო და თავის ბიძას ჯემალს წაუღო...

მეგრ.: დაალიბარუ—დაალბო... ალიბარენს—ალბობს...

ეს ზმნა ნასახელარია: მეგრ.: ლ ი ბ უ—„რბილი", მიღებულია ლ ო ბ - უ -საგან (შუა საფეხურია ლ უ ბ - უ); ქართულ **ლბ-** ძირში, როგორც ეს ჭანური და მეგრული შესატყვისი ძირებიდან ჩანს, დაკარგულია ხმოვანი (მოსალოდნელი იყო **ლაბ-**): ა - ლ ბ - ო ბ - ს, ლ ბ - ე ბ - ა, დ ა ა - ლ ბ - ო, დ ა - ლ ბ - ა—ყველგან კარგავს ამ ხმოვანს მომდევნო სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით.

83. ჭან. **ლოკ-** || **ლოსკ-** ლოკვა, лизать,
მეგრ. **ლოტკ-** „ „
ქართ. **ლოკ-** „
სვან. ლი-**ლაკ**-ე „ „

გიშერაქ ბოჩოლა ლ ო კ უ პ ტ უ I 101_{31} გიშერა ბოჩოლას ლოკავდა... პიჯი ი ლ ო კ უ პ ტ უ I 82_{20} პირს ილოკავდა... კატუქ ლ ო ს კ უ მ ს მუში კუჩხე... კუჩხე ი ლ ო ს კ ა მ ს, პიჯი იბონს II $4_{3,4}$ კატა ლოკავს თავის ფეხს... ფეხს ილოკავს, პირს იბანს...

მეგრ.: გ ო ლ ო ტ კ უ || გ ო ლ ო ნ ტ კ უ—გალოკა, „მონერწყვა"...

აუხსნელი რჩება **ს**- ჭანურში (ლო**ს**კ-) და **ტ**- მეგრულში (ლო**ტკ**-)... მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

84. ჭან. **ლუმჯ-**: დო-**ლუმჯ**-უ დასაღამოება, დაბნელება, вечереть, стемнеть
მეგრ. **ონჯ-**: ეკი-**ონჯ**-უ „ „
ქართ. —

დ ო ლ უ მ ჯ უ, ბადი, დ ო ლ უ მ ჯ უ! მწკუფის გალენ-ი ეკულე (ახჩამი'ჭკულე სეი-თი იყვენ, მწკუფი იყვენ) I 121_{25} დაღამდა, მოხუცებულო, დაღამდა („დასაღამოვდა")! მერე ბნელში შეგიძლია იაროთ (საღამოს შემდეგ ღამეც იქნება, ებნელება, სიბნელეც იქნება)... დ ო ლ უ მ ჯ უ; ოხორიშა ქომოხთე, დინჯირეჯ II 123_{19} დაღამდა („დასაღამოვდა"); შინ მოვიდენ, დაიძინეს...

მეგრ. ე კ ი - ო ნ ჯ - უ — საღამო დადგა...

დ ო ლ უ მ ჯ უ ლ უ მ ჯ ი -საგან (იხ.) ნაწარმოები ზმნაა.
ქართული შესატყვისის შესახებ იხ. **ლუმჯ**-ი.

85. ჭან. **მონკ-** დამძიმება, отяжелеть
მეგრ. **მონკ-** || **მოკ-** „ „
ქართ. [**მაკ-ე**]

ეშშელი ღალის ქოდოლოლუ, ამმა სონქერი ეკო ჩქვა დ ი მ ღ ნ კ ა ნ უ I 70_{27} ვირი მდინარეში (ნაკადულში) ჩავარდა, მაგრამ ღრუბელი კიდევ უფრო (ერთი „სხვა იმდენი“) დამძიმდა...

მეგრ.: ა მ ო ნ კ ა ნ ს—ამძიმებს... დ ი მ ო ნ კ უ—დამძიმდა...

ეს ზმნა მ ო ნ კ ა- („მძიმე“) სახელისაგან ნაწარმოები ზმნაა (იხ. **მონკა**); იქვე ქართული შესატყვისის შესახებ.

86. ჭან. **მჟარ-**: დი-**მჟარ**-უ დამჟავება, солить, мариновать
მეგრ. —
ქართ. **მჟავ-**: და-**მჟავ**-დ-ა „

სუმ-ოთხო დღას ეშო დიყვენ, კაი დ ი მ ჭ ა რ ე ნ I 139_{29} სამ-ოთხ დღეს ისე იქნება, კარგად დამჟავდება... ოთხო დღა'ჭკულე დ ი მ ჭ ა რ ე ნ I 139_{32} ოთხი დღის შემდეგ დამჟავდება...

ძირი იგივეა, რაც მ ჟ ა ვ ე სახელში; ქართულიდან შეთვისებული ჩანს ჭანურში; მეგრულში არც ეს სახელი, არც მისგან ნაწარმოები ზმნა არ იხმარება.

87. ჭან. **მ-ტ-** იხ. **-ტ-**.

88. ჭან. **მურგვალ-** დამრგვალება, округлить
მეგრ. **რგვალ-** „ „
ქართ. **მრგვალ-** „

ოკულე კაი დოპტკაპუმთ სარღას, დ ო ბ ო მ უ რ გ ვ ა ლ ა მ თ II 62_{2} მერე კარგად „დავტკეპნით“ გობზე, დავამრგვალებთ...

მეგრ.: დ ა ა რ გ ვ ა ლ უ—დაამრგვალა... დ ა ვ ა რ გ ვ ა ლ ე ნ ქ—დავამრგვალებ...

ეს ზმნა ჭანურში **მურგვალ-** სახელისაგან ნაწარმოები ზმნაა (იხ. **მურგვალ-**). ქართულთან და მეგრულთან შეფარდების შესახებ იხ. იქვე.

89.	ჰან.	**მქვ-**:	დო-**მქ-უ**	დაფქვა, молоть
	მეგრ.	**-ქ(ვ)-**:	დო-**ქ-უ**	„ „
	ქართ.	**ფქვ-**:	და-**ფქვ-ა**	„
	სვან.	**ფექ-**		ფქვილი, мука

ქარმატიშა მენდებილი... დ ო მ ქ ვ ი II 116_{13} წისქვილში წავიღე, დავფქვი... ქარმატეშა მედებილი, დ ო ვ ო მ ქ ვ ი ნ ი II 31_{17} წისქვილში წავიღე, დავაფქვევინე... მქვერი მ ქ უ მ ს II 61_{22} ფქვილსა ფქვავს... ლაუზტი მსქიბუს მ ქ უ ფ ა ნ I 140_{11} სიმინდს წისქვილში ფქვავენ... მქიი დ ო მ ქ უ ფ ს I 144_{19} ფქვილს დაფქვავს... ლაზუტი... ქოგდუდუმენან ქარმატეს, ო მ ქ ვ ა ფ ა მ ა ნ I 61_{5-6} სიმინდს დაუდებენ წისქვილს, აფქვევინებენ...

მეგრ.: სიმინდი დ ო ქ უ — სიმინდი დაფქვა... ჭვეს ქ უ ნ ს — ჭვავს ფქვავს... ჭობალი დ ო ვ ო ქ უ ა ფ ე — ხორბალი („პური“) დავაფქვევინე...

ამ ზმნის ძირია **ფექ-** სახელი, რომელიც სვანურში გვაქვს შემონახული და „ფქვილ“-ს ნიშნავს; „ფ ქ ვ ა ვ ს“ ე. ი. „ფექ“-ად (ფქვილად) აქცევს. ეს ძირი ქართულში ყველგან კარგავს ხმოვანს.

ჰანურში თავკიდური **მ-** ფონეტიკურად განვითარებული კი არ არის, არამედ **ფ-**ს ბგერინაცვალია.

ფუძისეული **-ვ-** ჰანურს ეკარგება **უ**-ს წინ, მეგრულს **ი**-ს წინაც. მეგრულში **ფქ-** კომპლექსი გამარტივებულია: **ფ-** დაკარგულა და **ქ**-ღა გვაქვს: ძირი აქ ყველაზე უფრო გაცვეთილია.

90. ჰან. **ნახ-**: დო-**ნახ-უ** გარეცხვა, стирать (напр., белье)

მეგრ. **ნახ-**: დო-**ნახ-უ** „ „

ქართ. —

ელბისეფე მუში დ ო ნ ა ხ უ II 97_{15} თავისი ტანისამოსი დარეცხა... ფორჩაფე... ბაშლუღი, წინეკი... ცირ ხოლ' ანდღა მ ნ ა ხ უ მ II 83_{20} პერანგებს... ბაშლაყს, წინდებს... ყველაფერს დღეს ვრეცხავ... მაჟვარა ოდას ბერეფეში დოლოქუნეფე ნ ა ხ უ ფ ა ნ I 124_{9} მეორე ოთახში ბავშვების ტანისამოსებს რეცხავენ... მონტკოი ჯეზდიფან, კაი დ ო ნ ა ხ უ ფ ა ნ... I 166_{8} მატყლს აიღებენ, კარგად გარეცხავენ...

მეგრ.: ონახვალი დონახუ—სარეცხი დარეცხა... ოსარე გონახუ—პერანგი გარეცხა... ბაშლაყის ნახუნს—ბაშლაყს რეცხავს..

მეგრული და ჭანური არც აგებულებით განსხვავდება, არც მნიშვნელობით. ქართული შესატყვისი ძირი არა ჩანს.

91. ჭან. **პეტელ-** კიკინი, блеять
მეგრ. **პეტელ-** „ „
ქართ. —

მჩხურიქ პეტელაფს I 166_8 ცხვარი „კიკინებს“... თიკანი? ემუქ-თი პეტელაფს I 166_7 თიკანი? ისიც კიკინებს... შურონი პეტელად (‖ პეტელამს), კოინი (‖ მშჭური) პეტელამს II 114_{27} თხა კიკინებს, ცხვარი კიკინებს... გენიქ პეტელაფს I 166_6 ხბო „კიკინებს“(!)...

მეგრ.: თხა პეტელანს—თხა კიკინებს... ქაცარქ მიოპეტელუ—თიკანმა დაიკიკინა... გერქ თხა გედოპეტელუ—მგელმა თხა „ააკიკინა“ (ე. ი. პირი წაავლო და კიკინი დააწყებინა)...

ხოფელის თქმით (იხ. აქვე, ზემოთ) „ხბო კიკინებს“; ნ. მარის ჩვენებით არქაბელებიც ძროხისათვის „პეტელ“-ს ხმარობენ (იხ. ჭან. გრ., გვ. 179: **პეტელ-**).

პეტელ- ხმის მიბაძვითი სიტყვა ჩანს; ქართულში ის არ იხმარება.

92. ჭან. მ-**პონ-**: გედო-მ-**პონ**-უ მყნობა, прививать (раст.).
მეგრ. **ღონ-**: გიო-**ღონ**-უ „ „ „
ქართ. მ-**ყნ-** ‖ მ-**ყენ-**: დაა-მ-**ყნ**-ო „

არ ბადი კოჩიქ ბაღის მცხული გედომპონაპტუ I 87_{21} ერთი მოხუცი ბაღში მსხალს ამყნობდა...

მეგრ.: მებაღექ სხული ქიგედოღონუ—მებაღემ მსხალი დაამყნო... ნაღონა ბინეხი—ნამყენი ვაზი („ვენახი“)...

ქართულში ამ ზმნას ძირეულ ხმოვნად **-ე-** მოუდის: მე დავამყენი, შენ დაამყენი... მეგრულსა და ჭანურში **-ო-** (მოსალოდნელი **ა**-ს

ნაცვლად): ან **-ონ-** და **-ენ-** სუფიქსებია და მათ შორის მხოლოდ მორფოლოგიური შესატყვისობაა, ანდა მეგრულსა და ჭანურში **-ო-** მიღებულია **-ა-**საგან... მესამე შესაძლებლობა (ნაკლებ მოსალოდნელი): ქართულში იყო „დავამყან“ და „გიოყონუ“ მას შეეფერება (შდრ. „გავჭერ“ და დიალექტური, სახელდობრ, გურული—„გავჭარ“)...

გარდა ამისა ჭანური **პ-** მოითხოვს ახსნას; ეს უნდა იყოს **ყ-**ს შენაცვლებული (აკუსტიკურ ნიადაგზე!) **პ-**; **ფ- პ-**ს წინ ფონეტიკური დანართია.

93.	ჭან.	**ო-რ-**:	**ო-რ-ე-ნ**	ყოფნა,	быть
	მეგრ.	**ო-რ-**:	**ო-რ-ე-ნ**	„	„
	ქართ.	**ა-რ-**:	**ა-რ-ი-ს**		„
	სვან.	**ə-რ-**:	**ə-რ-ი**	„	„

ჭანურსა და მეგრულში **-ო-** ამ ზმნას წერჩება ხოლმე პირველ პირში: ჰაწი რახატი ბ ო რ ე II 24_{25} ახლა მოსვენებული ვარ... დიდო ნოსეი კოჩი ვ ო ე I 6_{17} ძალიან ჭკვიანი კაცი ვარ....

სხვა პირებში **-ო-** ჩვეულებრივ არა ჩანს: სი მუფერი კოჩი რ ე? I 7_{30} შენ რანაირი კაცი ხარ?.. მიიხანი... რ ე თ I 39_{9} ვინცა ხართ... ფარა ჩქიმი... რ ე ნ I 5_{12} ფული ჩემი ...არის... კოჩეფე რ ე ნ ა ნ I 43_{21} კაცები არიან... ვ ა რ ტ უ I 2_{4} არ იყო... შეიძლება **რ-**ც ძიიჩქმალოს: რადიჭე დიდო ძაბუნი ტ უ I 53_{11} რადიჭე ძლიერ ავად იყო... ...კაი ტ უ II $10_{35,36}$, 11_{2} კარგი იყო... მორო მიში ე ნ? ჩქიმი ენ? II 8_{4} აბა ვისია? ჩემია...

მეგრ.: მა ვ ო რ ე ქ—მე ვარ, მაგრამ: სი რ ე ქ, თინა რ ე (ნ)... მა ვ ო რ დ ი—მე ვიყავი, სი რ დ ი —შენ იყავი, თინა რ დ უ--ის იყო... მი რ ე || მი ე?—ვინ არის?...

ქართულს **-ი-** მხოლოდ მესამე პირში აქვს (ის არის, ისინი არიან), სხვა პირებში არა აქვს (შენ ხარ, მე ვარ; თქვენ ხართ, ჩვენ ვართ); არა აქვს ახლა, ჰქონდა ძვ. ქართულში (თუმც იშვიათად): ხარი შენ, ვარი მე...

ამრიგად: **ა-რ-ი-ს ო-რ-ე** ერთმანეთს კანონზომიერად შეესატყვისება... სვანური **ə რი** კი იმეორებს ქართულ **არი-**ს (**ა-**ს გაუმლაუტება სვანურის ნიადაგზეა მომხდარი)...

არი- || **ორე-** ფუძეთა ძირი **-რ-** უნდა იყოს.

ამ **-რ-** ძირისაგან უნდა იყოს ნაწარმოები **-რ-ინ-** ფუძე ჭანურისა: არიქ მოზარი დ ო რ ი ნ უ, მაჟუანიქ—ხოჯი I 166_{1} ერთმა ფური

მეგრ.: ონახვალი დონახუ—სარეცხი დარეცხა... ოსარე გონახუ—პერანგი გარეცხა... ბაშლაყის ნახუნს—ბაშლაყს რეცხავს...

მეგრული და ჰანური არც აგებულებით განსხვავდება, არც მნიშვნელობით. ქართული შესატყვისი ძირი არა ჩანს.

91. ჰან. **პეტელ-** კიკინი, блеять
მეგრ. **პეტელ-** „ „
ქართ. —

მჩხურიქ პეტელაფს I 166_8 ცხვარი „კიკინებს“... თიკანი? ემუქ-თი პეტელაფს I 166_7 თიკანი? ისიც კიკინებს... შურონი პეტელად (‖ პეტელამს), კოინი (‖ მშჭური) პეტელამს II 114_{27} თხა კიკინებს, ცხვარი კიკინებს... გენიქ პეტელაფს I 166_6 ხბო „კიკინებს“(!)...

მეგრ.: თხა პეტელანს—თხა კიკინებს... ქაცარქ მიოპეტელუ—თიკანმა დაიკიკინა... გერქ თხა გედოპეტელუ—მგელმა თხა „აკიკინა“ (ე. ი. პირი წაავლო და კიკინი დააწყებინა)...

ხოფელის თქმით (იხ. აქვე, ზემოთ) „ხბო კიკინებს“; ნ. მარის ჩვენებით არქაბელებიც ძროხისათვის „პეტელ“-ს ხმარობენ (იხ. ჰან. გრ., გვ. 179: **პეტელ-**).

პეტელ- ხმის მიბაძვითი სიტყვა ჩანს; ქართულში ის არ იხმარება.

92. ჰან. მ-**პონ-**: გდო-მ-**პონ-უ** მყნობა, прививать (раст.).
მეგრ. **ცონ-**: გიო-**ცონ-უ** „ „ „
ქართ. მ-**ყნ-** ‖ მ-**ყენ-**: დაა-მ-**ყნ-ო** „

არ ბადი კოჩიქ ბაღის მცხული გდომპონაპტუ I 87_{21} ერთი მოხუცი ბაღში მსხალს ამყნობდა...

მეგრ.: მებაღექ სხული ქიგდოცონუ—მებაღემ მსხალი დაამყნო... ნაცონა ბინეხი—ნამყენი ვაზი („ვენახი“)...

ქართულში ამ ზმნას ძირეულ ხმოვნად **-ე-** მოუდის: მე დავამყენი, შენ დაამყენი... მეგრულსა და ჰანურში **-ო-** (მოსალოდნელი **ა**-ს

ნაცვლად): ან **-ონ-** და **-ენ-** სუფიქსებია და მათ შორის მხოლოდ მორფოლოგიური შესატყვისობაა, ანდა მეგრულსა და ჭანურში **-ო-** მიღებულია **-ა-**საგან... მესამე შესაძლებლობა (ნაკლებ მოსალოდნელი): ქართულში იყო „დავამყან“ და „გიოყონუ“ მას შეეფერება (შდრ. „გავჭერ“ და დიალექტური, სახელდობრ, გურული—„გავჭარ“)...

გარდა ამისა ჭანური **პ-** მოითხოვს ახსნას; ეს უნდა იყოს **ყ-**ს შენაცვლებული (აკუსტიკურ ნიადაგზე!) **პ-**; **ჶ- პ-**ს წინ ფონეტიკური დანართია.

93.	ჭან.	**ო-რ-**:	**ო-რ-ე-ნ**	ყოფნა,	быть
	მეგრ.	**ო-რ-**:	**ო-რ-ე-ნ**	„	„
	ქართ.	**ა-რ-**:	**ა-რ-ი-ს**		„
	სვან.	**ა̈-რ-**:	**ა̈-რ-ი**	„	„

ჭანურსა და მეგრულში **-ო-** ამ ზმნას წერჩება ხოლმე პირველ პირში: ჰაწი რახატი ბ ო რ ე II 24_{25} ახლა მოსვენებული ვარ... დიდო ნოსეი კოჩი ვ ო ე I 6_{17} ძალიან ჭკვიანი კაცი ვარ....

სხვა პირებში **-ო-** ჩვეულებრივ არა ჩანს: სი მუფერი კოჩი რ ე? I 7_{30} შენ რანაირი კაცი ხარ?.. მიიხანი... რ ე თ I 39_{9} ვინცა ხართ... ფარა ჩქიმი... რ ე ნ I 5_{12} ფული ჩემი ...არის... კოჩეფე რ ე ნ ა ნ I 43_{21} კაცები არიან... ვა რ ტ უ I 2_{4} არ იყო... შეიძლება **რ-**ც მიიჩქმალოს: რადიფე დიდო ძაბუნი ტ უ I 53_{11} რადიფე ძლიერ ავად იყო... ...კაი ტ უ II $10_{35,36}$, 11_{2} კარგი იყო... მორო მიში ე ნ? ჩქიმი ენ? II 8_{4} აბა ვისია? ჩემია...

მეგრ.: მა ვ ო რ ე ქ—მე ვარ, მაგრამ: სი რ ე ქ, თინა რ ე (ნ)... მა ვ ო რ დ ი—მე ვიყავი, სი რ დ ი —შენ იყავი, თინა რ დ უ—ის იყო... მი რ ე || მი ე?—ვინ არის?...

ქართულს **-ი-** მხოლოდ მესამე პირში აქვს (ის არის, ისინი არიან), სხვა პირებში არა აქვს (შენ ხარ, მე ვარ; თქვენ ხართ, ჩვენ ვართ); არა აქვს ახლა, ჰქონდა ძვ. ქართულში (თუმც იშვიათად): **ხარი** შენ, **ვარი** მე...

ამრიგად: **ა-რ-ი-ს ო-რ-ე** ერთმანეთს კანონზომიერად შეესატყვისება... სვანური **ა̈რი** კი იმეორებს ქართულ **არი-**ს (**ა-**ს გაუმლაუტება სვანურის ნიადაგზეა მოხდარი)...

არი- || **ორე-** ფუძეთა ძირი **-რ-** უნდა იყოს.

ამ **-რ-** ძირისაგან უნდა იყოს ნაწარმოები **-რ-ინ-** ფუძე ჭანურისა: არიქ მოზარი დ ო რ ი ნ უ, მაჟუანიქ—ხოჯი I 166_{1} ერთმა ფური

მოიგო, მეორემ--ხარი... მჩხუიქ დ ო ი ნ ა ფ ს... I 166_{17} ცხვარი მოიგებს... „აჲა ჰურკი სქანიქ დ ო ი ნ უ“-ჲა I 12_{16} ეს შენმა ქვაბმა მოიგოო (შობაო)... დ ი რ ი ნ უ-შ-უკულე არ... ქარმატე უძირამუნ II 98_{2} მას შემდეგ, რაც დაიბადა, ერთი... წისქვილი უნახავს [მეწისქვილეს]... გირინიში თაჲ ვა დ ო გ ა ი ნ ე ს-ნა-ჲა, დოღურუთ-ჲა! I 117_{23} ჩოჩორი თუ ვერ დაბადეთო, მოკვდებითო! „...სი ვა დ ო გ ა რ ი ნ უ-ი?“ „ვარ, ...მა ვა დომაინუ!..“ I 117_{25} „შენ ვერ დაბადე?“ „ვერა... მე ვერ დავბადე!“...

ეს ფუძე **ო-რ-ე-** ფუძის კაუზატივს უნდა წარმოადგენდეს. ეგევე **რინ-** მეგრულში მოცემულია „ყოფნა“-ს მნიშვნელობით: **რ ი ნ ა**, **რ ი ნ ი** – ყოფნა; სხვადასხვა პრევერბებით: **გ ე-რ ი ნ ა**—დგომა, **ჳ ო-რ ი ნ ა**—მხარის დაჭერა, **გ ი მ ა-რ ი ნ ა**—მაღალ რამეზე ყოფნა... და სხვა.

94. ჰან. **რგ-** რ,გვა, сажать ч.-л.
მეგრ. **რგ-** „ „
ქართ. **რგ-** „

მამუდიქ კარტოფი ქ ო დ ო რ გ უ I 44_{30} მამუდმა კარტოფილი დარგო... მობიღი დ ო დ ო ბ ო რ გ ი II 81_{13} მოვიტანე და დავრგე... არ თანე-თი-ქ დ ო რ გ ა მ ს II 104_{19} ერთიც დარგავს... ფიდე ქ ო დ ო ვ ო რ გ ი თ II 104_{20} ნერგი დავრგეთ... მუთხანი ო რ გ ა ფ ტ უ I 61_{3} რაღაცას რგავდა...

მეგრ.: უშქური ქ გ დ ა რ გ უ – ვაშლი დარგო... თუთუნს ო რ გ უ ა ნ ს—თამბაქოს რგავს... ო რ გ ა შ ე—ნერგი („სარგავისი“)...

ძირეული **-რგ-** მეორდება ქართულში, ჰანურში, მეგრულში: იგი საერთოა. მნიშვნელობაც ერთი და იგივე აქვს შესადარებელ ერთეულებში.

95. ჰან. **რდ-** ზრდა, расти, растить, воспитывать
მეგრ. **რდ-** „ „ „ „
ქართ. **რდ-** || **ზ ა რ დ-** „ „ „

ჰეა დაღის ი რ დ უ... II 34_{28} ის ტყეში გაიზარდა... ბულეკი დ ი რ დ უ I 42_{20} ბოლოკი გაიზარდა... ბოზუმოთა დ ი რ დ უ II 124_{16} ქალი(შვილი) გაიზარდა... „დ ვ ო რ დ ი!“ „ბ ო რ დ ა რ ე!“ II 122_{2}

„გაზარდე!“ „გავზრდი“... ბერე დ ი რ დ უ II 122_3 ბავშვი გაიზარდა... ვზოლა ი რ დ უ I 96_3 ზღვა აღელდა („გაიზარდა“)...

მეგრ.: ბაღანაქ მ ი რ დ უ —ბავშვი გაიზარდა... ძიძექ ბაღანა მ ო რ დ უ —ძიძამ ბავშვი გაზარდა... სიმინდი მალას ი რ დ უ(ნ)— სიმინდი მალე იზრდება... ვა რ დ ე ლ ე დ ა! –ნუმც გაზრდილხარ! (წყეველაა!)... მ ო რ დ უ —გამზრდელი...

სალიტერატურო ქართულში ამ ზმნის ძირად **-ზრდ-** გვევლინება, მაგრამ ქართულსა და კახურში **-რდ-** გვხვდება იქ, სადაც **ზ-** უშუალოდ უძღვის **რდ**-ს (გ ა რ დ ი ს, გ ა რ დ ი ლ ი...), მაგრამ, თუ ხმოვანია შუაში, **ზ-** რჩება (გ ა ზ ა რ დ ა... „დედამ რომ შვილი გაზარდოს“)...

უფრო საფიქრებელია, რომ ზ ა რ დ- ფუძეში ზ ა- არ არის ძირეული, ვინემ ის, რომ ჰანურსა და მეგრულში **ზ-** (თუ მისი ეკვივალენტი **ჟ-**) დაკარგული იყოს.

96. ჰან. **რთ-** გაყოფა, разделить, отделить
მეგრ. **რთ-** „ „ „
ქართ. ვ-**ლთ-** || **რთ-** „

ადა ღალიქ კახეთი ო კ ო რ თ უ ფ ს ორთა ჯერის I 29_{12} ეს მდინარე კახეთს ყოფს ორ ნაწილად... ადა სირთეფექ ო კ ო რ თ უ ფ ა ნ კახეთი დაღისტანიშენ I 29_{16} ეს გორაკები ყოფენ კახეთს დაღესტნისაგან... ფარა ქომომჩი, გვერდი ქ ა კ ო გ ი რ თ უ ფ! I 99_{28} ფული მომეცი, ნახევარს გაგიყოფ!..

მეგრ.: შქას გ ო რ თ **უ** —შუაზე გაყო... შქას გ ი ი რ თ უ—შუაზე გაიყო (ვნებ.)... შქას რ თ უ ნ ს—შუაზე ყოფს... შქას ი რ თ **უ** (ნ)—შუაზე იყოფა... ო რ თ უ შარა —გზათ-გასაყარი, გზა-ჯვარედინი...

ქართული „გაყოფა“ „გა“- პრეევერბიანი „ყოფა“-ა და, მაშასადამე, სულ სხვა ძირია, ვინემ **-რთ-** ჰანურისა და მეგრულისა.

ამ **-რთ**-ს შესატყვისი ძირი მოეპოვება ძვ. ქართულს; ესაა **-ვ-ლთ-**: გ ა ნ ვ ლ თ ო ბ ა; ს ა ბ ა ს განმარტებული აქვს: **განევლთა**—განყოფა... (უნდა იყოს: „განეყო“).

იგივე ძირია, ალბათ, გამო-**რთ**-ვაში („შერთვის“ საწინააღმდეგო მნიშვნელობისა რომ არის).

97. ჰან. **რჩ-** დაგება, დაფენა, постлать
მეგრ. **რჩ-** „ „ „
ქართ. **რეც-** „დარეცა—დაფენა“ (საბა), „

კაი ონჯერე ქონურჩუ I 58_{35} კარგი საწოლი დაუგო... ლიმხონა-თი ქომეორჩაფთ I 136_{2} გვიმრას დავაგებთ... ადა თუდე ნორჩაფან I 151_{9} ამას ქვეშ აგებენ... გინკანა, გონჯირარე! ქჩე მბელა გეგირჩარე II 58_{2} დაგარწევ, დაგაძინებ! თეთრ ნაჭერს დაგიგებ!..

მეგრ.: ნორჩალი ქგდარჩუ—დააგო („გაშალა“) სარეცელი... ნორჩალს ორჩანს—სარეცელს აგებს... ნორჩალი—სარეცელი, ქვეშაგები...

შესატყვისი ქართული ძირია **რეც-**; საბას განმარტებით „**დარეცა**—დაფენაა“. აქედანაა „სარეცელი“, რომელიც დღემდის იხმარება სალიტერატურო ქართულში. დარეცა ძვ. ქართულში ჩვეულებრივი სიტყვაა.

აღნიშვნის ღირსია, რომ ქართულში **რეც-** ძირს შეჰრჩა ხმოვანი (**-ე-**), ჰანურსა და მეგრულში მისი შესატყვისი დაიკარგა! მოსალოდნელი კი იყო პირუკუ.

98. ჰან. **რჩხ- → ჩხ-** რეცხვა, мыть
მეგრ. **რჩხ-** „ „
ქართ. **რცხ-** „

კიზი... ხამი... ჩხიფს I 124_{13} კოვზს... დანას რეცხავს... ხორცი... დოფჩხამთ II 114_{4} ხორცს გავრეცხავთ...

მეგრ.: კიზის, ხამის რჩხუნს—კოვზს, დანას რეცხავს... ხორცი გორჩხუ—ხორცი გარეცხა... ნარჩხი—ნარეცხი... ურჩხუ—გაურეცხავი... ორჩხალი—გასარეცხი...

ახალ ქართულში ჩვეულებრივია რეცხა; მაგრამ ძვ. ქართულმა იცის **-რცხა-**ც; საბა აღნიშნავს: „**რცხა**—გარცხა“... **სარცხელი**—გასარეცხელი... **ნარცხი**—ნარეცხი...

სარეცხელ-ის ზუსტი ზანური შესატყვისია ორჩხალ-ი, ნარცხ-ის კიდევ—ნარჩხ-ი...

მეგრულთან და ქართულთან შეპირისპირებით ირკვევა, რომ ჰანურს დაკარგული აქვს თავკიდური **რ-**: **ჩხ- ← რჩხ-**.

99. ჰან. **სვ-**: დომი-**ს**-უ წასმა, мазать, проводить (рукою, напр., по лицу)

მეგრ. **სვ-**: ქომი-**ს**-უ „ „ „

ქართ. **სვ-**: წამი-**სვ**-ა „ „

ექიმიქ კუჩხე მემიკირუ, ჭამი-თი დომისუ I 93_{7} ექიმმა ფეხი შემიკრა, წამალიც წამისვა... ია ჭამი ბაბა-ჩქიმიქ ბითუმ მისუმერტუ I 93_{8} იმ წამალს მამა-ჩემი სულ მისვამდა... „პიპეი ნუსვი-ა, ამუს“-და... პიპეი ნუსუ-ში I 11_{16} „პიმპილი წაუსვიო, ამასაო“... პიმპილი რომ წაუსვა... მან-თი ქომეისვა-და... I 11_{18} მეც წავისვაო... ადა ჟურ თომა ართიკართის ნუსვი II 33_{29} ეს ორი ბეწვი („თმა“) ერთმანეთს წაუსევი... ჩხვინდი მუში ენთეფეში ჩხვინდის ნუსუ I 60_{7} თავისი ცხვირი მათს ცხვირს წაუსვა [ჭინჭველამ]... ხე გელუს-უ-შ-კულე, ჰე-თი ალთუნ დივუ II 47_{22} ხელი რომ მოუსვა, ესეც ოქროდ იქცა...

მეგრ.: წამალი ქუსუ--წამალი წაუსვა... მა დუს ხე გინუსვი— მე თავზე ხელი გადავუსვი... გუუსუ დო მიდართუ! ტყვიაცალო — გაუსვა და წავიდა ტყვიასავით...

ძირეული **-ვ-** იკარგება მომდევნო **უ**-ს წინ; სხვა ხმოვნების წინ შენახულია ჭანურშიც და მეგრულშიც.

სვ- ძირი საერთოა; მისი მნიშვნელობა ჭანურში, მეგრულში, ქართულში ერთმანეთს ხვდება.

100. ჭან. **სვარ-**: აწმ. **სვარ-უმ-ს** რიგზე დაწყობა, ставить в ряд

მეგრ. **სვარ-**: გილე-**სვარ-უნ-ა(ნ)** დალაგებულად, მწყობრად მოძრაობა, двигаться, ходить по порядку

ქართ. —

ეჩ კოჩი ქოგოლონსვაუ... ფაშაქ ასკეეფე I 116_{27} ოცი კაცი დააწყო... ფაშამ ჯარისკაცები („ასკერები“)...

ეს მაგალითი ხოფურს ეკუთვნის; ათინურსა და ვიწურზე მითითებით ნ. მარი ასე განმარტავს ამ სიტყვას: „ფსვარუმ—ставлю в ряд“, აორ. დოფსვარი; ლიტერატურაში ბათომზე მითითებით

მოჰყავთ „დობსვარი“... მერე მოსდევს: გამისვარი—дай мне понять... ი. ყიფშიძეს ნ. მარის ამ განმარტებათა გასწვრივ მიწერილი აქვს: დოსვარერი ქვა—დაწყობილი [ქვა]...

მეგრულში ეს სიტყვა იშვიათია (ი. ყიფშიძის ლექსიკონშიც ის არ არის); გვხვდება გამოთქმაში: გიმონწყილი კათა გილესვარუნა(ნ)— გამოწყობილი კაცები მიმოდიან მწყობრად...

ქართულში სათანადო ძირი არა ჩანს.

101. ჰან. **სთვ-** გაწყდომა, (გა)სხლტომა, рваться, выскальзывать, скользнуть

მეგრ. —
ქართ. [**სთვ-**]

ღვედი ვა უღუტან-ში, კინაფითენ ხოლო ჰაფან, ამმა ორდო დოსთუნ I 165_{27} როცა ღვედი არა აქვთ, „კანაფითაც“ კერავენ, მაგრამ მალე დაგლჯება... სანიჲექ ბაბაწა თიშენ ქოდიქაჩუ, კაკიჯექ-თი—კუჩხეშენ: ემუქ მუშიკელე მუიზდუ, ამუქ-თი—მუშიკელე-ში, ბაბაწა ქაკოსთუ I 104_{8} სანიემ დედოფალას თავში მოკიდა ხელი, კაკიჯემ—ფეხებში: იმან როცა თავისკენ გასწია, ამან—თავისკენ, დედოფალა გაგლჯა... ეშო დიდო იქიფან დო ნეჰაჲეთი ბინჯის კაბული ქაგოსთუნ I 138_{13} ასე დიდხანს აკეთებენ და ბოლოს ბრინჯს ქერქი („ტყავი“) გასძვრება... კუჩხე გაუსტუ, გაუსტუ დო გაანთხუ I 93_{2} ფეხი დაუსხლტა, დაუსხლტა და დაეცა... მუიზდუ თელი, ხოლო ვა მუსთუ... ოკულე მუსთუ თელი, ნა-მადვეეტუ ჲეის I $8_{16,17}$ მოსწია მავთული, კიდევ არ მოგლჯა (არ მოსძვრა)... მერე მოსძვრა მავთული იმ ადგილს, რომელსაც მოსდებოდა... გაონური კოჩის-ჲა ქაოჭი მასთვას-ჲა I 107_{1} გონიელ კაცსო ძირი ამოუვარდესო („ფესვი მოწყდესო“)... სთველი ჰემუშენი უწუმელან—მთელი დიჩოდუ: მცხული გოისთველუ, ფავრი გოისთველუ... მუთხანი-ნა დიბღენ, მთელიშენ ითქვენ — გოისთველუ II 77_{9} სთველს იმიტომ ეტყვიან—ყველაფერი გათავდა: მსხალი გაიკრიბა, ფოთოლი დაცვივდა... რაც რომ შეიძლება დაცვივდეს, ყველაფერზე ითქმის „გაისთველა“ („გოისთველუ“)... თოკი მესთუ: მებიზდი, მესთუ... ცალის ზენჯირი გეისთვინუ, ზინჯირი ცალის გაუსთუ. მებიტი-ში, კუჩხე გემისთუ, ჰემუს კუჩხე გაუსთუ...

II 77_{13-15} თოკი გაწყდა, გავწიე—გაწყდა... ყელიდან ჯაჭვი „აიძვრინა“... ყელიდან ჯაჭვი „აუძვრა“... რომ მივდიოდი, ფეხი დამისხლტა... იმას ფეხი დაუსხლტა...

სთვ- ძირი, ამგვარად, ნიშნავს: „გაწყდა“, „გასძვრა“, „დაუსხლტა“, და მასთან არის დაკავშირებული „სთველი“ — დრო, როცა ყველაფერი (ხის ნაყოფი, ფოთოლი) „მესთუნ“—მოწყდება და ცვივა.

ამ ძირს ბოლოკიდური **-ვ-** ეკარგება **უ**-ს წინ: მ ე ს თ უ, გ ჯ უ ს თ უ, ქ ა კ ო ს თ უ, ქ ა გ ო ს თ უ ნ... მაგრამ სხვა ხმოვნების წინ **-ვ-** შენახულია: ქ ჯ ო ქ ი მ ა ს თ ვ ა ს... ზ ე ნ ჯ ი რ ი გ ე ი ს თ ვ ი ნ უ...

ეს **-სთვ-** ძირი ქართულში „**სთვ-ელ**“-ს აქვს. ამ სიტყვის ეტიმოლოგია „მოწყდომას“ და (შემდეგ) „მოწყვეტას“ გულისხმობს.

„რთველი“ „სთვეულის“ შემდგომი ვარიანტია.

მეგრულში ეს **სთვ-** ძირი არა ჩანს.

ნ. მარს მოჰყავს: **სტვ-**: ო ს ტ ვ ი ნ უ—скользить... გ ო - მ ი ს - ტ უ ნ—выскальзывает у меня из рук... მ ე - მ ი ს ტ უ ნ—у меня скользит... ნ ე ნ ა მ ე - მ ი ს ტ უ—у меня сорвалось слово (იხ. ჭან. გრ., გვ. 186); მიუთითებს ათინასა და ვიწეზე; **სთვ-** ვარიანტადაც კი არაა მოხსენებული.

102. ჭან. **სთოლ-** || **სტოლ-** სროლა, стрелять
მეგრ. —
ქართ. **სროლ-** „ „

ახმედიქ ტოფეღი დ ი ს თ ო ლ უ I 96_{22} ახმედმა თოფი გაისროლა; ლაღუმი ი ს თ ო ლ ე ს I 91_{31} ლაღუმი ისროლეს... ტოფეღი ი ს ტ ო მ ე ლ ა ნ I 133_{21} თოფს ისვრიან... მგეის ტოფეღი ა ს თ ო ლ უ I 69_{24} მგელს თოფი ესროლა... ართიკართის ტუფეღეფე ოტკოჩეს („ასთოლეს“—ხოფური ნენა ენ!) II 22_5 ერთმანეთს თოფები „სტყორცნეს“ („ასთოლეს“—ხოფური სიტყვაა!)...

როგორც უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს, სროლის მნიშვნელობით ს თ ო ლ - ფუძის ხმარება ხოფურს კილოკავსღა ახასიათებს.

ამ ფუძეში ქართ. **სროლ-** ფუძე უნდა გვქონდეს.

არაა ცხადი **თ-** || **ტ**-თი შენაცვლება **რ**-სი!

საინტერესოა, რომ მეგრულმა ისევე არ იცის ეს **სთოლ-** ფუძე, როგორც ჭანურის კილოკავებმა—ვიწურ-არქაბულმა, ათინურმა.

103. ჰან. **სიმ-** სმენა, გაგონება, слышать
მეგრ. **სიმ-** „ „ „
ქართ. **სმ-** || **სემ-** ძვ. ქართ. „ „

მიქ ისიმინს-და I 28_6 ვინ (მო)ისმენსო... არქადაშეფექ ვა მემისიმინეს I 94_4 ამხანაგებმა არ გამიგონეს... მო იმხორ, ბუწვი,—ვა მემისიმინუ I 20_{30} ნუ ჰამ, ვუთხარი, არ გამიგონა... ოხორჯაქ ჰიქ ვა ნუსიმინუ I 111_{29} ქალმა სრულებით არ გაუგონა... მუელიმი თქვანის ნუსიმინით I 26_8 თქვენს მასწავლებელს გაუგონეთ...

მეგრ.: რაგადი მასიმე(ნ)—ლაპარაკი მესმის... გუსიმუხმა დაუგდო... ქიდნასიმინუ—დაასმინა...

მეგრულში ეს ზმნა შედარებით უფრო იშვიათია; „გაგონება“ იხმარება იმ შემთხვევათა უმეტესობაში, რომლებიც ზევით ჰანური მეტყველებიდან არის მოყვანილი. მაინც **სიმ-** ძირის გამოყენება ფაქტია თანამედროვე მეგრულში.

ქართულში ამ ძირს ამჟამად უხმოვნოდ ვიცნობთ **სმ-** (ისმის, ესმის, ვერ შეასმინა, მოუსმინა, ისმენს...); ძვ. ქართულში **სემ-** ძირი გვხვდება გარკვეულ შემთხვევებში: შეგესემინ ჩემი!—შეგესმას ჩემი!..

სემ- || **სიმ-** ძირი საერთოა ქართულისა და ზანურისათვის (ჰანურისა და მეგრულისათვის). **ე**-ს **ი**-დ დავიწროება ზანურ ნიადაგზეა მომხდარი.

104. ჰან. **სტვ-** || **სთვ-**: დუ-**სტვ**-ინ-უ სტვენა, свистнуть
მეგრ. **რ-შვ-**: დუ-**რშვ**-ინ-უ „ „
ქართ. **სტვ-**: და-უ-**სტვ**-ინ-ა „

გამახთუ დო მუქ-თი დუსტვინუ I 79_{24} გამოვიდა და თვითონაც დაუსტვინა... მამუდიქ ჯოლოეფე მუშის დუსთვინუ I 44_6 მამუდმა თავის ძაღლებს დაუსტვინა... ჯუმა მუშიქ ჰაშო—ჰჰჰვი! უსტვინუ II 50_9 მისმა ძმამ ასე—ჰჰჰვი! დაუსტვინა...

მეგრ.: მუქითი დურშვინუ—მანაც დაუსტვინა... რშვინუნს—სტვენს... მერშვინუნს—სტვენით მიდის...

ქართულში „სტვენის“ გარდა „შტვენა“ (და „ფშტვენა“-ც) არის დიალექტებში (მაგ. გურულში) მოცემული.

მეგრ. **რშვ-** უნდა იყოს **სტვ-** → **სვ-**ს შესატყვისი (**ტ-**ს დაკარგვა **ს-**ს შემდეგ დასავლურ ქართულ კილოებში და მეგრულში ბუნებრივია: სტუდენტი → სუდენტი...), **რ-** კი დართული ჩანს (ფონეტიკური დანაზარდია).

სტვ- კი საერთოა ქართულისა და ჭანურისათვის.

მნიშვნელობის მიხედვით **სტვ-** ‖ **რშვ-** ძირი ქართულსა და ზანურში სხვაობას არ იძლევა.

105. ჭან. **სქვ-**: **სქვ**-ან- შვენება, украшать
მეგრ. **სქვ-**: **სქვ**-ამ- „ „
ქართ. **შვ-**: **შვ**-ენ- „

სარი ფორჩას კაი მ ე გ ო მ ს ქ უ ქემერი II 85_{29} ყვითელ ხალათზე („პერანგზე“) კარგად გშვენის ქამარი... დ ო მ ო მ ს ქ ვ ა ნ უ, პუდრი-თი დომისუ II 55_{20} გამალამაზა („დამამშვენა“), პუდრიც წამისვა...

მეგრ.: ნა ათე ქუდი მ ო ს ქ უ(ნ) —მე ეს ქუდი მშვენის... ენა სი ვა გ ო ს ქ უ(ნ)—ეს შენ არ გშვენის... გადატანით: ეს შენ არ გეკადრება... ირიფელი დ ა ს ქ ვ ა მ უ—ყველაფერი დაამშვენა...

სქვ- ძირი კარგავს **-ვ-**ს **უ-**ს წინ...

მეკრულში გარდამავალი ზმნა იყენებს **სქვამ-** ფუძეს, ე. ი. ნასახელარი ზმნაა,— ნაწარმოები **სქვამ-** („ლამაზი“) ფუძისაგან. გარდაუვალ ზმნაში წარმოდგენილია ფუძე **სქვ-** : მო-**სქ**-უ-(ნ)←მო-**სქვ**-უ-(ნ)... მო-**სქ**-უ-ტ-უ... (მშვენოდა)...

ჭანურში პირველ შემთხვევაში **სქვამ-** ფუძის ადგილს იჭერს **ს ქ ვ ა ნ-**, კანონზომიერი შესატყვისი ქართ. **შვენ-**ისა (ამ ქართულ და ზანურ ძირთა შედარება იხ. **მ-სქვ-ა-**სთან).

106. ჭან. **სქვ-**: ქოდო-**სქ**-უ კვერცხის დადება, нести яйца
მეგრ. **სქვ-**: ქო-**სქ**-უ „ „
ქართ. **შვ-** ‖ **შევ-**: **შვ**-ა рождать,-ся (про человека)

ქორმე მაქვალი ქ ო დ ო ს ქ უ II 115_{2} ქათამმა კვერცხი დადო... ქორმე მაქვალი დ ო ს ქ უ ჲ II 115_{2} ქათამი კვერცხს დებს... ქოთუმექ ჟურენეჩ მარქვალი ქ ო დ ო ს ქ უ ფ ს... I 164_{7} ქათამი ორმოც კვერცხს

დადებს... თითო მარქვალი ქოდოსქვითი I 2_{12} თითო კვერცხი დადეთ... ჩქუნ თითო მაქვალი ქოდოფსქვით II 14_{30} ჩვენ თითო კვერცხი დავდევით...

მეგრ.: ქოთომქ კვერცხი ქოსქუ — ქათამმა კვერცხი დადო... ქოთომი კვერცხის სქუნს — ქათამი კვერცხსა დებს... მასქუალი ქოთომი — ქათამი, რომელიც კვერცხსა დებს...

სქვ-ს ძირეული **-ვ** ეკარგება **უ**-ს წინ.
ამავე ძირისაა სქირ-ი (იხ.), სქუა[1] (იხ.) — შვილი.

სქვ- ძირი კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **შევ**- ძირისა (მან შვა, შენ ჰშევ, მე ვშევ...).
მნიშვნელობის მხრივ სხვაობაა ამ ძირებს შორის: ზანურში იგი (**სქვ**-) აღნიშნავს „კვერცხის დადებას“, ქართულში — „შობას“ (ვშევ „ადამიანის დაბადებაზე“ ითქმის).

107. ჭან. **სქუდ**- || **სქიდ**- (|| **სკუ/იდ**-) დარჩენა, რჩენა, ცხოვრება, оставаться (оставить), жить, кормить
მეგრ. **სქიდ**- დარჩენა (მორჩენა), оставаться, оставить, вылечить, вылечиться
ქართ. **შთ**- оставаться
სვან. ოთ-**სედ**-ნი „ „

ქომოჯი დოღურუ, შილა დოსქუდუ II 102_{14} ქმარი მოკვდა, ქვრივი დარჩა... სუმ-ოთხო ალთუნი ქოდოსქუდუ II 96_{32} სამოთხი ოქრო დარჩა... ოხორჯა ხვალა ქოდოსქიდუ კარავის II 17_{16} ქალი მარტო დარჩა გემზე... მთუთი აწი-თი უმუთელი ქოდოსქიდუ I 43_{2} დათვი ახლაც უარაფროდ („ურამეოდ“) დარჩა... გელაგიხთი, გელაგიხთი, მუთუ ვარ დოსქიდუ I $18_{7,8}$ დაგიკელი, დაგიკელი, არაფერი დარჩა... ჰუს კონქშეფე გალე ქოდოსქუდეს II 89_{24} ახლა მეზობლები გარეთ დარჩენ... „ბაბა სქანიშე მუ დოგოსქუდუ?“ „ყარ საღანი დომოსქუდუ!“ II 130_{15} „მამა-შენისაგან რა დაგრჩა?“ „ერთი თეფში დამრჩა!“... არ ქუნცხი ვა დუს-

[1] სქუა-ს უკავშირებს სქუალა-ს ი. ყიფშიძე (მეჯრ. გრ., ლექსიკ., გვ. 321).

ქიდუ უგორუ I 69_5 ერთი ჩირგვი არ დაურჩა დაუძებნელი... ომკომუ, მოსკუდუ, ხოლო ეზდუ, II 95_{27} შეჭამა, [რაც] დარჩა, კიდევ აიღო... მოსკუდუ მუში-თი კალიდორეფეს ქოგ/ჯევობი II 105_{21} მისი ნარჩენიც („დარჩა მისიც“) დერეფნებში გავკიდე... ბაშლული... ქოდომოსკუდუ, გომოჭონდრუ II 112_7 ბაშლაყი... დამრჩა, დამავიწყდა... ჯამუში დომოსქიდუ II 57_3 კამეჩი დამრჩა... მა-ნა მომოსკუდუ ჯდარი, ჰაჲ ებზდი... II 95_{22} მე რაც მომრჩა საჭმელი, აქ ავიღე... ჰუტა დოსქიდუ, ომჭკომეს ჯოღოფექ II 56_{25} ცოტა დააკლდა („დარჩა“), [კინაღამ] შემჭამეს ძაღლებმა... ემ ვახტი'ჭკულე ბერე დო ბაბა-მუში... რახატ-რახატი სქიდეს I 36_{12} შვილმა და მამა მისმა იმის შემდეგ მოსვენებით იცხოვრეს... ჰაქ ბიჩალიში დო ბერეფე ჰეშო ბოსქედინი II 24_{23} აქ ვიმუშავე და ბავშვები ასე დავარჩინე (ვაცხოვრე)...

მეგრ.: ქომონჯქ დოღურუ, ქვრიქ ქოდოსქიდუ—ქმარი მოკვდა, ქვრივი დარჩა... ბაშლაყიქ თექ ქგდაასქიდუ — ბაშლაყი იქ დარჩა (მას)... ლეხიქ დოსქიდუ—ავადმყოფი მორჩა („დარჩა“)... სქუა დიდას ოსქილიდუანს—შვილი დედას არჩენს... დოხთური ლეხის ოსქილიდუანს — ექიმი ავადმყოფს არჩენს (კურნავს)... დოხთურქ დაასქილიდუ ლეხი—ექიმმა ავადმყოფი მოარჩინა... ათე კოჩი მუთუნს ვა მაასქიდუ(ნ)—ეს კაცი ვერაფერს გაიმეტებს (შეელევა)... სქუა მუმას ეკასქიდუ(ნ)—შვილი მამას დაურჩება (მის შემდეგ, „უკან“ დარჩება)...

ძვ. ქართ.: დაშთა—დარჩა... ნაშთი — ნარჩენი... ავადმყოფი მორჩა (ავადმყოფს ექიმი არჩენს)... შდრ. სადილი მორჩა—სადილი გათავდა—აღმ. საქართველოში!.. პირველს შემთხვევაში „მორჩა“ ნიშნავს „კიდევ არის, დარჩა“, მეორე გამოთქმაში („სადილი მორჩა“) რისამე დარჩენის საკითხი უარყოფითად წყდება...

ძირითადი მნიშვნელობა ზანურშიაც და ქართულშიაც ერთია: **რჩენა** (|| **რჩომა**): დარჩენა, მორჩენა...

აგებულების მიხედვით ყურადღებას იქცევს შემდეგი:

ჭანურში ხან -ჭ- გვაქვს, ხან კ- (სჭუდ- || სკუდ-); პირველადია ჭ, მას ენაცვლება კ. შემდეგ: ხან -უ- ხმოვანია (ათინურში, ვიწურში, არქაბულში), ხან -ი- ხმოვანი (ხოფურში და არა იშვიათად, არქაბულშიც!); ამათგან ამოსავალია -უ- (სჭუდ-), მისგანაა მიღებული -ი- სჭიდ-)...

-ი- აქვს მეგრულსაც (ვარიანტით **გ**: **სქიდ-** || **სქგდ-**). ამგვარად, **სქუდ-** არის ამჟამად ძირითადი სახე ამ ძირისა ჰანურისა და მეგრულისათვის.

ამის შესაბამისი ქართულში უნდა ყოფილიყო **-უ-** ანდა **-ა**, რაკი სხვა ბევრი მაგალითია იმისა, რომ ჰანური **უ** ← **ო**.

რომ ქართულში სწორედ **ა-** უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს სვან. **-ე-**: **სედ-**. ესე იგი, ზანურში გვქონდა **სქოდ-**, ქართულში **შად-** ←**სად-**; ხმოვნის დაკარგვის შემდეგ **-დ** იქცა **-თ-**დ (**შად** → **შდ** → **შთ**) **შ**-სთან ასიმილაციის შედეგად.

რას მოასწავებს სვან. **სედ**-ის თავკიდური **ს**-? ალბათ, იმას, რომ ამ ძირს ქართველურ ენებში (ქართულში, ზანურში და სვანურის ქართველურ ფენში) **ს-** ჰქონდა: ქართ. **შად-** ← **სად-**...

ეს **ს-** შეინარჩუნეს ჰანურმა და მეგრულმა, განავითარეს რა ამ **ს**-ს შემდეგ **-ქ**; ქართულში **ს-** იცვალა **შ**-დ, ხოლო სვანურში შეკვეთნახა **ს-**:

ქართ. **სად-** → **შად-** → **შთ-**
ზან. **სად-** → **სქოდ-** → **სქუდ-**
სვან. **სედ-** . . . . **სედ-**.

ეს უკანასკნელი სამი: **შთ-**, **სქუდ-**, **სედ-** რეალურია ამჟამადაც. ამ საკითხის შესახებ იხ. შ ე ს ა ვ ა ლ ი, გვ. 7—9.

შთ- ← **შდ**-ს შესახებ იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირვ. II, გვ. 14 (303).

108. ჰან. **სქურ-** || **სქირ-**: მე-**სქურ**-უ — შრობა, ქრობა, сохнуть, гаснуть

მეგრ. **სქირ-**: დო-**სქურ**-უ — შრობა, сохнуть

ქართ. **შრ-**: და-**შრ**-ა — „

ლამბა მ ე ს ქ უ რ უ ნ II 4_1 ლამპა ქრება...„დერე მ ე ს ქ უ რ უ! ქომეჯოთა!“ II 133_{32} „ხევი დაშრა! გადავალ!“... მჟუა დო კალაში ქაგამათხეს დო ღალი მთელი დ ო ს ქ ი რ ი ნ ე ს I 76_3 მზე და ქარი გამოვიდენ და მდინარე სულ დააშრეს... „...კალაშიქ დო მჟუაქ სინ დ ო გ ო ს ქ ი რ ი ნ ა ფ ს“-და I 75_{30} „ქარი და მზე შენ დაგაშრობსო“... გჯოლი დო ხცაფერი ტიბაფე დ ო ვ ო ს ქ ი რ ი ნ ა თ! I 112_{10} გუბეები და დამპალი ტბები დავაშროთ!... კოჩეფე ქუკუიბღეს დო დაჩხირი ქ ა ნ ო ს ქ ი რ ი ნ ე ს I 90_{12} კაცები შეგროვდენ და ცეცხლი

დააქრეს... ფუჯიქ მჟა ქანისქირაფს I 127_{24} ძროხას რძე გაუშრება („რძეს გაიშრობს")...

მეგრ.: შოლირი ტანისამოსის ოსქირუანს—სველ ტანისამოსს აშრობს... ჯვიმას ნანახავა ვა სქირუ(ნ) – წვიმაში სარეცხი არ შრება... გოლოფას წყურგილექ დოსქირუ —გვალვაში წყარო დაშრა... საათი გეჯსქირუ—საათი აართვა (მოულოდნელად)...

ჭანურში **სქურ-** → **სქირ-**; ეს ულკანასკნელი გვაქვს მეგრულშიც. ზანურის ჩვენებით, ქართულშიც უნდა ყოფილიყო ხმოვანი **შ-** და **რ**-ს შორის; მისი დადასტურება არ ხერხდება არც დიალექტებში, არც ძვ. ქართულში; მოსალოდნელი იყო **-ა-** (შეიძლებოდა ყოფილიყო **ე**-ც).

ქართ. **შ-** და ზანურ **სქ**-ს შესახებ იხ. შესავალი, გვ. 7—9.

მნიშვნელობის მხრივ **შრ-** || **სქურ-** || **სქირ-** ძირი ერთმანეთს ხვდება მთლიანად ქართულსა და მეგრულში. ჭანურიც ამათ მისდევს, მაკრამ აქ მნიშვნელობა ფართოვდება. თუ ქართულსა და მეგრულში ეს ძირი „შრობა"-ს აღნიშნავს (წყალს ეხება), ჭანურში „ქრობა" „შრეტა"-საც ნიშნავს (ცეცხლსაც ეხება).

109. ჭან. **მ-ტ-**: **ი-მ-ტ-უ** გაქცევა, бежать
მეგრ. **რ-ტ-** || **ნ-ტ-**: **ი-რ-ტ-უ** || **ი-ნ-ტ-უ** „ „
ქართ. **ვ-ლ-ტ-**: **ი-ვ-ლ-ტ-ო** „ „

ოხორჯა გამაცხონტუ დო იმტუ I 6_{32} ცოლი გამოხტა და გაიქცა... მკადფუფე იმტეს I 9_{31} ტურები გაიქცნენ... მონჭვა გდათხოზენ, ...ქური იმტენ I 165_{9} კრუხი გამოუდგება, ...ქორი გაიქცევა... დივი მღორინერი-მღორინერი იმტენ II 38_{28} მდევი ყვირილ-ყვირილით გარბის... ე-დო კადიქ ომტინუ დაჰუდი II 8_{12} ჰო-და ყადმა გააქცია ებრაელი... ექ-თი გეჩეს, ომტინეს II 41_{5} იქაც სცემეს, გააქციეს... ალის ოშტინუ უნტუ, ამმა ჰუალიში მონკათენ ვა ამტინუ I 83_{20} ალის გაქცევა უნდოდა, მაგრამ ტომრის სიმძიმის გამო ვერ გაიქცა... წკარი გებჩამ დო ვარ ამტინენ II 82_{22} წყალს დავასხამ და ვერ გაიქცევა...

მეგრ.: ტურაქ ირტუ—ტურა გაიქცა... ჯოღორქ ტურა ორტინუ (|| ონტინუ)— ძაღლმა ტურა გააქცია... ზისხირი ნიირტინუ—სისხლი მოიდინა... ჩხვინს ზისხირი მუურტინუ—ცხვირში სისხლი ადინა...

ჰანურსა და მეგრულში ძირეული **ტ-** უნდა იყოს; **მ**-ცა და **რ-** || **ნ**-ც ძირეული არ ჩანს.

ქართული შესატყვისი ზმნაა ძვ. ქართულის—„ივლტოდა“—„ევლტოდა“,—რომელთაგან პირველი აღნიშნავს „გარბოდა“-ს და მეორე „გაურბოდა“-ს (მეგრ. „ირტებუდუ“, „ერტებუდუ“); ახ. ქართულში იხმარება ამ ფუძისა „ლტოლვა“ და „ლტოლვილი“; უკანასკნელის მნიშვნელობა სწორად ესმით ხოლმე: „ლტოლვილი“—„გამოქცეული“ (беженец), „ლტოლვას“ კი ჩვეულებრივ „მისწრაფების“ მნიშვნელობით ხმარობენ, რაც, რა თქმა უნდა, შეცთომაა (იხ. ნ. ბარათაშვილის „სულიობოლი“: „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“—„მას გაურბიან ამ ქვეყნიური სიამენი“...)

„ლტოლვასა“ და „ოტებას“ ერთი და იგივე ძირი უნდა ჰქონდეს; ესაა **-ტ-**: აოტა—გააქცია, მეოტი—გაქცეული, ვინც გარბის.

ძვ. ქართ. სი-ვლტოლა-შ̌ი **ტ**-ს წინ უძღვის **ვლ-**, ოტება-ში **ტ**-ს წინ **ო-** გვაქვს. ამათი საკითხი გასარკვევია.

110. ჰან. **ტ-ალ-** ტოვება, оставить, покинуть
მეგრ. **ტ-ალ-** || **ტ-ევ-** „ „ „
ქართ. **ტ-ევ-** „ „

ხარმანი-ნა ტახან, სერ ექ ქოდიტალეფან I 28_{27} სიმინდს რომ მოტეხენ, ღამე იქ დატოვებენ... გიშერა დონჭვალეს დო ბოჩოლას ჭიტა მჟა ქოდუტალეს I 101_{29} გიშერა მოწველეს და ბოჩოლას ცოტა რძე დაუტოვეს... ჰენოეფე(!) ბულდუჯინის ათმაჯანა ნუტალემტეს, „მა-თი ქომებუტალა“-და დო ნუტალუ II 12_{17} ისინი მწყერზე რომ მიმინოს მიუშვებდენ („მიუტევებდენ“) „მეც მივუშვაო“ და მიუშვა („მიუტივა“)...

მეგრ.: ცუდეს ქოდიტუ—შინ დატოვა... ჭარუა ქიმიოტუ—წერა მიატოვა... ფარა გ̌ეტუ—ფული შეირჩინა („თავისთვის დატოვა“)... ფარა ქგდუტუ—ფული დაუტოვა... მინდორიშა გუტუ—მინდორში გაუშვა („გაუტევა“)... შური გუტუ—„სული განუტევა“ (ე. ი. გაუშვა)... ღურას გინატუ—სიკვდილს გადაარჩინა...

აქ ყველგან **ტ-ევ-** ფუძეა გამოყენებული: ცუდეს ქოდივტე (← ქოდივ-ტევე); ხმოვანთა შორის **ვ**-ს ამოვარდნის შემდეგ ვღებულობთ გრძელ **ე**-ს, რომელიც მეგრულის საერთო თვისებისდა კვალად ყოველთვის არ გამოირჩევა ჩვეულებრივი **ე**-საგან.

ტევ- ფუძის გარდა მეგრულში იხმარება **ტალ-**იც: „სი ქოული, მა დ ო მ ი ტ ა ლ ე ნ ქ ო? სქანი ოხვენს მა გ ე მ ი ტ ა ლ ე ნ ქ ო? ჭოფილი ვორექ, თოკილი ვორექ, ვა გომიტალენქო“ (ცნობილი ძველი მეგრული სიმღერიდან; იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ. გრამ., ქრესტ., გვ. 142) —„შენ მიდიხარ [და] მე მტოვებ? შენს საჯდომ ადგილას მე დამტოვებ? დაჭერილი ვარ, გათოკილი ვარ—არ გამიშვებ („არ გამიტევებ“)?“... შდრ. აქ ხმარებული: დ ო მ ი **ტალ** ე ნ ქ და ჩვეულებრივად ხმარებული დ ო მ ი ტ ე ნ ქ, გ ე მ ი **ტალ** ე ნ ქ და —გ ე მ ი ტ ე ნ ქ, გ ო მ ი **ტალ** ე ნ ქ და გ ო მ ი ტ ე ნ ქ!

ამგვარად, ჰანურში ფუძე ამ ზმნისა არის **ტალ-**, ქართულში—**ტევ-**, მეგრულში—ორივე: **ტალ-** და **ტევ-** (უპირატესად **ტევ-** თანამედროვე მეგრულში).

მეგრულში ამ ზმნის ფუძე დაირთავს სხვადასხვა პრევერბს და ამისდა კვალად ვიღებთ ამ ფუძის მრავალგვარს გამოყენებას; ამ მხრივ მეგრულს შეიძლება მხოლოდ ძველი ქართული შევუპირისპიროთ (მაგ.: გ უ ტ უ—გაუშვა, ძვ. ქართ. გ ა ნ უ ტ ე ვ ა...); რადგანაც რთული პრევერბებით მეგრული უფრო მდიდარია, ვინემ ქართული, ამიტომ ამ ფუძის გამოყენებაში მეგრული ქართულსაც წაადაჭარბებს.

ჰანურში ამ ფუძის გამოყენება შედარებით შეზღუდულია. ძირითადი მნიშვნელობა ქართულშიც, ჰანურშიც და მეგრულშიც ერთნაირია.

ტ-ევ- || **ტ-ალ-** ფუძეებში ძირეულია **ტ-**.

111. ჰან. **ტალახ-**: დი-**ტალახ**-უ ტალახში ამოსვრა, выпачкаться в грязи

მეგრ. —

ქართ. **ტალახ-**: და-**ტალახ**-იან-და „

ხენდეკის... ქოდილიჯინუ დ ო დ ი ტ ა ლ ა ხ უ I 65_{13} თხრილში... ჩაწვა და ტალახში ამოისვარა...

დ ი - ტ ა ლ ა ხ - უ ნაწარმოებია სახელისაგან **ტალახ**-ი (იხ.).

მეგრულში არც სახელი ტ ა ლ ა ხ - ი გვაქვს და არც მისგან ნაწარმოები ზმნა.

112. ჰან. **ტახ-** ტეხა, ломать
მეგრ. **ტახ-** „ „
ქართ. **ტეხ-** „

მამუდიქ ყონა დოტახუ I 44_{21}, 109_{32} მამუდმა სიმინდი მოტეხა („ყანა მოტეხა“)... გემი დოტახუ II 133_{5} გემი დაამტვრია („დატეხა“)... გვერდიქ კუზი მეტახუ II 65_{35} ნახევარმა კოზი გატეხა... ომკარინუ ქეტახეს I 130_{11} ტირილი ატეხეს... ტოფელი ასთოლუ დო მგეის კუჩხე ქანოტახუ I 69_{24} თოფი ესროლა და მგელს ფეხი მოტეხა... ჩქინ ხურმა პტახუფთ; ბაშქა ჯეეფეს ვა ტახუფან... შათხუფან I 158_{16} ჩვენ ხურმას ვტეხთ; სხვაგან ხურმას არ ტეხენ... „ფერთხაენ“...

მეგრ.: ჰირქა გოტახუ—ჰიქა გატეხა... სიმინდი დოტახუ—სიმინდი მოტეხა... გერს კუჩხი ქიმიოტახუ—მგელს ფეხი მოტეხა... ჩხუბი გეტახუ—ჩხუბი ატეხა (წამოიწყო)...

ქართ. **ტეხ-** ძირს ფონეტიკურად სავსებით შეესატყვისება ჰანური და მეგრული **ტახ-**. ძირითადი მნიშვნელობაც ერთია.

ტეხა-ს ვნებითი ასეთ შეფარდებას იძლევა:

112a. ჰან. **ტროხ-** || **ტრუხ-** || **ტუხ-** ტყდომა, ломаться
მეგრ. **ტრიხ-** || **ტირხ-** „ „
ქართ. **ტყ-დ-** ← **ტხ-დ-** „

ჩანალი დოტუხუ I 86_{1} ჯამი გატყდა... კარავი-თი დოტუხუ I 119_{6} გემიც დაიმტვრა... ომგარინუ ქეტრუხუ I 129_{29} ტირილი ატყდა... ჰიტა წკაითე დოშოლაფან—ვა ტრუხას-და დო... I 156_{13} ცოტა წყლით დაასველებენ—არ დაიმტვრესო და... დიდო ჩიჩქუ ტუ დო კუზი მეტრუხუ II 66_{1} ძალიან რბილი („ჩვილი“) იყო და კოზი გატყდა... კარვანი ინგრინუ, გოტროხუ II 48_{33} სკა დაგორდა, გატყდა...

ჰანურში ვნებითის ერთ-ერთი მაწარმოებელი არის **-უ-** სუფიქსი (ტუბ-**უ**-ნ—თბება); ეს **-უ** არის გამოყენებული აქ; ოღონდ განსხვავება იმაშია, რომ ტუბ-უ-ნ „პირველადია“, გარდამავალი „ოტუბინ-ამ-ს“ ნაწარმოები; აქ კი პირუკუ გამოდის: ამოსავალია გარდამავალი **ტახ-**, ვნებითი **ტრუხ-** || **ტუხ-** კი ნაწარმოებია.

გაუგებარია ოღონდ, რა როლს ასრულებს **-რ-**, რა წარმომავლობისაა ის; უ-**რ**-აეო ფორმაა („დოტუხუ") აძოსავალი თუ **რ**-ეიანი...

რაც შეეხება ხმოვნების მონაცვლეობას ისევე, როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში **ო → უ → ი**.

ქართულ ტ ყ დ ა-ში ვნებითობას **-დ-** აწარმოებს, უფრო ზუსტად **-ედ-**: **ტეხ-ედ**-ა → **ტხ**-დ-ა .. **ტხ-** კომპლექსი, როგორც უჩვეულო ქართულისათვის, იცვლება ბუნებრივი **ტყ-** კომპლექსით (ტ ყ დ ა-ს ახსნა იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს თ ა ნ: „ქართული გრამატიკა I. მორფოლოგია", გვ. 11).

113. ჭან. **ტკ-**: აწმ. გო-**ტკ**-უ-ნ შემორტყმა, опоясывать
მეგრ. **ტყ-**: გო-რ-**ტყ**-უ-(ნ) „ „
ქართ. **ტყ-**: ა-რ-**ტყ**-ი-ა „

შქას-ნა გ ო ტ კ უ ნ — თორი ენ I 151_3 წელზე რომ არტყია,— „თორია"...

ძირი **ტყ-** მოცემულია ქართულსა და მეგრულში, ჭანურში სათანადო ფონეტიკური წესების (იხ. ჭან. გრ. ანალ., § 6 გ., გვ. 17) თანახმად **ტყ → ტკ**...

მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

114. ჭან. **ტკვაც-** გასკდომა, აფეთქება, разорваться, взорваться
ჩეგრ. **ტყვაც-** მეხის გავარდნა, удар молнии
ქართ. **ტკაც-** ტკაცანი, трещать
სვან. ლი-**ტყც-ან**-ე ცემა, бить

ჭოლოში კაკალი ტ კ ვ ა ც უ II 74_{14} ჭყინტი სიმინდის მარცვალმა ტკაცანი გაადინა [ცეცხლზე წვისას]... ეკერ ია თოზი დაჩხირის გოშალას-ნა, ტ კ ვ ა ც უ ნ დო კოჩი დიჭვენ I 64_1 თუ ის მტვერი (თოფის წამალი) ცეცხლში ჩავარდა, იფეთქებს და კაცი დაიწვის... ჩიჩქუ ქვა რენ, დაჩხირის ვა ტ კ ვ ა ც უ ნ — რბილი ქვაა, ცეცხლში არ გასკდება... ქორბა მი ტ კ ვ ა ც უ ნ-და II 40_{24} მუცელი მისკდებაო... ფიცარი... მა ტ კ ვ ა ც ე ნ, სერსი გამულუნ II 73_1 ფიცარი... ეცემა, ხმას გამოსცემს... თიკანის ნა ტ კ ვ ა ც უ I 66_9 თიკანს ეცა... ნანა მუშის უწუ-ჭი „ნანა, მა გუი მი ტ კ ვ ა ც უ"-და I 116_{31} თავის დედას უთხრა, რომ „დედა, მე გული გამისკდა"-ო...

„გასკდა“, „აფეთქდა“ („ეცა“)—ასეთია ამ ზმნის ძირითადი მნიშვნელობა. მეგრულში ხმარებული: ტყვაცუნს, გოტყვაცუ—მეხი ვარდება, მეხი გავარდა—იმავე ფუძეს -**ტყვაც-** უნდა შეიცავდეს (ჰანურში **ტყ-** → **ტკ-**... კანონზომიერად)...

ქართულში ამ ძირს უახლოვდება ტკაცან-ი, მაგრამ თუ ეს ასეა, აუხსნელი რჩება, რატომ არ არის **ტყაცან-**ი? **ტყ-** კომპლექსი ხომ ქართულისთვის ბუნებრივია! შეიძლებოდა გვეფიქრა: ეს ფუძე ხმის მიმბაძველობითია (და ამიტომ ქართულში შეიძლება **ტკაც-** ყოფილიყოო)... მაგრამ მაშინ შედარების საკითხი იხსნება.

მერე: ტკაცან-ში **ვ-** გვაკლია; ესეც აძნელებს **ტკაც-**ან-ისა და ტყვაც-ის გაიგივებას...

სვან. **ლი-ტყც-ე**-ში—„ცემა“ ეგევე ტყვაც- ძირი უნდა გვქონდეს.

115. ჭან. **ტკ-ობ-** დამალვა, მიპარება, скрываться, подкрадываться

მეგრ. **ტყ-ობ-** „ „

ქართ. **ტყ-ე** лес

„მა სქანი არაბაში თუდე დოპტკობუ!“... მთუთი არაბაში თუდე დოტკობინუ I $43_{27,28}$ „მე შენი ურმის ქვეშ დავიმალე-ბი“... დათვი ურმის ქვეშ დამალა... ბიჭი-თი კალათიშე ქეშკახთუ, დონტობუ II 127_{25} ბიჭიც კალათიდან ამოვიდა, დაიმალა... ექ დო-ტკობუ... დაღის I 31_{28} იქ დაიმალა... ტყეში... მამულის-თი უტ-კობუნ-და! I 23_{10} მამალსაც კი ემალებაო... ნოტკობუ, ნოტკო-ბუ, ბეეფეში ჯანიშა ქომეხთუ... I 67_{25} მიეპარა, მიეპარა, ბავშვებ-თან ახლოს მივიდა... ჯას მუკუტკობუტუ I 100_{10} ხის უკან იმა-ლებოდა...

მეგრ.: თუნთიქ ურემიშ თუდო დ̄ტყობუ—დათვი ურმის ქვეშ დაიმალა... თუნთი დ̄ტყობინუ—დათვი დამალა.. თუნთის ქიმიო-ტყობუ—დათვს მიეპარა... ჯას მიკოტყობუდუ—ხის უკან იმა-ლებოდა...

ჰანური და მეგრული ერთმანეთს მიყვება: ფუძის აგებულებაცა (**ტკ-**ს შესახებ იხ. ჭან. გრამ. ანალ., §6გ, გვ.17) და მნიშვნელობაც ერთნაირია...

ქართულში შესაბამისი ძირის მქონე ზმნა არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება მივუთითოთ იმ სახელზე, რომელიც ჭან. და მეგრ. ზემოხსენებული ზმნის ძირს წარმოადგენს: ესაა **ტყ-ე**... ტ ყ ო ბ უ ნ || ტ კ ო ბ უ ნ ნიშნავს ტ ყ ე შ ი ა; აქედან: იმალება... (მერე ეპარება)...

116. ჭან. მ-**ტკ-ორ-**: დიმ-**ტკ-ორ-უ** გაველურება, одичать
მეგრ. **ტყ-არ-**: გე-**ტყ-არ-უ** „ „
ქართ. **ტყ-ე** — лес

ემუში უკულე დ ი მ ტ კ ო რ უ II 71_5 იმის შემდეგ (იქით) გაველურდა („გატყიურდა“)...

მეგრ.: ღეჯქ გ ე ტ ყ ა რ უ—ღორი გაველურდა („გატყიურდა“, შინაური იყო და გარეთ დარჩენილი, გაველურდა)...

ფუძე ამ ზმნისა არის: ჭანურში მ-**ტკ-ორ-**, რაიც „ტყიურს“, „ველურს“ ნიშნავს, მეგრულში—**ტყ-არ-**; იმავე მხიშვნელობისაა.
ამრიგად, ეს ზმნა ნასახელარია (იხ. **მ-ტკ-ორ-**ი)...

117. ჭან. **ტკოჩ-** გადაგდება, სროლა, бросить, кинуть, стрелять
მეგრ. —
ქართ. **ტყორც·** бросить, кинуть

ხინჯიშე გ ე ტ კ ო ჩ უ II 32_{33} ხიდიდან გადაისროლა („გატყორცნა“)... ...მ ე ტ კ ო ჩ უ II 49_3 გადააგდო... მა ჯებზდი დო ბ ო ტ კ ო ჩ ი II 5_7 მე ავიღე და გადავაგდე... ართელ დოპილი; ა'ჩქვა ქ ო ბ ო ტ კ ო ჩ ი—ა'ჩქვა დოპილი II 79_{12} ერთი მოკალი; ერთი კიდევ ვესროლე—ერთი კიდევ მოკალი... კოლის აწი ტოფელი ნოღირამან, ვა ა ტ კ ო ჩ ე ნ ა ნ, კოლი იმტენ! II 21_{19} კალიას ახლა თოფს დაუმიზნებენ, ვერ ესვრიან, კალია გადახტება („გარბის“)... ვა მ ე მ ტ კ ო ჩ ა..., გჯელინი ჩქიმი II 139_{17} არ მიმატოვო, ...ჩემო რძალო!.. ვიტოხუთ ფარა ნ უ ტ კ ო ჩ უ I 18_{30} თუთხმეტი „ფული“ გადაუგდო...

მეგრულში ეს ძირი არა ჩანს.

ქართულში ხმარებული „ტყორცნა“ იმავე მნიშვნელობისაა: ქვა გასტყორცნა, ისარი ჱტყორცნა[1]... ს ა ბ ა ს განმარტებით: „ტყორცა“—„შორს გასროლა“...

ქართ. „ტ ყ ო რ ც-“ **-რ-**ს დაკარგვით წარმოდგენილია ჰან. ტ კ ო ჩ-ში... **ტყ → ტკ** ცნობილი წესია; ათინურში **ტკ → ტ:** ტკოჩ- → ტოჩ-: ო ტ ო ჩ უ—გადაისროლა....

აწმყოს ფუძე ამ ზმნას განსხვავებული აქვს: მე-ტ კ ო მ ე რ-ს—აგდებს...

118. ჰან. ნ-**ტ-რ-** დატევა, поместиться
მეგრ. **ტ-ირ-** „ „
ქართ. **ტ-ევ-** „

ი ნ ტ რ ე ნ-ი ექ? I 120_{12} ეტევა იქ?...

მეგრ.: დ ე ნ ტ ი რ ე ნ ო თექ?—დაეტევა იქ?... თექ ქ ი დ ი ნ ტ ი რ ი!—იქ დაეტიე!..

ძირეული ხსოლოდ **ტ-** ჩანს; **-ირ-** მეგრულისა მაწარმოებელი აფიქსი უნდა იყოს ისევე, როგორც **-ევ-** ქართულში.

119. ჰან. **ტუბ-** || **ტიბ-** თბობა, греть, греться
მეგრ. **ტიბ-** „ „ „
ქართ. **ტფ-** (ძვ. ქართ.) „ „
სვან. **-ტებ-**: ლი-**ტბ**-იდ-ე „ „ „

...წკაი-თი დ ო ტ უ ბ უ ნ II 61_{38} წყალიც გათბება... წკარი-თი დ ო ტ ი ბ უ I 130_{25} წყალიც გათბა.... დაჩხუი დუგზეს დო კაი დ ო ტ უ ბ ი ნ ეს II 35_{16} ცეცხლი შეუნთეს და კარგად გაათბეს... დაჩხურის ბ ო ტ უ ბ ი ნ ა მ დო ლუქუნა ბიქომ II 82_{12} ცეცხლზე ვათბობ და სანთელს „გავაკეთებ“...

მეგრ.: წყარქ გ ო ტ ი ბ უ—წყალი გათბა... წყარი გ ე ტ ი ბ უ—წყალი გაათბო... თის ღორონთი უ ტ ი ბ უ(ნ)—მას ღმერთი სწყალობს...

[1] მაგრამ ქართულად არ ითქმის „თოფი სტყორცნა“-ო, ჰანურად კი—ათინურად და ვიწურ-არქაბულად—მხოლოდ ასე ითქმის, ხოფელები ამბობენ „ისთოლუ“-ო (იხ.).

ჰანურში ამ ზმნის ძირი ორი სახითაა მოცემული: **ტუბ-** || **ტიბ-**; უკანასკნელი მიღებულია პირველისაგან; **ტიბ-** ხოფურს ახასიათებს, **ტუბ-** ვიწურ-არქაბულსა და ათინურს; **ტიბ-** გვაქვს მეგრულში...

ჰანური **ტუბ-** გვავარაუდებინებს ქართულისათვის **ტაბ-ს**. ამას ადასტურებს სვან. **ტებ-** (ქართ. **-ა-** —სვან. **-ე-**).

ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას **ტაბ-ს** დაუკარგავს **ა-**; უნდა მიგვეღო **ტბ-**; აქედან ასიმილაციით(!) მივიღეთ **ტფ-** (ძვ. ქართულში გვქონდა **ტფ-ილ-ი**, გან-**ტფ-ა**...).

საინტერესოა ანალოგიური ძირის არსებობა ინდოევროპულ ენებში: იხ. **ტუბუ** || **ტიბუ**.

საფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ მცირე აზიაში ურთიერთობამ განსაზღვრა ეს შეხვედრა.

120. ჰან. **ტუც-ან-** გაცხელება, разогреть, сделать горячим
მეგრ. **ტუც-** გაპუტვა (ღორისა) „ „
ქართ. —

წკაი... ჰურკის დოლობით ე-დო დაჩხირის ქონოკიდით დო დ ი ტ უ ც ა ნ ა ს I 130_{17} წყალი... ქვაბში ჩაასხით და ცეცხლზე ჩამოკიდეთ და გაცხელდეს...

მეგრ.: ტ უ ც ა წყარი—მდუღარე, მეტად ცხელი წყალი... ღეჯი გ ო ტ უ ც უ—ღორი გაპუტა... ხე დუღას ქ ო ტ უ ც უ—ხელი მდუღარეში ტუცა...

ეს ზმნა ჰანურში ნასახელარია; იწარმოება სახელისაგან **ტუც-ა** (იხ.).

121. ჰან. **ფათხ-** ფერთხვა, ბერტყვა, трусить, выколачивать
მეგრ. **ფართხ-** „ „ „ წმენდა, чистить
ქართ. **ფერთხ-** трусить, выколачивать

ბადიქ-თი ოფათხუს ქოგდოჭკუ; ფ ა თ ხ უ, ფ ა თ ხ უ-ში, სუზგის კუნდი ქოგიბღუ... I 27_{23} მოხუცმა გაბერტყვა („ფერთხვა“) იწყო... რომ ბერტყა, ბერტყა, საწურზე განავალი დაცვივდა... ხჩინიქ-თი ოფათხუს ქოგდოჭკუ. ფ ა თ ხ უ, ფ ა თ ხ უ, ლირათე გობი იიფშუ

I 27_{26} დედაბერიც შეუდგა ბერტყვას... ფერთხა, ფერთხა, ლირებით გობი აივსო... ქ ა ე ფ ა თ ხ უ ფ ა ნ (საჯი ქაეფათხუფან). დოლოხე მჭვეი მჭკიდი იყვენ... I 140_{17} „აფერთხავენ“ (თუნუქს ა ფ ე რ თ ხ ა ვ ე ნ), შიგნით გამომცხვარი მჭადი იქნება...

მეგრ.: წოლა გ ე გ ი ლ ა ფ ა რ თ ხ უ —მჭვარტლი ჩამოფერთხა... ტომარე გ ო ფ ა რ თ ხ უ —ტომარა გაბერტყა...

ფათხ- შეესატყვისება ქართ. **ფერთხ**-ს; ჰანურში **-რ**- გვაკლია, რომელიც შეუნახავს მეგრულს.

მნიშვნელობა —„ფერთხვა“, „ბერტყვა“ —ერთნაირია...

122. ჰან. **ფათქ**-ალ- ცემა მაჯისა, биение пульса, пульсировать,
მეგრ. **ფართქ**-ალ- ფართხალი, трепетать
ქართ. **ფეთქ**- пульсировать, вспыхивать

მ ი - ფ ა რ თ ქ ა ლ - ა მ ს (ვიწ.)—მაჯა მიცემს... ფ ა თ ქ ა ლ ს (იგივე, არქაბ.)...

მეგრ.: ჩიტის გური უ ფ ა რ თ ქ ა ლ ა ნ ს —ჩიტს გული უფართხალებს...

ამ ზმნათა ძირია ჰან. **ფათქ**- || მეგრ. **ფართქ**-; იგი უდრის ქართ. **ფეთქ**-ს (სისხლმა ი ფ ე თ ქ ა... ს ა ფ ე თ ქ ე ლ ი...).

ძირითადი მნიშვნელობა საერთოა.

123. ჰან. **ფაცხ**-ალ- ფართხალი, трепетать
მეგრ. **ფერცხ**-ელ- გორვა (ფეხებით ზევით), кувыркаться
ქართ. —

მეხთუ-ში... საღი ჩხომი ფ ა ც ხ ა ლ ა ფ ს I 16_{19} რომ მივიდ-, ..ცოცხალი თევზი ფართხალებს...

მეგრ.: დიხას ო ფ ე რ ც ხ ე ლ უ (ნ) —მიწაზე გორავს (ფეხებით ზევით)... ლაკვიქ დიხას ქ ი დ ი ფ ე რ ც ხ ე ლ უ—ლეკვი მიწაზე გაგორდა (ზურგზე)...

ქართული შესატყვისის საკითხი ღიად რჩება.

124. ჰან. **ფინ-** გაფენა, გაშლა, разостлать
მეგრ. **ფინ-** „ „ „
ქართ. **ფენ-** || **ფინ-** „

შქვით ჩქვა ხოლო ჟინ ქოგჲომფინაფან I 143_{20} შვიდ სხვას კიდევ ზედ დააფენენ... „თოკის ფქვერი მებუფინიდორენ“!... „თოკის ფქვერი ქოგიფინენ-ი?“ II 9_{27} „თოკზე ფქვილი გაფენილი მაქვს!“... „თოკზე ფქვილის გაფენა შეიძლება?“...

მეგრ.: ნანახვა გოფინუ—სარეცხი გაფინა... ხეს უფინუანს—ხელებს შლის... ნოხი ქგდაფინუ—ხალიჩა გაშალა...

მნიშვნელობა ამ ზმნისა—„გაფენა“, „გაშლა“—ჭანურსაც ახასიათებს, მეგრულსაც და ქართულსაც.

რაც შეეხება აგებულებას, ჭანური და მეგრული იმეორებს ქართ. აორისტის ფუძეს: **ფინ-** (რადგანაც ამ ზმნას ფუძისეული ხმოვნის მონაცვალეობა ახასიათებს, აწმყოს ფუძეც—**ფენ-**—მოვიყვანეთ და აორისტისაც **-ფინ-**; საერთო წესის თანახმად მხოლოდ უკანასკნელი უნდა წარმოგვედგინა).

125. ჰან. **ფს-** ფსმა, мочиться
მეგრ. **ს-** „ „
ქართ. **ფს-** „

ნა-დოსჭიდუ [ყურძენი], ემუს ქოგოფსეს დო მიკილეს I 22_{22} რაც დარჩა [ყურძენი], იმას დააფსეს და გაიარეს...

მეგრ.: სუნს—ფსავს... ქგდოსუ—მოფსა...

ძირი ქართულში, მეგრულსა და ჭანურში ერთი და იგივეა, ოღონდ მეგრულში **ფს-** კომპლექსში დაკარგულია **ფ-**: გვრჩება **ს-**. მნიშვნელობა—იგივეა.

126. ჰან. მ-**ფულ**-: დი-მ-**ფულ**-უ დამალვა, прятать,-ся скрыть,-ся
მეგრ. **ფულ**-: დი-**ფულ**-უ „ „
ქართ. **ფალ**-: დაი-**ფლ**-ა увязнуть в ч.-л.

კოლი ოფუთხუ დო ჩაის დიმფულუ I 74_{19} კალია აფრინდა და ბალახში დაიმალა... დერემენჯი... დიმფულუ II 95_{28} მეწისქვილე... დაიმალა...

მეგრ.: მეწისქვილექ დრფულუ — მეწისქვილე დაიმალა... მეწისქვილექ დოფულუ — მეწისქვილემ დამალა... საფულე — საფლავი...

ქართული შესაბამისი ძირი **ფალ**- (დაჰფალ შენ ის) კარგავს ა-ს მომდევნო სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით (დაფლა... საფლ-ავ-ი...)

ჰანურსა და მეგრულში **ფალ**-ის შესაბამისად უნდა გვქონოდა **ფოლ**-, რომელმაც **ფულ**-ის სახე მიიღო (ო → უ ფ-ს შემდეგ).

ჰანურში განვითარებულია თავკიდური **მ**- (**მ-ფულ**-).

ეს ძირი ჰანურსა და მეგრულში ნიშნავს „დამალვას“ (ნ. მარის ჩვენებით ათინასა და ვიწეში, აგრეთვე ხოფაში — „დამარხვასაც“: იხ. ჰან. გრ., გვ. 195).

ძვ. ქართულში „დაფლვა“ „დამარხვის“ მნიშვნელობით ჩვეულებრივი იყო. იქიდანაა „საფლავი“, ე. ი. „სამარხი“. ამგვარად, ჰანურსა და მეგრულში ამ სიტყვის მნიშვნელობა ძველი ქართულისასთან უფრო ახლოსაა, ვინემ ახალ ქართულში სათანადო ფუძის მნიშვნელობასთან.

127. ჰან. **ფუნ**- დუღება, დუღილი, кипятить, кипеть
მეგრ. **ფუნ**- „ „ „ „
ქართ. **ფუვ**- бродить

„წკარ დომიფუნი“-ა II 78_{18} წყალი ამიდუღეო...

მეგრ.: წყარი დომიფუნე-ა — წყალი ამიდუღეო... წყარი ქაფუნუ — წყალი აადუღა... წყარს ოფუნუანს — წყალს ადუღებს... ონტკას ოფუნუანს — არაყს ხდის... წყარი ფუნს — წყალი დუღს... შაჭარი ფუნს — მაჭარი დუღს... ნაფუნეფი — ნადუღი (რძის პროდ.)..

ქართულში შესაბამისი ძირია ფუვ-, გა-ფუვ-ებ-ა, გა-ფუვ-და... ცომი გაფუვდა (მაგრამ: მაჭარი ადუღდა)... გაფუვებაც იგივე დუღილია: არსებითად ამ ორ პროცესს შორის სხვაობა არც არის...

ამგვარად, „ფუვება“-მ ჰანურსა და მეგრულში უფრო ფართო მნიშვნელობა მოიპოვა: ზოგადად დუღილის აღმნიშვნელი გახდა.

საინტერესოა, რომ ცომის აფუვებისათვის ეს ძირი (**ფუნ-**) არ იხმარება. მეგრულად იტყვიან: გედირთუ ქობალქ—„ადგა ცომი“ („პური“).

128. ჰან. **ფურჩ-ოლ-** ჩურჩული, шептать
მეგრ. **ფურცქ-ინ** ‖ **ფუცქ-ინ-** „ „
ქართ. **ფუჩ-უნ-** „

ოხორჯა მეხთუდო ქიმოლი მუშის ილუფურჩოლუ I 38_{38}—39_1 ცოლი მივიდა და თავის ქმარს ჩაუჩურჩულა... მგეიქ თილქის ილუფურჩოლუ I 70_6 მგელმა მელას ჩასჩურჩულა...

მეგრ.: ფურცქინუნს—ჩურჩულებს... გერქ მელას ელაფურცქინუ—მგელმა მელიას ჩაუჩურჩულა... გილაფურცქინუნს—ჩურჩულით დაიარება (დაიარება და ჩურჩულებს)...

შესაბამისი ძირი უნდა იყოს ქართ. ზმნაში ფუჩ-უნ-ებს მოცემული. მეგრულსა და ჰანურში მას **-რ-** აქვს განვითარებული.

საინტერესოა, რომ მეგრულს **-ცქ-** მოუდის იქ, სადაც ჰანურს **-ჩ-** აქვს: ასეთი შეფარდება ქართულსა და ზანურს შორისაა მოსალოდნელი. ამგვარად, საფიქრებელია, რომ ჰანურში იგივე **ფუჩ-** ძირი გვაქვს, რაც ქართულში, მეგრულმა კი ზანური შესაძლო ვარიანტი შეგვინახა.

129. ჰან. **ფუჩ-** ფიცი, клясться
მეგრ. **ფუჩ-** „ „
ქართ. **ფუც-** ‖ **ფიც-**

მოგვყავს ნ. მარის მიხედვით; მას დასახელებული აქვს: მასდარი—ოფუჩუ; აწმ. პირვ. პირისა: დოფუჩუმ (ვიწ.), დოფუ-

ჩუფ (ხოფ.), აორ. დოფუჩი, დოფურჩუ (ათინ.), მყოფ. დოფუჩარე (ათ., ვიწ.-არქ.), დოფუჩამინონ (ხოფ.).

მეგრ.: დ̄ოფუჩუ—დაიფიცა (ძვ. ქართ. „ჰფუცა“)... დააფუჩუ—დააფიცა... იფუჩუანს—ფიცულობს... ოფუჩუანს—აფიცებს... ფუჩი—ფიცი...

ჰანურსა და მეგრულში მოკვემული **ფუჩ-** ძირი კანონზომიერი შესატყვისია ძვ. ქართულის **ფუც**-ისა („ფიც“-ი მეორეული ხასიათისაა: **ფუც-** → **ფიც-**).

130. ჰან. **ფუცხ**-ოლ- — ქექა, разрывать, скрести когтями

მეგრ. **ფუცხ**-ონ- — ზედაპირის ფხეკა, скрести (поверхность) когтями

ქართ. **ფუცხ**-ვ-ი (?) ‖ **ფოცხ**-ი (?) — „კავოედი რკინა ქვაბით ჴორცთა ამოსაღებელი“ железное приспособление с крючками для доставки мяса из котла

ექ ჲაქინის ჰუჰულეფე ნოქოსეს ფუცხოლუპტეს I 102_5 იქ მახლობლად წიწილები ნაგავს ქექდენ...

მეგრ.: კატუ დიხას ფუცხონუნს—კატა მიწას „ფხაჭნის“, ბრჭყალებით ზედაპირს ფხეკს, „ფოცხავს“...

სათანადო ზმნა ქართულში შეიძლებოდა ყოფილიყო **ფოცხ**-ავ-ს,—ეს იქნებოდა **ფოცხ**-ისაგან ნაწარმოები (ნასახელარი) ზმნა (საბა: **ფოცხი**—ესე არს ჴნულთ ასაოშავი თითებიანი კაბდოსავით...). მაგრამ ამას ერთი რამ აბრკოლებს: ფოცხ-ი ჰანურსა და მეგრულში **ბუცხ**-ის (იხ.) სახით წარმოგვიდგება და, საბოლოო ანგარიშში, **ბუცხ-ა**-სთან („ფრჩხილთან“) არის კავშირში (იხ. **ფოცხ**-). მართალია, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ **ფუცხ-** პირვანდელი სახეა მისი და ის ამ ზმნაში (ფუცხ-ოლ-) შემოგვენახა, მაგრამ მაშინ ბუცხა-სთან დაკავშირება გამოირიცხებოდა.

ამიტომ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია ფუცხ-ოლ- ზმნასთან დაკავშირებით მოვიგონოთ ქართ. **ფუცხ**-ვ-ი; საბას განმარტებით ესაა კავებიანი რკინა ქვაბიდან ხორცის ამოსაღებად... მაგრამ აქ მაინც ისმის კითხვა: რა მიმართებაშია ეს ფუცხვ-ი ფოცხ-თან? ამ საკითხს ღიად ვტოვებთ, და ფუცხვის ფუცხ-ოლ-თან შედარებას აქ პირობით ვტოვებთ.

131. ჭან. **ფშ**-: დო-**ფშ**-უ ავსება, наполнить,-ся
მეგრ. **ფშ**- ‖ **შ**-: იო-**ფშ**-უ „ „
ქართ. **ვს**-: აა-**ვს**-ო „

მამუდიქ არაბა დიშქათენ დოფშუ I 44_4 მამუდმა ურემი შეშით დატვირთა („აავსო")... საღრა ოფშუ II 40_{35} გობი აავსო... საღრა ოიფშუ II 40_{30} გობი აივსო... დაშიღი ̄ფშუ II 106_1 ყუთი აივსო... ლირათე გობი იიფშუ I 27_{28} ლირებით გობი აივსო...

მეგრ.: კალათი იოფშუ—გოდორი აავსო... კოკას იოფშანს (‖ იოშანს)—კოკას აავსებს... კოკა ეფშა რე(ნ)—კოკა სავსეა...

ძირი **ფშ**- კანონზომიერად შეეფერება **ვს**-ს, ოღონდ **ვ**—**ფ** (ნაწილობრივი ასიმილაცია!).

მეგრულში **შ**-ს წინ **ფ**- შეიძლება გაუჩინარდეს. ამ ძირს მნიშვნელობა ყველგან ერთი და იგივე აქვს. ამ მხრივ სხვაობას ქართულსა, მეგრულსა და ჭანურს შორის ადგილი არა აქვს.

132. ჭან. **ჭაჩ**- (ხელში) დაჭერა, держать (в руке), хватать
მეგრ. **ჭანჩ**- ხელის წავლება, გაწევა, схватить, тянуть
ქართ. **ჭაჩ**- „ „

ნა-დიჭაჩუ კუზი, ალთუნი დივუ II 47_{19} რომ დაიჭირა კოვზი (ხელში), ოქროდ იქცა... მკულე [ბიგა] მუქ ქოდიჭაჩუ II 49_{27} მოკლე (ჯოხი) მან დაიკავა... ართეიქ ხოჯი დიჭაჩეფს I 137_{33} ერთი ხარს (ხელში) დაიჭერს... „ხეს-და მუ გოგოჭაჩუნ"-და? მა ბუწვი-

ჩუფ (ხოფ.), აორ. დოფუჩი, დოფურჩუ (ათინ.), მყოფ. დოფუჩარე (ათ., ვიწ.-არქ.), დოფუჩამინონ (ხოფ.).

მეგრ.: დ̄ფუჩუ—დაიფიცა (ძვ. ქართ. „ჰფუცა“)... დააფუჩუ—დააფიცა... იფუჩუანს—ფიცულობს... ოფუჩუანს—აფიცებს... ფუჩი—ფიცი...

ჰანურსა და მეგრულში მოკვმული **ფუჩ-** ძირი კანონზომიერი შესატყვისია ძვ. ქართულის **ფუც**-ისა („ფიც“-ი მეორეული ხასიათისაა: **ფუც-** → **ფიც-**).

130. ჰან. **ფუცხ**-ოლ- ქექა, разрывать, скрести когтями

მეგრ. **ფუცხ**-ონ- ზედაპირის ფხეკა, скрести (поверхность) когтями

ქართ. **ფუცხ**-ვ-ი (?) ‖ **ფოცხ**-ი (?) „კავოედი რკინა ქვაბით ჴორცთა ამოსაღებელი“ железное приспособление с крючками для доставки мяса из котла

ექ ჲაქინის ჰუჰულეფე ნოქოსეს ფუცხოლუპტეს I 102$_5$, იქ მახლობლად წიწილები ნაგავს ქექდენ...

მეგრ.: კატუ დიხას ფუცხონუნს—კატა მიწას „ფხაჭნის“, ბრჭყალებით ზედაპირს ფხეკს, „ფოცხავს“...

სათანადო ზმნა ქართულში შეიძლებოდა ყოფილიყო **ფოცხ**-ავ-ს,—ეს იქნებოდა **ფოცხ**-ისაგან ნაწარმოები (ნასახელარი) ზმნა (საბა: **ფოცხი**—ესე არს ჴნულთ ასაოშავი თითებიანი კაბდოსავით...). მაგრამ ამას ერთი რამ აბრკოლებს: ფოცხ-ი ჰანურსა და მეგრულში **ბუცხ**-ის (იხ.) სახით წარმოგვიდგება და, საბოლოო ანგარიშში, **ბუცხ-ა**-სთან („ფრჩხილთან“) არის კავშირში (იხ. **ფოცხ**-). მართალია, შეიძლებოდა გვევარაუდებინა, რომ **ფუცხ-** პირვანდელი სახეა მისი და ის ამ ზმნაში (ფუცხ-ოლ-) შემოგვენახა, მაგრამ მაშინ ბუცხა-სთან დაკავშირება გამოირიცხებოდა.

ამიტომ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია ფუცხ-ოლ- ზმნასთან დაკავშირებით მოვიგონოთ ქართ. **ფუცხ**-ვ-ი; საბას განმარტებით ესაა კავებიანი რკინა ქვაბიდან ხორცის ამოსაღებად... მაგრამ აქ მაინც ისმის კითხვა: რა მიმართებაშია ეს ფუცხვ-ი ფოცხ-თან? ამ საკითხს ღიად ვტოვებთ, და ფუცხვის ფუცხ-ოლ-თან შედარებას აქ პირობით ვტოვებთ.

131. ჭან. **ფშ**-: დო-**ფშ**-უ ავსება, наполнить,-ся
მეგრ. **ფშ**- ‖ **შ**-: იო-**ფშ**-უ „ „
ქართ. **ვს**-: აა-**ვს**-ო „

მამუდიქ არაბა დიშქათენ დოფშუ I 44_4 მამუდმა ურემი შეშით დატვირთა („აავსო")... საღრა ოფშუ II 40_{35} გობი აავსო... საღრა ოიფშუ II 40_{30} გობი აივსო... დაშიღი ̄ფშუ II 106_1 ყუთი აივსო... ლირათე გობი იიფშუ I 27_{28} ლირებით გობი აივსო...

მეგრ.: კალათი იოფშუ—გოდორი აავსო... კოკას იოფშანს (‖ იოშანს)—კოკას აავსებს... კოკა ეფშა რე(ნ)—კოკა სავსეა...

ძირი **ფშ**- კანონზომიერად შეეფერება **ვს**-ს, ოღონდ **ვ**—**ფ** (ნაწილობრივი ასიმილაცია!).

მეგრულში **შ**-ს წინ **ფ**- შეიძლება გაუჩინარდეს. ამ ძირს მნიშვნელობა ყველგან ერთი და იგივე აქვს. ამ მხრივ სხვაობას ქართულსა, მეგრულსა და ჭანურს შორის ადგილი არა აქვს.

132. ჭან. **ქაჩ**- (ხელში) დაჭერა, держать (в руке), хватать
მეგრ. **ქანჩ**- ხელის წავლება, გაწევა, схватить, тянуть
ქართ. **ქაჩ**- „ „

ნა-დიქაჩუ კუზი, ალთუნი დივუ II 47_{19} რომ დაიჭირა კოვზი (ხელში), ოქროდ იქცა... მკულე [ბიგა] მუქ ქოდიქაჩუ II 49_{27} მოკლე (ჯოხი) მან დაიკავა... ართეიქ ხოჯი დიქაჩეფს I 137_{33} ერთი ხარს (ხელში) დაიჭერს... „ხეს-და მუ გოგოქაჩუნ"-და? მა ბუწვი-

ქი „ლული მოქაჩუნ“-მა II 56_{27} „ხელში რა გიჭირავსო?“ მე ვუთხარი, „ლეღვი მიჭირავს მეთქი“...

მეგრ.: ხე ქას ქოქანჩუ—ხელი რქა[illegible] წაავლო... ხოჯქ დიიქანჩუ—ხარმა ერთბაშად გაიწია... თოკის უქანჩუანს—თოკს ეწევა (ხანგამოშვებით) ერთბაშად...

ქართ: მოჩხუბარი გაქაჩეს... იმერული: რას იქაჩები, თუ იცი?... თვალები გამოქაჩა...

ძირი საერთოა; მეგრულში **-ჩ-**ს წინ მას **ნ-** განვითარებია. სხვა მხრივ ცვლილება ამ ძირს არსად ემჩნევა.

მნიშვნელობის მხრივ სხვაობა ცხადია: (ხელში) „დაჭერა“,—დაკავება—ჰანურში, „ხელის წავლება“, „გაწევა“—მეგრულში ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ ერთი და იგივე არ არის, ქართული კი ამ მხრივ მეგრულთან უფრო ახლოსაა. აღსანიშნავია, რომ წიგნის ქართულში ეს ძირი თითქმის არ იხმარება.

133. ჰან. **ქთ-** ტრიალი, ქცევა, вертеть,-ся, вернуть,-ся
მეგრ. **რთ-** „ „ „ „
ქართ. **ქც-** „ „

ჰაწი გოიქთუ II 10_{11} ახლა გაბრუნდა („უკუნიქცა“)... გუიქთუ დო იგზალუ I 5_{13} გაბრუნდა და წავიდა... დელიკანეფე... გერი გუიქთეს I 30_{25} ვაჟკაცები უკან გაბრუნდენ... ჟინ ქვა ჯოძინ დო იქთენ II 61_{12} ზედ ქვა აძევს და ტრიალებს („იქცევის“)... ხამი გეიქთუ. ბაკლავაქ ვარ ოქაჩუ II 64_{26} დანა წაიქცა. ნამცხვარმა არ დაიჭირა... ხოჯაქ-თი გოქთუ I 6_8 ხოჯამაც მოაბრუნა... ქონობლაფან დო ოკულე ოქთაფან I 136_{24} ჩაყრიან და მერე ატრიალებენ... ჩოსტრა ხეთე ბოქთარ II 115_{15} სალესავს ხელით ვატრიალებ... ხოჯი ვოქთა... I 54_{19}, 16_{15} ვხნა („ხარი ვაბრუნო“)... დივის ნუკუ გაქთუ I 37_{34} დევს ყბა („პირისახე“) მოექცა... ნუნკუ კიბლეკელე გოქთაფეს I 131_7 პირი აღმოსავლეთისკენ უქნეს („უქციეს“)... დიკა მქიის ოხოვუქთაფთ I 139_8 პურის ფქვილს გავურევთ... თი გომაგთუ II 135_{32} თავბრუ დამეხვა („თავი დამიტრიალდა“)...

მეგრ.: ცუდიშა დ ი რ თ უ — შინ გაბრუნდა... ჯაქ ე კ ი რ თ უ — ხე წ ა ი ქ ც ა... ურემიშ ბარბალი ი რ თ უ (ნ) — ურმის თვალი ტრიალებს... ხოს ო რ თ ი ნ უ ა ნ ს — „ხარს აბრუნებს“ (ე. ი. ხნავს)...

ჭან. **ქთ-** და ქართ. **ქც-** ერთი და იგივე ძირია: **ქთ-** უწინარესი სახეობაა, **ქც-** მეორეული. მეგრულს **ქთ-**ს ნაცვლად **რთ-** აქვს; რადგანაც **რ-** მეგრულში **ხ**-სა და **ქ**-ს გარდა **გ**-საც ენაცვლება (საგზალი — ორზოლი, გზება — დო-რზამა...), კითხვა ისმის, ხომ არ იყო ამ ზმნის ძირში **გ-**, ე. ი. ხომ არ არის **გთ-** მიღებული **გთ-**საგან? ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ზემოთ მოყვანილი ერთი შემთხვევა (ათინური!), სადაც **გთ-** გვაქვს („გომაგთუ“).

რაც შეეხება მნიშვნელობას, „ტრიალის“ მნიშვნელობით „ქცევა“ ახალ ქართულში იშვიათია, ძვ. ქართულში კი ჩვეულებრივი იყო: „უკუნიქცა“ — გაბრუნდა, „მოიქცა“ — მობრუნდა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — ქრისტიანობისაკენ „მობრუნება ქართლისა“), „მახჳლი იქცევისი“ — მახვილი, რომელიც ტრიალებს, „вертящийся меч“... ეგევე მნიშვნელობა გვაქვს ახ. ქართულის: „ყოფა-ქცევა“-ში, გამოთქმაში: „როგორ იქცევა“...

134. ჭან. **ქთ-ურ-** ცვლა, менять
მეგრ. **თ-ირ-** „ „
ქართ. —

მაწკინდი-ნა უ ქ თ უ რ უ II 36_{15} ბეჭედი რომ უცვალა... მაწკინდი... დ ო მ ი ქ თ უ რ ე ს დ ო რ ე ნ II 36_{8} ბეჭედი შემიცვალეს... თექსერეფე გ ე ბ ო ქ თ უ რ ა ფ ი II 55_{23} პასპორტები გამოვაცვლევინე...

მეგრ.: გ ო ბ თ ი რ ე — გავცვალე... თ ი რ ა ნ ს — ცვლის... ხოჯი ცხენიშა გ ე გ ი ნ ო ბ თ ი რ ე — ხარი ცხენზე გადავცვალე...

ძირეული ამ ზმნაში **ქთ-** უნდა იყოს; წინა **ქთ-** ძირთან დაკავშირება შესაძლებელი იქნებოდა, რომ მეგრულის ჩვენება აქ არსებითად განსხვავებული არ იყოს: აქ **თ-ირ-** გვაქვს, იქ **რთ-** (იხ.).

ქართული შესატყვისი ძირი არა ჩანს.

135. ჰან. **ქინ-**: მუ-ნ-**ქინ**-უ ქნევა, махнуть, замахнуться
მეგრ. **ქირ**-ინ-: მუ-**ქირ**-ინ-უ „ „ „
ქართ. **ქნ**-: მო-უ-**ქნ**-ია „

თეფნე მუნქინუ I 101_{12} წიხლი მოუქნია... მოსა ღალის გულინქინუ I 33_{5} ბადე წყალში გადაისროლა („გაიქნია")... მთხაქ... ქრა დულუნქინუ, ემუქ-თი დულუნქინუ... I 60_{23} თხამ რქა „მოუქნია", იმანაც მოუქნია... შეიტანიქ ბიგა... მუნქინუ-შ-კულე, თავანის ქონანთხუ II 49_{28} ეშმაკმა ჯოხი... რომ მოუქნია, ჰერს მოხვდა...

მეგრ.: ბიგა მუქირინუ—ჯოხი მოუქნია... ბიგას უქირინუანს—ჯოხს უქნევს...

ქართ. **ქნ**- და ჰან. **ქინ**- ერთი და იგივე ფუძეა, ქართულში ხმოვანი ამოვარდნილია და ფუძე შეკუმშულია; ჰანურს ხმოვანი შენარჩუნებული აქვს. თავში განვითარებული აქვს **ნ**-. მეგრულში **ქირ**- გვაქვს **ქინ**-ის ნაცვლად; კაუზატივის **-ინ**- შემდეგ დაერთვის.
მნიშვნელობა ერთნაირია.

136. ჰან. **ქინჩ**-ოლ- გალეწვა, დაწეწვა, молотить хлеб, теребить лен
მეგრ. **ქინჩ**-ოლ- ქიჩავი, тянуть, теребить
ქართ. **ქიჩ**-ავ- „ „

მამუდიქ დიკა დოჭკიუ, დოქინჩოლუ... I 43_{1} მამუდმა პური მომკა, გალეწა...

მეგრ.: ჯოღორქ ღეს ქეკაჭიშუ დო ცუს უქინჩოლუანს—ძაღლი ღორს დაეწია და ყურებში ეჭაჩავება...

ქინჩ-ში **ნ**- განვითარებულია; **ქიჩ**- საერთოა ჰანურში, მეგრულში, ქართულში. მნიშვნელობა თავისებურია ჰანურში: ლეწვა პურისა, დაწეწვა სელისა... უფრო ზოგადია მეგრულში და ქართულში; ძირითადი მომენტი ყველგან მეორდება („წეწვა").

137. ჰან. **ქომ-** || **ქუმ-** || **ქიფ-** ქმნა, კეთება, делать
მეგრ. **ქიმ-** „ „ „
ქართ. **ქმ-** || **ქამ-** „
სვან. ლი-**ჩუმ**-ე „ „ „

ბოზოქ-თი ნუსობალიკა იქომს II 30_{33} ქალიც „პატარძლობას იქმს“... [ბურღული] ჩქინ ჯერეფეს დიდო ვა იქომან, ჭუტა იქომან დო წიპილეფეს დუბღამან II 61_{31} ღერღილს ჩვენს ადგილებში ბევრს არ „იქმენ“, ცოტას „იქმენ“ და წიწილებს უყრიან... ღობერი ჰაშო ბიქუმთ II 115_{31} ღობეს ასე ვაკეთებთ... ხოპელეტა ფთხორათე-დეი—იქუმან II 103_{32} ბარს მიწის სათხრელად აკეთებენ... სი აქ მუ იქიფ? I 19_{21} შენ აქ რას აკეთებ?... ჩაფულაფე იქიფან I 123_{7} წუღებს კერავენ („იქმენ“)...

მეგრ.: მუს იქუნს?—რას იზამს? („რას იქმს“)... მუ ქიმინუ?—რა ქნა?... მუ ქიმინას?—რა ქნას?... მუთუნი ვაა ქიმინე(ნ)—ვერაფერს იზამს... თეში მაქიმინალი—ამის ჩამდენი („მქმნელი“)... ოქიმინალი—გასაკეთებელი, საქმნელი...

ჰანურისათვის ამოსავალია **ქომ-**; მისი ვარიანტებია: **ქუმ-** || **ქიფ**; მოსალოდნელი **ქიმ-** მეგრულში გვაქვს.

ქომ- გვაგულისხმებინებს ქართულისთვის **ქამ-**ს; მთიულურში ახლაც იხმარება იქამ (რას იქამ?); სალიტერატურო ქართულში გვაქვს ხმოვანდაკარგული **ქმ-**: რედუქციას **ი-** წინსართი იწვევს!

ჰანურში ეს ფუძე დროთა აწმყოს ჯგუფში იხმარება; აორისტში მას ენაცვლება **ყვ-** ფუძე (იხ.): **ყუ** („ყო“). აწმყოში **-უმ** გაგებულია სუფიქსად და ხოფურის ნორმების თანახმად შეცვლილია **-უფ→ -იფ-**ით.

საგულისხმოა, რომ ახალ ქართულშიც ეს ზმნა კარგავს **მ**-ს: „მუშაობა გარდაქმნა“, მაგრამ: „რა ქნა“, „რა ქნას“... არის მიდრეკილება მნიშვნელობითი ნიუანსიც შეექმნას ამ განსხვავებულ ვარიანტებს.

ძვ. ქართულში **ქმ-** უმანოდ არა გვაქვს არც აწმყოში, არც აორისტში; მეგრულში **ქიმ-** გვაქვს, სვანურის ლი-ჩუმ-ე აგრეთვე **მ**-ს ძირეულობას მოწმობს.

მეგრულში აწმყოში ამ ზმნას ამჟამად ცვლის სხვა ძირი: მუს ორთუქ?[1]—რას შვრები?.. ქართულშიაც „რასა იქმ?“ უფრო იშვიათია, ვინემ „რას შვრები?“.

[1] სიტყვა-სიტყვით: რას „იქცევი“?

ჰანურში არის ძლიერი ტენდენცია ამ ზმნის მეშველ ზმნად გამოყენებისა აღწერითს წარმოებაში: „ინანი ვა იქომს“—„დაჯერებას არა იქმს“, „ნუსობალიკობა იქომს“—„პატარძლობას იქმს“...

სხვა მხრივ სხვაობა არ არის; ძირითადი მნიშვნელობა ამ ზმნას შენარჩუნებული აქვს ჰანურშიც, მეგრულშიც.

138. ჰან. **ქომ-ოჯ-** || **ქიმ-ოჯ-** გათხოვება, выдать замуж, выйти замуж

მეგრ. [**ქომ-ოჯ-**] [ქმარი, муж]

ქართ. [**ქმ-არ-**] ”

ეკულე დოქიმოჯეს, არ კაი ბერეს ქომეჩეს I 32_{31} მერე გაათხოვეს („დააქმარიანეს“), ერთ კარგ ბიჭს მისცეს... დეთიმი ბერე ონუ, ნანა მუში დიქომოჯუ II 102_{10} ობოლი ბავშვია, დედა-მისი გათხოვდა... ბოზო იქომოჯენ II 1_{25} ქალი თხოვდება („ქმრიანდება“)...

ეს ზმნა ნასახელარია; მისი ფუძეა **ქომ-ოჯ-** || **ქიმ-ოჯ-** (იხ.) ქმარი. არც ქართულში, არც მეგრულში ამგვარი ნასახელარი ზმნა არა გვაქვს...

ი-ქომოჯ-ენ ზმნიდან იწარმოება მიმღეობა: ოქომონჯონი ბოზო ვარ მიჲონუნ II 30_{14} გასათხოვარი ქალი არა მყავს... მასდარი: ოქომოჯუშ ვახთი ვარ გულილაპტუ II 144_{27} გათხოვების დრო არ გადავიდოდა... ოჩილუ—ოქიმოჯუ... II 147_{2} ცოლის შერთვა—გათხოვება...

139. ჰან. **ქორ-** || **ქირ-** გაგრილება (ცხელისა), охладить

მეგრ. **ქირ-** გაშეშება, обомлеть

ქართ. **ქრ-** || **ქერ-** გაქრობა, исчезнуть

„წკარ დომიფუნი-ა, გალე დოდგი-ა დო დოქორას“-ჲ! უკულე წკარ ქორუ-ში, დოლუბუ დო ქამუღუ II 78_{19} წყალი ამიდუღეო, გარეთ დადგიო და გაცივდესო! მერე, როცა წყალი გაცივდა, დაუსხა და შემოუტანა... აწი ია ტუცა იყვენ, ორდო ვა აჭკომენან დო ტეფსი წკაის ქაგოშადგიფან. ე-ნა დოქიას, გედგიფან სინის დო გვაბღენან დო იმხონან I 153_{15} ახლა ის ცხელი იქნება, მალე ვერ ჰამენ და „ტაფას“ წყალში ჩადგამენ. რომ გაცივდება, „სინზე“

დადგამენ და შემოუსხდებიან და ჭამენ... ტუცა ტა-ში, გობაფან. ოდას ქოდოდგიფან დო დოქიუნ I 144_{28} როცა ცხელი იქნება, დაასხამენ [შერბეთს]. ოთახში დადგამენ და გაცივდება...

მეგრ.: დოქირუ — გაცივდა (ითქმის მოხარშულ ფხალზე, ცივ წყალს რომ დაასხამენ)... გოქირუ — გაშრა (მოულოღნელი უსიამოვნო ამბის გაგებისას)...

ქირ-, ცხადია, მიღებულია ქორ-ისაგან. ხოფური და მეგრული აქაც ისევე, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, **ი**-ან სახეობას გვაძლევს.

ჭან. **ქორ**-ს შეესატყვისება ქართ. **ქარ-**: ა-ქრ-ობ-ს... გაა-ქრ-ო... ქრ-ებ-ა — გა-ქრ-ა... ქრება ზმნას **-ე-** აქვს (გაქერ — გააქერ), ჭანურისა და მეგრულის მიხედვით ქართულში უნდა გვქონოდა **-ქარ-**; ნამდვილად კი გვაქვს **-ქერ-** (გაქერი — გააქერი); ასეთ პირობებში ან ჭანური და მეგრული ემყარება **-ქარ-** ვარიანტს, რომელიც ქართულში დიალექტურად უნდა არსებულიყო (შდრ. გაჭერი და გურ. გაჭარი) ან ამოსავალია **-ქერ-**, და ჭან., მეგრ. **ქორ-** ← **ქარ-** თვით ზანურ ნიადაგზეა მიღებული (რატომ?), ანდა **-არ-** || **-რ-** || **-ორ-** აფიქსებია და შესატყვისობა ფუნქციონალურია. უფრო სარწმუნოა ეს უკანასკნელი შესაძლებლობა.

მნიშვნელობა ჭანურში გადახრას იძლევა; ეს გადახრა მნიშვნელობის დავიწროებასა და კონკრეტიზაციას იძლევა: „გაქრობა“ კი არა — „სითბოს გაქრობა“...

მეგრულში გარდამავალი მდგომარეობა გვაქვს.

140. ჭან. **ნ-ქ-ორ-** მთქნარება, зевать
მეგრ. **ქ-ილ-** || **ქ-ირ-** „ „
ქართ. **მთ-ქ-ნ-არ-** || **ფ-ქ-ნ-არ-** „

ხჩინიქ მჭკიდის უკითხუპტას-ში, ანქორენ I 127_{29} დედაბერი რომ მჭადს ულოცავდეს („უკითხავდეს“), ამთქნარებს...

მეგრ.: მაქილონუაფუ(ნ) — მამთქნარებს, „მემთქნარება“... ქილონი, „ქიონი“, „ქირონი“ (ეს ორი უკანასკნელი მოჰყავს ი. ყიფშიძეს: მეგრ. გრ., ლექს., გვ. 344) — მთქნარება... „ფქირონგნქ“ — ვამთქნარებ (ი. ყიფშიძე, იქვე, ჯვარულზე მითითებით).

ჰანურის **-ო-** მეგრულში (**ჯვარულში**) **-ი-**თაა წარმოდგენილი; თავკიდური **-ნ-** ჰანურში განვითარებულია.

ქართულში **მთქნარება**-ს პარალელურად მოიპოება ფქნარება (საბა); ამ უკანასკნელში თავკიდური **ფ-** ისევეა განვითარებული, როგორც **-ნ-** ჰანურში; რაც შეეხება ქართ. **-ნ-**ს (**-ქ-ნ-არ-**), ის მართლდება იმით, რომ ქართულში ეს ფუძე მოქმედებითი გვარისაა (ჰანურსა და მეგრულში ვნებითისაა—ინვერსიული წყობისაა!).

ამგვარად, ისტორიულად ძირეულია მხოლოდ **ქ-**; **-ნ-** და **-არ-** ქართულში, **-ორ-** ჰანურში, **-ირ-** || **-ილ-**—მეგრულში აფიქსები უნდა იყოს.

141. ჰან. **ქოს-** წმენდა, чистить

მეგრ. **ქოს-** წმენდა, დაგვა, ხვეტა, чистить, вытирать, подметать

ქართ. **ხოც-** მო-ხოც-ა, წარ-ხოც-ა вытирать, подметать...

ქონთრაში, ე-ნა ვა იქოსერენ, ჯერეფე ფქოსუფ... I 77_{15} ფეხსაცმლის იმ ადგილებს, რომლებიც არ არის გაწმენდილი, ვწმენდ... ფოთინი ოქოსუს ქოგჯოჭკუ I 77_{9} ფეხსაცმლის წმენდა დაიწყო...

მეგრ.: ოთახი გოქოსუ—ოთახი დაგავა... ოზეს ქოსუნს—ეზოს გვის... სტოლი გეგინოქოსუ—მაგიდა გადაწმინდა... პიჯი გ̄ქოსუ—პირი შეიხოცა... ჩხვინდი მ̄ქოსუ—ცხვირი მოიწმინდა („მოიხოცა")... დიხას გ̄ქოსუ—მიწიდან აწმინდა („აღხოცა")... ქირქ წიწილა დოქოსუ—ქორმა წიწილი გაიტაცა („გააქრო", „აღხოცა")... პიშ-ქოსალი—პირსახოცი...

ძვ. ქართ.: წარ-ჴოცა... აღ-ჴოცა (=აღგავა)... ახ. ქართულის: ხელ-პირის შეხოცა, პირსახოცი... იმავე ძირის იმავე მნიშვნელობით გამოყენებას გვაჩვენებენ, რაც მეგრულში და, ნაწილობრივ, ჰანურში გვაქვს.

ჰანურისა და მეგრულის ჩვენებათა მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ქართ. **კოც-~კოს-**...

საგულისხმოა ქართ. **კ**-ს შესაბამისად ჰანურსა და მეგრულში **ქ**-ს გამოვლენა (აგრეთვე: **ბკცე**—ჰან. **ქჩე** (იხ.).

142. ჭან. **ქოტ-** ‖ **ქიტ-** დახვევა (პაპიროსისა), свертывать папироску

მეგრ. **ქიტ-** შეხვევა, შემოხვევა, обматывать, повязать

ქართ. —

ჰეში მოთ ქოტუმ? სი ვა გიჩქინ ოქოტუ, მა დოგიქოტა! დოფქოტი დო, აჰა, ოშვი II 69_{19} ისე რად ახვევ [თამბაქოს]? შენ არ იცი დახვევა, მე დაგიხვევ! დავხვიე და, აჰა, მოსწიე! (შდრ. „დოკორუმს ძიგარა“—„დაახვევს პაპიროსს“ II 22_{21}).

მეგრ.: კუჩხიშა ქიგიქიტუ—ფეხზე შემოიხვია (ნაჭერი)... გექიტალი—ფეხზე შემოსახვევი (წინდის მაგიერ ანდა წინდის გარეთ)...

ხოფური **ქიტ-** მიღებულია **ქოტ**-ისაგან (იხ. ზემოთ სხვა მსგავსი მაგალითები); ხოფურს მიჰყვება მეგრული: ქიტ-.

მნიშვნელობა მეგრულში უფრო ფართოა, ვინემ ჭანურში (ჩვენი მაგალითის მიხედვით).

ნ. მარს მოყავს **ქოტ-** — ათინურისათვის, **ქიტ-** — ხოფურისათვის და განმარტავს მის მნიშვნელობას ასე: сложить (plier)—ე. ი. მიმატება. სამწუხაროდ, სათანადო გამოთქმები მოცემული არ არის. დღეს-დღეობით გამოქვეყნებული ტექსტები ამგვარ მნიშვნელობას არ ადასტურებს.

ქართულში ეს ძირი არა ჩანს.

143. ჭან. **ქუ-ნ-**: ქოდოლო-**ქუნ**-უ ჩაცმა, одевать, -ся

მეგრ. **ქუ-ნ-**: ქიმგკა-**ქუნ**-უ ჩაცმა, დახურვა, одевать,-ся, покрывать, накрывать

ქართ. **-ქვ-**: (სა-რ-**ქვ**-ელ-ი) „სახურავი“, покрышка (винного кувшина)

სვან. ǯთ-**ქუ-ემ** ჩაცმა, одеваться

გალე-ნა დოლოქუნს—ფორკა I 151_2 გარეთ რომ აცვია—„ფორკა“... ოხორჯა ნა-ენ, ვა უჩქინან: ქომოლიში დოლოქუნუ დოლოქუნს II 17_{24} ქალი რომ არის, არ იციან: ქმრის ტანისამოსი აცვია... აჰა, ქურქი, ქოდილიქუნი I 3_{31} აჰა, ქურქი,

ჩაიცვი... ქოდილიქუნუ მუში ოხორჯაქ ხჩე დოლოქუნი I 39_6 ჩაიცვა მისმა ცოლმა თეთრი ტანისამოსი...

მეგრ.: პალტო მიკაქუნს—პალტო აცვია... ოსარე დინაქუნს—პერანგი აცვია (შიგ)... ნაბადი ქიგნაქუნუ—ნაბადი წამოისხა... ცხენს ნაბადი ქიგნაქუნუ—ცხენს ნაბადი გადააფინა... ლეხი ჯგირო დოქუნუ—ავადმყოფს კარგად დახურა...

ქართ. სარქველი: „სარქუელი—ჯურის პირსაფარი"...
სვან.: ლერექუ—ტანისამოსი... ათქუემ—ჩაცმა...
ამგვარად **ქუ**- ძირი ყველა ქართველურ ენაში დასტურდება; ოღონდ ყველაზე ნაკლებ ის ქართულშია გამოყენებული (ყველაზე მეტად—მეგრულსა და ჰანურში). ქართულში მის მაგივრობას ეწევა **ცვ**- || ძვ. ქართ. **ცუ**- ძირი.

ქუ-ს ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „ხურვა": „ხურავს", „ახურავს" (ე. ი. აცვია კაცს, ხურავს ჯურს... და სხვ.).

144. ჭან. **ქურჩ**-ოლ- სიმინდის დაფშვნა, молотить кукурузу

მეგრ. **ჩიჩ**-ოლ- „ „
ქართ. **ქურჩ**-: [ნა-**ქურჩ**-ალ-ი]

. ლაზუტი, დოხომა-შ-კულე, სერენთიშე გეიმელან დო დოქურჩოლუმან... დოქურჩოლუმან—ხეთე, დონჩხვარუმან—ონჩამურეთე II 60_{35} სიმინდი რომ გახმება, სასიმინდიდან ჩამოიტანენ და დაფშვნიან... „დოქურჩოლუმან" (დაფშვნიან)—ხელით, „დონჩხვარუმან" (დაცეხვავენ)—„ონჩამურე"-თი („საცემარით")...

სიმინდის ფშვნისაოვის რომ ქართულშიც უნდა გვქონოდა ამავე ძირის (**ქურჩ**-) ზმნა, ჩანს სიტყვიდან: „ნა-**ქურჩ**-ალ-ი"—სიმინდის ტაროს შიგნითა ნაწილი, რაზედაც მარცვლებია...

მეგრული **ჩიჩ**-ოლ- იმავე **ქურჩ**- ძირს უნდა შეიცავდეს: **ქუჩ**- → **ქიჩ**- → **ჩიჩ**-... უ → ი მეგრულისთვის ბუნებრივია; ქ → ჩ შეიძლება ასიმილაციის ნიადაგზე წარმომდგარიყოს...

რაც შეეხება **რ**-ს (ქურჩ-), უფრო საფიქრებელია ჭანურსა და ქართულში ის განვითარებული იყოს, ვინემ მეგრულს დაჰკარგვოდეს... ამის სასარგებლოდ ისიც ღაპარაკობს, რომ ქართულში **უ-რ**-აეო ვარიანტიც მოგვეპოვება (ნა-**ქუჩ**-ალ-ი).

145. ჭან. **ჭ**-ინ-(‖ **ხჭ**-): დი-**ჭ**-ინ-უ გაჭაღარავება, გათეთრება, поседеть, стать белым

მეგრ. **რჩ**-ინ-: დ̄-**რჩ**-ინ-უ დაბერება, состариться

ქართ. მ-**კც**-ე ჭაღარა, седина

ბადი იას-ი—დ ი ქ ჩ ი ნ ე ნ, ქჩე იენ II 112_{29} რომ დაბერდება („მოხუცი რომ გახდება“), გაჭაღარავდება, გათეთრდება („თეთრი გახდება“)... ბინჯი დინჩხვაუ, **დ ი ხ ჩ ა ნ უ** (ხ ჩ ე დიყვუ...) I 138_{14} ბრინჯი გაიცხვა, გათეთრდა (თეთრი გახდა...).

მეგრ.: თე კოჩქ დ̄ რ ჩ ი ნ უ —ეს კაცი დაბერდა... თიში ოსურქითი დ̄ რ ჩ ი ნ უ —მისი ცოლიც დაბერდა...

ი ქ ჩ ი ნ ე ნ — ნასახელარი ზმნაა; მას საფუძვლად უდევს ქ ჩ ი ნ-სახელის ფუძე (იხ. **ჭჩინ**-), რომელიც, თავის მხრივ, **ჭჩე**- ‖ **ხჩე**-ს ემყარება (იხ. **ჭჩე**).

ხჩე- ‖ **ჭჩე**-ს შესატყვისია მ ჭ ც ე, მაგრამ ამისაგან ნაწარმოები ზმნა ქართულში არა გვაქვს.

ზემოხსენებულ ნასახელარ ზმნას მეგრულში გადატანითი მნიშვნელობა აქვს („დაბერებას“ აღნიშნავს), ჭანურში პირვანდელი მნიშვნელობა შეუნარჩუნებია („გაჭაღარავება“, „გათეთრება“). „გაჭაღარავება“ ჩვეულებრივ დაბერების ნიშანია; გასაგებია ამიტომ, მეგრულში ამ ზმნის მნიშვნელობა როგორ იცვალა.

146. ჭან. **ღ**-: ი-**ღ**-უ ღება, ტარება, нести

მეგრ. **ღ**-: ი-**ღ**-უ „ „ „

ქართ. **ღ**-: ი-**ღ**-ო „

მაჟუა ბოჭკა-თი ი ღ უ, ჰე-თი ჰეში ქოგამაჩუ II 43_{27} მეორე ბოჭკაც წაიღო, ისიც ისე გაყიდა... ფარა მუში ი ღ უ დო გერი ქომეჩუ II 13_{24} მისი ფული წაიღო და დაუბრუნა... ხამი ბ ი ღ ი დო... ქომეშაბდვი II 18_{22} დანა წავიღე და... შევდევი... მა ჩხომი ბათომიშა ბ ი ღ ა მ II 5_{5} მე თევზს ბათომს წავიღებ (ბათომში მიმაქვს)... ბათომიშა ბ ი ღ ა მ ტ ი-შა-ქის... II 27_{31} სანამ ბათომში წავიღებდი...

მ ე ნ დ ი ღ უ ნოღაშე II 43_{27} წაიღო ქალაქში (ბაზარზე)... ქოთუმე-თი მ ი ნ დ ი ღ უ I 37_{32} ქათამიც წაიღო... ჰაწი ქ ო მ ო ი ღ უ I 7_{8} ახლა მოიტანა... მაღაზაში საჰებიქ... კუმი ქ ო მ უ ღ უ I 49_{16} მაღაზიის პატრონმა... სილა მოიტანა... თილქიქ... ნენა ვარ ი შ ი ღ უ I 69_{14} მელამ ხმა არ ამოიღო („სიტყვა არ ამოიღო“)... მუამედიქ ქ ე შ ი ღ ა მ ს ტაბაკა II 22_{21} მუჰამედი ამოიღებს თამბაქოს... თუდე ქ ა გ ი ღ ეს I 22_{14} ძირს ჩაიტანეს... მგეიქ თი ა მ ი ღ უ II 12_{8} მგელმა თავი ამოყო („ამოიტანა“, „ამოიღო“)... ჯებეს ხე დ ი ლ ი ღ უ დო ვით ასთანი ქ ი შ ი ღ უ I 9_{33} ჯიბეში ხელი ჩაიყო („ჩაიტანა“, „ჩაიღო“) და ათი „ასთანი“ ამოიღო... კოჩეფეს ფარა გ უ წ უ ღ უ I 22_{17} კაცებს ფული გამოართვა... არგუნი გ უ წ უ ღ უ I 22_{17} ნაჯახი გამოართვა...

მეგრ.: იღუ, იღუ დო მუჯოთი რდგ-ნი, ქ ი მ ი ღ უ—ატარა, ატარა („იღო, იღო“) და როგორც იყო, მიიტანა... მა ჩხომს ვ ი ღ ა ნ ქ—მე თევზს წავიღებ... მ ი დ ე ღ უ დიშქა—წაიღო შეშა... ჭ გ მ ე ღ უ ქობალი—მოიტანა პური... გ ე შ ე ღ უ ღვინი ლაგვანიშე—ამოიღო ღვინო ჭურიდან... ი ხორილიშა გ ე დ ნ ე ღ უ— თხრილში ჩაიტანა... ფარა გ ე გ ი წ უ ღ უ—ფული გამოართვა... ფარა მ ი დ უ ღ უ—ფული წაართვა... ჰვიმაქ გ ი ნ ე ღ უ—წვიმამ გადაიღო და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ქართული რიგ შემთხვევაში იყენებს იმავე (-ღ-) ძირის ფუძეს, როგორც ჰანურში (წ ა ი ღ ო, ა მ ო ი ღ ო, გ ა დ ა ი ღ ო...), მაგრამ ზოგჯერ სხვა ფუძეებს მიმართავს (მ ო ი ტ ა ნ ა, გ ა მ ო ა რ თ ვ ა...).

აღსანიშნავია, რომ ძვ. ქართულში „მოიტანეს“-ის ნაცვლად იხმარებოდა „მოიღეს“, „წაართვეს“-ის წილ—„წარუღეს“... ამგვარად, ამ შემთხვევაში ძვ. ქართული უფრო ახლოს იდგა ჰანურთან და მეგრულთან ღ- ძირის ხმარებაში, ვინემ ახალი ქართული.

ღ- ძირისაგან ნაწარმოები ფუძეები ჰანურში თითქმის ყოველთვის დროთა მეორე (და მესამე) ჯგუფში იხმარება; აწმყოს ჯგუფში სხვა ფუძეა (მოვი-**მერ**, ეშავი-**მერ**, მენდავი-**მერ**...) გამოყენებული. მხოლოდ აქა-იქ ვიწურ-არქაბულში ვხვდებით აწმყოს ჯგუფშიც ღ- ძირისაგან ნაწარმოებ ფუძეს (იხ. ზემოთ მაგალითები).

მეგრულში აწმყოს ფუძეც ღ-საგან ი წ ა რ მ ო ე ბ ა: მ ე მ ი ღ უ (ნ)—მიმაქვს, მ ო მ ი ღ უ (ნ)—მომაქვს, ე შ ა მ ი ღ უ (ნ)—ამომაქვს, მ ი დ ვ უ ღ ა ნ ქ—ვართმევ... და სხვ.

ეგევე ძირი ღ- უნდა გვქონდეს ზმნაში უ-ღ-უ-ნ—აქვს (იხ. ქვემ.).

147. ჭან. უ-ღ-უ-ნ აქვს, имеется т. е. у него
მეგრ. უ-ღ-უ-(ნ) „ „ „ „
ქართ. —
სვან. ხუ-ღ-უ̂-ე „ „ „ „

(მარქვალის) ხეჭეპა ხჩე უღუნ, ...ცილი ხჩე უღუნ I 164_4 კვერცხს ნაჭუჭი თეთრი აქვს, ...ცილა თეთრი აქვს... დემირჯეფესნა უღუნან, ორსი ჯოხონს II 69_{15} მჭედლებს რომ აქვთ, გრდემლი ჰქვია... კაი სკირაფი უღუტუ II 55_{18} კარგი სამართებელი ჰქონდა...

სხვა პირის ფორმები (გიღუნ, მიღუნ... გიღუტუ, მიღუტუ...) იმდენად ჩვეულებრივია და უცვლელად იხმარება, რომ მაგალითებით ილუსტრაცია ზედმეტად მიგვაჩნია...

მეგრ.: ჭკადუს უღუ(ნ)—მჭედელს აქვს... ჭკადუენს უღუნა(ნ)—მჭედლებს აქვთ... სი გიღუ(ნ), მა მიღუ(ნ)—შენ გაქვს, მე მაქვს... ჭკადუს უღუდუ - მჭედელს ჰქონდა... სი გიღუდუ, მა მიღუდუ—შენ გქონდა, მე მქონდა...

შდრ. სი გიღუ(ნ)—შენ გაქვს—და: სი მეგიღუ(ნ), მოგიღუ(ნ), ეშაგიღუ(ნ), დინმოგიღუ(ნ)—შენ მიგაქვს, მოგაქვს, ამოგაქვს, ჩაგაქვს (რაღაცაში)... ყველგან იგივე „გაქვს“-აა სხვადასხვა პრევერბით მეგრულშიც და ქართულშიც.

აუხსნელი რჩება: 1. რატომ არ არის ასეთივე მდგომარეობა სვანურში, რომელიც „ქონა“-ს მნიშვნელობით ხუ-ღ-უ̂-ე-საც ხმარობს, და 2. რატომ ქართულში ღ- ძირი, საერთოდ, გამოყენებულია, მაგრამ „ქონა“-ს მნიშვნელობით არა! სვანურს „ქონა“-ს მნიშვნელობით სხვა ზმნებიც აქვს, „ხულუე“ ზანურიდანაა, ალბათ, შეთვისებული (და მისთვის ძირითადი არ არის); ქართულშიც ღ- ძირისაგან ნაწარმოები ფუძეების გამოყენების შეკვეცა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ეს ძირი მხოლოდ გარკვეული კილოს კუთვნილება იყო და იქაც ისე ფართოდ გამოყენებული არ ყოფილა.

ყოველ შემთხვევაში ღ- ძირს ჭანური და მეგრული ყველაზე ფართო სარბიელს უქმნიან.

152. ჰან. **ღირ-** რისამე მოღერება, ч.-л. замахнуться
მეგრ. **ღერ-** ღერო, стебель
ქართ. **ღერ-** || **ღირ-** მოღერება, замахнуться

ტოფელი ნოღირამან II 21_{19} თოფს უმიზნებენ, „უღერენ“... ნოღირუ ტუფელი II 21_{24} „მოუღირა“ თოფი...

ცხადია, ეს იგივეა, რაც ქართ. **ღერ-** || **ღირ-** ზმნა (მოღერება— „ჭელის გინა ჯოხის საგუემრად დაღერება“ საბა). ამ ფუძეს ხმოვნის მონაცვალეობა ახასიათებს: აწყოში—**ე**: **ღერ-**, აორისტში—**ი**: **ღირ-**; ჰანური ამ უკანასკნელი სახეობის ფუძეს იყენებს.

მოღერება ღეროსა-გან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა ჩანს. (შდრ. ჯოხი მოუღირა... ყელი მოიღირა... ყელი მოუღერებია...); ამდენად **ღერ-** || **ღირ-** ძირი სამივე შესადარებელ ერთეულში გვაქვს. ამ ძირიდან ზმნა იწარმოება ქართულსა და ჰანურში; მისი მნიშვნელობა ერთნაირი იქნება.

153. ჰან. **ღოდ-**: დო-**ღოდ-**უ ქმნა (უქნა, დაემართა), делать к.-л. ч.-л., случаться с к.-л. ч.-л.
მეგრ. **ღოლ-**: ქო-**ღოლ-**უ „ „
ქართ. —

დუშმანობა ოღოდუ არაპიქ II 16_7 უმტრო („მტრობა უქნა“) არაბმა... „ჰეას მუ ბოღოდი, ქოგიჩქინ-ი“-ა? II 33_8 იმას რა ვუყავი, იციო?... ჰაშო ბოღოდით ჩქუ ორჭაეფექ II 50_{29} ასე ვუყავით ჩვენ ორჭელებმა... „ჰადას მუ ბოღოდათ ჩქუ“-და?! II 38_3 ამას რა ვუყოთ ჩვენაო?... ქეთოს ეკო კაი ოღოდეს-ქი... I 30_{36} ქეთოს ისე კარგად მოეპყრნენ („იმდენი კარგი უყვეს“)... ჩხე აღოდეს, იძაბუნეს II 20_{12} ციება დაემართათ, დაავადმყოფდენ... მიწვი, მუჭო გაღოდუ? II 6_{16} მითხარი, როგორ დაგემართა?... ია კუჩხეფეს მუ გაღოდუ? I 68_6 იმ ფეხებს რა დაემართა („ფეხებში რა მოგივიდა“)?.. არ კოჩის... მუ დულდა აღოდუდორენ... II 51_{19} ერთ კაცს... რა დამართია... ხოშ გელდუნ-და, ოღოდეს II 38_{16} მობრძანდიო, უთხრეს... თილჩი ვა ღურუ, ამმა ოინი ოღოდამს დერემენჯის II 100_9 მელია არ მოკვდა, მაგრამ ოინს უშვრება მეწისქვილეს...

მეგრ.: თენა თიქ ღოლუ—ეს იმან უქნა... წამალო თენა ქოღოლი!—წამლად ეს უყავი... მუთუნი ქოღოლი!—რამე უყავი!.. ვა ღოლა!—ნუ შვრები! (არა ქნა!)... მუქ აღოლუ—რა დაემართა... მუ აღოლე(ნ)—რა დაემართება... მუს ღოლანს—რას უზამს...

ჰანური **ღოდ-** და მეგრ. **ღოლ-** ისეთსავე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც ქართ. მოწვედი და მოხველი: **-დ-** ‖ **-ლ-** დიალექტური ვარიაციაა.

ნ. მარის ჩვენებით ოღოდუ ხოფურია; ზემოთ მოყვანილია მაგალითები ამ ფუძის ხ'არებისა არქაბულსა და ათინურ ტექსტებშიც[1].

ქართულში შესატყვისი ფუძე არა ჩანს.

154. ჰან. **ღორ-**: ქო-დი-მ-**ღორ**-უ — ყვირილი, ბღავილი, реветь, мычать

მეგრ. **ღორ-**: მი-ო-**ღორ**-უ — „ „

ქართ. **ღრ-**: და-ი-**ღრ**-იალ-ა — реветь

„ცაჰ"-და დო ქოდიმღორუ II 78_{11} ცაჰ-ო და დაიყვირა... ეშშეღიქ არ ქოდიმღორუ I 70_{15} ვირმა ერთი დაიყროყინა („დაიყვირა")... მგეიქ ...კოჩის ქონაკაპუ: კოჩიქ მღორუ II 51_{12} მგელი კაცს ეცა: კაცმა ყვირილი მორთო... ჰაწი ხოჯაქ მღორამს II 32_{37} ახლა ხოჯა ყვირის... ფუჯიქ მღორაფს I 166_{7} ძროხა ბღავის (ბღავილი იცის)...

მეგრ.: კოჩქ ღორუ—კაცმა ყვირილი მორთო... მიგგდგარენი ღორანს—ვიღაც ყვირის... ჩხუ (‖ ჩხოუ) ღორანს—ძროხა ბღავის...

ქართულ დაიღრიალა-ში იგივე ძირი გვაქვს, უხმოვნო: მომდევნო სუფიქსის ზეგავლენით დაკარგულია ძირეულია ხმოვანი.

მნიშვნელობა ყველგან არსებითად ერთია („ღრიალი—უკაფიო ყვირილი"—საბა); მაინც ჰანურში ეს მნიშვნელობა უფრო ზოგადია, ვინემ მეგრულში; ქართულში—კიდევ უფრო, ვინემ ჰანურში (არც ძროხის, არც ვირის შესახებ არ ითქმის „ღრიალებსო": ძროხა ბღავის, ვირი ყროყინებს)...

[1] აქ ოღოდუ ზოგჯერ „უთხრა"-საც ნიშნავს.

155. ჰან. **ღორ-** მოტყუება, обмануть, быть обманутым
მეგრ. **ღორ-** „ „ „ „
ქართ. **ღორ-** „ „ „
სვან. ლი-**ღრ**-ოვ-ი „ „ „ „

ბერე კითხერი-ვა რტუკონ-ნა, მ ო ღ ო რ დ ა ს უ ნ ტ უ, ჰამმა ბერე კითხერი-ნა ტუ-შენი, ფურუნჯის ვა მ ა ღ ე რ დ ი ნ უ... ფურუნჯი ქ ა მ ო ღ ო რ დ უ I 19_{6-8} ბავშვი რომ ნასწავლი არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა, მაგრამ იმიტომ, რომ ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა... მეფურნე მოტყუვდა... მა მსქვანას მ ო ბ ღ ო რ დ ი II 19_{21} მე სილამაზეზე მოვტყუვდი... ხოჯაფექ... მილლეთი ო ღ ე რ დ ი ნ ა პ ტ ე ს I 112_{30} ხოჯები ქვეყანას ატყუებდენ...

მეგრ.: ბაღანა დ ა ღ ო რ უ —ბავშვი მოატყუა... ბაღანაქ დ ე ღ ო რ უ — ბავშვი მოტყუვდა... ბაღანა ა ღ ო რ ე ნ ს —ბავშვი ატყუებს...

ქართულში „მოტყუება“ იხმარება ამ მნიშვნელობით, მაგრამ „ღ ო რ ე ბ ა“-ც არ არის უცნობი; ს ა ბ ა ს ლექსიკონში შეტანილი აქვს: „**მოღორება**—მოტყუება“.

სვანურშიაც იხმარება ეგეგე ძირი.

ჰანურშიც, მეგრულშიც ვნებითი გვარი **ღორ**-ს იყენებს ძირად, (ვნებითი მეგრულში **ი**- პრეფიქსითაა ნაწარმოები, ჰანურში **დ**- სუფიქსით), მოქმედებითი გვარისათვის **ღერ**-აა ჰანურში გამოყენებული. ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ **-ორ-** || **-ერ-** ძირეული არაა, აფიქსია.

156. ჰან. **ღურ-** კვდომა, умирать
მეგრ. **ღურ-** „ „
ქართ. —
სვან. და-**გრ**-ა „ „

კოჩი... ღ უ რ უ ნ I 128_{17} კაცი კვდება... კოჩი დ ო ღ უ რ უ I 129_{28}, II 116_{18} კაცი მოკვდა... ბაბა დ ო მ ი ღ უ უ... I 5_{18} მამა მომიკვდა... სჭირი, ბ ღ უ რ უ რ II 122_{6} შვილო! ვკვდები... სი ქოგიჩქინ, მა მუნდეს ბ ღ უ რ ა რ ე II 8_{27} შენ კი იცი, მე როდის მოვკვდები... „სჭანი გური დო ჯიგერი ეშაგიმერ დო დ ო გ ო ღ უ რ ი ნ ა ფ“-და I 41_{6} შენს გულსა და ღვიძლს ამოგაცლი და „მოგკლავო (მოგაკვდენო“)...

მეგრ.: ლეხი ღურუ(ნ) —ავადმყოფი კვდება... ლეხიქ ვა ღურუ—ავადმყოფი არ მოკვდა... მუმაქ დუ ღურუ—მამა მოუკვდა... ღურელი—მკვდარი... მაღურუუ—მომაკვდავი... მოღურუუ—დასუსტებული, დაჩიავებული... უღურუ—უკვდავი... ღურა-დღა—სიკვდილის დღე... ღურუ—სიკვდილი, „სიკვდილის ანგელოზი“...

სვან. და-**გრ**-ა-ში ძირეულია **გარ**-: ხუი-დ-**გარ**-ი—ვკვდები... **ა**-ს დარბილება **ი**- სუფიქსითაა გამოწვეული. -**გარ**-ში **გ**- გვაქვს ჭანური **ლ**-ს ადგილას (შდრ. ჭან. **ღარღალ**-ი და სვ. **გარგლა**...). თავკიდური **და**- ნივთის კატეგორიის ნიშანი უნდა გვქონდეს (**და**- || **ნა**- || **სა**-)... ქართულში **ღურ**- || **გარ**- ძირი არ მოგვეპოვება.

თვით ჭანურში, მეგრულსა და სვანურში ეს ძირი შეიძლება შეთვისებული იყოს.

157. ჭან. **ყვ**- || **ჳვ**- || **ჲ(ვ)**- ქმნა, „ყოფა“, делать
მეგრ. **ჳვ**- „ „ „
ქართ. **ყვ**- || **ყავ**- „

ხოფ.: ართეის უწუ'ჭკულე, ვა ყუ I 28_{31} ერთს რომ უთხრა არა ქნა („არა ყო“)... ფურუნი დოყუ I 5_{30} ფურნე გააკეთა... სესი იყუ I 28_{3} ხმაურობა შეიქნა... მუ იყუ? I 16_{34} რა იყო? („რა, მოხდა?“)... მუქ რაზი ვა იყვუ-ნა... I 126_{18} თვითონ თუ თანახმა არ გახდა... ხაზინაში კუმანდაი ია იყვას! I 50_{4} ხაზინის უფროსი ის იყოს... ჯალი ფარჩა-ფარჩა დიყუ I 60_{24} სარკე დაიმტვრა („ნაჭერ-ნაჭერ იქცა“)... ბადის ონჯღოე აყუ I 27_{25} მოხუცს შერცხვა („სირცხვილი ეყო“)... თამამ ვიტოხუთ ლია დვაყუ I 5_{22} სრული ხუთმეტი ლირა გაუხდა (შეუგროვდა)... მცუდი ეშო იყვენ I 5_{26} ტყუილი ასე იქნება... ვიწ.-არქ და ათინ.: „ჰა მიქვუ, დომიწვით“-ჯა II 36_{19} ეს ვინ ქნა („ყო“), მითხარიიო... ბერე ჯურ წანერი დიცუ II 121_{24} ბავშვი ორი წლისა გახდა... ონდღე დიცვუ II 1_{12} შუადღე „შეიქნა“, „გახდა“... ქორბა დვაცუ II 124_{9} დაორსულდა („მუცელი შეექმნა“)... უკულე სუმ ბიჭი დვაო II 119_{26} მერე სამი ბიჭი ეყოლა... ბოზომოთა თოლეფე ვორსი დვაჲუ II 93_{1} ქალიშვილს თვალები კარგი გაუხდა (გამოუმთელდა)... თოლი ქოგანწკუ. კაი დივუ II 19_{9} თვალი აეხილა. „კარგი გახდა“... ბჯახა-ის, ჩუჩქუ ივენ II 2_{31} როცა დავბეგვავ [აბედს], რბილი იქნება... დიდო შჭიმა-ში, ჭანჭახი ივენ II 70_{6} როცა ბევრს იწვიმებს, ტალახი იქნება... ოხრასქირი მუშის ონჯღორე ავუ II 18_{17} მის მაზლს შერცხვა...

მეგრ.: მუქ ი ც უ? — რა იყო? რა მოხდა?.. სო ი ც ი (ნ) (‖ იცე(ნ)— ჯვარ.)—სად იქნება?.. სიმინდქ ა ც უ—სიმინდი მოუვიდა, სიმინდის მოსავალი ჰქონდა... ცანჭიქ ა ც უ—აბრეშუმის ჭიამ პარკი გააკეთა, არ გაუფუჭდა... ნარაგადუ ი ც ი—ნათქვამი იქნება... ნარაგადუ ა ც ი—ნათქვამი ექნება... თინა თექ ი ც უ ა ფ უ (ნ) —ის იქ იქნება...

ახ. ქართულში „ქმნის“ მნიშვნელობით **ყო-** ზმნა იშვიათია: „რა ყო“, „რა ყოს“—ახლა არ ითქმის; მისი ნაცვალია: „რა ქნა“, „რა ქნას“... შეგვრჩა მხოლოდ საობიექტო ქცევის ფორმები: შეხე, რა უყო იმას, რა მიყო მე, რა გიყო შენ... (ე. ი.: რა უქნა მას, რა გიქნა შენ, რა მიქნა მე...), მაგრამ აწმყოში: რას უშვრება, რას გიშვრება, რას მიშვრება... პრევერბების (**მი-**, **გა-**) დართვისას **-ყო** მნიშვნელობას იცვლის: ხელი მ ი ყ ო... შუაზე გ ა ყ ო...

ვნებითი გვარის—ი ყ ო: რა იყო? სად იყო?—ახალ ქართულში სემასიოლოგიურად სრულებით მოწყვეტილია ყო-ს და ვ ა რ- ზმნის ნამყოს როლს ასრულებს. ე ყ ო კიდევ სხვა მნიშვნელობისაა: იმას ე ყ ო...

ძვ. ქართულში ჰ ყ ო ფ ს და ი ყ ო ფ ვ ი ს, ყო და ი ყ ო უფრო ფართოდ არის გამოყენებული, ვინემ თვით ჰანურში: ჰანურში აწმყოში სხვა ძირი ენაცვლება ამ ზმნას (ი-**ქომ-**), ძვ. ქართულში კი აწმყოშიც იგივე ძირი გვაქვს: ჰ ყ ო ფ ს... შემდეგ: აწმყოსაგან ნაწარმოებ დროში: ჰ ყ ო ფ დ ა... ჰ ყ ო ფ დ ე ს...

აწმყოში მოქმედებითი გვარის წარმოებისას **ყვ-** ‖ **ცვ-** ძირს მეგრულიც გვერდს უვლის, სხვა ზმნები — ო რ თ უ (ნ), ქ ი მ ი ნ უ ნ ს— არის ხმარებაში, აორისტშიც—ეგევე ზმნები თანდათანობით ავიწროებენ **ყვ-** ‖ **ცვ-** ძირს (ვნებითის წარმოებისას კი **ცვ-** ძირის უფლებები დაცულია).

ძვ. ქართულის ჩვენება, მეგრულისა და ჰანურის ტენდენციები იმას მოწმობენ, რომ ჰანურშიცა და მეგრულშიც წ ი ნ ა თ **ყვ-** ‖ **ცვ-** ძირი ისევე ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც ძვ. ქართულში...

ამ ძირის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ა რ ს ი ს ა და მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს შესახებ აქ ამას შეიძლება დავჯერდეთ.

რაც შეეხება ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, ყველაზე მეტ ვარიაციებს იძლევა ჰანური; სახელდობრ: ხოფურში გვაქვს: **ყვ-** (**უ**-ს წინ—**ყ-**); ვიწურარქაბულსა და ათინურში: **ცვ-** ‖ **ვ-** ‖ **ჲ** (იხ. მაგალითები ზემოთ). ზოგჯერ ძირეული მასალა სულ იჩრდილება: ა ე ნ — ა-ცვ-ე-ნ[1]...

---

[1] ძირის მასალა იკარგება აგრეთვე S_1 პ-ს უშუალო მეზობლობაში: **პცი** — **პი**... **პცა** — **პა**...

მეგრული **ცვ-** იმეორებს ვიწ.-არქაბულ ძირითად ვარიანტს. **უ-**ს წინ **ვ-** აქაც იკარგება.

ქართული **ყვ-** ← **ყავ-**: მე ვყავ, შენ ჰყავ, მან ყო ← ყვა ← ყავ-ა.

აღსანიშნავია, რომ ამ ძირთან ხმოვანი არც მეგრულს გააჩნია, არც ჭანურს — ქართულს კი ზოგ ფორმაში შერჩა.

-ავ, -ევ ქართულში აფიქსებია—სახელებში... ეს კითხვის ქვეშ აყენებს ყავ-ში **-ავ**-ს. ეს კი ნიშნავს: ძირეულად **ყ-** უნდა დავსახოთ ართულში, **ყ-** || **ც-** ჭანურსა და მეგრულში.

ამ **ყ**-ს გვერდში ამოუდგება **ყ-** აფხაზურისა (სც-**ყ**-ოუპ—მე ვარ), მაგრამ ამასთან ერთად სხვა საკითხებიც დაისმის და ამიტომ აქ **-ავ**-ის საკითხს ღიად ვტოვებთ.

ძირია თუ ფუძე, **ყავ-** || **ყვ-** ქართული და **ყვ-** || **ცვ-** ჭანურ-მეგრული ერთი და იგივე ოდენობაა.

158. ჭან. **ყვარ-** დაკოდვა, холостить
მეგრ. **ყვარ-** „ „
ქართ. **ყვერ-** testiculum

ჯოლოი ყვარუფს... I 6_{18} ძაღლს კოდავს... ხოჯი ყვარუფან I 166_{4} ხარს კოდავენ...

მეგრ.: ღეს, ცხენს ყვარუნა(ნ)... ხოს, ოჩის, კიდუნა(ნ)—ღორს ცხენს კოდავენ... ხარს, ვაცს... კოდავენ.

ჭან. ყვარუფს, მეგრ. ყვარუნს ნასახელარი ზმნაა. ამჟამად ამ სახელის ფუძეა: ჭან. კვაჯ-, მეგრ. ცვაჯ-, ზმნაში კი გამოყენებულია ყვარ- (შდრ. ქართ. ყვერ-). **რ** → **ჯ**, ჩანს, მეორეული მოვლენაა.

159. ჭან. **ყვილ-** || **ცვილ-** || **ცილ-** || **ჭილ-** || **-ილ-** კვლა, убивать
მეგრ. **ცვილ-** „
ქართ. **კლ-** || **კალ-** „

„ახმედი, მსქვერი დოყვილი-ი-მა?“ ახმედიქ—„დოპილი“-ა... ახმედიქ-ნა ყვილუ, მსქვერიშა ვიგზალი I 96_{23} „ახმედ, ირემი მოკალი მეთქი?“ ახმედმა—„მოვკალიო“... წავედი იმ ირმისაკენ, ახმედმა

რომ მოკლა... კოჩიქ ლივეითე ოხორჯა დ ო ყ ვ ი ლ უ ე-დო იმტუ I 23_{19} კაცმა რევოლვერით ცოლი მოკლა და გაიქცა... აღაში ჯუმალეფე დ ო ი ლ ე ს... ჟურენეჩი კოჩი დ ი ი ლ უ II 10_{25} ბატონის („აღას“) ძმები მოკლეს... ორმოცი კაცი მოიკლა... ართეღი კოლი ვარ ა ჲ ი ლ ე ს II 21_{20} ერთი კალია ვერ მოკლეს... ავჯი მთუთი ც ი ლ უ ჲ... ავჯი მთუთი დ ო ი ლ უ II 111_{27} მონადირე დათვს კლავს... მონადირემ დათვი მოკლა...

მეგრ.: ირემი დ ო ც ვ ი ლ უ —ირემი მოკლა... ირემს ც ვ ი ლ უ ნ ს— ირემს კლავს... ირემი დ ო პ ი ლ ი — ირემი მოვკალი... თუნთიქ ვა ა ც ვ ი ლ უ —დათვი ვერ მოკლა... გერი ა ც ვ ი ლ ე(ნ)— მგლის მოკვლა შეუძლია...

ჰან. **ყვილ-** ხოფურს ახასიათებს, **ცილ-** || **ილ-** ვიწ.-არქ. და ათინურს. მეგრული **ცვილ-** არქაბულ ნორმებს მიყვება.

ქართული **კალ-** იგივე ძირი უნდა იყოს, მაგრამ აუხსნელი რჩება **კ-** და **ყ-**ს შეფარდება[1]; აგრეთვე: რა უდრის ქართულში ჰან.-მეგრ. **-ვი-**ს? გამოდის, რომ **კალ-**ში **-ალ-** ძირეული არ არის.

160. ჰან. **ყი(ვ)-** ყივილი, крик петуха
მეგრ. **ცი(ვ)-** „ „ „
ქართ. **ყივ-** „ „

ემ ვახთის მამულიქ ქ ო დ ი ყ ი უ I 127_{10} ამ დროს მამალმა დაიყივლა... მამულიქ-ნა ოხოიშა ა მ ა ყ ი ა ს, მუსაფიი მულუნ-ჲა I 128_{14} მამალი რომ სახლს შემოაყივლებს, სტუმარი მოდისო... მამულიქ ყ ი ა ფ ს (ო ყ ი უ უჩქინ) I 164_{29} მამალი ყივის (ყივილი იცის)...

მეგრ.: მუმულქ მ ი ო ც ი ო უ — მამალმა დაიყივლა... მუმული ც ი ა ნ ს — მამალი ყივის...

ძირი ქართულში, მეგრულში, ჰანურში საერთოა: **ყივ-**; ხოფური, სადაც ეს ძირი შენახულა, თავისი ნორმების მიხედვით ინარჩუნებს **ყ-**ს (იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 6a, გვ. 15); მეგრული—აქცევს **ც-**დ; ბოლოკიდური **-ვ** ეკარგება ორივეს ხმოვნის წინ.

[1] აკუსტიკური მომენტის მიხედვით შეენაცვლა?!

მნიშვნელობა ერთი და იგივე აქვს შესადარებელ ერთეულებში. საინტერესოა, რომ მეგრულში გვაქვს **ყია**-ც: ჟვაბუ ყიანს —ბაყაყი „ყვირის“ (იტყვიან იმ ხმაზე, რომელსაც გველის მიერ დაჭერილი ბაყაყი გამოსცემს). ალბათ, ეს **ყ**-იანი ვარიანტი შედარებით ახალი შეთვისებულია ქართულიდან.

161. ჭან. **ყინ-**: გაყინვა, замерзать
მეგრ. **ცინ-**: „ „
ქართ. **ყინ-**: „

ყინი დვაყვენ დო დიყინენ I 104_{20} შესცივა და გაიყინება...

მეგრ.: ამდღა ცინუნს—დღეს ყინავს... წყარი გოცინუ—წყალი გაყინა... წყარქ გიცინუ—წყალი გაიყინა... წყარი გიცინუ(ნ)—წყალი გაიყინება...

ჭანურში ეს ზმნა ნაწარმოებია სახელისაგან **ყინ-** (იხ.).

162. ჭან. **ყომ-ინ-** || **ომ-ინ-** || **მბ-ინ-** წყურვილი, жаждать
მეგრ. **ცუმ-ენ-** „ „
ქართ. სი-**ყმ-ილ-ი** სიმშილი, голод

ჩქინ წკაი მაშვენან (დომაყომინეს) I 120_9 ჩვენ წყალი გვწყურია („წყალი გვესმევის“), მოგვწყურდა... ასკერეფეს წკაი დვაყომინეეტეს I 119_{26} ჯარისკაცებს წყალი მოწყურებოდათ... წკაი მაომინუ II 3_{33} წყალი მომწყურდა... მა წარი მაომინენ II 109_{25} მე წყალი მწყურდება... წარი ამბინუ II 90_{33}, 91_4 წყალი მოწყურდა...

მეგრ.: ცუმენს—წყურია... ქგმაცუმენგ — მოწყურდა...

ძვ. ქართულში ამის შესატყვისია სი-**ყმ**-ილ-ი; ძირეულ **ყმ**-ს მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით დაკარგული აქვს, ეტყობა, ხმოვანი (საფიქრებელია **-ა-**).

სიყმილი შიმშილს ნიშნავს; ამგვარად, ერთი და იგივე ძირი ქართულში შიმშილზე მიუთითებს, ჭანურსა და მეგრულში წყურვილზე; საჭმლის საჭიროება, ერთ შემთხვევაში, შეცვლილია სასმლის (წყლის) საჭიროებით მეორეში.

163. ჰან. **ყ-ო(ვ)-** || **ც-ო(ნ)-** || **ჲ-ონ-** ყოლა, иметь (про живые существа)

მეგრ. **ც-უნ-** || **ც-ვენ-** „ „

ქართ. **ყავ-** „ „

აბდულის ნანა, ბაბა ვარ უ ყ ო უ ნ I 106_{22} აბდულს დედა, მამა არა ჰყავს... მემედის არ კაი ნოსერი ჯოლორი უ ყ ო უ ნ ტ უ I 88_{23} მემედს ერთი კარგი ჭკვიანი ძაღლი ჰყავს... მა ართელი ხალაჲელი (ხეზმეჭაია) მ ი ც ო ნ უ ნ II 17_1 მე ერთი მოსამსახურე ქალი მყავს... არ ბერე უ ც ო ნ უ ტ უ II 18_{20} ერთი ბავშვი ჰყავდა... ბაბა-ნა ვარ უ ჲ ო ნ უ ნ II 102_9 მამა რომ არა ჰყავს...

მეგრ.: მუმა ც უ ნ ს —მამა ჰყავს... დიდა ვა ც უ ნ ს —დედა არა ჰყავს... შხური ც უ ნ ს — ცხვარი ჰყავს... მუთუნი ვა ც უ ნ დ უ, ირფელი ც უ ნ ს —არაფერი ჰყავდა, ყველაფერი ჰყავს... მ ო ც ვ ე ნ ჯ ი — მხლებელი, ოანმხლები... გ ე ც ვ ე ნ ჯ ი ჯიმა —მომდევნო ძმა (ასაკით)...

ხოფ. უ ყ ო უ ნ მიღებულია უ ყ ო ვ უ ნ-ისაგან; ე. ი. ხოფურში ამ ზმნას ფუძედ აქვს **ყოვ-** კანონზომიერი შესატყვისი ქართული ფუძისა **ყავ-**. ვიწურ-არქაბული **ც ო ნ-** || **ჲ ო ნ-**ს მისდევს მეგრული **ც უ ნ-**, რომელიც **ც ო ნ-**ისაგან უნდა იყოს მიღებული; ამ **ც ო ნ-**ის ვარიანტი **ც ვ ე ნ-** წარმოდგენილია მიმღეობებში —მ ო ც ვ ე ნ ჯ ი, გ ე ც ვ ე ნ ჯ ი (იხ. ზემოთ).

ც ო ნ- || **ჲ ო ნ-** ვიწურ-არქაბულისა და ათინურისა ქართული **ყვან-** ფუძის შესატყვისია. სახელდობრ:

164. ჰან. **ყო ნ-** || **ც ო ნ-** || **ჲ ო ნ-** || **ო ნ-** (წა)ყვანა, вести

მეგრ. **ც ო ნ-** „ „

ქართ. **ყვ-ან-** „

...ხოჯეფე გ ა მ ი ყ ო ნ უ-ში I 54_{14} ხარები რომ გამოიყვანა... ბერეფე არ ოდაშა მ ი ნ დ ი ყ ო ნ უ I 107_8 ბავშვები ერთ ოთახში წაიყვანა... ხექიმიშა მ ე ნ დ ა მ ი ყ ო ნ უ I 93_6 ექიმთან წამიყვანა... გიინი ოხოი მუშიშა ნ ი ყ ო ნ ო ფ ს I 10_{20} ვირი თავის სახლში მიჰყავს [„მიიყვანებს“],.. თიკანი ახმედიში ჯანიშა ქ ო მ უ ყ ო ნ უ I 66_9 თიკანი ახმედის ახლოს მოიყვანა... დოსქიდეს ჯეთიმი. ჰაქ ქ ო მ ო ბ ი ც ო ნ ი მა II 30_3 დარჩენ ობლები. აქ მოვიყვანე მე... სუმი თოლი-ქჲორი

ჯეზდუ დო იცონამს II 18_{12} სამი ბრმა აიღო და მიჰყავს („მიიყვანებს“)... მამული ქოგეიცონეს II 40_{30} მამალი ჩამოიყვანეს... უკულ მოჯონეს ჰემ სერიშ მუსაფირი II 79_{37} მერე მოიყვანეს იმღამინდელი სტუმარი... აჰა, სიჯა ქომობჯონით ჯანი ჩქუნიშა II 66_{28} აჰა, სიძე მოვიყვანეთ ჩვენს ახლოს... ჰუს იჯონამს ფადიშაჯ ოხორიშა [დერემენჯის თილჩიქ] II 97_{16} ახლა მიჰყავს ხელმწიფის სახლში [მეწისქვილე მელიას]... ჯამუში... ოხოი მუშიშა მენდიონუ II 12_{21} კამეჩი თავის სახლში წაიყვანა... არაბა იონუ II 43_{35} ურემი წაიყვანა...

ამ მაგალითებში მოცემული **ყონ-** || **ცონ-** || **ჯონ-** || **ონ-** ვარიანტები **ყონ-** ფუძისაა, რომელიც იგივეა, რაც ქართული **ყვან-** ფუძე: **ყვან-** → **ყონ-** → **ცონ-** || **ჯონ-** → || **ონ-**...

ხოფურში არის გარკვეული შემთხვევები, როცა **ყონ-** გამოდის **ყო(ვ)-** ფუძის მაგივრად: ...გზა მუთეფეშის ნაყონეს I 55_{28} თავის გზას გაუდგენ („გაჰყვნენ“)...

ვიწურ-არქაბული და ათინური **ყავ-**ისათვის ხმარობდა **ცონ-** || **ჯონ-** ფუძეს; ხოფურშიც ეს ორი ფუძე ერთმანეთს უკავშირდება. მეგრული **ცუნ-** და **ცვენ-** ჩვენ **ცონ-**ს დავუკავშირეთ. მართალია, მეგრულში სამივე ვარიანტი ერთად გვაქვს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ **ცონ-** იყოს ყველასთვის ამოსავალი.

მეგრ.: მიდეცონუ—წაიყვანა (მეცუნს—მიჰყავს)... მიდაცუნუ—წაჰყვა... ქომიცონუ—მოიყვანა (ქგმაცუნუ—მოჰყვა)... გეშეცონუ—ამოიყვანა... მოლეცონუ—წამოიყვანა... მოლაცუნუ—წამოჰყვა... წაცონუ—წაახდინა („ქვევით წაიყვანა“: წა=„ქვევით“!)...

ამგვარად, ხოფური: **ყონ-** ქართულ **ყვან-**ს უდრის, ხოფ. **ყოვ-** ქართ. **ყავ-**ს.

ვიწ.-არქ., ათინ.: **ცონ-** || **ჯონ-** || **ონ-** ქართ. **ყვან-**ს შეესატყვისება, მაგრამ **ყავ-** ფუძის როლსაც ასრულებს.

მეგრული **ცუნ-** || **ცვენ-** და **ცონ-** ქართული **ყვან-** ფუძის შესაბამისია, მაგრამ **ყავ-**ის მაგივრობასაც ასრულებს; სახელდობრ, პირველი ორი **ყავ-**ს ენაცვლება, უკანასკნელი **ცონ-** — **ყვან-**ს...

ზემოთქმული გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ქართულში **ყვან-**ს საფუძვლად უდევს **ყავ-**; შდრ.: ძმაჯ ჰყავს, მაგრამ ძმანი ჰყვანან... ცოცხალი მეტყველების: ჰყავს — ჰყვანდა...

165. ჭან. **ყო-ნ-დ-** დაცდა, დაყოვნება, ждать, замедлить
მეგრ. —
ქართ. **ყოვ-ნ-** „

დ ი ყ ო ნ დ ი, ბოჩოლა, სო ნულუ? I $10i_{9-10}$ დაიცა, ბოჩოლა, სად მიდიხარ?... ვით დეკიკეს ქ ო დ ი ყ ო ნ დ ი-ა I 57_{25} ათ წუთს დაიცადეო... მციქა დ ო მ ი ყ ო ნ დ ი I 122_{2} ცოტა დამიცადე... ნანასჭანიქ... მუშენი დ ო გ ო ყ ო ნ დ ი ნ უ I 57_{32} დედა-შენმა რატომ დაგაყოვნა...

ეს ქართული დ ა ყ ო ვ ნ ე ბ ა უნდა იყოს (**ვ-** დაკარგულია **ნ**-ს წინ); ამას ისიც მოწმობს, რომ ვნებითი **დ**-თია ნაწარმოები, როგორი წარმოებაც არც ჭანურს ახასიათებს და არც მეგრულს (იხ. ჭან. გრ. ანალ., § 33, გვ. 111).

166. ჭან. **ყორ-** || **ჯორ-** || **ორ-** სიყვარული, ყვარება, любить
მეგრ. **-ჯორ-** „ „ „
ქართ. **-ყვარ-** „

ბერეფექ [ჯეთიმი] აბდულის დიდო ყ ო რ ო ფ ა ნ I 106_{24} ბავშვებს [ობოლი] აბდული ძალიან უყვართ... მა დო ჩქიმი ოხორჯაქ ე შო პ ყ ო რ ო ფ თ ემუს-ქი, მჟურა ამუშ ჟინ ჯემიხთეფან-ჯა. ქეთოქ-თი მ ყ ო რ ო ფ ა ნ, მუჯო ნანას დო ბაბას I 31_{11} მე და ჩემ ცოლს ისე გვიყვარს ის, რომ მზე მაგაზე ამოგვიდის. ქეთოსაც ვუყვარვართ, როგორც დედა და მამა...

ერთი და იგივე ძირია (თუ: ფუძე?): **ყვარ-**; ჭანურსა და მეგრულში **ვა → ო**; თავკიდური **ყ-** ჭანურის ნორმათა მიხედვით მხოლოდ ხოფურს აქვს შენარჩუნებული.

ეს ფუძე ყველაზე უფრო ჭანურის ხოფურ კილოკავშია ხმარებული. ათინურში სხვა ფუძე ბატონობს: ა ლ ი მ ბ უ — შეუყვარდა.

მეგრ.: სჭუას დიდა დო მუმა უ ც ო რ ს — შვილს დედმამა უყვარს... „ც ო რ ო ფ ა ს ირო ბ ჭ ყ ა ლ ე“ — „სიყვარულს მუდამ ვწყევლი“ (ხალხური ლექსი)...

ხოფურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ეს ზმნა გარდამავალია: ყოროფს ემუქ ია— სიტყვა-სიტყვით ესაა: „ყვარობს ის მას“, და არა: „უყვარს მას ის“. ამ უკანასკნელის კონსტრუქცია ქართულის გარდა მეგრულსაც ახასიათებს: იქაც ეს ზმნა ინვერსიულია.

167. ჰან. **ყურ-** ყვირილი, кричать
მეგრ. **ცურ-** ყმუილი, выть (про собаку)
ქართ. **ყვირ-** кричать

„ადა კოჩი დოლუ“-და, ყუუ ოხორჯაქ I 16_{27} ეს კაცი გაგიჟდაო, იყვირა ცოლმა... ოხორჯაქ უყურუ I 40_{25} ცოლმა უყვირა... მან დაღიშა ვულუ დო დიდო პყუაფ I 43_{19} მე ტყეში წავალ და ძლიერ ყვირილს ავტეხ („ვიყვირებ“)... ეშშეღის დიდო კაი აწონუ დო... დიყურუ I 70_{25} ვირს ძალიან მოეწონა და დაიყროყინა („დაიყვირა“)... მსვაეფე გონთხუ დო ზოი დიყურუ I 82_{16} ფრთები გაშალა და ძლიერ დაიყვირა...

მეგრ.: ჯოღორი ცურანს—ძაღლი ყმუის... ჯოღორქ ირიათო ცურუ—ძაღლმა სულ იყმუვლა...

ქართული ყვირ- ფუძის **ვი- უ**-დაა ქცეული ჰანურსა და მეგრულში; **ყ-** ხოფურში და **ც-** — მეგრულში ნორმალურია.

მნიშვნელობა ფუძისა ქართულში და ჰანურში არსებითად ერთი და იგივეა; მეგრულში კი—დავიწროვებულია: იგი მხოლოდ გარკვეული სახის ყვირილს—„ყმუილს“—აღნიშნავს.

168. ჰან. **ცუჯ-**: აწმ.: უ-**ცუჯ**-ამ-ს მოსმენა, слышать, выслушать
მეგრ. [**ცუჯ-**]
ქართ. **ყურ-**: უ-**ყურ**-ებ-ს смотреть

გუნძე-ცუჯონიქ ოგნამს... ცუჯეფე ჰაშო ქონუდგუ დო უცუჯამს II 38_{9} გრძელ-ყურა ისმენს... ყურები ასე „მიუდგა“ და უსმენს („უყურებს“)...

ნასახელარი ზმნაა; სათანადო სახელის ფუძეა: **ცუჯ-** (იხ.), ქართ. ყურ-... განსხვავება მნიშვნელობაშია: უცუჯამს—უსმენს, სიტყვა-

სიტყვით: „უ-ყურ-ებ-ს“... ეს უკანასკნელი ქართულში ამჟამად თვალის ფუნქციაზე მიუთითებს და არა ყურისაზე: გარე-სამყაროს მოვლენებში გარკვევისათვის ყურის საქმიანობაც მნიშვნელოვანია და თვალისაც, და ერთი მეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთის მეორით შენაცვლება ორდინარული სემასიოლოგიური პროცესია.

169. ჰან. **შვ-** ← **შუ-** სმა, пить
მეგრ. **შვ-** ← **შუ-** „ „
ქართ. **სვ-** ‖ ძვ. ქართ. **სუ-** „

ყინი წკაი ქოშუ I 45_{30} ცივი წყალი დალია... წარი ოშუ II 124_{28} წყალი დალია... ასკერეფექ ოშვეს I 120_{25} ჯარისკაცებმა დალიეს... კავე-თი ოშვეს II 39_{23} ყავაც დალიეს... ოფშვი დო ოპჭკომი II 55_4 დავლიე და შევჭამე... მა წარი ფშუმ II 109_{23} მე წყალს ვსვამ... წკაი ოშუღს I 164_{11} წყალს დალევს... ბერექ ბუძი უშუმს II 93_{27} ბავშვი ძუძუს სწოვს [„უსვამს“]... ძიგარა შვასენ II 22_{23} პაპიროსი მოსწიოს („დალიოს“)... შექეიში ჩაი შუფან... თოფუიში ჩაი ვა იშვენ I 159_7 შაქრით ჩაის სვამენ... თაფლით ჩაი არ დაილევა...

მეგრ.: წყარი გეშუ — წყალი დალია... ღვინი ბრელი შუ — ღვინო ბევრი სვა... ვა შვა! — არ დალიო... ბჟას შუნს — რძეს სვამს... ღვინით კოჩი იშუმშ(ნ) — ღვინით კაცი თვრება... მენძელი სუმარს ოშუმუანს — მასპინძელი სტუმარს ათრობს... სუმარქ დიშუმუ — სტუმარი დათვრა... შუმილი — მთვრალი... თის ღვინი ვაშვე(ნ) — მას ღვინო არ დაელევა, ან: ღვინოს ვერ დალევს...

უ-ს წინ **ვ**- ჰანურსაც ეკარგება და მეგრულსაც; **შვ**- შეესატყვისება ქართ. **სვ**-ს; **სვ**- ← **სუ**-; ძვ. ქართ. შე-**სუ**!

მეგრულში აწმყოს ფუძისაგან შუნს (← შუმს) იწარმოება ო-**შუმ**-უ-ან-ს — „ათრობს“, ი-შუმ-შ(ნ) — თვრება... დი-**შუმ**-უ — დათვრა... ამით განსხვავდება მნიშვნელობის მიხედვით მეგრული. მაგრამ ქართულშიც ანალოგიური სემასიოლოგიური ვითარება გვაქვს: ა-**თრ**-ობ-ს ზმნის ძირი -**თრ**- „სმას“ ნიშნავს; სვან. ლი-**თრ**-ე — სმა.

170. ჰან. **შ-ვ-** ქსოვა, ткать
მეგრ. **შ-ვ-** || **რ-შვ-** „ „
ქართ. **ქს-ოვ-** „

აიშექ... წინეკი დოშუ I 105_2 აიშემ... წინდა მოქსოვა... მჩხუიში თომაში წინეკი შუფან I 150_{28} მატყლისა („ცხვრის თმისა“) წინდას ქსოვენ... ეშოთე დოშუფან [კალათა] I 149_{25} ასე მოქსოვენ [კალათას]... კალათი აშო შუფან I 149_{16} კალათს ასე ქსოვენ...

მეგრ.: თათმანს შუნს — წინდას ქსოვს... დოშუ — მოქსოვა... ოშუალი — საქსოვი... მაშუალი — მქსოველი... ორშუანს — ქსელავს... დ.ორშვილი რე — დაქსელილია... (ი. ყიფშიძეს ვშგნ-ის პარალელურად ბრშუნ-იც მოჰყავს... იხ. მეგრ. გრ., ლექსიკ., გვ. 358: **შუალა**...)

ძირეული **ქს**-ს შესატყვისად მოველოდით **ქშ**-ს; ჰანურში **ქ**- დაკარგულია; მეგრულშიც ჩვეულებრივად ამ ფუძეს არა აქვს. მაგრამ დაჩნდება ნაწარმოებ ფუძეში — ორშუანს — „ქსელავს“ (იხ. ზემოთ) **რ**-ს სახით. ამგვარად, ამ **რშ**-ში მოცემულია კიდევ ერთი მაგალითი ქართული **გ**- || **ქ**-ს შესატყვისად მეგრულში **რ**-ს გამოვლენისა.

171. ჰან. **შვ-აჯ-** დასვენება, отдыхать
მეგრ. **შვ-ანდ-** || **სვ-ანჯ-** || **სვ-ანდ-** „ „
ქართ. **სვ-ენ-** „

ქოდოხედეს, ქამუიშვაჯეს I 120_9 დასხდენ, დაისვენეს... ორდო-ორდო მოიშვაჯამან II 40_{20} მალ-მალე ისვენებენ... მანთი მოვიშვაჯე-და I 76_{14} მეც მოვისვენებო... მთელიქ მუიშვაჯეფტეს I 76_{16} ყველაფერი ისვენებდა...

მეგრ.: მუშაობაში უკული ქიმისვანჯუ — მუშაობის შემდეგ დაისვენა... სვანჯუ(ნ) — ასვენია... ღურელი გესვანჯუ — მიცვალებული ასვენია... ხოჯი ქგმასვანჯშ — ხარი დაასვენა... ღურელი გეგგმასვანჯეს — მიცვალებული გამოასვენეს... მოსვანჯელო — მოსვენებით, მოსვენებულად...

ქართული ძირეული **სვ**- კანონზომიერად არის წარმოდგენილი **შვ**-თი ჰანურში; მეგრულში ახლა **სვ**- არის გავრცელებული, მაგრამ

შვ- (**შვ-**ანდა) ჯერ კიდევ ხმარებაშია; ი. ყიფშიძის ლექსიკონში **შვანდ- სვანდ-**ის პარალელურად არის წარმოდგენილი... **ნ-** მეგრულში ფონეტიკური დანართია. **დ-**იანი ვარიანტი (სვანდ- ‖ შვანდ-) **ჯ-**იანისაგანაა მიღებული; ასე, რომ ჰანურსა და მეგრულში **-აჯ-** სუფიქსი ერთვის **შვ-** ძირს; ქართულისათვის ეს გვაგულისხმებინებდა **-არ-** ‖ **-ერ-** სუფიქსს, გვაქვს კი **-ენ-** სუფიქსი იმავე ფუნქციისა, როგორიცაა **-არ-**. ამრიგად, ქართულში ფუძის საწარმოებელი სუფიქსი სხვაა და ჰანურსა და მეგრულში — სხვა. ძირი კი ერთია, მნიშვნელობაც — ერთი.

172. ჰან. **შუ- ‖ შვ-ელ- ‖ შოლ-** დასველება, мокнуть, мочить
მეგრ. **შოლ-** „ „
ქართ. **სვ-ელ-** „

ემ ვახთიშ-კულე წკაითე დოშოლაფან — ვა ტრუხას-და დო! I 156_{13} იმის შემდეგ წყლით დაასველებენ [ჩურჩხელას], — არ გატყდესო-და!... [მთვიშში] მურუცხი მუჰამედიშიხეს გჲოლუ დო ხე დუშოლუ I 102_{22} თოვლის ვარსკვლავი (კრისტალი) მუჰამედის ხელზე დაეცა და ხელი დაუსველა... უკულე ტუცა წკაითე შველარე [მქვერი] II 26_{26} მერე ცხელი წყლით დაზელ ფქვილს („დაასველებ“)... მქვერი საღრათე დოშოლუ II 31_{21} ფქვილი გობზე მოზილა („დაასველა“)... ოშუვონი მჭიმა II 75_{19} „დასასველებელი წვიმა“...

მეგრ.: ჭვიმას დრიშოლუ — წვიმაში დასველდა... ჭვიმაქ დოფშოლუ — წვიმამ დამასველა; შოლირი — დასველებული; შგ- (←შუ) — სველი...

მეგრ. და ჰან. **შოლ-** ← **შველ-**; ეს უკანასკნელი შედგება **შვ-** (**შვ-** ← **შუ-**) ძირისა და **-ელ-** სუფიქსისაგან; **შვ-** შეესატყვისება ქართულ **სვ-**ს, **-ელ-** — საერთოა (შდრ. ტეხ-**ს** ‖ ტახ-უმ-**ს** ‖ ტახ-უნ-**ს**: **-ს** საერთოა, ძირი კი კანონზომიერ შესატყვისობას გვაძლევს)...

მნიშვნელობის მხრივ განმარტებას მოითხოვს ჰან.: **შველ-** — ზელა. ნ. მარს ო-**შველ-**უ — месить цалкэ აქვს გამოყოფილი (მიუთითებს ვიწეზე); ეს იგივე **შოლ-**აა, უკეთ რომ ვთქვათ, ის, რისგანაც **შოლ-** არის მიღებული; ამას მოწმობს **შოლ-**ის ხმარება იმავე მნიშვნელობით, რაც **შველ-**ს აღმოაჩნდა (მაგალ. იხ. ზემოთ).

სველ- ‖ შველ- ‖ შოლ- ფუძეებში ძირად გამოვყავით **სვ- ‖ შვ-** ← **შუ**; **სვ-** ქართულში არა გვაქვს ცალკე, **შვ-** კი ჰანურშიც დასტურ-

დება და მეგრულშიც **შუ**-ს სახით (მეგრულში — დასავლ. ვარიანტი **შგ** — „სველი“... იხ. ი. ყიფშიძე, მეგრ. გრ., ლექსიკონი: **შოლ-**, გვ. 358).

ჭანურში ამ **შუ**-საგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაა: აშუვუ — დაუსველდა: კუდელი დაშუვუ-ი ჲოქსე ვარ? სარფულეფექ თქვესქი „კუდელი ვა აშუვუ, ხომბულა ტუ“-ჲა! მაკრიალურეფექ თქვესქი „ვარ, დვაშუვუ“-ჲა II 22 $_{1-3}$ კუდი [მელიას] დაუსველდა თუ არაო? სარფელებმა თქვეს, „კუდი არ დაუსველდა, მშრალი იყოო!“ მაკრიალელებმა თქვეს — „ არა, დაუსველდაო!“... კიშის... იშუაფუტუ II 57$_{8}$ ზამთარში სველდებოდა (ინამებოდა)...

შგ-საგან მეგრულში ზმნა არ იწარმოება.

ჭანურ-მეგრული **შვ**- ქართ. **სვ**-ს შეესატყვისება; ეს **შვ**- ← **შუ**-; ქართ. **სვ**- ← **სუ**-.

კითხვა ისმის: რა ურთიერთობაშია ეს **სუ**- (სველ-ის ძირი) **სვ**- (‖ **სუ**-) ძირთან (**სვ**-ამ-ს, **სვ**-ა — ძვ. ქართ. **სუ**-ამ-ს, **სუ**-ა)? უნდა იყოს ერთი და იგივე: **-ელ-** სუფიქსის დართვით ქართულში იგი თვისების აღმნიშვნელი სიტყვაა: სუ-ელ-ი → სვ-ე ლ-ი, სახელია; **-ამ** სუფიქსის დართვით მისგან ზმნას ვიღებთ (**სუ**-ამ-ს...) აწმყო დროში; აორისტში კი მხოლოდ პირის ნიშანთა დართვა გვჭირდება: ვ-**სუ**, ჰ-**სუ**, **სუ**-ა...

173. ჭან. **შვ-ელ-** ‖ **შოლ** დახმარება, შველა, помогать
მეგრ. **შვ-ელ-** წყლულის მორჩენა, заживает рана
ქართ. **შვ-ელ-** помогать

ჭამიქ მურადის მუთუ ვა უშოლუ I 111$_{23}$ წამალმა მურადს „არაფერი უშველა“... ემუქ-თი მემიშოლუ I 92$_{4}$ იმანაც მიშველა... მეჭკირუს ვა მემიშველით, ამმა ოხსუს ოჭკომუს მემიშველით I 1$_{21}$ დაკვლაში არ დამეხმარეთ, მაგრამ ჭამაში მაინც შემეშველეთ... ოხორჯას-თი ნუშოლს I 32$_{23}$ ცოლსაც შველის... ქომოხთა-ნა, დიშველენ გურიშ ჲარა I 149$_{24}$ თუ მოხვალ, მორჩება გულის იარა... ვარ იშველენ ჲარა ჩქიმი, სევ-გჲული I 149$_{26}$ არ მთელდება (რჩება) ჩემი იარა, სატრფოვ...

მეგრულში ამ მნიშველობით მე-**ხვარ**-ა-ა (ქართ. და-ხმარ-ება) გამოყენებული; მაგრამ -**შველ**- ფუძე ერთად ერთია წყლულის, სატ-

კივრის მორჩენის მნიშვნელობით (შდრ. ზემოხსენებული ჭანური მაგალითებიდან ორი უკანასკნელი): ასე ვა მაჭუ(ნ), მ ე შ ვ ე ლ უ — ახლა არ მტკივა, მომირჩა... აჭუ(ნ), მარა მალას ე შ ვ ე ლ ე ბ უ(ნ) — ტკივა, მაგრამ მალე მოურჩება... ს ა შ ვ ე ლ ი — საშველი (გამოთქმაში: „საშველი არ დაადგა!“), უ ს ა შ ვ ე ლ ე — უსაშველო, უშველებელი (ე. ი. რასაც არ ეშველება)...

ჭან. **შოლ-** ← **შველ-**; ეს იგივეა, რაც ქართული **შველ-**, — აგებულებითაც, მნიშვნელობითაც.

174. ჭან. **შიკ-ინ-** სლოკინი, икать
მეგრ. **შიკ-ინ-** „ „
ქართ. **სლოკ-ინ-** || **სლუკ-სლუკ-ი**[1] „

მ ა შ ი კ ი ნ ე ნ! გ ა შ ი კ ი ნ ე ნ, მუფეი გოგაშინენ II 74_{22} მასლოკინებს! გასლოკინებს, რაღაც გაგახსენდება!..

ძირეული **შიკ-** ქართ. **სლოკ-** || **სლუკ-**ის შესატყვისია: **ლ-** დაკარგულია, **უ → ი.**
მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

175. ჭან **შ-ინ-** || **შ-უნ-** მოგონება, ხსომება, вспомнить, помнить
მეგრ. **შ-ინ-** || **შ-უნ-** „ „ „
ქართ. **ხს-ენ-** || **ხს-ოვ-** „ „

აწი გ ო მ ა შ ი ნ უ II 115_{22} ახლა გამახსენდა... ოხორიშა ბიტი-შა, ქ ო გ ო მ ა შ ი ნ უ II 112_5 სანამ შინ მივიდოდი, გამახსენდა... ვისიმადა დო ელე ჩქვა გ ო მ ა შ ი ნ ა ს I 140_7 მოვიფიქრო და სხვაც გამახსენდება... ბელქი ქ ო გ ვ ა შ ი ნ ა ს-ჲა, ამმა ქეთოს მუთუ ვარ გ ვ ა შ ი ნ უ I 32_4 ეგების მოაგონდესო („გაახსენდესო“), მაგრამ ქეთოს არაფერი მოაგონდა... შუი მ შ ი ნ ე ჯუმა ჩქიმის სელამი ოღოდი! მანა გ ო მ ი შ ი ნ ა ს, ენთეფეს... I 121_{10} საყვარელ („სულის სახსოვარ“) ჩემ ძმას სალამი გადაეცი! მე რომ მომიგონოს („მომიხსენოს“), იმათ...

[1] ს ლ უ კ-ს ლ უ კ ი „გულამოსკუნილისაგან სულდაუღებლად ტირილი“ — ს ა ბ ა (იხ. **ტირილი**).

პატი შინაფან I 165_5 ცუდად ახსენებენ... ორდო მოხთი, ნა შური მიშინარე II 85_{31} ადრე მოდი, ძვირფასო („სულს რომ მიხსენებ“)... სი-ნა მიწვი, ნენაფე ქოგშუნს-ი? I 44_1 შენ რომ მითხარი, სიტყვები, გახსოვს... გოწონერი მთვიი ვარ შუნტუ I 102_{16} შარშანდელი თოვლი არ ახსოვდა...

მეგრ.: ასე გომაშინუ — ახლა გამახსენდა, მომაგონდა... მაგოვოშინი — მე გავახსენე... მგვოშინი — მოვახსენე... გვშინი — მოვიგონე („მოვიხსენე“)... შინანს — ახსენებს: მიგიდგარენი, ფშინანს — ვილაცა მახსენებს (იტყვიან, როცა ასლოკინებს ვისმე)... ამავე ძირისაა: **შუ(ნ)** — ახსოვს, **რშუ**(ნ) — გახსოვს... ვა შინერს — აკრძალულია! (სიტყვა-სიტყვით: სახსენებელი არაა!)...

ქართ. **ხს-** (ძვ. ქართ. **კს-**) ძირის თავკიდური უკანაენისმიერი თანხმოვანი ჰანურშიც დაკარგულია და მეგრულშიც; **-ინ** მაწარმოებელი სუფიქსია.

მნიშვნელობა ერთი და იგივეა. მართალია, ახალ ქართულში მეტწილ შემთხვევაში ჩვეულებრივ „მოგონება“ ზმნაა გამოყენებული, მაგრამ **ხს-** ძირიც იხმარება; ძვ. ქართულში **კს-** ისევე იხმარებოდა, როგორც ახლა **შ-ინ-** ჰანურსა და მეგრულში: მომიკსენე მე — მომიგონე მე... მოიკსენა — მოიგონა...

176. ჰან. **შირ-** გაცვეთა, დალევა რისამე, износиться, выпариться...

მეგრ. **შირ-** „ „ „ „

ქართ. **სრ-** || **სარ-** уничтожить

ჰემუში ნუკუს დემირი... მოჭკადამან, — მოთ იშირაფუტას-და დო! II 60_{38} — 61_1 იმის პირზე რკინას აჭედავენ, — არ დაილიოსო და... წკაი წუკალის ქოგეიშირუ II 76_{26} წყალი (პატარა) ქვაბში ჩაილია (ჩაშრა)...

მეგრ.: ხამიქ დიშირუ — დანა დაილია... წყარქ ქიგიშირუ — წყალი ჩაშრა (ზედმეტი დუღილისაგან)... ქეთშახოლუ დო ლეკურით ქიანაში კოჩი ეკოშირუ — შევარდა („ჩაერია“) და ხმლით „ქვეყნის ხალხი“ გაწყვიტა, დახოცა... გურქ მემაშირუ — გულზე მომივიდა, გული წამივიდა, „გული მიმელია“...

ამ ძირს ი. ყიფშიძე ქართ. ცრეცა-ს უკავშირებს (იხ. მეგრ. გრ., ლექსიკ.: **შირ-** || **შგრ-**, გვ. 357). საქმის ვითარებას უფრო შეეფერება, ჰან.-მეგრ. **შირ-**ში ქართ. სრ-ვა- სიტყვის **სრ-** ძირის კანონზომიერი, შესატყვისი ვპოვოთ. ძირეული აქ **სარ-** უნდა იყოს (მო**სარ**!). ჰანურში ამას უნდა მოეცა **შორ-**; ეს არც ჰანურში გვაქვს, არც მეგრულში, მაგრამ ერთშიაც და მეორეშიც მრავლადაა შემთხვევები, როცა **ო → უ → ი**; ამრიგად: **შირ- ← შურ- ← შორ-**...

მნიშვნელობა ჰანურში ერთგვარ გადახრას იძლევა, მაგრამ „მოსპობის", „დალევის" მომენტი მას „სრვა"-სთან აერთიანებს; მეგრულში ხომ „მოსრვის" მნიშვნელობაც დღემდის აქვს შერჩენილი ამ ძირს (იხ. ზემოთ: ეკოშირუ...).

177. ჰან. **შურ-** სუნის გამოცემა, სუნვა, пахнуть, нюхать

მეგრ. **შურ-** სუნვა, нюхать

ქართ. **სულ-**ი душа

ეს ზმნა ნაწარმოებია **შურ-** სახელისაგან. ნ. მარს მოყავს ამ ზმნის ფორმები: ფშურამ ათ., ფშურაფ ხოფ.— სუნსა ვცემ, ვიშურამ — ვსუნავ (ხოფ. ვიშურაფ); იშურამს — სუნს იღებს (ძაღლი)... ვოშურამ—სუნს გამოვაცემინებ (მაგ. თამბაქოს, შენახვით)... ვოშურაფამ — ათ., ბოშურაფამ — არქ., ვოშურაფაფ — ხოფ. — სუნს ვაღებინებ ძაღლს ნადირობის დროს... ვაშურეფ—ხოფ.—ვუსუნებ... ჯოლორი აშურს—ხოფ.—ძაღლი სუნავს... (იხ. ჰან. გრამ., გვ. 207).

შურ- სულ-ის კანონზომიერი შესატყვისია.

178. ჰან. **შქვ-** (გა)შვება, მიტოვება, пустить, оставить

მეგრ. **შქვ-** „ „

ქართ. **შვ-** „

ეკულე ქანაშქუ... I 29_1 მერე გაუშვა... ია პატი ადეთი ნაშქუ I 103_8 ის ცუდი ზნე მიატოვა... მსქიბუში ოხვენუ ქანაშქვეს 119_{13} წისქვილის კეთებას თავი დაანებეს (ხელი უშვეს)... ბოზო-

მოთა დო დერემენჯი ჰიქ მევა'შქვი II 99_{35} ქალი და მეწისქვილე იქ დავტოვე... აში თუთერი ნანაქ ჲეთიმი მემაშქუ II $22_{31}-23_1$ ექვსი თვისა დედამ ობლად დამტოვა... ნოღამისა ნაშქვეს ბიჯიშ ოხორის II 67_{24} პატარძალი დატოვეს ვაჟის სახლში... ნოღამისა სქანი მის ნუშქვი... II 140_7 შენი პატარძალი ვის დაუტოვე... გუ-პიჯის მოძინ: ჲემთუმანი იშიტა-ში, ეჲერი ოკაჩხევა ნაშქუმეს I 152_{24} გულმკერდზე აძევს [ცხენს]: აღმართზე როშ ადიოდეს, უნაგირს უკან არ უშვებს... მითი ვა ამოშქუმეს-ჲა II 34_8 არავის არ უშვებსო (შიგ)... მწილახუმ დო თოფური გამაბოშქუმე II 82_{10} გავწურავ და თაფლს გამოვუშვებ... ოხომიშქვი-ა! ამუს ოხუშქუ I 10_{28-29} ამიშვიო! ეს აუშვა...

მეგრ.: გეიაშქუ — აუშვა (მაგ. დაბმული ხარი)... გინი ქგმიაშქვი!—ხბო მიუშვი (დედასთან)... ქგდაშქუ მარკინექ—დასცამოჰიდავემ... მასარი ქგდაშქუ — მესერი დაასო („დაუშვა")... ჯოღორქ ვა მაშქუ — ძაღლმა არ მოუშვა... ჩხუ მიაშქვი ოდიარეშა — ძროხა მიუშვი საძოვარზე... ტუკი გჲაშქუ — კეტი დაჰკრა...

შქვ- ძირი კარგავს ბოლოკიდურ **ვ**-ს **უ**-ს წინ... **შქვ-** იგივე **შვ**-ა, რაც ქართულში გვაქვს, ოღონდ **ქ-** არის განვითარებული **შ**-ს შემდეგ...

მნიშვნელობა ამ ძირისა ჰანურში ერთგვარ გადახრას იძლევა: „გამოშვება", „ამოშვება" და მსგავს ფუძეთა გარდა გვაქვს „მიშვება" — „მიტოვების" მნიშვნელობით, რაც სავსებით გასაგებია; შდრ. ქართ. „ხელი უშვა" — „მიატოვა"...

179. ჰან. **შქვიდ-** ‖ **შქიდ-**: დო-**შქვიდ-უ** ღრჩობა, душить, топить, тонуть

მეგრ. **შქვი-დ-**: და-**შქვიდ-უ** „ „ „

ქართ. **შთ-**: მოა-**შთ-ო** „ „ „

კატუქ ნანკაპუ [მთუგიშ] მოთას დო დოშქვიდუ I 75_{21} კატა ეცა [თაგვის] წრუწუნას და დააღრჩო... ხოჯა ქოდიშქიდუ II 89_{20} ხოჯა დაიღრჩო [წყალში]... თელი ზღუაქ(!) გექოსუ გჲუვერთას, დიშქვიდეს II 17_{15} ყველა ზღვამ აღგავა გემ-ბანიდან, დაიღრჩენენ... აწკალტი დოვიშქვიდით I 94_9 კინალამ დავიღრჩვით...

მეგრ.: კატუქ ჰუკი დ ა შ ქ ვ ი დ უ — კატამ თაგვი დააღრჩო... ჯოღორი მუნჩქვის ო შ ქ ვ ი დ უ ა ნ ს — ძაღლი მაჩვს აღრჩობს... წყარს დ ი შ ქ ვ ი დ უ — წყალში დაიღრჩო...

ჰანურში ამ ფუძეს შეი ...ება **ვ**- აკლდეს (ეკარვება!) — გვექნება: **შჭიდ**... შეიძლება **ჭ**-ს ადგილი ... დაიჭიროს: შ კ ვ ი დ-, შ კ ი დ-; ძირითადია — შ ქ ვ ი დ-. ის ისევე, როგორც მეგრული შ ქ ვ ი დ-, მიღებული უნდა იყოს შ ქ უ დ-ისაგან; ეს უკანასკნელი ქართულისათვის გვავარაუდებინებს **შუდ**-ს; ეს დადას ჯურებულია ძვ. ქართულში: შ ი შ უ დ ი ლ ი ბა (იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტ. დაკვირვ, I, მიმომხ., 216) (მომდევნო სუფიქსის ზეგავლენით **უ**- ხმოვანი ამოვარდნილია და შემდეგ **შ**-ს უშუალო მეზობლობაში **დ** → **თ**: **შუდ**- → **შდ**- → **შთ**-); აქედან: **შითხლი**, ს ა ბ ა ს განმარტებით, „სარჩობელი“, და-შთ-ობა — დარჩობა (ს ა ბ ა) და სხვ.

180. ჰან. **შჭ-ორ-** || **შჭ-ირ-** შიმშილი, быть голодным
მეგრ. **შჭ-ირ-** „ „
ქართ. მ-**შ**-[**ი**-**ლ**-] „

გ დ ა ი ა მ შ ქ ო ი ნ უ II 90_{29} პური მოშივდა... დიდო მ შ ქ ი რ ო ნ ს... I 41_{23} ძალიან მშია... გ დ ა ი ორდო მეჩი-ქი-ა, ბელქი შ ქ ი რ ო ნ ს-ჯა... I 126_{12} საჭმელი მალე (ადრე) აჭამე, ეგების შიაო...

მეგრ.: ბალანას ვა შ ქ ი რ ე ნ ს — ბავშვს არ შია... მეშარეს ქ ე მ ა-შ ქ ი რ ე ნ უ — მგზავრს მოშივდა... შ ქ ი რ ე ნ ი — შიმშილი... შ ქ ი რ ე ნ უ ლ ი — მშიერი...

ძირეულია **შჭ**- ჰანურსა და მეგრულში; იგი შეესატყვისება ქართ. **შ**-ს. ფიქრობენ, რომ ქართულში **მ**-ც ძირის კუთვნილება უნდა ყოფილიყო (შდრ. ში-**მშ**-ი-ლ-ი), მაგრამ O_1 **მ**-სთან აღრევის გამო უნდა იყოს დაკარგული (ა. შ ა ნ ი ძ ე: S_2 და O_3 ქართ. ზმნებში, გვ. 73). ასეთივე მიზეზის გამო **მ**- შეიძლებოდა ჰანურსა და მეგრულშიც დაკარგულიყო: ათინურის მ შ ქ ი რ ო ნ ს-ში **მ**- ახალი წარმოშობისაა, ფონეტიკურადაა განვითარებული.

რაც შეეხება ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებს, **-ორ**- უნდა მივიჩნიოთ ამოსავლად ჰანურისა და მეგრულისათვის: ხოფ. **-ირ**-, მეგრ. **-ირ**- მისგანაა მიღებული.

ქართულში ანალოგიური მაწარმოებელი ამ ზმნას არა აქვს: **მში**-ა-ს **-ი**- სხვა დანიშნულებისაა.

181. ჰან. **შქ-ურ-** ‖ **შკ-ურ-** შინება, бояться, напугать
მეგრ. **შქ-ურ-** „ „ „
ქართ. **შ-ინ-** „

ანთეფე-ნა ძირუ, დიდო ა შ ქ უ რ ი ნ უ I 82_{10} ესენი რომ ნახა, ძალიან შეეშინა... ბაბა მუშიშა ა შ ქ უ რ ი ნ უ, ძიგარა ვა ნადვუ II 115_{18} თავის მამისა შეეშინა, პაპიროსს არ მოუკიდა... ხოჯას... ა შ კ უ ი ნ უ II 32_{34} ხოჯას შეეშინა... ჭინკა მომხვადუ დო ქ ო დ ო შ ქ უ რ დ ი I 128_{10} ჭინკა შემხვდა და შევშინდი... სანქის ვ ო შ ქ უ რ ი ნ ი I 61_{25} მოდი შევაშინო... ამუთენ ვ ო შ ქ უ ი ნ ა თ I 116_{26} ამით შევაშინოთ...

მეგრ.: ძალამი ა შ ქ უ რ ი ნ უ — ძალიან შეეშინა... მუმაშა ო შ ქ უ რ უ დ უ — მამისა ეშინოდა... დ ა ა შ ქ უ რ ი ნ უ — შეაშინა... დ ო ვ ო შ ქ უ რ ი ნ უ ა თ — შევაშინოთ...

ჰანურსა და მეგრულში ძირეულია **შქ-**; იგი კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **შ**-ს; **-ურ-** სუფიქსი მეგრულისა და ჰანურისა მხოლოდ ფუნქციონალურად შეეფარდება ქართ. **-ინ**-ს, რამდენადაც ორივე ეს სუფიქსი ფუძის საწარმოებელია(?).

შქ- → **შკ-** ჰანურის ნიადაგზე გვაქვს (სპორადულად).

ყურადღებას იქცევს **-დ**-თი წარმოებული ენებითი ჰანურისა (ხოფური კილოკავისა): დ ო შ ქ უ რ დ უ („დაშინდა“, შეშინდა...), სადაც **-დ-** უშუალოდ **შქურ-**ს მოსდევს მაშინ, როდესაც მეგრულში (დ ო შ ქ უ რ-**ონ**-დ-უ) **-ონ-** სუფიქსია დართული **-ურ-**ს.

მნიშვნელობის მხრივ სხვაობას ადგილი არა აქვს.

182. ჰან. **ჩ-** ცემა, მი-, მო-, გადა-..., გაყიდვა, дать, продать
მეგრ. **ჩ-** „ „ „ „ „ „ „
ქართ. **ც-** „ „

ჟინ ქარტო ქოდოსქიდუნ; ია ფუჯეფეს ფ ჩ ა ფ თ I 136_{15} ზევით ქატო დარჩება; იმას ძროხებს ვაძლევთ („ვცემთ“; შდრ. ძვ. ქართ.: ესავ სცა (ე. ი. მისცა). იაკობს პური)... ფუჯის ქ ო ჩ ა ფ ა ნ I 127_{28} ძროხას მისცემენ... მან-თი ქ ო მ ჩ ა ფ ა ნ ჩხომი I 72_{11} მეც მაჰმევენ („მომცემენ“) თევზს... ეკულე ბაბა მუშიქ ჯ ე ვ ა ბ ი მ ე ჩ უ I 81_{19} მერე მამა მისმა უპასუხა („პასუხი მისცა“)... გოწონერი კიშის ამუს

არ რახატი ვარ მ ე ჩ ე ს I 59_{23} შარშან ზამთარს ამას მოსვენება არ მისცეს... არ სტიკანი წარი ქ ო მ ე ჩ უ I 91_{3} ერთი ჭიქა წყალი მისცა... ფარა მუში გერი ქ ო მ ე ჩ უ II 13_{24} მისი ფული დაუბრუნა („უკუ მისცა“)... არგუნი გ ე ჩ უ დო მთუთი დოხეცქინუ I 45_{19} ნაჯახი დაკრა და დათვი მოკლა... ბიგა ხეს ქოდიქაჩუ დო კაზეფეს არ ზორი ქ ო გ ე ჩ უ II 14_{15} ჯოხი ხეში დაიჭირა და ბატებს ძლიერ დასცხო („დასცა“)... ოხორჯა მუშიში მანწკინდეფე... ქ ა გ ა მ ა ჩ უ I 59_{27} თავისი ცოლის ბეჭდები გაყიდა... ა ბადიქ ა ფურქი გ ა მ ა ჩ ა მ ს I 92_{25} ერთი მოხუცი ერთ ყვავილს ყიდის... ჯოლურთი მუში მთელი ქ ა გ ა მ ა ჩ უ I 88_{8} თავისი მაწონი სულ გაყიდა... ჰემუქ მ ე ქ ო მ ჩ უ II $19_{18,7}$ იმან დამწყევლა („გადამცა“)... ჰე-თი მ ე ქ ო ჩ უ II 17_{35} ისიც დაწყევლა („გადასცა“)...

მეგრ.: ჰას ჩხულენს ფ ჩ ა ნ ი — ჩალას ძროხებს ვაძლევთ... ოჭკომალი ქ ო ჩ უ — საჭმელი აჭამა („სცა“)... ჯიმას ფარა ქ ი მ ე ჩ უ — ძმას ფული მისცა... ფარა ქ ო მ უ ჩ უ — ფული მომცა... ცხენი გ ე გ ე მ ო ჩ უ — ცხენი გაყიდა („გამოსცა“... შდრ. დიალექტური გამოთქმა: მაგის გამომცემელი = მაგის გამყიდველი)... ხატის გ ი ნ ო ჩ უ — ხატზე გადასცა...

როგორც ზემოთ მოყვანილი გამოთქმების თარგმანიდან ჩანს, **ც**-ძირი ქართულშიც ასევე გამოიყენება: მ ი ს ც ა, მ ო მ ც ა, გ ა დ ა ს ც ა... ძვ. ქართულში იყო აგრეთვე: ს ც ა „აჭამა“-ს მნიშვნელობით...

ამრიგად, ძირი **ჩ**- მნიშვნელობითაც და აგებულებითაც ქართულის **ც**- ძირს შეესაბამება... ეს ძირი აორისტში გვაქვს; აწმყოს ფუძე დაირთავს **-ამ-** || **-აფ-** სუფიქსებს (იმისდა მიხედვით, თუ რომელ კილოკავთან გვაქვს საქმე).

183. ჰან. **ჩალ-** ჩალის მოჭრა, убирать кукур. стебли
მეგრ. [**ჩალ-**: ნა-**ჩალ-**ი]
ქართ. [**ჩალ-**ა]

ლაუზტი-ნა დოტახან, დ ო ნ ჩ ა ლ უ ფ ა ნ I 137_{22} სიმინდს რომ მოტეხენ, ჩალას მოჭრიან...

ეს ზმნა ნაწარმოებია სახელისაგან **ჩალა-** (იხ.).

184. ჭან. **ჩა-ნ-** ხარობს, აბია, ასხია, расти, произрастать, урожаться
მეგრ. **ჩა-ნ-** „ „ „
ქართ. **ც-ენ-** „

ია მთხიი ჯენ. ჯას ი ჩ ა ნ ე ფ ს(?)... I 156_{8} ის თხილია. ხეზე ასხია („ცენობს“)... კავი წიფრის ი ჩ ა ნ ე ნ II 2_{29} აბედი წიფლის ხეზე გამოდის („ცენობს“)... ბინეხი იმორდასენ, ცურძენი ი ჩ ა ნ ა ს ე ნ... II 109_{18} ვაზი გაიზრდება, ყურძენს გამოისხამს...ბინეხი ცურძენი ნ ი ჩ ა ნ უ II 109_{23} ვაზმა ყურძენი გამოისხა... მამულის კუჩხეს ე ლ ა ჩ ა ნ ს (= ელოჩანს) კაჩა I 153_{7} მამალს ფეხზე აქვს დეზი („ფეხზე გვერდით ცენობს“)...

მეგრ.: თაქ სიმინდი ჩ ა ნ ს — აქ სიმინდი ხარობს („ცენობს“)... თის ორტინს ხვარხვი უ ჩ ა ნ ს — მას ბოსტანში ხახვი უთესია („ცენობს“ მის ბოსტანში)... ხოს დუს ქა გ ე ჩ ა ნ ს — ხარს თავზე რქა აქვს... უშქური მ ი კ ო ჩ ა ნ ს — ვაშლი (ზე) აბია, ასხია...[1]

ჩ-ან- არის კანონზომიერი შესატყვისი ქართ. **ცენ-**ისა: **ცენ-**ობს, მ-**ცენ-**არ-ე... ძირითადი მნიშვნელობაც ერთი და იგივეა.

185. ჭან. **ჩახ-** თქვეფა, დღება, пахтать
მეგრ. **ჩახ-** ნჯღრევა, взбалтывать
ქართ. —

მაქვალი ქოგეტახუფან საღანის დო დ ო ნ ჩ ა ხ უ ფ ა ნ I 143_{28} კვერცხს დაახლიან საინზე და ათქვეფენ... ჩქუ ჯაღი დ ო მ ჩ ა ხ უ მ თ II 50_{18} ჩვენ კარაქს ავდღვებავთ... არიანი დ ო მ ჩ ა ხ უ მ თ ომჩახულეთე II 113_{31} „არიანს“ ავდღვებავთ სადღვებლით...

მეგრ.: დ ო ჩ ა ხ ვ ი ! — დაანჯღრიე!.. ჩ ა ხ უ ნ ს — ანჯღრევს.. ი ჩ ა ხ ვ ა ლ უ(ნ) — ჯანჯღარებს (ნაკლული)...

ქართულში შესაბამისი ძირი არა ჩანს.

[1] „ა-ხხ-ია“ — „მე-შხ-უ“ — ჯვარული თქმის მიუედვით.

186. ჰან. **ჩვ-**: გო-**ჩ(ვ)-უ** გაცარცვა, ограбить
მეგრ. რ-**ჩვ-**: გო-რ-**ჩ-უ** „ „
ქართ. ძა-რ-**ცვ-**: გა-ძა-რ-**ცვ-ა** „

ენთეფეში ოხორი... ქ ა გ ო ფ ჩ ვ ა თ I 53_{22} იმათი სახლი გავცარცვოთ... ეშკდაფექ გ ო მ ჩ ვ ე ს, ფარა მენდემიღეს II 97_{24} უაჩაღებმა გამცარცვეს, ფული წამართვეს... ალიქ თქუ-ქი „თუ! ქ ა გ ო ი ჩ ვ ი თ!“ ველიქ—„ს ი ქ ა გ უ ი ჩ ვ ი! ჩქიმდა მუ“-და! I 83_{18} ალიმ თქვა „გაგვცარცვეს („გავიცარცვეთ)“! ველიმ — „შენ გაგცარცვეს („გაიცარცვე“)! მე რა“-ო...

მეგრ.: აბრაგიქ მეშარე გ ო რ ჩ უ — უაჩაღმა მგზავრი გაცარცვა... თქვა აბრაგენქ გ ო რ ჩ ვ ე ს — თქვენ უაჩაღებმა გაგცარცვეს... აბრაგი რ ჩ უ ნ ს — უაჩაღი ცარცვავს... მ ა რ ჩ უ ა ლ ი — მცარცველი...

ჩვ- კარგავს **ვ**-ს **უ**-ს წინ; **ჩვ-** მიღებულია **ჩუ**-საგან.

ძირეული **ჩვ-** ჰანურისა შეესატყვისება **ცვ**-ს ქართულში: ძა-რ-**ცვ**-ა; ამ უკანასკნელში **ძა-** ფუძეს შეხორცებული აფიქსი უნდა იყოს; შდრ. მგრ. ი-**ძი-ც**-უ, ჰან. ი-**დი-ც**-უ — ქართ. ი-**ც**-ინ-ა... ქართ. **ცვ-** ~ **ცუ**-...

რ- ქართულსა და მეგრულში ფონეტიკური დანართი ჩანს. ამ ძირის მნიშვნელობა ქართულშიც, ჰანურშიც, მეგრულშიც — ერთი და იგივეა.

187. ჰან. **ჩვ-** ლოდინი, დაცვა; ждать; охранять,
მეგრ. **ჩვ-** დაცვა, შენახვა, сохранить, защищать
ქართ. **ცვ-** „ „

მგეიქ მჩხუი ჩ უ, ჩ უ, ამმა მჩხუი ხოლო ვარ მოხთუ I 71_{8} მგელმა ცხვარს უცადა, უცადა, მაგრამ ცხვარი კიდევ არ მოვიდა... დელიჟანეფეშე ქომოფთი, მციქა დ ო ფ ჩ ვ ი დო გეფხედით... II 55_{25} დილიჟანებთან მოვედი, ცოტა დაველოდე და დავსხედით... ა’მციქა დაჰა დ ო ფ ჩ ვ ა II 133_{23} ცოტა კიდევ ველოდო... ა ხაფთას მ ჩ ვ ი-ა II 39_{13} ერთ კვირას მელოდეო... „მა ფ ჩ უ მ ე რ დო გამახთა-ში, ოპჰოფუმ!“ I 82_{18} მე ვდარაჯობ და, რომ გამოვა, დავიჭერ... ჯეხთა’ჭკულე ვიტოხუთ დღა დ ო ფ ჩ უ მ ე რ თ I 135_{22} ამოსვლის შემდეგ ხუთმეტ დღეს ვაც-

ლით... ბაბა მუშიში ჯერინე მჩხუი ჩუმეს... I 66_{14} მამა მისის ნაცვლად ცხვარს უდგას („სცავს“)... თიკანიქ... — „ვიდა დო, ჩქინ-ნა მჩუმელან, მურა ჯოლორის დოვუჯოხა“-ჯა I 68_{20} თიკანმა — „წავიდე და, ჩვენ რომ გვიცავს, იმ მურა-ძაღლს დავუძახოო“... „სი ვით უჩუმერ დო ხუთ მუჩუმერ!“ I 6_{21} შენ ათს აძლევ და ხუთს იღებ... ოქინჩოლუში ვახთის ფაცხის გეფხეტი ე-დო ხოჯეფე მეუჩუმეტი I 79_{10} ლეწვის დროს კევრზე ვიჯექ და ხარებს ვერეკებოდი... ფუჯი მენდუჩუ II 127_{30} ძროხა გადენა... აწი ფუჯი ქომოუჩვა, ბაკის ქომეოკია I 125_{17} ახლა ძროხას მოვდენი, ბოსელში დავაბამ...

ძირია **ჩვ-** ← **ჩუ-** (იხ. აწმყოს: ჩუ-მერ-ს); ძირეული **-ვ** იკარგება **უ**-ს წინ.

მეგრ.: ფარა დოჩუ — ფული შეინახა... ხამი დოჩვი! — დანა შეინახე... ჩუანს — ინახავს („ცავს“)... ოჩუალი — შესანახი... მაჩუალი — შემნახველი...

ძირია **ჩვ-** ← **ჩუ-**... ძირეული **ვ** იკარგება **უ**-ს წინ.

„დაცვა“, „შენახვა“ — ის მომენტია, რომელიც აკავშირებს ამ ძირის ორ ძირითად მნიშვნელობას ჭანურში („ელოდება“ — „იცავს“ და, შემდეგ, ერთის მხრივ, ჭანურსა და მეგრულში, მეორე მხრივ, ჭანურსა და ქართულში.

აღსანიშნავია, რომ ჭანურისებური მრავალფეროვნება ამ ძირის მნიშვნელობას მეგრულში აღარ ახასიათებს.

აგებულების მხრივ აღსანიშნავია ხმოვნის შენახვა ქართულში (**ცავ-**) მაშინ, როდესაც ჭანურსა და მეგრულში ამ ძირს ხმოვანი დაკარგული აქვს.

188. ჭან. **ჩ-ვირ-** — цурва, плавать
მეგრ. **ჩ-ურ-** — „ „
ქართ. **ც-ურ-**

ხჩე ენ, გინძე ყალი დო კიბირი უღუნ. ზოლას ინჩვირს I 154_{29} თეთრია, გრძელი ყელი და ნისკარტი („კბილი“) აქვს. ზღვაში ცურავს... დერეში ქინაის ინჩვისს II 32_{31} მდინარის ნაპირას ცურავს.. არ თილქი... დერეს ნადგუ, ინჩვირუ დო ქომეკახთუ... II 21_{32} ერთი მელია მდინარეს მიადგა, შეცურდა და გადავიდა...

მეგრ.: კვატა წყარს ჩ უ რ უ ნ ს — იხვი წყალში ცურავს... წყარს გ ე ჩ უ რ უ — წყალში შესცურა...

ჰან. **ჩვირ-** ← **ჩურ-** (შდრ. მეგრ.): **უ**-ს **ვი**-დ დაშლით... სხვა მხრივ შესატყვისობა სრულია: **ც-** || **ჩ-**, **-ურ-** საერთო სუფიქსია.

189. ჰან. **ჩით-**: მუ-**ჩით-**უ აცთენა (ხიფათისა), გადარჩენა, спастись; отвратить опасность

მეგრ. **ჩირთ-** || **ჩილით-**: იო-**ჩირთ-**უ ცთენა, ცთომა, ошибиться; ввести в заблуждение

ქართ. **ცეთ-**: ა-ს-**ცთ-**ა „ „

„ჯ ე ჰ ე ნ ე მ ი შ ე ნ ვა მ უ ჩ ი თ უ-ჲა, სი-ა!“ I 24_{30} ჯოჯოხეთს არ ასცდები-ო, შენა-ო!.. ძაბუნი რენ...: თემბელი კოჩ ი ში გუი ოჭკო-მაფით ე-დო ქ ა მ უ ჩ ი თ უ ნ-ჲა I 38_5 ავად არის...: ზარმაცი კაცის გული აჭამეთ და გადარჩებაო („ასცდებაო“ სიკვდილს)... ქ ე შახთუ-ში მ უ ჩ ი თ უ II 57_{16} რომ ამოვიდა, გადარჩა...

მეგრ.: შარას გ ე ჩ ი რ თ უ — გზას ასცთა... თეს მ ე ჩ ი რ თ უ — ამაში შესცდა... ართი დღაქ გ ო ჩ ი რ თ უ — ერთი დღე გაცდა... თინუ შარას გ ი ო ჩ ი ლ ი თ უ — სწორ გზას ააცინა... საქვარს მ ო-ჩ ი ლ ი თ უ — სამუშაოს მოაცდინა... სუმი დღა გ ო ჩ ი ლ ი თ უ — სამი დღე გააცდინა... ჩ ი ლ ა თ ი რ ი — ამცთარი, აცთენილი... უ ჩ ი ლ ა-თ უ — უმცთარი, შეუმცთარი...

ძვ. ქართ.: შ ე ს ც თ ა იგი... შ ე ს ც ე თ შენ...

ქართ. **ცეთ-** და ჰან. **ჩით-** ერთმანეთის შესატყვისია; **რ-** მეგრ. **ჩირთ-**ში ფონეტიკურად განვითარებული ჩანს...

ამავე ჰან. **ჩით-**ს უნდა უკავშირდებოდეს **შლეთ-** || **ჩულეთ-** (იხ. ნ. მ ა რ ი ს ჰან. გრ., ლექსიკ., გვ. 212) — „ხსნა“ (ე. ი. ხიფათის თავი-დან ა ც თ ე ნ ა).

190. ჰან. **ჩ-ილ-**: დი-**ჩილ-უ** ცოლის შერთვა, დაცოლიანება, женниться

მეგრ. **ჩ-ილ-ი**: ცოლი, жена

ქართ. **ც-ოლ-ი**: „

ასკეეფექ ექ, გონიას, ოხოეფე დოყვეს დო დიჩილეს I 116_6 „ასკერებმა“ იქ, გონიაში, სახლები „გააკეთეს“ და „დაცოლიანდენ“... ბიჭი იჩილენ, ბიჭი დიჩილუ II 1_{24-25}, $20_{1,2}$ ვაჟი ცოლს თხოულობს („ცოლიანდება“), ვაჟმა ცოლი შეირთო... ჰაქ ოხორი დობოხვენაფი ე-დო ჰადა დობოჩილი II 30_6 აქ სახლი „გავაკეთებინე“ და ცოლი შევრთე („დავაცოლიანე“)...

ეს ზმნა ნასახელარია; ფუძეა **ჩილ-** (იხ.).

არც მეგრულსა და არც ქართულში ამ სახელის ფუძიდან ნაწარმოები ზმნა არა გვაქვს.

ზმნიდან **ი-ჩილ-უ** — ნაწარმოები სახელია ო-ჩილ-ონ-ი — „დასაცოლიანებელი“...

191. ჰან. **ჩ-ინ-** || მ-**ჩ-ინ-**: დუ-მ-**ჩინ-უ** დაბარება (დაუბარა), შეთვლა, наказывать, поручить

მეგრ. **ჩ-ინ-** || ჩ-ენ-: დუ-**ჩინ-უ** „ „

ქართ. **ჩ-ინ-** = ჩ-ენ-: გან-უ-**ჩინ-ა** დაწესება, установить

ბიჭიქ ბაბა მუშის ხაბეი ნუმჩინუ II 39_{18} ბიჭმა თავის მამას ამბავი შეუთვალა...

ხოფურში ჩვენ გვაქვს დოჩინადუ: აღაქ დოჩინადუ მუში ხეზმექჲარის I 48_6 ბატონმა დაუბარა თავის მოსამსახურეს...

მეგრულის მიხედვით ვიწურ-არქაბული ვარიანტი სავსებით ბუნებრივი ჩანს; მეგრ.: დუჩინუ — დაუბარა... მეუჩინუ — შეუთვალა...

შეიძლებოდა ეს მეგრ. ზმნები ი-**ჩინ-**უ-სთან (— იცნო) დაკავშირებით განგვეხილა, მაგრამ მაშინ არ იქნებოდა გარჩეული: **ჩინ-** (დუჩინუ — დაუბარა...), რომელიც იგივეა, რაც ქართული **ჩინ-** (განუ-ჩინ-ა...) და **ჩინ-** (იჩინუ — იცნო), რომელსაც ქართული **ცან-** (იხ.) შეესატყვისება.

192. ჭან. **ჩინ-დ-**: დი-**ჩინ**-დ-უ დაცხიკვება, ცხვირის დაცემინება, чихнуть
მეგრ. **ჩიონ-**: გო-**ჩიონ**-უ " "
ქართ. *ცვ-ირ- → **ცხვ**-ირ-

ჭუტა ბერეს ჟურ-სუმ ფარა დაჩინდუ II 68_{28} პატარა ბავშვს ორ-სამჯერ დააცხიკვებინა, ცხვირს დააცემინა... ბოზომოთაქ არ ქოდიჩინდუ II 92_{13} ქალიშვილმა ერთი დააცხიკვა... დიჩინდუკო, პიჯიშე ფურჩი დვაბლეტუ II 91_{28} რომ დააცხიკვებდა, პირიდან ყვავილი გამოუცვივდებოდა...

მეგრ.: ჩიონი — ცხიკვება... ჩიონუნს — აცხიკვებს... გააჩიონაფუ — დააცხიკვებინა...

ეს **ჩინ-** იგივე უნდა იყოს, რაც ჩხვინდ-ში გვაქვს; ამ უკანასკნელში **ჩ**-სთან **ხ**-ა განვითარებული (და იქნებ **ვ**-ც; წინააღმდეგ შემთხვევაში **-ვ-** დაკარგულად უნდა დავსახოთ **ჩინდ**-ში; ჭანურისთვის ეს ბუნებრივია, მეგრულისათვის კი — არა).

ასეთ შემთხვევაში ქართულ **ცხვირ**-ში **ხ**- აგრეთვე ფონეტიკური დანართი იქნება...

აღსანიშნავია ჩინდ- ზმნასთან ხმარებულ კონსტრუქციათა სხვაობა: ხოფურში დაჩინდუ ორპირიანი გარდაუვალი (ინვერსიული) ზმნაა: ბერეს დაჩინდუ — ბავშვს დააცხიკვებინა... ათინურში დიჩინდუ გარდამავალი ზმნაა: ბოზომოთაქ დიჩინდუ — ქალიშვილმა „დააცხიკვა"... პირველ შემთხვევაში **-დ-** შეიძლება ვნებითის მაწარმოებლად მივიჩნიოთ, მეორეში — ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია.

მეგრ. ჩიონუნს — „იგი აცხიკვებს" გარდამავალი ზმნაა. გააჩიონაფუ — კი დააცხიკვებინა მას — კაუზატივია.

193. ჭან. **ჩინ-**: ი-**ჩინ**-უ ცნობა, узнавать к.-л.
მეგრ. **ჩინ-**: ი-**ჩინ**-უ " "
ქართ. **ცან-** || **ცნ-**: ი-**ცნ-ო** "

ია ბერე იჩინუ I 88_{30} ის ბავშვი იცნო... ჰიმ დორა ჯუმა მუშინა ცორთუ, იჩინუ II 118_{29} მაშინ იცნო, რომ მისი ძმა იყო... ვარ ბიჩინი, ნამუ რენ სიჯა II 66_{25} ვერ ვიცანი, რომელია სიძე... ბა-

ბა მუში ვა იჩინამს, ნანა მუში ასლანი იჩინამს II 33_{28} თავის მამას არ იცნობს, თავის დედას, ლომს, იცნობს... სი მან მიჩინოფ-ი? II 59_4 შენ მე მიცნობ?... ფილიჭი მამული დო დადული ვა იჩინობენ I 164_{20} „ვარია“ მამალი და დედალი არ „იცნობება“...

მეგრ.: თი ბალანა ქ̄ჩინუ — ის ბავშვი იცნო... სი მა მიჩინენქო? — შენ მე მიცნობ?... ვარაყია დადული დო მუმული ვ̄ჩინ̄ებე(ნ) — ვარია მამალი და დედალი არ გაირჩევა („გამოიცნობება“)... დუდი გააჩინებაფუ — თავი გააცნო... ჩინებული დო უჩინებუ — ნაცნობი და უცნობი...

ქართ. **ცან-** მომდევნო სუფიქსის ზეგავლენით კარგავს **ა**-ს: ცნო, ცნეს, მაგრამ: ვცან, ცან...

ცან-ის შესატყვისი ზანურში უნდა ყოფილიყო **ჩონ-**, მაგრამ: **ო → უ → ი** და მივიღეთ: **ჩინ-**.

194. ჭან. **ჩ-ოდ-** მოცლა, გათავება, иметь досуг, кончать

მეგრ. **ჩ-ოლ-** || **ჩ-ოდ-** მოცლა, დაცლა, иметь досуг, опорожнить

ქართ. **ც-ალ-** || **ცლ-** „ „ „

ჩქვა დიჩოდუ I 11_{22} სხვა გათავდა („დაიცალა“)... დაჰა მუთუ ვა ონუ, დიჩოდუ. ჰამ ჰეჩჲა დიჩოდუ II 87_{31} მეტი არაფერია, გათავდა. ეს ზღაპარი („ამბავი“) გათავდა... მამუდის... დიშქა დვაჩოდუ I 44_{35} მამუდს შეშა გაუთავდა... ახმედის... ვა ჩოდუტუ I 107_{27} ახმედს არ ეცალა... ყურძენიშოთი ვარ მაჩოდენან I 109_{13} ყურძნისათვის არ გვეცლება... დულჲა მთელი დოჩოდინუ I 41_9 საქმე სულ გაათავა... ობირუ დოჩოდინეს II 67_{23} სიღერა გაათავეს...

მეგრ.: ურემი გოჩოლუ — ურემი დაცალა... ურემს ჩოლანს — ურემს ცლის... ჩოლამირი — მოცლილი... ამდღა თის ჩოდუ(ნ)— დღეს მას ცალია... გოღა მა ბჩოდუტუ, ჭუმე ვა მაჩოდე(ნ)— გუშინ მე მეცალა, ხვალ მე არ მეცლება...

ქართ. **ცალ**-ს შეპირისპირებულია ჰან. **ჩოდ-** (შდრ. მოხვედი— მოხველი...). მეგრულში **ლ**- ვარიანტიც არის და **დ**-ც: **ჩოლ-** || **ჩოდ-**. მნიშვნელობა ამ ფუძისა მეგრულსა და ქართულში ორ რასმე გულისხმობს: „დაცლასა“ და „მოცლას“: ორივე **ცალ**-თანაა დაკავშირებული; მეგრულში „დაცლა“ **ჩოლ**-ს იყენებს, „მოცლა“ **ჩოდ**-ს; ჰანურში ისევე, როგორც ქართულში ერთი ვარიანტი გვაქვს: **ჩოდ-**; მნიშვნელობაში აქაც ორი მომენტია წარმოდგენილი: „მოცლა“ და „გათავება“, ე. ი. „დაცლა რისამე“...

195. ჰან. **ჩქ-**: **ჩქ-უ-ნ** || **ჩქ-ი-ნ**: **ქე-ჩქ-ინ-დ-უ** ჩენა, გაჩენა
виднеться, появиться

მეგრ. (**რ**)-**ჩქ-**: **ჩქ-უ-(ნ)**: **ქე-რ-ჩქ-ინ-დუ** „ „

ქართ. **ჩ-**: **ჩ-ა-(ნ)-ს**: **გა-ჩ-ნ-დ-ა** „

მჩხოფა მუშა კოჩის ნ ო ჩ ქ ი ნ ს I 112_2 ციება მუშაკაცს ემართება („გამოაჩნდება“)... კუბაღაჯი მანიშა ხოლო ჯანი მუშის ქ ე ჩ ქ ი ნ დ უ I 35_{13} წერო სასწრაფოდ მის ახლოს გაჩნდა... ციდუ-სი, სუმოში ლირა დ ო ჩ ქ ი ნ დ უ II 128_7 რომ იარა, სამასი ლირა „დაჩნდა“...

მეგრ.: გოლა ქ ო ჩ ქ უ(ნ) — მთა ჩანს... ცუდე ვა ჩ ქ უ დ უ — სახლი არ ჩანდა... წყარქ ქ ო რ ჩ ქ ი ნ დ უ — წყალი დაჩნდა (ჭის თხრისას)... ლეტაქ გ ე რ ჩ ქ ი ნ დ უ — ტალახი გაჩნდა...

ქართული ძირეული **ჩ**- წარმოდგენილია ჰანურსა და მეგრულში **ჩქ**-თი: **ქ**- განვითარებულია ფონეტიკურად. რაც შეეხება **ა**-ს— **ჩ-ა-(ნ)**-ს, — მისი კორელატია **უ** ← **ო**.

ჩქუნ- საშუალო გვარისაა, **-ჩქ-ინ-დუ** — ვნებითისა; ვნებითობას **დ**- გამოხატავს. **-ინ-** ჰანურში და მეგრულში, **-ნ**- ქართულში ერთი და იგივე ოდენობა ჩანს (**-ინ-** → **-ნ-**); ფუნქცია ცხადი არაა.

ეგევე **ჩქუნ**- || **ჩქინ**- საობიექტო ქცევის ნიშნებით გვაძლევს ზმნას— **მი-ჩქ-უნ, გი-ჩქ-უნ, უ-ჩქ-უნ** (იხ. ქვემოთ), რომელიც „ცოდნას“ გამოხატავს და სიტყვა-სიტყვით გადათარგმნისას ნიშნავს: „მიჩანს“, „გიჩანს“, „უჩანს“ — ე. ი. ჩემთვის ჩანს, შენთვის ჩანს, მისთვის ჩანს, დასანახია, ცხადია...

196. ჰან. **უ-ჩქ-ი-ნ** ‖ **უ-შქ-უ-ნ** ‖ **უ-შკ-უ-ნ** იცის, (знает) знать,
მეგრ. **უ-ჩქ-უ-(ნ)** „ „
ქართ. „**უ-ჩ-ა-(ნ)-ს**“ მისთვის ჩახს, შესაცნობია, ему видно

ფადიშაჰს ვარ უშქუნ, დერემენჯის არ ქარმატე უღუნ II 98_{10} ხელმწიფემ არ იცის, რომ მეწისქვილეს ერთი წისქვილი აქვს... ბაბა შქიმის-თი უშქუტუ-ჩი II 100_{31} მამა ჩემსაც ეგონა („მამა ჩემმაც იცოდა“)... მუშენი მოგოჩქუმეს, მუს-თი ვარ უჩქინ... I 47_{30} რის-თვის მოგაგზავნის, თითონაც არ იცის... მა-ნა მებლატი, უჩქი-ტუ ჰემ კოჩის, მა-ნა ბღურარე, უჩქინ ჰემ კოჩის II 8_{23} მე რომ ჩამოვვარდებოდი, იცოდა იმ კაცმა, მე როდის მოვკვდები, [ესეც] იცის იმ კაცმა... ხოჯას ჩ'ქა მუ აჩქინენ-ქი I 1_{18} ხოჯას რა ეცოდინება...

უშქუნ (ზოგჯერ: უშკუნ) — ათინურია, ხოლო უჩქინ — ვიწურ-არქაბული და ხოფური. განმარტება იხ. აქვე, ზემოთ.

197. ჰან. **ჩქვ-** ‖ **შქვ-**: მენდო-**ჩქ-უ** გზავნა, посылать
მეგრ. **ჩქვ-**: მიდა-**ჩქ-უ** „ „
ქართ. **ციქვ-**: [მო-**ციქ-ულ-ი**] [посланный]
სვან. **-ციქუ-**

ჩილი მუში მენდოჩქუ... კონქში მუშიშა II 9_{18} თავისი ცოლი გაგზავნა... თავის მეზობლისას... ცარ ჯაზი ოხორზა მენდოშქუ II 118_{7} ერთი ეშმაკი დედაკაცი გაგზავნა... ჩინობერი ლეზგეფე ნოჩქუ ნაიბიშა I 31_{22} ნაცნობი ლეკები მიაგზავნა ნაიბთან... ოხორჯას-და გუი ქომოუჩქვინა-და I 14_{16} ცოლსაო გული მოვაყვანინოო („გული მოვაგზავნინოო“)...

მეგრ.: ბალანა მიდაჩქუ — ბავშვი გაგზავნა... მოციქულო — ქგმიოჩქუ — მოციქულად მიაგზავნა... მოციქული ქგმეუჩქუ — მოციქული მიუგზავნა... ოჩქვანს — აგზავნის...

ბოლოკიდური **-ვ-** (**ჩქვ-**) იკარგება მეგრულშიც და ჰანურშიც **უ**-ს წინ: **ჩქუ-** ← **ჩქვუ-**.

ჩქვ- ძირს ქართულში შეესატყვისება: **ცქვ-** ‖ **ციქვ-** ‖ ძვ. ქარ. **ციქუ-**. ეს ძირი წარმოდგენილია ქართ. მო-ცი-ქ-ულ-ში, რაც „გაგზავნილს“ ნიშნავს.

სვანურში **ციქუ-** ამჟამადაც იხმარება ზმნის ფუძედ.

198. ჰან. **ჩხ-** რეცხა, мыть
მეგრ. **რ-ჩხ-** " "
ქართ. **რ-ცხ-** "

ეკულე ყინი წკაითე დოჩხიფან I 142_{12} მერე ცივი წყლით გარეცხვენ... წკაიშა იმელან დო კაი დოჩხიფან I 142_{25} წყალზე წაიღებენ და კარგად გარეცხვენ...

მეგრ.: სენი დო ჰირქა გორჩხუ — თეფში და ჭიქები გარეცხა... ნისორს რჩხუნს — გობს რეცხავს... ნარჩხი — ნარეცხი...

ქართ. რ-ცხ-ა (იხ. საბა) არის **რ-ჩხ**-ს შესატყვისი. მნიშვნელობაც იგეთივეა. ჰანურში თავკიდური **რ-** დაკარგული უნდა იყოს (თუ მეგრულშია განვითარებული? უკანასკნელ შემთხვევაში თავკიდური **რ-** ქართულშიაც განვითარებული იქნებოდა).

199. ჰან. **ნ-ჩხვარ-**: დო-ნ-**ჩხვარ**-უ სიმინდის, ღომის გაცეხვა, обмолот проса и кукурузы
მეგრ. **ჩხვარ-**: დო-**ჩხვარ**-უ ღომის გაცეხვა, обмолот проса
ქართ. —

(ლაზუტი) სერენთიშე გეიმელან დო დოქურჩოლუმან და დოჩხვარუმან: დოქურჩოლუმან — ხეთე, დონჩხვარუმან — ონჩამურეთე II 60_{35} სიმინდს სასიმინდიდან გამოიტანენ და „დაფშვნიან“ ან „დაცეხვავენ“: „დაფშვნიან“ — ხელით, „დაცეხვავენ“ — საცეხველით („ონჩამურე“-თი)... ბინჯი დინჩხვაუ I 138_{14} ბრინჯი დაიცეხვა...

დონჩხვარუ ნასახელარი ზმნაა; იწარმოება **ნ-ჩხვარ**-ისაგან (იხ.) მეგრულში: **დოჩხვარუ** მხოლოდ ღომსა და მჭადზე ითქმის (სიმინდზე — არა!), ჰანურში ეს ზმნა უფრო ფართო მნიშვნელობისაა: ღომი, ფეტვი, ბრინჯი, სიმინდი — ყველაფერი ეს „ინჩხვარენ“, თუ ხელით არ ფშვნიან...

ქართულში ეს ძირი არა გვაქვს.

200. ჭან. **ჩხ-ვ-ინ-** || **ჩხ-უნ-**: ო-**ჩხვინ**-აფან გაცხელება, разогреть
მეგრ. რ-**ჩხ**-ი-ელ-: ა-რ-**ჩხ**-იელ-ენ-ა(ნ) გაცხელება, разогреть
ქართ. **ცხ**-ელ-: ა-**ცხ**-ელ-ებ-ენ „

ტეპსის ჯაღი ქოგედუმელან დო დოჩხვინაფან I 143_4 ტაფაზე ერბოს დაადებენ და ადნობენ... დემიში წკილი იყვენ, დაჩხიის მეშადუმელან დო ოჩხვინაფან I 149_{27} რკინის შანთი („წკილი“) იქნება, ცეცხლში შედებენ და აცხელებენ...

ათინურისათვის ნ. მარს მოჰყავს ვო-**ჩხუნ**-ამ—„ვათბობ“, ვი-ნ-**ჩხუნ**-ამ — „მცხელა... ვიწურისათვის ბო-მ-**ჩხვინ**-ამ — „რკინას ვაცხელებ“...

ძირი ამ ზმნას საერთო აქვს **ჩხე**-სთან (იხ.); ნასახელარი ზმნაა. ჭან. **ჩხვინ-** ← **ჩხ-ივ-ინ-**; მეგრ. **რჩხიელ-** ← **რ-ჩხ-ივ-ელ-**... (ეს **-ივ-** ქართულს აკლია). ათინ. **ჩხ-უნ-** ← **ჩხ-ვინ-**...

201. ჭან. დი-**ც-** || ძი-**ც**-ინ-: ი-ძი-**ც**-უ სიცილი, смеяться
მეგრ. ძი-**ც**-: ი-ძი-**ც**-უ „ „
ქართ. **-ც**-: ი-**ც**-ინ-ა „

კოჩიქ... ი ძ ი ც უ I 5_9 კაცმა... იცინა... ჰემ კოჩიქ არ დ ი ძ ი ც უ, ხოჯაქ-თი არ დ ი ძ ი ც უ II 11_9 იმ კაცმაც ერთი გაიცინა, ხოჯამაც გაიცინა... ო ძ ი ც ი ნ უ ში ენ დო ბ ი ძ ი ც ით II 68_{24} სასაცილოა („სიცილისაა“) და ვიცინეთ... სიჯა მუშის-თი... ა დ ი ც ი ნ უ II 92_{33} მის სიძესაც გაეცინა... დ ი ც ა მს! ჰექ ქომოლახედუ ოხორის-დო! II 103_{35} იცინის! იქ დაჯდა სახლში-და!... ბოზუმოთა ა ძ ი ც ი ნ უ II 125_2 ქალს გაეცინა... მუს-თი ა ძ ი ც ი ნ ე ნ... II 22_{24} თვითონაც ეცინება...' ხჩინიქ ნ ო ძ ი ც უ ბადის I 27_{24} დედაბერმა დასცინა ბერიკაცს...

მეგრ.: ბრელი ი ძ ი ც უ—ბევრი იცინა... გ ა ა ძ ი ც ი ნ უ—გაეცინა... გ ა ა ძ ი ც ი ნ უ — გააცინა... გ ი ა ძ ი ც უ — დასცინა... ა ძ ი ც ი ნ ე(ნ)— ეცინება...

ძირეულია -ც-[1]; ის საერთოა ქართულისა, ჰანურისა და მეგრულისათვის. მეგრულში ამ ძირს შეხორცებია **ძი-**, ჰანურში — **ძი-** და **დი-** (იხ. ზემოთ მაგალითები ართაშნელ მუსა გულაბერ-ოღლის ნათქვამიდან); **ძი-** მიღებულია **დი-**საგან და ფუნქციის მიხედვით უდრის ქართულ **სი-**ს: **სი-ც-ილ-ი**; ამისდა კვალად „მა-ძი-ც-ინ-ე-ნ“ იქნებოდა „მე-სი-ც-ინ-ებ-ა“...

ქართული **ც-ინ-** || **ც-ილ-**ში **-ინ-**ს ენაცვლება **-ილ-**; ქართ.: **-ინ-**: ა-**ც-ინ-**ებს — ე-**ც-ინ-**ებ-ა — ი-**ც-ინ-**ი-ს — კაუზატივებისათვის დამახასიათებელი აფიქსია.

იგი ჰანურშიც გვაქვს და მეგრულშიც: ჰან. ა-**დი-ცი-ნუ** — ჰან.-მეგრ. **ა-ძი-ც-ინ-უ**...

202. ჰან. **ცად-** ნახვა, გამოცდა, посмотреть, испытать

მეგრ. **ცად-** „ „

ქართ. **ცად-** „

„გინონ-ნა, იდი დო **ცადი**-ა!“ „მუჭო **ცადი**-“და? I 23_{13} „თუ გინდა, წადი და ნახეო“ („ცადეო“)... „როგორ ვნახოო“ (ვცადოო)?... ბაბაში ნენა დ ო ფ ც ა დ ა-და I 14_4 მამის ნათქვამი („სიტყვა“) გამოვცადოო... „ბაბა-ჩქიმიში ნენა ო ც ა დ უ შ ე ნ ი თხა მეოჭკიი-ა... ფაათი... აღნე ძიომელის ო ც ა დ უ შ ე ნ ი გოწაულია!“ I $14_{34,37}$ მამა ჩემის სიტყვის გამოსაცდელად თხა დავკალიო... ფულიც ახალ გაცნობილს („ნახულს“) საცდელად გამოვართვიო...

მეგრ.: ენა ფ ც ა დ ი, მარა მუთუნქ ვეგჳშართუ — ეს ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა... ფ ც ა დ ე ნ ქ — ვცდი... ო ც ა დ უ (ნ) — ცდილობს...

ცად- საერთოა ქართულისა, მეგრულისა და ჰანურისათვის. მნიშვნელობაც არსებითად ერთი აქვს. ჰანურში თავისებურია მნიშვნელობის ერთი მომენტი — „ნახვა“. აქ ჰანურს შემოუნახავს ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობა: ძვ. ქართულში „ცადა“ — „ნახა“-ს ნიშნავს

[1] ნ. მ ა რ ს (ჰან. გრ.) და ი. ყ ი ფ შ ი ძ ეს (მეგრ. გრ.) ეს ზმნა შეტანილი აქვთ **ძ**-ზე: **ძიც-**. ეს მოწმობს, რამდენად საძნელოა ძირების მიხედვით სიტყვების გარიგება ლექსიკონში.

(„ლაშქარი განიცადა“—ჯარი დაათვალიერა). „**განცდა**—დანახვა“-ო, ამბობს საბა (სჯულის წიგნზე მითითებით „განცდა—გამოცდა“-დ აქვს აგრეთვე განმარტებული. ჩანს, ეს მეორე მნიშვნელობა ძველთაგანვე განუვითარდა ამ ზმნას: „ნახა“ —„გამოსცადა“; ამ ორში მაინც პირველადია „ნახვა“, „შეხედვა“)...

ძირეულია თუ არა **-ად-** (**ც-ად-**?), ამაზე აქ არ შევჩერდებით. კითხვის დასმა კი კანონიერია.

203. ჭან. **ციგ-** დარჭობა, აცმევა, втыкать (мал. пред.), нанизывать

მეგრ. **ციკ-** ამოშვერა (პატ. რისამე), торчать (про мал. пред).

ქართ. —

გზაეფეს დაძეფე ოციგაფს I 5_3 გზებზე ეკლებს არჭობს... ოთხო კაზუღი ქოდოციგაფან I 148_{16} ოთხ სვეტს დაარჭობენ... ეკულე ნოკეფეთე დოციგუფან I 156_{14} მერე ძაფზე აცმევენ... ნოკეფეთენ ციგეი-ნა მიღუნან, ფაფას დოლოონწამინონან სუმ ფაა I 156_{16} ძაფზე აცმული რომ გვაქვს, ფელამუშში („ფაფაში“) უნდა ამოვავლოთ („ჩავაწოთ“) სამჯერ...

მეგრ.: ბიგა უციკანს—ჯოხი (პატარა) უჭირავს (გაშვერით)... კითი უციკანს—თითი აქვს გაშვერილი... გიციკინანს—დგას (პატარა, წვრილი)...

მეგრ. **ციკ-** იგივე **ციგ-** უნდა იყოს, ბოლოკიდური **გ-** დაყრუებულია. ქართულში შესაბამისი ძირი არა ჩანს.

204. ჭან. **ც-ონ- || ც-უნ-** ჩასობა, დარჭობა, აცმა, вонзить, нанизать

მეგრ. **ც-უნ-** бланедва, დარჭობა, აცმა, шить на живую нитку; вонзить, нанизать,

ქართ. **ც-ვ- || ც-უ-** надеть, нанизать, ч.-л. на ч.-л.

ოწკედუ-შ-კულე, დემირიში კაფეფე ჰექ ოცონს II 36_{13} რომ შეხედა, რკინის ლურსმები იქ არჭვია („აცვია“)... ჟინ თის ფირფიტა გჲოცონს II 61_{11} ზევით თავზე ფირფიტა აქვს „წამოცმული“...

ღურნის ლულა ნ ო ც ო ნ ს II 61_9 ღარს მილი („ლულა“) აქვს წამოცმული... კაფრეფე მჯიხითე გეჩუ დო დუვარეფეს დ ო ც ო ნ უ II 35_{28} ლურსმნებს მჯიღი დაკრა და გალავანში ჩაასო... მთელი ჰეშო კაფრი დ ო ც ო ნ უ დუვარის II 35_{24} ასე სულ ლურსმანი დაასო გალავანს... უნკაპას-შ-კულე თუდე კაფრის ქ ო მ ა ც ო ნ ე ნ II 35_{27} როცა გადახტება, ქვეშ ლურსმანს წამოეგება („წამოეცმევა“)... მასარი დ ო ბ ც ო ნ ი, ჰეფხე ჭობოლოკორი, დივუ ღობერი II 72_{28} სარი დავასევი, წკნელი გადავაკარი, შეიქნა ღობე... ჰუს ჰაქ ქელაფხერ დო თუთუნი ფ ც ო ნ უმ II 95_5 ახლა აქ ვზივარ და თამბაქოს ვაცმევ... ჟურმტკოშ მენდრა-მენდრა დ ო ც უ ნ ა მ ა ნ II 75_{29} ორი მტკავლის სიშორეზე დაასობენ... დირელეფე დ ო ც ო ნ ა მ ა ნ II 76_{15} სვეტებს დაასობენ... მჭიფე ლემში გურის ქ ო მ ე მ ა ც ო ნ უ II 84_5 წვრილი ნემსი სულში გამერჭო...

მეგრ.: ც უ ნ უ ნ ს — ბლანდავს (შორი-შორს კერავს)... გ ე ლ ა ც უ ნ უ — ამოკერა ბლანდვით... ქობარს გ ე ც უ ნ უ(ნ) ხამი — პურზე არჰვია დანა... მასარს ქ ე მ ა ა ც უ ნ უ — მესერს წამოეგო... ბიგას ქ ე მ ა ც უ ნ უ̄ უშქური — ჯოხზე წამოაგო ვაშლი...

ძირეულია ყველგან **ც-**; ის საერთოა; ჰანურში ეს ძირი დაირთავს **-ო̱ნ-** სუფიქსს, რომლისაგანაც არის მიღებული **-უნ-**. ქართულში მას ფუნქციონალურად შეესაბამება **ვ** ‖ **უ** ← **ევ**(?).

205. ჰან. **ნ-ც-ო̱რ-** ‖ **ც-ირ-** ცრა, просевать сквозь сито
მეგრ. **ც-ირ-** „ „ „ „
ქართ. **ც-ერ-** „ „ „

ნანაქ მქვერი ონცორუთე დ ო ნ ც ო რ უ II 31_{20} დედამ ფქვილი საცრით გაცრა... სარღა ეწებუდგამთ დო დ ო მ ც ო რ უმთ II 61_{36} გობს ქვეშ შევუდგამთ და გავცრით... მჭირი დ ი ნ ც ი რ ე ნ დო ხაზირი დიყვენ... მჭირი მთელი დ ი ნ ც ი რ უ I $40_{9,11}$ ფქვილი გაიცრება და მზად იქნება... ფქვილი სულ გაიცრა... ონკაპინუშ ვახთიშ მჭიი-თი დ ი ც ი რ ე ნ I 37_7 სირბილის დროს ფქვილიც გაიცრება...

მეგრ.: ქვირს ც ი რ უ ნ ს — ფქვილს ცრის... ქვირი დ ო ც ი რ უ — ფქვილი გაცრა... ც ი რ ი ლ ი — გაცრილი...

ძირი საერთოა; მეგრული **ცირ-** (ისევე, როგორც ხოფური **ცირ-**) **ცორ-**ს ემყარება (**ცურ-**ის მეშვეობით)...

როგორია შეფარდება ამ **ცორ-**სა და ქართ. **ცერ-**ს შორის? თქმა იმისა, **ცორ-** ← **ცარ-**, ეს უკანასკნელი კი **ცერ-**ს შეეფერებაო, არ შეიძლება: იგივე **ც-** გვაქვს, შესატყვისობის საკითხი მოხსნილია.

რჩება მეორე შესაძლებლობა: **-ორ-** სუფიქსია ისევე, როგორც **-ერ-** ფუნქციონალურად **-ორ-** უდრის ამ **-ერ-**ს, ფონეტიკურად კი — არა. თუ ეს ასეა, ამას მნიშვნელობა აქვს სხვა ანალოგიური შემთხვევებისათვის (იხ. მაგალ. **ჭორ-** || **ჭირ-** ძირი ზმნებში).

საგულისხმოა, რომ **-ერ-** ქართულში გარდამავალ ზმნას — გავ-**ცერ**-ი — აღმოაჩნდა...

206. ჭან. **ცხანკ-** კენკვა, ნისკარტის ჩაცემა, клевать
მეგრ. **ცხაკ-** ნისკარტით ცემა, бить клювом
ქართ. —

მონჭვა გდათხოზუ ყვაოჯის, კიბირი ნოცხანკუ დო თოლი ჭდოი დუხვენუ II 102_7 კრუხი გამოუდგა ყვავს, ჩაკრა ნისკარტი და თვალი ამოთხარა („ბრმა გაუხადა")... ჰექო ქოდოფუთხუ, ლირა დონცხაკუ, ოჭკომუ II 40_6 იქ დაფრინდა, ლირა აკენკა, შეჭამა (მამალმა)...

მეგრ.: წიწილა იცხაკუ(ნ) — წიწილი ნისკარტსა სცემს (გამოჩეკისას კვერცხის ნაჭუჭს)... ქოთოში უცხაკუანს — ქათამი ნისკარტსა სცემს...

მეგრულსა და ჭანურში ეს ფუძე საერთოა — **ცხაკ-**; ჭანურში **კ-**ს წინ განვითარებულია **-ნ**.

ქართულში შესაბამისი ძირი არა ჩანს.

207. ჭან. **ცხონტ-** || **ცხოტ-** ხტომა, прыгнуть
მეგრ. **ცხოტ-** კაფვა (ხისა), обрубить ветви дерев.
ქართ. **სხლეტ-** скользить, проскользнуть

ოხორჯა გამაცხონტუ დო იმტუ I 6_{32} ცოლი გამოვარდა („გამოხტა") და გაიქცა... ბირდემბირ ქეთო დეცხონტუ დელი'-სთერი I 32_{25} უცებ ქეთო წამოვარდა („წამოხტა") გიჟივით... არ

ჲეფცხონტი, ქოგეფხედი [ცხენის] I 92_5 ერთი ავხტი, შევჯექ [ცხენზე]... არ კოჩი გალე ნოცხონტინეს I 156_{32} ერთი კაცი ნაპირზე („გარეთ“) გადაახტუნეს...

ამავე ფუძის ვარიანტი უნდა იყოს **ცხოტ-**: არ ჯა ქაგოფცხოტუფთ, ჟინ ყა ვა მეუშქუმეთ I 137_1 ერთ ხეს გადავბელავთ, ზევით ტოტებს არ დავუტოვებთ... ქაფჩა ცხოტუფს — ხამსას თავს გლეჯს...

მართალია, ამ ვარიანტს **-ნ-** აკლია (შდრ. **ცხონტ-** და **ცხოტ-**, ორივე ხოფურში), მაგრამ ეს იმით უნდა აიხსნას, რომ იწყება ამ ორი ფუძის სემასიოლოგიური დიფერენციაცია...

მეგრ.: ჯას ცხოტუნს, ჯა გოცხოტუ — ხეს ბელავს, ხე გადაბელა... მეგრულში არის მეორე ფუძე, რომელიც ჰან. **ცხონტ-**ს უახლოვდება აგებულებით და, ნაწილობრივ, მნიშვნელობითაც; ესაა **ცხვანტ-**ალ-: იცხვანტალუ(ნ) — წრიალებს, მოუსვენრობს; მაგრამ ეს ნასახელარი ზმნაა: ცხვანტ-ი — მატლი (ლეშისა); იცხვანტალუ(ნ) — მოძრაობს შეუსვენებლივ, როგორც ეს მატლი („**ცხვანტ-ი**“)...

თუ ჰანურში **ცხონტ-** და **ცხოტ-** ერთი და იმავე ფუძის ვარიანტებია, **ცხონტ-** და მეგრ. **ცხოტ-** ფუძის ურთიერთობა დადებითად გადაწყდება. მნიშვნელობის მხრივ დაბრკოლება არაა: „ჩამობელვა“ ტოტების „გადახტომას“ იძლევა...

ქართ. **სხლეტ-**თან **ცხონტ-** ფუძის კავშირი ასე წარმოგვიდგება: **სხ-** → **ცხ-** (შდრ. **სისხლი** — ჰან. **დიცხირი**)... **ლ-** დაკარგულია და **ნ-** განვითარებული. რაკი **ცხონტ-** შინაგან კავშირშია **ცხოტ-** ფუძესთან, ამით ივარაუდება, რომ ერთი და იმავე ძირისაა „სხლვა“ და „სხლეტა“.

208. ჰან. **ცხ-უნ-** დარჩევა, очищать от шелухи
მეგრ. **სხ-უნ-** დარჩევა, არჩევა, რჩევა, очищать от шелухи, выбирать, советовать
ქართ. **სხვ-ა** || **სხუ-ა**(?) иной, другой

ხოჯაქ ჭუბური დოცხუნუ I 84_{24} ხოჯამ წაბლი დაარჩია... [ლაზუტი] დოფცხუნი II 31_{15} სიმინდი დავარჩიე... ბინჯის... დოცხუნუფან I 141_{9} ბრინჯს დაარჩევენ... ლაზუტი დოფცხუნუმთ II 25_{34} სიმინდს დავარჩევთ... ნოდეი იქომან სერი დო დოცხუნუმან II 60_{28} მამითადს („ნადს“) გამართავენ ღამე და [სიმინდს] დაარჩევენ...

მეგრ.: სიმინდი დოსხუნუ — სიმინდი დაარჩია... ნეძი დოსხუნუ — ნიგოზი დაარჩია... თენა მისხუნუ(ნ) — ეს მირჩევნია... ულა ისხუნუ — წასვლა ირჩია...

ჰან. **ცხუნ-** ← **სხუნ-**, რომელიც მეგრულს მოეპოვება (შდრ. ჰან. დი**ცხ**ირ-ი და მეგრ. ზი**სხ**ირ-ი)...

მნიშვნელობა ამ ფუძისა მეგრულში უფრო ფართოა: რისამე დარჩევის გარდა აქ ეს ზმნა აღნიშნავს „შერჩევას“, „გამორჩევას“, „რჩევას“ ზოგადად.

ამასთან დაკავშირებით კითხვა ისმის, ხომ არ არის ეს იგივე ძირი, რაც ქართული სხუ-ა-შია მოცემული: „დარჩევა“ — რაღაცის გამოყოფა სხვებისაგან... ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ზოგ ქართულ კილოში, მაგალ. მოხეურში, „**სხვა**“ → „**ცხო**“...

209. ჰან. **ძ-**: **ძ-უ-ნ** || **ძ-ი-ნ** დება, лежать
მეგრ. **ძ-**: **ძ-უ-**(ნ) „ „
ქართ. **ძ-**: **ძ-ევ-ს** „

ძუნ || ძინ — ძევს... გზაში ორთას არ დიდი ქვა ძიტუ I 90_{30} შუა გზაზე ერთი დიდი ქვა იდო... ბერჯუფეს-თი საპი ვა მოძუნ II 104_{31} თოხებსაც ტარი არა აქვს („არ ადევს“)... კუჩხეფეს-თი ჩაფლა ქომოძინ II 2_{18} ფეხებზედაც წუღა აცვია („მადევს“)... კითინა მოგოზუნ მაწინდრი II 118_{24} თითზე რომ გაქვს („გადევს“) ბეჭედი... ქარმატეს ქვა გეძინ, ქარმატეში ქვა II 61_{7} წისქვილში ქვა ძევს („ზე ძევს“), წისქვილის ქვა... ჟურ... ჩატალის არ ჯა გონ-

ძინ. არ ჩქვა ჯა ორთა ჯეის და მაჭუანი ჯას გეძინ I 138, ბოძზე ერთი ხეა გადებული. ერთი სხვა ხე შუა ადგილას ან მეორე ხეზე ძევს...

მეგრ.: თირი ძუ(ნ) —თოვლი დევს... ქუა გეძუ(ნ)—ქვა ძევს... ჯა გოძუ(ნ) —ხე გადებულია... კუჩხის ჩაფულა მგმოძუ(ნ) — ფეხზე წუღა მაცვია... წყარს ბოგა გოძუ(ნ)—მდინარეზე („წყალზე") ბოგაა გადებული... ჯგირი დღა მოძუ(ნ)—კარგი დღე მოელის...

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ **ძ-** საერთო ძირია; ქართ. **-ევ-** და ჭან.-მეგრ. **-უ-** ფუნქციონალურად შეეფარდებიან ერთურთს.

ძევს მიღებულია **დევს**-ისაგან (**დ** → **ძ**); შდრ. ქვა ძევს —თოვლი დევს... თოვლი დადო... **დ**-ს ცვლის მესამე საფეხურია **-ზ-**: **დ** →**ძ** →**ზ** (იხ. ზემოთ მოგოზუნ—ათინური ტექსტებიდან).

210. ჭან. **ძგვ-** „გარეთ გასვლა" испражняться
მეგრ. **ძგვ-** » »
ქართ. **ჯვ-** »

ბიგა გოჭკიდეს-შ-კულე, ჯოლოის გაძგუ II 40_{35} ჯოხი რომ დაკრეს, ძაღლს გარეთ გასვლა მოუნდა... კოჩის გაძგუ II 48_{33} კაცს გარეთ გასვლა მოუნდა...

მეგრ.: ნძგუნს — „გარეთ გადის"... დონძგუ — „გარეთ გავიდა"... ანძგუმუაფუ — „გარეთ გასვლა" უნდა... გაანძგუ — „გარეთ გასვლა" მოუნდა...

აგებულების მხრივ კანონზომიერი შესატყვისობაა, მნიშვნელობა იკივეა.

211. ჭან. **ძგიფ-** დაგმანვა, законопатить
მეგრ. **ძგიბ-** დატენა, забивать насилу
ქართ. —

ცინი ტა-ში, თვირი მთვა-ში, ღორმა მუში მუთე მენძგიფუმ? II 82_{14} როცა სიცივე იქნება, როცა თოვლს დადებს, ხვრელს [სკა-ში] რით დაგმანავ?.. მსჭვეიქ ბერე კაპულას მუიკიდუ დო შქვით სირ-

თიში ოკაჩხე არ დაღიში კადალულის ქომეშ̌ონძგიფუ I 34_{38} – 35_1 ირემმა ბიჭი ზურგზე შეისვა და შვიდი მთის იქით ერთი მთის კლდეებში დამალა („ჩააკვეხა“)...

მეგრ.: ხურჯონი გოძგიბილი რე(ნ)—ხურჯინი დატენილია... ჭვიტეს ძგიბუნს—ნახვრეტს გმანავს... დოძგიბუ—დაგმანა... ჯიბე გ̄ძგიბუ—ჯიბე დაიტენა...

ამ ზმნის ძირი ჭანურსა და მეგრულში ერთი და იგივეა, ოღონდ ჭანურში ბოლოკიდური მჟღერი **-ბ**—ყრუ მშვინვიერი **ფ**-თია შეცვლილი.

ქართულში სათანადო ძირი არა ჩაბს.

212. ჭან. **ძ-ინ-**: მა-ნ-**ძინ**-უ მატება, прибавлять,-ся, увеличивать,-ся

მეგრ. **ძ-ინ-**: მა̄-**ძინ**-უ „ „

ქართ. **ძ-ინ-** || **ძ-ენ-**: შეე-**ძინ**-ა“ „

ყინის დღაშენ-დღა მანძინუ I 105_9 სიცივეს დღითი-დღე ემატებოდა („მოემატა“)... ართის დუკლამან, მაჟუანის მუნძინამან I 63_{19} ერთს დაუკლებენ, მეორეს—მოუმატებენ...

მეგრ.: დღაქ ქიმიძინუ—დღემ მოიმატა... დღა აწი იძინანს—დღე აწი იმატებს... დღას ჭგმაძინუ—დღეს მოემატა... დაჩხირს ქიწმუძინი—ცეცხლს შეუკეთე („შესძინე“ შეშა)... ჯამაგირს ქუმუძინუ—ხელფასს მოუმატა... ნაძინუ—პროცენტი, სარგებელი...

ძვ. ქართულში „შესძინა“—„მოუმატა“-ს ნიშნავდა...

ქართულში **ძენ-** || **ძინ-** ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით ხასიათდება: აორისტში **ი-** გვაქვს; **ი**-ანი ვარიანტი გვაქვს ჭანურში და მეგრულში.

შეიძლებოდა **ძინ-** ფუძე **ძ-** ძირისაგან (ზმნა **ძ-უ-ნ** || **ძ-ი-ნ** ნაწარმოებად მიგვეჩნია, მაგრამ, **ძ**-უ-ნ ზმნის ძირი **ძ-** წარმოშობილია დ-საგან (დევს: **ძ**ევს—იხ. ძ-უ-ნ), **ძინ-** || **ძენ-** კი ასეთი წარმოშობისად ვერ მიიჩნევა.

213. ჭან. (ნ)-**ძირ-** || **ზირ-** || **წირ-**: **ძირ-უ** ნახვა, პოვნა, видеть, находить

მეგრ. **ძირ-**: **ძირ-უ** „ „

ქართ. —

ჰემუშენ კაი მუთუ ვარ ბ ძ ი რ ი II 47_{32} იმაზე კარგი ვერაფერი ვნახე... ნეკნა ნკილერი ნ ძ ი რ უ I 37_{15} კარი დაკეტილი დახვდა („ნახა“)... კაი ქ ო გ ძ ი რ ი, კაი! I 35_{7} კარგად დაგინახე, კარგად!.. არ ჭდუფი ალთუნეფე-ნა ძ ი რ ე ს I 63_{10} ერთი ქვევრი ოქრო რომ იპოვეს... ჰამ ბერე დაღი ბ ზ ი რ ი II 125_{25} ეს ბავშვი ტყეში ვიპოვე... მითი ვარ ა ზ ი რ უ I 123_{27} ვერავინ იპოვა... მითის ვა ა წ ი ე ნ II 32_{11} ვერვინ ვერ იპოვის („ნახავს“)... ჰემუს სერი თოლის ა ძ ი რ ე ნ, ორთალული ძიროს, მა სერი ვარ მ ა ძ ი რ ე ნ! II 42_{19} ის ღამე თვალში იხედება, ქვეყანას ხედავს, მე ღამე ვერ ვიხედები... თემბელიქ ოხორჯა მუშიში ჭკიელი ო წ ი რ უ I 38_{11} ზარმაცმა თავისი ცოლის მომკილი აჩვენა...

მეგრ.: ბრელი მუთუნი ძ ი რ უ —ბევრი რამ ნახა... ირფელი ჯგირი ქ ო ძ ი რ უ —ყველაფერი კარგი ნახა... თოლისერს ძ ი რ უ ნ ს — სეირს ნახავს... ლეხი ქ ი ი ძ ი რ უ — ავადმყოფი ინახულა... დინაფილქ ქ ი ი ძ ი რ უ —დაკარგული იპოვეს („პოვილ იქნა“)... ვ ო ძ ი რ ი — ვაჩვენე... ვ ო ძ ი რ ა ნ ქ —ვაჩვენებ...

არც აგებულებით, არც მნიშვნელობის ძირითადი მომენტების მიხედვით ეს ძირი ჭანურსა და მეგრულში არ განსხვავდება.

ჭანურ ვარიანტებში ყურადღებას იქცევს **ზირუ**: ძ ი რ უ → ზ ი რ უ—ეს გვაქვს ათინურში. უფრო მოულოდნელია **ძ**-ს შენაცვლება **წ**-თი: მჟღერის შენაცვლება მკვეთრით!

ეს მოვლენა იმავე რიგისა უნდა იყოს, რ ო გორსაც ვხედავთ რ ღ უ → რ ტ უ || **ტ** უ-ში.

214. ჭან. **ძღ-**: დი-**ძღ-უ** გაძღება, გაძღომა, насытить,-ся

მეგრ. რ-**ძღ-**: დი-რ-**ძღ-უ** „ „ „

ქართ. **ძღ-**: გა-**ძღ-ა** „ „

ჰკომუ, ჰკომუ დო კაი დ ი ძ ღ უ I 72_{3} ჰამა, ჰამა და კარგად გაძღა... გზას ქოდოდგეს დო იმხონან. დ ი ძ ღ ე ს I 22_{22} გზაზე დადგეს და ჰამენ. გაძღენ... ჰკომუდორენ დო კაი დ ი ძ ღ უ დ ო რ ე ნ

II 11_{28} უჭამია და კარგად გამძღარა... აშჯიხანაჯიქ ნეჯმი კაი დოძღუ I 62_{28} სასადილოს პატრონმა ნეჯმი კარგად გააძღო...

მეგრ.: ჭკომუ, ჭკომუ დო დარძღუ—ჭამა, ჭამა და გაძღა... მალას ირძღუ(ნ)—მალე ძღება... შქირენული დარძღუ—მშიერი გააძღო... ჩხუში ხორცის ქიმიარძღუ—ძროხის ხორცს მიაძღა... ჭიანა გეგგმარძღუ—ქვეყანა გამოაძღო...

ძირი საერთოა, მნიშვნელობაც ერთნაირია.

ერთი შენიშვნაც: **რ-ძღ-**ში **რ-** განვითარებულია ფონეტიკურად.

215. ჭან. **წ-**: დოლო-ვ-ო-ნ-წ-ი ჩაწობა, обмокнуть во ч.-л.
მეგრ. **წ-ა-წ-**(?): ქიდნუ-წ**აწ**-უ „
ქართ. **წ-**: ჩა-ვ-ა-წ-ე „

ფაფას დოლოონწამინონან სუმ ფაა I 152_{16} ფელამუშში („ფაფაში“) უნდა ამოვავლოთ [ჩურჩხელა] სამჯერ... [თოფუის] მჭკიდითი ვონწაფთ დო იჭკომენ I 159_8 [თაფლში] მჭადსაც ჩავაწობთ და იჭმება... ქიფიტი გილუსუ დო დაჩხიი ქონუნწუ ჩაის I 11_2 გაკრა ასანთს და ცეცხლი წაუკიდა („მოსდო“, „მიაწო“) ბალახს...

მეგრ.: მელანს ქიდნუწაწუ—მელანში ჩააწო (კალამი)... ლებიას მიკუწაწუ—ლობიოს შეჭამადში [ლუკმა] ჩააწო (კიდეზე)... ლებიას გეუწაწუ—ლობიოს შეჭამადს დააწო (ლუკმა)...

ჭანურსა და ქართულში ძირი საერთოა: **-წ-**; მეგრულში თითქოს გვაქვს ამ ძირის რედუპლიკაცია: **წ-ა-წ-** (**-ა-** შემაერთებელი ხმოვანი?)...

ძირითადი მნიშვნელობა ერთნაირია.

ჭან. **წალდ-**

ბრინჯიში ყონა პწალდუფთ... I 135_8 ბრინჯის ნათესს („ყანას“) წალდით ვჭრით („ვწალდავთ“)...

ეს ზმნა ნასახელარია; ნაწარმოებია **წალდ-** სახელისაგან (იხ.).

216. ჭან. **წ-**: **წ-უფ-ს** (ხოფ.) წოვა, сосать
მეგრ. **წ-**: **წ-უნ-ს** „ „
ქართ. **წ-**: **წ-ოვ-ს** „

ხოფ.: გენიქ ბუძი წუფს... გენის არ წანაშა ოწვაფაფან I 165_{32-34} ხბო ძუძუს წოვს... ხბოს ერთ წლამდის აწოვებინებენ...

მეგრ.: ძუძუს წუნს — ძუძუს წოვს... გენქ ჩხუ გეწუ — ხბომ ძროხა მოწოვა...

ძირი საერთოა; ფუძის საწარმოებელი აფიქსები **(-ოვ-, უნ,--უფ-)** განსხვავებულია. მნიშვნელობა—ერთი და იგივეა...

217. ჭან. **წათხ-** M დამარილება, солить
მეგრ. **წუთხ-ე** მეტად მლაშე, пересоленный
ქართ. მ-**წუთხ-ე** „მეტად მლაშე“ (საბა), „

ეს ზმნა ნ. მარს აქვს მოხსენებული ხოფურზე მითითებით:, „ოწათხუ — დამარილება, ბწათხუფ — ვამარილებ, დობწათხი —დავამარილე“...
ზმნა ნასახელარია; სათანადო სახელია მ-**წუთხ-ე** (იხ.).

გასარკვევია ფუძისეულ **ა-—უ-**ს ურთიერთობა. საფიქრებელია რომ ამ ფუძეს ორი ვარიანტი გააჩნია; **წუთხ-** || **წათხ-** ჭანურში გვაქვს; პირველი—სახელში, მეორე—ზმნაში; ქართულშიც მოიპოვება **ა-**ს შემცველი ვარიანტი: **წათხ-**ი; საბას განმარტებით ესაა „მლაშე ბალღამი“...

218. ჭან. **წამ-** წამება(?), мучить(?)
მეგრ. **წამ-** მოწმობა, свидетельствовать
ქართ. **წამ-** წამება, мучить

სი კილანენ-ჲა, კწამანენ-ჲა! II 99_{16} შენ მოგკლავენ, გაწამებენ...

მეგრ.: წამება —ემოწმება... წამს (იხ. ი. ყიფშიძე, მეგრ. გრ., ლექს., გვ. 377).

ეს ზმნა ათინელის მეტყველებაშია დადასტურებული (ერთხელ!)... ნ. მარს ნაჩვენები არა აქვს. მნიშვნელობა („წამება“) და აგებულება („წამ“-) ემთხვევა ქართულისას: საერთო ძირია(?).

219. ჭან. **წვ-** ← **წუ-** ვისთვისმე თქმა (უთხრა), сказать
მეგრ. **წვ-** ← **წუ-** „ „
ქართ. —

თერზიქ უწუ 17_{32} თერძმა უთხრა... ოგე ნანა-შუშის უწუ II 90_{29} თავის დედინაცვალს უთხრა... „ვა მიჩქინან“-ჲა, უწვეს II 36_{20} არ ვიცითო, უთხრეს... „ოწკედი-ა“, კადის უწუმერს II 14_{1}„ შეხედეო, ყადს ეუბნება... „ჩხომი ცონას პჭოფი“, —უწუმელს II 41_{35} „თევზი ყანაში დავიჭირეო“,—ეუბნება... აჯდეჭარიში ჯუმალეფეს მოთ უწოლემ! ფადიშაჲს-თი მოთ უწოლემ! II 100_{26} გველეშაპის ძმებს ნუ ეტყვი! ხელმწიფესაც ნუ ეტყვი!.. დერემენჯი-თი-ქ... უწოლემს II 100_{24} მეწისქვილეც ეუბნება... დენგიში-თი გიწოლემ II 106_{21} „დენგის“ შესახებაც გეტყვი... ნანაში ნანას-თი, ბაბაში ნანას-თი დიდი ვუწოლემთ II 101_{31} დედის დედას, მამის დედასაც „დიდი“-ს ვეტყვით (ვეძახით)...

მეგრ.: ამხანაგიქ უწუ—ამხანაგმა უთხრა... სი მუ მიწი?—შენ რა მითხარი?.. მუ გიწუა, ჯიმა! —რა გითხრა, ძმაო!... თინა უწინს—ის ეტყვის... თინა გიწინს—ის გეტყვის... თინა გიწოლენს, მიწოლენს—ის გეტყვის, მეტყვის... (ეს ფორმები ნაჩვენები აქვს ი. ყიფშიძეს; იხ. მეგრ. გრ., ლექს. გვ. 376: წ); მასვე აქვს ჯვარულისთვის ნაჩვენები: მიწოუ—მითხრა, ვუწეი—ვუთხარი—ჩვეულებრივი მიწუუ-ს, უწიი-ს ნაცვლად... გარდა ამისა, ჯვარში (1920 წ.) მე თვითონ გამიგონია შელაპარაკებისას ერთმა მოხუცმა მეორეს რომ მიმართა: „მა ვა გიწოლე-ი-ო (ჩვეულებრივი გიწი-ო-ს ნაცვლად), ფუცხოლა?!“—მე არ გითხარი, ფუცხოლა?!..

აორისტში ძირეულად **წვ-** გვევლინება ჭანურში; **უ**-ს წინ **ვ**-იკარგება; გიწვი—გითხარი, ვუწვი—ვუთხარი... მაგრამ გიწუ—გითხრა, უწუ—უთხრა (არავითარი საკომპენსაციო დაგრძელება ხმოვნისა ჭანურმა არ იცის)...

აწყოში **-მერ** სუფიქსის დართვისას ეს **ვ**- გაიშლება **უ**-ხმოვნად: ვუწუ-მერ, გიწუ-მერ, მიწუ-მერ—ვეუბნები, გეუბნები, მეუბნები...

აწმყოს წარმოებისათვის დამახასიათებელია **-მერ-** || **-მელ-**ის დართვა; ათინურში კი გვაქვს **-ლევ-**: ვუწოლემ (← ვუწუ-ლემ), გიწოლემ, მიწოლემ—ვეუბნები, გეუბნები, მეუბნები... (იხ. ჰან. გრ. ანალ., § 47 დ, გვ. 173).

მეგრულში ძირეული **-ვ-** ამ სახით არ ჩანს: აორისტში ყველგან იკარგება... კავშირებითს მეორესა და პირობითში იგი **უ**-ს სახით დაჩნდება: მიწუ-ა-ს, გიწუ-ა-ს, უწუ-ა-ს—მითხრას, გითხრას, უთხრას... მიწუე, გიწუე, უწუე—რომ მითხრა, გითხრა, უთხრა...

ათინურის მსგავსი წარმოება შემონახულია ჯვარში, ოღონდ აქ აწმყოს ფუძისათვის დამახასიათებელი წარმოება აორისტშიაც გადადის: გიწოლემ, გიწოლეი—გეუბნები, გითხარი...

ამგვარად, ჰანურის ათინური კალოკავი და მეგრულის ჯვარული თქმა ერთმანეთს შეხვდენ, ჰანურისათვის დამახასიათებელი არქაიზმი მეგრულის არქაიზმიც აღმოჩნდა. ეს ფაქტი განმხოლოებით არა დგას; სხვა მსგავსი ფაქტებიც მოიპოვება; და ეს მოწმობს: **რაც უფრო ძველი მდგომარეობის გათვალისწინება მოხერხდება**, მით **უფრო ახლოს აღმოჩნდება ჰანური და მეგრული ერთმანეთთან**. სხვანაირად არც შეიძლება იყოს: ჰანური და მეგრული წინათ უფრო ახლოს იყო ერთმანეთთან, ვინემ ახლაა. ათინურს ხომ არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ჯვარულზე და გაეჩინა მსგავსი წარმოება ანდა, პირუკუ, ჯვარულს მოეხდინა გავლენა ათინურზე... საერთო მოვლენა ძველი ვითარების უკუფენაა. ეს მოვლენა შერჩა ათინურს ჰანურ სინამდვილეში და ჯვარულს თქმას მეგრულში.

წვ- ძირი უცხოა ქართულისათვის.

220. ჰან.	**წ-ი-(ვ)-:**	(ხოფ.) **წი**-აფს	წივილი	пищать, (писк цыпленка)
მეგრ.	**წ-ი-(ვ)-:**	**წი**-ანს	„	„
ქართ.	**წ-ივ-:**	**წი**-ვის		„

ჰუჰულიქ წიაფს I 166_6 წიწილი წივის... კვინჩეფეს გჲარი(შჭირონტეს დო წიაფტეს I 96_{12} ჩიტებს შიოდათ და „წიოდენ“...

მეგრ.: წიწილა წიანს—წიწილი წივის...

ძირი ქართულსა მეგრულსა და ჭანურში საერთოა: **წ-**; შემდგომი **-ივ-** შენახული აქვს ქართულს; ჭანურსა და მეგრულში იკარგება **-ვ-** წინა **ი**-სა და მომდევნო ხმოვანს (**-ა,-უ**-ს) შორის.

ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

221. ჭან. **წილ-**: **წილ-უ** ნაყოფის მოკრეფა,
მეგრ. **წილ-**: **წილ-უ** собирать, срывать плоды
ქართ. **წილ-**: მო-**წილ-ა** „მოწილვა—ნაყოფთ მოკრეფა“ (ს ა ბ ა)

აშო წ ი ლ უ პ ტ უ ბაბაქ ყურძენი ონდღეიშა I 110_{20} ასე კრეფდა მამა ყურძენს შუადღემდის... უშქიის მა ჯეფთი, მა პ წ ი ლ ი I 67_{22} ვაშლზე მე ავედი, მე ვკრიფე... ჰიმუ-თი ჰიმ ოშქური ნ უ წ ი ლ უ II 130_{22} იმანაც ის ვაშლი მოუკრიფა...

მეგრ.: ცურძენი დ ო წ ი ლ უ — ყურძენი მოკრიფა... ცურძენს წ ი ლ უ ნ ს —ყურძენს კრეფს... უშქური გ ო წ ი ლ ი! —ვაშლი გაკრიფე!.. მარგულა გ ე მ კ ო წ ი ლ ი — შავი ქლიავი მოკრიფე!..

ახალ სალიტერატურო ქართულში წ ი ლ ვ ა არ იხმარება; მაგრამ ს ა ბ ა ს განმარტება — „მოწილვა—ნაყოფთ მოკრეფაა“, ცხადყოფს, რომ იგივე ფუძე ქართულში იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც ახლა იხმარება ჭანურსა და მეგრულში.

ეს შემთხვევა საგულისხმოა შედარების ზოგად პრინციპთა თვალსაზრისით: როცა შესადარებელი ერთეულებიდან რომელიმეს არ აღმოაჩნდება[1] სათანადო ძირი, ეს უ თ უ ო დ იმის მაჩვენებელი კი არაა, რომ ასეთი რამ მხოლოდ ზოგი ერთეულის კუთვნილებას შეადგენს და ამიტომ საერთოდ არ მიიჩნევა, არამედ შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ საერთო იყო, მაგრამ ამ ერთ წევრს დაეკარგა, სხვებს კი—შერჩა (იხ. შ ე ს ა ვ ა ლ ი, გვ. 6).

[1] მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე წევრს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ არ გააჩნია ესა თუ ის ფუძე და არა ისეთი შემთხვევები, როცა მასალის სათანადოდ შეუსწავლელობის გამო ეს ფუძე არა ჩანს.

222. ჰან. **წილ-ახ-** გამოწურვა (ხელით), выжимать (руками)
მეგრ. **წილ-ოხ-**: " "
ქართ. **წნ-ეხ-** (?) давить, выжимать

ვალი ქედულუნ... დოშწილახუშთ II 113_{29} რძე შედედდება („ყველი ამოვა"), დავწურავთ... „ქემეჭეჟეს მუ ღოდაი?" „მწილახუმ დო თოფური გამაბოშქუშე!" II 82_{10} „ფიჭას რას უშვრები?" „დავწურავ და თაფლს გამოვადენ!"...

მეგრ.: შოლირი ბაშლაყუ დოწილოხი! —სველი ბაშლაყი გამოწურე!...

ი. ყიფშიძეს ლექსიკონში შეტანილი აქვს **წილიხ**-უა...

ეს ფუძე **წილ-ახ-** || **წილ-ოხ-** || **წილ-იხ-** ძალიან ახლოს დგას ქართულ წნეხას-თან: **წნ-ეხ-** || **წნ-იხ**: ამ ფუძის **ნ**-იანი ვარიანტი ჩანს. მაგრამ ასეთ გაგებას ერთგვარად ხელს უშლის ის გარემოება, რომ **წნეხ**-ის შესაბამისი **ჰინახ-** მოპოვება მეგრულს. შდრ. სა-**წნახ**-ელ-ი— მეგრ. ო-**ჰინახ**-უ; „ყურძენს წნეხს"—ყურძენს ჰახუნს...

ჰანურში **ჰახ-** არაა დადასტურებული, მაგრამ გვაქვს **ჰინახ-**: ურძენი იწილახენ, ოშჭური ღარ ჰინახაშა, ვარ იწილახენ— ყურძენი დაიწურება (ხელით), ვაშლი, თუ არ დაწნიხე, არ დაიწურება... ეს გამოთქმა მოჰყავს ნ. მარს **წილახ-** ფუძის განმარტებასთან დაკავშირებით (იხ. ჰან. გრ. გვ., 219).

223. ჰან. **წინწ-** || **წიწ-** წევა, тянуть (медленно)
მეგრ. **წვიწვ-** აგლეჯა თმისა, ბალახისა..., вырывать волосы, траву
ქართ. **წეწ-** || **წიწ-**! трепать

პარაპათის კოლი წინწუფან I 157_3 „პარაპათის[1] კოლს" ეწევიან...

ნ. მარს სხვა ავტორის ჩვენებათა მიხედვით მოჰყავს **წიწ-**: წიწუფს—тянуть. მასალა ხოფურია.

[1] დიდი გასაშლელი ბადე, ზღვაში თევზაობისას ხმარობენ.

მეგრ.: წვიწვუნს ოდიარეს — ბალახს ხელით (ან პირუტყვი ძოვისას პირით) გლეჯს... თომა გეეპწვიწვუ — თმა ამაგლიჯა... ნუ უწვიწუა ბაღანას!—ნუ ეწევი, ნუ გლეჯ (თმას) ბავშვს!...

ჰანური **წინწ-** ← **წიწ-**: ამას შეიძლება შევუპირისპიროთ ქართული **წაწ-**ა (ნ. მარს ქართ. **წიწვა** აქვს ნაჩვენები: ჰან. გრ., გვ. 219). მეგრული **წვიწვ-** იგივე **წიწ-** უნდა იყოს; **-ვ-** განვითარებულია.

224. ჰან. **წკ- ← წკვ-** გახსნა, ახსნა, развязать, снять, вынуть
მეგრ. **წყვ-** აწყობა, დაწყობა, класть по порядку, смонтировать
ქართ. **წყვ-** „ „

ოსმანის ნეკნა გუნწკუ I 47_{25} ოსმანს კარი გაუღო („გაუხსნა")... ჩხომიქ... მუში ქერცელაშენ ჟურ თანე ნიწკუ I 33_{14} თევზმა თავისი ქერცლიდან ორი ცალი ამოიძრო („ამოიხსნა")... ეკულე, მთვიი მთვა-ში, [ჩალა] პწკიფთ დო ფუჯის, ცხენის ფჩაფთ I 137_{9} მერე, როცა თოვლს დადებს, [ჩალას] ვიღებთ („ვხსნით") და ძროხას, ცხენს ვაძლევთ... ჰე ბიჭიში ჯუმაქ არ ხამი ქელიწკუ II 64_{25} იმ ბიჭის ძმამ ერთი დანა ამოიძრო (ქარქაშიდან)... კუჩხეთე კარდულუმიში ქვა ქეწკუ [ცხენიქ] II 44_{35} ფეხით ქვაფენილის ქვა ააძრო („ახსნა") [ცხენმა]... კუჩხეფე ცხენის ქოკუწკეს II 44_{30} ფეხები ცხენს გაუხსნეს... ელბისეფე მოდოწეს II 97_{24} ტანისამოსი გახადეს...

მეგრ.: ართო ქგდაანწყუ — ერთად დააწყო... ჯგირო გეგიმანწყუ—კარგად გამოაწყო... საათიცალო გეიონწყუ—საათივით ააწყო... ხოჯი გენწყუ—(დაბმული) ხარი ახსნა... კუჩხის გამენწყუ— ფეხზე გაიხადა... ტანს გამკინწყუ—ტანზე გაიხადა... ქგდაანწყუას — დააწყოს... გეგიმანწყუას — გამოაწყოს... გეიონწყუას —ააწყოს...

როგორც აქედან ჩანს, ამ ზმნის ძირითადი მნიშვნელობა — გარკვეული პრევერბების ხმარებისას — ერთმანეთს ხვდება ქართულში, მეგრულში, ჰანურში...

ქართულში ფუძისეული **-ვ-** აორისტის პირველსა და მეორე პირში ჩნდება: დავაწყვე, გამოვაწყვე, ავაწყვე... დააწყვე, გამოაწყვე, ააწყვე...

მეგრულში ეს **ვ-** → **უ-** კავშირებით მეორეში დაჩნდება: ქგდა-ან**წ**უა**ს**... (სხვა მაგალითები იხ. აქვე, ზემოთ).

მაგრამ ეს **-ვ-** ძირეული არ უნდა იყოს. ალბათ, ამიტომ არა გვაქვს ის ზოგ მეგრულ ზმნაში: გ ე ე ნ **წ** უ ა ს... (სხვა მაგალ. აქვე, ზემოთ).

ჰანურში ეს **-ვ-**, საერთოდ, დაკარგული ჩანს. ათინურში, სათანადო ნორმების თანახმად **წკ** → **წ**...

225. ჰან. **წკ-** || **-წ-** ყურება, შეხედვა, смотреть
მეგრ. **რ-წუ-** " " "
ქართ. **წუ-** "
სვან. ლი-**წ**-ედ "

ხოჯა მიკულუნ-მოკულუნ, გიინის ო**წ**კ ე ნ I 10_{30} ხოჯა გაივლ-გამოივლის, ვირს უყურებს... პარაპათის ო**წ**კ ე ს I 157_{9} ბადეს („პარაპათს") უყურებს... თოლი ღულა—...არიქ ჩერშემბეშა ი**წ**კ ე ნ, მაჟუანიქ — ფერჩემბეშა I 152_{9} ბრუციანი —ერთი (თვალი)—აქეთ იყურება, მეორე—იქით... ჰუტა ბეეფექ თოლის მ ო**წ**კ ე ნ ა ნ II 68_{25} პატარა ბავშვები თვალში გვიყურებენ... მა-თი გალენდო ბ ო**წ**კ ე რ-ტი II 43_{3} მეც გარედან ვუყურებდი... ო**წ**კ ე დ ი-ა... კადიქ-თი ო**წ**-კ ე დ უ... II 14_{10} შეხედეო... ყადმაც შეხედა... ბიდი, ბ ო**წ** ე დ ი II 116_{8} წავედი, ვნახე („შევხედე", „ვუყურე")... მ ე დ ა**წ**კ ე დ უ-ში, ხოლო ქოენ I 16_{21} რომ შეხედა, კიდევ არის... ემ ვახთიჰკულე კაი მ ე დ ა**წ**კ ე ტ უ I 27_{29} იმის შემდეგ კარგად მიხედა...

მეგრ.: თინა ო რ**წ** უ ე (ნ)—ის ხედავს... თორს შურო ვ ა რ**წ** უ ე (ნ)—თვალში სულ არ იხედება... მა თორს ჯგირო ვ ო რ**წ** უ ე ქ —მე კარგად ვხედავ... ქ ა ა რ**წ** უ ე თ-ო?—ხედავთ?..

მეგრულში თავკიდური **რ-** ფონეტიკური დანაზარდია, ძირეულია ამჟამად **-წუ-** (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს ძირეულად **რწუ-** მიაჩნია და **რ-**ზე აქვს შეტანილი ეს ზმნა); ჰანურში კანონზომიერად გვაქვს **-წკ-** (ხოფ. და ვიწ.-არქაბ.) და **წ-** (ათინურში).

ქართულში შესაბამისი ძირი **-წუ-** გვაქვს წ უ ე მ ს-ში; **მ-წუ-ემ-ს-**ში ზმნის მესამე პირიანი ფორმაა გასუბსტანტივებული (**მ-** მერმე უნდა დართვოდა; არადა, ზმნის პირველი ობიექტ. და მესამე სუბიექტ. პირები გვექნება!); ამ სიტყვის ეტიმოლოგია „ყურება", „შეხედვაა": „მწუემსი"—„მაყურებელი", „ვინც რასმე უყურებს"...

თუ მოვიგონებთ, რომ **წყ- ← წ-** უნდა ვივარაუდოთ, გასაგები იქნება რატომაა, რომ სვან. ლი-**წ-ედ-** „ნახვას“ ნიშნავს (**-ედ-** ფუძის—საწარმოებელი აფიქსი უნდა იყოს).

ამრიგად, ძირეულია ამ ზმნისათვის **წ-** (ისტორიულად); იგი ყველა ქართველურ ენაში დასტურდება; უპირატესად მას მოიხმარს ზანური.

ფონეტიკურ ცვალებათა შედეგად ათინური დაუბრუნდა ამ მარტივ **წ**-ს.

226. ჭან. **წკონ-დ** ძაფის დახვეწა, ссучить нитку
მეგრ. **წკონ-დ** დაწკნდომა; ძაფის დახვეწა, очиститься, стать прозрачным после осаждения мути; ссучить нитку
ქართ. **წკნ-დ** „ „

ნოკეფე ოკონტალუმტა-შ-კულე, უწუმენან — დოპწკონდი II 72_{30-32} ძაფებს რომ ერთმანეთს მიაგრეხენ, იტყვიან — დავხვეწე...

მეგრ.: ძაფი დოწკონდუ — ძაფი „დახვეწა“; წკონდა წყარი—დამწდარი წყალი...

იგივე ფუძეა, რაც გვაქვს ქართულ ზმნაში „დაწკნდა“: სიმღვრივის დალექვის შემდეგ დარჩა კამკამა სითხე.

ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

227. ჭან. **წკ-უნ-** ტკენა, болеть
მეგრ. **წყ-უნ-** „ „
ქართ. **წყ-ენ-** წყენა, быть вредным к.-л. стать неприятным для к.-л.

მა კუჩხე მწკუფს, კუჩხეთე ვა მალენ I 3_{32} მე ფეხი მტკივა,[1] ფეხით ვერ წავალ... „მა კიბირ მაწკუნუ!“ „ნაკო ნდღა რენ,—

[1] ჭანურში „ტკივილის“ აღსანიშნავად სხვა ფუძეც გამოიყენება; ესაა **ჰვ-** „წვა“. განსხვავებაა ამათ შორის: იხ. **ჰვ-**.

კიბირ გაწკუნუ?“ II 83_{27} „მე კბილი ამტკივდა!“ „რამდენი დღეა, კბილი [რომ] აგტკივდა?„... კოჩის კუჩხე აწუნენ I 108_{15} კაცს ფეხი ეტკივება... ქორბა აწუნუ II 128_{17} მუცელი ატკივდა... თი მაწკუნენ. ქორბა მაწკუნენ, კიბირი მაწკუნენ, ცუჯი მაწკუნენ II 71_{23} თავი მეტკინება, მუცელი მეტკინება, კბილი მეტკინება, ყური მეტკინება...

მეგრ.: დუს მაწყუნუ —თავი ამტკივდა... მა ვა მაწყუნე(ნ)— მე არ მეტკინება... ოწყუნუანს—ატკივებს... ხეს იწყუნუანს—ხელს იტკივებს... ხე ოწყუნუ—ხელი ატკინა... ხე იწყუნუ — ხელი იტკინა...

ამ ზმნის ძირი ჰანურსა და მეგრულში **წყ-** არის; ხოფურისა და არქაბულის ნორმათა მიხედვით **წყ- → წკ-**; ათინურში: **წკ- → წ-... -უნ-** ფუძის საწარმოებელი აფიქსია (საკაუზატივო!).

ქართულშიც გვაქვს ეგევე ძირი; მას დაერთვის „საკაუზატივო“ **-ენ-** სუფიქსი: **წყ-ენ-** —ა-**წყ-ინ-**ა: ავადმყოფს ეს საჭმელი წყენს— ამან აწყინა... მას ეს ეწყინა... ამ ზმნის ფუძეს ქართულში მნიშვნელობის ერთგვარი განზოგადება ახასიათებს: ტკივა → წყენს...

228. ჰან. **წონ-** მოწონება, нравиться
მეგრ. **წონ-** „ „
ქართ. **წონ-** „

ხჩინის კაი აწონუ I 27_{27} დედაბერს მოეწონა („კარგად ეჩვენა“)... სოლენდო კაი აწონეტუ ნეკნა, ჰქოლენ გობუქთატი II 11_{2} საითკენაც მოეწონებოდა კარი, იქითკენ შევატრიალებდი... ხოჯას დიდო კაი აწონუ II 12_{19} ხოჯას ძალიან მოეწონა... იბრაიმიქ ცხენის გოწკედუ ე-დო ცხენი ვა მოწონდუ I 81_{9} იბრაიმმა ცხენს გახედა და ცხენი არ მოეწონა... ქოგეპჭაი, ამმა მუელლიმეფეს ვა მოწონდეს I 107_{20} დავწერე [დაფაზე], მაგრამ მასწავლებლებს არ მოეწონათ... მუთხანი ტარონი ვა მომწონდუნ I 94_{3} რაღაც ამინდი არ მომწონს... ჰამ ჯერეფე, კაი ჯერეფე ტუ, მომწონდუ II 23_{31} ეს ადგილები კარგი ადგილები იყო, მომეწონა... „ჰამ შქიმი სიჯას მუფეი კონაღი უღუნ-ქი შქიმი კონაღი ვა მოწონდუ!“ II $98_{}$ ამ ჩემ სოფელს რანაირი ოთახი აქვს, რომ ჩემი ოთახი არ მოსწონს...

მეგრ.: თაქიანობა მოწონს — აქაურობა მოსწონს... ბინაქ მეწონუ — ბინა მოეწონა... უწონებუ(ნ) — ეგულება (შენახული)...

წონ- ფუძე საერთოა ქართულისა, ჭანურისა და მეგრულისათვის. ერთგვარი სემასიოლოგიურად განსხვავებული ნიუანსი აქვს ა-**წონ**-ე-ნ- ზმნას („ეჩვენება" — აქედან კაი აწონუ... დიდო კაი აწონუ), მაგრამ ძირითადი მნიშვნელობა ერთია.

დ-თი წარმოებული ვარიანტი (მო-წონ-**დ**-ი) ნ. მარის თქმით ბოლოდ ვიწ.-არჭაბულსა და ხოფურს ახასიათებს (იხ. ჭან. გრ., გვ. 221), მაგრამ ათინელთა მეტყველებაშიც გვხვდება (იხ. ზემოთ უკანასკ. მაგალითი).

229. ჭან. **წონ-** ‖ **წინ-** აწონა, взвешивать
მეგრ. **წონ-** „ „
ქართ. **წონ-** „

საბუზის მებუღარე, ბოწონაფარე II 69_1 „კავშირს" მივუტან [თამბაქოს]... ავაწონინებ... ალთუნეფე-ნა წინუპტეს, ჭოძირუ I 57_{14} ოქროებს რომ წონიდენ, ნახა... ფარა-ნა პწინამინონან, ვარ უწვა I 57_9 ფული რომ გვინდა ავწონოთ, არ უთხრა... დოპწინათ დერდი ჩქიმი დო სქანი II 144_3 ავწონოთ ჩემი და შენი დარდი... „კარვანის თოფური დოფწონი (ხოფ.) — თაფლი გამოვიღე სკიდან" (ნ. მარი, ჭან. გრ., გვ. 221).

მეგრ.: სიმინს წონუნს — სიმინდს წონის... სიმინდი დოწონუ — სიმინდი აწონა... თე ტომარექ გეგინოწონუ — ამ ტომარამ გადაწონა... ნოჭკერი ქიგეუწონუ — ნაჭერი დაუწონა... წონუა — აწონა; კერძოდ: სკიდან თაფლის გამოღება.

წინ- გვაქვს ხოფურში და მიღებულია **წონ**-ისაგან (ნ. მარის ცნობით **წონ-** — დო-**წონ**-უ — შენახულია ხოფურში თაფლის გამოღების მნიშვნელობით — იხ. ზემოთ).

წონ- საერთოა ქართულისა, ჭანურისა და მეგრულისათვის.

ეს ფუძე **წონ-** („აწონა") და მეორე ფუძე **წონ-** („მოწონება") ერთი და იგივე უნდა იყოს; სემასიოლოგიურად მეორე უნდა იყოს განვითარებული პირველისაგან. აქ თუ არ გავაერთიანეთ იმიტომ, რომ ჭანური კილოკავები მათ სხვადასხვაგვარად ეპყრობა: პირველი **წონ-** → **წინ-** (ხოფურში), მეორე კი (აწონუ, მოწონდუ) ხოფურშიაც **ო**-ს ინარჩუნებს.

230. ჰან. **წორ-** გაწურვა, процедить
მეგრ. **წირ-** " "
ქართ. **წურ-** "

მჯა დომწორუმთ სუზგითე II 113_{32} რძეს გავწურავთ საწურით...

მეგრ.: ბჟას წირუნს, ბჟა დოწირუ — რძეს წურავს, რძე გაწურა...

ძირი საერთოა; მეგრული **წირ-←წურ-←წორ-**... ქართ. **წურ-←წორ-**. მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

231. ჰან. **წოფ-** გაწაფვა, учиться, „мудреть"
მეგრ. —
ქართ. **წაფ-** " " "

ეს ზმნა მოჰყავს ნ. მარს (იხ. ჰან. გრ., გვ. 221): „ვიმწოფულურ — ვსწავლობ, ბრძენი ვხდები"... „ვონწოფულამინუნ — ვასწავლი, ბრძენად გავხდი"... სიტყვა ვიწურში გვხვდებაო.

ეჭვი არაა, რომ ეს იგივეა, რაც ქართ. ვიწაფები, ვწაფავ. **წოფ**-ში **ო**- მიღებულია **ფ**-ს მეზობლობაში **ა**-საგან.

232. ჰან. **წრ-ოდ-** წვეთა, წვეთ-წვეთად ჩამოდენა, „капать", стекать каплями
მეგრ. **წირ-იდ** წრეტა, შეშრობა, сохнуть, осушить
ქართ. **წრ-ეტ-** "

ნ. მარს აქვს შეტანილი ლექსიკონში: „წროდუმს ვიწ. — წვეთავს, წროდუფს — ხოფ.; ვნებ. გვარი: წროდუნ — ვიწ.".

მეგრ.: წირდუ(ნ), — შრება, წვეთ-წვეთად ჩამოდის წყალი (სითხე)... შარაქ გოწირდუ — გზა შეშრა (წყალი არა დგას, მაგრამ გამშრალი არ არის)...

იგივე ფუძეა, რაც ქართ. **წრეტ**-ა-ში; ჰანურისა და მეგრულის ჩვენება ცხადყოფს, რომ ქართულში წრეტ- ← წრედ- (შდრ. წყვეტს ← წყუედს).

ხმოვანთა ვითარება გვაფიქრებინებს, რომ **-ოდ- || -იდ || -ედ-** აფიქსებია და „ძირეულია“ **წრ- || წირ-**; ეს „ძირი“ საერთოა. იგი **წურ- || წორ- || წირ-**ს („წურვა“) უნდა უკავშირდებოდეს: **წრეტ- || წროდ- || წირიდ-** ამ ძირიდან ნაწარმოები ჩანს (**უ**-ს რედუქცია ქართულში!) ანდა: **უ-** მეორეულია: **წურ- ← წორ-** ეს უკანასკნელი მით უფრო მოსალოდნელია, რომ ჰანურში **წორ-** არის ამოსავალი (იხ. **წორ-**).

233. ჰან. **წუწ-ონ-** „წოვა“, „сосать“
მეგრ. —
ქართ. **წუწ-(ვ)-ნ-** высасывать

ნ. მარს ლექსიკონში (გვ. 222) მოჰყავს ეს ფუძე: „აწმ. ბწუწონუმ—ვიწ.— ბწუწონუფ—ხოფ.—აორ. ბწუწონი; მყოფ. ბწუწონარე, ბწუწონამინონ“ გამოთქმები ამ განმარტებას არ ახლავს და ამიტომ ძნელია იმის გარკვევა, უდრის თუ არა ეს „წოვა“-ს, თუ „ამოწოვა“-ს, „წუწვნა“-ს ნიშნავს.

ყოველ შემთხვევაში ეს იგივე ფუძეა, რაც ქართ. წუწნა.

საინტერესოა, რომ საბას წუწნა არა აქვს, მაგრამ მოხსენებული აქვს „წუწკნა — ბაგით ამოწოვნა“.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს იგივე წუწნა-ა, ოღონდ **წ**-ს შემდეგ განვითარებულია **-კ: წუწნა → წუწკნა**...

234. ჰან. **ჭ-**: **დო-ჭ-უ** კერვა, шить
მეგრ. **ჭ-**: **დო-ჭ-უ** „ „
ქართ. —

ემუთე დოჭაფს... კინაფითენ ხოლო ჭაფან I 165_{26} იმით შეკერავს... „კანაფითაც“ კერავენ [ქალამანს]... დოპჭამთ, ქომობიდუმთ II 114_{18} შევკერავთ [ქალამანს], ჩავიცვამთ... [ძაღი] ვა გეჩანში, დიბჟანგენ დო მაქინათე ვა იჭენ II 73_{14} ზეთი რომ არ წაცხონ, დაიჟანგება და მანქანით კერვა შეუძლებელი იქნება... მთვირი... კიშიშენი ლეტას ძოღანი უჭაფს I 104_{18} თოვლი საზამთროდ მიწას საბანს უკერავს... ზამანის არ კოჩი დოლოქუნუ ოჭუშენი თერზიშა ქომეხთუ ე-დო დოლოქუნუ დოჭაფუ (დოჭაპუ). აწი თერზიქ უწუ-ქი „მა დოლოქუნუ სქანი დოგიჭი, ჰამმა ოჭუშ ფარა

ვარ მომჩა-ში, დოლოქუნუ ვარ მემაჩენ-ჲა“ I 17_{29-32} ძველად ერთი კაცი თერძთან მივიდა და ტანისამოსი შეაკერვინა. ახლა თერძმა უთხრა, „მე შენ ტანისამოსი შეგიკერე, მაგრამ შეკერვისათვის ფულს თუ არ მომცემ, ტანისამოსს ვერ მოგცემო“...

მეგრ.: შალვარი დოჭუ—შალვარი შეკერა; შალვარი დუჭუ—შალვარი შეუკერა... ბრელს ჭანს—ბევრს კერავს... უჭანს—უკერავს... მაჭალი—მკერავი...

ძირის აგებულებაცა და მნიშვნელობაც მეგრულსა და ჰანურში ერთნაირია.

ქართულში შესატყვისი ძირი არა ჩანს.

235. ჰან. **ჭ- || ჭ-იშ-** მოწევა, ჩაშვება, ამოღება, достичь (настичь); созреть; спустить; поднять...

მეგრ. (ნ)ჭ- || ჭ-იშ- მიწვდომა, გაწვდომა, достичь, настичь, достать (рукой)...

ქართ. **წ-ივ-** „

უკაჩხე ლაზუტი დივუ, მოინჭუ II 31_{13} მერე სიმინდი მოიწია (დამწიფდა)... ფუქური ვა ნოჭკიდაშ-კულე, თუთუნი ვარ მოინჭენ II 73_{33} თუ ყვავილი არ მოწყვიტე, ისე თამბაქო არ დამწიფდება („მოიწევა“)... უკულე მოინჭასენ, პტახათენ II 3_{10} მერე მოიწევა (დამწიფდება), მოვტეხთ... ჲონაფე ოტახონი ენ, ლაზუტი ქომოინჭუ II 24_{29} სიმინდები („ყანები“) მოსატეხია, სიმინდი მოიწია... არ თელი ქოდიქაჩუ დო ტიბას დოლონჭუ I 8_{13} ერთი მავთული აიღო („ხელში დაიჭირა“) და წყლის სიღრმეში („ტბაში“) ჩაუშვა... მატორი ქელონჭეს I 96_5 მოტორიანი ნავი ნაპირზე ამოიტანეს... ოჭიდეფე გჲონჭუ I 10_{16} წარბები შეიკრა („დაუშვა“)... თელი გჲონჭაფან I 149_{11} მავთულს ჩამოუშვებენ... ე-ნა იფაელენან, არის კუჩხეფე დვანჭერენ I 117_{17} რომ გაუნაწილებიათ, ერთს ფეხები ხვდომია წილად...

მეგრ.: თოკიქ ვა განჭუ—თოკი არ გაწვდა... ვა გგვანჭი ესხი საქვარს—ვერ გავართვი თავი („ვერ გავწვდი“) ამოდენა საქმეს... ჯაქქიმიანჭუ თეიშახ—ხე მიწვდა იქამდის... სახოს ვემიკინჭუ—ახლოს („სიახლოვეს“) არ გაიკარა... დუდიშა ხე მინჭუ—თავში

ხელი წაიშინა („მიიწივა")... მ ი ა ნ ჭ უ ცუდემა—მიუახლოვდა სახლს „მიიწია სახლად")... ვ ე ლ ა ნ ჭ უ — ვერ აწვდა (მასზე მაღალს)...

მეგრულში და ჭანურში ძირეულია **ჭ**; წინამავალი **-ნ-** მეგრულში განვითარებულია ფონეტიკურად, შესატყვისი ქართული ძირი **წ**-თია წარმოდგენილი; აქედან გვაქვს ფუძე **წევ-** || **წივ-** ე-**წევ**-ა — ე-**წივ**-ა — ე-**წი**-ა... ძირითადი მნიშვნელობა საერთოა ჭანურში, მეგრულში და ქართულში, ოღონდ პირველ ორში ეს ფუძე ამ მნიშვნელობის მეტს ვარიაციებს იძლევა სხვადასხვა მარტივი თუ რთული პრევერბის დართვისას.

ქართული **-ევ-** || **-ივ-** სუფიქსების შესაბამისად ჭანურსა და მეგრულში უნდა გვქონოდა გარკვეული სუფიქსები, შეიძლებოდა, იგივე **-ივ-**,—მაგრამ ხმოვანთა შორის აორისტში **-ვ-** მეგრულშიც და ჭანურშიც იკარგება,—ხმოვნები კი ასიმილაციას განიცდიან, და ერთგვარ კვალს ტოვებენ მეგრულში, ისიც—მერყეევს ანდა უკომპენსაციოდ უჩინარდებიან—ჭანურში: გოვან-**ჭი**←გოვან-**ჭიი**← გოვან-**ჭივ**-ი. ასეთი რამ სრულიად რეალური ვარაუდი იქნებოდა, მეგრულში ბოლოკიდური **-ი** — გ ო ვ ა ნ ჭ ი — გრძელი რომ ყოფილიყო... გამორიცხული ეს შესაძლებლობა ახლაც არ არის, რადგანაც სიგრძე ხმოვნისა მეგრულში, როგორც ვთქვით, მერყეევია...

ჭანურსა და მეგრულში გვაქვს მეორე ვარიანტი იმავე ფუძისა: **ჭიშ-**:

ოხორჯას ქ ო მ ე ჭ ი შ უ II 16_{33} მეგრ.: ოსურს ქ ე მ ი ო ჭ ი შ უ — ქალს დაეწია („მიეწია"...)... ხოჯა ე კ ა ჭ ი შ უ ჰემუს II 32_{37} მეგრ.: ხოჯაქ ქეკაჭიშუ თის — ხოჯა დაეწია მას... დივი იდუ დო თუდე გ ე ა ნ ჭ უ შ უ დო ზორი უწუ... II 37_{17} მეგრ.: ნდიქ იდუ დო გიმე გიიკონუ და მანგარო უწუ — მდევი წავიდა და ქვევით დაიწია და მაგრად უყვირა... მთელის ხოლო მ ე ბ ჭ ი შ უ რ II 12_3 მეგრ.: ნთერს ხოლო პ ჭ ი შ უ ქ—მთელს კიდევ მივწვდები („ვეწევი")... მუს ადა ჯაეფე ვა მ ო ჭ ი შ უ, ამმა მა, მუში ბერე-ნა ვორე, მა მ ო მ ჭ ი შ უ I 85_{13} მეგრ.: მუს ჯალენქ ვა მ ა ჭ ი შ უ, მარა მა, მუში სქუა ვორე-ქი-ნი, მა მ უ მ ო ჭ ი შ უ —მას ეს ხეები არ მოესწრო, მაგრამ მე რომ მისი შვილი ვარ, მე მომესწრო....

ჭიშ- ფუძეში **შ**-იანი სუფიქსი გვაქვს. საიდან? რა უდრის მას ქართულში? ინელი სათქმელია! ეს კია, რომ ეს განმარტოებით არ დგას; შდრ. ქართ. ძვ-**ელ-ი** — მეგრ. ჯვ-**ეშ**-ი (იხ. მ-**ჯვე**-)...

236. ჰან. **ჰაბ-** დაწებება, клеить
მეგრ. **ჰაბ-** „ „
ქართ. **წებ-** „

კინონი ხეს მაკაინა ნაჰაბენ II 85_{19} ტალახიან ხელს მაკარონი მიეკვრის („მიეწებება“)...

მეგრ.: მარკა ქიგიოჰაბუ—მარკა დააწება, წებოთი დააკრა... კიდას ქიმკაჰაბუ—კედელზე მიაწება... ცვაშა ქიმკიჰაბე! შუბლზე „მიიწებე“, მიიკარი!.. კიდა გოჰაბუ—კედელზე ქაღალდი გააკრა...

ჰანურშიც და მეგრულშიც ეს ზმნა ნასახელარია; იწარმოება სახელისაგან **ჰაბ-უ** (იხ.); ქართულ **წებო**-სთან მიმართება იხ. იქვე.

237. ჰან. **ჰ-ან-დ-:** უ-**ჰან**-დ-უ მოწვევა, приглашать
მეგრ. **ჰ-ან-:** ი-**ჰან**-უ დაბარება (დიბარა), вызывать, призвать
ქართ. **წ-ოდ-:** მო-უ-**წოდ**-ა „

ვით დღაში კულე დამთიე მუშიქ სიჯას უჰანდეფს I 134_{6} ათი დღის შემდეგ მისი სიდედრი სიძეს პატიჟებს („მოუწოდებს“)...

მეგრ.: ჯიმა ქირჰანუ—ძმა დაიბარა... ჯიმას ჰანაფულენს—ძმას იბარებს... ჰანაფილი — დაბარებული...

ძირეული **წ**- ქართულისა წარმოდგენილია **ჰ**-თი ჰანურსა და მეგრულში. ფუძის საწარმოებელი სუფიქსები **-ოდ-** || **-ან-** || **ანდ-** ფუნქციონალურად შეეფერება ერთმანეთს. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად **-ად-** იყო ჰანურში (მეგრული **-ან**-ის ბადლად) და **-ნ** ამ **-დ**-ს წინ ფონეტიკურადაა განვითარებული.

238. ჰან. (ნ)**ჰარ-** წერა, писать
მეგრ. **ჰარ-** " "
ქართ. **წერ-** "

კოჩიქ-თი ხეთე ნ**ჰ**არუმს ქარტალის II 59_7 კაციც ხელით წერს ქაღალდს... მა მ**ჰ**არუმ, სი ნ**ჰ**არუმ, ჰიმუქ ნ**ჰ**არუმს II 107_{24} მე ვწერ, შენ წერ, ის წერს... ქარტალი **ჰ**არუ, **ჰ**არუ I 94_{18} ქაღალდი წერა, წერა... ქითაბის **ჰ**არუნ I 98_{28} წიგნში წერია... მუფე მ ე მ ა ნ **ჰ**ა რ ე ს II $86_{10,12}$ რეები გადაგვხდა („რეები გვხვდა წილად, ბედზე").

მეგრ.: ირო ბ**ჰ**არი, ირო ბ**ჰ**არი, დღას ვეწყუ გათებაქ — სულ ვწერე, სულ ვწერე, „აღარ იქნა გათავება" (იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ. გრ., ქრესტ., გვ. 159)... თექ **ჰ**არუ(ნ)—იქ წერია... მუქ მ ა **ჰ**არუ!— რა მხვდა წილად! რას ველირსე!.. ცვად-**ჰ**არა — ბედი, ბედის წერა („შუბლზე წერა")...

ფუძის აგებულების მიხედვით ქართულსა და ჭანურ-მეგრულს შორის კანონზომიერი შესატყვისობაა. მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

სხვა შემთხვევათა მიხედვით აქაც დაისმის კითხვა: **-ერ-** || **-არ-** ძირეული მასალაა თუ დეტერმინანტი სუფიქსია და ფუძეს განეკუთვნება?

239. ჭან. **ჭვ-** წვა, ცხობა, ტკივილი, жечь, печь; болеть
მეგრ. **ჭვ-** " " " " " "
ქართ. **წვ-** жечь

ღობერეფე დ ო ჭ უ I 44_{36} ღობეები დაწვა... ოხოის დ ო ჭ ვ ე ს ჩხომი I 72_8 შინ („სახლში") შეწვეს თევზი... კონქშეფე-თი-ქ დაჩხუითე ოხოი ნიში ო ჭ ვ ე ს II 89_6 მეზობლებმაც ცეცხლით თავისი სახლი დაწვეს... დერემენჯიქ გჯარი დ ო ჭ უ მ ს II 95_{13} მეწისქვილე პურს გამოაცხობს... მჭკიდი აშოთე ჭ უ ფ ა ნ I 140_{18} მჭადს ასე აცხობენ... ეკულე ია მჭკიდი ი ჭ ვ ე ნ I 140_{17} მერე ის მჭადი ცხვება... ჰემუქ დიდო კაი მ ჭ უ მ ს მჭკუდი II 62_5 ის ძალიან კარგად აცხობს მჭადს... თილქის ა ჭ უ, ლაქინ ჰიჩ ნენა ვა ე შ ი ღ უ II 11_{27} მელიას ეტკინა („დაეწვა"), მაგრამ კრინტი **არ** დაძრა... დ ო მ ა ჭ ვ ე ნ,

გემჩა-ნა... ბიგა ეზდა, გემჩა-ში, დომაკვენ; მუშებურა — მაწ-კუნენ: თი მაწკუნენ, ქორბა მაწკუნენ... II 71_{22} მეტკინება („დამე-წვის“) რომ დამკრა... ჯოხი რომ აიღო, დამკრა, მეტკინება („დამე-წვის“); თავისით — მეტკინება („მაწკუნენ“ — „მაწყენს“, „მეწყინე-ბის“): თავი მეტკინება, მუცელი მეტკინება — ეკო გუის მემაჭუ I 77_{17} ისე გული დამწვა... ტავშანის კართალიში ჰანგიშენ აჭუნტუ დო კუსაპტუ I 68_4 ყურდგელს ტკიოდა არწივის კლანჭებისაგან და კვნესოდა...

მეგრ.: დიშქა დოჭუ — შეშა დაწვა... ბუხარს დიშქას ჭუნს — ბუხარში შეშას წვავს... ჭკიდი დოჭუ — მჭადი გამოაცხო... ლეხი სინჩხეს იჭშუ(ნ) — ავადმყოფი სიცხით იწვის... დუდი აჭუ(ნ) — თავი ტკივა... კიბირი აჭუდუ — კბილი ტკიოდა... ჭვილი — დამწვარი, გამომცხვარი... უჭუ — უწვავი, უცხობელი...

მეგრულსა და ჭანურში ძირეული **-ვ-** იკარგება **-უ-**ს წინ. **ჭვ-** კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **წვ-** (← **წუ-**); **ჭვ-**ც ← **ჭუ-**; ჭანურსა და მეგრულში ეს ფუძე „წვის“ გარდა აღნიშნავს „გამოცხობას“, „ტკივილს“ — როცა ეს უკანასკნელი „გარეშე მიზეზით არ არის უშუალოდ გამოწვეული“. ასეა ჭანურში. მეგრულში აჭუ(ნ) აწმყოს ჯგუფის დროებშიღა იხმარება (აწყუნუ — ეტკინა — აორისტი-საშია, მაგრამ შეიძლება აწმყოს ჯგუფისაშიც ვიხმაროთ). სხვა მხრივ ჭანურსა და მეგრულს შორის **ჭვ-** ძირის მნიშვნელობის მხრივ გან-სხვავება არაა.

240. ჭან. მ-**ჭვ-** წვიმა, „дождить“, итти дождю
მეგრ. **ჭვ-** „ „
ქართ. **წვ-** „

ვა მჭვიმს, დოლანცუ II 3_2 არ წვიმს, მოიწმინდა... ოშუვონი მჭიმა მჭიმს II 75_{19} დასასველებელი წვიმა მოდის („წვიმა წვიმს“)... ჟაზის მჭიმა მჭიფს I 160_{25} ზაფხულში წვიმა მოდის... ჭუჯ მჭიმა მჭიჯ: მჭიჯ-თი ითქვენ, მჭიმს-თი ითქვენ II 115_3 ახლა წვიმა მოდის... „მჭიჯ“-ც ითქმის, „მჭიმს“-იც ითქმის...

მეგრ.: ჭვინს უგინუღალუო — წვიმს გადაუღებლად... გოლა ირიათო ჭვიმუ — გუშინ სულ იწვიმა...

ძირეულია ქართულში **წვ-** (← **წუ-**), მეგრულსა და ჭანურში **ჭვ-** (← **ჭუ**). ჭანურში ბოლოკიდური **-ვ** ხშირად იკარგება (**ი**-ს წინ)... მეგრული და ჭანური მოწმობს, რომ ქართულში **-იმ-** (წვ-**იმ-**) სუფიქსია (ეს **-იმ**-სუფიქსი ჭანურში გვაძლევს **-იფ-** ვარიანტს, (ხოფურში), მეგრულში — **ინ-** ად იქცევა **-ს**-ს წინ).

ძირეული **წვ-** ‖ **ჭვ-**, ალბათ, იგივეა, რაც სახელში **წვ**-ეთ-ი გვაქვს (იხ.); **წვ**-ეთ-ი ← **წუ**-ეთ-ი... ამგვარად, წ უ ი მ ს ნიშნავდა „წუეთავს“, „წუეთები“ მოდის...

241. ჭან. (მ-)**ჭვ-ალ-** ‖ (ნ)**ჭვ-ალ-** წველა, доить
მეგრ. **ჭვ-ალ-** „ „
ქართ. **წვ-ელ-** „

გიშერა დ ო ნ ჭ ვ ა ლ ე ს I 101_{29} გიშერა მოწველეს... ფუჯი დ ო მ ჭ ვ ა ლ უ მ თ II 113_{32} ძროხას მოვწველით... თითო თანე ნ ჭ ვ ა ლ უ ფ ა ნ I 149_{7} თითოს წველიან... დიდო-ნა ი ნ ჭ ვ ა ლ ს, ფუჯის... I 127_{22} ბევრს რომ იწველის, ძროხას... ფუჯი მჯა ი ნ ჭ ვ ა ლ ე ნ (‖ ი ნ ჩ ვ ა ლ ე ნ) II 109_{27} ძროხა რძეს იწველის („ძროხას რძე იწველება“)...

მეგრ.: ჩხუ გ ე ჭ ვ ა ლ უ — ძროხა მოწველა... ჩხოუ ბრელს ი ჭ ვ ა ლ ს — ძროხა ბევრს იწველის... მ ა ჭ ვ ა ლ უ ჩხოუ — მეწველი ძროხა... აკა ჭ ვ ა ლ ა — ერთი წველა (ყველი)...

ძირეულ **წვ**-ს (← **წუ-**) შეესატყვისება **ჭვ-** (← **ჭუ-**) ჭან. და მეგრ. ჭანურში ეს ძირი დაირთავს **მ-** ‖ **ნ**-ს; ეს ფონეტიკურად განვითარებული მასალაა. სუფიქსი, რომელსაც ეს ძირი დაირთავს, ერთმანეთის შესაბამისია: **-ელ-** — **-ალ-**... მნიშვნელობა — ერთი და იგივეა ქართულში, მეგრულში, ჭანურში.

შესაძლოა ეს **წვ-** (← **წუ-**) იმავე **წუ-ეთ**-ის **წუ**-ს უკავშირდებოდეს წარმოშობით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გამოთქმა.: ფუჯის მჯა ი ნ ჭ ვ ა ლ ე ნ — ძროხას რძე იწველება, ე. ი. მოდის „წვეთად“...

242. ჰან. **ჭით**-ან-: გო-**ი**-მ-**ჭით**-ან-უ გაწითლება, краснеть
მეგრ. **ჭით**-ონ-დ-: გო-**ჭით**-ონ-დ-უ „ „
ქართ. **წით**-ლ-დ-: გა-**წით**-ლ-დ-ა „

ჰიმდორა კაჲმეკამი გოიმჭითანუ II 132_1 მაშინ კაიმაკამი (ბოქაული) გაწითლდა...

მეგრ.: თიქ გოჭითონდუ, თინა ჭითონდუ(ნ) — ის გაწითლდა, ის წითლდება...

ეს ზმნა ნასახელარია; იწარმოება მ-**ჭით**ა-საგან (იხ.) ამ ზმნის ვნებითი გვარი ჰანურში იწარმოება -**ი**- თავსართით, მეგრულში -**დ**- ბოლოსართით, რაც იშვიათია ჰანურისათვის.

243. ჰან. **ჭირ**- სჭირდება, нуждаться
მეგრ. **ჭირ**- „ „
ქართ. **ჭირ**- „

სუმ-ოთხო თანე დომაჭირს II 104_{32} სამი-ოთხი ცალი დამჭირდება... დემიბალუნ, დაჰა ვა დომაჭისს II 105_{29} მეყოფა, მეტი არ დამჭირდება... თუთუმი დოხომუ, დაჰა ვა დვაჭის II 105_{17} თამბაქო გახმა, მეტი არ ჭირდება..

მეგრ.: სუმი-ოთხი ღერი მოჭირუ(ნ) — სამი-ოთხი ღერი მჭირდება... გოღა დჷმეჭირუ დო ვა მიღუდუ — გუშინ დამჭირდა და არ მქონდა... ის მუთუნი ვა უჭირს—მას არაფერი უჭირს, უშავს... ოღალეში ეკოღალაქ გუჭირდუ — ტვირთის ამოტანა გაუჭირდა...

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ეს ზმნა ნასახელარია; იწარმოება **ჭირ**- სახელისაგან. ეს სახელი ქართულის გარდა მეგრულსაც აქვს; ჰანურშიაც იხმარებოდა, ალბათ.

ზემოთ მოყვანილი ჰანური მაგალითები ათინურ კილოკავს ეკუთვნის... ნ. მარი ათინურისათვის ასახელებს იმავე ზმნის სხვაგვარ წარმოებას: დომაჭირენ — დამჭირდება... იხ. ჰან. გრ., გვ. 225.

ამ ნასახელარი ზმნისაგან მეგრულში სხვადასხვა პრევერბებით მიიღება რამდენიმე, მნიშვნელობით განსხვავებული ფუძე. ჩვენ ძირითადიღა დავასახელეთ.

244. ჰან. **ჰიტ**-ან-: დი-**ჰიტ**-ან-უ დაპატარავება, уменшаться стать маленьким
მეგრ. **ჰიჭ**-არ-: დე-**ჰიჭ**-არ-უ „ „ „
ქართ. —

მზოლა დიჰიტანუ I 100_{2} ზღვა დაწყნარდა („დაპატარავდა“)...

ეს ზმნა ნაწარმოებია სახელისაგან **ჰიტ-ა** ‖ **ჰუტ-ა** (იხ.).

245. ჰან. მ-**ჰიფ**-ან-: დი-მ-**ჰიფ**-ან-უ: დაწვრილება стать тонким
მეგრ. **ჰიფ**-არ-: დე--**ჰიფ**-არ-უ „ „
ქართ. [**წრფ**-ელ-]

ლეტა დიმჰიფანენ I 136_{26} მიწა დაიფშვნება („დაწვრილდება“)..

ეს ზმნა ნასახელარია; იწარმოება მ-**ჰიფ**-ე-საგან (იხ.).

246. ჰან. **ჰკ**- ‖ **ჰ**- დაწყება, начинать
მეგრ. **ჰყ**- „ „
ქართ. **წყ**- „

[თილქიქ]... არ ჲეის თუნელი ონთხორუს ქოგჲოჰკუ I 35_{36} მელიამ დაიწყო ერთ ადგილას გვირაბის თხრა... ასლანიშ ბეექ-თი... ოჰკომუს ქოგჲოჰკუ I 38_{24} ლომის შვილმაც... ჰამა დაიწყო... „მუნდეს გჲოჯკი ონახუს? „საბაჲლა გებოჰკი“ II 83_{15} „როდის დაიწყე რეცხვა?“ „დილას დავიწყე“... ქომეშულუნ დო თოფური-თი ჲოხენაფუს ქოგჲოჰკამს II 82_{31} შევა და თაფლის კეთებას შეუდგება („დაიწყებს“)... ჰანთეფე-თი გჲარი ოშკომუ ქოგჲოჰეს II 127_{25} ამათაც საჭმლის ჰამა დაიწყეს... ხუთ-აში დღაში კულე დიბთუთუნი ოტახუ (!) გებოჰარე II 105_{5} ხუთი-ექვსი დღის შემდეგ თამბაქოს ქვედა ფოთლების შეტეხვას დავიწყებ...

მეგრ.: ულა დ̄ჰყუ (‖ დ̄ჰყუ) — წასვლა დააპირა („დაიწყო“)... ჭარუა დ̄ჰყუ — წერა დაიწყო... ჰვიმას იჰყანს - წვიმას იწყებს...

წყ- მეგრულში წარმოდგენილია **ჰყ-**თი — კანონზომიერად, — **ჰყ-** ჰანურში იქცევა **ჰკ-**დ, ათინურში — **ჭ-**დ.

მნიშვნელობა იგივე აქვს, რაც ქართულში.

აღსანიშნავია, რომ ქოგდოჰკუ ჰანურში მიცემით ბრუნვას მოითხოვს: ოჰკომუს ქოგდოჰკუ — „ჰამას დაიწყო“...

247. ჰან. **ჰკად-** || **ჰად-** ჰედვა, ковать
მეგრ. **ჰკად-** „
ქართ. **ჰედ-** „

მერთელის ხარტუმა დოჰკადუფან I 148_{19} ლარტყებზე ყავარს დააჰედავენ... აწი, ე-ნა ოკოპჰადი, ფაცხას ქოდინჯირით I 110_1 ახლა დაიძინეთ იმ ფაცხაში, მე რომ გავაკეთე („ერთ-ერთს შევაჰედე“)... დემირი... მოჰკადამან II 60_{38} — 61_1 რკინას... მოაჰედავენ... ფიცარი ნოჰკადამან II 73_1 ფიცარს მიაჰედავენ... ცხენიში ტაბანი ნალი კაფრითე ნოჰადამან II 11_{26} ცხენის ქაჩაჩზე ნალს ლურსმნით აჰედავენ...

მეგრ.: ნალი დოჰკადუ — ნალი გამოჰედა... კიდას ქიმგკაჰკადუ — კედელს მიაჰედა... ცხენი დოჰკადუ — ცხენი დაჰედა... ცუდე ჟეშთით გეგინოჰკადუ — სახლი თუნუქით გადაჰედა... ჰკადუ — მჰედელი... ოჰკადურე || ოჰკადგე — სამჰედლო...

ჰკად- ყველა ჰანურ კილოკავში გვაქვს, გარდა ათინურისა; ათინურის ნორმების მიხედვით **ჰკად-** — **ჰად-**...

ჰკად- კანონზომიერი შესატყვისია **ჰედ-**ისა; **ჰ-**ს შემდეგ განვითარებულია **კ : ჰ → ჰკ-**... მნიშვნელობაც იგივე აქვს. **-ედ-**, ალბათ, სუფიქსია.

248. ჰან. **ჰკეშ-** || **-ჰეშ-** დარაჯობა, сторожить
მეგრ. **ჰყეშ-** მწყსვა, пасти
ქართ. მ-**წყეს-** || მ-**წყს-**ვ-ა „

ოხორჯა ბერე ოწედ; ოხორჯა ჰამ ჰიმა ლაზუტი ამჰეშენი II 115_{20} ცოლი ბავშვს უყურებს; ცოლს შეუძლია განა ამ წვიმაში

სიმინდს უდარაჯოს („დამწყსოს“?)... ჰელბეთდე ცა მუთხა ქორენ! ცა დომჭეშა! II 135_{16}, ალბათ, აქ (?) რაღაც ამბავია („რაღაც არის“). ერთი ვუყურო (დავუდარაჯო)!.. „ცარ წანაშა ცარ მულვან!... გამჭეშე-ნა, ჰიმდორა ქომეგჩარე! გამჭეშასენ-ი?“ „ცარ წანა დეილ, ჰამ ბოზო-მოთაშენი ხუთ წანა დომჭეშარე!“... ბიჭი-თი ცარ წანა დომჭეშუ II 135_{33} „წელიწადში ერთხელ მოდიან!... ოუ შეგიძლია უდარაჯო, მაშინ მოგცემ! შეგეძლება უდარაჯო?“ ...„ერთი წელი კი არა, ამ ქალიშვილისათვის ხუთ წელს ვუდარაჯებ!“ ბიჭმაც ერთ წელიწადს უდარაჯა...

მეგრ.: ჰყეშუნს, დოჰყეშუ — მწყესავს, დამწყესა...

დო-მ-**ჰკეშ**-უ — ნასახელარი ზმნაა, იწარმოება მ-**ჰკეშ**-ისაგან (იხ.) დო-მ-**ჰეშ**-უ — ათინური ვარიანტია...

ზემოხსენებულ გამოთქმებში ამ ზმნაში კიდევ ჩანს პირვანდელი მნიშვნელობის — „ყურების“ — კვალი; ჰყეშუნს — მეგრულად ნიშნავს „მწყემსავს“, აქ კი ჰანურში — „უდარაჯებს“, „უყურებს“ (იხ. ო-**წკ**-ე-ნ)...

249. ჰან. **ჰკვ-იდ-**: ვნ. **ჰკ-ოდ-** ‖ **ჰკ-ორდ-** გაწყვეტა, გაწყდომა, разорвать,-ся уничтожиться

მეგრ. **ჰყვ-იდ-**: „ **ჰყ-ორდ-** „ „

ქართ. **წყვიტ-** ‖ **წყვეტ-**, **ვნ.**:**წყ-დ-**;

ძვ. ქართ. **წყ-ვდ-**‖**წყუ-ედ-**

ბეექ შუი ჰკვიდუპტუ I 113_{5} ბავშვი ძლივს სუნთქავდა (სუნთქვა ეკვროდა, „სულს წყვეტდა“)... გდოჰკვიდუ ბიგა კაპულას, ხოლო ვაულუნეშელი I 11_{14} გადააწყვიტა ჯოხი ზურგზე, კიდევ არ მიდის ვირი... ბიგა გომოჰკიდით ზოი-ა II 40_{27} ჯოხი დამკარით („გადამაწყვიტეთ“) მაგრადაო... ბიგა გოჰკიდეს-ჭკულე II $40_{29,35}$ ჯოხი რომ გადააწყვიტეს...

მეგრ.: ნგერი დო ტურა გოჭყვიდუ — მგელი და ტურა გაწყვიტა... ძაფი მეჭყვიდუ — ძაფი გაწყვიტა („მიაწყვიტა“)... თაში გინოჭყვიდუ — ასე გადაწყვიტა... გეშაჭყვიდუ — ამოწყვიტა... ზერს გამგკოჭყვიდუ — ცომს მოწყვიტა... ჭყვადილი იში მახორობა! — ამოვარდა მისი ოჯახი („გაწყვეტილი მისი ოჯახი“)!

თუ მოვიგონებთ, რომ ძვ. ქართულში იყო წყუედ-ს, წყვდ-ა, ცხადი იქნება, რომ ჰანური და მეგრული ჭყვიდ- იგივეა, რაც ძვ. ქართ. **წყვდ-** (ზანური გაბგებერებით: **წყ- — ჭყ-**); ჩვენ არა ერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ქართულში თუ ზმნა ფუძედრეკადია, ჰანურსა და მეგრულში აორისტისთვის დამახასიათებელი **-ი-** ხმოვანი აღმოაჩნდება ზმნას... ამგვარად, აგებულებით **ჭყვიდ- || ჭკვიდ-** კანონზომიერად შეეფარდება ქართ. **წყვდ-**ს... თვით ჰანურ ნიადაგზე **ჭყვიდ- — ჭკვიდ-**; ამ უკანასკნელისაგანაა მიღებული — **ვ**-ს დაკარგვით **ი**-ს წინ — **ჭკიდ-** (ათინური ვარიანტი იქნებოდა ჭიდ-)... ანდა: ჭკუდ- (ვიწეზე მითითებით მოჰყავს ნ. მარს).

ვნებითი ჰანურში გვაძლევს მე-**ჭკოდ**-უ ფორმას („ჩქიმი დულდა მუჭო მეჭკოდასინონ I 47$_9$ ჩემი საქმე როგორ გადაწყდება)... შდრ. მეგრ. მეჭყორდუ — „გაწყდა“... ნ. მარს მეჭკორდუ მოხსენებული აქვს ათინურზე მითითებით და თარგმნილი აქვს „оторвал“, „разорвал“-ად (ჭან. გრამ., გვ. 226). ი. ყიფშიძეს შეუმჩნევია ეს შეცდომა და კიდეზე მიუწერია „გაწყდა“. თარგმანი სწორია, მაგრამ მეჭკორდუ — არ შეიძლება იყოს ათინური (**ჭკ-**!); ათინურში უნდა ყოფილიყო მეჭორდუ...

კითხვა ისმის: რაა ვნებითის მაწარმოებელი ზმნებში: მეჭყორდუ || მეჭკოდუ || გაწყდა?

250. ჭან. **ჭკინ-დ-** დაღლა, уставать
მეგრ. **წყინ-დ-** მოწყენა, соскучиться
ქართ. **წყინ-დ-** „

ლუმჯიშა დიკა დოჭკირუ, ამმა დიდო დვაჭკინდუ... მედაწყედუ-ში, თემბელი დოჭკინდინერი რენ დო კუსაფს... „აშო მუქ დოგოჭკინდინუ?“ I 38$_{17-20}$ დაღამებამდის პური მომკო, მაგრამ ძალიან დაიღალა [ზარმაცი]... რომ შეხედა, ზარმაცი დაღლილია და კვნესის... „ასე რამ დაგღალა?“... ასკერეფეს დვაჭკინდეს... ქა-

მუიშვაჯეს... I 120_8 ასკერები დაიღალნენ... დაისვენეს... ოსმანის დაჭკინდუ („დვაჭკინდუ“ ხოფურეფეში რეს!) II 68_{22} ოსმანი დაიღალა; „დვაჭკინდუ“ ხოფელებისაა... სიჯას დაჭკინდუ ჰამსენერი ხორონის II 67_9 სიძე დაიღალა ამელამდელი ცეკვით... ჰაწი დომაჭკინდუ; ბიგზალარე დო ბინჯირარე II 4_{16} ახლა დავიღალე; წავალ და დავიძინებ...

ჭკინდ- უნდა იყოს ქართ. **წყინდ**-ის შესატყვისი: მოსწყინდა... მეგრულში **წყინდ-** ამავე სახით გვაქვს, როგორც ქართულში (ჯეთვისებულია)... „დაღლა“ გადმოიცემა სულ სხვა ძირით—შულადა: დოშურდუ (ძირია **შურ-=სულ-** ქართ.). **ჭკინდ-** ფორმა ვნებითია. ათინურში გვაქვს: დომაჭინენ (უ-**დ**-ონო წარმოება)... მნიშვნელობა ქართულთან შედარებით გადახრას იძლევა: „მოწყენა“ → „დაღლა“.

251. ჭან. **ჭკომ-** || **შკომ-** ჭამა, есть, кушать
მეგრ. **ჭკომ-** „ „
ქართ. **ჭამ-** „

ე-ნა უნტუ, კონაი ჭკომუ I 87_{29} რამდენიც უნდოდა, ჭამა... სუფრას ქოდოხედეს, გდაი ჭკომეს I 69_{32} სუფრაზე დასხდენ, საჭმელი ჭამეს... თემბელიქ... მთელი ქოთუმეფე ქოჭკომუ I 38_{30} ზარმაცმა... ქათმები სულ `შეჭამა... „ამ კოლიქ ოჭკომუ ჯუმუ“... II 21_{15} „ამ კალიამ შეჭამა მარილი“... ირი ხოლოქ გდარი ოჭკომეს II 65_5 სუყველამ საჭმელი შეჭამა („შეჭამეს“)... ოშკომუ II 95_{27} შეჭამა... „ნანა შკუნი ცილა შკომასენ!“ ჰიმდორა ვა შკომუ... „ცა ლოკმა შკომარე! II 122_{35-37} „დედა-ჩვენი უთუოდ შეჭამს!“ მაშინ არ ჭამა... „ერთ ლუკმას შეჭამ!“... ცა ლოკმა ქამიდუ, ოშკომუ II 123_3 ერთი ლუკმა ჩაიდო [პირში], შეჭამა... ფილავი უთოფუე ვა იჭკომენ I 22_1 ფლავი უთაფლოდ არ იჭმევა... აწი ვა გინონ-ნა, ჰუმენ ჰუმანიში დაჰა კაი იშთიათენ გაჭკომენ I 65_3 თუ ახლა არ გინდა, ხვალ დილას უფრო მადიანად შეჭამ („გეჭმება“)...

მეგრ.: ოჭკომალი ჯგირო ჭკომუ—საჭმელი კარგად ჭამა... მუთუნს ვა ჭკუნს (←ჭკუმუნს)—არაფერს არ ჭამს... ირფელი აჭკომენ—ყველაფერი ეჭმება... ვეჭკომე(ნ)—არ იჭმება... იჭკომე(ნ)—იჭმება... ოჭკომალი—საჭმელი... ჭკომილი—ნაჭამი... უჭკომური—უჭმელი...

ჰანურში **ჰკომ-** იქცევა **შკომ**-ად ათინურში (ამის შესახებ იხ. ჰან. გრამ. ანალ., § 6გ, გვ. 17). **ჰკომ-** კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ჰამ**-ისა (უნდა ყოფილიყო **ჰომ-**; კ- განვითარებულია **ჰ**-ს შემდეგ)... ჰანურში **ჰკომ-** ფუძე აწმყოს ჯგუფის დროებს აწარმოებს ვნებითი გვარისათვის (ი-ჰკომ-ე-ნ, ა-ჰკომ-ე-ნ—იჭმება, ეჭმევა), მოქმედებითი გვარისათვის სხვა ფუძე გვაქვს (ი-მხორ-ს || ი-ფხორ-ს)... მეგრულსა და ქართულში ფუძე **ჰკომ-** || **ჰამ-** დროთა სამსავე ჯგუფში გვაქვს, როგორც ვნებითში, ისე მოქმედებითში.

252. ჰან. **ჰკ-ონ**-დ- || **ჰ-ონ**-დ- || **ჰ-ონ**-დ-რ- დავიწყება, забывать
მეგრ. **ჰყ-ორ**-დ " "
ქართ. ვი-**წყ**-დ- "

მთელი ქ ა გ ო ჰ კ ო ნ დ უ ექონი, მუთუ ვა შუნს I 31_{13} ყველაფერი დაავიწყდა იქაური, არაფერი ახსოვს... ა გ არას ლაზეფე რენან..., ამმა ლაზური ქ ა გ ო ჰ კ ო ნ დ ე ს II 20_5 აგარაში ლაზები არიან..., მაგრამ ლაზური დავიწყებული აქვთ („დაავიწყდათ“)... კაი ჯოხო უღუტუ, გ ო მ ო ჰ კ ო ნ დ უ II 29_{15} კარგი სახელი ერქვა („ჰქონდა“), დამავიწყდა... გ ო მ ო ჰ ო ნ დ უ ჰემუში ჯოხო II 91_{27}, 105_{23} დამავიწყდა იმის სახელი... ქოდომოსკუდუ, გ ო მ ო ჰ ო ნ დ რ უ II 112_7 დამრჩა, დამავიწყდა...

მეგრ.: გ ა ჰ ყ ო რ დ უ—დაავიწყდა... ვ ა გ გ ო ჰ ყ ო რ დ ა ს — არ დაგავიწყდეს!... ვ ე გ ი ჰ ყ ო ლ ი დ უ ა! —არ დაივიწყო!

ბოლოკიდური **დ-** ყველგან ვნებითის მაწარმოებელია; ძირეულია **წყ-** ქართულში, და მისი კანონზომიერი შესატყვისი **ჰყ-** ჰანურსა და მეგრულში. თავკიდური **ვი-** ქართულში (**ვი-წყ-**) აფიქსია (საფიქრებელია იმავე ღირებულების, როგორიც აქვს **ვ**-ს—**ვაჟ**-ში... თუმცა სიკითხს ართულებს ანალოგიური **ვა- ვა-რცხ-ნ-ა**-ში; შდრ. მეგრ. **რცხ**-ონ-უ-ა)...

გასარკვევია **-ონ-** || **-ორ-** სუფიქსთა ფუნქცია ჰანურსა და მეგრულში (ფუძის დეტერმინანტები?)...

მნიშვნელობა ამ ფუძეს ერთი და იგივე აქვს ქართულსა, ჰანურსა და მეგრულში.

253. ჭან. **ჭკორ-** || **ჭკირ-** || **შკორ-** ჭრა (მკა; დაკვლა), резать (жать; резать скот)

მეგრ. **ჭკირ-** ჭრა, резать

ქართ. **ჭარ-** || **ჭერ-** „

ნანა სქანიქ-ნა ჭკიუ ჩალა I 93_{16} დედა-შენმა რომ მოჭრა ჩალა... მამუდიქ დიკა დოჭკიუ I 43_{1} მამუდმა დიკა მომკო („მოჭრა“)... ბრინჯი... მანგალითენ ჭკირუფან I 137_{29} ბრინჯს ნამგლით მკიან („ჭრიან“)... კამათე ქაფჩა დოჭკორუ II 78_{4} ხანჯლით ხამსა დაჭრა... ჩალა დოჭკორუმან II 60_{32} ჩალას მოჭრიან.., მციქა დოშკორი თუთუნი II 103_{35} ცოტა დაჭერი თამბაქო... დოშკორი, დოშკორი II 108_{8} დაჭერი, დაჭერი... ხამითე მეშკორუ თოჭი II 99_{22} დანით გადაჭრა („მოჭრა“) თოკი... ფუჯი მემიჭკირუფ-ნა II 39_{3} თუ ძროხას დამიკლავ... მჩხუი მევოჭკირათ I 1_{14} ცხვარი დავკლათ..: მუქ ქანოჭკირუ I 1_{20} თვითონ დაკლა...

მეგრ.: თუთუმი დოჭკირუ — თამბაქო დაჭრა... ქობარს ჭკირუნს —პურს ჭრის... გემგჯოჭკირუ — მოჭრა... ქეგიოჭკირუ — დააჭრა... ქინაჭკირუ — ჩააჭრა... გეგინოჭკირუ — გადაჭრა...

შკორ- ათინურია; **ჭკორ-** ვიწურ-არქაბული; **ჭკირ-** ხოფურს ახასიათებს; მიღებულია **ჭკორ-**ისაგან; მეგრული **ჭკირ-** მისდევს ხოფურს...

ჭან. **ჭკორ-** გვავარაუდებინებს ქართულში **ჭარ-**ს; დიალექტურად ასეთი ფუძე ამ ზმნისა ცნობილია: გა-**ჭარ-**ი — (გურულში). სალიტერატურო ქართულის გა-**ჭერ-**ი **ე**-თი ხასიათდება. ეს კვლავ სვამს საკითხს: **-არ-** || **-ერ-** ძირეულია თუ აფიქსებს წარმოადგენს? უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო ახლოსაა სინამდვილესთან...

ჭანურსა და მეგრულში **ჭ**-ს შემდეგ **კ**- ფონეტიკურადაა განვითარებული. ძირითადი მნიშვნელობა ერთი და იგივეა (ჭანურში ახალია „მკა“, „დაკვლა“...).

254. ჭან. **ჭ-ოფ-**. ჭერა (აღება, ყიდვა), ловить, поймать; брать (купить)

მეგრ. **ჭ-ოფ-** ჭერა (აღება), ловить, поймать; брать

ქართ. **ჭ-ერ-**(?) ловить, поймать

ყონას ჩხომი ჰ ჭ ო ფ ი I 17_{7} ყანაში თევზი დავიჭირე... ოხორჯა გზას ო ჰ ჭ ო ფ ი II 18_{34} ქალი გზაში დავიჭირე... ბოზომოთა ო ჭ ო ფ უ, დვოშქიდუ II 138_{22} ქალიშვილი დაიჭირა, დააღრჩო... ორთიჭი ო ჭ ო ფ უ II 107_{13} მწყერი დაიჭირა... ათმაჯაფეთე ოტრიკე ჭ ო უ ფ ა ნ... ათმაჯა ნაშქუმელან, ო ჭ ო ფ უ ფ ს I $154_{18, 19}$ მიმინოებით მწყერს იჭერენ... მიმინოს გაუშვებენ, დაიჭერს... არენტითე-ნა ე ჭ ო ფ უ II 52_{19} იჯარით რომ აიღო... „ანდღა ჲა-და ჭუმენ ხინა ქ ე ჰ ჭ ო უ ფ!“ „მუთხანი-ნა ლაზიმი ენ, ია ჲ ე ჰ ჭ ო ფ ა თ!“ I 108_{13}-$_{15}$ დღეს ან ხვალ ქინაქინას ვიყიდი („ავიღებ“)!.. „რაც საჭიროა, ის ვიყიდოთ („ავიღოთ“)!“...

მეგრ.: კატუქ ჭუკი ო ჭ ო ფ უ — კატამ თაგვი დაიჭირა... დიხას ძუდუ დო გ ე ჭ ო ფ უ—მიწაზე იდვა და აიღო... ჭ ო ფ უ ნ ს—იჭერს.. ჭ ო ფ ი ლ ი—დაჭერილი; ე ჭ ო ფ ი ლ ი—აღებული...

ქართული შესაბამისი ფუძე უნდა ყოფილიყო **ჭერ-** (ი-**ჭერ-**ს), მაგრამ ეს ფუძედრეკადი ზმნაა (ი-**ჭირ-**ა) და ჭანურში ასეთ შემთხვევაში **ჭირ-** იყო მოსალოდნელი (და არა **ჭოფ-**)!

მაგრამ ეს დაბრკოლება მოიხსნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ძირეულია მხოლოდ **ჭ-**, **-ერ-**, **-ოფ-** კი აფიქსებია ანალოგიური ფუნქციისა, მაგრამ სხვადასხვა აგებულებისა.

ქართულში ხმარებული „ო რ ჭ ო ფ ი“ ჭან.-მეგრ. **ჭოფ-**ის შემცველად მიაჩნიათ: „ორის დამჭერი!“ მაშინ გაუგებარია პირველ ნაწილად „ორ“-ის გამოყენება. ნარევი მეტყველების ნიმუში?

255. ჰან. **ხაკ-არ-** გაფხეკა (ბალნისა), (გამოწმენდა ნაკელისა...), скоблить с кожи волосы, очищать

მეგრ. **ხაკ-არ-** ტყავზე ბალნის გაფხეკა; скоблить с кожи волосы

ქართ. **ფხეკ-** скоблить

დოხაკარუ I 105_{15} გაფხიკა (ბალანი გააცალა)... თომას ხაკარუფან ხამითე I 165_{22} თმას ფხეკენ [საქალამნე ტყავს] დანით... დოპკვათუმთ, დოფხაკარუმთ ხამითე II 114_{17} დავჭრით, გავფხეკთ დანით... ბაკი ქაგამახაკარუ I 42_{7} ბოსელი გამოწმინდა („გამოფხიკა")...

მეგრ.: ტყები გოხაკარუ — ტყავი [საქალამნე] გაფხიკა...

შესატყვისი ძირი ქართულში უნდა იყოს **ფხეკ-**; ჰანურში უნდა გვქონოდა **ფხაკ-**; თავკიდური **ფ-** დაკარგულია.

საინტერესოა, რომ მეგრულში გვაქვს **ხეკ-**: გო-**ხეკ-**უ, **ხეკ-**უნ-ს — „გა-ფხიკ-ა", „ფხეკს"; ქართულიდან შეთვისებულ ამ ფუძესაც აკლია თავკიდური **ფ-**... ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ფუძე მეგრულში ზოგჯერ ენაცვლება ჰანურ **ხაკ-არ-** ფუძეს; ჰან. ბაკი ქაგამახაკარუ — იხ. აქვე, ზემოთ, უკანასკნელი მაგალითი — მეგრულად იქნებოდა: გეგგმოხეკუ — „გამოფხიკა"... ჩხუში კუნდი გოხეკუ ძროხის ნაკელი დაგავა („გაფხიკა")...

256. ჰან. **ხალ-** ხრაკვა, დაგვა, жарить (до обугления)

მეგრ. **ხალ-** ნაკვერჩხლებზე გაცხელება, წვა, поджарить на горящих угольях

ქართ. **ხალ-** || **კალ-** (ძვ. ქართ.) „ჴალვა — მარცვალთ შეწვა" (საბა), поджаривать семена

ჰოლო გოქთი, დიხალასენ II 74_{14} ჭყინტი სიმინდი შეაბრუნე [ცეცხლზე], დაიხრაკება... სი დომჭვი დო დომხალი, გჲული ჩქიმი! II $146_{9,13,17}$ შენ დამწვი და დამდაგე, ჩემო ვარდო! (სატრფიალო ლექსებში ყოველ მეოთხე სტრიქონს ეს სტერეოტიპული ფრაზა შეადგენს ჩვეულებრივად)...

მეგრ.: ღუმუ დოხალუ — ცივი ღომი ნაკვერჩხლებზე გააცხელა (ასეთ შემთხვევაში ღომი გარედან შეიხრაკება ხოლმე)... ჯკიდი დოხალი! — ცივი მჭადი შეაფიცხე! (ზუსტად: ნაკვერჩხლებზე გააცხელე)...

ი. ყიფშიძეს ხალუა თარგმნილი აქვს жарить, сжигать... შინაარსის ასეთი განზოგადებაც არ არის გამართლებული.

ქართულში ეგევე ძირია **კალ-**; საბას განმარტებით „**კალვა** — მარცვალთ შეწვა... **კალი**—მოჯალული მარცვალი“...

აქედან ჩანს, რომ ჰანურ გამოთქმაში—ჰოლო... დიხალასენ—(იხ. ზემოთ) მოცემულია ამ ზმნის ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ამოსავალია საბასთვის: ჭყინტი სიმინდის მარცვლების მოხრაკვაზეა ლაპარაკი ჰანურ გამოთქმაში.

257. ჰან. **ხ-არ-** გა(მო)ფატრვა, დაგლეჯა, потрошить, рвать
მეგრ. **ხ-არ-** „ „ „ „
ქართ. **ხ-ევ-** рвать

დოხაუფან ქოთუმე... წკაიშა იმელან დო კაი დოჩხიფან I 142_{23} გამოფატრავენ ქათამს..., წყალზე წაიღებენ და კარგად გარეცხავენ... ქარტალი ებუჭოფით დო დოფხარით II 27_{17} ქაღალდი გამოვართვით და დავხიეთ...

მეგრ.: ქოთომი გეგგმოხარუ — ქათამი გამოფატრა... თიში გოხარუ — თოვლი გაკვალა (ე. ი. „გაგლიჯა“ მაღალი თოვლი)...

ეგევე ძირი უნდა გვქონდეს ქართ. **ხ-ევ-ა-**ში; **-ევ-** აქ სუფიქსია; ჰანურსა და მეგრულში გვაქვს ანალოგიური ფუნქციისა, მაგრამ სულ სხვა აგებულების სუფიქსი **-არ-**: **-ხ-არ-**.

258. ჰან. **ხაჩქ-** ხვნა-თესვა, მიწის დამუშავება (თოხით) сеять, пахать[1], обрабатывать землю (мотыгой)
მეგრ. **ხაჩქ-** „ „ „ „ „
ქართ. —

მაჟუანი წანას დიკა დოხაჩქუ I 42_{33} მეორე წელს დიკა დათესა... ეკულე ბერგითე ხაჩქუფან I 137_{25} მერე თოხნიან (თოხით ამუშავებენ მიწას)... ბერგი ხუჯის მობიდუმელ დო ფხაჩქუმ,

[1] ნ. მარი თარგმნის — «копать:» შეცთომაა; ი. ყიფშიძეს ეს შეუნიშნავს და კიდეზე მიუწერია. იხაშქენ—ითესება...

ლაზუტი ფ ხ ა ჩ ქ უ მ I 25_{24} თოხს მოვიდებ მხარზე და კთოხნი, სიმინდს ვთესავ... ონტულეფე დ ო ხ ა ჩ ქ უ მ ა ნ... II 60_{5} ბოსტანს დათესავენ... ც ო ნ ა ფ ე ს-თი, ლაზუტი-ნა ხ ა ჩ ქ უ მ ა ნ, ჯერი-თი ქორენ, ქურუმი ხ ა ჩ ქ უ მ ა ნ... ზენის ხ ა ჩ ქ უ მ ა ნ ბრინჯი II 60_{6-8} ყანებში ისეთი ადგილებიც არის, სიმინდს რომ თესავენ, ღომს რომ თესავენ... ვაკეზე თესავენ ბრინჯს...

მეგრ.: ცვანა დ ო ხ ა ჩ ქ უ —ყანა დაამუშავა („მოხნა მიწა")... სიმინდი დ ო ხ ა ჩ ქ უ —სიმინდი დათესა... ხ ა ჩ ქ უ ა —ხვნა-თესვა... „ხ ა ჩ ქ ე შ ი, ბ ა რ გ ე შ ი!"—„ხვნა-თესვისა, მარგვლისა!" (ასე განმარტავენ გუგულის „ძახილს" სამეგრელოში)... ხ ა ჩ ი ლ ი — მოხნული... უ ხ ა ჩ ქ უ —მოუხნავი...

ეს ზმნა მიწის დამუშავებასაც აღნიშნავს და თესვასაც... ზოგადად შეიძლებოდა „ხვნა-თესვა" გვეხმარა, რომ ხ ვ ნ ა მეგრულად ცალკე სიტყვით—ხ ო ნ უ ა—არ გადმოიცემოდეს (ჭანურში შესაბამისი ძირი არა ჩანს... ლეტაში ო თ ხ ო რ უ — „მიწის თხრა" — ამბობენ ჭანები).

ხ ო ნ უ ა, ხ ვ ნ ა (← ჴნვა) ხარით (**კ-ან-** სვ., ძვ. ქართ. **კ-არ-**...) დამუშავებას ნიშნავს... ხ ა ჩ ქ უ ა **ამჟამად** თოხით დამუშავების შემთხვევაში იხმარება, მაგრამ აქ თოხზე უნდა იყოს გადატანილი სხვა იარაღის სახელი (ბ ა რ გ უ ნ ს — თ ო ხ ნ ი ს — აკი გვაქვს!)...

ამ იარაღის სახელი ხ ა ჩ ქ- უნდა ყოფილიყო... დო-**ხაჩქ**-უ, ამგვარად, ისეთივე წარმოებისა უნდა იყოს, როგორც გა-**თოხ**-ნ-ა, და-**ბარ**-ა...

ქართულში ეს ძირი არ უნდა გვქონდეს...

259. ჭან. **ხ-ედ-** || **ხ-უნ-** ჯდომა, დასმა, сидеть, садиться; сажать
მეგრ. **ხ-ირდ-** || **ხ-უნ-** „ „ „ „ „
ქართ. **ს-ხ-ედ** ჯდომა, сидеть

